


საქართველო

2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დაგროვილი გამოცდილება



წიგნი დაფინანსებულია ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის
ორგანიზაციის (ეუთო) საქართველოს მისიის და ევროპის საბჭოს მიერ

წიგნის მომზადებაში მონაწილეობდნენ:

იგორ დ. გაონი, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში 2005-2008 წლებში, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, გიორგი ჩხეიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“,

ნენსი ფორბორდი, ექსპერტი, ვროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო),

ლევან თარხნიშვილი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე,

ეკა სირაძე-დელონე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება,

დანიელ პ. ფინი, ექსპერტი (ეუთო),

მარი-კარენ ფონ გუმპენბერგი და თეონა გამცემლიძე (ეუთო),

მერი ოჰაგანი და მიშელ ბრაუნი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი,

ჰანს გუტბროდი და აარონ ერლიხი, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი,

თინათინ ბრეგვაძე, „World Vision“ - საქართველო,

ტომ ტრიერი, უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი.

ამ წიგნის დაბეჭდვა და თარგმნა დააფინანსეს საქართველოში ეუთო-ს მისიამ და ევროპის საბჭომ. არც ერთი ორგანიზაცია პასუხს არ აგებს სტატიების შინაარსზე. მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ ნაშრომზე ეკისრებათ ავტორებს.

თარგმანი: ანუკი გეგეჭკორი

თარგმანი ქვეყნდება ევროპის საბჭოსთან და ეუთო-სთან შეთანხმებით და მასზე პასუხს აგებს მთარგმნელი

დიზაინი და დაბეჭდვა: „Petite“

© ევროპის საბჭო / ეუთო

ISBN 978-9941-9112-8-6

თბილისი, 2009 წელი

სარჩევნი

შესავალი.....	5
პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური კულტურა	8
მედია და მედია-გარემო	78
საარჩევნო კამპანიის დაფინანსება.....	96
ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება	120
საარჩევნო ადმინისტრაცია.....	142
საარჩევნო ადმინისტრაციასა და არჩევნებში დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა	182
ამომრჩეველთა სიები.....	208
საჩივრები და განცხადებები	233
არჩევნებზე ადგილობრივი და საერთაშორისო დაკვირვება და მონიტორინგი	254
არჩევნების შედეგები.....	301
საზოგადოებრივი აზრის კვლევის შესაძლებლობები და ეგზიტპოლის ნაკლოვანებები	319
ქალები და არჩევნები.....	364
ეთნიკური უმცირესობები და არჩევნები.....	379

შესავალი

დემოკრატიული კონსტიტუცია მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას (შეიძლება ითქვას, ვალდებულებასაც), მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში არჩევნებში მონაწილეობის, პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანების, გავლენიან ჯგუფებში მოღვაწეობის, მიტინგების და დემონსტრაციების და სხვა გზებით. მოქალაქეები პასუხისმგებელი არიან დემოკრატიული ინსტიტუტების სათანადო ფუნქციონირებაზე; სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა უფრო მეტია, ვიდრე უფლება – ეს მოქალაქეობრივი ვალდებულებაა. ეს ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის წინაპირობაა.

არჩევნები ერთ-ერთი გადამწყვეტი ნაბიჯია დემოკრატიულ პროცესში. არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური მონაწილეობის და წარმომადგენლობის უზრუნველყოფის საქმეში; ეს ადამიანის უფლებათა დაცვის და კანონის უზენაესობის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სისტემების ლეგიტიმურობის ფუნდამენტური წინაპირობაა.

თუმცა დემოკრატია წარმოუდგენელია არჩევნების გარეშე, მხოლოდ პოლიტიკური არჩევნები ვერ იქნება დემოკრატიული მმართველობის გარანტია. არ არსებობს დემოკრატია თავისუფალი და სამართლიანი პლურალისტური არჩევნების გარეშე. მიუხედავად ამისა, მხოლოდ არჩევნების ჩატარება არ არის საკმარისი ჯანსაღი დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებისთვის, თუ მას თან არ ახლავს პატივისცემა ოპოზიციური ძალების მიმართ, ურთიერთკონტროლი და ძალაუფლების განაწილება, დამოუკიდებელი მედია და სამართლიანი სასამართლო.

აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭოსთვის წინასაარჩევნო დახმარება და არჩევნებზე დაკვირვება წარმოადგენს ორ მნიშვნელოვან ელემენტს ანუ ინსტრუმენტს წევრ სახელმწიფოებში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის.

საქართველოში მიმდინარე რეფორმების უწყვეტობის ხელშეწყობის მიზნით ევროპის საბჭომ საქართველოში ეუთო-ს მისიასთან თანამშრომლობით მოამზადა წიგნი „საქართველო, 2008 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები – მიღებული გამოცდილება“. წიგნი წარმოადგენს საქართველოს 2008 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ დაწერილი სტატიების კრებულს. სტატიების ავტორებად გვევლინებიან საქართველოში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. წიგნი ეფუძნება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტის გამოცდილებას წინასაარჩევნო, არჩევნების ჩატარების და არჩევნების შემდგომი პერიოდის სფეროებში.

წიგნი „საქართველო, 2008 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები – დაგროვილი გამოცდილება“ შედგება 13 თავისგან, რომლებიც განიხილავს თითოეული არჩევნების მთავარ საკითხებს, დაწყებული მედიიდან, არჩევნების დაფინანსებიდან და ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებული საჩივრებიდან და დამთავრებული არჩევნების შედეგებით, ეგზიტპოლებით, მონიტორინგით, ქალების მონაწილეობით და არჩევნებში უმცირესობათა ჩართვით. თითოეული თავის ბოლოს მკითხველი გაეცნობა დასკვნებსა და რეკომენდაციებს, სადაც განსაზღვრულია საკითხები და პროგრამები შემდგომი ქმედებებისთვის საარჩევნო საკითხებში დახმარების სფეროში.

წინამდებარე ნამუშევარი შეიძლება გახდეს სახელმძღვანელო არჩევნებთან დაკავშირებულ მომავალ საქმიანობაში ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, პარლამენტის წევრებისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის, არჩევნების ადმინისტრაციისთვის, კანდიდატებისთვის, ამომრჩეველებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის. იგი ასევე სასარგებლო იქნება არჩევნების მომავალი – როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი – დამკვირვებლებისთვის, რადგან წიგნი გვთავაზობს საქართველოს პოლიტიკური კულტურის და პოლიტიკური სისტემის სიღრმისეულ განხილვას.

და ბოლოს, მინდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასა და ინდივიდს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს

ამ პუბლიკაციაში, კერძოდ: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“, სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას, ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს, „World Vision“-ს საქართველოს, უმცირესობების საკითხთა ევროპულ ცენტრს, ასევე იგორ დ. გაონს, ნენსი ფორბორდს, ლევან თარხნიშვილს, დანიელ პ. ფინს, მარი-კარენ ფონ გუმპენბერგსა და თეონა გამცემლიძეს.

ჟან-ლუი ლორანი

დემოკრატიისა და პოლიტიკურ საქმეთა
გენერალური დირექტორი, ევროპის საბჭო

პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური კულტურა

ივორ დ. გაონი, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში 2005-2008 წლებში

შესავალი

ბევრია დავა ტერმინის „პოლიტიკური კულტურა“ გარშემო, მაგრამ არ არსებობს მისი რაიმე შეთანხმებული ზოგადი განმარტება. ტერმინი ზოგადად აღწერს ხელისუფლების, მოქალაქეებისა და პოლიტიკური პარტიების ურთიერთქმედებას ერთმანეთთან. ამ შემთხვევაში პოლიტიკური კულტურა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც რალაც სამკუთხედი, რომელიც ყალიბდება მოქალაქეებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთქმედებით და ხასიათდება იმ ნორმებითა და წესებით, რომლებიც ასახავს კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარების მიმართ პატივისცემის დონეს და ეროვნული კულტურისა და პოლიტიკური მემკვიდრეობის ზეგავლენას.

პოლიტიკური კულტურა შეიძლება განხილული იქნეს როგორც პროცესი, როცა მოქალაქეები, პოლიტიკური პარტიები და ხელისუფლება ადგენენ საკუთარ როლებს და ერთმანეთთან ურთიერთობის სტრუქტურას და ხასიათს. როგორ ხდება მათ შორის ურთიერთქმედება? როგორ აწვდენენ ისინი ერთმანეთს ხმას? როგორ წყვეტენ პრობლემებს? ჩართულნი არიან თუ არა რიგითი მოქალაქეები ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში? რეაგირებს თუ არა მათ პრობლემებზე მთავრობა? როგორ იქმნება პოლიტიკური პარტიები? როგორ ხდება ხელმძღვანელების დადგენა? არის თუ არა არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი? რამდენად გამჭვირვალეა მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების მოღვაწე-

ობა? ამ და მსგავს კითხვებზე პასუხების გაცემა დაგვეხმარება პოლიტიკური კულტურის ბუნების განსაზღვრაში.

ნებისმიერ საზოგადოებაში ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას იღებს სამი ჯგუფი. პირველი ჯგუფი პასიურია; მეორე ჯგუფი ნახევრად აქტიურია, ხოლო მესამე ჯგუფი აქტიურია. გადაადგილება ერთი ჯგუფიდან მეორეში ყოველთვის შესაძლებელია. მეორე ჯგუფში მყოფ ადამიანებს ყოველთვის შეუძლიათ გადასვლა პირველ ან მესამე ჯგუფებში, ან პირიქით. მესამე ჯგუფის წევრებს შეიძლება მიენიჭოთ პოლიტიკური როლები. ამ პროცესის განმავლობაში ისინი თავდაპირველად მოღვაწეობას იწყებენ ჩვეულებრივ ანუ მასობრივ პოლიტიკურ კულტურაში, ხოლო ხელმძღვანელი როლის აღების შემდეგ პოლიტიკურად ელიტარული კულტურის გარემოში აღმოჩნდებიან ხოლმე.

პოლიტიკური კულტურის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნება მრავალი ისეთი ფაქტორი, რომელსაც ზემოქმედება შეუძლია მის ფორმირებაზე. ეს ფაქტორებია:

- კორუფცია და ფულის „გათეთრება“;
- ეკონომიკური კრიზისი;
- სოციალური უთანასწორობა;
- არაეფექტიანი პოლიტიკური დაწესებულებები;
- მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობით გამოწვეული გაღიზიანება;
- წინა რეჟიმებიდან და ეროვნული ტრადიციებიდან მიღებული კულტურული მემკვიდრეობა;
- ურთიერთობა სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფთან;
- ტერიტორიული მისწრაფებები/ტერიტორიული მთლიანობის გადაუჭრელი პრობლემები;
- არაეფექტიანი მიდგომები ეროვნულ უმცირესობათა საკითხების მიმართ.

საქართველოს შემთხვევაში ახალგაზრდა დემოკრატიის და ქვეყნის პოლიტიკური კულტურის განვითარების დანახვა შეიძლება მისი ხელმძღვანელობის, პოლიტიკური პარტიების და მოქალაქეების საქმიანობით. პოლიტიკური ქცევის მუდმივი ფორმა ხშირად ამჟღავნებს მათ საარჩევნო პროცესში. აქედან გამომდინ-

ნარე, საინტერესო იქნება წარსულის არჩევნების და მთავრობის, პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების შესაბამისი ქცევის შესწავლა და იმ საშუალებების მოძებნა, რომლებიც დაგვეხმარებოდა მიმდინარე პოლიტიკური კულტურის, პოტენციური პრობლემებისა და იმ სირთულეების დანახვაში, რომლებსაც შეიძლება წავაწყდეთ მომავალი არჩევნებისას.

ურთიერთობა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის

პოლიტიკური პარტიები იმ სამკუთხედის ერთ-ერთი ნაწილია, რომელიც აღწერს მთავრობისგან, სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიებისგან შემდგარ პოლიტიკურ კულტურას. პარტიებს ამ სამკუთხედში შეუძლიათ ურთიერთობა ასევე იმ სხვა სუბიექტებთან თუ პარტიებთან, რომლებიც არსებობენ გარემოში.

საქართველოში პოლიტიკური სისტემა ხასიათდება ერთი დომინანტური პარტიის და მთელი რიგი ოპოზიციური პარტიების არსებობით. პარტიული სისტემა სუსტადაა ინსტიტუციონალიზებული, ხოლო პარტიის ბედი დამოკიდებულია მისი ლიდერის ან ლიდერების მცირე ჯგუფის პიროვნებაზე. აქედან გამომდინარე, ზოგადად საქართველოში პოლიტიკური პარტიები ადვილად იქმნება და ასევე ადვილად იშლება. ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს გამონაკლისს, როგორცაა, მაგალითად, რესპუბლიკური პარტია, რომელიც, მარტო ან სხვა პარტიებთან ერთად, მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში როგორც მთავრობის შემადგენლობაში, ასევე მის გარეთ 1978 წლიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როცა იგი ჩამოყალიბდა არალეგალურ პარტიად ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში.

საქართველოს პოლიტიკური სისტემა, ასე თუ ისე, ყოველთვის ასიმეტრიულია: ერთ მხარესაა ძალის მაღალი კონცენტრაციის მქონე ერთი პარტია, ხოლო მეორე მხარეს – მნიშვნელოვნად დანაწევრებული და სუსტი ოპოზიცია. დიალოგი ამ ორ მხარეს შორის იშვიათი მოვლენაა, ხოლო თანამშრომლობას პოლიტიკურ პარტიებს შორის უმეტესად ადგილი აქვს ოპოზიციურ ბლოკში; თუმცა ზოგჯერ მმართველი პარტიაც თანამშრომლობს ან უერთ-

დება სხვა პარტიებს. კოალიცია ოპოზიციურ პარტიებს შორის ან მმართველ პარტიასთან, ჩვეულებრივ, არასტაბილურია და ეფუძნება უფრო ტაქტიკას და არა პროგრამებსა თუ იდეოლოგიას. თანამშრომლობა ოპოზიციურ პარტიებს შორის, ჩვეულებრივ, მყარდება დროებითი საერთო ინტერესებისთვის, როგორც წესი, არჩევნების წინ. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არსებული კონფრონტაციის დონე მაღალია, ისინი დროდადრო ერთიანდებიან. ეს ხდება მაშინ, როცა სიტუაციიდან ჩანს, რომ მათ ერთმანეთი სჭირდებათ.

დღემდე პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას არ ჰქონია რაიმე კონკრეტული პროგრამა და მაშინაც კი, როცა ისინი ადამიანებს სთავაზობენ რაიმე ამდაგვარს, არასდროს არ ასრულებენ ამას – ისინი დამოკიდებულნი ხდებიან თავიანთ ლიდერზე. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების პროგრამები ერთმანეთს ემთხვევა მხოლოდ მმართველი პარტიის მთავრობიდან გამოყვანის და იმ პრეზიდენტის ჩამოგდების სურვილში, რომელიც ეკუთვნის მმართველ პარტიას. თუმცა ამ ვიწრო მიზნის პროგამასაც კი არ გააჩნია რაიმე სტრატეგია. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სლოგანს წარმოადგენდა: „საქართველო სააკაშვილის გარეშე“, რომელიც ძალიან ჰგავს 1999 წლის სლოგანს: „არც შევარდნაძე, არც აბაშიძე“ ან 2002 წლის იენისის ადგილობრივ არჩევნებამდე გავრცელებულ სლოგანს: „თბილისი შევარდნაძის გარეშე“.

საქართველოში დაახლოებით 200 რეგისტრირებული პარტიაა, თუმცა სიმრავლე ავტომატურად არ ნიშნავს მრავალპარტიულ სისტემას და არ ასახავს მოქალაქეთა ნამდვილ ინტერესებს პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკური მონაწილეობის მიმართ. ზოგადად მრავალპარტიული სისტემა ეფუძნება სხვადასხვა პარტიას და იღებს საზოგადოების საკმარის მხარდაჭერას არჩევნებისას, რაც აძლევს მას სხვა პარტიებთან დაკავშირების და მთავრობის ფორმირების შესაძლებლობას. გამარჯვებულ პარტიას არასდროს ექნება საკმარისი მხარდაჭერა ერთ ან მეტ პოლიტიკურ პარტიასთან კოალიციის გარეშე. მაგრამ საქართველო სულ სხვა შემთხვევაა, სადაც, ჩვეულებრივ, დიდი უმრავლესობით გამარჯვებული პარტია ასევე დიდ უმრავლესობას შეადგენს პარლამენტში და სულაც არ სჭირდება რეალური თანამშრომლობა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან.

საბჭოთა ხანის დასასრული

საქართველოს პოლიტიკური სისტემის და კულტურის გასაგებად უნდა მივუბრუნდეთ 1987 წელს, როდესაც გამოჩნდა პირველი არაფორმალური გაერთიანებები, როგორც იყო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელიც თავიდან კონცენტრირებული იყო ეკოლოგიურ და კულტურულ საკითხებზე. 1988 წელს მას შეუერთდნენ სხვა გაერთიანებები, რომელთაც აწუხებდათ პოლიტიკური საკითხები, კერძოდ, ისინი მოითხოვდნენ საქართველოს გამოყოფას სსრკ-დან. 1980-იან წლებში საქართველოში არსებობდა ორი ბლოკი. ერთ მხარეს იყო კომუნისტური პარტია — ოფიციალური პოლიტიკური პარტია, მთლიანად ინტეგრირებული სამთავრობო სტრუქტურაში და წარმოდგენილი ყველა სახელმწიფო დანესებულებაში. კომუნისტური პარტია მთლიანად აკონტროლებდა სახელმწიფო სამსახურს და თავადვე ნიშნავდა ოფიციალურ პირებს ყველა თანამდებობაზე, დანყებული მძიმე მრეწველობით, დამთავრებული ხელოვნებით. მეორე მხარეს იყო „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“ – იმ პოლიტიკური პარტიების ჯგუფი, რომლებიც თავიდანვე გაყოფილი იყვნენ ორ ფრთად.

ერთი პოლიტიკური ფრთა აერთიანებდა ინტელექტუალებს, საქართველოს ახალ ინტელიგენციას – ე.წ. „ნარცისულ პარტიებს“ – რომლებსაც არ ჰქონდათ საორგანიზაციო სტრუქტურა, ახასიათებდათ იდეოლოგიური უთანხმოება და რეალური პოლიტიკური მოქმედების ნაცვლად ამჯობინებდნენ პოლიტიკურ დებატებს. ისინი ადგენდნენ კანონპროექტებს, მათ შორის დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციას, მაგრამ მათ არ სურდათ საარჩევნო პროცესში მონაწილეობა ან ამომრჩეველთა მოზიდვა. ამ პოლიტიკურ ფრთაში შედიოდნენ: რესპუბლიკური პარტია, ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, „საქართველოს დემოკრატიული არჩევანი“, რესპუბლიკურ-ფედერაციული პარტია და ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, სახალხო ფრონტი და „რუსთაველის საზოგადოება“.

მეორე ფრთა შედგებოდა „რევოლუციური პარტიებისგან“, რომელთა ყურადღება კონცენტრირებული იყო უფრო საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ვიდრე კონსტიტუციურ მშენებლობაზე. ისინი

იყენებდნენ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ხერხს, მათ შორის მსვლელობებს ქუჩებში „ეროვნული მობილიზების“ განხორციელების მიზნით, შიმშილობას, ბლოკადებს და საბოტაჟს ინფრასტრუქტურის და კომუნისტური რეჟიმისთვის ზიანის მიყენების მიზნით (დღესაც კი, იმის მაგივრად, რომ პარლამენტი გამოიყენონ მმართველ პარტიასთან შერკინებისთვის, ოპოზიციური პარტიები აგრძელებენ შიმშილობას და ქუჩებში მსვლელობებს, როგორც დაუმორჩილებლობის გამოხატვის საუკეთესო საშუალებას. საქართველოს ოპოზიციისთვის მიღებული პრაქტიკაა პარლამენტიდან გასვლა და საპარლამენტო სესიების მუშაობის ბოიკოტი.) ტიპური „რევოლუციური პარტია“ იქმნებოდა პოლიტიკურად აღიარებული ქარიზმატული ლიდერის, პოლიტიკური პატიმრის ან ვინმე ისეთი ადამიანის გარშემო, რომელიც დაპატიმრებული იყო საბჭოთა პერიოდში. ეს პარტიები უკიდურესად ექიშპებოდნენ ერთმანეთს და ხშირად თვით პარტიებს შორის ჰქონდა ადგილი განხეთქილებას. ამგვარ წამყვან პარტიებს შორის იყვნენ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ (ზურაბ ჭავჭავაძე), „ჰელსინკის კავშირი“ (ზვიად გამსახურდია), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გია ჭანტურია) და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ირაკლი წერეთელი). მათი ლეგიტიმურობა დიდად იყო დამოკიდებული პარტიის ლიდერის პირად პოპულარობაზე, რომელსაც შეეძლო ათობით და ასობით ათასი ადამიანის ყურადღების მიპყრობა პარტიული გაერთიანებისკენ. ფაქტობრივად, ლიდერის ძალა იზომებოდა პარტიის შეკრებებზე დამსწრე ადამიანების რაოდენობით (ქართული პოლიტიკური ძლიერება დღესაც კი ამგვარად იზომება). რევოლუციური პარტიების რადიკალურ-ნაციონალისტური გზავნილი გამორიცხავდა ეთნიკურ უმცირესობებს პოლიტიკური პროცესიდან.

1989 წლის ტრაგიკული მოვლენა, როცა საბჭოთა ჯარებმა უმონყალოდ დახოცეს ოცი მშვიდობიანი მომიტინგე თბილისში, *de facto* გახდა კომუნისტური პარტიის ბოგინის დასასრულის დასაბამი საქართველოში, მაგრამ მან ასევე ძირი გამოუთხარა საქართველოს პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას, რადგან „ნარცისულ პარტიებს“ არ მიეცათ საკმარისი დრო მოქმედ, ამომრჩევლებზე ფოკუსირებულ ჯგუფებად გარდასაქმნელად ან რევოლუციონერ ლიდერებთან დიალოგის დასაწყებად. პო-

ლიტიკური მომნიშვნელობისთვის დროის უქონლობის პირობებში ისინი დაყოფილები დარჩნენ, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია საქართველოს შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

გამსახურდიას პერიოდი

1989 წლის 9 აპრილი საქართველოში კომუნისტური პარტიის და მისი რეჟიმის მორალური სიკვდილის დღედ იქცა. ამ დროს გამსახურდიამ გამოთვალა, რომ მას და მის მომხრეებს 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნებზე გამარჯვების არაჩვეულებრივი შანსი ჩაუვარდათ ხელში. თუ იგი შეძლებდა კომუნისტური პარტიის დამარცხებას არჩევნებში, ეს ძლიერ სიგნალს გაუგზავნიდა მსოფლიოს იმის თაობაზე, რომ საქართველო მზად იყო დამოუკიდებლობისთვის. აქედან გამომდინარე, 1990 წლის ოქტომბერში გამსახურდიამ ჩამოაყალიბა პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. ბლოკი შედგებოდა შვიდი პოლიტიკური ჯგუფისგან, რომლებმაც დიდი უმრავლესობით, ხმათა 62%-ით, მოიგეს არჩევნები. კომუნისტური პარტია მეორე ადგილზე აღმოჩნდა მხოლოდ 25.6%-ით.

1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნები

პარტია	ადგილები
მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო	155
საქართველოს კომუნისტური პარტია	73
სახალხო ფრონტი	12
რესპუბლიკური პარტია	3
სულ	243

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

რადიკალური ოპოზიციური ჯგუფი, ეროვნული ფორუმი, წარუმატებლად შეეცადა, ხელი შეეშალა არჩევნებისთვის ალტერნატიული არასაბჭოური პარლამენტის, ეროვნული კონგრესის, არჩევნების მოწყობით.

არჩევნებმა დაასრულა კომუნისტური პარტიის ბატონობის ხანგრძლივი პერიოდი და ხელისუფლებაში მოიყვანა ანტიკომუნისტური, ეროვნული კოალიცია, რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია ედგა. 1991 წლის აპრილში, არჩევნებიდან ექვს თვეში, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო 1991 წლის მაისში, ხმების 82%-ით, საქართველოს პირველ პრეზიდენტად არჩეული იქნა ზვიად გამსახურდია. ახალი პრეზიდენტი და ახალი დამოუკიდებელი ქვეყანა დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ. ერთ-ერთი იყო სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, მაგრამ ისევე, როგორც დღეს, სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის არ შედგა დიალოგი და ვერ იქნა მიღწეული კონსენსუსი ეროვნული მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებით. არც ისე დიდი ხანი დასჭირდა გამსახურდიას ხისტ პოლიტიკას იმისათვის, რომ მისი მომხრეები მისივე ოპოზიციად ექცია. გამსახურდიას ბლოკის მრავალმა წევრმა შეიცვალა აზრი და პრეზიდენტის მოკავშირიდან მის მტრად გადაიქცა. იგივე დაემართა შევარდნაძეს და, ასევე, სააკაშვილს. საუკეთესო პოლიტიკურმა მეგობრებმა, ანუ თანამებრძოლებმა, შეიცვალეს აზრი და მათ უძლიერეს პოლიტიკურ მონინაალმდეგეებად იქცნენ.

გამსახურდიას მმართველობის დასასრულის დასაწყისი გახდა მისი კონფლიქტი „მხედრიონის“ მეთაურთან ჯაბა იოსელიანთან და საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალთან თენგიზ კიტოვანთან. ჯაბა იოსელიანი იყო ქართველი პოლიტიკოსი, რომელმაც 1989 წელს დააარსა „მხედრიონი“, კარგად შეიარაღებული გასამხედროებული ჯგუფი. მოგვიანებით მან სცადა კონტროლის მოპოვება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დიდ ტერიტორიებზე ადგილობრივი სეპარატისტული ელემენტების დამარცხების გზით. 1991 წლის თებერვალში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მისი ორგანიზაცია კანონგარეშედ გამოაცხადა, ხოლო ჯაბა იოსელიანი დაპატიმრებული იქნა „მხედრიონის“ სხვა წევრებთან ერთად. 1991 წლის დეკემბერში იოსელიანი გაიქცა ციხიდან და შეუერთდა ჯგუფს, რომელიც შედგებოდა საქართველოს ეროვნული გვარდიის აჯანყებული წევრებისგან.

მხატვარი თენგიზ კიტოვანი საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალად მაშინ დაინიშნა, როცა იგი 1991 წელს ჩამოა-

ყალიბა პრეზიდენტმა გამსახურდიამ როგორც საქართველოს ეროვნული სიამაყის გამოხატულება. შემდეგ წელს, აგვისტოში, გამსახურდიამ მიიღო ეროვნული გვარდიისა და პოლიციის ერთმანეთთან შერწყმის გადაწყვეტილება, ხოლო კიტოვანმა და გვარდიის ნაწილმა უარი განაცხადეს ამ ბრძანების შესრულებაზე. მათ დატოვეს თბილისი და დასცეს ბანაკი ქალაქგარეთ, სადაც მათ შეუერთდა იოსელიანი და „მხედრიონის“ სხვა წევრები გამსახურდიას წინააღმდეგ საბრძოლველად.

1991 წლის 19 აგვისტოს პუტჩის მცდელობა მოსკოვში გამსახურდიას მმართველობის გარდამტეხ წერტილად იქცა. ოპოზიციის დაჟინებული რჩევის მიუხედავად, მტკიცედ დაეჭირა ელცინის მთავრობის მხარე, გამსახურდიამ არავითარი ინტერესი არ გამოამჟღავნა „სხვა ქვეყნის“ საქმის მიმართ. მაშინვე მოსკოვის პუტჩის შემდეგ საქართველოს უმაღლესმა საბჭომ კენჭი უყარა უმაღლეს საბჭოში კომუნისტური დეპუტატების მანდატების შეჩერებას და გააუქმა საქართველოს კომუნისტური პარტია. ამ ქმედებამ *de jure* დაასრულა საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია და უზიდა ყოფილ კომუნისტებს (რომლებიც იმ მომენტამდე ცოტად თუ ბევრად ლოიალურად იყვნენ განწყობილნი გამსახურდიას რეჟიმის მიმართ), ოპოზიციაში გადასულიყვნენ.

სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, როცა მთავრობამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ 1991 წლის 2 სექტემბერს მოწყობილი ანტისამთავრობო დემონსტრაციის დროს ძალადობას მიმართა. მთავრობის უარმა, ტელევიზიით გადაეცა ინციდენტთან დაკავშირებული საპარლამენტო დებატები, გამოიწვია ბლოკის „მრგვალი მაგიდა“ რამდენიმე დეპუტატის გამოყოფა და მათ მიერ ახალი დაჯგუფებების შექმნა, როგორც იყო „ქარტია-91“ და „მერაბ კოსტავას საზოგადოება“. საპარლამენტო ფრაქციასთან ერთად დემოკრატიულმა ცენტრმა, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია და „დამოუკიდებლები“ – შექმნეს ოპოზიციური ბლოკი, რომელშიც 49 პარლამენტარი შედიოდა.

ქუჩის დემონსტრაციებმა გამსახურდია იძულებული გახადა, 1991 წლის 23 სექტემბერს გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. 1991 წლის 5 ოქტომბერს შეტაკებას მთავრობის მხარდა-

მჭერებსა და ოპოზიციას შორის მოჰყვა ორი ადამიანის (მთავრობის ორი მხარდამჭერის) სიკვდილი. კიტოვანმა და მისმა ძალებმა დატოვეს თბილისი, თუმცა კიტოვანი თავის შენაერთებთან ერთად 1991 წლის 21 დეკემბერს დაბრუნდა და მათ იოსელიანის საპარლამენტო და „მხედრიონის“ ნაწილები შეუერთდნენ.

ბრძოლა ეროვნულ გვარდიასა და სამთავრობო ჯარებს შორის თბილისში რამდენიმე დღეს გაგრძელდა და 1992 წლის 6 იანვარს გამსახურდია იძულებული გახდა, დაეტოვებინა დედაქალაქი. ის ჯერ სომხეთში გაიქცა, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთში, საქართველო კი დატოვა იოსელიანის და კიტოვანის და ყოფილი პრემიერ-მინისტრის სიგუას ხელში. თბილისის ორკვირიანი სამოქალაქო ომის განმავლობაში ას ახალგაზრდაზე მეტი დაიღუპა. ამ დროიდან მკვეთრად, მასობრივად და დაუფარავად გაიზარდა კრიმინალური მოქმედებები. პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამოძენის ნაცვლად ორივე პოლიტიკურმა მხარემ უშუალოდ საქართველოს მოსახლეობას მიმართა დახმარებისთვის. ისინი მხარდამჭერებს იარაღს ჰპირდებოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ რუსთაველზე საბრძოლველად. დემოკრატიის პირველი გამოცდა საქართველომ ვერ ჩააბარა.

გამსახურდიას მმართველობის მოკლე პერიოდი შეიძლება აღიწეროს როგორც გადასვლა მრავალპარტიულ სისტემაზე. იმ დროისათვის ოფიციალურად რეგისტრირებული იყო 80-მდე პარტია, თუმცა ზოგიერთი მათგანი პოლიტიკურ პარტიას მხოლოდ ფურცელზე წარმოადგენდა, ხოლო ბევრმა ვერ გაუძლო საორგანიზაციო პერიოდს. *De facto* მხოლოდ ოთხი თუ ხუთი პარტია დარჩა სცენაზე როგორც მოქმედი და არსებული სტრუქტურა.

„მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოს“ არ ჰქონდა რაიმე გარკვეული მიზნები, გარდა დამოუკიდებლობისა: დემოკრატია ნიშნავდა დამოუკიდებლობას და პირიქით. წინასაარჩევნო პერიოდში გამსახურდია გამოთქვამდა სხვადასხვა აზრს, რომლებსაც ზოგჯერ მარჯვენა და ზოგჯერ მარცხენა ორიენტაცია ჰქონდა. ზოგიერთ თავის გამოსვლაში იგი მოუწოდებდა სოციალური თანასწორობისკენ ინტელიგენციის და, ასევე, მშრომელთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად; მისი კამპანიის სლოგანი იყო: „ყველას ყველაფერი“. მაგრამ ამ „ყველას ყველაფერში“ არ შედიოდა ის ხალხი, ვისაც გამსახურდია „წითელ ინტელიგენციას“

უნოდებდა, ანუ კომუნისტური პარტიის წევრები, არსებული რეჟიმის ბიუროკრატები.

ძალიან მოკლე ხანში არჩევიდან გამსახურდიამ დაკარგა კავშირი ბლოკთან „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, ხოლო მისი რადიკალიზმისა და ავტოკრატიული მიდგომის გამო მან ასევე დაკარგა მხარდაჭერა თბილისში. დასაწყისიდანვე მან სახიფათო თამაში დაიწყო ეთნიკურ უმცირესობებთან. იგი ელოდა მათგან მხარდაჭერას მაშინ, როცა ჰქონდა რადიკალური სლოგანი: „საქართველო ქართველებისთვის“. იგი ღიად აყენებდა კითხვის ქვეშ მათ ლოიალობას ერის მიმართ და ადანაშაულებდა ქვეყანაში დაძაბულობის პროვოცირებაში.

გამსახურდიას რიტორიკამ შიში ჩაუსახა საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს: აჭარელ მუსლიმებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ბერძნებს, რუსებს და აფხაზებსა და ოსებს, რომლებიც განსაკუთრებით იყვნენ შეშფოთებულნი, რადგან ადამიანებს უნდოდათ საკუთარი კულტურული უფლებების და თვითმმართველობის შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, საქართველოს ახლად არჩეულმა პარლამენტმა გამსახურდიას მეთაურობით უბრალოდ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სტატუსი. საბოლოოდ კი დროის თუ სურვილის უქონლობამ, დიპლომატიით გადაეჭრათ პრობლემები, ქვეყანა მიიყვანა ომამდე, რომელშიც ორივე მხარემ გამოიყენა უკანონო დაჯგუფებები.

1990-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკურ სისტემას არ ჰქონდა არც მკაფიო სტრუქტურა და არც სტაბილურობა. ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებასთან არ იყო ჩამოყალიბებული. ასევე არ არსებობდა ნდობა დანაწევრებულ საზოგადოებასა და ნამდვილ პოლიტიკურ პარტიებს შორის. პირველი დემოკრატიული არჩევნებით მოტანილი ოპტიმიზმი გაქრა, დემოკრატიულად არჩეული პირველი მთავრობა დაიშალა და არც აფხაზეთთან დაკავშირებული სიტუაცია იყო დამამიმედებელი. ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებსა და მთავრობას შორის არ არსებობდა, ვინაიდან მთავრობას ერთი კაცი, გამსახურდია, წარმოადგენდა. სამკუთხედი პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებასა და მთავრობას შორის ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელი იყო.

შევარდნაძის პერიოდი

მას შემდეგ, რაც გამსახურდიამ დატოვა ქვეყანა, ორმა სამხედრო მოღვაწემ — თენგიზ კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა — და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ შექმნეს სამხედრო საბჭო და თემურ ხაჩიშვილი, „მხედრიონის“ წევრი, დანიშნეს შინაგან საქმეთა მინისტრად. ხაჩიშვილმა მოგვიანებით ორგანიზება გაუწია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მკვლელობას. მინისტრთა საბჭო ქვეყანას სრული ქაოსის და უკანონობის პირობებში მართავდა. ამიტომ მათ ქვეყნის სამართავად მოიწვიეს ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილი პირველი მდივანი და შემდგომში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი (1985-1990). ედუარდ შევარდნაძე საქართველოში 1992 წელს ჩამოვიდა და სამხედრო საბჭო სახელმწიფო საბჭოდ გადაკეთდა, რომლის მეთაურობა ედუარდ შევარდნაძეს დაეკისრა. ძირითად მოქმედ პირებს წარმოადგენდნენ ედუარდ შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი. პოლიტიკური პარტიებისა და ყოფილი საბჭოთა „ნომენკლატურის“ წარმომადგენლებმა და სხვებმა დაიწყეს თანამშრომლობა ერთი მმართველი ორგანოს სახით. ვინაიდან არც ერთი მათგანი არ იყო არჩეული, მათი ლეგიტიმაციის არარსებობა მოქმედებდა მმართველობის ყველა ასპექტზე. შევარდნაძის ძალას წარმოადგენდა მისი საერთაშორისო აღიარება და სამთავრობო და პოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება; დანარჩენებს — იოსელიანს და კიტოვანს — ხელთ ეპყრათ სამხედრო ძალა. სიტუაციის ლეგალიზების და პოლიტიკური პროცესის უფრო „ნორმალურ გზაზე“ გადაყვანის მიზნით პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ 1992 წლის ოქტომბერში მოაწყო საპარლამენტო არჩევნები.

სიტუაციის ლეგიტიმაცია

ბოლო წუთებში განხორციელებულ ცვლილებათა სერიების შემდეგ საარჩევნო სისტემა წარმოადგენდა ერთმანდატიანი რაიონების (85 ადგილი) და პროპორციული კენჭისყრის პარტიუ-

ლი სიების (150 ადგილი) კომპრომისულ კომბინირებას. რეგიონული პარტიებისთვის შანსის მიცემის მიზნით საქართველოს თორმეტივე რეგიონისთვის (9 ტრადიციული რეგიონი, ერთი – აჭარა და ორი – თბილისი) წარმოდგენილი იქნა ცალკეული პარტიების სიები. პირველად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაუშვა ყველა იმ პარტიის რეგისტრაცია, რომელმაც კი განაცხადი შემოიტანა. ამის შედეგად 1992 წლის არჩევნებისთვის 47 პარტია და ოთხი კოალიცია დარეგისტრირდა.

არჩევნების დღეს ამომრჩევლებმა მიიღეს ორი ბიულეტენი საპარლამენტო არჩევნებისთვის: ერთი ერთმანდატიანი რაიონისთვის, ხოლო მეორე რეგიონული პარტიული სიებისთვის. მაჟორიტარული სისტემისთვის გამოყენებული იქნა მიდგომა „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“. პროპორციული სისტემისთვის პარტიებმა – ყოველგვარი ზღვრის გადალახვის გარეშე – მიიღეს ადგილები სრული რაოდენობით (მაგალითად, 2 ადგილი, თუ პარტიას მიღებული ჰქონდა 2,3%) ყოველ რეგიონში. დარჩენილი ხმები (მაგალითად, 0.3% 2.3%-დან) შეგროვდა ერთიან სიაში და შემდეგ შესაბამისად გაუნაწილდა პარტიებს. ამ ზომებმა პატარა პარტიებს მისცა წარმომადგენლობის შანსი, ხოლო შედეგად გამოიღო დანაწევრებული პარლამენტი, რომელიც შედგებოდა 24 პარტიისგან და იმ ბლოკებისგან, რომლებმაც ადგილები მოიპოვეს.

1992 წლის საპარლამენტო არჩევნები

პარტია / ბლოკი	ადგილები
ბლოკი „მშვიდობა“	22
ბლოკი „11 ოქტომბერი“	18
ბლოკი „ერთობა“	14
სხვები	181
სულ:	235

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

ყველაზე დიდ საარჩევნო ალიანსს – და ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობრივს – წარმოადგენდა ბლოკი „მშვიდობა“. შეიდი პარტიისგან შემდგარ ამ ფართო კოალიციაში შედიოდნენ პარ-

ტიები დაწყებული ექსკომუნისტური „დემოკრატიული კავშირით“ და დამთავრებული „აჭარის ალორძინების კავშირით“, რომელიც შედგებოდა აჭარის კონსერვატიულად განწყობილი პოლიტიკური ელიტისგან. პარლამენტში არჩევის შემდეგ გამოვლინდა ამ ბლოკის არაეფექტიანობა მასში შემავალი პარტიების პროგრამებში ძირეული განსხვავებების გამო. „დემოკრატიულმა კავშირმა“ პარტიული სიების სისტემის 70% შეადგინა. თუმცა მთლიანობაში ბლოკმა „მშვიდობამ“ მხოლოდ 22 ადგილი მოიპოვა პარლამენტში.

მეორე მნიშვნელოვან კოალიციას წარმოადგენდა ბლოკი *11 ოქტომბერი*, რომელშიც შედიოდა ზომიერი რეფორმის მომხრე შემდეგი ოთხი პარტია: რესპუბლიკელების პარტია, დასი, ეროვნული ფრონტი და ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი. ამ პარტიების წევრებს, როგორც წესი, წარმოადგენდნენ მეცნიერები პარტიული წარსულის გარეშე (ან მცირე ნაწილი თუ იყო წარსულში კომუნისტური პარტიის წევრი), ხოლო ბლოკის ლიდერების საშუალო ასაკი დაახლოებით თხუთმეტი წლით ნაკლები თუ იქნებოდა „დემოკრატიული კავშირის“ ლიდერების ასაკზე. ბლოკმა „11 ოქტომბერი“ 1992 წლის არჩევნებში 18 ადგილი მოიპოვა.

მესამე კოალიციას წარმოადგენდა ბლოკი „ერთობა“, რომელმაც 14 ადგილი მოიპოვა. შემდეგ მოდიოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 12 ადგილით და მწვანეთა პარტია 11 ადგილით. ყურადღების მიქცევის მიზნით როგორც ბლოკმა „მშვიდობამ“, ასევე ბლოკმა „ერთობამ“ თავისი საარჩევნო სიით პირველ ადგილებზე შეიყვანეს კულტურის სფეროში მოღვაწე ფიგურები.

შევარდნაძის მოქმედებები გადამწყვეტი იყო 1992 წლის არჩევნებისთვის საფუძვლის ჩასაყრელად. საქართველოში დაბრუნების შემდეგ შევარდნაძეს ჰქონდა უპრეცედენტო პატივისცემა და აღიარება. მისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო სახელმწიფო საბჭომ გარკვეული ნაბიჯები გადადგა პარტიული პოლიტიკისთვის შევარდნაძის მოსაცილებლად, რისთვისაც შექმნა პოტენციურად ძლიერი თანამდებობა: პარლამენტის თავმჯდომარე, რომლისთვის ბრძოლა ასევე 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებისას გაიმართებოდა. ვინაიდან სხვა კანდიდატი არ გამოჩენილა, შევარდნაძე დარწმუნებული იყო, რომ შეეძლო ამ შესაძლებლობით სარგებლობა და ეროვნული ლიდერის აღიარების მოპოვება.

როგორც დაგეგმილი იყო, არჩევნები ქვეყნის რეგიონთა უმეტესობაში 1992 წლის ოქტომბერში ჩატარდა. საერთაშორისო მონიტორებმა ათი ქვეყნიდან დაადასტურეს, რომ, მცირე გამონაკლისებით, ხმის მიცემა იყო თავისუფალი და სამართლიანი (იხ. კონგრესის ბიბლიოთეკა, ქვეყნებზე დაკვირვება; ცსს, საინფორმაციო ბიულეტენი). გამსახურდიამ გადასახლებიდან იწინასწარმეტყველა ტყუილი შედეგები, რომლებიც გაუქმდებოდა და ჩატარდებოდა ახალი არჩევნები – ამ პრაქტიკას დღესაც იყენებს საქართველოს ოპოზიცია.

დაძაბულობამ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის და გამსახურდიას მომხრეთა მოქმედებებმა შედეგად მოიტანეს არჩევნების გადავადება 84-დან 9 ადმინისტრაციულ ოლქში, რომლებიც მდებარეობდა აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დასავლეთ საქართველოში. იმ ადგილებში მცხოვრებ ამომრჩევლებს მიეცათ მეზობელ რაიონებში გადასვლის და ხმის იქ მიცემის უფლება.

ამომრჩეველთა აქტივობა საკმაოდ მაღალი იყო, დაახლოებით 74%. მნიშვნელოვან ფაქტორს ამომრჩეველთა ასეთი მაღალი აქტივობისთვის წარმოადგენდა საგანგებო ბიულეტენი შევარდნაძის ახალი პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევისთვის; ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შევარდნაძის არჩევნებში, ხოლო სხვა ბიულეტენები ცარიელი დააბრუნა. შევარდნაძემ არნახული მხარდაჭერა მიიღო – მან თითქმის 96% ხმით გაიმარჯვა. მთლიანობაში, წინა უზენაესი საბჭოს 92 წევრიდან 51 არჩეული იქნა ახალ პარლამენტში. სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტის ოთხი წევრი – შევარდნაძე, იოსელიანი, სიგუა და კიტოვანი – ასევე არჩეული იქნა პარლამენტში.

1992 წლის დეკემბერში დასრულდა ახალი სამთავრობო სტრუქტურის ფორმირება და მისი მსგავსება რუსულ მოდელთან აშკარა გახდა. პარლამენტში ჩამოყალიბდა თერთმეტი ფრაქცია: „მწვანეები“, „პროგრესი“, თავისუფალი დამოუკიდებელი დეპუტატი, „ბორჯღალი“, რესპუბლიკელები, „ალორძინება“, დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, „მშვიდობა“, კონსერვატორები და ლიბერალები (სულ მცირე, ათი დეპუტატი). მთავარი საარჩევნო კოალიციები დაუყოვნებლივ დაიშალა: კონსერვატორები (მონარქისტები) გამოეყვნენ ბლოკს „მშვიდობა“, რესპუბლიკელები გამოვიდნენ ბლოკიდან „11 ოქტომბერი“, ხოლო კოალიცია „ერ-

თობის“ ერთმა ნაწილმა ჩამოაყალიბა „ლიბერალები“. 1992 წლის 26 დეკემბერს გაერთიანდნენ რესპუბლიკური პარტია და დასი (საქართველოს დემოკრატიული არჩევანი) და ერთად ეწოდათ „რესპუბლიკური პარტია“ (11 ადგილით პარლამენტში).

მას შემდეგ, რაც შევარდნაძე 1992 წელს გახდა სახელმწიფოს მეთაური, მან დაიწყო თავისი პოლიტიკური პოზიციის გაძლიერება. 1993 წელს მან ეს პროცესი პოლიტიკურად განამტკიცა და შექმნა ოფიციალური პროპრეზიდენტული პარტია „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ (სმკ). სმკ-ს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ელემენტს წარმოადგენდა თბილისის ინტელიგენცია, „რუსთაველის საზოგადოების“ ყოფილი ბირთვი. კავშირმა ასევე მიიზიდა ზოგიერთი ძველი კომუნისტი ფუნქციონერი და ხელმძღვანელი, რომლებსაც შევარდნაძე თავისი წარსულიდან იცნობდა. ამ პარტიაში ხელმძღვანელ პოსტზე არ იყო არც ერთი ადამიანი გამსახურდიას პარტიიდან, თუმცა მასში გაერთიანდა მთელი რიგი ახალგაზრდებისა, მაგალითად, ზურაბ ჟვანია (მწვანეთა პარტია). სმკ-ს სტრუქტურა ძალიან ჰგავდა „მრგვალ მაგიდას“; მის პრიორიტეტს წარმოადგენდა არჩევნებში გამარჯვება და არა საგანგებო პოლიტიკური მიზნების პროპაგანდა. ისინი მხარს უჭერდნენ ძლიერი და სტაბილური სახელმწიფოს იდეას ზოგიერთ სოციალურ კომპონენტთან ერთად. „მრგვალი მაგიდისგან“ განსხვავებით, სმკ-მ გააფართოვა წევრობის და ჩართულობის შესაძლებლობა; გაერთიანებამ მიიღო უფრო მოძრაობის, ვიდრე პარტიის სახე.

1995 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები

1993 და 1995 წლებში შევარდნაძემ სცადა სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება და თავისი პოზიციის გამყარება. ამ პერიოდის განმავლობაში შევარდნაძის ბედზე ორმა მოვლენამ იქონია დიდი ზეგავლენა: აფხაზეთთან ომის წაგებამ და დსთ-ში შესვლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებამ. 1995 წელს შევარდნაძე მზად იყო შემდეგი არჩევნებისთვის.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც ადგენდა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობას. 1995 წლის 1 სექტემბერს პარლა-

მენტმა მიიღო კანონი „პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“. 1995 წლის 5 ნოემბერს ჩატარდა არჩევნები პრეზიდენტის ახლად შექმნილი პოსტის დასაკავებლად და ახალი პარლამენტის ასარჩევად. შედეგებმა გამოავლინა, თუ რამდენად ჰქონდა პოზიცია განმტკიცებული ედუარდ შევარდნაძეს როგორც რესპუბლიკის ლიდერს; მან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში, ხოლო მისმა პარტიამ და სხვა მომხრეებმა ადგილების უმრავლესობა მოიპოვეს საკანონმდებლო ორგანოში.

1995 წლის არჩევნებზე მოვიდა საქართველოს ამომრჩეველთა 75% (საქართველოს კანონმდებლობით ამისათვის საკმარისი იყო 50%-იც), თუმცა ამ არჩევნებში უკვე არ იღებდნენ მონაწილეობას ქვეყნიდან გასული რეგიონები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. შევარდნაძემ ადვილად გაიმარჯვა 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ რაუნდში ხმათა 72.9%-ით. მას უპირისპირდებოდა ხუთი კანდიდატი, მათ შორის სამი – სხვადასხვა ყოფილი კომუნისტური ფრაქციის ლიდერი. მისმა მთავარმა ოპონენტმა, ჯუმბერ პატიაშვილმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერმა 1985-1989 წლებში, ხმათა დაახლოებით 13% მიიღო.

კონკურენცია ამ ორ მთავარ საპრეზიდენტო კანდიდატს – ედუარდ შევარდნაძესა და ჯუმბერ პატიაშვილს – შორის საზოგადოების ყურადღების ცენტრში იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები უპირატესობას შევარდნაძეს ანიჭებდნენ, მისი მხარდამჭერები მაინც შემოფოთებულები იყვნენ პატიაშვილის პოპულარობით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. შევარდნაძის კამპანია, ძირითადად, მიმართული იყო პატიაშვილის და გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიასთან მისი სავარაუდო კავშირის წინააღმდეგ.

პარლამენტის საარჩევნო სისტემაში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა 1992 წელთან შედარებით. თუმცა დეპუტატების რაოდენობა იგივე დარჩა (150 პარტიული სიებით და 85 ერთმანდატიანი რაიონებიდან), შემოღებული იქნა 5%-იანი ზღვარი, რომელიც პარლამენტში მოსახვედრად აუცილებლად უნდა გადაელახათ პარტიებს. ამ მოთხოვნამ პარტიებს გაერთიანებისკენ უბიძგა, თუმცა 1995 წლის არჩევნებისთვის პარტიების და ბლოკების გაცილებით მეტი რაოდენობა დარეგისტრირდა, ვიდრე 1992 წელს (54 პარტია და ბლოკი 42-ის ნაცვლად).

მოასპარეზე პარტიების დიდი რიცხვის გამო ამომრჩეველთა არჩევანი გაიყო. მხოლოდ სამმა პარტიამ მოახერხა 5%-იანი ბარიერის გადალახვა. თუმცა ისინი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილის არჩევანს წარმოადგენდნენ: ამომრჩეველთა 30%-ზე ნაკლებმა მისცა ხმა სამ პარტიას, რომლებმაც მიიღეს პარტიული სიის სისტემით გამოყოფილი ადგილები.

არჩევნებში ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, თუმცა მან მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში შევარდნაძისთვის მიცემულ ხმათა მხოლოდ დაახლოებით ერთი მესამედი. „მოქალაქეთა კავშირი“ აერთიანებდა საქართველოს მწვანეთა პარტიას, კომუნისტური ხანის წამყვან ინტელექტუალებს, რომლებიც შევარდნაძესთან ასოცირდებოდნენ, და შევარდნაძის მხარდამჭერებს წინა პარლამენტიდან, რომლებიც არ მიეკუთვნებოდნენ რომელიმე პარტიას. საქართველოში მას ალიქვამდნენ, როგორც სამთავრობო პარტიას. პარტიამ მოიპოვა 107 ადგილი, რაც თითქმის უმრავლესობას შეადგენდა ახალ პარლამენტში, ხოლო შევარდნაძის მხარდამჭერი სხვა კანონმდებლების დამატებით შევარდნაძეს მიეცა პარლამენტზე ქმედითი კონტროლის საშუალება. შევარდნაძის ახლო მოკავშირე და საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერი ზურაბ ჟვანია არჩეული იქნა პარლამენტის ახალ სპიკერად.

იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტის პოსტი უკვე შეტანილი იყო საქართველოს ახალ კონსტიტუციაში, შევარდნაძე სარგებლობდა დემოკრატიული კანონიერებითა და პოლიტიკურ სტრუქტურებზე გავლენით. მისი პოპულარობისა და ძალაუფლების მიუხედავად, მას არ შეეძლო გადაენწყვიტა ყველა საკითხი ყველა პოლიტიკური სუბიექტისათვის დამაკმაყოფილებლად. ეს გადაუჭრელი საკითხები მოიცავდა რუსეთსა და დსთ-სთან ურთიერთობის ფორმებს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების პირობებს და ეკონომიკური რეფორმების მიმართულებას, რომელთა განხორციელება მხოლოდ 2005 წელს დაიწყო. არჩევნების შედეგებმა, მართალია, დაასუსტა, მაგრამ არ გაუჩუმებია მისი მოწინააღმდეგე ოპოზიცია.

კიდევ ორმა პარტიამ შეძლო პარლამენტში მოხვედრა, რომელთაგან მხოლოდ ერთი ითვლებოდა ოპოზიციურ პარტიად. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა ხმათა 8%. ეს ნაციონ-

ნალისტური პარტია, რომელიც დაკავშირებული იყო ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასთან, დააფუძნა გია ჭანტურამ, რომელიც 1994 წლის ბოლოს მოკლეს. მართალია, დასაწყისში ის შევარდნაძეს უჭერდა მხარს, მაგრამ პარტია გადავიდა ოპოზიციაში, როდესაც შევარდნაძემ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დასაბრუნებლად რუსეთსა და დსთ-ს მიმართა. მესამე პარტია პარლამენტში, რომელმაც ხმათა თითქმის 7% მოიპოვა, იყო საქართველოს ალორძინების კავშირი, რომელიც მრავალ საკითხში ეთანხმებოდა შევარდნაძეს. ალორძინების კავშირი დაფუძნებული იყო კონსერვატიულ სამხრეთში, კერძოდ, აჭარაში, სადაც მის ლიდერ ასლან აბაშიძეს საკუთარი ფეოდალური სამფლობელო ჰქონდა შექმნილი.

საარჩევნო ბიულეტენში ჩამოთვლილი სხვა პარტიები პოლიტიკურ შეხედულებათა ფართო სპექტრს წარმოდგენდნენ; მაგრამ არჩევნების შედეგებმა ვერ უზრუნველყვეს ამ შეხედულებათა სერიოზული წარმომადგენლობა პარლამენტში. არჩევნებში მონაწილე პარტიებს შორის იყვნენ კომუნისტები, რადიკალი ნაციონალისტები და ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები. კომუნისტური პარტია, რომელიც გამსახურდიას მმართველობის ბოლო პერიოდში კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული, კვლავ გამოჩნდა 1995 წლის არჩევნებისთვის რამდენიმე ჯგუფის სახით, რომელთა შორის იყო სტალინისტთა პარტია და კიდევ ორი ძირითადი კომუნისტური პარტია. თანამოაზრე პარტიების დანაწევრების გამო არც კომუნისტები და არც ყოფილი პრეზიდენტი გამსახურდიას მხარდამჭერები არ იქნენ არჩეულნი პარლამენტში. ეს ჯგუფები ბლოკებად რომ გაერთიანებულიყვნენ, ორივე თავისუფლად შეძლებდა 5%-იანი ბარიერის გადალახვას.

1995 წლის არჩევნების შედეგები

არჩევნების შედეგად შევარდნაძემ შეძლო საკუთარი ძალის განმტკიცება თავისი ორი ყველაზე სახიფათო ყოფილი მხარდამჭერის ხარჯზე. ჯაბა იოსელიანი, საპარლამენტო ჯგუფი „მხედრიონის“ წინამძღოლი, რომელმაც ხელი შეუწყო გამსახურდიას განდევნას, დაადანაშაულეს შევარდნაძეზე 1995 წლის აგვისტოს თავდასხმის ორგანიზებაში და დააპატიმრეს, როგორც კი არჩე-

ვნების შედეგებიდან გაირკვა, რომ მან დაკარგა პარლამენტარის იმუნიტეტი. 1994 წელს ასევე დაპატიმრებული იქნა ეროვნული გვარდიის ყოფილი მეთაური თენგიზ კიტოვანი აფხაზეთში ბრძანების გარეშე შესვლის მცდელობისათვის.

ამ არჩევნების კიდევ ერთ შედეგს წარმოადგენდა ის, რომ მრავალი პოლიტიკური ფიგურა დარჩა პარლამენტს გარეთ. ეს ადამიანები ღიად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მთავრობის პოლიტიკის მიმართ. თავისი მიზნების მისაღწევად ისინი იყენებდნენ ქუჩის უნებართვო დემონსტრაციებს, შიმშილობას და შეიარაღებულ ორგანიზაციებს პოლიტიკური ოპონენტებისაგან „თავდაცვისათვის“. ამგვარი აქციები პოლიტიკური მონაწილეობის ერთადერთი გზა იყო საქართველოს პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილისთვის.

და ბოლოს, პოლიტიკურ სცენაზე აღარ იყვნენ გამსახურდიას მხარდამჭერები, ხოლო ედუ ერთადერთი პარტია იყო დარჩენილი ძველი დროიდან და ისიც, მისი აქტიურობის მიუხედავად, საკმაოდ იყო დასუსტებული. ამ არჩევნების შემდეგ „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“ საკუთარი თავი დაადგინა ერთადერთ მმართველ პარტიად, რომელსაც შეეძლო ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება არჩევნებისას საკუთარი წარმატებისთვის (ამგვარი მოქმედება ტრადიციული გახდა საქართველოში).

„საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ არ იყო მმართველი პარტია კლასიკური გაგებით. 1995 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ჩამოყალიბდა ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკა, სადაც მთავრობას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი. პარლამენტს არ ჰქონდა მთავრობის დათხოვნის უფლება, მას შეეძლო მხოლოდ „უნდობლობის“ გამოცხადება. საბოლოო სიტყვა ამ პერიოდში ეკუთვნოდა პრეზიდენტს. კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს მოქალაქეთა კავშირს არ შეეძლო აქტიური მონაწილეობის მიღება კაბინეტის ან პრემიერ-მინისტრის დანიშვნაში. შევარდნაძე იშვიათად ნიშნავდა ადამიანებს მინისტრის თანამდებობაზე პარტიულობის მიხედვით და სახელმწიფო კანცელარია დაკომპლექტებული იყო ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერებით და ტექნოკრატებით, რომლებიც ხშირად არც ერთ პარტიას არ მიეკუთვნებოდნენ.

აქედან გამომდინარე, შევარდნაძე ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც შეეძლო კავშირის უზრუნველყოფა „საქართველოს

მოქალაქეთა კავშირსა“ და გადამწყვეტ „ადმინისტრაციულ რესურსებს“ შორის. აღნიშნულის შედეგს წარმოადგენდა ის, რომ 1995 წლის პარლამენტს, სადაც დომინირებდა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, მცირე ზეგავლენა ჰქონდა შევარდნაძის მიერ მართულ პოლიტიკურ პროცესებზე და მთავრობაზე. ურთიერთობა პოლიტიკურ პარტიებსა და მთავრობას შორის რეალურად არ არსებობდა: მმართველ პარტიას ჰქონდა შეზღუდული გავლენა ან, უფრო ზუსტად, არავითარი გავლენა არ ჰქონდა სამთავრობო პოლიტიკაზე – მისი გავლენა არ აღემატებოდა პარლამენტში თუ მის კედლებს მიღმა არსებული ოპოზიციის გავლენას.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნები

1995-1997 წლების პერიოდში პროგრესი შეინიშნებოდა; სტაბილურობა გაიზარდა, შეიარაღებული რაზმების ზეგავლენა შემცირდა და ეკონომიკამ დაიწყო აღდგენის ნიშნების გამოვლინება. ზოგადი განვითარებისა და სტაბილურობის შედეგად, ელექტორატში გამოჩენა დაიწყო ახალმა ჯგუფებმა, ხოლო „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერებმა მეტი ზეგავლენა მოიპოვეს გადამწყვეტილების მიღების პროცესზე. მიუხედავად ამისა, პარტიამ ვერ შეასრულა საარჩევნოდ მიცემული დაპირებები, მაგალითად, მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა ან სწრაფი ეკონომიკური ზრდა. თვით „საქართველოს მოქალაქეთა კავშირში“ დაიწყო კონფრონტაცია ახალგაზრდა, უფრო პრაგმატულად მოაზროვნე ლიდერებსა და კონსერვატიულ ფრთას შორის.

1999 წლის კარს მომდგარი არჩევნებისთვის საქართველოს საზოგადოება უკვე კარგად ათვისებდა ქვეყნის წინაშე მდგომ პრობლემებს, მათ შორის კორუფციას, ორგანიზებულ დანაშაულს და ეკონომიკური განვითარების ნელ ტემპს. გაიზარდა არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა. ზოგიერთმა მათგანმა შეძლო საერთო ენის გამოხატვა „მოქალაქეთა კავშირის“ რეფორმისტთა ჯგუფთან. კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია მხარს უჭერდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას. ამ პროცესში გამოჩნდა ბევრი

სხვა ახალგაზრდა ლიდერი, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი და გია ბარამიძე. ეს იყო მმართველ პოლიტიკურ პარტიასა და უფრო ფართო საზოგადოების ელემენტებს შორის ურთიერთობის დასაწყისი.

საპარლამენტო არჩევნების წინა რაუნდისგან განსხვავებით 1999 წლის კამპანია ძირითადად ფოკუსირებული აღმოჩნდა ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. მართალია, ქართველ ამომრჩევლებს კვლავაც აწუხებდათ ქვეყნის გრძელვადიანი უსაფრთხოება და სტაბილურობა, მათ მთავარ საფიქრალად მაინც ეკონომიკური გაჭირვება რჩებოდა. საქართველოს ეკონომიკა დაზარალდა რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის შედეგად. მთავრობას არ შეეძლო გადასახადების მოკრება, აქედან გამომდინარე კი ვერ ხერხდებოდა ელექტროენერჯის, წყლის და გაზის მოწოდების გაუმჯობესება, სკოლების თუ გზების შეკეთება. ხშირად არ გაიცემოდა პენსიები რამდენიმე თვის განმავლობაში, ხოლო მთავრობის მაღალჩინოსანი მოხელეების ხელფასი სულ რაღაც 50 აშშ დოლარს შეადგენდა. ეკონომიკური განვითარების და სახელმწიფო მომსახურებების სერიოზულ შემაფერხებელ მიზეზად კვლავაც კორუფცია რჩებოდა. გარდა ამისა, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირს“ გამუდმებით მიჰქონდა შეტყევები ასლან აბაშიძესა და მის საქართველოს აღორძინების პარტიაზე.

1999 წლის 4 აგვისტოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სახელმწიფო დეკრეტით გამოაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდებოდა 1999 წლის 31 ოქტომბერს. კანონი „არჩევნების შესახებ“ შესწორდა არჩევნებამდე. კანონმა შეამცირა საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაში ბარიერი 5%-დან 7%-მდე გაზარდა.

33 პარტია და ბლოკი დარეგისტრირდა საბრძოლველად 225 ადგილისთვის, რომელთაგან 150 ენიჭებოდა პარტიული სიით, ხოლო 75 კანდიდატებისთვის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებიდან. „არჩევნების შესახებ“ კანონის მიხედვით ერთმანდატიანი წევრებისთვის განკუთვნილი იყო 85 ადგილი, მაგრამ ამჯერად აფხაზეთისთვის გამოყოფილ 10 ადგილზე არ იყო კონკურსი. ეუ-

თო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისმა თავისი 12 ძირითადი თანამშრომელი გამოაგზავნა თბილისში, 12 ხანგრძლივად მომუშავე დამკვირვებელი – რეგიონებში და 177 მოკლე ვადით მომუშავე დამკვირვებელი – არჩევნების დღისთვის. დამკვირვებლებმა აღნიშნეს ზოგიერთი დარღვევა, მათ შორის დაშინების და ძალადობის შემთხვევები არჩევნებამდე პერიოდში და არჩევნების დღეს, გამჭვირვალობის ნაკლებობა არჩევნების ადმინისტრაციის საქამიანობაში და შეზღუდვები გადაადგილებაში, რაც დროდადრო ხელს უშლიდა პოლიტიკურ პარტიებს კამპანიების ჩატარებაში, ხოლო დამკვირვებლებს – მათი უფლებების განხორციელებაში.

1999 წლის 14 ნოემბერს განმეორებითი არჩევნები ჩატარდა იმ 24 ოლქში, სადაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა უმრავლესობა (მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის არა ნაკლებ ერთმა მესამედმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში). მაჟორიტარ დეპუტატთა არჩევნები განმეორდა რამდენიმე რაიონში, სადაც არჩევნების პირველი რაუნდი გაუქმდა დარღვევების, მათ შორის ოქმების დაწვის გამო.

არჩევნებში მონაწილე 33 პარტიიდან მხოლოდ სამი იქნა წარმოდგენილი პარლამენტში. „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“ გაინაღდა ადგილების უმეტესობა, მეორე ადგილზე აღმოჩნდა ბლოკი „აღორძინება“. მემარცხენეთა ბლოკმა „მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“ ასევე გადააბიჯა ზღვარს. რაც ყველაზე საკვირველია, 7%-იანი ზღვარი ვერ გადალახა ლეიბორისტულმა პარტიამ.

მხოლოდ სამმა პარტიამ შეძლო 7%-იანი ზღვრის გადალახვა; ერთმა დამატებითმა პარტიამ დაიკავა ადგილები პარლამენტში, ვინაიდან მისმა მაჟორიტარმა კანდიდატებმა მოიგეს მანდატები. აღნიშნული ოთხი პარტიაა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, „საქართველოს აღორძინება“, „მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“ და ლეიბორისტული პარტია.

წამყვანი პოზიციის შენარჩუნების მიზნით „მოქალაქეთა კავშირმა“ სახე შეიცვალა. მან პარტიის სიაში 49 ახალი პირი შეიყვანა, რომელთაგან ბევრი იყო ახალგაზრდა საზღვარგარეთ მიღებული განათლებით. ამ არჩევნებში „საქართველოს მოქალა-

ქეთა კავშირის" სლოგანი „სტაბილურობიდან კეთილდღობისკენ“ გამოხატავდა პარტიის ყურადღების გადანაცვლებას უსაფრთხოებიდან ეკონომიკური და სოციალური საკითხებისკენ. „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ აღნიშნავდა, რომ მის გეგმაში შედიოდა გადასახადების ამოღების გაუმჯობესება პენსიების გადახდის მიზნით.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნები – საბოლოო შედეგები, ადგილების განაწილება

პოლიტიკური პარტია	პროპორციული	მაჟორიტარული	სულ
„საქ. მოქ. კავშირი“	85	47	132
„ბლოკი საქართველოს ალორძინება“	51	7	58
„ბლოკი მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“	14	1	15
ლეიბორისტული პარტია	0	2	2
აფხაზეთის პარლამენტის წევრები	-	12	12
დამოუკიდებლები	-	16	16

წყარო: დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის საბოლოო დასკვნა – 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები

„საქართველოს ალორძინება“ წარმოადგენდა საარჩევნო ბლოკს, რომელიც ჩამოყალიბდა 1999 წლის დასაწყისში აჭარის დედაქალაქში, ბათუმში ხელმონერილი ხელშეკრულების საფუძველზე. ქვეყნის ეს რეგიონი იმ დროს ასლან აბაშიძის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. ჯგუფი „ბათუმის ალიანსი“, როგორც მას მაშინ მოიხსენიებდნენ, შედგებოდა სხვადასხვა ელემენტისგან, მათ შორის აბაშიძის „ალორძინების“ პარტიისგან, საქართველოს სოციალისტთა პარტიისგან, საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირისგან, მასში ასევე შედიოდნენ კომუნისტური პარტიის ყოფილი ლიდერის ჯუმბერ პატიაშვილის და ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები.

მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საბაზისო ძალის შექმნა აჭარაში – გაყალბებული არჩევნების დახმარებით – და იქიდან მხარდაჭერის მოპოვება ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში შევარდნაძის სმკ-ის დასამარცხებლად.

პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ შეიქმნა 1999 წელს გიორგი თოფაძის, საქართველოს ახალი პოლიტიკური სახის, მიერ. იგი იყო კარგად ცნობილი ბიზნესმენი და ლუდსახარშის „ყაზბეგი/კასტელი“ მფლობელი. რამდენიმე წლის განმავლობაში თოფაძე მონაწილეობდა, როგორც თვითონ მიაჩნდა, უსამართლო საგადასახადო კანონმდებლობის წინააღმდეგ მაღალი რანგის სახელმწიფო ბრძოლებში. მას სწამდა, რომ ქართულ ბიზნესს უნდა ჰქონოდა საგადასახადო შეღავათები და იმპორტისგან დაცვა ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკის ჩამოყალიბებამდე. აქედან გამომდინარე, თოფაძემ შექმნა საკუთარი მოძრაობა და სხვა ქართველ ბიზნესმენებს შემოერთებისკენ მოუწოდა. სხვათა შორის, პარტიამ შემოიერთა ულტრანაციონალისტური პარტია „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, რომელსაც სათავეში გურამ შარაძე ედგა. თოფაძის გადაწყვეტილებამ გურამ შარაძესთან გაერთიანების შესახებ დიდი დაძაბულობა გამოიწვია პარტიის წევრებს შორის, რომლებიც პარტიიდან გასვლით იმუქრებოდნენ. ამ დროს თოფაძემ შარაძე გამოიყენა ნაციონალისტური ხმების შემოსამატებლად, რამაც, საბოლოოდ, შეაძლებინა მას 7%-იანი ზღვრის გადალახვა.

ისევე, როგორც 1995 წლის არჩევნებში, ლეიბორისტულმა პარტიამ ვერ გადალახა ბარიერი, მაგრამ მაინც მოიპოვა მაჟორიტართა მანდატები პარლამენტში. 1999 წლის არჩევნებამდე ლეიბორისტული პარტია განიხილავდა პარტია „აღორძინებასთან“ კოალიციის შექმნის შესაძლებლობას მომავალ არჩევნებში მონაწილეობისთვის, მაგრამ ბოლოს ლეიბორისტულმა გადაწყვიტეს, მარტო მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში. პარტიის კამპანია ეფუძნებოდა პოპულისტურ თემებს და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სისტემაზე გადასვლას, ხელფასებისა და პენსიების გადახდას და ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენას. კრიტიკოსების აზრით, ლეიბორისტულ პარტიას არ ჰქონდა პარ-

ტიის დაპირებების შესრულებისთვის საჭირო რაიმე გეგმა, მაგრამ მათი გამოსვლები მაინც იზიდავდა მოსახლეობის ნაწილს.

პარლამენტში აღარ იყვნენ ირაკლი წერეთელი და მისი ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, რომელიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში იდგა და ხმამაღალ ოპონირებას უწევდა როგორც გამსახურდიას, ისე შვეარდნაძეს. გაერთიანებულმა რესპუბლიკელებმა, ლიბერალებისა და რეფორმატორებისგან შემდგარმა კოალიციურმა პარტიამ, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა კანონმდებლობის ჩამოყალიბებისას ძველ პარლამენტში, ახალ პარლამენტში ადგილები ვერ მოიპოვა.

ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სესია 1999 წლის 20 ნოემბერს გაიმართა და „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ წევრი, ზურაბ ჟვანია, კვლავ იქნა არჩეული სპიკერად. ამის შემდეგ შვეარდნაძეს ელოდა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც, კონსტიტუციის თანახმად, ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო. ეს არჩევნები 2000 წლის 9 აპრილს გაიმართა.

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

შვეარდნაძემ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში ცხოვრების დაბალი დონის, ზამთარში ელექტროენერჯის უკმარისობის, განსაკუთრებით დიდი უმუშევრობის, გადასახადების ამოღების წარუმატებელი მცდელობის და ეპიდემიის ფორმის მქონე კორუფციის მიუხედავად. როგორღაც ისე მოხდა, რომ ყველაფერმა ამან ვერ შეძლო შვეარდნაძის რეპუტაციის შერყევა.

რუსეთმა არ დაუჭირა მხარი შვეარდნაძის მოწინააღმდეგეებს არჩევნებში, თუმცა მას ეს თავისუფლად შეეძლო. „ნეზავისიმიია გაზეტამ“, რომელსაც რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი აკონტროლებდა, ასე დაახასიათა რუსეთის მიდგომა შვეარდნაძისადმი:

„რუსული დიპლომატია . . . ინდიფერენტულად კი არ უყურებდა, როგორ მიაღწია №1 კანდიდატმა არჩევნებში ტრიუმფს, არამედ აქტიურად უჭერდა მას მხარს. მაგალითად, რამდენიმე დღით ადრე არჩევნებამდე რუსულმა კომპანიამ “AES როსიამ“

„ჩართო“ საქართველოში სინათლე და გათბობა, ამაზე კიდევ ორი კვირით ადრე კი შეწყდა ლაპარაკი ტერორისტულ ბანაკებზე თუ ჩეჩნების საევაკუაციო გზებზე საქართველოში.“

არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მოსახლეობის 75.86%-დან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო არჩევნებში, 79.82%-მა ხმა შევარდნაძეს მისცა. მისმა ყველაზე სერიოზულმა კონკურენტმა, კომუნისტური პარტიის ყოფილმა ლიდერმა ჯუმბერ პატიაშვილმა კი მხოლოდ 16.6% მიიღო. არჩევნებში კიდევ ხუთი სხვა კანდიდატი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და „დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ ლიდერი ასლან აბაშიძე.

პატიაშვილი და აბაშიძე შევარდნაძის ყველაზე სერიოზულ მეტოქეებად განიხილებოდნენ. არჩევნებამდე მათ შექმნეს ალიანსი, რომელსაც შეეძლო სერიოზული საფრთხის შექმნა პრეზიდენტისთვის, განსაკუთრებით, თუ იგი მიიღებდა რუსეთის მხარდაჭერას. მაგრამ ეს არ მომხდარა. უშუალოდ არჩევნების წინ აბაშიძემ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა და არც კი მოუწოდებია თავისი მხარდამჭერებისთვის, ხმა პატიაშვილისთვის მიეცათ.

პოლიტიკურ განსხვავებებს მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა საარჩევნო კამპანიის პროცესში. არც ერთი კანდიდატი არ მოითხოვდა საქართველოს გამოსვლას ყოფილი საბჭოთა კავშირიდან. გარდა ამისა, ყველა მხარს უჭერდა საბაზრო რეფორმების განხორციელებას და დაახლოებას დასავლეთთან. ნამდვილ „განხეთქილების ვაშლად“ იქცა საკითხი, თუ რა როლი უნდა შეესრულებინა საქართველოს რუსეთსა და დასავლეთს შორის და როგორ უნდა გადაჭრილიყო ქვეყნის რეგიონული და ეთნიკური პრობლემები.

არჩევნები არ ჩატარებულა ორ რეგიონში — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. აჭარის რეგიონს ჰქონდა ნახევრად ავტონომიური სტატუსი და იშვიათად ემორჩილებოდა თბილისში მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მაგრამ, თუმცა სიტუაცია არ იყო ძალიან საიმედო, საქართველოს 72 წლის პრეზიდენტმა წარმატებით მოიპოვა ერთსულოვანი მხარდაჭერა დასავლეთის წამყვანი ძალებისგან, რუსეთისგან, უკრაინისა და აზერბაიჯანისგან. არჩევნების

დღემდე მრავალი უცხოელი ცნობილი ფიგურა ესტუმრა საქართველოს, მათ შორის გერმანიის კანცლერი შრედერი და აშშ-ის ცენტრალური საგამოძიებო სამმართველოს დირექტორი ჯორჯ ტენეტი.

ინაუგურაციის ცერემონიით 1999 წლის 30 აპრილს შევარდნაძემ დაიწყო თავისი მეორე ხუთწლიანი ვადა, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტმა, მაგრამ ფაქტობრივად ეს იყო შევარდნაძის ხანის დასასრულის დასაწყისი.

დასასრულის დასაწყისი

„რუსთავი-2“-ის შემთხვევა

2001 წლის ოქტომბერში პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში სერიოზულად გაუარესდა. ამის მიზეზი გახდა ტელევიზია „რუსთავი-2“-ში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ აუდიტის ჩატარება. აუდიტორებს მიაჩნდათ, რომ კომპანიას დაფარული ჰქონდა დიდი მოცულობის გადასახადები. კომპანიამ უარი განაცხადა შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენაზე იმის საფუძველზე, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ კომპანიაში უკვე ჩატარებული იყო აუდიტი საგადასახადო სტრუქტურების მიერ. კომპანია ამ მცდელობას განიხილავდა როგორც თავდასხმას სიტყვის თავისუფლებაზე.

მრავალ ქართველს სჯეროდა, რომ მთავრობის მოქმედება დაკავშირებული იყო გიორგი სანაიას, კომპანიის პოპულარული ჟურნალისტის, მკვლელობასთან. კომპანია ფიქრობდა, რომ მისი მკვლელობა შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო ვიდეოჩანანერთან, რომელიც გარკვეულ თანამდებობის პირებს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. სხვები ფიქრობდნენ, რომ ხელისუფლება ალბათ გააღიზიანა კომპანიის მიერ იმის განცხადებამ, რომ საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები მონაწილეობას იღებენ ნარკოტიკების გავრცელებაში, არიან კორუმპირებულნი, ხოლო მთავრობა მუდმივად ვერ ასრულებს ბიუჯეტს.

2001 წლის 30 ოქტომბერს ხალხი შეგროვდა კომპანიის შენობის წინ სიტყვის თავისუფლების დასაცავად. დაპირისპირება იქამდე მივიდა, რომ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვახტანგ

ქუთათელაძე იძულებული გახდა, გადამდგარიყო. ამან სულაც ვერ ჩააწყნარა ქარიშხალი: რამდენიმე დღეში რამდენიმე ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი პარლამენტის წინ. ისინი მოითხოვდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის და გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის გადადგომას. ქუჩაში გამოსულ ადამიანებს მხარდაჭერა გამოუცხადა ზურაბ ჟვანიამ, რომელმაც განაცხადა, რომ დატოვებდა თანამდებობას დასახელებული ორი ოფიციალური პირის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, რაც მან გააკეთა კიდევ 2001 წლის 1 ნოემბერს. 2002 წელს მან შექმნა ახალი პარტია „გაერთიანებული დემოკრატები“ და მისი თავმჯდომარე გახდა.

ყველაზე აქტიური ხმები მოითხოვდნენ პრეზიდენტის გადადგომას. შევარდნაძემ დაითხოვა კაბინეტის ყველა წევრი, მაგრამ ამან ვერ გააჩერა აბოზოქრებული მასები. ფაქტობრივად, ვითარებამ გააერთიანა ყოფილი პრეზიდენტის, გამსახურდიას მხარდამჭერები და მისი ყოფილი მოწინააღმდეგეები ჯაბა იოსელიანის „მხედრიონიდან“. სცენაზე გამოჩნდნენ სტუდენტური ორგანიზაციები (სხვადასხვა ფაკულტეტის თვითორგანიზებული სტუდენტები), რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ „მოქალაქეთა კავშირთან“. მათ საპროტესტო აქციებს ორგანიზებას უწევდა ორი ადამიანი: ზურაბ ჟვანია და იუსტიციის ყოფილი მინისტრი მიხეილ სააკაშვილი. სტუდენტები ამტკიცებდნენ, რომ ქუჩაში მათი გამოსვლა გამონვეული იყო ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობის გამო უკმაყოფილებით.

„საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ გაყოფა ორ ბანაკად უფრო აშკარა გახდა: ძველ საბჭოთა კადრებს ახლა წინააღმდეგობას დასავლური განათლების მქონე ახალგაზრდები უწევდნენ. „დასავლელებმა“ მიმართეს მიტინგებს პარლამენტის შენობის წინ, რითაც გამოსხატავდნენ პარტიიდან გამოყოფას. აღნიშნულის შედეგად „მოქალაქეთა კავშირის“, შევარდნაძის პარტიის, ნაწილი აღმოჩნდა ოპოზიციაში პრეზიდენტის მიმართ, თუმცა მაინც არ უნდოდა ჯერ მისი გადადგომა.

თავყრილობა აღმოჩნდა ასეთი კითხვის წინაშე – როგორი უნდა გამხდარიყო საქართველო, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა? აზრები გაიყო. იოსელიანი, პარლამენტის ყოფილი

წევრი, ფიქრობდა, რომ პრეზიდენტის პოსტი უნდა გაუქმებულიყო და ქვეყანა გამხდარიყო საპარლამენტო რესპუბლიკა. სააკაშვილი თანახმა იყო ამაზე და აცხადებდა, რომ პრეზიდენტის ასეთი ფორმის თანამდებობა არაფერს კარგს არ მოუტანდა ქვეყანას. მან გამოაცხადა საყოველთაო ახალი მოძრაობის ფორმირება, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა საპარლამენტო არჩევნებში და საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის სამომავლო ბედზე გადაწყვეტილების მიღებაში.

კობა დავითაშვილმა, „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო ფრაქციის წევრმა, დაიწყო ხელმონერების შეგროვება კონსტიტუციაში ახალი შესწორებების შეტანის მოთხოვნით, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთი წლით ადრე ჩატარების საკითხის დარეგულირების მიზნით. ამისათვის საჭირო იყო 118 დეპუტატის ან 200 000 ამომრჩევლის ხელმონერა. დავითაშვილი აცხადებდა, რომ როგორც პარლამენტმა, ასევე პრეზიდენტმა დაკარგეს ადამიანების ნდობა და რომ ისინი უნდა წასულიყვნენ პოლიტიკური სცენიდან. მან პრეზიდენტის პოსტზე სააკაშვილის კანდიდატურა წამოაყენა. ვახტანგ რჩეულიშვილმა, სოციალისტური პარტიის ლიდერმა, და მისმა საპარლამენტო ფრაქციამ კატეგორიულად უარყვეს პრეზიდენტის გადადგომის შესაძლებლობა და შეახსენეს დანარჩენებს, რომ ქვეყანაში არ არსებობდა მისი შეცვლის მექანიზმი. პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა:

„კონსტიტუციის შესწორება შეიძლება, მაგრამ ეს ფრთხილად უნდა გაკეთდეს. დღეს მრავლადაა ისეთი ენთუზიასტი, რომლებსაც სურთ სერიოზული შესწორებების შეტანა მასში და ძირითადი კანონის უიმედო დოკუმენტად ქცევა. ეს დიდ არეულობას გამოიწვევს ქვეყანაში“.

კრიზისის მიზეზს წარმოადგენდა მთავრობის მიერ გადასახადების მოკრების და ელემენტარული საქონლისა და მომსახურებების მიწოდების უუნარობა. ანალიტიკოსთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ კრიზისი გამოწვეული იყო ყვანიას მხარდამჭერი დეპუტატების მიერ. ამ ანალიტიკოსებს სჯეროდათ, რომ ყვანია ემზადებოდა შევარდნაძის პოსტისთვის. ზოგიერთი

ფიქრობდა, რომ საქმეში ჩარეული იყო რუსეთი, რომელიც ცდილობდა სიტუაციის დესტაბილიზებას და საქართველოში თავისი გავლენის გაზრდას. ზოგიერთი იმასაც კი ფიქრობდა, რომ კრიზისი „რუსთავი-2“-მა შექმნა. ამ თეორიამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა, როცა ირინა სარიშვილი-ჭანტურიაშვილმა განაცხადა, რომ სწორედ ყვანიამ სატელეფონო საუბრისას ეროსი კინმატირებულთან უბრძანა მას, არ მიეცა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან მოსული აუდიტორებისთვის ფინანსური დოკუმენტები, რითაც განზრახ დაძაბა სიტუაცია. თბილისის მერის ვანო ზოდელავას თქმით (იგი მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო საქართველოში მაშინ, როცა ვაკანტური იყო სპიკერის, სახელმწიფო მინისტრის და კაბინეტის წევრების ადგილები), დედაქალაქში მიმდინარე მოვლენების სულისჩამდგმელები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ საკუთარ ხელში ძალაუფლების ჩაგდებას და არ ფიქრობდნენ ქვეყნის მომავალზე. მან მოუწოდა ქალაქის მოსახლეობას, არ აჰყოლოდა პროვოკაციას. პრეზიდენტმა სწორედ მას, და არა პოლიციას, დაავალა დედაქალაქისთვის ნორმალური მდგომარეობის დაბრუნება. ხელისუფლებას უნდოდა პროვოკაციების და შეხლა-შემოხლის თავიდან აცილება, შევარდნაძემ გამოცვალა კაბინეტი და დაიწყო პარლამენტის ახალი სპიკერის ძებნა.

პარლამენტში ძალა იცვლება

2001 წლის 9 ნოემბერს პარლამენტში დაწყებული არჩევნები დასრულდა 10 ნოემბრის დილას: გამარჯვებისთვის საჭირო იყო, სულ მცირე, 118 ხმა, და მეორე რაუნდში 129 ხმით პარლამენტმა სპიკერად ქალი აირჩია. ტრადიციონალისტთა ფრაქციამ დაასახელა ნინო ბურჯანაძე, რომელსაც მხარს უჭერდნენ არა მარტო ტრადიციონალისტები, არამედ „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის წევრებიც, მიუხედავად იმისა, რომ ბურჯანაძე გამოვიდა პარტიიდან ოპოზიციის მიმართ არათანმიმდევრული პოლიტიკის გატარების გამო პროტესტის ნიშნად. ბურჯანაძის არჩევის შემდეგ შევარდნაძემ დატოვა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარის თანამდებობა, ხოლო მისი ფრაქცია, უმრა-

ვლესობის დაკარგვის შემდეგ, ველარ ასრულებდა მნიშვნელოვან როლს პარლამენტში.

დამოუკიდებლობის ათი წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საქართველოში მნიშვნელობით მეორე თანამდებობას ქალი იკავებდა. ნინო ბურჯანაძემ დაიკავა ყვანიას ადგილი და თავის ერთ-ერთ პირველ გამოსვლაში აღნიშნა, რომ პრეზიდენტს შეეძლო თავის თანამდებობაზე მუშაობა, თუ იგი მოახერხებდა შესაბამისი მინისტრების გამოძებნას, მართვის სტილის შეცვლას და გაითვალისწინებდა უბრალო ადამიანების ინტერესებს. თუმცა მან ვერ შეძლო ყვანიას კურსის სრულად გაგრძელება: იგი დიდი ზენოლის ქვეშ მოექცა როგორც პრეზიდენტის მხრიდან, ასევე საკუთარი მამის, ცნობილი ბიზნესმენი ანზორ ბურჯანაძის მხრიდან, რომელიც ხელმძღვანელობდა პურისა და პურპროდუქტების კორპორაციას.

ახალმა სპიკერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველომ თავის სტრატეგიულ პარტნიორად უნდა აქციოს რუსეთი, თუმცა იქვე აღნიშნა:

„ჩვენი ქვეყნის ორიენტაცია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსზე, რომელიც ასე აღიზიანებს რუსეთს, უცვლელი დარჩება. იგი არ დააზიანებს რუსეთის ფედერაციის ინტერესებს. ჩვენ გვჭირდება განვითარებული, დემოკრატიული და ცივილიზებული მეზობელი და გვწამს, რომ რუსეთიც მოინდომებს სამხრეთელ მეზობლად სტაბილურ და ინტეგრირებულ სახელმწიფოს, ორიენტირებულს ევროპულ ღირებულებებზე.“

ბურჯანაძე მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: მას უნდა გაერკვია ურთიერთობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ძალებთან. პრეზიდენტს უნდა შემოეთავაზებინა ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, ხოლო პარლამენტს უნდა დაემტკიცებინა იგი. პარლამენტში კი პოლიტიკური ფონი სრულიად შეცვლილი იყო: იქ იყვნენ როგორც შევარდნაძის მხარდამჭერები, ასევე ოპონენტები. ახალი უმრავლესობა შემოიკრიბა „აღორძინების“, სოციალისტების, „XXI საუკუნის“, „გაერთიანებული საქართველოს“, „ახალი მემარჯვენეების“, „თანადგომის“, „ალიანსი ახალი საქართველოს“

სახელით, ტრადიციონალისტების და მრენველების გარშემო. იმავე დროს „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ სწრაფად კარგავდა პარლამენტში მისთვის სასურველი მინისტრების გაყვანის და ძირითადი საპარლამენტო კომიტეტების კონტროლის შესაძლებლობას.

2001 წლის ნოემბერში ძირითად თანამდებობებზე კანდიდატების დანიშვნასთან დაკავშირებული საპარლამენტო დებატების დროს ადგილი ჰქონდა რამდენიმე მოულოდნელ შემთხვევას. ადამიანებმა თბილისის რამდენიმე უბანში გადაკეტეს ქუჩის მოძრაობა ელექტროენერჯის არარეგულარული მოწოდების გამო პროტესტის გამოსახატავად – ეს მოქმედება ზოგიერთმა დეპუტატმა გაიგო როგორც ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამონვევის მსურველი ძალების ინიციატივა. პრობლემა კი იმაში მდგომარეობდა, რომ დედაქალაქის ელექტროსახების მფლობელმა კომპანიამ „ეი-ი-ეს თელასმა“ დაიწყო ელექტროენერჯის გათიშვა თბილისის იმ უბნებში, სადაც ამოღება 55%-ზე ნაკლები იყო, რითაც ისჯებოდნენ გადამხდელებიც. ქუჩაში გამოსული ადამიანები მოითხოვდნენ ელექტროენერჯის მიწოდებას იმ ოჯახებისთვის, რომლებიც კეთილსინდისიერად იხდიდნენ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურს. პრესა გაივსო კრიტიკით მიხეილ სააკაშვილის მიმართ, რომელსაც ბრალად სდებდნენ „ეი-ი-ეს თელასის“ ინტერესების ლობირებას.

პოლიტიკურ ანალიტიკოსებს იმ დროს ღრმად სწამდათ, რომ პარლამენტს დიდი დრო დასჭირდებოდა კანდიდატების შეფასებისთვის. პრეზიდენტი კვლავაც თავის აზრზე რჩებოდა, ანუ აცხადებდა, რომ სახელმწიფო მინისტრების გარეშეც კი კვლავაც დემოკრატიისკენ მიდიოდა. და მაინც, ქვეყანას სასწრაფოდ სჭირდებოდა ახალი მთავრობა და ახლად დანიშნული მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირები.

ამ პოლიტიკური კრიზისის გამომწვევ მიზეზს, სხვა მიზეზებთან ერთად, წარმოადგენდა პარლამენტსა და აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობათა სისტემა. ოპოზიციას სწამდა, რომ კრიზისის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა სახელმწიფოს არაეფექტიანი სტრუქტურა. თუმცა, როგორც ჩანს, მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფო სისტემა მოძველებული იყო – იგი უკვე აღარ შეესაბამებოდა იმ დროისთვის არსებულ სოციალურ განვითარებას და მოთხოვნებს.

2002 წლის ადგილობრივი არჩევნები

კონსტიტუციის თანახმად, ადგილობრივი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 2001 წლის შემოდგომაზე; თუმცა ხელისუფლებამ მოახერხა მისი რამდენჯერმე გადატანა და საბოლოოდ არჩევნები 2002 წლის 2 ივნისს ჩატარდა (რუსთავში, ზუგდიდსა და ხარაგაულში არჩევნები გადაიდო დარღვევების გამო). არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ ეს არჩევნები 2002 წლის 16 ივნისს ჩაატარა: მის პრეზიდენტს, ასლან აბაშიძეს, უნდოდა აჭარის ლოიალობის გამოხატვა რესპუბლიკის კონსტიტუციის მიმართ.

არჩევნები თბილისში ჩატარდა პარტიული სიების მიხედვით – ეს სისტემა გამოყენებული იქნა მთელ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნებისას. საქართველოს დანარჩენ რაიონებში მიმართეს მაჟორიტარულ სისტემას.

ყველა პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნებისკენ მიმართული თავისი ყველა მცდელობის კონცენტრირება მოახდინა თბილისში, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ ეს ადგილობრივი არჩევნები დედაქალაქში უკანასკნელი გამოცდა იქნებოდა 2003 წლისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ. არჩევნების შემდგომი სიტუაცია სრულიად ახალი იყო და ძირფესვიანად განსხვავდებოდა პარლამენტში არსებული ძალთა თანაფარდობისგან.

2002 წლის არჩევნების შედეგები ქვეყნის მასშტაბით (თბილისის გამოკლებით)

პარტია	ადგი- ლები	ადგილების პროცენ- ტულობა
„ახალი მემარჯვენეები“	551	11.48
„ბლოკი მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“	481	10.02
ასლან აბაშიძის „ალორძინება – 21“	198	4.12
სოციალისტური პარტია	189	3.93
ლეიბორისტული პარტია	152	3.17
დამოუკიდებელი კანდიდატები	2,754	57.37
სულ	4,800	100.00

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

მთავარ გამარჯვებულთა შორის იყვნენ „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“ და ჟვანიას გუნდი. ეს იყო ის ორი გამარჯვებული, რომლებსაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჰქონდათ ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალები და წამოყენებული ჰქონდათ თავისი კანდიდატურა ადგილობრივ თვითმმართველობაში თბილისში და საქართველოს სხვა დიდი ქალაქებში. ზოგიერთ მათგანში (რუსთავსა და ჭიათურაში) „ეროვნულმა მოძრაობამ – დემოკრატიული ფრონტი“ საგრძნობი უპირატესობით გაიმარჯვა.

იმავე დროს, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“, მმართველმა პარტიამ, რომელმაც გაიმარჯვა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში, დაკარგა ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა (პარტიამ ქვეყნის მასშტაბით მიიღო 1.45%, ხოლო დედაქალაქში – 2.52%).

ასევე დამარცხდა ასლან აბაშიძის ბლოკი „აღორძინება – 21“, რომელსაც მეორე ადგილი ეკავა საპარლამენტო არჩევნებში (ბლოკმა ქვეყნის მასშტაბით მიიღო 4.11%, ხოლო დედაქალაქში – 6.34%). აღნიშნულის შედეგად პარლამენტი უკვე აღარ ასახავდა პოლიტიკური უპირატესობების რეალურ სურათს.

ადგილობრივ არჩევნებს კიდევ ერთი დამაფიქრებელი შედეგი მოჰყვა, რომლის მიღებაც ძალიან გაუჭირდათ ქვეყნის იმდროინდელ პოლიტიკურ მმართველებს. ეს იყო ლეიბორისტული პარტიის და ბლოკის „ეროვნული მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“ დამაჯერებელი გამარჯვება თბილისში. მათ მოაგროვეს 25.5% და 23.75% შესაბამისად.

საარჩევნო ბლოკმა ქრისტიან-კონსერვატიული პარტია – ჟვანიას გუნდი მოახერხა ადგილების დაკავება თბილისის საკრებულოში, მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, ბლოკს არ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა. მხოლოდ შოთა მალაშხიას – ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერის — კეთილგანწყობის დახმარებით შეძლო ზურაბ ჟვანიამ.

თბილისში ჩატარებული არჩევნები ყველაზე დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. ყველაზე გამოცდილი ქართველი ხელისუფალნიც კი გაოცებულნი დარჩნენ მოსახლეობის უპრეცედენტო აქტივობით. წვიმიან ამინდში, ამომრჩეველთა სიებში მრავალი შეცდომის

და მრავალრიცხოვანი და უხეში იურიდიული დარღვევის მიუხედავად, ადამიანებმა გამოამჟღავნეს, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ მომნიშვნელო საზოგადოებად, რომელიც ათვითცნობიერებს თავის მოქალაქეობრივ უფლებებს და შესწევს მათი დაცვის უნარი. სწორედ იმ დროს ადამიანები აქტიურად მონაწილეობდნენ არჩევნებში და, ამგვარად, თავისი წვლილი შეჰქონდათ პოლიტიკური კულტურის მშენებლობასა და ახალი, პოლიტიკურად იმედისმომცემი პარტიების ჩამოყალიბებაში.

თბილისის საკრებულოს 2002 წლის არჩევნების შედეგები

პარტია	ხმათა რაოდენობა	პროცენტულობა	ადგილების რაოდენობა
ლეიბორისტული პარტია	71,145	25.50	15
„ნაც. მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“	66,256	23.75	14
„ახალი მემარჯვენეები“	31,695	11.36	7
„ბლოკი მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“	19,898	7.13	4
საქ. ქრისტიან-დემოკრატიული პარტია – ჟვანიას გუნდი	20,284	7.27	4
„აღორძინება – 21“	17,682	6.34	3
„ბლოკი ერთობა“	11,516	4.13	2
სულ	273,150	100.00	49

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

ყველა დამკვირვებელი (არჩევნებს აკვირდებოდა 25 საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის IRI, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, აშშ-ის საელჩო, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გაერო-ს განვითარების პროგრამა, “Human Rights Watch”) შეთანხმდა იმაზე, რომ სამართლიანობის, კანონების და ამომრჩევლების უფლებების დაცვის, საარჩევნო კომისიების დისციპლინის დონის თვალსაზრისით

ეს არჩევნები არ იყო ყველაზე უარესი საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ჩატარებულ არჩევნებს შორის. ცესკო-ს გადანყვეტილების მიხედვით ადგილობრივი და რეგიონული საარჩევნო კომისიები ძირითადად დაკომპლექტებული იყო „ახალი მემარჯვენეების“, სოციალისტების და „აღორძინების“ წარმომადგენლებით.

2002 წლის არჩევნებში ხმათა უმრავლესობა მიიღეს ლეიბორისტულმა პარტიამ და ნაციონალურმა მოძრაობამ. ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა შექმნა თავისი პარტიის ახალი იმიჯი. მან პარტიულ სიაში ჩასვა უბრალო ადამიანები (ინჟინრები, მექანიკოსები, მასწავლებლები, ეკონომისტები, ექსპერტები) და ამით მოიზიდა ყველანაირი სახის კომუნისტების ხმები. გარდა ამისა, „მსხვერპლთა პატივისცემამ“ ასევე დიდი როლი ითამაშა: 1999 წელს არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ პარტია გადალახავდა 7%-იან ბარიერს, მაგრამ იგი განზრახ დატოვეს პარლამენტის კედლებს მიღმა. პარტიამ ასევე მოახერხა ისეთი ორგანიზაციის იმიჯის შენარჩუნება, რომელიც შორს არის ბინძური საპარლამენტო და პოლიტიკური თამაშებიდან.

მიხეილ სააკაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ (რომელმაც ასევე მიიღო ამომრჩეველთა ბევრი ხმა) ლიდერი, განიხილებოდა როგორც იღბლიანი და გამბედავი ახალგაზრდა პოლიტიკოსი: იგი იყო იუსტიციის წარმატებული მინისტრი და უდიდესი საპარლამენტო ფრაქციის წარმატებული ლიდერი. ბლოკმა „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“ გამოასწორა თავისი რეიტინგი, როცა მან მიიზიდა:

რესპუბლიკური პარტია, ცნობილი როგორც ინტელექტუალი ლიდერების პარტია;

„ეროვნული ძალები“, რომლებიც აერთიანებდა ე.წ. ზომიერ „ზვიადისტებს“ (საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეებს), რომლებსაც ცხოვრების გარკვეული დრო ციხეებში ჰქონდათ გატარებული თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების გამო; და

ლიბერალ-ეკონომისტთა პარტია, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ცნობილი მენარმეები.

დედაქალაქის ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი პოზიტიურად აღიქვამდა ლეიბორისტული პარტიის სლოგანს „დავამხოთ ხელისუფლების მიმტაცებლები“ და „ნაციონალური მოძრაობის – დემოკრატიული საქართველო“ სლოგანს „თბილისი შევარდნაძის გარეშე“. ქრისტიანულ-კონსერვატიული პარტიისთვის და პარლამენტის ყოფილი სპიკერის, ზურაბ ჟვანიას, გუნდისთვის, რომელიც არჩევნებში მონაწილეობდა სლოგანით „დაანახეთ ხელისუფლებას თქვენი ძალა“, მინიჭებულ ხმებთან ერთად თბილისში ჩატარებული არჩევნების შედეგებმა გვიჩვენა, რომ აბსოლუტურ უმრავლესობას ერჩივნა ეცხოვრა შევარდნაძის გარეშე. აშკარა იყო, რომ ეს ადამიანები ეცდებოდნენ შანსის გამოყენებას მომავალ, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

არჩევნების შემდეგ გამარჯვებულებმა დაიწყეს პოლიტიკური კონსულტაციები საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობის კანდიდატებთან დაკავშირებით. ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც სათავეში ედგა „ახალ მემარჯვენებს“, შეეცადა ამ პოსტის დაკავებას: მან დატოვა თავისი საპარლამენტო ადგილი და დაიწყო მოლაპარაკებები მუნიციპალიტეტში წარმოდგენილ სხვა პოლიტიკურ ძალებთან. მან მიმართა ყველა სხვა ლიდერს, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილს, მიჰყოლოდნენ მის მაგალითს და დაეტოვებინათ პარლამენტი – მანამდეც კი, ვიდრე ცნობილი გახდებოდა საკრებულოს თავმჯდომარის ვინაობა, მაგრამ ეს იდეა უარყოფილი იქნა. ამასობაში ლეიბორისტულმა პარტიამ ამ პოსტზე სააკაშვილი დაასახელა. მოკლე მსჯელობის შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობაში – დემოკრატიული საქართველო“ სააკაშვილმა მიიღო ეს მოულოდნელი შეთავაზება.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნები

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პალამენტში სამი ფრაქცია იყო. 2002 წელს სამი ფრაქცია გაიყო 15 ფრაქციად. ცხრა მათგანი (სულ 118 დეპუტატი) იყო მთავრობის წინააღმდეგი, ხოლო სამი ფრაქცია მხარს უჭერდა შევარდნაძეს (სულ 51 დეპუტატი). კიდევ სამი სხვა ფრაქცია (42 კანდიდატი) და 25 დამოუკიდებელი დეპუტატი კვლავაც გადაუნყვეტელ ვითარება-

ში რჩებოდა. ასეთი იყო სიტუაცია საქართველოს პარლამენტში 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ.

2003 წელს, უმეტესი დროის განმავლობაში, საქართველო იმყოფებოდა პოლიტიკურ არეულობაში. კენჭისყრამდე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე რთული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. მზარდმა უკმაყოფილებამ მისი პოლიტიკით ბიძგი მისცა სტუდენტურ მოძრაობას, რომელიც გამოხატავდა პროტესტს მთელი ქვეყნის მასშტაბით. იმავე დროს, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, საქართველოში შეიქმნა არასამთავრობო ჯგუფები, მათ შორის „თავისუფლების ინსტიტუტი“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“. ამ ჯგუფების ყურადღება კონცენტრირებული იყო სამოქალაქო თავისუფლებებზე. ისინი აკრიტიკებდნენ მთავრობას ადამიანის უფლებების დარღვევისთვის და აკონტროლებდნენ არჩევნების ჩატარებას.

ეს ორი ჯგუფი, რეფორმატორები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ. ფაქტობრივად, მათ ჩამოაყალიბეს არაფორმალური ერთობლივი მოძრაობა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა 2002 წლის ადგილობრივი არჩევნების სამართლიანობას და აცხადებდა, რომ ისინი არ მისცემდნენ მთავრობას 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბების საშუალებას. არჩევნების სამართლიანობა მთავარი საკითხი გახდა იმ პოლიტიკური ბრძოლებისთვის, რამაც საბოლოოდ შესაძლებელი გახადა 2003 წლის შემოდგომაზე შევარდნაძის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომა.

2003 წლის 7 ივლისს შევარდნაძემ მიიღო აშშ-ის მთავრობის წინადადება, გამოეცვალა საქართველოს საარჩევნო კომისია, რაც უზრუნველყოფდა სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. რეკომენდაცია – წარმოდგენილი აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის მიერ – განხილული იქნა როგორც პოზიტიური ნაბიჯი. თუმცა 2001 წლის 31 ივლისს საქართველოს პარლამენტმა არ დაუჭირა მხარი ქვეყნის ახალი საარჩევნო კომისიის შემადგენლობას, ხოლო კრიტიკა შევარდნაძის მიმართ კვლავაც გრძელდებოდა. შევარდნაძის დაბალი რეიტინგის და პარტიის შიგნით უთანხმოების გამო, რამაც გამოიწვია მმართველი „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ დაშლა, მთავრობის მომხრეები არ მოელოდნენ რაიმე დადებით შედეგს. 22 კონკურენტი პარ-

ტიის არსებობა აღარ უტოვებდა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას პარლამენტში უმრავლესობის მოპოვების იმედს.

საპარლამენტო არჩევნებმა დიდი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია საქართველოში. არჩევნების კამპანიისას პოლიტიკური პარტიები კითხვის ქვეშ აყენებდნენ მთავრობის მიერ სამართლიანი არჩევნების ჩატარების სურვილს. ისინი შევარდნაძეს არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ.

არჩევნების შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმა უარი თქვეს შედეგების აღიარებაზე და აცხადებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა მასიურ გაყალბებას (არჩევნებში მონაწილე ადამიანების რაოდენობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საარჩევნო სიებში მოცემული მოქალაქეებისა). საზოგადოება დაეთანხმა ამ თვალსაზრისს და მოეწყო დიდი დემონსტრაციები შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით.

პირველი – გასაჩივრებული – შედეგების მიხედვით, პირველ ადგილზე პრეზიდენტის მიერ ორგანიზებული კოალიცია „ახალი საქართველოსთვის“ გავიდა, ხოლო მას მოჰყვა აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის „დემოკრატიული აღორძინების კავშირი“. „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“, რომლის კამპანია მიმდინარეობდა სლოგანით „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ და რომელსაც მიუძღოდა სააკაშვილი, მესამე ადგილზე გავიდა, მას მოსდევდნენ მემარცხენე ლეიბორისტული პარტია, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის „დემოკრატები“ და პარტია „ახალი მემარჯვენეები“.

2003 წლის 20 ნოემბერს, რამდენჯერმე გადატანის შემდეგ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ბოლოს და ბოლოს გამოაქვეყნა შედეგები 150 პროპორციული წარმომადგენლობის ადგილთან დაკავშირებით. არჩევნების საერთაშორისო დამკვირვებლების მისიამ, რომელიც შედგებოდა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპის პარლამენტის წარმომადგენლებისგან, გამოხატა თავისი უკმაყოფილება „არჩევნების ადმინისტრირების მრავალრიცხოვანი შეცდომებით“. მთავრობამ უარყო ბრალდება არჩევნების გაყალბებაში და აცხადებდა, რომ დათვლის პროცესი იყო ნელი საარჩევნო უბნების შორეული მდებარეობის გამო.

შეტყობინებებმა დარღვევების, ამომრჩეველთა დაშინებისა და ყუთებში ყალბი ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევების შესახებ საარჩევნო უბნების გახსნის შემდეგ სულ მალე დაიწყო შემოსვლა. უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული ამომრჩეველთა სიები. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში „საპარლამენტო არჩევნები, 2003 წლის 2 ნოემბერი“ (ნაწილი I) ნათქვამია:

„75-დან არც ერთ საარჩევნო ოლქში დამკვირვებლებს არ შეუფასებიათ საარჩევნო სიები დადებითად. არაზუსტი სიები არ იძლეოდა კენჭისყრაში სამართლიანობის შესაძლებლობას ამომრჩეველთა სიებში იყო შემდეგი შეცდომები: მთელი კორპუსების ან ქუჩების გამოტოვება, ამომრჩევლების დარეგისტრირება არასწორ რაიონებში, გარდაცვლილი ადამიანების რეგისტრირება და ორმაგი რეგისტრაციის მრავალი შემთხვევა.“

2003 წლის 21 ნოემბერს საქართველოს უსაფრთხოების ხელმძღვანელი თედო ჯაფარიძე მიემხრო ოპოზიციას. მან არჩევნებს „გაყალბებული“ უწოდა და მოითხოვა კენჭისყრის ახალი რაუნდის ჩატარება. ერთი დღის შემდეგ, ვინაიდან იკრიბებოდა პარლამენტი, ოპოზიციის მხარდამჭერებმა შეტევა მიიტანეს შენობაზე. შევარდნაძემ დატოვა პარლამენტი და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. პალამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ, კონსტიტუციის თანახმად, იგი კისრულობდა პრეზიდენტის ფუნქციებს დაძაბულობის განულებამდე. სააკაშვილმა ამ მოვლენებს „ხვეწილად რეგულაცია“ უწოდა და მოუწოდა საზოგადოებას პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნებისკენ.

შევარდნაძე სამ თავდასხმას გადაურჩა – 1992, 1995 და 1998 წლებში – მაგრამ საბოლოოდ მას კორუფციამ (როგორც ირკვეოდა, მისი ახლობლების წრე ქვეყნის ეკონომიკის 70%-ს აკონტროლებდა) და არჩევნების გაყალბებამ მოუღო ბოლო. 2003 წლის 23 ნოემბერს იგი ოფიციალურად გადადგა პრეზიდენტის რეზიდენციაში მიხეილ სააკაშვილთან და ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრის

შემდეგ. ვინაიდან ოპოზიციის მთავარ სიმბოლოს ვარდი წარმოადგენდა, მოვლენებსაც „ვარდების რევოლუცია“ ეწოდა.

2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგები

კანდიდატი	ხმები %
მიხეილ სააკაშვილი	96.27%
თეიმურაზ შაშიაშვილი	1.85%
როინ ლიპარტიელიანი	0.26%
ზაზა სიხარულიძე	0.24%
ქართლოს ღარიბაშვილი	0.21%
ზურაბ ქელქსაშვილი	0.10%
ყველა კანდიდატის წინააღმდეგ	0.07%
გაბათილებული ხმები	1.00%
სულ	100%

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ 2004 წლის 4 იანვარი პრეზიდენტის არჩევნების დღედ გამოაცხადა. ორმა პოლიტიკურმა პარტიამ და ხუთმა საინიციატივო ჯგუფმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინეს კანდიდატების მხარდამჭერთა სიები, სულ ცოტა, 50 000 ხელმოწერით. ერთ-ერთ კანდიდატს, იგორ გიორგაძეს, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის მიზეზით. დანარჩენი ექვსი კანდიდატი, მათ შორის მიხეილ სააკაშვილი, დაამტკიცა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

არჩევნები, ზოგადად, ჩატარდა აქტიურ და მშვიდ ატმოსფეროში. 2004 წლის 5 იანვარს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა გამოაცხადა წინასწარი შედეგები. საარჩევნო ოლქების 14%-ში აშკარა უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული მიხეილ სააკაშვილს. საბოლოო შედეგები 2004 წლის 17 იანვარს გამოცხადდა – სააკაშვილმა მიღებული ჰქონდა ხმათა 96.24% მიიღო. არჩევნებში მოსახლეობის 88%-ს

ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არჩეული იქნა ხუთწლიანი ვადით. იგი დაჰპირდა საზოგადოებას, რომ გამოძებნიდა უკეთეს დიპლომატიურ გზებს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებისთვის, თუმცა შეინარჩუნებდა საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციას. მან ოფიციალურად პრეზიდენტის პოსტი ბურჯანაძისგან 2004 წლიდან 25 იანვარს ჩაიბარა.

2004 წლის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნები

საქართველოს მოქალაქეები 2004 წლის 28 მარტს კვლავ გაემართნენ საარჩევნო უბნებისკენ; ამჯერად მათ უნდა აერჩიათ პროპორციული წარმომადგენლობის 150 პარლამენტარი და ორი მაჟორიტარი დეპუტატი ბოლნისისა და ჭიათურის რაიონებში. 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების შედეგები დარჩენილ საარჩევნო ოლქებში (თითო ადგილი) არ გამხდარა სადავო. საბოლოო შედეგები გამოცხადდა 2004 წლის 18 აპრილს.

საკაშვილის კოალიციამ „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“ შეაგროვა ხმების 66.24%, მას მოჰყვებოდნენ „მრეწველები-ახალი მემარჯვენეები“ 7.56%-ით. აჭარის ლიდერს, ასლან აბაშიძეს, არ ერგო პროპორციული წარმომადგენლობის არც ერთი ადგილი, ვინაიდან მისმა „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა“ მიიღო ხმათა მხოლოდ 3.86%. იმ დროისთვის ახლად შექმნილმა პარტიამ „თავისუფლება“, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი კონსტანტინე გამსახურდია, ვერ მოიპოვა ადგილები პარლამენტში. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 63.9%-მა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგები დარღვევების გამო გააუქმა აჭარის ექვს რაიონში.

ქვეყანას სათავეში ჩაუდგა მიხეილ სააკაშვილი, 37 წლის ახალგაზრდა, რომელსაც განათლება აშშ-ში ჰქონდა მიღებული. პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა ზურაბ ჟვანია, ხოლო პარლამენტის სპიკერი გახდა ნინო ბურჯანაძე. ის ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს რევოლუციას, როგორც იყო ლეიბორისტული პარტია, „ახალი მემარჯვენეები“,

„მრეწველები“, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სხვები, მოიხსენიებოდნენ „ერის მტრებად“.

მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის არჩევნებში მათ დაკარგეს მხარდაჭერა, „მრეწველებმა“ და „ახალმა მემარჯვენეებმა“ მოახერხეს 7%-იანი ბარიერის გადალახვა. უფრო მეტიც, მათ თითქმის ხმათა იგივე რაოდენობა მიიღეს, რაც რევოლუციამდე.

„ნაციონალურმა მოძრაობამ – დემოკრატებმა“, რომლებმაც წამოიწყეს „ვარდების რევოლუცია“, ქვეყნის პოლიტიკური სცენის მონოპოლიზაცია მოახდინეს. მათ მოიპოვეს კონსტიტუციური უმრავლესობა პარლამენტში და მთლიანად იყვნენ დაკავებულნი საპარლამენტო მოქმედებებით. როგორც „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა აღნიშნა, ოპოზიციას თითქმის არ შეეძლო ფუნქციონირება თავისი მცირე და სუსტი მხარდამჭერი მექანიზმით იმ პირობებში, როცა მთლიანი საპარლამენტო მანქანა საპარლამენტო უმრავლესობას ჰქონდა ჩაგდებული ხელში; თუმცა ეს მანქანა მათ ელექტორატის მიერ ჰქონდათ ჩაბარებული გარიგებით:

„მე მოგცემ ძალას (ეს იყო ელექტორატის გზავნილი), მაგრამ შენ („ნაციონალურმა მოძრაობამ – დემოკრატები“) სამაგიეროდ უნდა მომცე სტაბილურობა და კარგი ცხოვრება.“

იმ დროისათვის ზოგიერთმა ოპოზიციურმა ლიდერმა უკვე იცოდა ძლიერი მმართველი პარტიის და სუსტი ოპოზიციის პრობლემები. მაგალითად, აი, რას აცხადებდა ფიქრია ჩიხრაძე, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:

„ძლიერი ოპოზიცია დემოკრატიის კარგად ცნობილი პოსტულატია. იგი აუცილებელია ჯანსაღი კონკურენციისთვის. როცა დემოკრატიული უმრავლესობა ერთპიროვნულად იღებს ყველა გადაწყვეტილებას, მაშინ ოპოზიციურ პარტიებს უჭირთ ფუნქციონირება. დღეს ჩვენი ამოცანაა, ვაჩვენოთ საზოგადოებას, რომ უმრავლესობის მოსაზრებების გარდა ქვეყანაში სხვა აზრიც არსებობს და დავარწმუნოთ ხალხი, რომ აზრთა სხვადასხვაობა აუცილებელია. რაც შეეხება ყველა დემოკრატიული ძალის გაერთიანებას . . . ჩვენ გვსურს ჩვენი პარტიების გაერ-

თიანება, ვინაიდან ჩვენი ელექტორატი ძალიან სუსტია იმისთვის, რომ დაყოფილი იყოს სხვადასხვა პარტიის მომხრეებად.“

**საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები
2003 წლის მაჟორიტარი დეპუტატების არჩევნები და 2004 წლის
განმეორებითი პროპორციული არჩევნები**

პარტიები და ბლოკები	ხმათა %, პროპორციული	ადგილები (პროპორციული)	ადგილები (მაჟორიტარული)	სულ ადგილები	ადგილები %
„ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები“	66.24%	135	18	153	65.10%
ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიცია - მრენველები ახლები“	7.56%	15	8	23	9.78%
საქართველოს ლეიბორისტული პარტია	6.01%	0	3	3	1.27%
პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“	4.39%	0	0	0	0%
„დემოკრატიული ალორძინების კავშირი“	3.86%	0	6	6	2.55%
ბლოკი „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ტრადიციონალისტები“	2.55%	0	0	0	0%
ბლოკი „ჯუმბერ პატიაშვილი - პოლიტიკური კავშირი ერთობა“	2.47%	0	0	0	0%
„ახალი საქართველოსთვის“	არ განხილულა	0	19	19	8.08%
აფხაზეთის პარლამენტის წევრები, არჩეული 1992 წ.	არ განხილულა	0	11	11	4.68%
დამოუკიდებელი კანდიდატები	არ განხილულა	0	21	21	8.93%

წყარო: ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისია ან-

კობა დავითაშვილმა კი, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ლიდერმა, რომელმაც დატოვა იგი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და ჩამოაყალიბა გაერთიანებული კონსერვატიული პარტია, განაცხადა:

„ის ფაქტი, რომ ერთ პარტიას პარლამენტში მეტი ადგილი უკავია, ვიდრე კონსტიტუციურ უმრავლესობას, არ შეიძლება აღინეროს როგორც პოზიტიური მოვლენა. ფაქტობრივად, კონსტიტუცია შესწორდა და მორგებული იქნა ამ ადამიანებზე და მათ პოლიტიკურ შეხედულებებზე. ოპოზიცია უნდა გაძლიერდეს ამ უმრავლესობის ხარჯზე, ვინაიდან მისი ორი მესამედის დომინირება ძირს უთხრის ესოდენ აუცილებელ წონასწორობას, ხოლო პარლამენტს შეუძლია არასწორი გადაწყვეტილებების მიღება. თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალას სურს ჩვენთან თანამშრომლობა, ჩვენ ვინვევთ მას შემოსაერთებლად, რადგან გვნამს, რომ აზრთა სხვადასხვაობა განამტკიცებს და არა რაიმე ზიანს მოუტანს პარტიას. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც გაიზიარებს ჩვენს პრინციპებს.“

ლეიბორისტული პარტია, რომელიც დამარცხდა საპარლამენტო არჩევნებში, ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური იყო ოპოზიციის წევრებს შორის. აი, რას ამბობდა მისი ლიდერი, შალვა ნათელაშვილი:

„ვერ ვიტყვი, რომ ოპოზიცია სუსტია. ჩვენ საკმაოდ დიდი ძალა ვართ. ეს დადასტურდა აშშ-ში ბოლოდროინდელი ვიზიტისას. თუმცა გამარჯვებულმა პარტიამ არ შეგვიშვა პარლამენტში. არსებობს ორი გადაწყვეტილება: ან ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ან დავიწყოთ ნამდვილი რევოლუცია, საიდანაც ჩვენ არ დავიხვეთ უკან. ამას კი შეიძლება ძალიან უსიამოვნო შედეგი მოჰყვეს.“

კარგი, მაგრამ ხარვეზებიანი დასაწყისი

წინ რეფორმებია

2004 წლის 2 აპრილს დაკავებული იქნა ოთხი პირი, რომლებსაც ბრალად ედებოდათ კავშირი სააკაშვილის მკვლელობის მიზნით სავარაუდო შეთქმულებასთან. აჭარის ლიდერმა აბაშიძემ უარყო რაიმე კავშირი ამგვარ ქმედებასთან. 2004 წლის მაისში ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში ფესვგამდგარმა ლიდერმა დაკარგა ძალა მას შემდეგ, რაც მან დაბლოკა ყველა პარტია კავშირი „ალორძინების“ გარდა და შეეცადა ყველა კავშირის მოჭრას საქართველოსთან. საქართველოში რეინტეგრირების შემდეგ აჭარას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ბათუმელი ტექნოკრატი. ამ რეგიონის წარმატებულმა ალორძინებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა სააკაშვილის მთავრობა თბილისში.

2005 წლის თებერვალში პრემიერ-მინისტრის და პრეზიდენტის მოკავშირის, ასევე, დამოუკიდებელი პარტიის ხელმძღვანელის, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებამ საქართველოს დიდი გამოცდილების მქონე სერიოზული პოლიტიკური მოღვაწე წაართვა. ჟვანია პრეზიდენტი სააკაშვილის შემაკავებელ ძალას წარმოადგენდა. იგი ერთადერთი იყო, ვისაც შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა პრეზიდენტის გადანყვეტილებისთვის. ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ავანსცენაზე ახალგაზრდა, რადიკალურად განწყობილი ფიგურები გამოჩნდნენ, მაგრამ მათ აკლდათ ყოფილი პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური აღზრდა და ადმინისტრაციული გამოცდილება.

საკაშვილის მთავრობამ წამოიწყო მსხვილმასშტაბიანი რეფორმები, რომელთაგან მრავალი მიმართული იყო კანონის უზენაესობის აღდგენისკენ და ფუნდამენტური სახელმწიფო ხელისუფლებისკენ. საზოგადოებისთვის ცნობილი ფიგურების, თანამდებობის პირების და ბიზნესმენების დაპატიმრება კორუფციის და გადასახადების დამალვის ბრალდებით სწრაფად გახდა ყველასთვის სიგნალი იმისა, რომ ქვეყანაში კორუფციას აღარ მოითმენდნენ. თუმცა უჩვეულოდ სწრაფმა სასამართლო გარჩევებმა და სასამართლოს მიერ დამნაშავეებად ცნობილი კრიმინალების განთავისუფლებამ საკმაოდ დიდი ჯარიმების გადახდის შემდეგ წარმოშვა კრიტიკა, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს მხრიდან,

ვინაიდან ეს ნიშნავდა შეუზღუდავი უფლებამოსილების გადაცემას პროკურატურისთვის. საკმაოდ ცუდი სახელის მქონე საგზაო პოლიციის უეცარმა დაშლამ და მისმა ჩანაცვლებამ უკეთ მომზადებული და აღჭურვილი ძალებით მნიშვნელოვანი და ძლიერი სიმბოლური დარტყმა მიაყენა კორუფციას.

მთავრობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სურვილი, მიემართა საუკეთესო დემოკრატიული პრაქტიკისთვის არა მხოლოდ საქართველოს ევროატლანტიკურ ბლოკში ინტეგრირების ამბიციის დასაკმაყოფილებლად, არამედ პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმის პროცესის მდგრადობის უზრუნველსაყოფადაც. მთავრობამ ჩამოაყალიბა სამართლებრივი რეფორმის პროგრამა, ხოლო სასამართლო რეფორმის მოდელად აიღო ევროპული სისტემა, მათ შორის შემოიღო რაიონული და სააპელაციო სასამართლოები. შეირჩნენ ახალი მოსამართლეები და პრეზიდენტმა სთხოვა ევროკავშირს მოსამართლეების გამოგზავნა, რომლებიც მოისმენდნენ როგორც სისხლის სამართლის, ასევე ბიზნეს-საქმეებსაც.

ათვითცნობიერებდა რა სექტანტურ ტრადიციებს, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიაწერდნენ ზოგიერთ ტრადიციულ ელემენტს ქართულ საზოგადოებაში, რომელიც კვლავაც უკავშირებდა ერთმანეთს ნაციონალიზმსა და მართლმადიდებლურ ტრადიციებს, მთავრობა დათანხმდა, ხმა მიეწვდინა რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებისთვის იმისათვის, რომ მათ მეტი მონაწილეობა მიეღოთ საქართველოში დაწყებულ დემოკრატიულ გარდაქმნებში.

მთავრობის მიერ 2004 წლის თებერვალში კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა, რომლებიც სასწრაფოდ იქნა მიღებული სააკაშვილის ინაუგურაციამდე, დიდი კრიტიკა გამოიწვია ქვეყანაში. ამ ცვლილებებმა შეასუსტა პარლამენტი და გაზარდა პრეზიდენტის ძალა. ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტი ნიშნავდა პრემიერ-მინისტრს, მას ასევე მიეცა შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრების დანიშვნისა და განთავისუფლების უფლება. მას ჰქონდა მინისტრთა კაბინეტის დანიშვნის უფლებაც, თუ ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა პარლამენტის მხარდაჭერის მიღებას სამი მცდელობის შემდეგ. გარდა ამისა, პრეზიდენტს

შეეძლო პარლამენტის დათხოვნა, თუ იგი სამჯერ გაუნევედა წინააღმდეგობას ბიუჯეტთან დაკავშირებულ წინადადებებს. კრიტიკოსები აცხადებდნენ, რომ აღნიშნული ცვლილებების მეშვეობით მთელი ძალა თავმოყრილი იყო აღმასრულებლის ხელში.

გარდა საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული გამოწვევებისა დემოკრატიზაციის, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის სფეროებში, ახალ მთავრობას უნდა ეზრუნა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის პრობლემაზე. მთავრობის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მათ ამ პრობლემის გადაჭრა სურდათ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით და არა სამხედრო ძალის გამოყენებით. ყველასათვის გასაგები იყო, რომ ძველმა მოდელმა ვერ შეძლო გადაუჭრელი საკითხების მოგვარება. ქართველები აცხადებდნენ, რომ მათ განზრახული ჰქონდათ კონფლიქტების გადაჭრის არსებული ტექნიკის გამოყენება — რეინტეგრაცია, იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება და ნდობის ჩამოყალიბება დაძაბულობის შესუსტების მიზნით. თუმცა მთავრობა არ ეთანხმებოდა საქართველოს ტერიტორიის დაყოფას ნებისმიერი სახით. მთავრობას ძალიან აშფოთებდა, მაგალითად, ევროკავშირისა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების მცდელობა, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ევროკავშირის მიერ იმ პასპორტების აღიარება, რომლებიც რუსეთმა დაურიგა საქართველოდან გამოყოფილი რეგიონების მოქალაქეებს.

2006 წლის ადგილობრივი არჩევნები

2006 წელს მსოფლიო ბანკმა საქართველო დაასახელა ყველაზე დიდ რეფორმატორად მსოფლიოში. თუმცა, პროგრესის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხვრობდა. მზარდ შემოსავალს მნიშვნელობას უკარგავდა ასევე მზარდი ინფლაცია; ეკონომიკურმა რეფორმებმა და რეპრესიებმა „შავ ბაზარზე“ უმუშევრად დატოვა ათასობით ადამიანი. რეფორმების დაწყების შემდეგ საქართველოს მრავალ მოქალაქეს უხდებოდა გადასახადების და კომუნალური მომსახურების საფასურის სრულად გადახდა. თუმცა სააკაშვილის მთავრობამ ომი გამოუცხადა კორუფციას, მისი კრიტიკოსები ვარაუდობდნენ კორუფციას თვით სააკაშვილის

გუნდში. ოპონენტები ამბობდნენ, რომ ხელისუფლება შერჩევით იყენებდა კანონებს პოლიტიკური ოპონენტების მიმართ და ადანაშაულებდნენ მას ავტორიტარულ მართვაში. მთავრობა კრიტიკის უდიდეს ქარცეცხლში მოექცა ციხეში აჯანყების უმონყალოდ ჩახშობის და იმ მკვლელობების გამოძიებისგან თავის შეკავების გამო, რომლებშიც ფიგურირებდნენ პოლიციის ოფიცრები.

ასეთ ფონზე 2006 წლის 5 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები. ეს იყო მთავრობის პირველი დიდი გამოცდა, თუ როგორ დაიცავდა იგი გამჭვირვალობას არარეგულაციურ პირობებში. გარდა ამისა, არჩევნები გამოავლენდა, თუ რამდენად ენდობოდა საზოგადოება როგორც „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“, მთელი რიგი სკანდალების შემდეგ, ასევე ოპოზიციას, რომელმაც დაიწყო გაძლიერება და რეორგანიზება. არჩევნები დაემთხვა რუსეთთან ურთიერთობის განსაკუთრებულად დაძაბვის პერიოდს. დიდი დიპლომატიური უსიამოვნების შემდეგ, რომელიც ეხებოდა რუსეთის სავარაუდო ჯაშუშობას, კრემლმა განყვიტა საქართველოსთან ყოველგვარი სატრანსპორტო თუ საფოსტო კავშირი.

„ახალმა მემარჯვენეებმა“ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. ეს პარტია პრეზიდენტ სააკაშვილს ადანაშაულებდა არჩევნების თარიღით უპრეცედენტო მანიპულირებაში, რაც ართმევდა ოპოზიციურ პარტიებს დროს მომზადებისთვის და საარჩევნო კამპანიების ჩატარებისთვის. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ატარებდა აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას 2006 წლის გაზაფხულიდან ყოველგვარი შეზღუდვებისა თუ კონტროლის გარეშე.

სამართლებრივ ბაზას მუნიციპალური არჩევნების ჩატარებისთვის წარმოადგენდა (თუმცა არა მხოლოდ) საარჩევნო კოდექსი, რომელიც მიღებული იქნა 2001 წელს და უკვე 15-ჯერ იყო შესწორებული 2006 წლის ივლისისთვის. საარჩევნო კანონმდებლობა ზოგადად ხელშემწყობი იყო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის, თუმცა უკეთესი იქნებოდა მისი შემდგომი დახვეწა მთელ რიგ საკითხებში.

წინასწარი შედეგების მიხედვით, არჩევნებში გაიმარჯვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ“, რომელსაც, დიდ უმრავლესობასთან ერთად, სათავეში ედგა პრეზიდენტი სააკაშვილი. უმეტესად სომხებით დასახლებულ ახალქალაქში აღმოჩნდა ერთა-

დერთი მუნიციპალიტეტი, სადაც ხმათა უმრავლესობა მოიპოვა ოპოზიციის წარმომადგენელმა პარტიამ „მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისისა და ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფალთა კონგრესის თანახმად:

„მუნიციპალური არჩევნები საქართველოში ჩატარდა ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის პრინციპების დაცვით; თუმცა თითქმის ნაშლილმა განსხვავებამ მმართველ ხელისუფალთა და წამყვან პარტიას შორის კიდევ უფრო გააძლიერა თანამდებობებზე მყოფთა უპირატესობა.“

საქართველოს და ევროკავშირის დროშების გარემოცვაში სააკაშვილი მიესალმა საქართველოს პირველ დემოკრატიულ მუნიციპალურ არჩევნებს, როგორც მისი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების გამოხატულებას.

„მოხარული ვარ განვაცხადო, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიპოვა ძალიან დამაჯერებელი გამარჯვება მთელ საქართველოში 2006 წლის მუნიციპალურ არჩევნებში; (. . .) ამ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის ხარისხი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ბოლო დროს ჩატარებულ რომელიმე სხვა ადგილობრივ არჩევნებში. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაცილებით მეტმა ადამიანმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. მოხსნილია ყველა რეკორდი.“

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა განაცხადა, რომ, საერთაშორისო დაძაბულობის მიუხედავად, არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა.

„არჩევნები ჩატარდა მაღალი სტანდარტების დაცვით და სრულ შესაბამისობში კანონთან. ღონისძიება გამჭვირვალე იყო. ობიექტურად, არა მგონია, რაიმე სერიოზულ დარღვევას შექონოდა ადგილი, ამიტომ ჩვენ, საარჩევნო კომისია, ვთვლით, რომ არჩევნებმა უმაღლეს დონეზე ჩაიარა.“

ოპოზიციის წევრები კი ყველაფერ ამას სხვაგვარად აღიქვამდნენ. ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, რომლის პარტია მესამე იყო უიმედო 10%-იანი მაჩვენებლით, სააკაშვილს „სისხლიანი დიქტატორი“ უწოდა და საერთაშორისო საზოგადოებრიობას სთხოვდა, არ ეღიარებინა არჩევნების შედეგები. დავით უსუფაშვილი რესპუბლიკური და კონსერვატიული პარტიების ბლოკიდან, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა, თუმცა უფრო მოზომილი იყო თავის გამოთქმებში, მაგრამ არანაკლებ კრიტიკული. მან განაცხადა:

„საქმე განსაკუთრებულად ცუდად იყო გორში, სადაც შეიარაღებული ადამიანები და პოლიციის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ხმების დათვლაში და საარჩევნო ურნების დასათვლელად გადაცემაში. ამ თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემებს ჰქონდა ადგილი ამბროლაურშიც. ფაქტობრივად, თითქმის შეუძლებელია ისეთი ოლქის დასახელება, სადაც არ ყოფილიყო მსგავსი პრობლემები.“

2006 წლის ადგილობრივი არჩევნები – საბოლოო შედეგები

არჩევნების სუბიექტები	თბილისი (ადგილები)		დანარჩენი საქართველო (ადგილები)		ადგილები სულ	ადგილები (%)
	მაჟ.	პროპ.	მაჟ.	პროპ.		
თოფაძე – მრეწველები	0	1	4	23	28	1.6 %
საქ. ლეიბორისტული პარტია შ. ნათელაშვილი	0	1	5	34	40	2.3 %
ნაც. მოძრაობა საქ. გაერთიანების და აღმშენებლობისათვის	25	9	927	578	1539	88.8 %
საქ. ეროვნული იდეოლოგიის პარტია	0	0	არ შეეს.		0	0 %
ს. ზურაბიშვილი საქართველოს გზა	0	0	3	0	3	0.2 %

საარჩევნო ბლოკი დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი	0	1	9	45	55	3.2 %
დამოუკიდებელი კანდიდატები	არ შეეს.	არ შეეს.	68	არ შეეს.	68	3.9 %
ადგილების რაოდენობა	25	12	1016	680	1733	100 %

წყარო: დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისი, არჩევნების დამკვირვებელთა შეზღუდული მისია; საბოლოო ანგარიში საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების შესახებ, 2006 წლის 5 ოქტომბერი

ვიმ ვან გელდერმა, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესის დელეგაციის ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნებოდა არჩევნების ჩატარებაში. მისი თქმით, მიუხედავად ამისა, მოსახლეობის აქტივობის წინასწარი მონაცემები უჩვენებდა, რომ საჭირო იყო მეტი პროგრესი ადგილობრივ საქმეებში მოქალაქეთა და პოლიტიკური ძალების მეტი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. სააკაშვილის ტრიუმფალური გამოსვლის მიუხედავად, მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.52 მლნ ამომრჩეველმა (რეგისტრირებული ამომრჩევლების 47.4%). აქტივობა უფრო დაბალი იყო თბილისში (34.7%), ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში (52.2%).

2007 წლის ნოემბრის მოვლენები

2007 წლის სექტემბერში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლებმა შეაქეს საქართველო მისი „საოცარი პროგრესისთვის“ რეფორმების გზაზე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. მათ ქვეყანას უწოდეს მაგალითი მთელი რეგიონის და ბევრი სხვა ქვეყნისთვის. 2007 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ განაცხადა, რომ საქართველო გამოვიდა იმ ქვეყნების რიგებიდან, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავისი „აღვირახსნილი კორუფციით“, და მას შეფასების

10 ქულიდან მიენიჭა ღირსეული 3.4 ქულა, რაც დიდი წარმატების მაჩვენებელი იყო. მაგრამ ეს პოზიტიური შედეგი არ შეესაბამებოდა იმ პოლიტიკურ კრიზისს, რომელიც არყევდა ქვეყანას.

კრიზისის ესკალაცია მოჰყვა თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის — რომელმაც მთავრობას ბრალი დასდო კორუფციასა და მკვლელობაში — დაპატიმრების გახმაურებულ საქმეს. 2000-2001 წლებში ირაკლი ოქრუაშვილი იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო. იგი შეუერთდა მიხეილ სააკაშვილის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და 2002 წელს არჩეული იქნა თბილისის საკრებულოს წევრად. 2003 წლის ნოემბერში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ოქრუაშვილი დაინიშნა სამხრეთ ოსეთის მეზობლად მდებარე შიდა ქართლის გუბერნატორად. ოქრუაშვილის ამოცანას წარმოადგენდა რეგიონში კორუფციის და კონტრაბანდის აღაგმვა.

2004 წლის იანვრიდან ოქრუაშვილი გენერალური პროკურორი იყო, ვიდრე სააკაშვილმა 2004 წლის ივლისში არ დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად, ხოლო 2004 წლის დეკემბერში გადაიყვანა თავდაცვის მინისტრად. თავდაცვის მინისტრის პოსტზე ყოფნისას ოქრუაშვილი ცნობილი იყო როგორც სამხრეთ ოსეთში სეპარატისტთა მიმართ სამხედრო მოქმედებების მომხრე. 2006 წლის 1 მაისს მან განაცხადა, რომ წავიდოდა დაკავებული თანამდებობიდან, თუ საქართველო არ აღადგენდა თავის ზეგავლენას სამხრეთ ოსეთში 2007 წლის 1 იანვრისთვის. 2006 წლის 10 ნოემბერს სააკაშვილმა იგი გადაიყვანა ეკონომიკური განვითარების მინისტრის თანამდებობაზე, რომელიც მან 2006 წლის 17 ნოემბერს დატოვა.

თითქმის ერთი წლის შემდეგ, 2007 წლის 25 სექტემბერს, ოქრუაშვილმა გამოაცხადა ახალი ოპოზიციური პარტიის — „მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის“ — შექმნის შესახებ და გააჩაღა პრეზიდენტ სააკაშვილის კრიტიკა. იგი ადანაშაულებდა მას კორუფციაში, არაკომპეტენტურობასა და ადამიანის უფლებათა დარღვევაში. მან ასევე ახალი მოსაზრებები წამოაყენა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. იგი ეჭვის ქვეშ აყენებდა ოფიციალური გამოძიების დასკვნას და პირადად სააკაშვილს ადანაშაულებდა ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის დაგეგმვაში. პარტიის შექმნის გამოცხადებას წინ უძღოდა დავა ფინანსურ დარღვევებზე, დაკავშირებული პარ-

ტიის ახალ ოფისთან, და კორუფციის ბრალდებით მიხეილ ქარელიის, ოქრუაშვილის ახლო მეგობრის და შიდა ქართლის გუბერნატორის, დაპატიმრება.

2007 წლის 27 სექტემბერს ოქრუაშვილი დააკავეს გამოძალვის, ფულის გათეთრების და თავდაცვის მინისტრად მუშაობისას თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით. 2007 წლის 28 სექტემბერს რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ პარლამენტის შენობასთან გამართა მშვიდობიანი მანიფესტაცია ირაკლი ოქრუაშვილის მხარდასაჭერად. 2007 წლის 8 ოქტომბერს, გენერალური პროკურორის აპარატის მიერ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერზე, სადაც ოქრუაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ მექრთამეობისთვის გამოძალვის გზით და დაუდევრობისთვის მინისტრის პოსტზე ყოფნისას, მან უკან წაიღო პრეზიდენტის მიმართ გამოთქმული ბრალდებები, რითაც მოიპოვა თავდებით გათავისუფლება 10 მილიონი ლარის გადახდის შემდეგ. ოქრუაშვილმა ასევე განაცხადა, რომ მის მიერ სააკაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებები არ შეესაბამებოდა სიმართლეს და მიმართული იყო მისთვის და ბადრი პატარკაციშვილისთვის პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებისკენ და საქართველოს პრეზიდენტის დისკრედიტაციისკენ. ზოგიერთი ოპოზიციონერის თქმით, ოქრუაშვილმა აღნიშნული განცხადება ზენოლის ქვეშ გააკეთა. თუმცა თვით ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ იგი მზად იყო თანამშრომლობისთვის გამოძიებასთან. საკუთარი დანაშაულის აღიარების შემდეგ ოქრუაშვილი გაათავისუფლეს. მან დატოვა საქართველო ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.

ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრების შემდეგ სულ მალევე ჩამოყალიბდა ერთიანი სახალხო მოძრაობის ეროვნული საბჭო, რომლის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების იმ ერთობლივი კამპანიის კოორდინირება, რომელსაც უნდა დაერწმუნებინა ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნების აპრილში ჩატარებაში ნაცვლად 2008 წლის ბოლოსი. საბჭომ გააერთიანა შემდეგი პარტიები:

რესპუბლიკური პარტია – ლიდერი დავით უსუფაშვილი
კონსერვატორული პარტია – ლიდერები კახა კუკავა და ზვიად ძიძიგური

„საქართველოს გზა“ – ლიდერი სალომე ზურაბიშვილი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი

პარტია „თავისუფლება“ – ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია, საქართველოს გარდაცვლილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი

„ჩვენ თვითონ“ – ლიდერი პაატა დავითაია

სახალხო პარტია – ლიდერი კობა დავითაშვილი

„მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“ – ჩამოყალიბებული თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ

„ქართული დასი“ – ლიდერი ჯონდი ბალათურია

ლეიბორისტული პარტია – ლიდერი შალვა ნათელაშვილი

„ეროვნული ფორუმი“ – ლიდერი კახა შარტავა

2007 წლის 2 ნოემბერს ათობით ათასი პროტესტანტი მივიდა დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე თავისი უკმაყოფილების გამოსათქმელად პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ – ეს ხდება „ვარდების რევოლუციიდან“ ოთხი წლის შემდეგ. ტრანსპარანტებით და შეძახილებით „გადადექი!“ და „საქართველო პრეზიდენტის გარეშე!“ ოპოზიციამ შეკრიბა ადამიანები პარლამენტის წინ, მოითხოვდა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას. ეს 2003 წლის შემდეგ ყველაზე დიდი თავყრილობა იყო. ოპოზიციის ლიდერები აცხადებდნენ, რომ რუსთაველზე 100 000-მა კაცმა მოიყარა თავი, მთავრობის შეფასებით 35 000 ადამიანი იყო, ხოლო ჟურნალისტების შეფასებით – 70 000.

ყველა იქ შეკრებილი არ უერთდებოდა ოპოზიციის მოთხოვნებს. ისინი შეგროვდნენ იქ იმიტომ, რომ მთავრობა არღვევდა ადამიანის უფლებებს, ახდენდა პოლიტიკის პოლარიზებას და უარს ამბობდა ოპოზიციასთან შეხვედრაზე. ისინი უჩიოდნენ მუდმივ უმუშევრობას (15% მთავრობის მონაცემებით) და ცხოვრების გაძვირებას მაშინ, როცა შემოსავალი იგივე რჩებოდა. ადამიანები გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას, მაგრამ არც ახალ რევოლუციას უჭერდნენ მხარს. მრავალი მათგანი მისული იყო იქ არა არჩევნების თარიღის შესაცვლელად, არამედ მთავრობისგან მოსათხოვნად, უფრო მეტი ეფიქრა ახალი სამუ-

შაო ადგილების შექმნაზე. ისინი მოითხოვდნენ უკეთეს პენსიებს და მეტ სოციალურ პროგრამას. ოპოზიციამ უბრალოდ ადამიანებს მისცა საკუთარი თავის გამოხატვის და პროტესტის გზით მთავრობისა და პარლამენტისთვის თავისი აზრის მიწოდების შანსი. პარლამენტის წევრებს დაკარგული ჰქონდათ ყოველგვარი კავშირი თავის ელექტორატთან. პარლამენტართა უმრავლესობა არც კი შეხვედრია თავის ამომრჩეველებს იმის ასახსნელად, თუ რა მოხდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. მრავალი ქართველი უგულბელყოფილად გრძნობდა თავს. აქედან გამომდინარე, ისინი ჩამოვიდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ავტობუსებით, მანქანებითა თუ მატარებლით.

2007 წლის 6 ნოემბრისთვის პროტესტი გამძაფრდა, ხოლო 2007 წლის 7 ნოემბერს უკიდურესი სახე მიიღო, როცა პოლიციამ შეკრებილები დაარბია წყლის ჭავლებით, რეზინის ტყვიებით და ცრემლსადენი გაზით. მას შემდეგ, რაც საპატრულო პოლიციამ ვერ შეძლო პროტესტანტების დაშლა და რუსთაველის გამზირის გათავისუფლება, გამოჩნდა ასობით საგანგებო დანიშნულების რაზმელი, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ფარებით და ხელკეტებით. ხელკეტებიანი და ფარებიანი პოლიციელები უმონყალოდ სცემდნენ შეკრებილთ. საგანგებო დანიშნულების რაზმის გარდა შეტევაზე იყო გადასული შავებში ჩაცმული ასობით ნიღბიანი ადამიანი.

ოპოზიციის მიმართ ლოიალურად განწყობილი ორი ტელევიზია, „იმედი“ და „კავკასია“, გაითიშა ეთერიდან. „იმედის“ თანამფლობელი იყო მედია-მაგნატი ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც აფინანსებდა „ეროვნულ საბჭოს“ და იმუქრობდა გამოსვლების დაფინანსებით, ვიდრე არ წავიდოდა მთავრობა. 2007 წლის 7 ნოემბრის საღამოს ავტომატებით შეიარაღებულმა პოლიციის ნიღბიანმა ოფიცრებმა დალუქეს „იმედის“ ოფისი და დიდი რაოდენობით ტექნიკაც დააზიანეს. აღნიშნულის საპასუხოდ ბადრი პატარკაციშვილმა განაცხადა:

„ნურავის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ მთელი ჩემი ძალისხმევა, ფინანსური რესურსები უკანასკნელ თეთრამდე დაიხარჯება ამ ფაშისტური რეჟიმისგან საქართველოს განთავისუფლებისთვის.“

„კავკასია“, თბილისის მაუწყებელი, იმავე შენობაში იყო განლაგებული, სადაც „იმედი“, და ისიც გაითიშა ეთერიდან, როგორც ითქვა, „ტექნიკური ხარვეზების“ გამო.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ თბილისის საავადმყოფოებს დახმარებისთვის მიმართა 508 ადამიანმა. უმრავლესობა უჩიოდა ცრემლდენი გაზის ზემოქმედებას. ასევე დაშავებული აღმოჩნდა ძალოვანი სტრუქტურების 23 წარმომადგენელი. არეულობის დროს დაპატიმრებული იქნა 21 ადამიანი. მთავრობამ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობაში დაადანაშაულა რუსეთის სპეცსამსახურები და მთელ ქვეყანაში იმავე დღეს საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამ რეჟიმის მოქმედებამ 2007 წლის 16 ნოემბრამდე გასტანა. შედეგად, ახალი ამბები შეიზღუდა ყველა კერძო ტელევიზიაში 15 დღის განმავლობაში. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იყო ერთადერთი ტელევიზია, რომელსაც ჰქონდა ეთერში ახალი ამბების პროგრამის გაშვების უფლება.

2007 წლის 8 ნოემბერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოაცხადა კომპრომისული გადაწყვეტილება, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 5 იანვარს ჩატარებულიყო. მან ასევე შესთავაზა ოპოზიციას ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად პლებისციტის ჩატარება იმის თაობაზე, თუ როდის ჩატარებულიყო პარლამენტის არჩევნები – გაზაფხულზე, როგორც ამას ითხოვდნენ ოპოზიციური პარტიები, თუ 2008 წლის ბოლოს.

სულ მალე საქართველოს ოპოზიციამ გამოაცხადა მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტის შეჩერება თბილისში. ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილება აღიქვა პირველ ნაბიჯად პოლიტიკური გამიჯვნის დასასრულისკენ და დათანხმდა მოლაპარაკებას პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან. 2007 წლის 7 ნოემბრის სატელევიზიო გამოსვლაში სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი სამშობლო იდგა „არეულობების სერიოზული საშიშროების წინაშე“:

„ბოლო თვეების განმავლობაში სულ გვესმოდა, რომ შემოდგომაზე საქართველოში მოსალოდნელი იყო არეულობა. ამ ინფორმაციას ვიღებდით ჩვენი დაზვერვისგან და სხვადასხ-

ვა ქვეყნის დედაქალაქებიდან, სადაც ჩვენ გვყავს მეგობრები, რომლებიც გვანვდიან ინფორმაციას. ასევე გვესმოდა, რომ მოსკოვში უკვე შექმნილი იყო ალტერნატიული მთავრობა.“

იმავე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა აუდიო და ვიდეორჩანანერები, რომლებითაც უნდოდა საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, როგორ თანამშრომლობდნენ ოპოზიციის ლიდერები – რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ლევან ბერძენიშვილი, ოპოზიციური ჯგუფი „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი გიორგი ხაინდრავა, პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია და ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი — რუსეთის კონტრდაზვერვის სამსახურთან რუსეთის სამ დიპლომატიან შეხვედრისას.

ოპოზიციის ლიდერებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველმა მკაცრად გააკრიტიკეს მთავრობის მოქმედებები. მათ დაადანაშაულეს პოლიცია გადამეიტებული ძალის გამოყენებაში და გამოთქვეს ეჭვი, რომ პროტესტანტებზე თავდასხმებში მონაწილეობას მოქალაქეთა ორგანიზებული ჯგუფებიც იღებდნენ. აღინიშნებოდა უკანონო დაპატიმრების, ცემის და დაშინების ფაქტები; გამოითქვა შემფოთება კერძო სატელეფონო საუბრების ჩანერის პრაქტიკის გაზრდის მიმართ, ხოლო მთავრობას მედიის კონტროლში დასდეს ბრალი.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

2008 წლის 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა პლებისციტი საპარლამენტო არჩევნების თარიღის დადგენასთან და ნატო-ს წევრობასთან დაკავშირებით. სააკაშვილი გამოცხადდა გამარჯვებულად ხმების 53.4%-ის დაგროვების შედეგად, რაც ოპოზიციამ არჩევნების გაყალბებად აღიქვა. არჩევნების დამკვირვებელთა საერთაშორისო მისია, რომელშიც შედიოდნენ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და ევროპის პარლამენტი, მიესალმა არჩევნებს 2008 წლის 6 იანვარს

გამოცემულ წინასწარი შედეგების და დასკვნების ერთობლივ განცხადებაში:

„ეს იყო პირველი ნამდვილად კონკურენტული საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყანაში, რომელმაც ქართველ ხალხს მისცა თავისი პოლიტიკური არჩევანის გამოხატვის საშუალება.“

თუმცა განცხადებაში ასევე ნათქვამი იყო:

„მართალია, საქართველოში 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები ძირითადად შეესაბამებოდა დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებს, აღმოჩენილი იქნა სერიოზული გამოწვევებიც, რომლებიც სასწრაფოდაა მოსაგვარებელი.“

2007 წლის 10 ნოემბერს ბადრი პატარკაციშვილმა, რომელსაც მთავრობა ბრალს სდებდა სააკაშვილის წინააღმდეგ რუსეთის მიერ ინიცირებული სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვაში, გამოაცხადა, რომ იქნებოდა პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი. ამის საპასუხოდ ოპოზიციურმა პარტიებმა განაცხადეს, რომ ისინი დაასახელებდნენ ერთ კანდიდატს არჩევნებისთვის, რომელიც „დიდი სიურპრიზი“ გახდებოდა ყველასთვის და რომელსაც „გამარჯვების დიდი შანსი ექნებოდა“ და რომ ეს არ იქნებოდა არც ბადრი პატარკაციშვილი, არც თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და არც რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი. 2007 წლის 12 ნოემბერს მათ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს პარლამენტარი ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც წინ უძღოდა 2007 წლის დემონსტრაციებს. ლეიბორისტული პარტია მხარს უჭერდა თავის ლიდერს, შალვა ნათელაშვილს როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, ხოლო „ახალმა მემარჯვენეებმა“ დაასახელეს პარლამენტარი დავით გამყრელიძე. სააკაშვილი თავისი პარტიის მხრიდან დასახელებული იქნა 2007 წლის 23 ნოემბერს. გარდა ამისა, თავისი კანდიდატურები წამოაყენეს ვია მაისაშვილმა, პარტია „მომავლის“ ლიდერმა, და ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ, პრორუსული პარტია „იმედის“ ლიდერმა. ოპოზიციური პარტიების მიერ დასახელებული იქნა ექვსი კანდიდატი. ოპოზიციამ კიდევ ერთხელ გაუშვა ხელიდან ერთი საერთო კანდიდატის წამოყენების შესაძლებლობა.

2007 წლის დეკემბრის ბოლოს დებატების თემად იქცა ბადრი პატარკაციშვილი, რომელმაც აღიარა, რომ იგი ფინანსურ დახმარებას უწევდა ნოემბრის გამოსვლებს. ხელისუფლებამ მას ბრალი დასდო არჩევნებში მონაწილე ოფიციალური პირის მოსყიდვის მცდელობაში და გაავრცელა მთელი რიგი აუდიო-ვიდეორჩანაწერებისა, სადაც ნაჩვენებია იყო ბადრი პატარკაციშვილის ორი შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსან ერეკლე კოდუასთან და პატარკაციშვილის წინასაარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელთან ვალერი გელბახთან. ამ ჩანაწერების მიხედვით პატარკაციშვილი ცდილობდა კოდუას მოსყიდვას და სთხოვდა მონაწილეობას 2008 წლის 6 იანვრის მოვლენებში, რასაც მთავრობა უწოდებდა სახელმწიფო არეულობის მცდელობას. გეგმა გულისხმობდა მასობრივი მანიფესტაციების მოწყობას მთავრობის წინააღმდეგ და შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის „ნეიტრალიზაციას“.

ბრალდებებმა პატარკაციშვილი აიძულა, თავდაცვაზე გადასულიყო. მან დაადასტურა, რომ შეხვდა კოდუას ლონდონში, მაგრამ განაცხადა, რომ ქრთამი არ იყო დაკავშირებული სავარაუდო სახელმწიფო არეულობასთან. იგი ამბობდა, რომ მის განზრახვას წარმოადგენდა არჩევნების მოწყობასთან დაკავშირებით ოფიციალური გეგმების გამოაშკარავება. მან ასევე დაადასტურა, რომ შესთავაზა კოდუას „დიდი რაოდენობის ფული“ იმისათვის, რომ გამოყოფოდა ხელისუფლებას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული მთავრობის მხრიდან 2008 წლის იანვრის გამოსვლების მონაწილეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენება.

2007 წლის 26 დეკემბერს რამდენიმე წამყვანი ჟურნალისტი წავიდა „იმედიდან“, რომლის თანამფლობელი პატარკაციშვილი იყო. იმავე დღეს, მოგვიანებით, ტელევიზიის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ „იმედი“ დროებით წყვეტს მაუწყებლობას, ვიდრე „არ დადგინდება ტელეარხის კანონიერი მფლობელობის საკითხი“. „ამ გზით ჩვენ ვემიჯნებით ჭუჭყიან პოლიტიკურ თამაშებს“, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ, „იმედის“ პოლიტიკური პროგრამების ხელმძღვანელმა. ოპოზიციური პოლიტიკოსები, რომლებიც ადრე კავშირში იყვნენ პატარკაციშვილთან, ასევე შეეცადნენ მისგან დისტანცირებას და დაგმეს უკანონო მეთოდები, რომლებსაც იყენებდა როგორც ხელისუფლება, ასევე „სხვა ძალები“. ამ „სხვა ძალებში“

ისინი აშკარად პატარკაციშვილს გულისხმობდნენ. უნინდელი განცხადებების მიუხედავად, პატარკაციშვილმა არჩია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

ამასობაში ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისმა გაავრცელა ორი შუალედური ანგარიში საარჩევნო კამპანიის შესახებ. ანგარიშში ნათქვამი იყო:

„სამართლებრივი ბაზა, თუ კეთილსინდისიერად განხორციელდება, ზოგადად ხელშემწყობია საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის.“

მიუხედავად ამისა, ამ ორგანიზაციამ შეშფოთება გამოთქვა ქვეყნის პოლიტიკურ სექტორში „ძალზე პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოსთან“, სააკაშვილის მიერ ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენებასთან და ქართულ მედიაში ბაღანის უკმარისობასთან დაკავშირებით.

წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოში ასევე აღინიშნებოდა სეპარატისტულ აფხაზეთთან დაძაბულობის ზრდა. 2008 წლის იანვარში საქართველოს მედიაში გავრცელდა ცნობები ქართველებზე თავდასხმების შესახებ გალის რაიონში, რომელსაც აკონტროლებს *de facto* აფხაზური ადმინისტრაცია. ასევე ვრცელდებოდა ცნობები, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველების წინააღმდეგ აფხაზეთის ოფიციალური პირები მიმართავდნენ დაშინების პოლიტიკას, რათა მოსახლეობას არ მიეღო მონაწილეობა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში. იმ დროს გადაიწვა, სულ ცოტა, შვიდი ქართული ოჯახის სახლ-კარი.

თუმცა ოფიციალური აფხაზეთი უარყოფდა ამგვარ ბრალდებებს, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა წინო ბურჯანაძემ გააფრთხილა საზოგადოება, რომ ხორციელდებოდა გარკვეული ზომები წინასაარჩევნო პერიოდში კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დასაძაბავად (საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს, რომ გადარჩევის კანდიდატი პრეზიდენტი უნდა გადადგეს თავისი პოსტიდან წინასაარჩევნო პერიოდში და მისი ადგილი უნდა დაიკავოს პარლამენტის სპიკერმა – ამ შემთხვევაში წინო ბურჯანაძემ).

კანდიდატები ოპოზიციის მხრიდან ამტკიცებდნენ, რომ ხმები გაყალბდა. ლევან გაჩეჩილაძის მხარდამჭერები ელოდნენ ოფიციალურ შედეგებს, მაგრამ თვით კანდიდატმა 2008 წლის 6 იანვარს თბილისში დიდი მიტინგი მოაწყო „არჩევნების ჭეშმარიტი შედეგების დასაცავად“. მიტინგზე ოპოზიციის თითქმის 7-9 ათასი მხარდამჭერი მოვიდა. ოპოზიციის ლიდერებმა მიმართეს თავის მხარდამჭერებს მონოდებით, ისეუ გამოსულიყვნენ 2008 წლის 8 იანვარს ლევან გაჩეჩილაძის გამარჯვების საზეიმოდ.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგები

კანდიდატები	ხმები	%
მიხეილ სააკაშვილი	1,060,042	53.47
ლევან გაჩეჩილაძე	509,234	25.69
ბადრი პატარკაციშვილი	140,826	7.10
შალვა ნათელაშვილი	128,589	6.49
დავით გამყრელიძე	79,747	4.02
გია მაისაშვილი	15,249	0.77
ირინა სარიშვილი-ჭანტურია	3,242	0.16
გაუქმებული ხმები	33,129	1.67
უფლებამოსილი ამომრჩევლები	3,527,964	100.0
სულ	1,982,318	56.19

წყარო: ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე დაკვირვების მისიის დასკვნითი ანგარიში, 2008 წ. 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების შემდგომ შუალედურ ანგარიშში 2008 წლის 6-18 იანვრის პერიოდთან დაკავშირებით აღინიშნებოდა, რომ:

„არჩევნების დღის შემდეგ პოლიტიკური გარემო კვლავაც პოლარიზებული რჩებოდა. ოპოზიციური პარტიები ხმამაღლა აცხადებდნენ მრავალი დარღვევის და გაყალბების შესახებ და მოითხოვდნენ გაყალბებული შედეგების გაუქმებას და არჩევნების მეორე ტურის ჩატარებას.“

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ დაადგინა მთელი რიგი პრობლემებისა შემაჯამებელი ოქმების შედგენის პროცესში, მათ შორის არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებული განსხვავებული მონაცემების მაგალითები და რამდენიმე ოლქიდან მიღებული ცნობები მაღალი აქტივობის შესახებ, განსაკუთრებით კენჭისყრის ბოლო საათებში.

საარჩევნო სიებში არჩევნების დღეს დამატებული ამომრჩევლების ხმების დათვლისას ცესკო-მ არ გამოიყენა ერთგვაროვანი პროცედურა, განსაკუთრებით კი ბიულეტენების ბათილობის დადგენისას.

ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლოები სრულად და სათანადოდ არ განიხილავდნენ და იკვლევდნენ დიდი რაოდენობით საჩივრებს, რომლებიც ეხებოდა კანონდარღვევებს კენჭისყრისას, ხმების დათვლისას და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენისას."

2008 წლის საპარლამენტო არჩევნები

2008 წლის 5 იანვარს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნების თარიღთან დაკავშირებული პლებისციტიც. პლებისციტმა გვიჩვენა, რომ ამომრჩევლების უდიდეს ნაწილს სურდა არჩევნების გაზაფხულზე ჩატარება. პრეზიდენტმა სააკაშვილმა არჩევნები 2008 წლის 21 მაისს დანიშნა.

წინასაარჩევნო პროცესს აკვირდებოდა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისი და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და, ასევე, დამკვირვებლები მთელი რიგი ორგანიზაციებიდან: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებლები აღნიშნავდნენ „მცირე ან საერთოდ არავითარ გაუმჯობესებას“ პოლიტიკურ კლიმატში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. მონიტორთა მისია აცხადებდა:

„პრეზიდენტის ბოლო არჩევნების შემდეგ შეინიშნება პოლიტიკური კლიმატის მცირე ან საერთოდ არავითარი გაუმჯობესება. პოლიტიკურ კლიმატში კვლავ სახეზეა უნდობლობა და კონსტრუქციული დიალოგის არარსებობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. . ნდობის და თანამშრომლობის ნაკლებობა განსაკუთრებით აშკარად ჩანს საარჩევნო რეფორმის ჩაშლაში, რომელზეც ხელისუფლება და ოპოზიცია ჯერ კიდევ 2007 წლის მოვლენების შემდეგ შეთანხმდნენ.“

2008 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო საარჩევნო კოდექსის შესწორებები, რომელშიც გათვალისწინებული იქნა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის ისეთი რეკომენდაციები, როგორცაა ამომრჩეველთა დამატებითი სიების და ამომრჩეველთა არჩევნების დღეს რეგისტრირების გაუქმება; საარჩევნო ბარიერის დაწევა 7%-დან 5%-მდე; გასაჩივრების პროცედურების გამარტივება; და პარტიების მიერ დანიშნულ წარმომადგენელთა შემოღება საოლქო კომისიებში. თუმცა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისმა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ასევე აღნიშნეს, რომ მთელი რიგი სხვა რეკომენდაციებისა კვლავაც უყურადღებოდაა დატოვებული.

წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა მთავარი პოლიტიკური ძალების გადაჯგუფება. 2008 წლის 29 თებერვალს ზომიერმა რესპუბლიკურმა პარტიამ დატოვა ცხრა პარტიისგან შემდგარი ოპოზიციური კოალიცია, რომელიც სათავეში ედგა 2007 წლის ნოემბრის ანტისამთავრობო პროტესტს, და გამოაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებდა მონაწილეობას. რესპუბლიკელების სამიზნე ჯგუფი ზომიერი და მოორჭოფე ამომრჩეველებისგან შედგებოდა. ამავე დროს, პარტია „ახალი მემარჯვენეები“, რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა 2007 წლის დემონსტრაციებში, შეუერთდა ცხრა პარტიისგან შემდგარ კოალიციას საარჩევნო ბლოკის „გაერთიანებული ოპოზიცია-ახალი მემარჯვენეების“ სახელით.

2008 წლის 21 აპრილს ნინო ბურჯანაძემ, პარლამენტის გადა-
მდგარმა თავმჯდომარემ და სააკაშვილის ყოფილმა მოკავშირემ,
უარი განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიით არ-
ჩევნებში მონაწილეობაზე, ვინაიდან, მისი სიტყვებით, „ერთიანი
ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს შორის არ იყო კონსენსუსი
პარტიულ სიასთან დაკავშირებით. აღნიშნულის შედეგად მან და
მისმა გუნდმა არ მიიღეს მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში.

ამ არჩევნებში მთლიანობაში მონაწილეობდა სამი საარჩევნო
ბლოკი და ცხრა პარტია. 2008 წლის 5 მაისს აშშ-ში დაფუძნებულ-
მა კომპანიამ “Greenberg Quinlan Rosner“-მა გამოაქვეყნა „ერთია-
ნი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წამოწყებული გამოკვლევის
შედეგები, რომელთა მიხედვით მმართველ პარტიას მხარს უჭერდა
ამომრჩეველთა 44%, „გაერთიანებულ ოპოზიციას“ – 12%, „ქრის-
ტიანულ-დემოკრატიულ მოძრაობას“ – 11%, „ლეიბორისტულ
პარტიას“ – 7%, „რესპუბლიკურ პარტიას“ – 4%, ხოლო 16%-ს არ
ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება. საბოლოო შედეგების მიხედ-
ვით მმართველმა პარტიამ მიიღო ხმათა 59.5%, „გაერთიანებულმა
ოპოზიციამ“ – 17.7%, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ – 8.3%, ხოლო
„ლეიბორისტულმა პარტიამ“ – 7.6%. დანარჩენმა პარტიებმა ვერ
გადალახეს 5%-იანი ბარიერი.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები

პარტიები და გაერთიანებები	ხმები	%	ადგილები		
			პროპ.	მაჟ.	სულ
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამარჯვებული სა- ქართველოსთვის“	1,050,237	59.18	48	71	119
„საარჩევნო ბლოკი გაერთია- ნებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეები)“	314,668	17.73	15	2	17
გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები	153,634	8.66	6	0	6
შალვა ნათელაშვილი – ლეი- ბორისტული პარტია	132,092	7.44	6	0	6
საქართველოს რესპუბლიკური პარტია	67,037	3.78	0	2	2

„შემარჯვენე ალიანსი, თოფაძე-მრენველები (მგს, ერთობა, ედპ)“	16,440	0.93	0		
„პოლიტიკური გაერთიანება ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი“	15,839	0.89	0		
„მოქალაქეთა პოლიტიკური კავშირი – ქართული პოლიტიკა“	8,231	0.46	0		
„საარჩევნო ბლოკი ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო – ქალთა პარტია“	7,880	0.44	0		
„პოლიტიკური გაერთიანება ქართველ სპორტსმენტა კავშირი“	3,308	0.19	0		
სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაც. პარტია	3,180	0.18	0		
„საქ. პოლიტიკური პარტია ჩვენი ქვეყანა“	2,101	0.12	0		
ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობა	3,465,736				
არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა	1,850,407				
ამომრჩეველთა აქტივობა		53			

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

2008 წლის 22 მაისს წინასწარი შედეგებისა და დასკვნების შესახებ განცხადებაში არჩევნების დამკვირვებელთა საერთაშორისო მისიამ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით საპარლამენტო არჩევნების პროცესში აღინიშნა გაუმჯობესებები:

„თუმცა კვლავაც გადასაჭრელია აშკარა სირთულეები არჩევნებში დაინტერესებულ პირებსა და საზოგადოებაში ნდობის ნაკლებობის გადალახვისა და რწმენის გაღვიძების მიზნით. ამას დიდი შრომა დასჭირდება მთავრობის და, ასევე, სხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან.“

„გაერთიანებული ოპოზიციის“ და ლეიბორისტული პარტიის ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა ახლად არჩეულ პარლამენტს. მათ ვერ გაათვითცნობიერეს ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ისინი აირჩიეს თავიანთ ნარმომადგენლებად პარლამენტში მათი ინტერესების დასაცავად. მათ ისიც ვერ გაიგეს, რომ პარლამენტის ბოიკოტით ისინი დაკარგავდნენ მთავარ პლატფორმას, საიდანაც ისინი თავისუფლად შეძლებდნენ თავიანთი აზრების მიწოდებას საზოგადოებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მმართველ პარტიას ჰქონდა კონსტიტუციური უმრავლესობა პარლამენტში, ოპოზიცია მაინც შეძლებდა ზემოქმედებას პარლამენტში გადაწყვეტილებათა მიღებაზე.

დასკვნები

დამოუკიდებლობის თვრამეტი წლის განმავლობაში საქართველომ ააშენა მრავალპარტიული სისტემა, რომელიც ჯერაც არ არის კონსოლიდირებული. სისტემაში ყოველთვის დომინირებდა რომელიმე ერთი პარტია. ადრე ეს იყო „მრგვალი მაგიდა“, შემდეგ მას შეენაცვლა „მოქალაქეთა კავშირი“, ხოლო შემდეგ — „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“. მმართველი პარტიების მოღვაწეობას ახასიათებდა გარკვეული პროგრესი, მაგრამ, ასევე, დაპირებების შეუსრულებლობა, კორუფცია და დემოკრატიული ფასეულობების კომპრომეტირება პოლიტიკური მიზნებით. აქედან გამომდინარე, იზრდებოდა მმართველი პარტიების შიგნით ცალკეული ადამიანების უკმაყოფილება და ეჭვის ქვეშ აყენებდა ხელმძღვანელობას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ხელისუფლების ცვლა ძალადობრივი, არაკონსტიტუციური გზით. „მრგვალი მაგიდა“ პირველი მსხვერპლი გახდა, რომელიც დაიშალა სულ რაღაც თორმეტ თვეში, იგივე ბედი ეწია „მოქალაქეთა კავშირს“, რომელმაც ქვეყნის სათავეში ათწელიწადს გაძლო. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამ დროისთვის უკვე ხუთი წელია მართავს სახელმწიფოს.

მმართველი პარტიების ლიდერები ყოველთვის ხმათა დიდ უმრავლესობას იღებდნენ: ზვიად გამსახურდიამ – 86%, ედუარდ შევარდნაძემ – 79.82%, მიხეილ სააკაშვილმა კი ხმათა 96.24% მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ ვითარებაში საქართველოს

საზოგადოებას სწამდა, რომ სიტუაცია გამოსწორდებოდა ქარიზმატული ლიდერის არჩევით, რომელზეც ის ამყარებდა უკეთესი მომავლის იმედს. პირველი პრეზიდენტის შეცვლას სისხლისღვრა მოჰყვა; მეორედ ეს მშვიდობიანად განხორციელდა – რევოლუციას მსხვერპლი არ მოჰყოლია. დრო გვიჩვენებს, როგორ განვითარდება საქართველოში მოვლენები ამ თვალსაზრისით.

დამოუკიდებლობის იმავე თვრამეტი წლის განმავლობაში ოპოზიცია ვერა და ვერ გაძლიერდა, ხოლო მრავალი მისი წარმომადგენელი დღესაც რაღაც მოძრაობასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციას ჰგავს. მათ ხშირად ადანაშაულებდნენ დემაგოგიაში და შიდა დემოკრატიის ნაკლებობაში: მათი ლიდერები პერსონალურად იღებენ ყველა გადაწყვეტილებას. ეს შიდა კონფლიქტს წარმოშობს, რასაც ხშირად მოჰყოლია პარტიის დაყოფა ან მთლიანად დაშლაც კი. ერთის მხრივ, დაყოფა კიდევ უფრო მეტ პარტიას წარმოშობს, მაგრამ, მეორეს მხრივ, იგი ხელს უშლის მათ გაერთიანებას და სტრუქტურულ თუ პროგრამულ ჩამოყალიბებას.

ზოგიერთი პარტია იყო და დარჩა პატარა, ცუდად ორგანიზებულ და ცუდი სტრუქტურის მქონედ. მათ არა აქვთ აუცილებელი მექანიზმები, არ შესწევთ თანმიმდევრული მოქმედების უნარი და არ შეუძლიათ ადგილობრივი წარმომადგენლობების გახსნა. ზოგიერთ პარტიას არა აქვს თანხები საარჩევნო კამპანიების დროს ეფექტიანი ორგანიზაციული საქმიანობისთვის. ამის გამო ისინი არ და ვერ აწვდნენ ხმას საზოგადოებას. ასე სუსტად ორგანიზებულ ოპოზიციას არ შესწევდა გამოსასწორებელი ფუნქციების შესრულების უნარი, რაც აუცილებელია მმართველი პარტიის კონტროლისთვის.

ძირითადად, საერთო სურათი ხელოვნურია. ქალაქებში უამრავი პოლიტიკური პარტიაა, მაგრამ ცხოვრებაში ცოტა მათგანს თუ აქვს გამართული სტრუქტურა და პოლიტიკური პარტიისთვის დამახასიათებელი მოქმედების შესაძლებლობა. მათი ურთიერთობა და კავშირი საზოგადოებასთან ეფუძნებოდა და ეფუძნება შიმშილობას და დემონსტრაციებს, რომლებმაც დაწყებული „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე, 2008 წლის ბოლომდე, ვერ მოიტანა ვერც ცვლილება მთავრობაში და ვერც რევოლუცია.

ყველაფერი ზემოთ თქმული მიგვანიშნებს, რომ საქართველომ ჯერაც ვერ ჩამოაყალიბა სტაბილური პოლიტიკური სისტემა მთავრობას, საზოგადოებას და პოლიტიკურ პარტიებს შორის კავშირებით. თუმცა ბოლო 10-15 წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა, ნათელია, რომ ქვეყანას კიდევ წლები დასჭირდება შიდა პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად. აშკარაა, რომ პოლიტიკურ პარტიებს უნდა გაუჩნდეს დღის წესრიგის ჩამოყალიბების, პლატფორმის შექმნის, შიდა დემოკრატიის დამყარების და მოქალაქეებთან ურთიერთობის სურვილი. თუ ეს მოხდება, საქართველო შეძლებს ახალი განზომილებების მიღწევას თავის მრავალპარტიულ სისტემაში და პოლიტიკური კულტურის შემდგომ განვითარებას. სიტყვა „მრავალპარტიული“ არ ნიშნავს პარტიების შეუზღუდავ რაოდენობას. ორ პარტიასაც კი შეუძლია ჯანსაღი კონკურენციის შექმნა, რომელშიც ჩაერთვება საზოგადოება, რომელიც უბიძგებს მთავრობას მეტი გამჭვირვალობისკენ, ურთიერთობისა და გულისხმიერებისკენ და რომელიც ამომრჩეველებს პასუხისმგებლობაზე დამყარებულ არჩევანს შესთავაზებს.

მედია და მედია-ბარემო

ავტორი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

საარჩევნო კამპანიის გაშუქება ტელევიზიით

შესავალი

ნაშრომში განხილულია მთავარი სატელევიზიო არხების როლი საქართველოში 2008 წლის საარჩევნო კამპანიაში. სტატიის ძირითადი დასკვნები ეფუძნება მედიის მონიტორინგის პროექტს, რომელიც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განახორციელა კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტმა. სტატია იწყება 2007 წლის ნოემბრის შემდეგ მედიისთვის შექმნილ გარემოს აღწერით. მასში მოცემულია პროექტის მთავარი დაშვებები და შედეგები. სტატია სრულდება დასკვნებით.

მედია და პოლიტიკა 2007 წლის ნოემბრის შემდეგ

2008 წლის პირველი ნაწილი ძალიან აქტიური იყო ქართულ პოლიტიკაში – რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა 2008 წლის 5 იანვარს, ხოლო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები (2008 წლის მარტში მიღებული კონსტიტუციის დებულების საფუძველზე) – 2008 წლის 21 მაისს.

პოლიტიკურმა აქტიურობამ ზრდა 2007 წლის ოქტომბერში დაიწყო, როცა ყველაზე ცნობილი ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ მთავრობის წინააღმდეგ განწყობილი ადამიანების დიდი რაოდენობის მიზიდვის და სააკაშვილის და მისი მმართველი პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“, წინააღმდეგ დიდი გამოსვლების ორგანიზების მიზნით. ოპოზიციური პარტიების

მოთხოვნები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ მათ საერთო ჰქონდათ ერთი მოთხოვნა: საპარლამენტო არჩევნების ჩატარება 2008 წლის გაზაფხულზე, მოქმედი პარლამენტის მუშაობის ოთხნობიანი ვადის ბოლოს, და არა 2008 წლის შემოდგომაზე, როგორც ეს დადგენილი იყო კონსტიტუციის 2006 წლის დეკემბერში მიღებული შესწორებით.

2007 წლის ნოემბერში მთავრობამ ოპოზიციის მიერ პარლამენტის წინ მონყობილი დემონსტრაციის დასაშლელად ძალას მიმართა: პოლიციამ გამოიყენა წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და ხელკეტები, რასაც შედეგად მოჰყვა ასობით ადამიანის დაშავება. ამ შემთხვევამ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას – თუ საქართველოს მანამდე განიხილავდნენ „დემოკრატიის შუქურად“, 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ იგი დასავლეთის მხრიდან სულ უფრო მზარდი კრიტიკის საგანი გახდა.

მომიტინგების დაშლაზე მეტად დასავლეთი ალაშფოთა ოპოზიციურად განწყობილი ტელევიზია „იმედის“ ძალადობრივმა დახურვამ იმავე საღამოს. 2007 წლის 7 ნოემბრის საღამოს სპეციალური ძალოვანი სტრუქტურები შეიჭრნენ ტელევიზიაში, შეაჩერეს მაუწყებლობა და დაარბიეს მისი არქივი და ტექნიკის უმეტესი ნაწილი. სულ ცოტა ხნის შემდეგ თბილისის ადგილობრივი ტელევიზია „კავკასია“, რომელიც ხშირად გამოდიოდა მთავრობის კრიტიკით, ასევე გათიშული იქნა ეთერიდან. მოგვიანებით მთავრობამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, რომლის განმავლობაშიც მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს ჰქონდა ახალი ამბების გადმოცემის უფლება.

მთავრობის წარმომადგენლები დაუფარავად მიუთითებდნენ „იმედის“ მფლობელზე, მაგნატ ბადრი პატარკაციშვილზე (ბორის ბერეზოვსკის ახლო მეგობარზე, რომელმაც მილიარდები იშოვნა რუსეთში, ხოლო შემდეგ, 2001 წელს, ისინი თავის მშობლიურ საქართველოში გადმოგზავნა), როგორც გეგმის სულისჩამდგმელზე. მთავრობის მაღალჩინოსნები აცხადებდნენ, რომ მისი ტელევიზია „იმედი“ მოუნოდებდა ხალხს რევოლუციისკენ და მთავრობის ძალისმიერად დამხობისკენ. საბოლოოდ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ამასობაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი, როგორც დემოკრატიის, იმიჯის აღდგენის მიზნით გადაწყვიტა საპრეზიდენტო არჩევნების გამართვა 2008 წლის 5 იანვარს. იმავე დღეს საქართველოს მოსახლეობას, პლებისციტის გზით, უნდა გადაეწყვიტა შემდეგი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების დრო – 2008 წლის გაზაფხული თუ შემოდგომა.

საგანგებო მდგომარეობა 2007 წლის 16 ნოემბერს მოიხსნა და დაიწყო საარჩევნო კამპანია პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებას შორის უკიდურესი პოლარიზაციის პირობებში. ტელევიზია „იმედი“ მაუწყებლობის ლიცენზია მხოლოდ 2007 წლის 7 დეკემბერს დაიბრუნა, ხოლო ეთერში გასვლა მხოლოდ 12 დეკემბერს შეძლო, ვინაიდან ტელევიზიის აპარატურა სერიოზულად იყო დაზიანებული. „იმედი“ ეთერში დიდხანს არ დარჩენილა: 2007 წლის 24 დეკემბერს მთავრობამ გაავრცელა პატარკაციშილის საუბრის აუდიოჩანაწერი პოლიციის მაღალი რანგის თანამდებობის პირთან, საიდანაც ჩანდა, რომ მას თითქოსდა ნამდვილად უნდოდა სააკაშვილის მთავრობის ჩამოგდება. ორ დღეში „იმედის“ თანამშრომელთა უმრავლესობამ დატოვა თავისი სამუშაო ადგილი და „იმედის“ მაუწყებლობა კიდევ ერთხელ შეწყდა.

„იმედი“ ეთერში არ გასულა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების განმავლობაში, რაც მწვავე საკითხად რჩებოდა. 2008 წლის თებერვალში პატარკაციშილის გარდაცვალების შემდეგ არხის მფლობელობის საკითხი სამართლებრივი დავის საგნად იქცა. ტელევიზია „იმედი“ გახდა, ერთის მხრივ, სიტყვის თავისუფლებაზე და მედიაზე პოლიტიკური კონტროლის, ხოლო, მეორეს მხრივ, მედიის პოლიტიკაზე ზეგავლენის სიმბოლო.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ ტელევიზიის მონიტორინგი: ძირითადი დაშვებები

2007 წლის შემოდგომაზე მედიის როლმა და მნიშვნელობამ და 2008 წლის არჩევნებთან დაკავშირებულმა მოვლენებმა მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს უბიძგა, განეხორციელებინა პროექტი, რომლის მიზანი იყო სა-

ქართველოს მთავარი ტელევიზიების — სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და კერძო ტელეარხების „რუსთავი-2“-ის, „მზისა“ და „კავკასიის“ — მონიტორინგი.

რატომ აირჩია მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა ტელევიზიები და არა რადიო ან ბეჭდვითი პრესა? ეს გადანწყვეტილება მიღებული იქნა იმ დაშვების საფუძველზე, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ინფორმაციას და ახალ ამბებს, უმთავრესად, ტელევიზიით იტყობს. ვინაიდან ტელევიზია ყველაზე ეფექტიანი მექანიზმია ინფორმაციის გავრცელების და საზოგადოების მობილიზების საქმეში, ცხადია, რომ მედიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი ყველაზე კარგად ჩანს ტელევიზიის შემთხვევაში. ამგვარად, დაკვირვება მედიის პოლიტიკურ აქტიურობაზე, ისევე, როგორც პოლიტიკის მედიაზე ზემოქმედებაზე, ყველაზე ადევილია ტელევიზიის მაგალითზე. „იმედის“ გარშემო შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობა. ადასტურებს, რომ ფაქტობრივად პოლიტიკური ცხოვრებისთვის გადამწყვეტია სწორედ ტელევიზიის, და არა რადიოს ან ბეჭდვითი მედიის, ქმედება. ტელეარხების წინასაარჩევნო როლის და მნიშვნელობის ანალიზისას გამოვლენილი იქნა ოთხი ძირითადი სფერო:

მედიის დამოუკიდებლობა;

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის მედიის ხელმისაწვდომობა;

მედიის ზეგავლენა ინფორმირებული გადანწყვეტილების მიღებაზე; და

პროფესიული და ეთიკური სტანდარტები.

ყველა ეს საკითხი სცილდება ტელეარხების თემას და გულისხმობს გლობალურ კავშირს მედიასა და პოლიტიკას და მედიასა და საზოგადოებას შორის. პროექტის მიზანი კონკრეტულად იყო ისეთი შედეგების მიღება, რომელთა განზოგადება ადევილი იქნებოდა შედარებით კონკრეტული სფეროების ანალიზზე დაყრდნობით. შესაბამისად, პროექტის მთავარი დაშვება იყო შე-

მდეგი – მედიასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობის პრობლემები გამოხატულია ზემოთ მოყვანილი ოთხი ძირითადი სფეროთი და განსაკუთრებით მკაფიოდაა წარმოდგენილი წინასწარჩვენო პერიოდში, კერძოდ, საერთო ეროვნული ქსელებით.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გუნდმა გამოიყენა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიები. მან გააანალიზა საკანონმდებლო დოკუმენტები, სამეცნიერო ლიტერატურა, ჩაატარა ინტერვიუები, მიმართა მიზნობრივი ჯგუფების დახმარებას და ასევე განახორციელა ტელევიზიითა პოლიტიკური პროგრამების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონიტორინგი.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ ტელევიზიის მონიტორინგი: ძირითადი შედეგები

პროექტის შედეგად მომზადდა ოთხი დამოუკიდებელი სტატია. აღნიშნული სტატიების ავტორებმა წარმოადგინეს სხვადასხვა შეხედულება პოლიტიკისა და მედიის პრობლემებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, თითოეული შრომის მთავარი დასკვნა ერთი და იგივეა: *მიუხედავად მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი მცდელობისა, მათ შორის სამართლებრივი გარანტიებისა, მედიის მდგომარეობა საქართველოში ჯერ კიდევ შორსაა სასურველისაგან.*

მედიის დამოუკიდებლობა და კონტროლის შედარებითი დონეები

ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში მედიის განვითარებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მთავარ თემად რჩება ჟურნალისტური საქმიანობის თავისუფლება (ე.წ. სარედაქციო დამოუკიდებლობა) და პოლიტიკოსების, მედიასაშუალებათა მფლობელების და პროდიუსერების ზეგავლენა ამ საქმიანობაზე.

ინტერესებსა და ძალაუფლებაზე დაფუძნებული პოლიტიკის ლოგიკა პოლიტიკოსებს უბიძგებს მედიის გამოყენებისკენ თავისი

მიზნებით. იმავე დროს, თუ ვიმსჯელებთ მედიის საქმიანობის ეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარე, ნებისმიერი მედიამფლობელი ცდილობს, მიმართოს მედიის საქმიანობა მისი საკუთარი ბიზნეს-ინტერესების მიმართულებით ან, სულ ცოტა, ისე, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდეს გავლენიან პოლიტიკურ ძალებთან. ყველაზე რადიკალურ შემთხვევებში მედია ხდება ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრების იდეოლოგიური ინსტრუმენტი. ეს მოდელი მოქმედებს გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნების სინამდვილეში, სადაც არ არის დასრულებული ინსტიტუციური მშენებლობა.

საქართველოს შემთხვევაში პოლიტიკოსებს – როგორც მმართველი წრიდან, ასევე ოპოზიციიდან – სურთ მედიის კონტროლი ან მისი გამოყენება საკუთარ ინტერესებში. საარჩევნო კამპანიამ გვიჩვენა, რომ ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობდა მედიისთვის მითითებას, თუ როგორ ემუშავა წინასაარჩევნო პერიოდში. პოლიტიკური ძალები ფიქრობდნენ, რომ წამყვანი სატელევიზიო კომპანიები „ვალდებულნი“ იყვნენ, ემუშავათ ისე, როგორც მათ მითითებული ჰქონდათ. ამის თვალსაჩინო მაგალითია დაძაბულობა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გარშემო და შემდგომი პოლიტიკური „გარიგება“ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით.


აქ მნიშვნელობას იძენს მედიასაშუალებათა მფლობელობა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენილი საბუთებით ტელეარხებს „რუსთავი-2“-სა და „მზეს“ ფლობს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ და „გეომედი ჯგუფი“. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ორივე არხის 45%-ის მფლობელია, ხოლო ორივე არხის დანარჩენ ნილს ფლობს „გეომედია ჯგუფი“. ამ კომპანიის შესახებ ერთადერთ ხელმისაწვდომ ინფორმაციას წარმოადგენს ის, რომ იგი მარშალის კუნძულებზეა დარეგისტრირებული.

„იმედის“ შემთხვევა კიდევ უფრო ბუნდოვანია. მისი დამფუძნებლის, ბადრი პატარკაციშვილის, გარდაცვალების შემდეგ მისმა ქვრივმა, ინა გუდავაძემ, 2008 წლის მარტში განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობდა „იმედის“ წართმევას. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით ტელევიზია და რადიო „იმედის“ დამფუძნებელს და 100%-ის მფლობელს „აი-მედია“ წარმოადგენს. კომპანიას JMG, თავის მხრივ, ეკუთვნის აქციათა 65% „აი-მედიაში“.

აქციათა დარჩენილ 35%-ს ფლობს „უნივერსალი“, პატარკაციშვილის სამი ნათესავის მიერ დაფუძნებული კომპანია. გოგი ჯაოშვილს, პატარკაციშვილის ახლო მეგობარს, ეკუთვნოდა JMG-ის 70%. ჯოზეფ ქეიმ, პატარკაციშვილის შორეულმა ნათესავმა, 2008 წლის მარტში განაცხადა, რომ მას ნაყიდი ჰქონდა ტელევიზია და რადიო „იმედის“ აქციები გოგი ჯაოშვილისგან „უბრალოდ ფულის გადახდის“ საფუძველზე. ქეიმ უარყო ეჭვები იმის თაობაზე, რომ იგი მოქმედებდა საქართველოს მთავრობის სახელით.

ამკარაა, რომ წამყვანი ტელეარხების მფლობელთა ვინაობა საზოგადოებისთვის უცნობია. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის მოთხოვნები ოფიციალურად დაცულია, სინამდვილეში ოფშორულ ქვეყნებში დარეგისტრირებული კომპანიების სახელები ფაქტობრივად არ იძლევა რაიმე ინფორმაციას. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, არსებული ინფორმაციის მიხედვით, ადგილი ჰქონდა „კავკასიის“ შესყიდვის მცდელობებს. არხის მფლობელები აცხადებდნენ, რომ ბიზნესმენები თავს იკავებენ მის ეთერში რეკლამის განთავსებისგან.

სახელმწიფო რეკლამის წილი ტელე-არხებზე



წყარო: TV MR GE, AGB Nielsen Media Research-ის ლიცენზიატი

უნდა გაანალიზდეს ინფორმაცია არა მხოლოდ მფლობელების შესახებ, არამედ პოლიტიკური და სოციალური რეკლამის მთავარი სპონსორების შესახებაც. მაგალითად, სახელმწიფო სააგენტოების მიერ შეკვეთილი რეკლამების 99% თავსდება ტელეარხებზე „რუსთავი-2“-ზე, „მზესა“ და „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, რომელთა შორის ლიდერია „რუსთავი-2“. ეს შეიძლება აიხსნას ამ არხის ნამყვანი მდგომარეობით ბაზარზე და სხვა სატელევიზიო კომპანიების, მათ შორის „კავკასიის“, შედარებით დაბალი საბაზრო წილით.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ მედიამფლობელები უზრუნველყოფენ საქმიანობაზე ზემოქმედებენ პროდიუსერების დახმარებით. პროდიუსერები, და არა მედიამფლობელები, არიან ყოველდღიურ კონტაქტში უზრუნველსებთან. შემთხვევათა უმრავლესობაში ისინი აკონტროლებენ და არჩევენ თემებს და არჩევენებთან დაკავშირებული საკითხების ტონს. ინტერვიუებმა დაგვანახა, რომ უზრუნველსებებს ინტუიციურად „ესმით“ მათი პროდიუსერების და იციან, როგორ რეპორტაჟებს მოელიან მათგან.


ამგვარად, მედიის თავისუფლების დონე არჩევენებისას დაბალი იყო. პოლიტიკური ძალები კვლავაც იბრძოდნენ მედიაზე კონტროლის მოსაპოვებლად, მართალია, სხვადასხვა წარმატებით. მედიამფლობელები ვერ ასრულებდნენ საკუთარი უზრუნველსებების დამცველების როლს, ვინაიდან მათი ინტერესები უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ ძალებთან, ვიდრე მათი, როგორც ბიზნესმენების, წარმატებასთან. გარდა ამისა, უზრუნველსებების და პროდიუსერების პროფესიული და ეთიკური სტანდარტები კვლავ არ იყო საკმარისი პოლიტიკის და ეკონომიკის ინტერესების დაცვისთვის.

მედიის ხელმისაწვდომობა პოლიტიკური ჯგუფებისა და კანდიდატებისთვის

თბილისის ტელემაყურებელთა უმრავლესობა (60%-ზე მეტი) 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში უყურებდა „იმედს“ და „რუსთავი-2“-ს. „იმედის“ დახურვის შემდეგ, განსაკუთრებით 2008


წლის მარტსა და აპრილში, ანუ საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, „რუსთავი-2“-ს ბაზარზე წამყვანი ადგილი ეჭირა: თბილისის ტელემყურებელთა 44%-ზე მეტი უყურებდა „რუსთავი-2“-ს, მაშინ, როცა მხოლოდ 18% ადევნებდა თვალყურს სხვა ისეთი არხების გადაცემებს, როგორცაა „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „მზე“ და „კავკასია“

*ტელეარხების მაყურებელი თბილისის მოსახლეობა
სექტემბერი, 2007- ოქტომბერი, 2007*



წყარო: TV MR GE, AGB Nielsen Media Research-ის ლიცენზიატი


ტელეარხების მაყურებელი თბილისის მოსახლეობა
 მარტი, 2008 - აპრილი, 2008



წყარო: TV MR GE, AGB Nielsen Media Research-ის ლიცენზიატი


როგორც ეს ჩანს ქვემოთ მოყვანილი გრაფიკებიდან, ბაზრის ლიდერებმა „რუსთავი-2“-მა და „მბემ“ (რომლებსაც ერთი და იგივე მფლობელი ჰყავს) ლოიალობა გამოავლინეს მმართველი პარტიის მიმართ როგორც რაოდენობრივი, ასევე მაუწყებლობის ტონის მაჩვენებლებით. ეს ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას არხების ბოიკოტით და ზოგიერთი ოპოზიციური ჯგუფის მხრიდან ჟურნალისტებზე თავდასხმებით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასაარჩევნო ტელემონიტორინგის შედეგები



ცენტრალური საარჩევნო კომისია, www.cec.gov.ge, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები, წინასაარჩევნო ტელემონიტორინგი, 2008 წლის 10 აპრილი-2008 წლის 12 მაისის მოკლე ანგარიში, მოძიებულია 2008 წლის ივნისში

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასაარჩევნო ტელემონიტორინგის შედეგები




ცენტრალური საარჩევნო კომისია, www.cec.gov.ge, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები, წინასაარჩევნო ტელე-მონიტორინგი, 2008 წლის 10 აპრილი-2008 წლის 12 მაისის მოკლე ანგარიში, მოძიებულია 2008 წლის ივნისში

ამავე დროს, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (იხ. სლაიდი შემდეგ გვერდზე) ინარჩუნებდა წონასწორობას სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შორის როგორც თავის საინფორმაციო გადაცემებში, ასევე „თოქ-შოუებში“; მისი საინფორმაციო გადაცემები იყო ნეიტრალური, ხოლო მოქმედი მთავრობის საქმიანობასთან დაკავშირებული რეპორტაჟები მკაფიოდ იყო გამოყოფილი არჩევნების თემისგან. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებსაც იგი განიხილავდა უმეტეს შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი თუ უყურებდა ამ არხს, ხოლო ზოგიერთი ოპოზიციური ჯგუფი მკვეთრად აკრიტიკებდა მის გადაცემებს. ეს მიუთითებს სამოქალაქო კულტურის (როგორც პოლიტიკური კულტურის ერთი ტიპის) დაბალ დონეზე საქართველოში. საზოგადოება ჯერ არ არის მზად გადაცემების კრიტიკულად განხილვისთვის.

სამწუხაროდ, ეს მაგალითები ადასტურებს ზემოხსენებულს: პოლიტიკოსები მასმედიას განიხილვენ როგორც მათი საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალებას. იგივე ეხება „კავკასიასაც“ (იხ. სლაიდი შემდეგ გვერდზე). არხს თავის პლატფორმად იყენებდა გაერთიანებული ოპოზიცია, მაშინ, როცა ამ არხის ეკრანზე მმართველი პარტიის წარმომადგენლები სულ რამდენჯერმე გამოჩნდნენ. შესაბამისად, „კავკასია“ უმთავრესად აშუქებდა ოპოზიციური პარტიების საქმიანობას და აკრიტიკებდა მმართველ პარტიას.


მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ, მიუხედავად მმართველი პარტიის წამყვანი მდგომარეობისა, სატელევიზიო ეთერი ხელმისაწვდომი იყო ყველა პოლიტიკური ჯგუფისთვის. იყენებდნენ თუ არა ისინი ამ შესაძლებლობას სათანადოდ, ეს უკვე სხვა საკითხია.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასაარჩევნო ტელემონიტორინგის შედეგები



ცენტრალური საარჩევნო კომისია, www.cec.gov.ge, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები, წინასაარჩევნო ტელე-მონიტორინგი, 2008 წლის 10 აპრილი-2008 წლის 12 მაისის მოკლე ანგარიში, მოძიებულია 2008 წლის ივნისში

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასაარჩევნო ტელემონიტორინგის შედეგები



ცენტრალური საარჩევნო კომისია, www.cec.gov.ge, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები, წინასაარჩევნო ტელე-მონიტორინგი, 2008 წლის 10 აპრილი-2008 წლის 12 მაისის მოკლე ანგარიში, მოძიებულია 2008 წლის ივნისში

მედია — ინფორმირებული არჩევანის ინსტრუმენტი

მედიის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფისთვის ერთი საკითხია, ხოლო მეორე საკითხია — როგორ აღიქვამს ამ შესაძლებლობას და მედიის მოქმედებას საზოგადოება. ვინმემ შეიძლება თქვას, რომ რაც მეტია საზოგადოების ნდობა მედიის მიმართ, მით ძლიერია მედიის როლი ამ საზოგადოების მიერ პოლიტიკური არჩევანის გაკეთების საქმეში.

მაგრამ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის კვლევები გვიჩვენებს, რომ საინფორმაციო გადაცემების ყურება ტელეარხებზე არ არის უშუალოდ დაკავშირებული არჩევნებში მონაწილეობასთან. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტელევიზია „იმედი“ წამყვანი სატელევიზიო არხი იყო მოსახლეობის ნდობის თვალსაზრისით და, ვიდრე მისი გადაცემები

შენწყდებოდა 2007 წლის 7 ნოემბერს, მისი აუდიტორია ყველაზე სანდოდ თვლიდა „იმედის“ გადაცემებს. ამავე დროს, „რუსთავი-2“, რომელიც უდავოდ ლიდერობდა ტელეარხებს შორის არჩევნების განმავლობაში და რომელსაც ყველაზე მეტი ადამიანი უყურებდა, მოსახლეობის მიერ მთავრობის მომხრე არხად აღიქმებოდა.

ორმა ფენომენმა, რომლებიც გამოვლინდა კახეთის რეგიონში ჩატარებული ხარისხობრივი გასაუბრებებისას, განსაკუთრებული ინტერესი წარმოშვა და მოითხოვა შემდგომი კვლევა:

პირველი: მოსახლეობა ზოგადად ძალიან კრიტიკულია ქართველი ჟურნალისტების პროფესიონალიზმის მიმართ და ფიქრობს, რომ დასავლეთის მედია გაცილებით პროფესიონალური და თავისუფალია. გარდა ამისა, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეუძლია უცხოური საინფორმაციო წყაროების მოსმენა თუ ყურება ენობრივი ბარიერის თუ ტექნიკური პრობლემების გამო. ამგვარად, მათ არა აქვთ შედარების საშუალება და თავის დაშვებებს ამყარებენ გავრცელებულ სტერეოტიპებზე (რომლებსაც, ბევრ შემთხვევაში, პოლიტიკოსები ავრცელებენ).

მეორე: რეგიონების მცხოვრებნი დადებითად არიან განწყობილნი „კავკასიის“ მიმართ იმის მიუხედავად, რომ ვერ უყურებენ მის პროგრამებს. ანუ ადამიანები აფასებენ პროდუქტს, რომელსაც ვერ იყენებენ. სანინაალმდეგო ფენომენი ეხება „საზოგადოებრივ მაუნყებელს“: თუმცა არც თუ ისე ბევრი ადამიანი იცნობდა ამ არხის პროდუქციას, მის მიმართ ნდობა დაბალი იყო.

ზოგადად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნდობის დონე მედიის, როგორც ინსტიტუტის, მიმართ შემცირდა. ამგვარად, საპარლამენტო არჩევნების დროს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ ფიქრობდა მედიაზე როგორც ინფორმირებული გადანყვეტილების მიღების ინსტრუმენტზე.

არჩევნებთან დაკავშირებული გადაცემები პროფესიონალიზმის და ეთიკური სტანდარტების თვალსაზრისით

პროფესიონალიზმი და ეთიკური სტანდარტები დიდი ხნის განხილვის საკითხებია საქართველოს მედიასთან დაკავშირებით

და არც 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პერიოდი იყო გამონაკლისი. ყველა პოლიტიკური ორიენტაციის პოლიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ უურნალისტების მხრიდან პროფესიონალიზმის უკმარისობას და ეთიკური ნორმების დარღვევას. კვლევამ ცხადყო, რომ პროფესიონალიზმის და ეთიკური სტანდარტების პრობლემები სინამდვილეში არსებობდა, და ამას არც თვით უურნალისტები უარყოფენ.

თითოეული პარტიის საქმიანობის გაშუქების საზღვრები გამოკვლეულ ტელეარხებზე

საზღვრები	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (%)	გაერთიანებული ოპოზიცია (%)	რესპუბლიკური პარტია (%)	ლეიბორისტული პარტია (%)	ქრისტე-ტიან-დემოკრატიები (%)
საკითხების-საზღვრები	17	2	5	18	14
პროცესის საზღვრები	80	98	88	78	65
სხვა	3	0	7	4	21

წყარო: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ჩატარებულმა წამყვანი ტელეარხების გადაცემების შინაარსის და მიზნობრივი ჯგუფებისგან მიღებული შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ უურნალისტები უპირატესობას ანიჭებენ უფრო კამპანიის პროცესის წარმოჩენას, ვიდრე მისი შინაარსი ანალიზს. ანუ ისინი არ უსვამენ პოლიტიკოსებს დამაფიქრებელ კითხვებს მათი ხედვის, პროგრამებისა და გეგმების შესახებ. ამგვარად, პოლიტიკოსები, რომლებსაც ყოველთვის უნდათ მედიაში გასაშუქებელი თემების თავად განსაზღვრა, ფაქტობრივად აღწევდნენ კიდევ ამას; შესაბამისად, „რუსთავი-2“-ის და „მზის“ მთელი ყურადღება გადატანილი იყო მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიაზე (და

არა პლატფორმაზე), ხოლო კავკასია ოპოზიციის საარჩევნო კამპანიას აშუქებდა.

არც ერთი სატელევიზიო პროგრამა, მათ შორის „თოქ-შოუები“, არ აშუქებდა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის მიდგომებს კონკრეტული საკითხების მიმართ, რაც მოსახლეობას მისცემდა შედარების საშუალებას. უნდა აღინიშნოს, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ ამის გაკეთების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა - „თოქ-შოუები“, რომლებიც გამიზნული იყო სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის მიდგომების შედარებისთვის, სრულდებოდა იმით, რომ პოლიტიკოსები არჩევდნენ პირადი შეურაცხყოფის შემთხვევებს. ეს უფრო პოლიტიკოსების მორალის პრობლემაა, ვიდრე ჟურნალისტების ეთიკური სტანდარტებისა. ამავე დროს, პოლიტიკოსების და ექსპერტების მხრიდან ჟურნალისტების მუდმივი დაცინვა მხოლოდ უფრო ძაბავს სიტუაციას და ხელს უწყობს ადამიანების უნდობლობას მედიის მიმართ.

დასკვნები და რეკომენდაციები

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ძირითად დასკვნას წარმოადგენს ის, რომ დაუშვებელია მედიასთან დაკავშირებული საკითხების გამოყოფა საზოგადოების საერთო განვითარებისგან: *მედიის, როგორც ინსტიტუტის, ჩამოყალიბება შეუძლებელია, როცა სხვა სამოქალაქო ინსტიტუტები არ არის საკმარისად განვითარებული, ვინაიდან ჟურნალისტები არ არიან იზოლირებულნი საზოგადოებისგან.* ამ დასკვნის საფუძველზე შეიძლება შემდეგი რეკომენდაციების გაკეთება:

1. *ჟურნალისტების განათლება უნდა ეფუძნებოდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებს და იძლეოდეს როგორც ზოგად უნარებს, ასევე სოციალური რეალობის ფართო ცოდნას და იმის გაგებას, თუ როგორ შეიძლება სოციალური ქცევის ანალიზი და განმარტება.*
2. *ჟურნალისტიკის თვითრეგულირება ჟურნალისტების გაერთიანების მიზნით პროფესიული ეთიკის საფუძველზე. ეს დიდ ნვლილს შეიტანდა ჟურნალისტებს შორის სოლიდარობის*

გრძნობის ჩამოყალიბებაში, დაიცავდა მათ უპრინციპო კოლეგებისგან და იქნებოდა ძლიერი ფაქტორი სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში. გაერთიანების მთავარი საყრდენი უნდა გახდეს პროფესიული და ეთიკური სტანდარტები.

3. *ქართულ მედიასთან დაკავშირებით სისტემატური კვლევის დამკვიდრება*, მათ შორის არსებული მასალების ინტეგრირება. ეს ჟურნალისტებს მისცემდა არა მხოლოდ სტატიკურ, არამედ დინამიკურ სიტუაციაზე დაკვირვების საშუალებას. დიდი მოცულობის რაოდენობრივი კვლევები უკვე იძლევა ფასეულ ინფორმაციას ამ თვალსაზრისით. მაგრამ ეს მონაცემები ვერ გამოდგება ფუნდამენტური მიზეზების დადგენაში დახმარების გასაწევად; ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ სისტემური კვლევის მეშვეობით.

შემდგომი ინფორმაცია იხილეთ: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, მედიის ზემოქმედება. საქართველოს წამყვანი ტელეარხები და სარჩევნო კამპანიები, თბილისი, 2008.

საარჩევნო კამპანიის დაფინანსება

ავტორი: გიორგი ჩხეიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შესავალი

რა არის დემოკრატიულ სახელმწიფოში სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების წინაპირობები? – დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაცია; თავისუფალი მედია; საარჩევნო კამპანიის მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესები; ამომრჩეველთა სწორი სიები და ხმების დათვლის გამჭვირვალე პროცედურა. ეს არის საარჩევნო სისტემის ძირითადი ელემენტები, რომელთა ირგვლივაც საქართველოში ფართო განხილვები და დებატები იმართება ყოველი არჩევნების სამართლიანობის შეფასებისას. მაგრამ, როგორც წესი, სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხი ყურადღების მიღმა რჩება. იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნები არ იწყება და არ მთავრდება არჩევნების დღით, მნიშვნელოვანი პროცესი მოიცავს ასევე წინასაარჩევნო კამპანიას, ხოლო კამპანიის კანონიერებისა და მიუკერძოებლობისთვის გადამწყვეტია არჩევნების სამართლიანი და გამჭვირვალე დაფინანსება.

2008 წლის პირველი ნახევარი მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის ქვეყნის მასშტაბით გამართული ყველაზე მთავარი არჩევნების - რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების - გამო. ამ არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტებმა თავიანთ კამპანიებზე დახარჯეს სერიოზული ფინანსური რესურსები. დემოკრატიულ სისტემებში საარჩევნო კამპანიების დაფინანსება უნდა ხორციელდებოდეს კონკრეტული წესების დაცვით და გამჭვირვალე უნდა იყოს.

ამ თავში შევეცდებით, გავაკეთოთ საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული იმ კანონმდებლობის ანალიზი, რომელიც ძალაში იყო საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩე-

ვნების დროს; შევისწავლოთ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების კონკრეტული მაგალითები და წარმოვადგინოთ კონკრეტული რეკომენდაციები სამომავლო პროცესებისთვის.

წინამდებარე თავი მოიცავს საარჩევნო სუბიექტებთან დაკავშირებულ კონკრეტულ მაგალითებს კონკრეტული საკითხების ანალიზის მიზნით, მაგრამ არ არის გამიზნული, წარმოადგინოს 2008 წლის არჩევნების დროს ამ სფეროში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების სრული სურათი.

სამართლებრივი ბაზა

სამართლებრივ ბაზას საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისთვის უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდგომში „საარჩევნო კოდექსი“). კანონი ავალდებულებს საარჩევნო სუბიექტებს, გახსნან საარჩევნო ფონდი და წარმართონ კამპანიის დაფინანსება მხოლოდ ამ ფონდიდან, ამასთან, აკისრებს შესაბამის ანგარიშვალდებულებას საარჩევნო ადმინისტრაციის წინაშე. ერთი შეხედვით, სამართლებრივი მოთხოვნები ნათელია, მაგრამ, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ეს პირობები რეალურად საკმაოდ ბუნდოვანია.

ზოგადი წესები საარჩევნო კამპანიის ფონდისათვის შემდეგია:

საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის თანახმად, თითოეული საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, გახსნას საარჩევნო ფონდი და მისი გახსნიდან 2 დღის განმავლობაში წარუდგინოს შესაბამის საარჩევნო კომისიას ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ანგარიშის გახსნას საარჩევნო კამპანიის ფონდისათვის. თუმცა საარჩევნო ფონდების გახსნას საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში დამატებითი სპეციფიკური თვისება აქვს: საარჩევნო ფონდი თავდაპირველად უნდა გაიხსნას იმ სუბიექტის მიერ, რომელიც ასახელებს პრეზიდენტობის კანდიდატს, ხოლო შემდგომ, დარეგისტრირების შემდეგ, კანდიდატს შეუძლია გამოიყენოს არსებული ფონდი ან გახსნას ახალი.

საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან, თვეში ერთხელ ფონდის გახსნის შემდეგ წარუდგინონ შესაბამის საარჩევნო კომისიას ანგარიში ფულადი შენატანის წყაროს, ოდენობისა და მიღების თარიღების შესახებ.

არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტები, ასევე სუბიექტები, რომელთაც მიიღეს კანონით დადგენილ ხმათა საჭირო რაოდენობა, არჩევნების დღიდან მე-8 დღემდე ან ამ დღეს ვალდებული არიან, წარუდგინონ შესაბამის საარჩევნო კომისიას აუდიტის დასკვნა და ფინანსური ანგარიში არჩევნებისათვის საარჩევნო ფონდებიდან დახარჯული ფულადი სახსრების შესახებ, ფულადი შენატანების წყაროს მითითებით.

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებამდე საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლებიც მოიცავდა ასევე საარჩევნო ფონდებთან დაკავშირებულ წესებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ცვლილება მნიშვნელოვანი იყო (მაგ. მონიტორინგის ჯგუფთან მიმართებაში, იხ. ქვემოთ), საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოვლენილი ყველა სერიოზული და ცნობილი ხარვეზი არ ყოფილა გათვალისწინებული.

შუალედური ანგარიშგება

საარჩევნო ფონდის გამოყენების გამჭვირვალობის ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა „შუალედური ანგარიშგება“. კანონი ავალდებულებს საარჩევნო სუბიექტებს, ყოველთვიურად ჩააბარონ ანგარიშები შესაბამის საარჩევნო კომისიას შემონიშნულობების შესახებ, მათი წყაროსა და ოდენობის მითითებით. ამგვარი ანგარიშგება აძლევს კომისიას და საზოგადოებას საშუალებას, გაიგონ, იცავენ თუ არა საარჩევნო სუბიექტები დაწესებულ შეზღუდვებს (მაგ., პირობას, რომ ფიზიკური პირის შემონიშნულობა არ შეიძლება აჭარბებდეს 30,000 ლარს, ხოლო იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ დაფინანსება 100,000 ლარზე მეტი თანხით) და გახადონ პროცესი უფრო გამჭვირვალე *არჩევნების დღემდე*. წარსულში ჩატარებული არჩევნებიდან მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არსე-

ბობს შემთხვევები, როდესაც შუალედურ და საბოლოო ანგარიშებში მონოდებულ ინფორმაციას შორის არის შეუსაბამობები.

არსებითად ეს წესი ამართლებს, როდესაც წინასაარჩევნო პერიოდი (კამპანიის დაფინანსების მიზნით ფონდის გახსნის თარიღი არჩევნების დღემდე) თვეზე მეტ ხანს გრძელდება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 76), საგანგებო (რიგგარეშე) საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს 45 დღის ვადაში. ამგვარად, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან, გახსნან საარჩევნო ფონდი კანდიდატად დარეგისტრირების მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან 5 დღის განმავლობაში (მუხლი 46). კანდიდატად დარეგისტრირების მოთხოვნის წარდგენის ბოლო ვადა იწურება მხოლოდ 30 დღით ადრე არჩევნების დღემდე (მუხლი 89).

აქედან გამომდინარე, ამკარაა, რომ 2008 წლის 8 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტებს კანონიერი საფუძველი ჰქონდათ, არ ჩაებარებინათ შუალედური ანგარიშები არჩევნებამდე. ეუთო-ს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშში საპრეზიდენტო არჩევნებზე აღნიშნულია:

„სახელმწიფო რესურსების გამოყენების საკითხის წინააღმდეგობრიობას ამძაფრებდა კანდიდატების მხრიდან არჩევნებამდე საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ ანგარიშების წარდგენის მოთხოვნის არარსებობა. მოთხოვნა, რომ საარჩევნო კამპანიის ფონდის მენეჯერებს უნდა მიეწოდებინათ ინფორმაცია კამპანიის დაფინანსების შესახებ ყოველთვიურად, არაადეკვატური იყო ისეთი არჩევნების პირობებში, როდესაც კანდიდატების რეგისტრაცია ხდებოდა არჩევნებამდე ერთ თვეზე ნაკლებ ვადაში.“

ასეთი სამართლებრივი „საძრომის“ გათვალისწინებით 2007 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, როგორც არჩევნებზე დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წინადადებით, დაენუსებინა კონკრეტული თარიღი შუალედური ფინანსური ანგარიშე-

ბის წარდგენისათვის. ცესკო-მ უარყო ასოციაციის წინადადება. მაგრამ, საბედნიეროდ, ზოგიერთმა კანდიდატმა საკუთარი ნებით წარადგინა შუალედური ფინანსური ანგარიში.

ანგარიშგება საარჩევნო ბლოკების მხრიდან

ანალოგიური საკითხი წარმოიშვა საპარლამენტო არჩევნების დროსაც საარჩევნო ბლოკებთან მიმართებაში. ამასთან დაკავშირებით ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშში საპარლამენტო არჩევნებზე აღნიშნულია:

„დებულება ერთიან საარჩევნო კოდექსში, რომ ინფორმაცია კამპანიის დაფინანსების შესახებ მოწოდებული უნდა იყოს ყოველთვიურად (მუხლი 48/4), არაადეკვატური აღმოჩნდა, ვინაიდან საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ბოლო ვადა იყო თვეზე ცოტათი მეტი არჩევნების ჩატარებამდე, რაც ამცირებს ამ დებულების მიზანს, რომ უზრუნველყოს გამჭვირვალობა“.

საარჩევნო კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ცესკო-ს მიერ რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ, შექმნან საარჩევნო ბლოკები. ბლოკების შექმნის შემდეგ დღის წესრიგში დგება როგორც ბლოკის, ისე მასში გაერთიანებული სუბიექტების ანგარიშვალდებულების საკითხი. საარჩევნო ბლოკებში გაერთიანებამდე საარჩევნო კოდექსი ავალდებულებს პოლიტიკურ პარტიებს, დარეგისტრირდნენ საარჩევნო სუბიექტებად, შესაბამისად, მათ მიმართ მოქმედებს საარჩევნო ფონდის გახსნის ვალდებულება.

საარჩევნო კოდექსში 2008 წლის 21 მარტს შესული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს საარჩევნო სუბიექტების – პარტიების, რომლებიც საბოლოო ჯამში ერთიანდებიან საარჩევნო ბლოკებად – მხრიდან საარჩევნო ფონდების შესახებ ანგარიშგების საკითხის რეგულირებას. კოდექსის მიხედვით გაუგებარია, ვალდებულნი არიან თუ არა საარჩევნო ბლოკის წევრები, რომ წარადგინონ „შუალედური“ (ერთი თვის ვადაში) და „საბოლოო“ (არჩევნების შემდეგ)

ანგარიშები თავიანთი საკუთარი საარჩევნო ფონდებისთვის, როდესაც ისინი იყენებენ საარჩევნო ბლოკის საარჩევნო ფონდებს.

შეიძლება დაიბადოს კითხვა, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ სუბიექტებზე ანგარიშვალდებულების დაკისრება მათსავე ფონდებთან მიმართებაში, თუ ისინი შეუერთდნენ საარჩევნო ბლოკებს და ამიტომ გამოიყენეს ყოფილი სუბიექტისთვის გახსნილი ფონდები. პასუხი ნათელია – საარჩევნო ბლოკებში გაერთიანებამდე პარტიებს შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი ფონდები და ასევე შესაძლებელია საარჩევნო ბლოკის დატოვება არჩევნებამდე. ამგვარად, მნიშვნელოვანი იყო ამ საკითხების გათვალისწინება იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ საარჩევნო კამპანიის არანაირი დაფინანსება არ უნდა დარჩეს საზოგადოების კონტროლს მიღმა.

ცესკო შეეცადა, შეეცსო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი 2008 წლის 10 აპრილს №20/2008 დადგენილების გამოცემით ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის თაობაზე. ბრძანების თანახმად,

„საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნის დღიდან საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული სუბიექტები ვალდებული არიან, შეაჩერონ ოპერაციები თავიანთი საარჩევნო კამპანიის ფონდებით და გამოიყენონ მხოლოდ საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანიის ფონდი“.

„საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით საარჩევნო ბლოკებში გაერთიანებული საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან, თავიანთი საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშებთან ერთად წარუდგინონ საარჩევნო კომისიას ბანკის მიერ გაცემული ცნობა მათი საარჩევნო კამპანიის ფონდების ანგარიშებზე ფინანსური ოპერაციების შეწყვეტის შესახებ“.

ცესკო-ს ეს მცდელობა, უარი არ ეთქვა ბლოკებში შემავალი საარჩევნო სუბიექტების ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საჯარო კონტროლზე, მისასაღამებელი იყო; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს დადგენილების ნაკლოვანებებიც:

როგორც ზემოთ აღინიშნა, საარჩევნო კოდექსი ანიჭებს პარტიებს უფლებას, გახდნენ საარჩევნო ბლოკის წევრები და ასევე გავიდნენ ბლოკიდან და დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. პარტიებს არა აქვთ უფლება, დატოვონ საარჩევნო ბლოკები პარტიული საარჩევნო სიის/კანდიდატურების წარდგენის ბოლო ვადის ამონურვის შემდეგ. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პარტიებმა, რომლებიც გახდებიან საარჩევნო ბლოკების წევრები, წარადგინონ ინფორმაცია თავიანთი საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ პარტიული სიების წარდგენის ბოლო ვადის ამონურვისთანავე ან ძალიან მოკლე დროში. ბლოკიდან მათი გასვლის შემთხვევაში მათ არ ექნებათ უფლება, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და, შესაბამისად, არც ის უფლება ექნებათ, რომ ისარგებლონ საარჩევნო კამპანიის ფონდით. წარსადგენი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს საბოლოო ანგარიშს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს აუდიტის ანგარიში, ასევე ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის ფონდის დახურვის შესახებ.

ბრძანებაში მითითებული ცნობის წარდგენის ვადებთან დაკავშირებით მივიჩნევთ, რომ ის წარდგენილი უნდა იქნეს ანგარიშზე ოპერაციების შეწყვეტის მომენტში.

დადგენილების განხორციელების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა სუბიექტმა დროულად შეასრულა მოთხოვნა, ზოგმა კი დაგვიანებით.

ყველა საარჩევნო ბლოკმა წარადგინა ინფორმაცია საარჩევნო ფონდის ანგარიშზე ფინანსური ოპერაციების შეწყვეტის შესახებ. ერთადერთი გამონაკლისი იყო სახალხო პარტია, რომელმაც არ წარადგინა ინფორმაცია ოპერაციების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ეს გააკეთა ფონდის დახურვასთან დაკავშირებით. წარდგენილი ცნობების უმრავლესობის მიხედვით ფონდები დახურული იყო არა ბლოკებში გაერთიანების თარიღისთვის, არამედ უფრო მოგვიანებით.

კონკრეტული დებულება შუალედური ანგარიშების შესახებ არ იყო გათვალისწინებული არც 2008 წლის 21 მარტის ცვლილებებში, არც ცესკო-ს დადგენილებაში, ამიტომ ძალაში იყო ზოგადი წესი, რომელიც ავალდებულებდა საარჩევნო სუბიექტებს, წარედგინათ შუა-

ლედური ანგარიშები (ერთი თვის ვადაში), არჩევნებამდე მათი ფონდების მოსალოდნელი დახურვის მიუხედავად. ამ მიმართულებით მონიტორინგის თვალსაზრისით სუბიექტები სამ ჯგუფად იყოფიან:

1. სუბიექტები, რომელთაც არ წარადგინეს შუალედური ანგარიშები, რადგან მათ მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნიდან ბლოკში გაერთიანებამდე თვეზე ნაკლები დრო იყო;
2. სუბიექტები, რომელთაც მოკლე ვადის მიუხედავად დაგვიანებით მაინც წარუდგინეს ინფორმაცია ცესკო-ს; და
3. სუბიექტები, რომელთაც არ წარუდგინეს ინფორმაცია ცესკო-ს და ვერ შეძლეს ვერანაირი ახსნა-განმარტების მიცემა ამასთან დაკავშირებით.

საარჩევნო ფონდების დახურვა

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო ფონდი უნდა დაიხუროს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან 20 დღის განმავლობაში. მაგრამ კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას, ვალდებულია, წარადგინოს ანგარიში არჩევნების თარიღიდან 8 დღის მანძილზე. შესაბამისად, კონტროლს მიღმა რჩება ინტერვალის მიერ ანგარიშის წარდგენიდან მისი ფონდის დახურვამდე.

ზოგადად, აღნიშნული „8 დღიანი წესი“ წარმოშობს კითხვას ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ზოგადი პრინციპი ნათელია, არც ერთი გამარჯვებული კანდიდატი (პოლიტიკური პარტია) არ უნდა იღებდეს ადგილებს მთავრობაში მანამ, სანამ მისი ფინანსური ხარჯები არ გამოქვეყნდება და არ შემოწმდება. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიშში აღნიშნულია:

„რვა დღის შემდეგ ჩაბარებული ანგარიშების გამოსადეგობა შემცირდა, ვინაიდან საარჩევნო სუბიექტების მიერ მონოდებული ინფორმაცია ეყრდნობოდა ფაქტობრივი გადახდების პრინციპს, ისე, რომ მასში არ შედიოდა კამპანიის დროს წარმოშობილი, მაგრამ ჯერ კიდევ დაუფარავი ხარჯები“.

ამ პერიოდში საარჩევნო ფონდმა უნდა დაასრულოს ყველა სახის ფინანსური ოპერაცია, უნდა ჩატარდეს ეფექტიანი აუდიტი და ანგარიშგება უნდა დასრულდეს არჩევნებიდან მე-8 დღის ბოლომდე. ეფექტიანია თუ არა ეს ვადა? თუ ეს მხოლოდ ფორმალობაა? ეს საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს იმისათვის, რომ სამომავლოდ საქართველოში ჩამოყალიბდეს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების ეფექტიანი სისტემა.

მაჟორიტარი კანდიდატები

საპარლამენტო არჩევნებმა გამოავლინა კიდევ ერთი „საძრომი“ (ხარვეზი) საარჩევნო კოდექსში, კერძოდ, მაჟორიტარულ კანდიდატებთან (ერთმანდატიანი კანდიდატები, რომელთაც ძირითადად პარტიები ასახელებენ) და მათი კამპანიის დაფინანსებასთან მიმართებაში. საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის თანახმად, ყველა საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, შექმნას საარჩევნო კამპანიის ფონდი და მომდევნო ორი დღის განმავლობაში წარუდგინოს შესაბამის საარჩევნო კომისიას ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს საარჩევნო კამპანიის ფონდისთვის საბანკო ანგარიშის გახსნას.

მაგრამ საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო ფონდის შექმნა სავალდებულო იყო მხოლოდ საარჩევნო სუბიექტებისთვის (პარტიები, პოლიტიკური ბლოკები). რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტების მიერ დასახელებულ კანდიდატებს, ისინი იყენებდნენ იმ საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდებს, რომელიც მათ ასახელებდა. საკანონმდებლო ხარვეზი გამოვლინდა რესპუბლიკური პარტიის ანგარიშგებასთან მიმართებაში. საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, წარადგინოს ანგარიში არაუგვიანეს 8 დღისა კენჭისყრის დღიდან, იმ პირობით, რომ მან მიიღო კანონით დადგენილი ხმების საკმარისი რაოდენობა.

კანონი არაფერს ამბობს ამ საკითხზე, როდესაც ხმების საკმარისი რაოდენობა დააგროვა არა თავად საარჩევნო სუბიექტმა, არამედ საარჩევნო სუბიექტის მიერ დასახელებულმა მაჟორიტარმა კანდიდატმა. როგორც ცნობილია, რესპუბლიკურმა პარტიამ ვერ შეძლო 5%-იანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა, რო-

გორც ეს კანონით არის გათვალისწინებული, თუმცა მისმა ორმა წარმომადგენელმა (ოფიციალურად დასახელებული კანდიდატები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში) მიიღო საკმარისი ხმები.

ვინაიდან საარჩევნო კოდექსის თანახმად მაჟორიტარი კანდიდატები იყენებენ იმ სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდს, რომელიც აყენებს მათ კანდიდატურას, წარმოიშვა შეკითხვა, ვალდებული იყო თუ არა რესპუბლიკური პარტია, წარედგინა ანგარიში 8 დღის განმავლობაში არჩევნების შემდეგ. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ კანონის მოქმედი დებულება ამ შემთხვევაში დანამდვილებით არ ავალდებულებდა რესპუბლიკურ პარტიას, ჩაებარებინა ანგარიში 8 დღეში, ცესკო-ს თავმჯდომარემ მოითხოვა ანგარიშის წარდგენა ამ ვადაში. საარჩევნო სუბიექტმა ცესკო-ს საბოლოო ანგარიში 2008 წლის 9 ივნისს წარუდგინა.

ცესკო-ს მიერ საარჩევნო კოდექსის თანახმად საარჩევნო ფონდების მონიტორინგის მიზნით შექმნილმა მონიტორინგის ჯგუფმა გააკეთა კომენტარი თავისი შეხედულების შესახებ ამ კონკრეტული დებულების ბუნდოვანი ხასიათის გამო, მაგრამ ხაზი გაუსვა ყველა პოლიტიკური სუბიექტის (პოლიტიკური პარტიის თუ მაჟორიტარი კანდიდატის) მხრიდან მათი კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობის მნიშვნელობას არჩევით ორგანოში შესვლამდე.

სანქციები

საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული დარღვევების/ნაკლოვანებების კონკრეტული შემთხვევების განხილვისას შეიძლება დადგეს სანქციების საკითხი. შესაბამისი სანქციები ამ სფეროში იყოფა ორ ჯგუფად:

1. ფინანსური სანქციები; და
2. პოლიტიკური/საარჩევნო საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებული სანქციები.

ფინანსური სანქციების საფუძველი გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

ეკრძოდ, მოქმედებს ორი მუხლი: მუხლი 174¹³ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საარჩევნო ფონდებში ან პოლიტიკურ პარტიაში უკანონო შენატანის დაშვების და/ან შენატანების შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობის შემთხვევებში. 1000-დან 1500 ლარის ოდენობით ფინანსური სანქციები ეკისრებათ საარჩევნო ფონდების მართვაზე პასუხისმგებელ ფიზიკურ პირებს. მუხლი 174¹⁴ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საარჩევნო ფონდის და პოლიტიკური პარტიის მიერ ანგარიშის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ამ შემთხვევაშიც ფინანსური სანქციის ოდენობა იგივეა და ეკისრება ფიზიკურ პირს – ფონდის ხელმძღვანელს.

ეს მუხლი შინაარსობრივად ბუნდოვანია და არ განსაზღვრავს, გულისხმობს თუ არა მხოლოდ საბოლოო ანგარიშს საარჩევნო ფონდებიდან (რომელიც უნდა ჩაბარდეს „მ დლიანი ვადის“ თუ ერთი თვის განმავლობაში), თუ ყველა ანგარიშს, შუალედური ანგარიშების ჩათვლით. ამასთან, არ არის გარკვეული, დაგვიანებული წარდგენა ხდება თუ არა ზემოთ აღნიშნული რომელიმე მუხლის ამოქმედების საფუძველი. ანგარიშების (უმთავრესად შუალედურის) წარდგენა დაგვიანებით ჩვეული მოვლენა იყო საპარლამენტო არჩევნების დროს. ამ საკითხების გარკვევა მთლიანად ცესკო-ზე დამოკიდებული, რომელსაც საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები. უფრო მეტიც, მოქმედი ფინანსური სანქციები ბადებს კითხვას ეფექტიანობის თვალსაზრისით – არის თუ არა ფიზიკური პირების დაჯარიმება ასეთი მცირე თანხით ეფექტიანი, როდესაც საარჩევნო ფონდებმა შეიძლება მილიონობით ლარს გადააჭარბოს?

მეორე ტიპის სანქცია გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსით. 48.7 მუხლის თანახმად:

„საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც არ წარადგენენ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს, ეკრძალებათ არჩევნებში მონაწილეობა, მათ შორის შესაბამის მომავალ არჩევნებში“.

ეს სერიოზული სანქციაა პოლიტიკური სუბიექტისთვის. საკვირველია, მაგრამ კანონი არ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა

იყოს მიღებული ასეთი გადაწყვეტილება და რომელი ორგანოს – საარჩევნო ადმინისტრაციის თუ სასამართლოს — მიერ. საარჩევნო კოდექსი არ ეხება არც ამ საკითხს და არც იმას, შესაძლებელია თუ არა ასეთი საქმე განიხილებოდეს როგორც საარჩევნო დავა და მის მიმართ მოქმედებდეს ზოგადი მუხლები, რომლებითაც ის რეგულირდება. ეს სანქცია საკმაოდ სერიოზულია იმისათვის, რომ დაუშვას კანონის ასეთი მრავალმხრივი ინტერპრეტაცია.

ამასთანავე, საარჩევნო კოდექსის 48.8 მუხლი ადგენს:

„თუ საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც მიიღებენ ამ კანონით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობას, დადგენილ ვადაში არ წარადგენენ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს, ან თუ დადასტურდება ამ კანონის 46-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 პუნქტების, 47-ე მუხლის მე-4, მე-5 პუნქტების, ამ მუხლის მე-4, მე-5, მე-6 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევა, ისინი შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ან ცესკო-მ უნდა გააფრთხილოს წერილობით და უნდა მოსთხოვოს ხარვეზის შევსება და დეტალური წერილობითი ინფორმაციის მიწოდება სათანადო დარღვევასთან დაკავშირებით. თუ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ან ცესკო მიიჩნევს, რომ დარღვევა არსებითი ხასიათისაა და შეეძლო გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგებზე, იგი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს არჩევნების შედეგების შეჯამება ამ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების გაუთვალისწინებლად...“

თუმცა, განსხვავებით 48.7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისაგან, აქ მკაფიო მითითებაა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შესახებ, რომელიც არის სასამართლო. თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „არსებით დარღვევად“, მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული. ჩვენ ვერ მოვიძიეთ კანონმდებლობაში ან თუნდაც კანონქვემდებარე აქტებში (რომლებიც მიღებულია ცესკო-ს მიერ) რაიმე დებულება, რომელიც ნათელს მოჰყენდა ამ საკითხს.

საარჩევნო სუბიექტების ვალდებულებების შესრულება

პარტიული შენატანები

საპარლამენტო არჩევნების დროს სერიოზული პრობლემები იყო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობასთან, კერძოდ, საარჩევნო ფონდებში პარტიულ შენატანებთან დაკავშირებით. საქართველოს კანონმდებლობა, კონკრეტულად კი კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, არეგულირებს მხოლოდ პარტიის დაფინანსების საკითხს და თუმცა ძირითადი შეზღუდვები შენატანებთან მიმართებაში იგივეა, რაც საარჩევნო ფონდების შემთხვევაში, პოლიტიკურ პარტიებს ანგარიშგების განსხვავებული ვალდებულებები აქვთ (ყოველი წლის თებერვლისთვის).

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საარჩევნო ფონდების შეიქმნა საარჩევნო სუბიექტების - პარტიების მიერ, ფონდების დაკავშირებული ანგარიშგების ვალდებულებები არ მოიცავს თავად პარტიების ფინანსებს. საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს შეზღუდვებს ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან შენატანებისთვის. იურიდიულ პირებს ეკრძალებათ 100,000 ლარზე მეტი ოდენობის თანხის შენატანის გაკეთება (ანალოგიური შეზღუდვა მოქმედებს პოლიტიკურ პარტიების შენატანებთან დაკავშირებით). მაგრამ 2007 წლის ივნისიდან კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით პოლიტიკურს პარტიებს, რომელთაც შექმნეს საარჩევნო ფონდი, ენიჭებათ უფლებამოსილება, განახორციელონ შენატანები ფულადი შეზღუდვების გარეშე (მუხლი 47.3³).

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების განმავლობაში რამდენიმე პარტიამ განაცხადა საარჩევნო კამპანიის ფონდებში მნიშვნელოვანი შენატანების შესახებ. მაგრამ იმ დროისთვის პარტიების მიერ მიღებული შემოსავლების წყაროს იდენტიფიკაცია არ იყო შესაძლებელი, რადგან პოლიტიკური გაერთიანება ვალდებული იყო, ჩაებარებინა ფინანსური დეკლარაცია მხოლოდ 2009 წლის თებერვალში (ცესკო-სთვის). აქედან გამომდინარე, 2008 წლის 5 ივნისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიმართა ცესკო-ს, რათა მოეთხოვა, რომ ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლებსაც შეჰქონდათ ფულადი შენატა-

ნები საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიის ფონდებში, წინასწარ წარედგინა თავისი ფინანსური დეკლარაცია ცესკოსთვის. მაგრამ ასოციაციის მოთხოვნის საპასუხოდ 2008 წლის 9 ივნისს ცესკო-მ გააკეთა განცხადება, რომ ის „არ არის უფლებამოსილი, მიმართოს პოლიტიკურ გაერთიანებებს ვადაზე ადრე ფინანსური დეკლარაციების წარდგენის მოთხოვნით“. ამგვარად, საპარლამენტო არჩევნებისთვის ძირითადი შენატანების გამჭვირვალობის საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩება. არ არის გასაკვირი, რომ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიშში ამ საკითხზე შემდეგნაირი კომენტარია გაკეთებული:

„საარჩევნო კამპანიის დაფინანსების ეფექტიანი მონიტორინგი კიდევ უფრო შეზღუდული იყო იმის გამო, რომ ზოგიერთი პარტიის შემთხვევაში საარჩევნო ფონდებში შენატანების მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა თავად პარტიებისგან, რის შედეგადაც არ იყო გარკვეული ფინანსური შენატანების შემტანი პირველადი წყაროს ვინაობა“.

და ბოლოს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს რეგისტრირებულმა კანდიდატმა და ფიზიკურმა პირმა ბ-ნმა არკადი პატარკაციშვილმა თავის საარჩევნო ფონდში შეიტანა 400,000 ლარის ოდენობის თანხა, რის საფუძველაც მოჰყავდა ზემოთ აღნიშნული გამონაკლისი პოლიტიკური პარტიებისთვის. კანონის ფორმალური ინტერპრეტაციის მიხედვით ამგვარი შენატანი უკანონოა, მაგრამ ამ შემთხვევამ წარმოშვა სამართლიანობის საკითხი პარტიებისთვის არსებულ გამონაკლისებთან დაკავშირებით კანდიდატ ფიზიკურ პირებთან შედარებით.

ცესკო-ს ანგარიშგების ფორმები

საარჩევნო ფონდებთან დაკავშირებით ანგარიშგების ვალდებულება უნდა იყოს თანმიმდევრული და გადმოსცემდეს ზუსტი ინფორმაციას. 2003 წლის 4 ოქტომბერს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლითაც შეთავაზებული იქნა ანგარიშგების

ფორმები. ეს ფორმები დღესაც გამოიყენება. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პერიოდში საარჩევნო სუბიექტებს პრობლემები ჰქონდათ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ფორმების შევსებაში, მათ შორის შემდეგი სახის:

ცესკო-ს მიერ დამტკიცებული ფორმა ითვალისწინებს საარჩევნო კამპანიის დროს განეული ხარჯების სკრუპულოზურ ჩამონათვალს. ასეთი დეტალური მოთხოვნების მიუხედავად ანგარიშის ბევრი ველი მთავრდება სიტყვით „მომსახურება“, რაც არ შეესაბამება ფორმაში დასმულ შეკითხვებს;

ეს ფორმა ითვალისწინებს ხარჯთაღრიცხვის როგორც ზოგად, ისე სპეციფიკურ ჩამონათვალს. ზოგადი ნაწილი მოიცავს ქვეკატეგორიებს, როგორც არის „ხელფასები“ და „მივლინებები“. ამიტომ ფორმა მოითხოვს ამ კონკრეტულ გრაფებში კონკრეტული ციფრების მითითებას. სპეციფიკურ ნაწილში უნდა აღინიშნებოდეს ისეთი მონაცემები, როგორც არის „მომსახურების ტიპი“ და „მომსახურების ღირებულება“. ბუნებრივია, ზოგად და სპეციფიკურ ნაწილებში შევსებული ოდენობები უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. სხვადასხვა საარჩევნო ფონდის ანგარიშები ამ მოთხოვნების დარღვევით არის შედგენილი.

ანგარიშის ფორმა მოითხოვს დამფინანსებლის მოქალაქის პირადობის მონომობის ნომრის და პირადი ნომრის შევსებას, თუმცა ანგარიშებში ეს ინფორმაცია არ არის მოცემული.

დამატებით, აუცილებელია მომსახურების შეკვეთაზე მოთხოვნის გაკეთების და მომსახურების ფაქტობრივი შესრულების თარიღების მითითება; ეს მოთხოვნა ზოგიერთი ფონდის შემთხვევაში არ იყო დაცული.

ანგარიშის ფორმა ითვალისწინებს ხარჯების როგორც ზოგად, ისე დეტალურ ჩამონათვალს. ზოგიერთმა სუბიექტმა არ შეავსო ფორმაში დეტალური ხარჯთაღრიცხვის ნაწილი.

საბოლოო ანგარიშთან ერთად საარჩევნო სუბიექტები ასევე ვალდებული არიან, წარუდგინონ ცესკო-ს აუდიტის დასკვნა. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებიდან ანგარიშების გარკვეულ ნაწილში გარკვევით არ არის მითითებული,

აუდიტის მომსახურება გადახდის საფუძველზე იქნა განეული თუ უფასოდ, შენატანის სახით; დასკვნის მომზადების ხარჯები არ იყო მითითებული არც ხარჯების და არც ფულადი შენატანების ნაწილში.

ცესკო-ს მიერ მიღებული ფორმები არ არის რთული და პოლიტიკურ სუბიექტებს ასე ძალიან არ უნდა გასჭირვებოდათ მათი შევსება. ამასთან, საპარლამენტო არჩევნების დროს მონიტორინგის ჯგუფი კვირაში ორჯერ მართავდა შეხვედრებს ფონდების ხელმძღვანელებთან და მათ ბუღალტრებთან შეკითხვებზე პასუხების გაცემის მიზნით. ამ ფაქტის მიუხედავად, პრობლემები გრძელდებოდა საპარლამენტო არჩევნების დროსაც. ამასთან, თავად მონიტორინგის ჯგუფი სთავაზობდა კონკრეტულ რეკომენდაციებს ფორმებთან დაკავშირებით გამჭვირვალობის გაზრდისა და ანგარიშგების სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით. ამიტომ აუცილებელია, რომ ცესკო-მ გადასინჯოს ეს ფორმები და ამ პროცესში ჩართოს ყველა შესაბამისი მონაწილე მხარე, მათ შორის მონიტორინგის ჯგუფის წევრები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და შესაბამისი ექსპერტები.

საარჩევნო ფონდების გამოყენება

საარჩევნო ფონდების მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ თანხების უმეტეს ნაწილს საარჩევნო სუბიექტები ხარჯავენ საინფორმაციო საშუალებებით რეკლამირებაზე. ამიტომ საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს კონკრეტულ წესებს, რომელთაც ექვემდებარება ელექტრონული და ბეჭდური მედია და ამით აყალიბებს ყველა პოლიტიკური სუბიექტის მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპებს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსხვავება კეთდება კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სუბიექტებს შორის). როგორც სამაუწყებლო საშუალებები, ისე ბეჭდური მედია ვალდებული არიან, ყოველკვირეულად წარუდგინონ ცესკო-ს შემდეგი ინფორმაცია (რეგიონული მედია ანგარიშს აბარებს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას):

საეთერო დროის / გამოყოფილი საგაზეთო სივრცის ვადა (თარიღების მითითებით) და პერიოდი;
დროის ოდენობა და განრიგი / ყოველდღიურად გამოყოფილი საგაზეთო სივრცე;
საეთერო დროის / საგაზეთო სივრცის შესაბამისი ტარიფი;
განული მომსახურება.

ყოველკვირეულად წარმოდგენილი აღნიშნული ინფორმაცია აძლევს საარჩევნო კომისიას და საზოგადოებას ნათელ წარმოდგენას მედიის მუშაობის და მის მიერ იურიდიული ვალდებულებების შესრულების ხარისხის შესახებ. ეს შეეხება კონკრეტულად საარჩევნო ფონდის გახარჯვის შესახებ მოწოდებულ ინფორმაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში რეკლამირების მიზნით. სამწუხაროდ, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველა საინფორმაციო საშუალება არ იცავს ყოველკვირეული ანგარიშგების ვალდებულებას ან იცავს სერიოზული ხარვეზებით (ინფორმაციის დაგვიანებული მოწოდება, არასრული ან გაურკვეველი ინფორმაცია). ამისდა მიუხედავად, შესაძლებელი იყო კონკრეტული ნაკლოვანებების იდენტიფიცირება, რომლებიც, *inter alia*, მოიცავს შემდეგს:

ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი დაიხარჯა სარეკლამო რგოლებზე, შეუსაბამო იყო. ერთმანეთს არ ემთხვეოდა კანდიდატების და სატელევიზიო კომპანიების მიერ ცესკო-ში წარდგენილი ანგარიშები. საპრეზიდენტო არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტებისთვის სავალდებულო იყო, ჩაებარებინათ ანგარიში შემოწირულების ფორმით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოყოფილი უფასო დროის გამოყენების შესახებ (საპარლამენტო არჩევნებისთვის ეს მოთხოვნა მოიხსნა). ზოგმა კანდიდატმა გამოტოვა ეს ინფორმაცია თავის ანგარიშში. პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ მიუთითა ინფორმაცია შემოწირულების სახით გამოყოფილი უფასო დროის შესახებ. თუმცა, ვინაიდან ეს „შემოწირულება“ იურიდიული პირისგან მოდიოდა, ის აჭარბებდა 100,000 ლა-

რიან ლიმიტს. ეს ასახავს კოდექსის ორი სავალდებულო წესის წინააღმდეგობრივ ხასიათს: შემოწირულების ლიმიტს და უფასო დროის შესახებ ანგარიშგების ვალდებულებას.

სამწუხაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან სათანადო ანგარიშგების არარსებობის გამო შეუძლებელია საარჩევნო სუბიექტების მიერ მოხმარებული ფონდების შესახებ დანვრილებითი ინფორმაციის მოპოვება. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ სათანადო ანგარიშგება მედიის ოფიციალური ვალდებულებაა, საარჩევნო ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული, რომ აქტიურად მოითხოვოს „ნაკლული“ ინფორმაცია იურიდიული სუბიექტებისგან. თუმცა ეს ასე არ მომხდარა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს. ცესკო საფუძვლიანად არ აკონტროლებს მედიის მხრიდან იურიდიული ვალდებულებების შესრულებას. ამავდროს, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კონკრეტულ სასჯელს აღნიშნული ვალდებულების დარღვევისთვის.

საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული მონიტორინგის ბერკეტები

შიდა აუდიტი

საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების შემდეგ საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, წარუდგინოს ცესკო-ს ანგარიში საარჩევნო ფონდების გამოყენების შესახებ და აუდიტის დასკვნა. აუდიტის დასკვნა, აუდიტორული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არის:

„ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შედგენილია, ხელმოწერილია და ბეჭდით დამოწმებულია აუდიტორის მიერ სათანადო წესით და რომელიც ასახავს დასკვნას ეკონომიკური სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვის სისწორისა და შესაბამის კანონმდებლობასა და დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ“.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს ფაქტობრივად მონიტორინგის ჯგუფის და არასამთავრობო პარტნიორების (მაგ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის) მიერ გამოვლენილი არც ერთი ხარვეზი არ ყოფილა ნახსენები აუდიტის ანგარიშებში. აუდიტორების მხრიდან სერიოზული ანალიზის არარსებობის მიზეზი სავარაუდოდ იყო ეფექტიანი ანალიზის ჩატარებისთვის არსებული მოკლე ვადა (იხ. ზემოთ აღნიშნული საკითხი „8 დღიანი წესის“ შესახებ), ან შესაძლებელია, ეს გამოწვეული იყო საარჩევნო ფონდების დამოუკიდებლობის ნაკლებობით. აუდიტის ხარჯები იფარება საარჩევნო ფონდებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად იურიდიული პირების შიდა აუდიტის მომსახურების შესყიდვა ხდება პირდაპირ კომპანიების მიერ, ამ ფაქტმა არ უნდა შეამციროს პროცესის ეფექტიანობა, მაგრამ საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან მიმართებაში ეს სისტემა აშკარად შეიძლება არასრულყოფილი იყოს. ახალი სისტემა შეიძლება გულისხმობდეს აუდიტის მომსახურების შესყიდვას სახელმწიფოს მიერ (მონიტორინგის ჯგუფი).

გარე აუდიტი საარჩევნო ადმინისტრაციისა და მონიტორინგის ჯგუფის მიერ

მონიტორინგის ჯგუფი ჩამოყალიბებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. ის დაკომპლექტებულია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით, იურისტებითა და ლიცენზირებული აუდიტორებით. მონიტორინგის ჯგუფის მიზანია საარჩევნო სუბიექტების მიერ მათთვის გამოყოფილი საარჩევნო რესურსების ფინანსური ანგარიშგების მონიტორინგი.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს მონიტორინგის ჯგუფის მანდატი და ფუნქციები არ რეგულირდებოდა კანონმდებლობით (დეტალურად ეს არ რეგულირდებოდა არც კოდექსით და არც ცესკო-ს მიერ მიღებული რომელიმე კანონქვემდებარე აქტით). ამრიგად, ჯგუფი მოქმედებდა კოდექსის ბუნდოვანი დებულებების საფუძველზე და წევრებს შორის შეთანხმებით. მაგრამ საარჩევნო სუბიექტების მიერ ჩაბარებულმა ანგარიშებმა ცხადყო,

რომ აუცილებელი იყო, ჯგუფს ჰქონოდა უფრო მეტი უფლებამოსილება. ამიტომ, წინააღმდეგობრივი საკითხების გარკვევის მიზნით, ჯგუფი:

დაუკავშირდა პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო ფონდის ხელმძღვანელს და მოსთხოვა ინფორმაცია. მიცემული იყო სიტყვიერი ახსნა-განმარტებები; მოითხოვა ფონდიდან დამატებითი ინფორმაცია (საბანკო დოკუმენტაცია), შემდეგ კი ჯგუფის წევრებმა გააანალიზეს მიწოდებული დოკუმენტები.

თანამშრომლობა საარჩევნო ფონდის ხელმძღვანელის მხრიდან მთლიანად ნებაყოფლობითი იყო. იმ დროს მოქმედი არც ერთი კანონი არ ავალდებულებდა საარჩევნო ფონდს, მიეწოდებინა დამატებითი ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფისთვის. კოდექსი ითვალისწინებს ერთადერთ გამონაკლისს იმ შემთხვევაში, როდესაც ცესკო ითხოვს ოფიციალურ განმარტებებს დარღვევებზე, მაგრამ ეს ხდება *მას შემდეგ*, რაც მონიტორინგის ჯგუფი მოამზადებს დასკვნებს და წარუდგენს მათ ცესკო-ს. საბოლოოდ ამ მაგალითმა მისცა საშუალება მონიტორინგის ჯგუფს, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის თავის წესდებაში შეეტანა სპეციალური დებულებები, რომელთა მიხედვითაც:

„როდესაც მონიტორინგის ჯგუფს არა აქვს შესაძლებლობა, სრულყოფილად ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია მხოლოდ საარჩევნო ფონდების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, მისი წინადადებით ცესკო-ს თავმჯდომარე ითხოვს დამატებით ინფორმაციას საარჩევნო სუბიექტისგან. საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, შეასრულოს მოთხოვნა მიღებიდან ერთი დღის ვადაში“ (მუხლი 4.3).

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მაგრამ 2008 წლის 21 მარტს საარჩევნო კოდექსის ცვლილებების დამტკიცებამდე, მონიტორინგის ჯგუფმა დაიწყო მუშაობა, მაგრამ შემოიფარგლებო-

და საარჩევნო სუბიექტების მიერ არჩევნებისთვის გამოყენებული რესურსების გამოყენების შესახებ მომზადებული ანგარიშების მონიტორინგით. ცვლილებების მიხედვით, „მონიტორინგის ჯგუფი უნდა შექმნილიყო წინასაარჩევნო პერიოდში“, კერძოდ, არჩევნების დანიშნვიდან 5 დღის განმავლობაში. ჯგუფის მანდატი გარკვეულწილად გაფართოვდა. წინა არჩევნებისგან განსხვავებით ჯგუფს ახლა მიენიჭა უფლებამოსილება, შეესწავლა საარჩევნო კომისიებისთვის მინოდებული ინფორმაცია და წარმოედგინა შესაბამისი დასკვნები შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ზომების მისაღებად. ახალი კანონი ასევე ითვალისწინებდა ცესკო-ს მიერ მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის მარეგულირებელი წესდების დამტკიცებას, ჯგუფის წინადადების საფუძველზე. თუმცა 21 მარტს დამტკიცებული ცვლილებების ირგვლივ გამართული საპარლამენტო დებატების დროს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ წამოაყენა წინადადება, რომ მონიტორინგის ჯგუფის მანდატი და უფლებები მკაფიოდ ყოფილიყო განსაზღვრული კოდექსით და არა ცესკო-ს დადგენილებით. როგორც შემდგომში აღინიშნა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიშში:

„ჯგუფის ეფექტიანობა შეზღუდული იყო იმ ფაქტით, რომ მისი მანდატი არ არის განსაზღვრული ერთიან საარჩევნო კოდექსში, რამაც გამოიწვია გაუგებრობა მისი პასუხისმგებლობის სფეროსთან დაკავშირებით“.

ფინანსური მონიტორინგის ჯგუფთან დაკავშირებით კანონმდებლობაში შესული ცვლილებები გარკვეულწილად მოიცავდა რეკომენდაციებს სისტემის განვითარებისთვის, რომლებიც გამოითქვა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. მაგალითად, როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი ჩამოყალიბდა წინასაარჩევნო პერიოდში და შემუშავდა და დამტკიცდა ჯგუფის წესდება. მაგრამ ჯგუფის კომპეტენციის ფარგლების საკითხი კვლავ პრობლემურია.

ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოიკვეთა, რომ იმისათვის, რომ საქმიანობა ნაყოფიერი იყოს, მხოლოდ საარჩევნო სუბიექტების მიერ ცესკო-სთვის მიწოდებული დოკუმენტები არ არის საკმარისი. ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მიერ გამოქვეყნებული წინასაარჩევნო დაკვირვების ანგარიშები როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნებისთვის მიუთითებს ბეჭდვითი მასალების, ბილბორდების და სხვა წინასაარჩევნო მომსახურების გამოყენების მაღალ ინტენსივობაზე. არც ცესკო-ს და არც მონიტორინგის ჯგუფს არ გააჩნდათ შესაძლებლობა, რომ დოკუმენტურად აღერიცხათ ხსენებულ პერიოდში საარჩევნო სუბიექტების მიერ გამოყენებული ყველა სახის მომსახურება.

მიუხედავად ამისა, საპარლამენტო არჩევნების დროს მონიტორინგის ჯგუფი შეეცადა, გასცდენოდა საარჩევნო სუბიექტებისა და მედიასაშუალებების მიერ ჩაბარებულ ანგარიშებს და გადაეხედა საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმართული კონცერტების და ფორუმებისთვის. კონკრეტული ინფორმაცია იყო მოთხოვნილი საარჩევნო სუბიექტისგან - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამარჯვებული საქართველოსთვის“ - მედიით გავრცელებული სხვადასხვა კონცერტის შესახებ და საარჩევნო სუბიექტისაგან „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“ – წინასაარჩევნო კამპანიის დროს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართული პარტიის ფორუმის შესახებ. გამოკითხვების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სუბიექტების მიერ წარდგენილ ანგარიშებში არ იყო არანაირი მინიშნება შესაბამის დანახარჯებზე. შედეგად, საარჩევნო ფონდების წარმომადგენლებმა მონიტორინგის ჯგუფს კონკრეტული ახსნა-განმარტებები მისცეს.

ეს კონკრეტული მაგალითები საარჩევნო კამპანიის ეფექტიანი მონიტორინგის მოკრძალებული მცდელობა იყო, მაგრამ ისინი ადასტურებს, რომ საჭიროა ამ საქმიანობის შემდგომი დახვეწა. იმისათვის, რომ დადგინდეს სუბიექტების მიერ ჩაბარებული ანგარიშების სისწორე, სასურველია, რომ მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელოს საარჩევნო სუბიექტების მონიტორინგი წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც. მონიტორინგი შეიძლება მოიცავდეს არასამთავრობო, კომერციული მხარეებისგან (მაგ., ბილბორ-

დების მომწოდებლებისგან), საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებისგან, ისევე, როგორც საარჩევნო სუბიექტებისგან ინფორმაციის მოთხოვნის უფლებამოსილებას.

მონიტორინგის შედეგები მისცემს ჯგუფს საშუალებას, უკეთესად და მეტი სიზუსტით შეაფასოს ჩაბარებული ანგარიშების სისწორე და სისრულე.

დასკვნები

წინა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს არსებობდა საზოგადოების მხრიდან საარჩევნო პროცესის, საარჩევნო ადმინისტრაციის და საარჩევნო კამპანიის სამართლიანობის მიმართ უნდობლობის პრობლემა. კამპანიის დაფინანსების ეფექტიანი და გამჭვირვალე სისტემის დანერგვა აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და არჩევნების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებისათვის. ჩვენ გვაქვს გამოცდილება წინა არჩევნებიდან და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა, რომ გადავდგათ პირველი ნაბიჯი. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო კოდექსის ცვლილებებისა და ზოგადად საარჩევნო სისტემის განხილვისას ყურადღების მიღმა არ დარჩეს ზემოთ განხილული საკითხები და გათვალისწინებული იქნეს შემდეგი რეკომენდაციები

სამართლებრივი ბაზის გადასინჯვა: ზუსტი ვადების განსაზღვრა საარჩევნო ფონდებთან დაკავშირებით სწორი ანგარიშგების უზრუნველყოფის მიზნით არა მხოლოდ არჩევნების შემდეგ, არამედ არჩევნებამდე. არც ერთი საარჩევნო სუბიექტის ფონდი, იქნება ის ბლოკის წევრი თუ მაჟორიტარი კანდიდატი, არ უნდა დარჩეს დანვრილებითი შესწავლის გარეშე. საარჩევნო ფონდის დანახარჯები უნდა იყოს გამჭვირვალე ფონდის გახსნიდან მის დახურვამდე. უნდა დაინერგოს დაჯარიმების ეფექტიანი და მკაფიო სისტემა.

ანგარიშგების მოთხოვნები: საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია საარჩევნო ფონდებში შემოწირულობების წყაროს შესახებ. ცესკო-მ უნდა გადახედოს ანგარიშგების ფორმებს და ჩართოს ამაში ყველა მონაწილე მხარე – მონიტორინგის

ჯგუფის წევრები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და შესაბამისი ექსპერტები.

მედიის მხრიდან ანგარიშგების გაუმჯობესება. ცესკო ვალდებული უნდა იყოს, რომ მონიტორინგი გაუწიოს საინფორმაციო საშუალებებს ყოველკვირეულად და აქტიურად ჩაერთოს სრული და ზუსტი ინფორმაციის მისაღებად.

შიდა და გარეშე მონიტორინგის შემდგომი განვითარება: განხილული უნდა იქნეს აუდიტის ახალი სისტემა ეფექტიანი მომსახურების უზრუნველყოფისათვის. მონიტორინგის ჯგუფის მანდატი და უფლებამოსილება მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული საარჩევნო კოდექსში.

მონიტორინგის ჯგუფის უფლებამოსილების გაფართოება: საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშების სისწორის შემოწმების მიზნით მონიტორინგის ჯგუფმა უნდა განახორციელოს საარჩევნო სუბიექტების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი წინასაარჩევნო პერიოდშიც. ამიტომ მას უნდა მიენიჭოს სპეციალური უფლებამოსილება, რომ მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია მესამე პირებისგან.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება

ავტორი: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

2007 და 2008 წლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ განახორციელა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი ხუთი ტიპის — ადმინისტრაციულ, სამართლებრივ, ინსტიტუციურ, ფინანსურ, მედია და ე.წ ხისტ (ძალოვან) — რესურსებზე ფოკუსირებით. მონიტორინგი კონცენტრირებული იყო მთავრობასა და მმართველ პარტიაზე და მის მაჟორიტარ კანდიდატებზე, ვინაიდან მმართველი პარტიისთვის ხელმისაწვდომი იყო ადმინისტრაციული რესურსები.

სამართლებრივ დარღვევებთან ერთად შეფასების კრიტერიუმები მოიცავდა ასევე იმ ფაქტორს, თუ რამდენად თანაბარ პირობებში მიმდინარეობდა მმართველი პარტიისა და სხვა პარტიების მონაწილეობა არჩევნებში, ასევე რამდენად უწყობდა ხელს ხელისუფლება კონკურენტული წინასაარჩევნო გარემოს შექმნას. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ტენდენციები და დარღვევები:

სამართლებრივი რესურსები

მაჟორიტარული სისტემა

2008 წლის 28 იანვარს პრეზიდენტობის ოპოზიციურმა კანდიდატებმა და ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა გამოსცეს ერთობლივი მემორანდუმი, რომლითაც მიმართავდნენ პარლამენტის სპიკერს ნინო ბურჯანაძეს, მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მემორანდუმი მოიცავდა 17 საკითხს, რომლებიც, ოპოზიციის აზრით, უნდა გადაჭრილიყო

ქვეყანაში არსებული დაძაბულობის განეიტრალებისა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფის მიზნით. მემორანდუმის ერთ-ერთი პუნქტი მოუწოდებდა არსებული მაჟორიტარული სისტემის (პრინციპით „გამარჯვებული ლეზულობს ყველაფერს“, ერთმანდატიანი საოლქო სისტემა) გარდაქმნას რეგიონულ მრავალმანდატიან სისტემად, რომლითაც მოხდებოდა ადგილების პროპორციულად გადანაწილება რეგიონებს შორის.

2008 წლის 14 თებერვალს მმართველმა პარტიამ გამოაქვეყნა წინადადებების პროექტი ოპოზიციის მიერ წამოყენებულ ჩვიდმეტივე პუნქტთან დაკავშირებით. დოკუმენტი იწყებოდა შემდეგი ფრაზით: „შემოთავაზებული ვარიანტი წარმოადგენს ხელისუფლების მხრიდან კომპრომისს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ წამოყენებულ ყველა ძირითად საკითხთან მიმართებაში“. რაც შეეხება საარჩევნო სისტემის რეფორმას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შეთავაზება ასე ჟღერდა:

„თუ პოლიტიკურ ძალთა შორის მიღწეული იქნება კონსენსუსი, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა შეიცვლება რეგიონული პროპორციული სისტემით, როგორც ეს რეკომენდებულია ეუთო-ს ექსპერტების მიერ. ამ მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია და შესაბამისი ცვლილებები შევა ძალაში მარტის ბოლომდე კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში“.

2008 წლის 21 მარტს პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები საარჩევნო კოდექსში და ხელახლა განსაზღვრა მაჟორიტარული სისტემა. ახალი სისტემით ერთი მაჟორიტარი კანდიდატი უნდა არჩეულიყო 75-დან თითოეულ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, რაც ნიშნავდა საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ არსებული სისტემის ხელახლა დანერგვას. არჩეულად ჩაითვლებოდა მაჟორიტარი კანდიდატი, რომელიც საარჩევნო ოლქში მიიღებდა ხმათა უმრავლესობას და ხმათა სულ მცირე 30%-ს.

მემორანდუმიდან გადახრა მმართველმა პარტიამ ახსნა იმით, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი ხმათა რაოდენობა კონსტიტუციის შესაცვლელად და სჭირდებოდა პარლამენტის ოპოზი-

ციური ან მაჟორიტარი წევრების მხარდაჭერა. იმის გამო, რომ ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებდა ამ პროცესს, მმართველ პარტიას მოუწია, დაეკმაყოფილებინა მაჟორიტარი პარლამენტარები, რომელთაც ერჩივნათ ერთმანდატიანი სისტემა, რომლის საფუძველზეც ისინი იყვნენ არჩეულნი. თუმცა იმავე მაჟორიტარებმა 2005 წელს მხარი დაუჭირეს ერთმანდატიანი სისტემის შეცვლას მრავალმანდატიანი სისტემით პრინციპით „გამარჯვებული ლებულობს ყველაფერს“.

საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს, რომ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები განხილული იყოს ერთთვიანი საჯარო დებატების ფორმატში. ეს ნიშნავს, რომ უნდა გამოქვეყნდეს ცვლილებების პროექტი და გაიმართოს სხვადასხვა ტიპის საჯარო განხილვა. მმართველმა პარტიამ განაცხადა, რომ დისკუსიები ერთი თვე გრძელდებოდა, ვინაიდან საკონსტიტუციო ცვლილება პარლამენტში 150 მანდატის გადანაწილებასთან დაკავშირებით ინიცირებული იქნა 13 ნოემბერს. თუმცა თავდაპირველ კანონპროექტში აღნიშნული იყო მხოლოდ, რომ იქნებოდა 100 პროპორციული და 50 მაჟორიტარული მანდატი. ამასთან, კანონპროექტზე დართული განმარტებითი ბარათის მიხედვით, მაჟორიტარული მანდატების გადანაწილების უფრო სამართლიანი გზა რეგიონული პროპორციული სისტემა იქნებოდა. იმავე დღეს, როდესაც ინიცირებული იქნა ცვლილება, კენჭისყრაზე უნდა დამდგარიყო 75-75 სისტემის საკითხი.

ამ სისტემის თანახმად 75 საარჩევნო ოლქიდან თითოეულს ჰყავს ერთი მაჟორიტარი წევრი პარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო ოლქები არ არის ფორმირებული მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით. ეს იწვევს დიდ განსხვავებებს საარჩევნო ოლქების ზომებში, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. მაგალითად, ლენტეხის ოლქს მხოლოდ 6,115 ამომრჩეველი ჰყავს, როდესაც ზუგდიდს 126,106 ამომრჩეველი ჰყავს (20-ჯერ უფრო მეტი). არსებული სისტემით ორივე ოლქს ერთი მაჟორიტარი წევრი ჰყავს პარლამენტში.

პროპორციული არჩევნებისთვის მმართველი პარტიის სიის რეგისტრაცია

2008 წლის 21 აპრილს ცესკო-ში განვითარებულმა მოვლენებმა უარყოფითად იმოქმედა საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებაზე კომისიის და ზოგადად საარჩევნო პროცესის მიმართ. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ცესკო-ს თავის კანდიდატთა სია პროპორციული არჩევნებისთვის საბოლოო ვადამდე რამდენიმე წუთით ადრე მიაწოდა. ცესკო-ში ოპოზიციის წარმომადგენლებს არ მისცეს ნება, ენახათ სია იმ სალამოს. მათ უთხრეს, რომ სია იყო კანცელარიაში, რომელიც დაიკეტა 18:00 სთ-ზე და მეორე დღის დილამდე არ გაიღებოდა.

ოპოზიციის წარმომადგენლებს დაებადათეჭვი, რომ მმართველმა პარტიამ ცესკო-ში წარმოადგინა არასრული სია (წინასწარი ვარიანტი) და გეგმავდა მოგვიანებით მის შეცვლას. ეჭვი დაბადა იმ ფაქტმა, რომ იმავე დღეს დაახლოებით 18:00 სთ-ზე პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ, რომელიც მმართველი პარტიის სიის სათავეში იყო, საჯაროდ გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება, არ მიეღო მონაწილეობა არჩევნებში. ბურჯანაძემ განაცხადა, რომ მისი გადაწყვეტილების მიზეზი იყო ის, რომ პარტიის სხვა წევრებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება სიის შემადგენლობაზე. ამის შედეგად სიიდან ამოვარდა ზოგიერთი სხვა კანდიდატიც, რომელთა სიაში შეყვანა ბურჯანაძემ უზრუნველყო.

გამომდინარე იქიდან, რომ ცესკო-ს ოპოზიციურ წევრებს უარი ეთქვათ მმართველის პარტიის სიის ნახვაზე მისი ჩაბარების დღეს, მათ გადაწყვიტეს, ღამე გაეთიათ ცესკო-ს შენობაში, რათა გაეკონტროლებინათ, რომ წარმოდგენილი სია იმ ღამის განმავლობაში არ შეცვლილიყო ახალი, შესწორებული სიით. ამ დროისთვის კომისიის წევრებს შეუერთდნენ ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლებიც. მათ სთხოვეს ცესკო-ს თავმჯდომარეს, ეთქვა მათთვის, თუ სად ინახებოდა მმართველი პარტიის სია და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გადაინაცვლეს იმ ოთახში, რომელზეც თავმჯდომარემ მიუთითა, თუმცა 02:00 სთ-ის მერე გაირკვა, რომ სია სინამდვილეში სხვა ოთახში ინახებოდა. ამ დროისთვის

სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიეცათ სიის ნახვის შესაძლებლობა. მათ აღნიშნეს, რომ სიის ლუქი დაზიანებული იყო.

სასამართლო პროცესები ხმების მოსყიდვაზე

საარჩევნო კოდექსის 73.9 მუხლის თანახმად, არჩევნების თარიღის დანიშვნის შემდეგ აკრძალულია საქართველოს მოქალაქეებისათვის საარჩევნო სუბიექტების და მათი წარმომადგენლების მიერ, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ფულის, საჩუქრების თუ სხვა მატერიალური ნივთების გადაცემა, რაიმე საქონლის შეღავათიან ფასებში შეთავაზება ან უფასოდ საქონლის მიწოდება ან დარიგება (გარდა საარჩევნო კამპანიის მასალებისა, როგორც განსაზღვრულია აღნიშნული კანონით), ასევე აკრძალულია საქართველოს მოქალაქეების გადაბირება ფულის, ფასიანი ქაღალდების თუ სხვა მატერიალური ფასეულობების დაპირებით.

არჩევნებამდე პერიოდში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მმართველი პარტიის მაჟორიტარმა კანდიდატებმა გაავრცელეს სხვადასხვა სახის საჩუქრები, მათ შორის სუვენირები, საყოფაცხოვრებო მონყობილობები, საკვები პროდუქტები და სხვა საქონელი სრულიად უფასოდ. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევათა უმრავლესობას ადგილი ჰქონდა ცესკო-ში კანდიდატების ოფიციალურად დარეგისტრირებამდე, მონაწილე კანდიდატები უკვე წარდგინილნი იყვნენ საზოგადოებისთვის მმართველი პარტიის მიერ როგორც მისი მაჟორიტარი კანდიდატები გარკვეულ ოლქებში.

ასეთი შემთხვევების საპასუხოდ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეიტანა სარჩელი სასამართლოში. სასამართლომ არ მიიღო სარჩელი იმ მოტივით, რომ მცირე ღირებულების საჩუქრებისა და სუვენირების დარიგება არ წარმოადგენს კანონის დარღვევას. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მატერიალური ფასეულობების გადაცემა აკრძალული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი შემონიშნულობები ან დაპირებები კეთდებოდა ამომრჩეველთა მხარდაჭერის და მათი ხმების მოპოვების მიზნით. სასამართლოს აზრით, მცირე ღირებულების სუვენირების დარიგება ბავშვებისთვის, რომელთაც არა აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, და მათი და-

პატიჟება კინოში არ შეიძლება ჩაითვალოს ხმების მოპოვების მცდელობად.

თუმცა საარჩევნო კოდექსის 73.9ა მუხლი კრძალავს რაიმე სახის მატერიალური ნივთის გადაცემას წინასაარჩევნო კამპანიის დროს საქართველოს მოქალაქეებისთვის, არა კონკრეტულად ამომრჩევლებისთვის. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, იგულისხმებიან ბავშვებიც. ამას გარდა, საარჩევნო კოდექსი არ ანსხვავებს დაბალი და მაღალი ღირებულების საჩუქრებს. ის კრძალავს მატერიალური ფასეულობების (მიუხედავად მათი ღირებულებისა) გაერცვლებას არჩევნების ოფიციალურად დანიშვნის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები ამ საკითხზე კანონის მოთხოვნებთან დაკავშირებით, მაჟორიტარი კანდიდატები ვალდებული არიან, პატივი სცენ და დაემორჩილონ მოქმედ კანონმდებლობას.

ინსტიტუციური რესურსები

გუბერნატორების მიერ მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურია საარჩევნო კამპანიაში სახელმწიფო მოხელეების მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით, ის მაინც ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს ზოგიერთი საჯარო მოხელისთვის, კერძოდ, საჯარო მოხელეებისთვის ადგილობრივი და თვითმმართველობის ორგანოებიდან. მათ ეკრძალებათ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს. ეს აკრძალავა შეეხება რეგიონების გუბერნატორებსაც; მიუხედავად ამისა, გუბერნატორები წარუდგენდნენ საზოგადოებას მმართველი პარტიის მაჟორიტარ კანდიდატებს თითქმის ყველა რეგიონში. გუბერნატორები ამას აკეთებდნენ როგორც თავისუფალ დროს, ისე სამუშაო საათებში.

მაშინ, როდესაც მთელი სახელმწიფო აპარატი აქტიურად იყო ჩართული მმართველი პარტიის კანდიდატის კამპანიაში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 2008 წლის იანვარში, გუბერნატორები განსაკუთრებით აქტიურობდნენ მარტის საპარლამენტო არჩევნების წინ და, რო-

გორც წესი, წარმართავდნენ კამპანიას მაჟორიტარი კანდიდატების (და არა პარტიის) სახელით. სხვა მოხელეები ნაკლებად ჩანდნენ.

მაჟორიტარი კანდიდატების მონაწილეობა სხვადასხვა ლონისძიების პრეზენტაციასა და ჩატარებაში

საარჩევნო კამპანიის დროს მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატები აქტიურად იყვნენ ჩართულები ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების სპონსორობით ორგანიზებულ სხვადასხვა ლონისძიებასა და გახსნით ცერემონიებში, სადაც ისინი ხვდებოდნენ ამომრჩევლებს და აძლევდნენ წინასაარჩევნო დაპირებებს. ეს განსაკუთრებით აქტიურად ხდებოდა თბილისში, სადაც ყველაზე მეტი თანხები იხარჯებოდა მსგავს ლონისძიებებსა და აქტივობებზე სახელმწიფო და თბილისის ბუჯეტიებიდან.

სამეგრელოში, შიდა ქართლში, კახეთში, გურიაში, აჭარაში და საქართველოს სხვა რეგიონებში ასევე დაფიქსირებული იქნა მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატების სახელით კამპანიის წარმართვის შემთხვევები სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიებიდან დაფინანსებული დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების ინსპექტირების ან პრეზენტაციის დროს.

თბილისის მერიის ვებგვერდი

თბილისის მერიის პორტალის (www.tbilisi.gov.ge) საინფორმაციო ამბების სექცია თითქმის მთლიანად ეთმობოდა ლონისძიებებს, რომელთაც ესწრებოდნენ მმართველი პარტიის მაჟორიტარი კანდიდატები (ტექსტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ჩამოთვლილი პირები მაჟორიტარობის კანდიდატები იყვნენ). ინტერნეტ-პორტალზე არ იყო ინფორმაცია სხვა პარტიების მიერ დასახელებული მაჟორიტარი კანდიდატების შეხვედრების, საქმიანობის და ინიციატივების შესახებ.

პორტალის საინფორმაციო ნაწილში დამატებითი დადასტურება იყო იმისა, რომ ადგილობრივი მოხელეების და მმართველი პარტიის კანდიდატების მარშრუტები თითქმის იდენტური იყო, ხოლო კანდიდატები ასოცირდებოდნენ ქალაქის თვითმმართველობის ორგანოების ყოველდღიურ საქმიანობასა და პროექტებთან.

ფინანსური რესურსები

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნამდე მთავრობამ აქტიურად დაიწყო სხვადასხვა სოციალური პროექტის განხორციელება, რომელთა უმრავლესობა არ იყო გათვალისწინებული 2007 წლის ბიუჯეტში. მაგალითად:

- პრეზიდენტის წინადადებით 2007 წლის 1 დეკემბრიდან გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასები და პენსიები;
- თბილისის გარეთ მცხოვრებმა ყველა ოჯახმა მიიღო შემის ვაუჩერები და 50 კგ ფქვილი;
- მასწავლებლებს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებ პირებს და პენსიონერებს დაურიგდათ ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერჯის ვაუჩერები;
- თბილისის გარეთ მცხოვრებმა ოჯახებმა ასევე მიიღეს საახალწლო საჩუქრები.

საპარლამენტო არჩევნებამდე ამ ტიპის დაუგეგმავი სოციალური ინიციატივები უფრო ცოტა იყო. მაგრამ რამდენიმე ღონისძიება, რომელიც გამიზნული იყო მოკლევადიანი ეფექტის შესაქმნელად, ფინანსდებოდა ცვალებადი რეგულარულობითა და მოცულობით სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

რეგიონებში ინფრასტრუქტურისა და სოციალური პროგრამების დაფინანსება

საპარლამენტო არჩევნებამდე სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროგრამები რეგიონებში საკმაოდ აქტიურად ფინანსდებოდა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, რომელიც ბიუჯეტის ნაწილია. 2008 წლის თებერვალსა და მარტში ფინანსთა სამინისტრომ გამოუყო თანხები სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და მუნიციპალიტეტებს შემდეგი პროგრამების განხორციელების მიზნით მთავრობის ბრძანებით:

სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის თანხების გამოყოფა ად-

გილობრივ თვითმმართველ ორგანოებში განხორციელებული სოციალური პროგრამებისთვის;

დიზელის სანავის დარიგება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის;

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღის განახლება და გახსნა;

საბიუჯეტო ფონდების გამოყოფა რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შეუფერხებელი მუშაობისთვის;

საბიუჯეტო ფონდების გამოყოფა სასმელი წყლის მომარაგების სისტემის აღდგენისა და გაზიფიკაციისთვის;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოლადაანთკარში პოლიციის შენობის შესყიდვა და განახლება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა გამოეყო 147.5 მლნ ლარი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის გამოყოფილი ფონდებიდან, რათა მათ ჰქონოდათ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროგრამის დაფინანსების საშუალება, როგორც არის ქალაქის ქუჩების შეკეთება, წყალსადენი არხების აღდგენა და შეკეთება, ქუჩის განათების მოწყობა, გაზმომარაგების აღდგენა, სპორტული ცენტრებისა და მნიშვნელოვანი შენობების (მათ შორის საბავშვო ბაღების) გარემონტება, ხიდების შეკეთება და ბაღების რეაბილიტაცია.

იცვლებოდა ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები – მათი უმრავლესობა ორჯერ-სამჯერ ან მეტად წელიწადში.

ამ ფონდების გარკვეული ნაწილი იხარჯებოდა ისეთ საქმიანობაზე, რომელიც არ ხვდებოდა მუცინიპალიტეტის უფლებამოსილების სფეროში. მაგალითად, ქალაქ რუსთავის 2008 წლის ბიუჯეტის ცვლილების თანახმად, 10,000 ლარი გამოიყო უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები ოჯახების სახლებში მიღგაყვანილობის შესაკეთებლად; 72,000 ლარი — მასწავლებლებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტის უფასოდ გამოყენების უზრუნველყოფისათვის; და 280,000 ლარი სასკოლო ინვენტარის შესაძენად. ეს ხარჯები არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტში.

2008 წლის აპრილისთვის, საპარლამენტო არჩევნებიდან მოკლე დროში, მუნიციპალიტეტებს დახარჯული ჰქონდათ სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხების უმეტესი ნაწილი.

ხისტი (ე.წ ძალოვანი) რესურსები

პოლიტიკური ზენოლა მასწავლებლებზე

საპარლამენტო არჩევნებამდე სამი კვირით ადრე „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ აცხადებდა, რომ, განსხვავებით იმ პერიოდისგან, რომელიც წინ უძღოდა საპრეზიდენტო არჩევნებს, საპარლამენტო არჩევნების წინ ამომრჩევლებზე და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებზე ზენოლის შემთხვევები ძალიან იშვიათი იყო. სამწუხაროდ, სიტუაცია შეიცვალა ორი კვირით ადრე არჩევნებამდე. ზენოლის შემთხვევები გახშირდა, განსაკუთრებით რეგიონებში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსთვის“ მიწოდებული ინფორმაციის უმეტესი ნაწილი შეეხებოდა საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბალებში მასწავლებლებზე განხორციელებული ზენოლის ფაქტებს. განასხვავებდნენ პოლიტიკური ზენოლის სამ ტიპს:

მმართველი პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლები ავალებდნენ სკოლების დირექტორებს, შეედგინათ იმ მასწავლებელთა სია, რომლებიც მხარს უჭერდნენ ოპოზიციას ზოგიერთ ოლქში (გორი, თელავი და ახმეტა);

ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლებს აძლევდნენ მითითებას, შეეგროვებინათ ამომრჩევლების ხელმოწერები და პირადობის მოწმობის ნომრები მმართველი პარტიის სახელით (ყვარელი, თელავი, გურჯაანი და გორი); და

ყველაზე ხშირად საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების წარმომადგენლები, სკოლების დირექტორები და მმართველი პარტიის აქტივისტები ეუბნებოდნენ მასწავლებლებს, რომ თავი შეეკავებინათ ოპოზიციური წარმომადგენლების საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებზე

დასწრებისგან და ხმა მიეცათ მმართველი პარტიისა და მისი მაჟორიტარი კანდიდატებისთვის (ყვარელი, დედოფლისწყარო, დუშეთი, ყაზბეგი, ოზურგეთი, ამბროლაური, ჩოხატაური, ზუგდიდი, ქუთაისი, თერჯოლა, გორი და ფოთი).

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მასწავლებლებზე ხორციელდებოდა ზენოლა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გააკეთა შემდეგი სახის საჯარო განცხადება:

„სკოლა არის აპოლიტიკური ორგანო. ამიტომ ნებისმიერი სახის ზენოლა მასწავლებლებზე, დირექტორებზე თუ სხვა პერსონალზე დაუშვებელია“.

სამინისტროს მიერ მონოდებული ინფორმაციით, მინისტრმა და მისმა მოადგილეებმა იმოგზაურეს რეგიონებში და შეხვდნენ განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრებისა და სკოლების წარმომადგენლებს, რათა განემარტათ მათთვის, რომ პოლიტიკური ზენოლა მასწავლებლებზე დაუშვებელია. რესურს-ცენტრებსა და სკოლებში სამინისტრომ ასევე გაავრცელა ცირკულარული წერილი, სადაც ის აძლევდა მათ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა შეენარჩუნებინათ სკოლების პოლიტიკური ნეიტრალიტეტი წინასაარჩევნო პერიოდში. საბოლოოდ, სამინისტრომ განაცხადა მისი მზადყოფნის შესახებ, შეესწავლა ზენოლის ნებისმიერი კონკრეტული ფაქტი და მოეხდინა შესაბამისი რეაგირება.

არაზუსტი ინფორმაცია კენჭისყრის ფარულობის შესახებ

საპრეზიდენტო არჩევნებამდე სახელმწიფო მოხელეები სხვადასხვა უბანში ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას, რომ საარჩევნო კაბინებში დამონტაჟდებოდა ფარული კამერები, რათა დაეგინათ, თუ ვის აძლევდნენ ხმას მოქალაქეები. საპარლამენტო არჩევნებამდე იყო საუბარი ფარული კამერების ნაცვლად საარჩევნო ბიულეტენების სერიული ნომრების გამოყენებაზე. ამომრჩევლებს ეუბნებოდნენ (ძირითადად პარტიის აქტივისტები), რომ

საარჩევნო ბიულეტენებზე დაბეჭდილი სერიული ნომრების საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა ადამიანმა.

ოპოზიციური პარტიების ოფისები

საპარლამენტო არჩევნების კამპანიის სანყის ეტაპზე რამდენიმე ოპოზიციური პარტია გამოთქვამდა პრეტენზიას, რომ მათ პრობლემები ჰქონდათ საარჩევნო შტაბების ორგანიზებაში. მათი განცხადებით, რამდენიმე ასეთ შემთხვევაში პარტიამ ხელი მოაწერა იჯარის ხელშეკრულებას საკუთრების მფლობელებთან, რომელთაც შემდგომში უარი უთხრეს ოფისის გამოყოფაზე ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზენოლის გამო. სხვა შემთხვევებში ოფისების მფლობელები მაშინვე უარს ამბობდნენ ოპოზიციურ პარტიებთან იჯარის გაფორმებაზე, რათა თავიდან აერიდებინათ პრობლემები.

ამ სირთულეების მიუხედავად ოპოზიციურმა პარტიებმა მოგვიანებით შეძლეს შტაბების ჩამოყალიბება როგორც თბილისში, ისე რეგიონებში და ეს ოფისები აქტიურად მონაწილეობდნენ საარჩევნო კამპანიაში.

ზენოლა ბიზნესზე

აღინიშნებოდა, აგრეთვე, კერძო სანარმოებზე ზენოლის ფაქტებიც. ზენოლისა და გამოძალვის შემთხვევები აღინიშნა კახეთში, სადაც ადგილობრივი ფინანსური პოლიცია ძირითადად ცდილობდა ღვინის, სამშენებლო მასალებისა და ხე-ტყის მწარმოებლების დაშინებას.

წარმოებაში დასაქმებულ კომპანიებთან ერთად ზენოლის შესახებ მაღაზიებისა და ვიტრინების მფლობელებიც იუნყებოდნენ. მათ სთხოვდნენ, გაეკრათ ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო პლაკატები და ურჩევდნენ, თავი შეეკავებინათ სხვა კანდიდატების პლაკატების გამოკვრისგან. ბიზნესზე ანალოგიური ზენოლის შემთხვევები დაფიქსირდა თბილისში, რუსთავეში, ფოთსა და გორში.

პირადობის მონმობების ნომრების შეგროვება

საპრეზიდენტო არჩევნებამდე საჯარო დაწესებულებათა თანამშრომლებს ხშირად სთხოვდნენ, ჩაებარებინათ თავიანთი პირადობის მონმობების ასლები რამდენიმე სხვა პირის მონმობების ასლებთან ერთად. ჩვეულებრივ, თანამშრომლებს არ ეუბნებოდნენ, თუ რა მიზნით უნდა მიეწოდებინათ ეს ასლები. ზოგიერთ დაწესებულებაში თანამშრომლებს აფრთხილებდნენ, რომ მათ პრობლემები შეექმნებოდათ, თუ არ შეასრულებდნენ მითითებებს.

საპარლამენტო არჩევნებამდე საჯარო დაწესებულებებში ასეთი მითითებების უფრო ცოტა შემთხვევა იყო (გარდა საჯარო სკოლებისა). მაგრამ ზოგიერთ რაიონში (დუშეთი, ხულო, კასპი, გურჯაანი, ქუთაისი და მცხეთა) მმართველი პარტიის წარმომადგენლები (როგორც ისინი აცნობდნენ თავს მოქალაქეებს) სტუმრობდნენ ოჯახებს და ავსებდნენ ფორმებს, რომლებშიც აფიქსირებდნენ, თუ ვისთვის აპირებდნენ ხმის მიცემას რესპონდენტები საპარლამენტო არჩევნებში. ისინი ასევე იწერდნენ მათი პირადობის მონმობების ნომრებს.

თბილისში, ფოთსა და გურჯაანში პირადობის მონმობათა ნომრები გროვდებოდა სხვა ხერხით. კონკრეტულად, იმ პირების ოჯახებს, რომლებიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდნენ, ჰპირდებოდნენ, რომ პატიმრებს გაათავისუფლებდნენ, თუ ისინი შეაგროვებდნენ მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობის ხელმონწერებს მათ პირად მონაცემებთან ერთად. გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში პატიმრის მშობელს შეჰპირდნენ, რომ მისი ვაჟი განთავისუფლდებოდა, თუ ის შეაგროვებდა 100 კაცის სიას, რომლებიც მხარს უჭერენ მმართველი პარტიის მაჟორიტარ კანდიდატს. თბილისის მცხოვრებთ ასევე სთხოვდნენ მსგავსი სიების შეგროვებას 400-500 ხელმონწერით. ძებნილი ეჭვიმითანილის ოჯახმა ფოთში მიიღო დაპირება, რომ ძიება შეწყდებოდა, თუ ის მხარდამჭერთა სიას შეაგროვებდა (ხელმონწერებითა და პირადობის მონმობების ნომრებით).

სოციალური მუშაკები, რომლებიც, ხელისუფლების თქმით, დაქირავებულები იყვნენ მოკლე ვადით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სოციალური გამოკვლე-

ვის ჩასატარებლად, ასევე აგროვებდნენ პირადობის მონუმბათა ნომრებს. გამოკვლევა წარმოადგენდა ხელისუფლების 50 დღიანი პროგრამის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მონაცემთა ბაზის განახლებას.

ზოგიერთ ქალაქში, კერძოდ კი ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში, სოციალური მდგომარეობის დაფიქსირებასთან ერთად სოციალური მუშაკები ასევე ინტერესდებოდნენ ოჯახის წევრთა პოლიტიკური შეხედულებებით, იმისდა მიუხედავად, რომ ეს ინფორმაცია არ შედიოდა ოჯახის წევრების მიერ ხელმოწერილ ფორმებში.

როდესაც საზოგადოებაში გაჩნდა უნდობლობა სოციალურ მუშაკებთან მიმართებაში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოსცა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სოციალური კვლევა შეწყდებოდა საპარლამენტო არჩევნების დასრულებამდე, რათა გაქარწყლებულიყო ყველანაირი ეჭვი ამ ინიციატივის მიმართ. ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ სოციალურმა მუშაკებმა მართლაც შეწყვიტეს კარდაკარ სიარული.

მედიაარესურსები

„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ ჩატარებული მედიის მონიტორინგმა აჩვენა, რომ საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ უფრო ობიექტური იყო და თანასწორობის პრინციპს უფრო მეტად იცავდა, ვიდრე სხვა სატელევიზიო არხები. ის მეტ-ნაკლებად თანაბრად ანანილებდა საეთერო დროს სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტს შორის. გარდა ამისა, მის მიერ პარტიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების გაშუქება არ შეიცავდა ჟურნალისტთა პირად შეხედულებებსა და დასკვნებს.

„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ასევე ყოველ შაბათს პირდაპირ ეთერში გადმოსცემდა პროგრამას სახელწოდებით „მონიტორი“. პროგრამაში ჩართულები იყვნენ არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის პრესსპიკერები და

სპეციალისტები, რომლებიც მსჯელობდნენ იმაზე, თუ რამდენად ობიექტურად აშუქებდა „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ სხვადასხვა პარტიის მიერ ორგანიზებულ წინასაარჩევნო ღონისძიებებს გასული კვირების მანძილზე. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები თავდაპირველად გამოთქვამდნენ პრეტენზიებს და აღნიშნავდნენ, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ უფრო მეტ დროს უთმობდა მმართველ პარტიას და არ აშუქებდა ოპოზიციის მიერ ორგანიზებული წინასაარჩევნო კამპანიის ზოგიერთ ღონისძიებას. თუმცა მომდევნო კვირებში მათი დამოკიდებულება უფრო პოზიტიური გახდა.

მათი კრიტიკის ერთადერთი საგანი იყო ის ფაქტი, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტები ხშირად 30-40 წუთის დაგვიანებით მიდიოდნენ პრესკონფერენციებზე. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენლებს ამ ხარვეზის გასამართლებელ არგუმენტად მოჰყავდათ ტექნიკური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა და წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ღონისძიებათა სიმრავლე.

„იმედი“

თავდასხმა „იმედის“ ტელევიზიაზე და მისი მაუწყებლობის შეწყვეტა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2007 წლის ნოემბერში. მუშაობის განახლება ტელეარხმა მხოლოდ 2007 წლის 12 დეკემბერს მოახერხა. მაგრამ ორი კვირის შემდეგ, 26 დეკემბერს, „იმედმა“ დროებით კვლავ შეაჩერა მაუწყებლობა, ამჯერად მისი თანამშრომლების გადაწყვეტილების შედეგად. ეს გადაწყვეტილება უკავშირდებოდა სატელევიზიო კომპანიის მფლობელის ბადრი პატარკაციშვილის მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში.

2008 წლის 13 თებერვალს ბრიტანეთში ბადრი პატარკაციშვილის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე პრეტენდენტმა განაცხადა პრეტენზია „იმედის“ მფლობელობაზე. პატარკაციშვილის ნათესავმა იოსებ კაკალაშვილმა (ჯოზეფ ქეი) წარმოადგინა საბუთები, რომელთა მიხედვითაც ის იყო „იმედის“ მფლობელი, და განაცხადა, რომ აპირებდა, განეახლებინა ტე-

ლუარხის მაუწყებლობა. პატარკაციშვილის მეუღლე და ოჯახის წევრები ადანაშაულებდნენ ქეის საქართველოს მთავრობასთან გარიგებაში და სარჩელი შეიტანეს სასამართლოში „იმედზე“ კონტროლის დაბრუნების მიზნით.

ამავდროულად, გაკეთდა განცხადება, რომ „იმედი“ განაახლებდა მაუწყებლობას 2008 წლის 25 მარტს. 2008 წლის 26 მარტს „იმედის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ბიძინა ბარათაშვილმა განაცხადა, რომ შეზღუდული მოცულობით საქმიანობას არხი 2008 წლის 1 აპრილს დაიწყებდა. მისი ლოგო გაჩნდა არხის სიხშირეზე სატელევიზიო ეკრანებზე, რასაც თან ახლდა რადიო „იმედის“ გადაცემები. სატელევიზიო არხს არ განუახლებია ჩვეულებრივი მაუწყებლობა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე.

„მაესტრო“

„მაესტრო“ მცირე ზომის სატელევიზიო არხია სატელიტური მაუწყებლობით თბილისში, რუსთავსა და გორში. ის ძირითადად უშვებს მუსიკალურ და გასართობ გადაცემებს და აქვს შესაბამისი ლიცენზია. 2007 წლის ნოემბერში არხმა გამოაცხადა, რომ ის მოამზადებდა და გადმოსცემდა სამ ახალ საგანმანათლებლო პროგრამას:

„პროფესია ჟურნალისტი“;

„უკომენტაროდ“;

სოციოლოგიური გამოკითხვები.

2007 წლის 28 ნოემბერს, როდესაც მზადდებოდა პირველი სამოქალაქო საგანმანათლებლო პროგრამის ეთერში გაშვება, არხის მაუწყებლობა შეწყდა. არხის დირექტორმა მამუკა ლლონტიმა განაცხადა, რომ ის მოელოდა ამას, ვინაიდან დაგეგმილი ახალი პროგრამების შესახებ განცხადების გაკეთების შემდეგ მან მიიღო „მეგობრული რჩევა“, თავი შეეკავებინა მათი გაშვებისგან. არხი და ოპოზიცია ადანაშაულებდნენ მთავრობას არხის მაუწყებლობის შეწყვეტისთვის, თუმცა კომუნიკაციების ეროვნული კომისია

უარყოფდა რაიმე კავშირს ამ საქმესთან და აცხადებდა, რომ ეს სატელევიზიო არსებული პრობლემებით იყო გამოწვეული. სატელევიზიო არხი დაბრუნდა ეთერში მომდევნო დღეს და განაახლა მაუწყებლობა 2007 წლის 30 ნოემბერს.

2008 წლის 20 მარტს სატელევიზიო არხმა მიიღო მარეგულირებელი კომისიისგან გამაფრთხილებელი წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არხის გადაცემები არ შეესაბამებოდა მისი ლიცენზიის პირობებს, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ „მაესტროს“ შეტანილი ჰქონდა განაცხადი კომისიაში ახალი ლიცენზიის მიღებაზე ჯერ კიდევ ნოემბერში. 2008 წლის 8 აპრილს კომისიამ უარი უთხრა არხის მოთხოვნას ლიცენზიის შეცვლაზე და მიუთითა იმ ფაქტზე, რომ „მაესტროს“ მიღებული ჰქონდა გაფრთხილება.

კომისიის გადაწყვეტილება „მაესტრომ“ სასამართლოში გააპროტესტა. 2008 წლის 14 აპრილს სასამართლოს საბოლოო განაჩენის მოლოდინში „მაესტრომ“ გამართა „მდუმარე“ აქცია პარლამენტის შენობის წინ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. აქციის დროს „მაესტროს“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ტელეარხი გეგმავდა სამი სადავო გადაცემის გაშვებას, რომელზეც დადებული იქნებოდა კლასიკური მუსიკის ფონი გადაცემის რეალური ხმის ნაცვლად.

„რუსთავი-2“ და „მზე“

„რუსთავი-2“ და „მზე“ ის ორი სატელევიზიო არხია, რომლებსაც ყველაზე ხშირად აკრიტიკებს ოპოზიცია. გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები ღიად ადანაშაულებდნენ ორივე ტელეარხს და მათ ჟურნალისტებს არაობიექტურობასა და მთავრობის მითითებების შესაბამისად მოქმედებაში. 2008 წლის 14 თებერვალს გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ უარი თქვა ამ ორ არხთან თანამშრომლობაზე და მოითხოვა, რომ მათ ჟურნალისტებს დაეტოვებინათ მისი პრესკონფერენცია. ამის საპასუხოდ „რუსთავი-2“-მა 2008 წლის 16 თებერვალს გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ არხმა თავად გადაწყვიტა, შეწყვიტა კომუნიკაცია გაერთიანებულ ოპოზიციასთან, განსაკუ-

თრებით კი ლევან გაჩეჩილაძესთან, მანამ, სანამ ისინი ბოდიშს არ მოიხდიდნენ ტელეარხის ჟურნალისტების შუურაცხყოფისთვის.

ოპოზიციამ კიდევ ერთხელ გამოუცხადა ბოიკოტი ამ ტელევიზიას 2008 წლის 24 მარტის აქციაზე. 2008 წლის 25 მარტს პარლამენტის შენობის წინ ოპოზიციის საპროტესტო აქციის შესახებ რეპორტაჟის გაკეთებისას ორივე ტელეარხის ჟურნალისტები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან აქციის მონაწილეთა აზრი გაიყო ამ ტელეარხებთან მიმართებაში. ზოგიერთი ითხოვდა, რომ ჟურნალისტებს დაეტოვებინათ ტერიტორია, ზოგიერთი კი ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ცდილობდა, „გაეკონტროლებინა“ ჟურნალისტების მიერ გადაცემული ინფორმაციის სისწორე. ოპოზიციის ლიდერებმა ესკორტით გააცილეს ჟურნალისტები ხალხის ბრბოდან. ამ ინციდენტის შემდეგ გარკვეული პერიოდის მანძილზე აღნიშნული სატელევიზიო არხები არ ესწრებოდნენ და არ აშუქებდნენ გაერთიანებული ოპოზიციის გამოსვლებსა და საქმიანობას.

2008 წლის 25 აპრილს „რუსთავი-2“-მა გადმოსცა გაერთიანებული ოპოზიციის პირველი უფასო წინასაარჩევნო ვიდეორგოლი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გაერთიანებული ოპოზიციისთვის არხი მიუწვდომელი იყო; იგი მოუწოდებდა ამომრჩევლებს/საზოგადოებას, ინფორმაცია „კავკასიისა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მეშვეობით მიეღოთ. ამ ვიდეორგოლის საპასუხოდ საინფორმაციო პროგრამა „კურიერის“ საღამოს გამომშვებაში გაჟღერდა „რუსთავი-2“-ის და „მზის“ მენეჯმენტის გადანყვეტილება, რომ ცალმხრივად აღედგინათ კავშირი გაერთიანებულ ოპოზიციასთან 2008 წლის 28 აპრილიდან. ტელეარხები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ამ გადანყვეტილების ერთადერთი მიზეზი იყო მათი მოვალეობა — საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ სრულფასოვანი ინფორმაცია, ასევე მათი პასუხისმგებლობის გრძნობა მაყურებლის წინაშე.

დაპირისპირების მიუხედავად, „რუსთავი-2“ მნიშვნელოვან ტრიბუნას წარმოადგენდა ოპოზიციისთვის. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა გადაცემა „პრაიმ ტაიმს“, რომელიც 2007 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან არხზე კვირაში ორჯერ გადიოდა და რომელზეც არ ვრცელდებოდა ოპოზიციის ბოიკოტი. საპარლამენტო არჩევნებამდე გამართულ დებატებში მონაწილეობას

იღებდა როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია. გადაცემა ასევე აშუქებდა არჩევნებში მონაწილე პარტიების პრეზენტაციებს, ვინაიდან ყოველი გამოშვება მთლიანად ერთ პარტიას ან ბლოკს ეთმობოდა.

გადაცემაში მონაწილეობა მიიღო ყველა პარტიამ, გარდა მემარჯვენეთა ალიანსის: თოფაძე-მრენველების ბლოკის, სპორტსმენტა კავშირის, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიკა ეროვნული პარტიის და პარტიის „ჩვენი ქვეყანა“. „ჩვენმა ქვეყანამ“ განაცხადა, რომ მათთვის არ შეუთავაზებიათ შოუში მონაწილეობა. მემარჯვენეთა ალიანსმა: თოფაძე-მრენველების ბლოკმა უარი განაცხადა გადაცემაში გამოჩენაზე იმ მიზეზით, რომ მათ შესთავაზეს მხოლოდ, გაენაწილებინათ გადაცემის დრო სხვა პარტიასთან (გადაცემის ერთი ნაწილი დაეთმობოდა მემარჯვენეთა ალიანსს: თოფაძე-მრენველებს, ხოლო შოუს მეორე ნაწილში გამოჩნდებოდა სხვა პარტია).

წინასაარჩევნო პერიოდში „რუსთავი-2“-ზე გავიდა ორი ახალი გადაცემა: „უპასუხე ხალხს“ და „სამკუთხედი“. ამ ორ შოუში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები; მათ ეძლეოდათ შესაძლებლობა, წარმოედგინათ პარტიის პროგრამა და ესაუბრათ საარჩევნო პროცესზე.

დაგროვილი გამოცდილება

2003 წლის შემდეგ საქართველოში ჩატარებული ყველა არჩევნების ერთ-ერთ პრობლემად ადმინისტრაციული რესურსების არასათანდო ხარჯვა სახელდებოდა. მართლაც, საარჩევნო ადმინისტრაციის შეუსაბამობა მოთხოვნებთან და ამით გამოწვეული ხარვეზები 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში სახალხო უკმაყოფილების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა, რამაც ბიძგი მისცა ვარდების რევოლუციას და პრეზიდენტ შევარდნაძის დროზე ადრე გადადგომას. იმ პერიოდში ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისია აცხადებდა, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერი ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“

„არ აკეთებდა გამიჯვნას პარტიულ და სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს შორის საარჩევნო კამპანიის დროს, რითაც თავის სასარგებლოდ ბოროტად იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსებს“.

სახელმწიფოებრივ და პარტიულ სტრუქტურებს შორის გამიჯვნის არარსებობა და შესაბამისი პოტენციალი სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენებისთვის ვარდების რევოლუციის შემდეგაც აღინიშნებოდა, მათ შორის 2008 წლის იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დროს. მისიის საბოლოო ანგარიშის შემაჯამებელ რეზიუმეში ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისია ხაზს უსვამდა:

„საარჩევნო კამპანიას ჩრდილი მიაყენა ფართოდ გავრცელებულმა განცხადებებმა ზენოლისა და შეურაცხყოფის შესახებ, მათ შორის საჯარო სექტორის მოხელეებისა და ოპოზიციის აქტივისტების მიმართ“; და „ნაშლილი იყო განსხვავება სახელმწიფოს საქმიანობასა და მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიას შორის“.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ოთხმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებიც მონიტორინგს უწევდნენ არჩევნებს – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED), ორგანიზაციამ „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ – მოუწოდა ხელისუფლებას, საპარლამენტო არჩევნებამდე გამოესწორებინა კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საკითხს.

კერძოდ, მემორანდუმში სახელწოდებით „ათი წინაპირობა თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში“, რომელიც 2008 წლის იანვარში გამოიცა, ორგანიზაციები წერდნენ:

„უნდა აღმოიფხვრას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის მხარდასაჭერად. უნდა არსებობდეს მკაფიო განსაზღვრება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფო მოხელეთა მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში. უნდა შეწყდეს ზენოლა ამომრჩევლებზე, საარჩევნო კომისიების წევრებზე, საარჩევნო სუბიექტებზე და ჟურნალისტებზე. გარანტირებული უნდა იყოს მედიის თავისუფლება და მედიის თავისუფალი და თანასწორი ხელმისაწვდომობა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის“.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ გამოსცა კონკრეტული რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შემცირდეს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო კამპანიების დროს. ეს რეკომენდაციებია:

საარჩევნო კოდექსში სიტყვა „აგიტაციის“ ხელახლა განმარტება, რაც უნდა მოიცავდეს უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ ამომრჩევლების მოწოდება კონკრეტული კანდიდატურების მხარდასაჭერად (ან პირიქით);

იმ პირთა სიის გადასინჯვა, ვისაც ეკრძალება საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა, რათა გამოირიცხონ მხოლოდ არჩეული მოხელეები და დანიშნული პოლიტიკური მოღვაწეები;

საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ყველა სახელმწიფო მოხელის და საარჩევნო სუბიექტის მიერ სახელმწიფო რესურსების გამოყენების აკრძალვა;

პარტიისა და მთავრობის საქმიანობის მკაფიო გამიჯვნა;

პარტიული აქტივისტების, საარჩევნო კომისიების წევრებისა და ამომრჩევლების მიმართ ზენოლის ფაქტების და მცდელობების გამოძიება.

სამწუხაროდ, ამ საკითხის ირგვლივ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განეული საინფორმაციო-პროპაგანდისტული საქმიანობისა და მისი აქტუალურობის

მიუხედავად, საარჩევნო კოდექსში არ შესულა ცვლილებები ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვის მიზნით საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე. რეალურად, ის გახდა უფრო ლიბერალური, ვიდრე შემზღუდველი. სახელმწიფო მოხელეებს კვლავაც ეძლეოდათ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება, კანონში მითითებული მცირე გამონაკლისების გარდა, ხოლო კანდიდატებს ჰქონდათ უფლება, გამოეყენებინათ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები იმ პირობით, რომ ეს რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომი იქნებოდა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის.

საარჩევნო ადმინისტრაცია

ავტორი: ნენსი ფორბორდი, ეუთო-ს ექსპერტი

შესავალი

1990 წლიდან არჩევნები საქართველოში ძირითადად დარღვევებით მიმდინარეობდა. საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა, მონყობილი იყო ისე, რომ საარჩევნო პროცესი წარმართულიყო ძალაუფლებაში მყოფი პარტიის კონტროლის ქვეშ. ადმინისტრაციის ყველა დონეზე დანიშნული მოხელეები ისტორიულად მჭიდროდ ასოცირდებოდნენ მმართველ პარტიასთან, ხოლო ბევრი მათგანი რჩებოდა თანამდებობაზე ერთი მმართველი პარტიიდან მეორეს მიმართ მათი ლოიალურობის გამო. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ამჟამინდელ ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი იგივე ადამიანები არიან, რომლებიც მხარს უჭერდნენ შევარდნაძეს, ხოლო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დასაქმებული „პროფესიონალები“ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან.

წლების განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოებრიობა მილიონობით თანხებს ხარჯავდა ქართულ არჩევნებზე. ამ დახმარების უმეტესი ნაწილის განაწილება ცუდად იყო კოორდინირებული და ხშირად გაიცემოდა ისე, რომ არ იყო წაყენებული მოთხოვნა, რომ მთავრობას ეჩვენებინა რეალური პროგრესი დემოკრატიული საარჩევნო ინსტიტუტების განვითარების მხრივ. ბოლო პერიოდში ეს დამოკიდებულება შეიცვალა, როდესაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის გარკვეულმა ნაწილმა გააძლიერა ზენოლა ხელისუფლებაზე, რომ დაეცვა საერთაშორისო ნორმები. სამწუხაროდ, ამ პირობის შესრულების მოთხოვნა არ წამოსულა ყველა მხრიდან, რის შედეგადაც მმართველმა პარტიამ კვლავ უზრუნველად განაგრძო საარჩევნო პროცესის კონტროლი.

2007 წლის ნოემბრის დასაწყისში ოპოზიციის მიერ ორგანიზებული მასობრივი ქუჩის აქციების შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები და პლებისციტი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესახებ. ასევე გამოცხადდა საარჩევნო კოდექსის ცვლილებების შესახებ, რაც ითვალისწინებდა პარტიულ წევრობას ადმინისტრაციის ყველა დონეზე. დაფიქსირებული დარღვევების საფუძველზე საერთაშორისო თანამეგობრობამ ხმა აღიმალა და დაჟინებით მოითხოვდა მთავრობისგან, მიეღო ზომები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფისთვის.

მაგრამ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგმა სერიოზული კითხვები წარმოშვა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე მთავრობის ვალდებულების მიმართ, ხოლო ოპოზიციის წევრების საარჩევნო ადმინისტრაციაში ჩართვას უმნიშვნელო ზეგავლენა ჰქონდა, ვინაიდან ოპოზიცია უმცირესობაში იყო.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

2007 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა სააკაშვილმა დანიშნა ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაენია დაბალი ხარისხის მენეჯმენტითა და პროფესიონალიზმით დაკნინებული ორგანოსათვის. ახალმა თავმჯდომარემ დაიკავა თავისი პოსტი 2007 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში და განაცხადა, რომ აპირებდა ცესკო-ს ფუნქციონირების გაუმჯობესებას: ამომრჩეველთა სიის განახლებას, საზოგადოებასთან ურთიერთობის გააქტიურებას, საარჩევნო პროცესის მონაწილე მხარეებთან ურთიერთობის გაძლიერებას და გამჭვირვალობის გაზრდას, სტრატეგიული გეგმის დასრულებას, ასევე შიდა კომუნიკაციების გაუმჯობესებას და ისეთი საკადრო პროცედურების დანერგვას, როგორც არის სამუშაოს აღწერილობები და დაქირავების გამჭვირვალე პროცედურები. თუმცა 2008 წლის 7 ნოემბრის მოვლენებმა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ აიძულა ის, შეეცვალა დასახული პრიორიტეტები.

ასეთ მოკლე დროში არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის თავმჯდომარემ ძირითადი ძალისხმევა მიმართა საზოგადოებასთან ურთიერთობის შესაძლებლობის ამაღლებაზე ამომრჩეველთა, განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობათა, ინფორმირებულობის დონის ამაღლებისა და მათთან ურთიერთობის გაძლიერების მიზნით. ის ასევე ფოკუსირებული იყო ამომრჩეველთა სიის გაუმჯობესებაზე ამომრჩეველთა კარდაკარ შემოვლის კამპანიის აქტიური მხარდაჭერით, რომელიც უკვე მიმდინარეობდა და რომელსაც მონიტორინგს უწევდნენ ევროპის საბჭო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED).

საკადრო პოლიტიკა

კადრების დაკომპლექტების კუთხით თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცესკო იმუშავებდა „ფორსმაჟორის“ რეჟიმში, შესაბამისად, ორგანიზაციას შეეძლო მიეღო ახალი კადრები, მათ შორის მისი ყოფილი წევრები, ჩვეულებრივი დაქირავების პროცედურების გვერდის ავლით. ამ პროცედურებში იგულისხმებოდა ასევე კონტრაქტებიც. თავმჯდომარე იძლეოდა პირობას, რომ არჩევნების დასრულებისთანავე ცესკო დაუბრუნდებოდა კონკურსების ჩატარებისა და კადრების დაქირავების ნორმალურ პროცესს ვაკანტური ადგილების შესავსებად. მაგრამ რეალურად ეს პრაქტიკა აღარ შეცვლილა, რამაც გამოიწვია ზედმეტი კადრების არსებობა და ეს დღესაც წარმოადგენს პრობლემას ცესკო-სათვის.

2007 წლის ნოემბრის დემონსტრაციებამდეც კი ცესკო-ს პერსონალისთვის სამუშაოს აღწერილობათა მოთხოვნის გეგმები უკვე ჩაშლილი იყო. წინა თავმჯდომარესთან რამდენიმეთვიანი კონსულტაციებისა და სხვადასხვა განყოფილებისა და ცესკო-ს მენეჯმენტის მხრიდან კვირების მანძილზე განხილვის შედეგად ახალმა თავმჯდომარემ შეიმუშავა ფორმატი. მაგრამ თავად ცესკო-ს შიგნით არსებობდა ძლიერი წინააღმდეგობა სამუშაოს აღწერილობათა დანერგვის მიმართ, ვინაიდან ეს ნიშნავდა პროფესიული ანგარიშვალდებულების დანესებას. განყოფილებათა უფროსები გამოთქვამდნენ პროტესტს, მსჯელობდნენ ფორმის კანონიერებაზე და

იმაზე, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა იმას, ფორმაზე მოცემული სამუშაოს აღწერილობა რომ არ აღმოჩენილიყო ზუსტი ან არ ყოფილიყო შესაბამისობაში ცესკო-ს წესებთან. იურიდიული განყოფილების ერთ-ერთი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ ისეთი კონტრაქტის ხელმოწერა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სამუშაო, არ შედის ცესკო-ს წესებში და რომ ცესკო-ს შეიძლებოდა პრობლემები შეჰქმნოდა თანამშრომლებისთვის ამ ფორმაზე ხელმოწერის მოთხოვნისათვის. საკითხი კიდევ ერთხელ გადაეცა იურიდიულ განყოფილებას, მაგრამ შემდგომი ნაბიჯები ამ მიმართულებით შეაფერხა პოლიტიკურმა გამოსვლებმა და არჩევნების დანიშნამ.

ცვლილებები საარჩევნო კოდექსში

დისკუსიები გაიმართა ასევე საარჩევნო კოდექსის განახლების საკითხის გარშემო. 2007 წლის მარტიდან მაისის ჩათვლით განხილვის საგანი იყო ახალი საარჩევნო კანონმდებლობა. პოლიტიკურმა გამოსვლებმა სათავე დაუდო ახალ დებატებს. საბოლოოდ, 2007 წლის დეკემბრის დასაწყისში, ცესკო-ში წარმოდგენილი და გავრცელებული იქნა კოდექსის ცვლილებები. ცვლილებებში არ იყო ასახული ის, რაც მანამდე იყო შეთანხმებული, ისინი შეკონინებული იყო ახალი პოლიტიკური მოთხოვნების შესაბამისად. არჩევნების ორგანიზატორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლების გარკვეული ნაწილი შედეგს ახასიათებდა როგორც „დიდ არეულობას“. ერთ-ერთი ახალი დებულება, რომელიც ოპოზიციის მიერ იყო მოთხოვნილი, იყო ცესკო-ს საბჭოს წევრების რაოდენობის გაზრდა 6-დან 13-მდე ძირითადი პოლიტიკური პარტიებიდან 7 დამატებითი წევრის მიღებით. ასევე გაიზარდა საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომელთა რიცხვიც 13-მდე ოპოზიციის გაზრდილი წარმომადგენლობის შესაბამისად.

ახალი ოპოზიციური წევრებისთვის ცესკო-ში მუშაობის დაწყება არ იყო უპრობლემო. მათი მისვლისას არ არსებობდა ინსტრუქციები, ისინი არ წარუდგენიათ აპარატის წევრებისთვის და არც ის მიუთითებიათ, რომ დახმარებოდნენ ახალ თანამშრომლებს. ზოგიერთი თანამშრომლის განცხადებით, მათ

არ იცოდნენ, უნდა მიეცათ თუ არა ინფორმაცია კომისიის ახალი წევრებისთვის და დავალებული ჰქონდათ, ეთხოვათ ამის ნებართვა. ოპოზიციის წევრები აცხადებდნენ, რომ მათთვის განსაკუთრებით ძნელი იყო ინფორმაციის მიღება იურიდიული და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურებიდან. ახალ წევრებს პრობლემები შეექმნათ ასევე კომისიის სხდომების დღის წესრიგის წინასწარ მიღების მხრივ მაშინ, როდესაც „პროფესიონალები“ იღებდნენ დღის წესრიგს წინასწარ და განიხილავდნენ მას კერძო შეხვედრების დროს.

ამომრჩეველთა სიის განახლება

დეკემბრის შუა რიცხვებში თავმჯდომარემ გამოაცხადა ამომრჩეველთა კარდაკარ შემოვლის კამპანიის შედეგები, რომლებიც იმედგამაცრუებელი აღმოჩნდა. იმის გამო, რომ არჩევნების ორგანიზატორებმა სწორად არ ჩაატარეს კამპანია, მოსახლეობის ერთი მესამედი გამოირიცხა. შემონმებულთაგან 28,000 გარდაცვლილი პირი ამოღებული იქნა სიიდან, ამომრჩეველთა 10%-ის მონაცემები შესასწორებელი იყო და სიას დაემატა ამომრჩეველთა 5%. ცესკო-მ დაიწყო განახლებული სიების გამოქვეყნება საჯარო განხილვისათვის თავის ვებგვერდზე და შემდეგ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებში მანამ, სანამ გამოცხადდებოდა საბოლოო შედეგები.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცესკო აპირებს, გაიმეოროს კარდაკარ შემოვლის კამპანია 2008 წლის დასაწყისში და რომ შედეგების აუდიტს ევროსაბჭო და ISFED განახორციელებენ, რაც მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. მაგრამ იმის გამო, რომ ამომრჩეველთა ასეთი დიდი რაოდენობა არ იყო ჩართული შემონმებაში, კანონმდებლებმა გადაწყვიტეს, კვლავ დაეყენებინათ განხილვაზე არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის საკითხი. ამ გადაწყვეტილებას სკეპტიკურად შეხვდა ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ ეს ამომრჩეველთა ხმების (არჩევნების შედეგების) გაყალბების უფრო მეტ შესაძლებლობას იძლეოდა.

ამომრჩეველთა ინფორმირება და განათლება

ახალმა თავმჯდომარემ ძალისხმევა მიმართა ორგანიზაციაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის როლის გაძლიერებასა და მისი ქმედუნარიანობის განვითარებაზე, რისთვისაც დანიშნა განყოფილების ახალი უფროსი, დაიქირავა პერსონალი, შეიძინა ახალი აღჭურვილობა და გამოყო ახალი ოფისი. რადგანაც ცესკო გეგმავდა ცენტრალური ოფისის გადატანას საბურთალოზე არჩევნების შემდეგ, მან გადაწყვიტა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური იქ არჩევნებამდე გადაეყვანა. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, რადგან უზრუნველყოფდა საკმარის ადგილს პრესკონფერენციებისა და ჟურნალისტებისთვის, რომლებიც აშუქებდნენ მოვლენებს — ასეთი ადგილი არ არსებობდა ძველ შენობაში. თავმჯდომარეს დაუფასდა განეული ძალისხმევა და მთლიანობაში ამ განყოფილების საქმიანობა საგრძნობლად გაუმჯობესდა 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებთან შედარებით. არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ამომრჩეველთა ინსტრუქტაჟი გაუმჯობესდა მთელი საქართველოს მასშტაბით, ხოლო ეთნიკური უმცირესობებისათვის ეს მათ მშობლიურ ენაზე კეთდებოდა.

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ცესკო მთლიანად გადასულიყო ახალ შენობაში საბურთალოზე. უკანასკნელ მომენტში ადგილმდებარეობის შეცვლამ გააძლიერა ოპოზიციის და საზოგადოების დიდი ნაწილის ეჭვი და უნდობლობა. მათ თვალში არჩევნების რეპუტაცია უკვე შელახული იყო. არჩევნების დღეს მოდიოდა ინფორმაცია ბევრ საარჩევნო უბანზე დარღვევების, მათ შორის დაშინების, კოდექსის უგულბებლყოფის და გასაჩივრებისა და აპელაციის პროცედურების შეუსრულებლობის შესახებ. როდესაც არჩევნების ღამეს ატყდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ცესკო-მ მოახდინა არჩევნების შედეგებით, განსაკუთრებით ოქმებით მანიპულირება და არასათანადოდ იქცეოდა საჩივრებსა და აპელაციებთან დაკავშირებით, ხოლო საბოლოო შედეგების გამოცხადება საკმაოდ დაგვიანდა, ბევრ ადამიანს ამან დაუდასტურა შეხედულება, რომ არჩევნები არ იყო სამართლიანი და გამჭვირვალე. ცესკო-ს უარ-

ყოფითი რეპუტაცია შემდეგ საარჩევნო პერიოდშიც გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ ცესკო-ს ხელმძღვანელობამ რეალურად გამოასწორა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ბევრი ასპექტი, ცესკო-ს მუშაობის მიმართ სერიოზული პრეტენზიები იქნა გამოთქმული.

არჩევნებს შორის პერიოდი

2008 წლის 5 იანვარს პრეზიდენტი სააკაშვილის მეორე ვადით ხელახლა არჩევის გარდა ამომრჩევლებმა კენჭი უყარეს პლებისციტს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე, რომელიც პრეზიდენტმა 2008 წლის 21 მაისისთვის დანიშნა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობამ გააძლიერა ზეწოლა ხელისუფლებასა და ცესკო-ზე, რომ „მიეღოთ ზომები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც დაეხმარებოდა საქართველოს თავისუფალ, სამართლიან და გამჭვირვალე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის არჩევნებთან მიახლოებაში“. ამასი იგულისხმებოდა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა, მათ შორის შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

- ადგილობრივი დამკვირვებლებისთვის საერთაშორისო დამკვირვებლებთან თანაბარი სტატუსის მინიჭება;
- ადმინისტრაციული რესურსების პარტიული საარჩევნო მიზნებისთვის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება;
- საარჩევნო სიებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება;
- საჩივრების სათანადოდ განხილვა;
- ოქმების და მათი მიღებისა და გამოქვეყნების სისტემის გამარტივება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლისთვის საარჩევნო პროცესებზე ყოვლისმომცველი და სტანდარტული ტრენინგის ჩატარება და დემოკრატიული არჩევნების პრინციპებისადმი მათი ერთგულების უზრუნველყოფა;
- სამოქალაქო განათლებისა და საზოგადოების ინფორმირების პროცესის დაფინანსება და განხორციელება;

ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების პატივისცემა;
მედიის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
ყველა კანდიდატისათვის; და
ამომრჩეველთა დაცვა დაშინების, ძალადობის, ადმინისტრაციული ზომების ან სასჯელის საშიშროებისაგან, ასევე
„აქტიური მოქმედება იმისათვის, რომ სამთავრობო მოხელეებმა – როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეებზე – არ განახორციელონ ან არ შექმნან შთაბეჭდილება, რომ ენევიან შუამდგომლობას არჩევნების პროცესში“.

პროგრესი ცესკო-ში

საპრეზიდენტო არჩევნების მომდევნო თვეებში ბევრი პროგრესული ნაბიჯი გადაიდგა ცენტრალურ დონეზე. საერთაშორისო თანამეგობრობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ცესკო მუშაობდა წინა არჩევნებში არსებული პრობლემების გამოსწორებაზე. ცესკო-მ გამოუშვა სტრატეგიული გეგმა. საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა წევრმა ხელი მოაწერა ქცევის კოდექსს. ცესკო-ს ახალმა წევრებმა მოაგვარეს მათი თავდაპირველი პრობლემები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით და უფრო ნაყოფიერად მონაწილეობდნენ ორგანიზაციის მუშაობაში.

გაუმჯობესდა და გახშირდა ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან და თავმჯდომარის კოორდინირებული მცდელობებით პროცესში ჩაერთვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო თანამეგობრობა. ის სისტემატურად ესწრებოდა ეუთო-ს დაფინანსებით ორგანიზებული ტექნიკური სამუშაო ჯგუფის სხდომებს, სადაც მონაწილეობდა დიალოგში და აწვდიდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის შესახებ.

სერიოზული პროგრესი აღინიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მუშაობაში, რომელიც საზოგადოებას აწვდიდა უფრო სრულყოფილ და თანმიმდევრულ ინფორმაციას ცესკო-ს საქმიანობის შესახებ, ზრუნავდა საზოგადოების ინფორმირებულობასა და განათლებაზე, კონცენტრირებას ახდენდა მედიისთვის

ინფორმაციის მინოდებაზე და აუმჯობესებდა ცესკო-ს ვებგვერდის შინაარსსა და ფუნქციონირებას. ევროპის საბჭოს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და ბევრ სხვათა დახმარებითა და მხარდაჭერით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა შეძლო მნიშვნელოვნად გაეფართოებინა ამომრჩეველთა შორის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია, რომლის ნაწილი იყო ასევე არსებითად გაუმჯობესებული პროგრამა ეთნიკური უმცირესობების მოსახლეობასთან ურთიერთობისთვის.

გაუმჯობესდა IFES-ისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული და მათი ხელმძღვანელობით საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თანამშრომლებისთვის წარმართული ტრენინგის ხარისხიც უკეთესად აღჭურვილი ტრენინგებისა და ფასილიტატორების, სახელმძღვანელოების და უფრო ინტერაქტიული პროგრამის წყალობით.

ცესკო-ს გარკვეული სამსახურები, მოტივირებული პერსონალითა და ხელმძღვანელებით, აგრძელებდნენ კარგად მუშაობას, განსაკუთრებით საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, საორგანიზაციო და საკადრო განყოფილებები (ამჟამად ყველა მათგანი დეპარტამენტია).

თავმჯდომარემ ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფები არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაოდ, სადაც მონაწილეობა შეეძლოთ ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შორის ჯგუფს, რომელიც მონიტორინგს უწევდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას.

ცესკო (კიდევ ერთხელ) გადავიდა ახალ განახლებულ შენობაში. საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომი შედეგების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემების განმეორების თავიდან აცილების მიზნით ცესკო მუშაობდა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, რათა შეექმნა სისტემა, რომლითაც საარჩევნო ოქმები საუბნო საარჩევნო კომისიიდან პირდაპირ ცესკოში იქნებოდა მოწოდებული და დაუყოვნებლივ გამოქვეყნებული ცესკო-ს ვებგვერდზე. და მართლაც, არჩევნების ღამეს შედეგები მოწოდებული იქნა დროულად, ეფექტიანად და გამჭვირვალედ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ცესკო-ს საჯარო იმიჯი და მისი თანამშრომლობა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან უფრო შთამბეჭდავი გახდა და რეალურად ცესკო-ს რეფორმის გეგმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა „ცესკო-ს იმიჯის გაუმჯობესება“, მმართველობის პრობლემები არ იყო გადაჭრილი, ხოლო ზოგიერთ ასპექტში გაუარესდა კიდეც, როდესაც ცესკო-ს თავმჯდომარემ თავის თავზე აიღო უფრო მეტი კონტროლი და გააძლიერა ცესკო-ს მდივნის როლი. ორგანიზაცია უფრო პოლიტიზებული გახდა მასში ოპოზიციის წარმომადგენლობის საპასუხოდ. ამავდროს, ცესკო-მ ცოტა რამ გააკეთა საარჩევნო საქმიანობაზე ადგილობრივი პოლიტიკური ზეგავლენის გაკონტროლებისთვის, ანუ იმ დონეზე, სადაც გავრცელებულია ზენოლა, მექრთამეობა და საარჩევნო პროცედურების უგულებელყოფა.

იმისდა მიუხედავად, რომ არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელმა ყველა პირმა 2008 წლის მაისში ხელი მოაწერა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის მიერ მომზადებულ ქცევის კოდექსს, რომელიც ავალდებულებდა მათ, დაეცვათ კანონი, ყოფილიყვნენ მიუკერძოებელი და ნეიტრალური თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, ემოქმედათ გამჭვირვალედ ყველა პროცედურის შესრულების დროს, თავიანთ უპირველეს ვალდებულებად დაესახათ ამომრჩეველთა მიერ თავისუფალი და სამართლიანი არჩევანის გაკეთების დემოკრატიული უფლების უზრუნველყოფა და შეესრულებინათ თავიანთი საქმე მაღალ პროფესიულ დონეზე, ბევრმა მათგანმა არ დაიცვა დადებული პირობა.

ფულადი სახსრები ცესკო-სთვის არ წარმოადგენდა პრობლემას: თავმჯდომარე სამსახურებს დეპარტამენტებად აფართოებდა, ამისათვის კი ზრდიდა პერსონალის რაოდენობას 100-ზე მეტად და დეპარტამენტების უფროსებად „თავის ხალხს“ ნიშნავდა, არგუმენტად კი ის მოჰყავდა, რომ მას სჭირდებოდა ხალხი, ვისაც ენდობოდა.

დეპარტამენტების უფროსები, რომელთაგან ზოგიერთს არ ჰქონდა გამოცდილება საარჩევნო საქმიანობაში, იღებდნენ ორჯერ მეტ ხელფასს, ვიდრე სამსახურების უფროსები იღებდნენ

(არჩევნების პერიოდში ხელფასი ორმაგდება), ხოლო შეღავათები წევრებისა და მაღალი რგოლის მოხელეებისთვის უფრო და უფრო იზრდებოდა.

ცესკო-მ ორჯერ გაზარდა საავტომობილო პარკი ექვსი ახალი ავტომანქანის შეძენით, რომელთა შორის იყო ორი ჯიპი, დაიქირავა ახალი მძღოლები, გაზარდა სანვაის, სატელეფონო ბარათებისა და სხვა ხარჯები, დამატებით მოეწყო უზარმაზარი ოფისები კომისიის ზოგიერთი წევრისათვის. ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა: „წარმოიდგინეთ, როგორ იმუშავებდა უნივერსიტეტი, ცესკო-ს ბიუჯეტი რომ ჰქონოდა!“.

კომისიის წევრები და პერსონალი ყოველდღიურად იღებდნენ უფასო ლანჩს, რაც საერთაშორისო მრჩევლის მიერ შეთავაზებული სიახლე იყო შრომითი კოლექტივის „ნახალისებისთვის“.

ცესკო-ში კვლავ არ არსებობდა თანამდებობრივი ინსტრუქციები, კადრების დაკომპლექტებისა და სამუშაოდ აყვანის პროცედურები არ იყო არც გამჭვირვალე, არც ობიექტური და შეზღუდული იყო ინფორმაციის ნაკადი თავად ორგანიზაციაში.

საპარლამენტო არჩევნები

წინასაარჩევნო სიტუაცია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები

ცესკო-ში გრძელდებოდა უკმაყოფილება ცესკო-ს ოპოზიციური წევრების გამო. ხელისუფლების მიერ დანიშნულ წევრთა უმრავლესობა ოპოზიციის წევრების მიღებას არ განიხილავდა დადებით ცვლილებად. ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი სიტყვებით გადმოსცა თავისი განწყობა:

„მათ (ოპოზიციის წევრების) მოსვლამდე ყველანი შეთანხმებულად ვმუშაობდით და გადაწყვეტილებებს ადვილად ვიღებდით – ყველაფერი შეუფერხებლად კეთდებოდა და კომისიაც უფრო ზომიერი იყო. ჩვენ გვქონდა წინასწარი შეხვედრები და ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ახლა საქმე გართულდა.“

თავმჯდომარე აცხადებდა, რომ მას კომისიის წევრების მხრიდან მეტი ჩართულობა სურდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მან თითქმის მინიმუმამდე დაიყვანა მათი მოვალეობები – ისე, რომ მათ აღარ ჰქონდათ სხვა მოვალეობა, გარდა შეხვედრებზე დასწრებისა. თავმჯდომარის განცხადებით, მან გააუქმა კომისიის წევრების შიდა საზედამხედველო ფუნქციები მათი რიცხოვნობის გამო. ვინაიდან მათი რაოდენობა ახლა ძალზე დიდი იყო იმისათვის, რომ ყველა ყოფილიყო ჩართული, მან გადაწყვიტა, რომ არც ერთი არ ყოფილიყო.

კომისიის წევრებისადმი ობიექტურობის თვალსაზრისით არსებობდა უთანასწორობა ოპოზიციის წევრების მიმართ, რომლებიც ჩვეულებრივ იღებდნენ უფრო მცირე საოფისე ფართს, ოფიციალური მგზავრობის ნაკლებ შესაძლებლობას, ასევე ნაკლებად მონაწილეობდნენ ცესკო-ს სხდომებსა და ოფიციალურ ღონისძიებებში. არჩევნებამდე და არჩევნების პერიოდში საერთაშორისო საზოგადოებრიობა, არჩევნების დამკვირვებლების ჩათვლით, ძირითადად ეკონტაქტებოდა ცესკო-ს ხელმძღვანელობას და ნაკლებად ცდილობდა ცესკო-ს ოპოზიციურ წევრებთან გასაუბრებას კომისიის საქმიანობის შესახებ. ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა წევრმა განაცხადა:

„როგორ შეიძლება, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობას არ ჰქონდეს რომელიმე ჩვენგანთან დალაპარაკების ინტერესი? ჩვენს გვაქვს ჩვენი სათქმელი. ჩვენ არ უნდა ვიყოთ იგნორირებულნი – თითქოს არც კი ვარსებობდეთ“.

ცესკო-ს სხდომები

ცესკო-ს სხდომები ხშირად იმართებოდა და ზოგჯერ ცოტა ხნით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. სხდომებს ჩვეულებრივ ესწრებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ დანიშნული ყველა წევრი და 4-6 ოპოზიციური წევრი. სხდომები არ ითვალისწინებდა წინა შეხვედრის ოქმის დამტკიცებას, ოპოზიციის წევრები კი ჩიოდნენ, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ოქმი სწორად არ ასახავდა სხდომის მსვლელობას. ისინი ითხო-

ვდნენ, რომ ანგარიშგებაში გამჭვირვალობისა და სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით სხდომებზე ყოფილიყო ვიდეო ან აუდიო ჩანერა. მაგრამ ეს მოთხოვნები არ იქნა გათვალისწინებული, იმისდა მიუხედავად, რომ ცესკო წარსულში აკეთებდა სხდომების ჩანანერს, მაგრამ თავმჯდომარემ ეს პრაქტიკა შეწყვიტა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შუა ეტაპზე.

ცესკო-ს სხდომები, რომლებზეც განიხილებოდა არსებითი საკითხები, ქაოტური იყო და ბევრი გადაწყვეტილების მიღება დახურულ კარს მიღმა ხდებოდა. „პროფესიონალები“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები აგრძელებდნენ კერძო შეხვედრების გამართვას საჯარო შეხვედრებამდე. კენჭისყრის შედეგი მუდმივად 7 - 6-ზე იყო კრიტიკულ პერსონალთან, არსებით და გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ ბევრ პროცედურულ საკითხზე. დღის წესრიგის დარიგება ხდებოდა სხდომის წინ ან სხდომაზე, რათა ოპოზიციის წევრებს ცოტა დრო ჰქონოდათ საკითხების განსახილველად.

„პროფესიონალები“, თავმჯდომარის და მდივნის გარდა, უმეტესწილად ჩუმად ისხდნენ სხდომებზე, ოპოზიციის წევრები კი ძნელად ახერხებდნენ თავიანთი საკითხების გატანას, ხელმძღვანელობის მიერ ხშირად ხდებოდა შესაბამისი პროცედურების იგნორირება ან ზედაპირულად შესრულება. ცესკო-ს მმართველი გუნდი ოპოზიციას განიხილავდა ობსტრუქციულ ძალად და არანაირი შესამჩნევი მცდელობა არ ყოფილა კონსენსუსის მიღწევის ხელშეწყობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა დანიშვნა და დათხოვნა არ ხორციელდებოდა სამართლიანად და გამჭვირვალედ. ამის ყველაზე აშკარა მაგალითს ადგილი ჰქონდა 2008 წლის მარტის ბოლოს, როდესაც კომისია შეიკრიბა საჯაროდ 75 საოლქო საარჩევნო კომისიის მე-13 წევრის პოზიციაზე 200 პირის კანდიდატურის განსახილველად – ამ დანიშვნას, როგორც ჩანს, კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. როდესაც თავმჯდომარემ მოითხოვა უბრალო კენჭისყრა ყველა კანდიდატის სიაზე, ოპოზიციის წევრებმა გამოთქვეს პროტესტი და მოითხოვეს დრო განაცხადების განსახილველად. მათ ასევე ითხოვეს გარკვეული შერჩევის კრიტერიუმების დადგენა და თითოეული კანდიდატის კვალიფიკაციის განხილვა.

არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები, რომლებიც ესწრებოდნენ შეხვედრას, ამბობდნენ, რომ იმისათვის, რომ პროცესი სამართლიანი ყოფილიყო, აუცილებელი იყო შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა და რომ კანდიდატების საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა განხილულიყო კენჭისყრის ჩატარებამდე. ამ ზენოლის საპასუხოდ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სხდომა ამ საკითხზე გადადებული იყო მეორე დღემდე, ასევე განაცხადა, რომ შერჩევის კრიტერიუმები იქნებოდა ატესტაცია, მომსახურება და განათლება.

საბოლოოდ თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ის კრიტერიუმები, რომლებიც წინა ღამით დაანება, ასევე არ გაუკეთებია შედარება ერთი და იმავე პოზიციის დაკავების მსურველ კანდიდატთა შორის. უმრავლესობას არ ჰქონია მცდელობა, დაესახელებინა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ისინი აკეთებდნენ არჩევანს. იგივე სქემა განმეორდა ცესკო-ს აპარატის 35 ახალი წევრის აყვანისას 2008 წლის აპრილში. კანდიდატების შეფასება არ ხდებოდა მათი კვალიფიკაციის მიხედვით.

ოპოზიციის მიერ დანიშნულ წევრთა აღშფოთება საოლქო საარჩევნო კომისიების მოხელეთა გადადგომის საკითხისადმი დამოკიდებულებამაც გამოიწვია. კომისიას ეთხოვა, დაემტკიცებინა სამსახურიდან წასვლის მოთხოვნები ქვეყნის იმ რაიონებიდან, სადაც მასობრივი უმუშევრობაა, როგორც არის დღემდე, სადაც სამუშაო ადგილები ცოტაა და საოლქო საარჩევნო კომისიიდან მიღებული ხელფასი მნიშვნელოვან შემოსავლად ითვლება. გამომდინარე იქიდან, რომ გადადგომის მოთხოვნები ერთდროულად იქნა შეტანილი 2008 წლის მარტის შუა რიცხვებში, ერთმანეთის იდენტიური იყო – შეიცავდა ერთსა და იმავე ოთხ სიტყვას, ერთსა და იმავე ხელმოწერას და არ იყო დასახელებული სამუშაოს შეწყვეტის მოთხოვნის მოტივები, ოპოზიციის წევრები სვამდნენ კითხვას, თუ რატომ უნდა გადამდგარიყო ყველა თანამშრომელი ასეთი ფორმით. მაგრამ მოთხოვნები, რომ მიეღოთ შემდგომი ზომები და გამოეძიებინათ ის მიზეზები, რამაც განაპირობა გადადგომის სურვილი, უარყოფილი იქნა. რაც შეეხება განთავისუფლებული ადგილების შევსებას, თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს გაკეთდებოდა დაუყოვნებლივ – რამდენიმე დღის განმავლობაში.

შესაბამისი და გასაჩივრების პროცედურების არარსებობამ და იმან, რასაც ოპოზიცია განიხილავდა მთავრობის ჩარევად პროცესში საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობისას, განაპირობა ის, რომ ამ საკითხზე გამახვილდა ყურადღება საპარლამენტო არჩევნების დროს. კომისიის ერთ-ერთი წევრის თქმით, საჩივრებთან დაკავშირებით არსებობდა ორი მთავარი პრობლემა საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

„ცესკო-ს პრობლემა შეექმნა იმიტომ, რომ საარჩევნო კოდექსი ბუნდოვანი იყო. მეორე პრობლემა ის იყო, რომ ხალხმა არ იცოდა, როგორ დაენერა საჩივრები, ამიტომ ისინი ხშირად უარყოფილი იყო ტექნიკური მიზეზების საფუძველზე.“

ეთო-ს ექსპერტმა დენ ფინმა წამოაყენა წინადადება კოდექსის ცვლილებების შესახებ და წარმოადგინა საჩივრებისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დებულებების პროექტი. ახალი კანონი, რომელიც მიღებული იქნა, შეიცავდა ფინის ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა წინადადებას. ახალი კოდექსის მიხედვით იზღუდებოდა ცესკო-ს და იზრდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება. ის ასევე შეიცავდა დებულებებს, რომ გასაჩივრების მსურველებს მისცემოდათ ტექნიკური შეცდომების შესწორების შესაძლებლობა. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები სასიკეთო იქნებოდა და რომ „მთავარი პრობლემა იყო კვალიფიციური კადრების ნაკლებობა საუბნო საარჩევნო კომისიებში“. ეს ადამიანები შიშობდნენ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების მოხელეებს შესაძლოა არ მიეღოთ საჩივრები იმის გამო, რომ არ იცნობდნენ კანონს ან თავად გადაენწყიტათ, რომ ასე მოქცეულიყვნენ.

საპარლამენტო არჩევნებამდე შეთანხმებული იყო, რომ გასაჩივრების ახალ ფორმასთან ერთად საჩივრები შეიძლებოდა შეესებულებოდა უბრალოდ სუფთა ფორმაზე. ეს ნიშნავდა იმას, რომ საჩივრის შეტანა შეეძლებოდა ყველას, მაშინაც, როცა ფორმა არ იქნებოდა ხელმისაწვდომი. მაგრამ როდესაც არჩევნების დღე დადგა, პრობლემა აღმოჩნდა არა ფორმა, არამედ, როგორც მო-

სალოდნელი იყო, ის მოხელეები, რომლებიც უარს ამბობდნენ საჩივრების მიღებაზე.

არჩევნებისთვის მოსამზადებელ პერიოდში ცესკო ხშირად უარს ამბობდა საჩივრების განხილვაზე. ერთ შემთხვევაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეიტანა საჩივარი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის მიერ ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების გამო. ცესკო-მ გადაწყვიტა, არ განეხილა ეს საკითხი და ამის ნაცვლად უკან დაუბრუნა დავა მხარეებს, „რომ თავად გადაეჭრათ ის“.

მეორე შემთხვევაში კანდიდატს ბრალად ედებოდა ხმის მიცემაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა იმით, რომ მისი წარმომადგენელი აძლევდა ფულს ასი წლის ადამიანს, რაც გადაიცა სატელევიზიო არხებით. ამ შემთხვევაშიც ცესკო-მ უარი განაცხადა საქმის განხილვაზე.

კიდევ ერთი შემთხვევა შეეხებოდა კანდიდატს ახალი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიიდან, რომელიც პოტენციურ ამომრჩევლებს სთავაზობდა „უფასო სამედიცინო მომსახურებას“ (სახელმწიფო კლინიკის მომსახურებას). ცესკო-მ კიდევ ერთხელ განაცხადა უარი საქმის განხილვაზე. ამ შემთხვევაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა გამოთქვა პროტესტი, რომ ცესკო-ს ჰქონდა განხილვის და გადაწყვეტილების მიღების უფლება. თავმჯდომარემ ამაზე უპასუხა: „დიახ, ჩვენ გვაქვს ამის უფლება, მაგრამ არა ვალდებულება“.

მსგავსი დამოკიდებულება გამოჩნდა, აგრეთვე, როდესაც დადგა საკითხი კომისიის წევრების მიერ ოქმების ასლის გადაღების უფლების შესახებ. მდივანმა ამის საპასუხოდ განაცხადა: „კანონის მიხედვით თქვენ, კომისიის წევრებს, არა გაქვთ უფლება, აიღოთ ოქმი. თქვენ არა გაქვთ უფლება, გადაიღოთ საქმის ასლი!“ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დაუინებით განაცხადა: „ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიენოდოს კომისიის წევრებს“. მდივანმა უპასუხა: „ჩვენ უნდა მოგანოდოთ ის ორი დღის შემდეგ“. ამაზე დისკუსია შეწყდა. თუმცა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მხრიდან ზენოლის შემდეგ თავმჯდომარე მიუბრუნდა ამ საკითხს ცესკო-ს სხდომაზე და დადო პირობა, რომ მისცემდა ბრძანებას საოლქო და საუბ-

ნო კომისიებს, რომ კომისიის ყველა წევრისათვის მიეცათ ოქმების ასლის გადაღების ნებართვა, რაც მან შემდგომში შეასრულა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად ის ოთახი, სადაც საბჭოს სხდომები იმართებოდა, უფრო და უფრო გადაჭედილი ხდებოდა, ამიტომ თითქმის შეუძლებელი იყო სხდომის მსვლელობის მოსმენა, რადგან დამკვირვებლები გამწესებულნი იყვნენ უკანა რიგებში კედელთან ახლოს, მაქსიმალურად შორს სათათბირო მაგიდისგან. ისინი, ვინც საჩივრებს წარმოადგენდა, იძულებულნი იყვნენ, ფეხზე ადგომით და ყვირილით გამოეთქვათ პრეტენზიები ოთახის მთელ სიგრძეზე. თითქმის შეუძლებელი იყო მაგიდასთან მიმდინარე შემდგომი დისკუსიებისა და ცესკო-ს იურიდიული მრჩევლების კომენტარების გაგება.

მიუხედავად იმისა, რომ წამოჭრილი იქნა წინადადება, რომ მომჩივან მოქალაქეებს მოპყრობოდნენ მეტი პატივისცემით და დაიგეგმა ოთახის ახლებური მოწყობა, რათა შემსუბუქებულიყო პრობლემა, არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა და ისინი, ვინც პრეტენზიებს გამოთქვამდა, კვლავ იძულებულნი იყვნენ, ეყვირათ მთელი ოთახის გასაგონად და არ ჰქონდათ საშუალება, მოესმინათ მათ მიერ წამოჭრილ საკითხზე გამართული მსჯელობის შინაარსი.

არჩევნების შემდეგ ცესკო-ს ოპოზიციურმა წევრებმა გააკრიტიკეს საოლქო საარჩევნო კომისიების დამოკიდებულება მრავალი საჩივრის მიმართ, იმ არგუმენტით, რომ ისინი არ იღებდნენ თავის თავზე პასუხისმგებლობას, რომ მიეღოთ გადაწყვეტილება. „ისინი არ იღებდნენ გადაწყვეტილებებს; ისინი აგზავნიდნენ საჩივრებს სასამართლოებში“. ერთ-ერთის თქმით:

„იმისათვის, რომ საჩივარი დაკმაყოფილდეს, უნდა არსებობდეს მონმე. აქ ვინ იქნება მონმე? ვინ იქნება მონმე იმ ზენოლის ქვეშ, რომელსაც ხალხზე ახორციელებენ?“

საზოგადოებასთან ურთიერთობა

არჩევნების პერიოდში მკვეთრად გაიზარდა საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური გადაკეთდა დეპარტამენტად. სამსახურმა მნიშ-

ვენელოვნად გააუმჯობესა ურთიერთობა ყურნალისტებთან და რეგულარულად მართავდა პრესკოფერენციებსა და ბრიფინგებს, გააუმჯობესა, აგრეთვე, იმ ინფორმაციის ხარისხი, რომელსაც სისტემატურად აწვდიდა საარჩევნო პროცესით დაინტერესებულ მხარეებსა და მედიას, ასევე განაახლა ვებგვერდი მისი შინაარსისა და ფუნქციონირების გაფართოებისა და გაუმჯობესების გზით.

თავდაპირველად შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის გაზრდილი შესაძლებლობის კიდევ ერთი დადასტურება იყო დეპარტამენტიდან გამოსული დოკუმენტები, რომლებიც შეიცავდა ვრცლად გადმოცემულ სიახლეებს და შთამბეჭდავ ანგარიშებს. თუმცა აღმოჩნდა, რომ ცესკო-ს მიერ საკუთარი იმიჯის გაუმჯობესებისთვის წარმართული მუშაობის ფარგლებში ეს დახვეწილი, სუფთა ინგლისურით დანერილი დოკუმენტები სინამდვილეში მზადდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის საერთაშორისო კომპანიის მიერ, რომელთანაც ცესკო-ს კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. ნაცვლად იმისა, რომ დოკუმენტები შედგენილიყო ქართულ ენაზე და შემდეგ თარგმნილიყო ინგლისურად საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის, ყველაფერი პირიქით იყო. დოკუმენტები ინერებოდა ინგლისურ ენაზე კონტრაქტორის მიერ და საერთაშორისო საზოგადოებისთვის იყო გამიზნული. ისინი, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი, შემდგომში ქართულად ითარგმნებოდა.

ანალოგიურად, ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირებისთვის განკუთვნილი მასალების უდიდესი ნაწილი მზადდებოდა და ვრცელდებოდა არა ცესკო-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, არამედ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, როგორც არის გაერო-ს განვითარების პროგრამა, ევროპის საბჭო, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრი (ECMI). მხოლოდ უმცირესობების საკითხთა ევროპულმა ცენტრმა ევროპის საბჭოს დაფინანსებით დაბეჭდა და გაავრცელა 69,000 ბროშურა ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე, ჩაატარა საზოგადოების ინფორმირების კამპანიები 100 სოფელში

და გამოსცა სოციალური რეკლამები ეროვნული უმცირესობებისთვის. რადგანაც პლაკატების გავრცელება ცესკო-ს მიერ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პრობლემური აღმოჩნდა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა საპარლამენტო არჩევნებისთვის მათი გავრცელების პროცესის ხელმძღვანელობა იკისრა.

ტრენინგი

ცესკო-ს აპარატის ახალ წევრებს არ გაუვლიათ არანაირი ტრენინგი, მაგრამ ცესკო-მ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩაატარა ფართომასშტაბიანი ტრენინგი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მოხელეებისთვის. ამ პროგრამის ფარგლებში ტრენინგი 50,000-ზე მეტმა მოხელემ გაიარა.

ამ არჩევნებისთვის ჩატარებულ ტრენინგში ბევრი ახალი ელემენტი იყო დამატებული, მათ შორის ლამინირებული ოქმები, რომელთა დახმარებითაც შემსწავლელები ვარჯიშობდნენ ფორმის შევსებაში; ასევე საარჩევნო პროცედურების ვიზუალური ინსტრუქციები, რომლებიც გამოკრული იყო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კედლებზე, სახელმძღვანელოები მონაწილეებისათვის და ინტერაქტიული სავარჯიშოები, ასევე მოხელეების უშუალო ურთიერთობა შემსწავლელებთან. ამ ახალი მიდგომებიდან ბევრი ეფექტიანი იყო და უზრუნველყოფდა უფრო სტაბილურ ბაზას ყველა მოხელისათვის.

მაგრამ ამ ინტენსიური მცდელობების მიუხედავად, ბევრი მოხელე უბრალოდ არ იცავდა პროცედურებს არჩევნების დღეს. ზოგიერთ შემთხვევაში წეს-ჩვეულებითა და ადგილობრივი პოლიტიკით ნაკარნახევი პირობები ანაცვლებდა მოხელეების მიერ მიღებულ ტრენინგს.

ამომრჩეველთა სია

ამომრჩეველთა სიასთან დაკავშირებული პრობლემები გრძელდებოდა სხვადასხვა სახით: გაორებები პირადობის მონმობებში, სიებში მისამართების არარსებობა და ბევრი ამომრჩევლის რეგისტრაცია ერთსა და იმავე მისამართზე. მაგრამ ყველა ასეთი პრობლემა მხოლოდ ცესკო-ს ვერ დაბრალდებოდა. ზო-

გიერთ შემთხვევაში იუსტიციისა და სოციალური დაცვის სამინისტროები ადვილად არ აწვდიდნენ ინფორმაციას ცესკო-ს. ბევრ ამომრჩეველს უბრალოდ არ ჰქონია მცდელობა, გადაემონებინა სია.

„პრობლემა ასევე ხალხშია – მათ არ ესმით, რომ აუცილებელია, წინასწარ შეიტანონ საკუთარი გვარი სიაში. პარტიებისა და ცესკო-ს მოვალეობაა, ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ ადამიანებს. სამწუხაროდ, პოლიტიკური კულტურა არ არის ჯერ საკმარისად განვითარებული“.

ერთ-ერთ ანგარიშში მოთხრობილი იყო ერთი ამომრჩევლის შესახებ, რომელიც მივიდა თავის საარჩევნო უბანზე ჩუღურეთში, რათა ორგანიზატორებისთვის ეცნობებინა, რომ ის იღებდა ცესკო-ს შეტყობინებებს, რომლებიც მიმართული იყო 90 სხვადასხვა პირის მიმართ მის მისამართზე, და სთხოვდა მათ, აუცილებლად შეემონებინათ ამომრჩეველთა სია. ის არ იცნობდა ამ 90 პირიდან არც ერთს. ერთ-ერთი მოხელე აღნიშნავდა ადამიანთა რაოდენობას, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ მომორეზულ რეგიონებში. ის ამბობდა:

„როგორ შეიძლება, რომ ამდენი ამომრჩეველი იყოს ამ რეგიონებში? როდესაც მანქანით გაივლი, ვერავის ხედავ, რომ იქ ცხოვრობდეს! სად არიან ეს ადამიანები?“

ყველა მსგავსი პრობლემა ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ცესკო-ს მოსამზადებელი სამუშაოები არ იყო სწორად წარმართული. როგორ შეეძლოთ დარწმუნებით სცოდნოდით, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი იყო რეალურად საჭირო ან რამდენი ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული ერთ საარჩევნო უბანზე?

ცესკო იცვლის ადგილს და გადადის უკან

2008 წლის აპრილის დასაწყისში, რამდენიმე თვის შემდეგ ახალ ობიექტზე გადასვლიდან და ექვსი კვირით ადრე საპარლამენტო

მენტო არჩევნებამდე, ცესკო-მ კიდევ ერთხელ შეიცვალა ადგილ-
მდებარეობა და ამჯერად გადავიდა განახლებულ შენობაში სა-
ბურთალოზე. ერთ-ერთი დამკვირვებელი აღნიშნავდა: „ეს უკვე
ტრადიციაა. წინა სამი არჩევნების პერიოდში ცესკო იცვლიდა
ოფისს ზუსტად არჩევნების წინ. ეს უზრუნველყოფს საჭირო
ქაოსს, რომლითაც ვილაც სარგებლობს.“ ცესკო-ს თანამშრო-
მელმა განაცხადა: „ძალიან ძვირი ჯდება მუდმივი გადაადგილე-
ბა, მაგრამ მთავრობა განაგრძობს თავისი შენობების გაყიდვას,
ამიტომ გვინევს გადასვლა“. მართალია, ახალი შენობა ახლად
გარემონტებული იყო, მაგრამ ძნელად მისაგნები – შენობამდე
მისვლა მხოლოდ გრუნტის გზით იყო შესაძლებელი, მრავალსარ-
თულიანი საცხოვრებელი სახლების ლაბირინთის გავლით, და
არ არსებობდა საგზაო ნიშნები დაინტერესებული პირებისთვის
გზის საჩვენებლად.

მაგრამ როგორც კი ცესკო ახალ შტაბ-ბინაში მოთავსდა,
დაირხა ხმები, რომ ცესკო-ს ნაწილი მაინც გადავიდოდა უკან იმ
შენობაში, რომელიც ახლახან დაცალა. 2008 წლის აპრილის შუა
რიცხვებში ახალ შენობაში გადასვლიდან არც ისე დიდი ხნის შე-
მდეგ, გაიმართა დახურული შეხვედრა, სადაც თავმჯდომარემ
წამოაყენა წინადადება, რომ არჩევნებისთვის დაბრუნებული-
ყვნენ „ძველ“ შენობაში. მიზეზად დასახელდა უსაფრთხოება,
მაგრამ დეტალები არ გამჟღავნებულა. ეს ინფორმაცია არ ყო-
ფილა საჯაროდ განხილული 2008 წლის მაისის მეორე კვირამდე,
როდესაც ცესკო-ს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გარკვეული
დეპარტამენტები სავარაუდოდ დაუბრუნდებოდნენ „ძველ“ შე-
ნობას. ცესკო-ს სხდომები გაიმართებოდა „ძველ“ შენობაში და იქ
გადავიდოდნენ კომისიის წევრები, საინფორმაციო ტექნოლოგიე-
ბის, იურიდიული და პროტოკოლის დეპარტამენტები.

ამ პერიოდში ვრცელდებოდა ხმები ცესკო-ს გადასვლის სხ-
ვადასხვა მოტივის შესახებ. ერთ-ერთი ის იყო, რომ ახალი შენო-
ბა არამდგრადი იყო მიწისძვრისგან დაზიანების შედეგად და არ
იყო უსაფრთხო ამდენი ხალხისთვის. სხვები ფიქრობდნენ, რომ
გადასვლა ძირითადად უსაფრთხოების მოტივით აიხსნებოდა.
„პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ამ ადგილიდან არ არსე-
ბობს გზა. არის მხოლოდ ერთი შესასვლელი და მეტი არაფერი“.

გადასვლის წინადადებას მაშინვე დაბადა ეჭვი ოპოზიციაში. ისინი ვარაუდობდნენ, რომ მთავრობა შეშინებული იყო.

„მათ ჰგონიათ, რომ არჩევნებს დიდი დემონსტრაციები მოჰყვება და ამის ეშინიათ“. კიდევ ერთი მოსაზრება იყო, რომ „გაცილებით ადვილია გაყალბება ძველ შენობაში, რადგან იქ ბევრი შესასვლელია. იმ შენობაში ძნელია თვალის მიდევნება, თუ საიდან მოდის ფაქსები. ასევე დიდი ადგილია სპეცდანიშნულების რაზმისთვის – შავებში ჩაცმული მამაკაცებისთვის. იქ შეიძლება 1000 სპეცრაზმელი იყოს და არ ჩანდეს“.

კიდევ სხვათა მოსაზრებით, გადასვლა წარმოადგენდა ოპოზიციისა და ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობის გახლეჩვის მცდელობას. „ყველასთვის უფრო რთული იქნება, მათ შორის ჟურნალისტებისთვის“.

2008 წლის 16 მაისს (არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე) ცესკო გადანანილდა ორ შენობაში. ცესკო-ს თავმჯდომარემ განაცხადა: „ჩვენ გვეკუთვნის ორი შენობა და გვინდა ორივე გამოვიყენოთ“. კომისიის წევრთა გარკვეული ნაწილი გადავიდა საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ნაწილთან, იურიდიული დეპარტამენტის ნაწილთან და პროტოკოლის დეპარტამენტთან ერთად. ახალი შენობისგან განსხვავებით, რომელიც კარგად აღჭურვილი იყო ბევრი ჟურნალისტისათვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ახალ მოწყობაში ცოტა დამხმარე საშუალება იყო გათვალისწინებული ჟურნალისტებისა და მედიისთვის. ცესკო-ს სერვერი გამოსული იყო მწყობრიდან, როდესაც საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა დაიწყო გადასვლა. მთელი საარჩევნო პერიოდის მანძილზე სერვერს არ უმუშავია თანმიმდევრულად, რამაც ძალზე გაართულა საარჩევნო სამუშაოების გაგრძელება. ოპოზიციის მიერ დანიშნული ერთ-ერთი წევრი ჩიოდა: „ჩვენ გვინდა შევამოწმოთ სიები, მაგრამ ვერ ვახერხებთ, რადგან სერვერი არ მუშაობს“.

გადასვლის შემდეგ ახალი შენობა პრაქტიკულად ცარიელი დარჩა. მუშაობა გართულებული იყო სერვერთან დაკავშირებუ-

ლი სხვადასხვა პრობლემის გამო, თუმცა ოპოზიციის დანიშნულ ნევრთა დიდ ნაწილს ოფისები იქ ჰქონდა. დანარჩენი ნევრები „ძველ“ შენობაში იყვნენ, მაგრამ რეალურად ოფისები არ იყო მონყობილი. ცესკო-ს საბჭოს სხდომები გადატანილი იქნა „ძველ“ შენობაში და თავმჯდომარე იქ მართავდა შეხვედრებს დელეგაციებთან. უსაფრთხოების ზომები ძალზე გამკაცრებული იყო, სპეცდანიშნულების რაზმები განლაგებულნი იყვნენ მთელ შენობაში და მომსვლელებს მკაცრად ამოწმებდნენ.

არჩევნების შემდეგ ოფისები თანდათან დაბრუნდნენ ახალ შენობაში.

შემაჯამებელი ოქმების შედეგები

საპრეზიდენტო არჩევნების დროს ოქმების მიღებასა და შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პრობლემების, მათ შორის არჩევნების შედეგების დიდი ხნის დაგვიანებით შეფასებისა და გამოცხადების საპასუხოდ საერთაშორისო თანამეგობრობა მოითხოვდა ცესკო-სგან შედეგების გამოქვეყნების დაჩქარებას და პროცესის უფრო გამჭვირვალედ წარმართვას. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს დაურიგდათ 2,000-ზე მეტი ფაქსის აპარატი, მათ შორის იყო IFES-ის მიერ მოწოდებული ისეთი დანადგარებიც, რომლებიც ელემენტებზე მუშაობდა და მათი გამოყენება შესაძლებელი იყო ისეთ რაიონებში, სადაც არასტაბილური ელექტრომომარაგება იყო. ყველა მოხელეს უნდა გაეველო ტრენინგი აპარატების მოხმარებაში.

საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები და ცესკო-ს ნევრები შეხვდნენ ცესკო-ში 2008 წლის მაისის დასაწყისში, რათა განეხილათ „შედეგების დათვლის საუკეთესო მეთოდები“. როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები, ისე ცესკო-ს ოპოზიციის ნევრები დაჟინებულად ითხოვდნენ, რომ ფაქსები შემოსულიყო იქ, სადაც დამკვირვებლებს შეეძლებოდათ მათი დანახვა, და შედეგები დაუყოვნებლივ გამოქვეყნებულიყო ვებგვერდზე. საბოლოოდ მოხდა შეთანხმება, რომ მონყობილიყო სპეციალური ოთახი პრესისთვის „ძველ“ შენობაში, სადაც ცესკო-ს თანამშრომლები, დამკვირვებლები და პარტიების წარ-

მომადგენლები შეიძლებდნენ დასწრებოდნენ ფაქსების მოსვლას, რომელთა შორის შეიძლება ყოფილიყო ცალკე ოქმები მაჟორიტარული და პროპორციული დათვლებისთვის, და სადაც ფაქსები 20 სხვადასხვა ნომერზე შემოვიდოდა.

არჩევნების ღამისა და შემდეგი დღის განმავლობაში ეს პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და ზოგადი კონსენსუსი იყო, რომ ის წარიმართა სწორად და გამჭვირვალედ. ცესკო-სათვის ეს ნიშნავდა დიდ წარმატებას და მნიშვნელოვან პროგრესს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების მართვის მხრივ.

კამერები

ისევე, როგორც საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ცესკო-ს არ ჩამოუყალიბებია კრიტერიუმები 1,200 კამერის დასაყენებლად ადგილების შერჩევისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ცესკო-ს ოპოზიციური წევრები ითხოვდნენ, რომ ცესკო-ს განეხილა ოპოზიციის წევრის მიერ შეთავაზებული გეგმა კამერების ტრადიციულად სარისკო წერტილებში დაყენების შესახებ – ძირითადად რეგიონების სოფლებში – ეს წინადადება არ იქნა განხილული და კამერები უსისტემოდ იქნა დაყენებული – ისე უმეტესად ურბანულ ადგილებში, სადაც საარჩევნო უბნები უკვე კონტროლდებოდა დამკვირვებლებისა და პარტიების წარმომადგენლების მიერ. ხელმძღვანელობას არ გაუცვნია თანამშრომლებისთვის ის სია, სადაც დასახელებული იყო კამერების დაყენების ადგილები. ერთ-ერთმა წევრმა აღნიშნა: „ვიდეოკამერები წაიღეს, მაგრამ არავინ იცის, სად“.

სოფლებსა და გარკვეულ რაიონებში ისტორიულად საარჩევნო პროცესი პრობლემურად მიმდინარეობდა. ზოგიერთ ადგილას მიღებულია ოჯახური ხმის მიცემა, ხოლო სხვაგან ხშირია ზენოლის ფაქტები. კამერების არსებობა არა მხოლოდ დაასაბუთებდა ასეთ ქმედებებს, არამედ შეზღუდავდა მათ. ბევრი ფიქრობდა, რომ სპეციალური საუბნო კომისიები უნდა აღჭურვილიყო კამერებით, ვინაიდან ამომრჩევლებს ამ უბნებზე პოტენციურად შეეძლოთ მათ ჩვეულ უბნებზეც მიეცათ ხმა. იყო ასევე წუხილი იმის გამო, რომ ცესკო გეგმავდა ჩანაწერების გაკეთებას იმავე კასეტებზე, რომლებიც გამოყენებული იყო საპრეზიდენტო არჩე-

ვნების დროს, და ამრიგად დაიკარგებოდა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. მაგრამ ეს პრობლემები არ მოგვარებულა.

სპეციალური საუბნო საარჩევნო კომისიები

ცესკო-ს ოპოზიციური წევრების წინააღმდეგობის მიუხედავად, ცესკო-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პოლიცია შეეტანა „სპეციალური სიების“ კატეგორიაში ამ არჩევნებისთვის. ეს მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კანონი ნათლად განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევებში და რომელი ჯგუფებისთვის შეიძლება ჩამოყალიბდეს საარჩევნო უბანი, და ეს სია არ მოიცავს პოლიციას. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეიტანა სარჩელი ასეთი პირობის წინააღმდეგ, მაგრამ ის უარყოფილი იქნა. ოპოზიციის პრეტენზიები შეეხებოდა იმ ფაქტს, რომ 30,000 კაციან პოლიციას შეეძლო ხმის მიცემა არა მხოლოდ სპეციალურ საარჩევნო უბანზე, არამედ მათ ჩვეულ საუბნო საარჩევნო კომისიებში.

საარჩევნო კოდექსის მუხლი 16.3 ადგენს:

„გამონაკლის შემთხვევებში (სამხედრო ნაწილი, რომელშიც 50-ზე მეტი ამომრჩეველია (სამხედრო მოსამსახურე), საავადმყოფო და სხვა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება, რომელშიც 50-ზე მეტი ამომრჩეველია, კენჭისყრის დღეს ნაოსნობაში მყოფი გემი და სხვ.) საარჩევნო უბანი შეიძლება შეიქმნას კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-15 დღისა. საავადმყოფო (სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება), სამხედრო ნაწილი (შენაერთი), რომელშიც ამომრჩეველთა (ავადმყოფთა, სამხედრო მოსამსახურეთა) რაოდენობა 50-ს არ აღემატება, საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით მიემარება მასთან არსებულ უახლოეს საარჩევნო უბანს. შესაბამისი სამხედრო უწყების ხელმძღვანელის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით საარჩევნო უბანი შესაძლებელია შეიქმნას ისეთ სამხედრო ნაწილში (შენაერთში), რომელშიც ამომრჩეველთა (სამხედრო მოსამსახურეთა) რაოდენობა 50-ს არ აღემატება.“

ბოლო მუხლი 10.1 გ) და გ') ადგენს:

1. ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავთ:

გ) ამომრჩეველები, რომლებიც კენჭისყრის დღეს წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან;

გ') საქართველოს სამხედრო ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები.

პრეტენზიები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მიმართ

არჩევნებისთვის მოსამზადებელ პერიოდში ოპოზიციის წევრების მხრიდან გაისმოდა პრეტენზიები იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ან რა შეიძლებოდა მომხდარიყო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში. თავმჯდომარის მიერ ადრე მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლითაც ის ართმევდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს ოქმების გადანერის უფლებას (გადაწყვეტილება, რომელიც მან შეცვალა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მხრიდან ზენოლის შემდეგ), გააჩინა ეჭვი, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებს უკვე გაყალბებული ჰქონდათ ოქმები და რომ ისინი გადაუგზავნიდნენ მათ ცესკო-ს არჩევნების ღამეს.

2008 წლის მაისის შუა რიცხვებში რეგიონებიდან მოდიოდა შემამოფოთებელი ცნობები, რომ ადგილობრივი კომისიების ოპოზიციური წევრები მზარდი წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ მერებისა და პოლიციის მხრიდან. მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო სამეგრელოში. დუშეთის რაიონიდან წამოსული ინფორმაციით, ადგილობრივი პოლიცია დაპატიმრებით ემუქრებოდა კომისიის წევრებს, თუ ისინი ოქმებს არ გააყალბებდნენ.

სერიოზული ზენოლის ფაქტის შესახებ ცნობები მოვიდა ამბროლაურიდან. „მერი ფიზიკურად გაუსწორდა გაერთიანებული ოპოზიციის ორ აქტივისტს. მისი ბრძანებით ისინი დააკავა პოლიციამ, წაიყვანა ტყეში და იქ სცემა. ვისთან უნდა იჩივლონ მათ? „პრაიმტიიმში“ გამოცხადდა, რომ ეს კაცი უკვე აღარ არის მერი, არამედ „ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის“ მოადგილე!“

2008 წლის 20 მაისს, არჩევნების წინა დღეს, ცესკო-ს ორმა ოპოზიციურმა წევრმა განაცხადა, რომ მათი საოლქო და საუბნო

საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები ხოზიდან, მარტვილიდან, რუსთავიდან, ლანჩხუთიდან, ქუთაისიდან, ცაგერიდან, ბათუმიდან, ხელვაჩაურიდან, ოზურგეთიდან, ტყიბულიდან იუნყებოდნენ, რომ საოლქო და საუბნო კომისიებს მიღებული ჰქონდათ მითითებები, გაეხსნათ საარჩევნო პაკეტები, რათა შეემონმები-ნათ და დარწმუნებულიყვნენ ბიულეტენების სისწორეში. ბრძანება გაიცა ცესკო-ს მდივნის მიერ და ცესკო-ს საორგანიზაციო დეპარტამენტმა იგი ზოგიერთ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცა. საარჩევნო კოდექსის 52.4 მუხლის თანახმად, დალუქული საარჩევნო პაკეტები არ იხსნება არჩევნების დღის დილამდე, როდესაც კომისია

„ამონმებს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების პაკეტების მთლიანობას და აცხადებს მიღებული საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობას“.

ვინაიდან კომისიის წევრებთან არ გამართულა კონსულტაციები და ისინი არ მონაწილეობდნენ ამ გადამწყვეტილების მიღებაში, ისინი დაუკავშირდნენ საორგანიზაციო დეპარტამენტს, სადაც მათ განუცხადეს, რომ ბრძანება მიცემული იყო ცესკო-ს მდივნის მიერ, რომელმაც მოგვიანებით დაადასტურა, რომ მან მართლაც გასცა ასეთი ბრძანება, რადგან საარჩევნო ბიულეტენების კონვერტები არეული იყო.

გადასატანი ყუთები

არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე დაისვა საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის იმ ადამიანების გაზრდილი რიცხვის შესახებ, რომლებიც ითხოვდნენ გადასატანი ყუთებით სარგებლობას. მაგალითად, აღნიშნავდნენ, რომ დედოფლისწყაროში ელექტორატი შედგებოდა დაახლოებით 22,618 ადამიანისგან, რომელთაგან 30% იღებდა მონაწილეობას კენჭისყრაში უკანასკნელი არჩევნების დროს. მაგრამ 1,398 ამომრჩეველმა მოითხოვა ხმის მიცემა გადასატანი ყუთის საშუალებით, რადგან ისინი შეზღუდული შე-

საძლებლობის იყვნენ. ზოგიერთ უბანში ბევრად გაიზარდა მო-
თხოვნა გადასატანი ყუთების გამოყენებაზე. ერთ რაიონში ოპო-
ზიციის წარმომადგენლები მიდიოდნენ სახლში იმ ადამიანებთან,
ვინც რეგისტრირებული იყო გადასატანი ყუთით ხმის მიცემაზე,
და ერთ-ერთ შემთხვევაში აღმოაჩინეს, რომ „ინვალისი“ ქუჩაში
ფეხბურთს თამაშობდა.

არჩევნების დღე

არჩევნების დღე მშვიდად დაიწყო ქვეყნის უმეტეს ნაწილში,
მაგრამ ზოგიერთი ადგილიდან მოდიოდა ცნობები პოლიციისა და
სხვათა მხრიდან ხალხის ცემის ფაქტებზე. მარნეულში მომხდარი
არეულობის შედეგად დაშავდა რამდენიმე ადამიანი. იმ საუბნო
საარჩევნო კომისიების უმეტეს ნაწილში, რომლებსაც მე ვაკვირ-
დებოდი დუშეთსა და მარნეულში, ადგილი ჰქონდა დარღვევებს
და ზოგიერთ შემთხვევაში იყო ზენოლის ფაქტები.

პრობლემების დიდი ნაწილი თავს იჩენდა საუბნო საარჩევნო
კომისიების მოხელეთა მცდელობის შედეგად, დაებლოკათ სა-
ჩივრების რეგისტრაცია. დუშეთის ერთ-ერთ საუბნო საარჩევნო
კომისიაში პარტიის წარმომადგენელზე მოხდა ზენოლა თავმჯ-
დომარისა და სხვების მხრიდან, მათ შორის „ნაციონალური მო-
ძრაობის“ დამკვირვებლის მხრიდან, როდესაც ის შეეცადა, შეე-
ტანა საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ თავმჯდომარემ ვერ
შეძლო შეესრულებინა სამუშაო დავალებების განაწილებაზე წი-
ლისყრის პროცედურა. თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ ის
არ აპირებდა, დაეღა ასლგადამლები აპარატი, რომ კომისიის ყვე-
ლა წევრს შეძლებოდა ოქმის ასლის გადაღება. მაგრამ როდესაც
ცესკო-ს თავმჯდომარეს მოახსენეს ამ პრობლემის შესახებ, მან
დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება, პირადად დაურეკა საუბნო
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მისცა მითითება, მიეცა
კომისიის წევრებისთვის ოქმის ასლის გადაღების ნებართვა.

დუშეთის სხვა საუბნო საარჩევნო კომისიაში თავმჯდომარემ
გვითხრა, რომ კომისია ასრულებდა პროცედურებს, რაც უარყო
დამკვირვებელმა ლეიბორისტული პარტიიდან, რომელიც ამბობ-
და, რომ თავმჯდომარემ თვითნებურად გაანაწილა დავალებები,

ნაცვლად იმისა, რომ ჩაეტარებინა კენჭისყრა. იქ არ არსებობდა ფაქსის აპარატი, რომელიც, თავმჯდომარის თქმით, ნაღებული იყო შესაკეთებლად. არ იყო ელექტროენერგია, ამიტომ არც ასლ-გადამღები აპარატი მუშაობდა. როდესაც ჩვენ მეორე ვიზიტით დავბრუნდით საარჩევნო უბანზე, მის წინ იდგა სატვირთო მანქანა, რომლის ფანჯარაზეც მიკრული იყო „კანდიდატი 5“-ის პლაკატი. კაცი, რომელიც თავს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს უწოდებდა და შემდგომში გაირკვა, რომ იყო საკრებულოს თავმჯდომარე, იმყოფებოდა საარჩევნო უბანზე, ესაუბრებოდა ამომრჩევლებს შესვლისას და აკვირდებოდა ამომრჩეველთა სიებს, როდესაც მათ გვარებს ამოწმებდნენ. თუ ადამიანები კითხვის დასმას შეეცდებოდნენ, თავმჯდომარე ეუბნებოდა, გაჩუმებულიყვენ. ერთ-ერთმა ხანდაზმულმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ მას თვეების განმავლობაში არ მიუღია კუთვნილი პენსია, თავმჯდომარემ კი მას ხმა გააკმენდინა: „გაჩუმდი, აქ სიტყვა არ დაძრა ასეთ რამეებზე!“

მარნეულის ერთ-ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო უბანი და მიმდებარე ეზო მამაკაცებით იყო სავსე. როგორც ჩანდა, საუბნო კომისიის ყველა მოხელეც მამაკაცი იყო. ორი დამკვირვებელი ქალი, ერთი საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი ლეიბორისტული პარტიიდან და მეორე „სართო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოდან“ აცხადებდნენ, რომ ისინი დიდიდან ცდილობდნენ საჩივრების წარდგენას თავმჯდომარისთვის, მაგრამ ის უარს ამბობდა. დამკვირვებელმა „მრავალეროვანი საქართველოდან“ განაცხადა, რომ ის ბევრჯერ შეესწრო, როგორ შედიოდნენ ადამიანები საარჩევნო კაბინებში ორ-ორი და სამ-სამი, ხშირად კომისიის წევრთან ერთად, ასევე ბევრჯერ ნახა გადავსებული საარჩევნო ყუთი – როდესაც მასში ბევრი ბიულეტენი ერთდროულად იყრებოდა. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის თქმით, ის სამი საათის განმავლობაში ცდილობდა, საუბნო საარჩევნო კომისიას მიეღო მისი საჩივარი საარჩევნო ყუთის გადავსებასთან დაკავშირებით.

მარნეულის კიდევ ერთ საარჩევნო უბანზე თავმჯდომარემ გვითხრა, რომ მათ „უამრავი“ ამომრჩეველი ჰყავდათ და გვანახა სია, რომელიც თითქმის მთლიანად შევსებული იყო ხელმოწერე-

ბით. მაგრამ აშკარა იყო, რომ ერთსა და იმავე ადამიანს ჰქონდა ხელი მონერილი სიაში ამომრჩეველთა უმეტესი ნაწილის მაგივრად. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბევრი ადამიანი, რომელიც ხმის მისაცემად მოდის, მოხუცებულია და ვერ ხედავს, ამიტომ ისინი ანერენ ხელს მათ მაგივრად. საარჩევნო ყუთი პირამდე სავსე იყო ბიულეტენებით. როდესაც ფაქსის აპარატის ნახვა მოვითხოვეთ, მან ასლგადამლები აპარატი გვიჩვენა, რომელიც, მისი თქმით, არ მუშაობდა, ამიტომ სავარაუდოდ ისინი ვერ შეძლებდნენ შედეგების გადაგზავნას. ასლგადამლებ აპარატს არ ჰქონდა ჩასართველი და როდესაც ვინმე ცდილობდა მის ჩართვას შტეფსელში, ნაპერწკლები ცვიოდა. ფაქსის აპარატი არსად ჩანდა.

რამდენიმე დამკვირვებელი ასევე იუწყებოდა, რომ ისინი დაუკავშირდნენ ცესკო-ს თავმჯდომარეს არჩევნების დღეს დაარღვევების და პროცედურების შეუსრულებლობის თაობაზე. ცესკო-ს თავმჯდომარე ოპერატიულად პასუხობდა ამ ზარებზე. ცესკო-ს თანამშრომელმა, რომელიც თავმჯდომარესთან და მდივანთან ერთად მუშაობდა არჩევნების დღეს, აღნიშნა:

„ჩვენ შეგვაშინა იმ ფაქტმა, რომ რეკავდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები არ იღებდნენ საჩივრებს. მაგრამ არა მხოლოდ საჩივრებს, ისინი დამკვირვებლებსაც არ უშვებდნენ შიგნით! ყველა ტრენინგის შემდეგ რატომ არ უნდა სცოდნოდათ ეს? ალბათ მიზეზი ის იყო, რომ მათ ეშინოდათ.“

ცესკო-ს ერთ-ერთმა წევრმა ოპოზიციიდან ამასთან დაკავშირებით განაცხადა:

„მათ იმიტომ ეშინიათ, რომ მოუწევთ 1,000 ლარიანი ჯარიმის გადახდა, თუ ძალიან ბევრი საჩივარი ექნებათ! საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ეშინიათ მთავრობის მხრიდან ზენოლის. თბილისში ზენოლა ნაკლები იყო, მაგრამ რეგიონებში ხალხი არ არის დაცული. გლდანში საოლქო საარჩევნო კომისიამ უარი თქვა სარჩელის მიღებაზე 17:30 სთ-ზე და ამბობდა, უკვე 18:00 საათიაო“.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც აწყდებოდნენ სიძნელეებს საჩივრების წარდგენისას. როდესაც ისინი საჩივრების წარდგენას ცდილობდნენ, მათ წარმომადგენელს არჩევნების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა უთხრა, „შენ იჯექი მანდ და დააკვირდი“.

წინასაარჩევნო პერიოდში ცესკო-მ გასცა ნებართვა ბევრი ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლის მონაწილეობაზე. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც დამკვირვებელთა ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავდა (4,000), იყო 'Ratio Legi'. რეალურად ამ ორგანიზაციას სამჯერ მეტი დამკვირვებელი ჰყავდა, ვიდრე რომელიმე სხვა ცალკეულ ჯგუფს. ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია პრეზიდენტის ახლო მოკავშირის ლილი ბეგიაშვილის მიერ, არსებობს 2003 წლის არჩევნების შემდეგ და ჩნდება მხოლოდ არჩევნების პერიოდში. ზოგიერთის აზრით, ეს არის ერთ-ერთი საშუალება, რითაც „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლია საარჩევნო უბნებზე მიიყვანოს უფრო მეტი მისი მხარდამჭერი. ცესკო-ს ოპოზიციურმა წევრებმა განაცხადეს, რომ არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ 'Ratio Legi'-ის წევრებმა განახორციელეს ზენოლა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ოპოზიციურ წევრებზე.

არჩევნების შემდგომი სიტუაცია

ცესკო-ში როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციის წევრები გაკვირვებულები ჩანდნენ არჩევნების შედეგებით. მმართველი პარტია გაცხებული იყო თავისი უდიდესი გამარჯვებით, ხოლო ოპოზიცია ასეთი დიდი მარცხით – განსაკუთრებით თბილისში და რამდენიმე რეგიონში. ცესკო-ს ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა:

„ჩვენ ყველანი ძალიან გაკვირვებულები ვიყავით იმით, რაც მოხდა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ავილებდით 100 (მმართველი პარტიისთვის) ადგილს, ხოლო ისინი (ოპოზიცია) 80-ს“.

არჩევნიდან რამდენიმე დღის შემდეგ ცესკო-ს თანამშრომელი ამბობდა:

„შეიძლება იყო რაღაც შეცდომები – ზოგიერთ ადგილას ცოდნის დაბალი დონეა, მაგრამ მთლიანობაში ყველაფერი ნორმალურად იყო. შესაძლოა ადგილობრივ დონეზე მოხდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. უკვე 29 ანულირება მოხდა, ძირითადად არაქართულად მოლაპარაკე რაიონებში. საჩივრების დიდი ნაწილი, რომელთაც ჩვენ ახლა განვიხილავთ, უსაფუძვლოა“.

ცესკო-ს ოპოზიციურმა წევრებმა თბილისში წაგება მიაწერეს სიებში გაორებებსა და „კარუსელებს“, მექრთამეობას და პოლიციის მხრიდან ზეწოლას.

„მთავარი პრობლემა იყო „კარუსელები“ და მექრთამეობა, რაც დამკვირვებლებისთვის შეუმჩნეველია. თბილისის ერთ-ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში ვიდეოჩანანერზე ჩანან მოხელეები, რომლებიც იყენებენ ორ ბოთლს თითის მარკირებისათვის – ერთი ჩვეულებრივია, მეორეში კი წყალი ასხია“.

რეგიონებში ამბობდნენ, რომ ხორციელდებოდა ინტენსიური ზეწოლა პოლიციისა და სპეცდანიშნულების რაზმების მხრიდან. ცესკო-ს ერთი ოპოზიციური წევრი ამბობდა, „ამის შეჩერება ადგილობრივად ძნელია, მაგრამ ზემოდან შეიძლება ამის აღკვეთა“. სერიოზული შეშფოთება იყო საუბნო საარჩევნო კომისიების მხრიდან საჩივრების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევების რიცხვის გამო. ცესკო-ს ოპოზიციური წევრის თქმით,

„ოქმები იწერებოდა საუბნო საარჩევნო კომისიებში და ისინი უკეთესი იყო წინა არჩევნებთან შედარებით. მაგრამ მე ვიცი, რომ საუბნო კომისიებზე დიდი ზეწოლა იყო. სპეცდანიშნულების რაზმები ახორციელებდნენ ზეწოლას მოხელეებზე. რეგიონებში კამერები უნდა ყოფილიყო დამონტაჟებული“.

მეორე აღნიშნავდა:

„ჩვენ (ოპოზიციური პარტიები) არ ვიყავით მომზადებულები. არ ყოფილა განსაკუთრებულად დიდი დარღვევები, მაგრამ ზოგადად იყო „ნაციონალური მოძრაობის“ შიში. მართალია, ჩვენ სათანადო კამპანია არ ჩაგვიტარებია, მაგრამ ზოგ ადგილებში ამას ვერ ვახერხებდით, რადგან პოლიცია და სპეცრაზმი უკან დაგვდექდა. ისეთ ზენოლას ახორციელებდნენ ხალხზე – ემუქრებოდნენ დაპატიმრებით, თუ ჩვენ გამოსვლებს დაესწრებოდნენ. ჩვენი აზრით, ჩვენი მხარდამჭერების მხოლოდ 50% მივიდა ხმის მისაცემად არჩევნების დღეს, დანარჩენები იმდენად დაშინებულები იყვნენ, რომ სახლში დარჩნენ – ეს მეტ-ნაკლებად ბოიკოტის გამოცხადება იყო, რადგან მთელ ოჯახებს აშინებდნენ“.

ცესკო-ს ერთ-ერთი ოპოზიციური წევრი აღნიშნავდა:

„ეს არჩევნები არაფრით იყო უკეთესი ყველა სხვაზე, მაგრამ კანონი დაეხმარა მათ, რომ ის უკეთ გამოეჩინათ. ბოლო 15 წლის მანძილზე არავის ახსოვს ხელისუფლებისთვის მიცემული ამდენი ხმა“.

შეკითხვები იყო ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციაზე ამ არჩევნების მიმართ. ცესკო-ს ერთ-ერთი წევრის გადმოცემით,

„როდესაც ადამიანებს რეგიონებში ესმით, რომ დამკვირვებლების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ „ყველაფერი კარგად იყო“, ისინი ფიქრობენ: „ე.ი. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, სწორია, ეს არის ევროპული სტანდარტები! საერთაშორისო ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებენ პრინციპებზე, მაგრამ ვერ ხედავენ დეტალებს. საარჩევნო კოდექსი უფრო მკაცრი უნდა იყოს. ხელისუფლებას მოსწონს მოქნილობა. როდესაც სასამართლო სისტემა არ არის დამოუკიდებელი, მოქნილი კოდექსი შეიძლება განმარტებული იყოს როგორც გინდა. კანონი დარღვეულია, მაგრამ როგორ უნდა გვექონდეს კარგი კოდექსი, როცა ამისთვის უმრავლესობა გვეჭირდება“.

დასკვნები

საერთაშორისო საზოგადოებრიობამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა განია საქართველოს მთავრობის დასახმარებლად, რომ შეექმნა საარჩევნო ინფრასტრუქტურა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის. ამ ძალისხმევაში შედიოდა მცდელობები საარჩევნო კოდექსის გადახედვის და გაძლიერების, საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედუნარიანობის ამაღლების, ამომრჩეველთა სიის დახვეწის და ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამ ზომების შედეგად სისტემა უფრო ეფექტიანი და გამართული გახდა. მაგრამ მაინც, ჭეშმარიტად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები მიუღწეველი რჩება, ვინაიდან ხელისუფლება აგრძელებს განსაკუთრებული ნაბიჯების გადადგმას ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

ცესკო-ს იმიჯი საზოგადოებაში მნიშვნელოვნად ამაღლდა; ის თანამშრომლობდა დაინტერესებულ მხარეებთან საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციათა დიდი ნაწილის განხორციელების მიზნით, რაც მოიცავდა ყველა მოქალაქის ინფორმირებას არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე, სტრატეგიული გეგმის გამოქვეყნებას, ამომრჩეველთა სიის განახლებას, გასაგებად მოლაპარაკე პრესსპიკერის დანიშვნას, გაუმჯობესებულ კომუნიკაციას შესაბამის მონაწილეებთან და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგს. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოორდინაცია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებთან.

მაგრამ ცესკო-მ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ზედამხედველის მოვალეობა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფისათვის. სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა ორი პარალელური საარჩევნო სისტემა. ერთი არის საარჩევნო ადმინისტრაციის საჯარო სახე, რომელიც პასუხობს საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნებს, აქტიურად ცდილობს, გამოასწოროს იმიჯი და გამოამჟღავნოს არჩევნების ადმინისტრაციული ასპექტების მოგვარების უნარი. მეორე სისტემამ, რომელიც მუშაობს კულისებს მიღმა, ბოლო მომენტში მიიღო ზომები, რომ ჩაეგდო საარჩევნო კოდექსი, გაავსო საარჩევნო ადმინისტრაცია პარტიისადმი ლოიალური წევრებით,

უარი თქვა საჩივრების და სარჩელების სამართლიანად განხილვაზე, არამიზნობრივად გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსები, დაარღვია საარჩევნო უბნების საზღვრები, დააშინა ამომრჩევლები და ოპოზიციის წევრები. ეს არის სისტემა, რომელიც მუშაობს როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის შიგნით, ისე მის გარეთ.

ამასთან, არსებობენ ადგილობრივი პოლიტიკოსები, რომლებიც ზოგჯერ მოქმედებდნენ ცენტრალურ სისტემასთან შეთანხმებით, ზოგჯერ კი დამოუკიდებლად. საპარლამენტო არჩევნების დროს მუქარისა და ძალადობის ფაქტების დიდი ნაწილი ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერების და მათი მოკავშირეების მიერ ხორციელდებოდა: ისინი იყენებდნენ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სტრუქტურებს თავიანთი მიზნების მისაღწევად და ოპოზიციის სიტყვის თავისუფლების ჩასახშობად. ცენტრალურ საარჩევნო ორგანოს მეტი უნდა გაეკეთებინა, რომ გაეკონტროლებინა ეს სიტუაცია მასზე დაკისრებული ზედამხედველობითი ფუნქციების განხორციელებით, რათა ყველა მოქალაქისათვის მიეცა თავისუფალი და სამართლიანი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, არჩევნების ორგანიზატორებისთვის ჩატარებული ვერანაირი ტრენინგი ვერ დაუპირისპირდება იმ ზენოლას, მექრთამეობას და ოჯახურ კლანებს, რაც გავლენას ახდენს ბევრი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობაზე.

ცხადია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა მცდელობის მიუხედავად მთავრობამ სერიოზულად არ აღიქვა, რომ ის ვალდებული იყო, დაეცვა დემოკრატიული პროცესი და მხოლოდ გარეგანი შელამაზება არ იყო საკმარისი. უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების განმავლობაში მმართველმა პარტიამ გამოიყენა თავისი სისტემა და იმედს ამყარებდა საერთაშორისო თანამეგობრობის ცუდ შეხედულებაზე ოპოზიციის მიმართ, რათა მოეხდინა ბევრი ქართველი ამომრჩევლის ნების ჩახშობა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა და გაეზარდა კიდევ თავისი გადამეტებული კონტროლი პოლიტიკურ სისტემაზე.

საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით საქართველოში რეალურად ერთპარტიული სისტემა რჩება, რასაც თან ახლავს ამ მდგომარეობით განპირობებული სისუსტეები და დემოკრატიის სამომავლო განვითარების საფრთხეები. საარჩევნო

ადმინისტრაცია არის მინიატურული გამოსახულება იმისა, რაც ხდება ქვეყანაში. ცესკო-ს და საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შეუსაბამობა მოთხოვნებისადმი ასახავს იმას, რომ არასაკმარისად არის გაცნობიერებული, თუ რა სარგებლობა მოაქვს დემოკრატიისთვის განსხვავებული აზრებისა და შეხედულებების საფუძველზე აღმოცენებულ მსჯელობას. ამის მაგალითია საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ცუდი დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ, საჩივრებისა და მიმართვებისთვის სათანადო ყურადღების ნაკლებობა, ფოკუსირება იმიჯზე და არა შინაარსზე და არაკეთილსინდისიერი და უსამართლო ტაქტიკის მიმართ ტოლერანტულობა და ნახალისებაც კი.

საერთაშორისო თანამეგობრობამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში ჯანსაღი არჩევნების უზრუნველყოფას იმით, რომ ნათლად ჩამოაყალიბოს თავისი იმედები, მონიტორინგი გაუწიოს პროცესის მსვლელობას და უფრო მიუკერძოებლად შეაფასოს არჩევნების შესრულების ყველა ასპექტი. მან საშუალება უნდა მისცეს საარჩევნო ადმინისტრაციას, რომ თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა საარჩევნო პროცესზე საკუთარი ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებით, ნაცვლად იმისა, რომ დამოკიდებული იყოს საერთაშორისო თანამეგობრობაზე. აგრეთვე იმის ნაცვლად, რომ დახარჯოს ბიუჯეტი ახალი მანქანების შეძენასა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის განკუთვნილ „პი-არ“ კამპანიაზე, ცესკო-მ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას არჩევნების შესახებ ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირების საქმეში.

ამავე დროს, საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გადაიტანოს ყურადღება იმაზე, რომ განსაზღვროს, თუ როგორ შეუძლია მას უფრო ქმედითი დახმარების განევა ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური ოპოზიციის ჩამოყალიბებაში. მან ასევე უნდა შეახსენოს ხელისუფლებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისთვის აზრთა სხვადასხვაობას და რა საფრთხეებს შეიცავენ ერთპარტიული სისტემები. ისტორიამ გვიჩვენა, რომ საქართველოში მათი ჩანაცვლება საბოლოოდ რევოლუციით ხდება.

რეკომენდაციები ცესკო-სთვის

არჩევნებს შორის პერიოდში

აქტიური მონაწილეობა მიიღოს ახალი საარჩევნო კოდექსის შემუშავების პროცესში, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ისეთ საკითხებს, როგორცაა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, გასაჩივრების პროცესი, გადასატანი ყუთების გამოყენება, კამერების გამოყენება და სპეციალური საარჩევნო უბნების შექმნა.

ახალი საარჩევნო კოდექსის შემუშავების პროცესში ჩართოს ცესკო-ში ოპოზიციის მიერ დანიშნული წევრები.

ხელი შეუწყოს ოპოზიციის მიერ დანიშნული წევრების მეტ მონაწილეობას ცესკო-ს ყველანაირ საქმიანობაში.

შეაფასოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა წარსულში და შექმნას მონაცემთა ბაზა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რათა განისაზღვროს სამიზნე პრობლემური საოლქო და საუბნო კომისიები სერიოზული დაკვირვებისა და ტრენინგისათვის, ასევე კომისიები, რომელთა შედეგებიც გაუქმდა ბოლო არჩევნების დროს.

გამოაქვეყნოს იმ მოხელეთა სია, ვინც არ იცავდა საარჩევნო პროცედურებს ან პასუხისმგებელია დარღვევებზე, და უზრუნველყოს, რომ აღარ მოხდეს მათი ხელახალი დანიშვნა საარჩევნო ადმინისტრაციის რიგებში.

გამოიძიოს საჩივრები, გადაწყვიტოს ცესკო-სთვის წარდგენილი საკითხები, პატივისცემით მოეპყრას მათ, ვინც წარადგენს საჩივარს, ასევე უზრუნველყოს მათთვის სათანადო ფორუმი (მიკროფონი ან ადგილი კომისიის წევრებთან ახლოს, რათა მათ არ მოუხდეთ თავიანთი პრეტენზიების და არგუმენტების ყვირილით გამობატვა ოთახის მთელ სიგრძეზე და შეძლონ კომისიის მსჯელობის მოსმენა).

შეამციროს კადრების რაოდენობა, ცესკო-ს სტრუქტურაში დეპარტამენტების მაგივრად კვლავ სამსახურები შექმნას, დაიქირავოს კვალიფიციური პერსონალი გამჭვირვალე და ობიექტური შერჩევით, დანერგოს სამუშაოს აღწერილობათა და შეფასე-

ბის სისტემა და ცესკო-ს წევრებს აქტიური პასუხისმგებლობა დააკისროს ცესკო-ს ფუნქციების შესრულებისთვის.

დროულად მიაწოდოს კომისიის ყველა წევრს სხდომების დღის წესრიგი და სხვა დოკუმენტაცია, საჯარო შეხვედრების დროს კომისიის წევრებისთვის უზრუნველყოს მიკროფონები და ჩაინეროს ცესკო-ს ყველა საჯარო სხდომა.

არჩევნების პერიოდში

ხაზგასმით განაცხადოს, რომ ზენოლა და გაყალბება მიუღებელია; რომ მიზანს წარმოადგენს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და არა უბრალოდ ცესკო-ს გაუმჯობესებული იმიჯი. დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და გამოიძიოს დაშინების ან ზენოლის ფაქტების შესახებ ინფორმაცია.

დაამონტაჟოს კამერები ყველა საარჩევნო უბანზე.

დაიცვას მკაცრი მითითებები გადასატანი ყუთებისა და სპეციალური საარჩევნო უბნების გამოყენებაზე.

დააკისროს პასუხისმგებლობა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ყველა მოხელეს, რომელიც მკაცრად არ იცავს საარჩევნო კანონმდებლობას, ასევე მისცეს საშუალება დამკვირვებლებს, შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის შეიტანონ საჩივრები და სარჩელები შეურაცხყოფისა და ზენოლის გარეშე.

ჩამოაყალიბოს მობილური ჯგუფები, რომლებიც მოახდენენ რეაგირებას ზენოლისა და სხვა დარღვევების ფაქტებზე წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების შემდეგ.

რეკომენდაციები საერთაშორისო თანამეგობრობისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის

არჩევნებს შორის პერიოდში

ხელი შეუწყონ ახალი საარჩევნო კოდექსის შემუშავებას, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ისეთ საკითხებს, როგორიც არის საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლო-

ბა, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, გასაჩივრების პროცესი, გადასატანი ყუთების გამოყენება, კამერების გამოყენება და სპეციალური საარჩევნო უბნების შექმნა.

მოუნოდონ ცესკო-ში ოპოზიციის მიერ დანიშნულ წევრებს აქტიური მონაწილეობისაკენ ახალი საარჩევნო კოდექსის შემუშავების პროცესში.

რეგულარულად შეხვდნენ ცესკო-ს ოპოზიციურ წევრებს, მხარი დაუჭირონ მათ მუდმივ მონაწილეობას ცესკო-ში და დაეხმარონ, რომ ცესკო-ში მათი წევრობა უფრო ეფექტიანი იყოს. შეაფასონ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობა წარსულში და შექმნან მონაცემთა ბაზა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით - გამოავლინონ პრობლემური საოლქო და საუბნო კომისიები ინტენსიური დაკვირვებისათვის.

მოითხოვონ, რომ გამოქვეყნდეს ყველა იმ მოხელის სია, რომელიც აღმოჩნდა პასუხისმგებელი საარჩევნო პროცედურების შეუსრულებლობის ან დარღვევებისათვის და რომ არ მოხდეს მათი ხელახალი დანიშვნა საარჩევნო ადმინისტრაციის რიგებში. მოუნოდონ ცესკო-ს, გამოიძიოს საჩივრები და აპელაციები, გადაწყვიტოს მისთვის წარდგენილი საკითხები და პატივისცემით მოეპყრას მათ, ვინც წარადგენს საჩივრებს, მათ შორის უზრუნველყოს მათთვის სათანადო ფორუმი (მიკროფონი ან ადგილი კომისიის წევრებთან ახლოს, რომ მათ არ მოუხდეთ თავიანთი პრეტენზიების და არგუმენტების ყვირილით გამოსატყა ოთახის მთელ სივრცეზე და რომ შეძლონ კომისიის მსჯელობის მოსმენა).

დაეხმარონ ცესკო-ს, რომ შეამციროს კადრების რაოდენობა, დეპარტამენტების მაგივრად კვლავ სამსახურები შექმნას, დაიქირავოს კვალიფიციური პერსონალი გამჭვირვალე და ობიექტური შერჩევით, დანერგოს სამუშაოს აღწერილობათა და შეფასების სისტემა და დააკისროს ცესკო-ს წევრებს აქტიური პასუხისმგებლობა ცესკო-ს ფუნქციების შესრულებისათვის.

დაუინებით მოითხოვონ ცესკო-ს ხელმძღვანელობისგან, რომ დროულად მიაწოდოს კომისიის ყველა წევრს სხდომების დღის წესრიგი და სხვა დოკუმენტაცია, საჯარო შეხვედრების დროს

კომისიის წევრებისთვის უზრუნველყოს მიკროფონები და ჩაინეროს ცესკო-ს ყველა საჯარო სხდომა.

თავი აარიდონ ცესკო-სთვის ფულადი სახსრების ეკვივალენტური დახმარების განეცას (როგორც არის აღჭურვილობა ან „პი-არ“ და სასწავლო მასალების დაბეჭდვა).

არჩევნების პერიოდში

გაუგზავნონ მკაფიო გზავნილი მთავრობას, რომ ზენოლა და გაყალბება მიუღებელია და რომ მიზანი უნდა იყოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და არა მხოლოდ ცესკო-ს გაუმჯობესებული იმიჯი.

მოუწოდონ საარჩევნო ადმინისტრაციას, გამოიძიოს და მოახდინოს რეაგირება დაშინების ან ზენოლის ფაქტებზე.

მოუწოდონ, რომ დამონტაჟდეს კამერები ყველა საარჩევნო უბანზე.

მონიტორინგი გაუწიონ გადასატანი ყუთებისა და სპეციალური საარჩევნო უბნების გამოყენებას.

ჩაუტარონ ტრენინგი დამკვირვებლებს საარჩევნო პროცედურების ყველა ასპექტში, ასწავლონ მუქარის და ზენოლის შემთხვევებში საპასუხო მოქმედების ტაქტიკა და დარღვევების შესახებ შეტყობინების წესი.

გაგზავნონ ადგილობრივი დამკვირვებლები ორ ან სამკაცრიან ჯგუფებად რეგიონებში და ყველაზე პრობლემურ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში.

ჩამოაყალიბონ მობილური ჯგუფები ზენოლის და სხვა დარღვევების ფაქტებზე რეაგირების მიზნით წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების შემდეგ.

საარჩევნო ადმინისტრაციასა და არჩევნებში დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა

*ავტორი: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
ლევან თარხნიშვილი*

ზოგადი მიმოხილვა

არჩევნები კომპლექსური მოვლენაა, რომელიც ბევრ სხვადასხვა ასპექტსა და მონაწილე მხარეს მოიცავს. პოლიტიკური პარტიები, მედია, საარჩევნო ადმინისტრაცია, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები, საერთაშორისო და მრავალეროვნული ორგანიზაციები და დიპლომატიური კორპუსი ახორციელებენ სხვადასხვა საქმიანობას შეზღუდული დროის პერიოდში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღონისძიებათა კოორდინაცია. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ამ კოორდინაციის განხორციელება და ყველა მონაწილე მხარესთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა შემდეგ სფეროებში:

გამჭვირვალობის გაზრდა

ინფორმაციის გაცვლა

მოსახლეობისა და ამომრჩეველთა ინფორმირება

გასაჩივრების სისტემის გაუმჯობესება

შედეგების დათვლის დაჩქარება

საარჩევნო კამპანიის გარემოს გაუმჯობესება

საარჩევნო მოხელეთათვის ტრენინგის ჩატარება

ამომრჩეველთა სიის დახვეწა

ამ საქმიანობის მთავარი მონაწილეები არიან:

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები
საერთაშორისო ორგანიზაციები
მედია
სამთავრობო ორგანოები
პოლიტიკური პარტიები

გამჭვირვალობის გაზრდა

საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობა ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია მთელი საარჩევნო პროცესის წარმატებისთვის და სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფისთვის. ამიტომ ცესკო-მ როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნების დროს გადადგა სხვადასხვა ნაბიჯი საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავდა: ა) მედიაცენტრის გახსნას; ბ) სხდომების ჩატარებას; გ) ბრიფინგების გამართვას.

მედიაცენტრი – მედიის წარმომადგენელთა საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ცესკო-ს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა გახსნა მედიაცენტრი, რომელიც აძლევდა მედიის წარმომადგენლებს საშუალებას, ეფექტიანად და დროულად გადაეცათ არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ცენტრი აღჭურვილი იყო ინტერნეტ-კავშირით უზრუნველყოფილი 20 კომპიუტერით, ფაქსებით, ტელეფონებით, სკანერებით, ასლგადამღები აპარატებითა და ტელევიზორებით. ცესკო-ს მედიაცენტრი მუშაობდა დღეში 24 საათის განმავლობაში არჩევნების დღიდან არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე.

სხდომები – არჩევნების პერიოდში მედია ფართოდ ამუშავდა ცესკო-ს ყველა სხდომას. განცხადებებისა და შეხვედრების შემდეგ ცესკო-ს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აქვეყნებდა პრესრელიზებს და ბიულეტენებს, რათა საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია განხილული საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურად თანამშრომლობდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან 2008 წლის საპარლამენტო

არჩევნების დროს საზღვარგარეთ მცხოვრები ამომრჩევლებისთვის სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით. საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის მზადდებოდა სატელევიზიო სარეკლამო რგოლები საარჩევნო მითითებებით. დამატებით, გამოიცემოდა სპეციალური ჟურნალი „დიდი კავშირები“, რომელიც ამცნობდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს მოსალოდნელი არჩევნების შესახებ. საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დახმარებით „დიდი კავშირები“ ვრცელდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ისრაელსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ცესკო აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. და აწვდიდა მათ ცესკო-ს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ინფორმაციას არჩევნების შესახებ. წინასაარჩევნო პერიოდში ცესკო-ს თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი ხვდებოდა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მოვლენათა მიმდინარეობის განხილვის მიზნით (2007 წლის 10 და 28 დეკემბერი და 2008 წლის 10 იანვარი საპრეზიდენტო არჩევნების დროს; 2008 წლის 14 აპრილი და 18 მაისი საპარლამენტო არჩევნების დროს). რამდენიმე შეხვედრა გაიმართა ასევე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან, მათ შორის ერთი სახალხო დამცველის ოფისში. კომისიამ ასევე მიიწვია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ცესკო-ში, რათა გაეცნო მათთვის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში არჩევნების ჩატარების სტრატეგია. ამასთანავე, ცესკო აწვდიდა მათ ინფორმაციას საარჩევნო კანონში შესული ცვლილებების და საარჩევნო პროცედურების შესახებ.

ბრიფინგები – წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების შემდგომ პერიოდში ცესკო-ს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი მართავდა ბრიფინგებს, პრესკონფერენციებსა და პრეზენტაციებს. ცესკო-ს პრესსპიკერები გამუდმებით აწვდიდნენ საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას საზოგადოებას და მედიის წარმომადგენლებს.

ტრენინგი მედიის წარმომადგენლებისთვის - ცესკო-ს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენ-

ტმა გამართა რამდენიმე შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან. თავდაპირველად არაფორმალურ გარემოში დეპარტამენტი აწვდიდა ჟურნალისტებს ინფორმაციას ცესკო-ში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებზე და წარმოუდგენდა მის წინასაარჩევნო სტრატეგიას. საარჩევნო პროცესების შესახებ მედიის წარმომადგენლების ინფორმირების მიზნით ცესკო ატარებდა ტრენინგს. ჟურნალისტები გაეცნენ წინასაარჩევნო კამპანიის და არჩევნების დღის გაშუქების წესებს, ასევე საზოგადოებრივ გამოკითხვებთან და მათი შედეგების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ფინანსური მონიტორინგის დამოუკიდებელი ჯგუფი – საარჩევნო კოდექსის მოთხოვნის — უზრუნველყოფილი იყოს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობა — შესაბამისად ცესკო-მ ჩამოაყალიბა ფინანსური მონიტორინგის დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ორგანიზაცია „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“), სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები) და დამოუკიდებელი აუდიტორი. ჯგუფის მთავარი მიზანი იყო, მოეხდინა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტების მიერ გამოყენებული ფონდების ანგარიშგების მონიტორინგი. თუმცა საპრეზიდენტო არჩევნების დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან კონსულტაციების შედეგად ცესკო-მ გადაწყვიტა, გაეფართოებინა ჯგუფის მანდატი და დაევალა მას რეკომენდაციების შემუშავება საარჩევნო კოდექსის ცვლილებებისთვის, რომლებიც ხელს შეუწყობდა მონიტორინგის სისტემის შემდგომ დახვეწას, დაევალა, აგრეთვე, მონიტორინგის ჯგუფის დებულების შექმნა. შედეგად 2008 წლის 21 მარტს პარლამენტმა მიიღო საარჩევნო კოდექსის ცვლილებები, რომელთა თანახმად: ა) განხილული იქნა ფინანსური მონიტორინგის დამოუკიდებელი ჯგუფის ჩამოყალიბების საკითხი არჩევნების დანიშვნისთანავე (მუხლი 48, პუნქტი 10¹); ბ) საარჩევნო სუბიექტებს დაეკისრათ ვალდებულება, ჩამოეყალიბებინათ საარჩევნო ფონდი რეგისტრაციიდან ხუთი დღის განმავლობაში, ხოლო ფონდის შექმნი-

დან ერთი თვის ვადაში წარმოედგინათ შუალედური ფინანსური ანგარიში (მუხლი 48, პუნქტი 3' ამოღებულია) და გ) დაწესდა მოთხოვნა, რომ ფინანსური მონიტორინგის დამოუკიდებელ ჯგუფს გადაემონებინა მთლიანი ფინანსური ინფორმაცია (მუხლი 48, პუნქტი 11).

ინფორმაციის გაცვლა

დასაწყისიდანვე ცესკო-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, აქტიურად ჩართულიყო ინფორმაციის გაცვლაში არჩევნების ყველა ძირითად მონაწილე მხარესთან. ამ მიზნით ცესკო-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომ: ა) გამოეყენებინა არსებული კავშირები და ბ) დაენესებინა ინდივიდუალური შეხვედრები და ჯგუფური დისკუსიები. კერძოდ, დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობის ხელშესაწყობად ცესკო-ს წარმომადგენლები ესწრებოდნენ ელჩების დონეზე ორგანიზებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზნით – ტექნიკური სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს, ხოლო სამთავრობო სტრუქტურებთან კოორდინაციისთვის – უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს. ამ ჯგუფების შეხვედრებზე ხდებოდა ბევრი საინტერესო იდეისა და ინფორმაციის გაცვლა და იგეგმებოდა ღონისძიებები საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისათვის. ცესკო ამზადებდა და შეხვედრებზე ავრცელებდა მასალებს, ასევე იღებდა პარტნიორთა ინფორმაციას და სიახლეებს. დამატებით, ცესკო-ს ინიციატივით გაიმართა რამდენიმე შეხვედრა პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით განსაკუთრებული ინიციატივებისა და საქმიანობის შესახებ, კერძოდ:

2008 წლის 3 მაისს ცესკო-ს იურიდიულმა დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო შეხვედრებში არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საარჩევნო სუბიექტების და მასმედიის წარმომადგენლებთან. შეხვედრების თემები იყო: საარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტების, პრესისა და მასმედიის სხვა წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები; რეგისტრაციისა

და აკრედიტაციის ვადები და წესები; მონიტორინგის ვიდეო-ჩანაწერების დათვალიერების, ადმინისტრაციული საარჩევნების შეტანის წესები, ასევე წესები უფლებამოსილი საარჩევნო სუბიექტებისთვის, უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამების განთავსების და წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების (აგიტაციის) წესები. შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც დეტალურად აცნობდნენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად.

2008 წლის 7 მაისს ევროპულმა კომისიამ დემოკრატიისთვის (ვენეციის კომისია) ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთობლივად გამართა სამუშაო შეხვედრა საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და ოქმების შეჯამების წესებისა და ვადების შესახებ. შეხვედრას ცესკო-ს იურიდიული დეპარტამენტი ესწრებოდა.

2008 წლის 10-11 მაისს ცესკო-ს იურიდიულმა დეპარტამენტმა ჩაატარა სემინარი მედიის წარმომადგენლებისთვის ქვემო ქართლის რეგიონიდან იმავე საკითხებზე, რომლებიც განხილული იქნა 2008 წლის 3 მაისის შეხვედრაზე. ამასთან, სამუშაო შეხვედრა გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თემაზე: „არჩევნების ჩატარება და დაკვირვება: ადგილობრივი დამკვირვებლების უფლებები და ვალდებულებები“.

ამ შეხვედრების და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის შედეგები ასეთი იყო: ა) პროცედურებისა და კანონმდებლობის ზოგადი ცოდნა ყველა მონაწილე მხარის მიერ; ბ) ინფორმაციის გაცემა და მოქმედებების გაერთიანება, რაც ზოგადად როგორც ფინანსურ, ისე ადამიანურ რესურსებს მოსახლეობისა და ამომრჩევლების ინფორმირების კამპანიების დროს; გ) წინასწარი გაფრთხილება პრობლემური საკითხების და შესაძლო სამართლებრივი დარღვევების შესახებ; და დ) ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა ამ დარღვევათა პრევენციის მიზნით.

ამ შეხვედრების კონკრეტული შედეგები იყო: ა) ერთობლივი სასწავლო პროგრამა გაერო-ს განვითარების პროგრამასთან და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან ერთად; ბ)

თანამშრომლობა გასაჩივრების პროცედურებზე ეუთო-სთან, ვენეციის კომისიასთან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსთან“ და „ახალი თაობა – ახალი ინიციატივასთან“; გ) სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა და ესტონეთის მთავრობის მიერ ხმების დათვლის და შედეგების გამოცხადების სისტემის ერთობლივად შემუშავება; დ) საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლების კამპანიის ფარგლებში ერთობლივი ღონისძიებები საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან, გაერო-ს განვითარების პროგრამასთან, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან, უმცირესობების საკითხთა ევროპულ ცენტრსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან, და ე) საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, ევროპის საბჭოს/ეუთო-ს და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების საქმიანობა ამომრჩეველთა სიების დახვეწისათვის.

მოსახლეობისა და ამომრჩეველთა ინფორმირება

მხოლოდ კარგად ინფორმირებულ ამომრჩეველს შეუძლია მიიღოს გონივრული და გააზრებული გადაწყვეტილება არჩევნებს დროს. ამიტომ პროექტები, რომლებიც მიმართულია მოსახლეობისა და ამომრჩეველთა ცოდნის ამაღლებისკენ, გადამწყვეტ როლს თამაშობს დემოკრატიის განვითარებაში და დიდი წვლილი შეაქვს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაში. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. ეს არის ბუნებრივი თანამშრომლობის სფერო ყველა მონაწილისათვის.

აქედან გამომდინარე, ცესკო-მ მიზნად დაისახა მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან შემდეგ სფეროებში: ა) რესურსების და საქმიანობის განაწილება საგანმანათლებლო მასალების გავრცელებისთვის და ბ)

ერთობლივი საგანმანათლებლო მასალების შემუშავება და საინფორმაციო კამპანიების წარმართვა.

პირველი ტიპის თანამშრომლობის საუკეთესო ორი მაგალითი იყო სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი ტურები ავტობუსებით, გაერო-ს განვითარების პროგრამის და ევროკავშირის მხარდაჭერით, და საინფორმაციო კამპანიები ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლებსაც ევროპის საბჭოს დახმარებით მართავდა უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრი.

ავტობუსებით ტურების მიზანი იყო მოსახლეობის ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ აქტიურ მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში და ტრენინგის ჩატარება არჩევნების დღის პროცედურების შესახებ. ავტობუსებით შემოვლილი იქნა 12-დან 11 ქართული რეგიონი და ამ 11 რეგიონში მოეწყო 25 ღონისძიება. საერთო ჯამში, 12 წევრისგან შემდგარმა ოთხმა ჯგუფმა, რომელთაგან თითოეულმა 25 ვიზიტი მოაწყო, ჩაატარა ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია, გაავრცელა მასალები (სარეკლამო ბუკლეტები/ბროშურები) და გამართა დადგმები არჩევნების დღის პროცედურების იმიტაციით. მოსახლეობას დაურიგდა მასალები, სადაც განმარტებული იყო ამომრჩეველთა რეგისტრაციის და არჩევნების დღის პროცედურები, მოქალაქეებს ასევე განუმარტავდნენ არჩევნებში მათი მონაწილეობის მნიშვნელობას. ყველა მასალა დაბეჭდილი იყო უმცირესობათა ენებზე. ცესკო მხარს უჭერდა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივ საინფორმაციო კამპანიას ქვეყნის მასშტაბით: იგი უზრუნველყოფდა საჭირო აღჭურვილობას არჩევნების დღის იმიტაციისთვის. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის საარჩევნო პროცედურების შესახებ ინფორმირების მიზნით სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოამზადეს ოთხი ვიდეორგოლი, ორი ბროშურა, პლაკატები და სხვადასხვა აფიშა – ასევე უმცირესობათა ენებზე.

თავისი საინფორმაციო კამპანიის დროს უმცირესობების საკითხთა ევროპულმა ცენტრმა დაბეჭდა 69,000 ბუკლეტი ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ბუკლეტებში მოცემული იყო ინფორმაცია საპარლამენტო არჩევნების სისტემის, ამომრჩეველთა უფლებების და არჩევნების დღის პროცედურების შესახებ. ტექსტი შედგენილი იყო ცესკო-სთან ერთად. ცენტრის თანამშრომლები ავრცელებდნენ საინფორმაციო ბუკლეტებს და ბროშურებს; 2008 წლის მაისში მათ ჩაატარეს საზოგადოებასთან შეხვედრები მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების მიზნით კახეთის რეგიონის 64 სოფელში და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 31 სოფელში. სოციალური რეკლამა გადაიცემოდა ტელევიზიისა და რადიოსადგურების საშუალებით ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე რადიოსადგური „ჰერეთი“, რომელიც მოიცავს კახეთის რეგიონს, გადმოსცემდა სოციალურ რეკლამას და მასპინძლობდა სადისკუსიო კლუბს, რომელშიც მონაწილეობდნენ სპეციალურად შერჩეული იურისტები არჩევნებთან დაკავშირებული პროცედურების განხილვისათვის.

ცესკო მჭიდროდ თანამშრომლობდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან არჩევნების მთელ პერიოდში. ცესკო-მ თავის ვებგვერდზე განათავსა უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრის საარჩევნო ბუკლეტები, ხოლო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად ავრცელებდა ცენტრის მიერ შექმნილ საარჩევნო მასალებს მისი ტურების დროს კახეთის, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. ამავე დროს, ცენტრის თანამშრომლები და მოხალისეები ეხმარებოდნენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას არჩევნების დღის იმიტაციაში ავტობუსებით ტურების დროს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს ცესკო სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად ამზადებდა და ავრცელებდა შემდეგ ინფორმაციას არჩევნების შესახებ:

ტელევიზიით – სოციალური რეკლამა

1. განმარტება, თუ როგორ უნდა შემოწმდეს რეგისტრაცია

ამომრჩეველთა სიებში და როგორ უნდა დარეგისტრირდეს ამომრჩეველი სიაში.

2. ინფორმაციის მიწოდება კენჭისყრის ფარულობის და საარჩევნო კაბინაში ფოტოგადაღების აკრძალვის შესახებ.
3. ინფორმაციის მიწოდება არჩევნების დღის პროცედურების შესახებ ქართულ, აფხაზურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და რუსულ ენებზე.
4. განმარტება ორი განსხვავებული ტიპის საარჩევნო ბიულეტენის შესახებ (ერთი საპრეზიდენტო არჩევნების, ხოლო დანარჩენი ორი — პლებისციტისთვის).

ბეჭდური მედია – 3,000 პლაკატი და 75,000 ბროშურა, რომლებიც გაავრცელა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ.

1. განმარტება, თუ როგორ უნდა შემონმდეს რეგისტრაცია ამომრჩეველთა სიებში და როგორ უნდა დარეგისტრირდეს ამომრჩეველი სიაში.
2. საარჩევნო პროცედურების ახსნა-განმარტება ქართულ და ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე.

ამასთან, როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნებისთვის ცესკო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ტელევიზიით გადასცემდნენ შემდეგ სოციალურ რეკლამებს 25 რეგიონულ სატელევიზიო არხზე სუბტიტრებით ეთნიკური უმცირესობების ენებზე:

კენჭისყრის ფარულობა;
ამომრჩეველთა მობილიზაცია;
ხმის მიცემის პროცედურები;
ინფორმაცია პლებისციტის შესახებ;
მმართველობის ფორმები: საპარლამენტო, საპრეზიდენტო რესპუბლიკა და კონსტიტუციური მონარქია.

ასევე 2007 წლის დეკემბერში და 2008 წლის აპრილ-მაისში ცესკო-მ წამოიწყო ფართომასშტაბიანი მედიაკამპანია, რომლის მიზან-

ნი იყო საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება საარჩევნო წესებსა და პროცედურებზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიები განსაკუთრებით მიმართული იყო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონებისკენ. ცესკო ამზადებდა საინფორმაციო მასალებს, საარჩევნო ბიულეტენებსა და ამომრჩეველთა სიებს უმცირესობათა ენებზე და ბრაილის შრიფტით.

ამ კომბინირებული ღონისძიებების წყალობით შესაძლებელი გახდა საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე; ამომრჩევლები უკეთ ინფორმირებულები და უფრო მოტივირებულები გახდნენ, მიეღოთ მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში და გაიგეს, რომ მნიშვნელოვანია, გადაამოწმონ საკუთარი თავი ამომრჩეველთა სიებში.

დამატებით, ცესკო და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი ცოდნის მიღების შესაძლებლობას აძლევდნენ კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებს. 2007 წლის 12-22 დეკემბერს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა ჩაუტარა ტრენინგი ჟურნალისტებს შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო კომისიების ფორმირების პრინციპები და მათი ფუნქციები, მედიის უფლებები და მოვალეობები არჩევნების დღეს, კანდიდატთა უფლებები და მოვალეობები, საარჩევნო ფონდები და ფინანსური მართვა, დამკვირვებელთა უფლებები და მოვალეობები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საარჩევნო კოდექსში შესულ ბოლო ცვლილებებს.

ინფორმირებულ მოქალაქეთა არჩევანის და საპარლამენტო არჩევნებზე ადეკვატური და დაბალანსებული ანგარიშგების ხელშეწყობის მიზნით გაერო-ს განვითარების პროგრამა ეხმარებოდა ცესკო-ს წინასაარჩევნო საინფორმაციო და საკომუნიკაციო კამპანიის გაუმჯობესებაში. კამპანია ითვალისწინებდა არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის, მათ შორის სოფლებში და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. გაერო-ს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა ამომრჩეველთა ინფორმირების ფართომასშტაბიანი პროგრამა სატელევიზიო/რადიო სარეკლამო რგოლების და მრავალენოვანი პუბლიკაციების საშუალებით. პროგრამა მოიცავდა ასევე მედიის წარმომადგენელთა პროფესიულ მომზადებას არჩევნების შესახებ რეპორტაჟების გაკეთებაში როიტერის ფონდის მიერ.

საჩივრების წარდგენისა და გასაჩივრების სისტემის გაუმჯობესება

გასაჩივრების სისტემა იყო ერთ-ერთი სფერო, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველაზე მეტად აკრიტიკებდა თითქმის ყველა მონაწილე მხარე. კრიტიკის ძირითადი საგანი იყო: საჩივრების წარდგენისა და გასაჩივრების წინააღმდეგობრივი და გაუგებარი პროცედურები; საარჩევნო კომისიის მიერ საჩივრების განხილვის წერილობითი შიდა პროცედურების, ასევე ძირითად მონაწილეებს შორის პროცედურებთან დაკავშირებით საერთო აზრის არარსებობა.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ცესკო-მ ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად შეიმუშავა რეფორმის სტრატეგია, რომელიც გამიზნული იყო საარჩევნო სისტემის შემდგომი დახვეწისკენ, რაც ასევე გულისხმობდა საჩივრების წარდგენისა და გასაჩივრების პროცედურებისა და მეთოდების გაუმჯობესებას. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ეუთო-ს ექსპერტის დანიელ ფინის მოწვევა, რომელიც ანალიზს უკეთებდა საჩივრებისა და სარჩელების განხილვის პროცესს საპრეზიდენტო არჩევნების დროს. მან შეადგინა რიგი რეკომენდაციებისა საკანონმდებლო და პროცედურული ცვლილებებისთვის (მაგ.: მზა ფორმების შემუშავება საჩივრების წარდგენისა და მიღებისთვის) და მისცა რჩევები დაინტერესებულ ადგილობრივ პარტნიორებს საჩივრებისა და სარჩელების მიმართ მოპყრობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შესრულდა 2008 წლის მარტში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საშუალებით. საარჩევნო კოდექსი არსებითად დაიხვეწა და გამარტივდა. დაინერგა სამსაფეხურიანი გასაჩივრების პროცესი; აღმოიფხვრა იურისდიქციასთან მიმართებაში ადრე არსებული ბუნდოვანება – საჩივარი სასამართლოს კომპეტენციის სფეროში შედიოდა თუ საარჩევნო ადმინისტრაციის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, კანონი იმგვარად შეიცვალა, რომ არც ერთი საჩივარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო უარყოფილი ტექნიკური მიზეზით გასწორებისთვის მიზანშეწონილი ვადის მიცემის გარეშე. გარდა ამისა, საჩივრებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო დასაბუთებული და სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული.

გარდა ამისა, ცესკო-მ საერთაშორისო ექსპერტებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიმუშავა შიდა წერილობითი დებულება საჩივრების რეგისტრაციის, განხილვის და მათზე პასუხის გაცემის წესების შესახებ, რომელიც სავალდებულო ოყო საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა საფეხურისათვის. წარდგენილი საჩივრებისა და გასაჩივრების პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ცესკო-მ შექმნა სპეციალური არასავალდებულო ფორმები და ინსტრუქციები დამკვირვებლებისა და ამომრჩევლებისთვის.

გასაჩივრების პროცედურებში ცვლილებების შემდეგ ცესკო-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ამ ცვლილებებზე საერთო აზრის ჩამოყალიბება. 2008 წლის 7 მაისს დემოკრატიისთვის ევროპულ კომისიასთან (ვენეციის კომისია) და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან თანამშრომლობით და საქართველოში ევროპის საბჭოს სპეციალური წარმომადგენლის მხარდაჭერით ცესკო-მ გამართა საგანგებო სამუშაო შეხვედრა. მასში მონაწილეობას იღებდნენ ცესკო-ს იურიდიული დეპარტამენტი, სასამართლოს წარმომადგენლები და წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციები. ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების და ოქმების შეჯამების წესები და ვადები.

ყველა ამ მცდელობის შედეგად მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება როგორც წარდგენილი საჩივრებისა და საარჩევლების ხარისხში, ისე მათი მართვის პროცესში. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:

საერთო ჯამში, საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი იქნა 318 საჩივარი, რომელთაგან 90 დაკმაყოფილდა, ხოლო 38 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები გაუქმებული იქნა საარჩევნო კომისიების და სასამართლოს მიერ. საოლქო საარჩევნო კომისიებმა 28 საჩივარი დატოვეს განუხილველად; 200 საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული მათი უსაფუძვლობის გამო.

საერთო ჯამში, საუბნო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი იქნა 812 საჩივარი, რომელთაგან 327 დაკმაყოფილდა, ხოლო

477 არ დაკმაყოფილდა და 6 არ იქნა განხილული, ერთი გადაეგზავნა სასამართლოს და ერთი გამოთხოვილი იქნა.

საერთო ჯამში, ცესკო-ში წარდგენილი იქნა 50 საჩივარი, რომელთაგან შვიდი დაკმაყოფილდა, 26 არ დაკმაყოფილდა, ერთი გადაიგზავნა სასამართლოში, ერთი მიღებული იქნა ცნობად, ერთი გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის, ოთხი არ იქნა განხილული რიგი სამართლებრივი შეუსაბამობების გამო და ათი განხილული იქნა ცესკო-ს პირადი ინიციატივით.

საპარლამენტო არჩევნების დროს ცესკო-მ ისარგებლა თავისი ფართო უფლებებით და საკუთარი ინიციატივით შეამოწმა საჩივრები, რომლებიც არ აკმაყოფილებდა სამართლებრივ მოთხოვნებს: მან შეამოწმა ათი ერთმანეთის მსგავსი საჩივარი; ერთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიას მიეცა ბრძანება, წარმოედგინა ანგარიში; მეორე შემთხვევაში ცესკო-მ გაასწორა საოლქო საარჩევნო კომისიის შეცდომა, ხოლო მესამე შემთხვევაში საჩივარი დაუბრუნდა საოლქო საარჩევნო კომისიას შემდგომი განხილვისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჩივრების მიღების და განხილვის ახალმა პროცედურამ, რომელიც შემუშავდა ეუთო-ს ექსპერტთან დენ ფინთან თანამშრომლობით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ურთიერთობა საარჩევნო ადმინისტრაციასა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის.

შედეგების დათვლის დაჩქარება

არჩევნების ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული მომენტი შედეგების გამოქვეყნება და ანალიზია. ეს არის ის, რისი გაგებაც საბოლოოდ სურთ ჩვეულებრივ მოქალაქეებს და მონაწილე მხარეებს. იმ პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც 2008 წლის არჩევნები ჩატარდა, ყველა ძირითადი მონაწილე თანხმდებოდა, რომ შეფერხებები შედეგების გამოცხადებაში საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე შეიძლებოდა გამხდებ-

რიყო გაურკვევლობის და საარჩევნო პროცესისადმი ნდობის დაკარგვის მიზეზი. ამიტომ შედეგების დროულად გამოქვეყნება კრიტიკულ ასპექტად მიიჩნევა. მიზანი ის იყო, რომ საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო საინფორმაციო ვაკუუმით გამონვეული შედეგების თავიდან აცილება.

2007 წლის სექტემბერში ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა დაიწყო კონსულტაციები ცესკო-სთან და დაიქირავა საერთაშორისო ექსპერტი, რათა გამოეყენებინა არჩევნების შედეგების დროული გამოქვეყნების ხელისშემშლელი ფაქტორები. ინსტიტუტი აქტიურად უწყობდა ხელს სამართლებრივი ბაზის ცვლილებებს, რომელთა საფუძველზე არჩევნების შედეგების სწრაფი გამოქვეყნება საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე იქნებოდა სავალდებულო ყველა ტიპის არჩევნებისთვის. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა შეიძინა 1,000-ზე მეტი ფაქსის აპარატი საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ლიტვის ცენტრალური საარჩევნო კომისია მხარს უჭერდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმართვაში.

ამ ინიციატივების მიუხედავად ხარვეზები მაინც იყო. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ოქმების განთავსება ვებგვერდზე დაგვიანდა. დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს გარკვეული შეუსაბამობები დამკვირვებელთა ოქმებსა და ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ოქმებს შორის. საჭირო იყო შემდგომი მოქმედებები.

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჯგუფმა გააანალიზა პრობლემები და შეიმუშავა სტრატეგია გაუმჯობესებისათვის. საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით ცესკო-მ შექმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა არჩევნების შედეგების დამუშავებისთვის. დამატებით, შეიმუშავდა ახალი პროცედურები – ყველა გამიზნული იყო საპარლამენტო არჩევნების დროს წინასწარი შედეგების დათვლის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდისათვის.

ძირითადი იდეა შემდეგში მდგომარეობდა: საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმები უნდა გადაგზავნილიყო ფაქსით ცესკო-ში ხმების დათვლის შემდეგ. ცესკო-ში ისინი მიღებისთანავე უნდა დასკანიერებულიყო და ატვირთულიყო ცესკო-ს ვებგვერდზე. პარალელურად, 24 საათიან რეჟიმში უნდა განხორციელებულიყო არჩევნე-

ბის შედეგების შეყვანა კომპიუტერულ პროგრამაში. ინფორმაცია შეუნყვეტლად უნდა ატვირთულიყო ვებგვერდზე. შესაბამისად, ყველას, ვისაც სურვილი ჰქონდა, შეეძლო ედევნებინა თვალი ხმების დათვლის პროცესისთვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან.

ამ იდეის განხორციელება შემდეგნაირად მიმდინარეობდა: საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან და საქართველოს ტელეკომთან ერთად ცესკო-მ დააყენა ფაქსის აპარატები 1,612 საუბნო საარჩევნო კომისიაში, რითაც მათ საშუალება მიეცათ, ფაქსით გადაეგზავნათ შემაჯამებელი ოქმები ცესკო-ს კომპიუტერულ ცენტრში მაშინვე, როგორც კი მოხდებოდა მათი ხელმოწერა. ინფორმაცია თითოეული საარჩევნო უბნიდან ფაქსის გაგზავნის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ წინასწარ იქნა მომზადებული ამ პროექტისთვის. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა უზრუნველყო GSM სისტემის 140 ფაქსის აპარატის მონოდება, რომლებიც განანილდა იმ საარჩევნო ოლქებში, რომლებსაც არ ფარავდა „საქართველოს ტელეკომის“ ქსელი. ამასთანავე, „ტელეკომმა“ იჯარით აიღო CDMA სისტემის 386 ფაქსის აპარატი, რომლებიც დამონტაჟდა იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც არ იყო სტაციონარული სატელეფონო აპარატები. შეიქმნა სპეციალური 24 სათიანი „ცხელი ხაზი“, რომლის საშუალებითაც „ტელეკომის“ სპეციალისტები აგვარებდნენ საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ინფორმაციის ფაქსით გადმოგზავნასთან დაკავშირებულ ტექნიკურ პრობლემებს. ფაქსის აპარატები დამონტაჟდა თბილისის ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში (720 საუბნო საარჩევნო კომისია) და თბილისის გარეთ (358 CDMA, 120 GSM). საერთო ჯამში, ფაქსის აპარატები დამონტაჟდა 1,397 საარჩევნო უბანზე.

საპარლამენტო არჩევნების ღამემ დაამტკიცა გატარებული რეფორმების ეფექტიანობა. ერთ-ერთი მთავარი სიახლე იყო საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების პირდაპირი გადაცემა ცესკო-ში: ცენტრალური კომპიუტერის მიერ ფაქსით მათი მიღებისთანავე თითოეული ოქმი გამოისახებოდა მონიტორზე საოპერაციო ოთახში და მედიაცენტრში, რაც მთელ პროცესს გამჭვირვალეს ხდიდა.

ყველა ეს ღონისძიება ხელს უწყობდა წინასწარი შედეგების გაცილებით სწრაფ დამუშავებას და ისინი საარჩევნო უბნების დახურვიდან 30 საათის განმავლობაში ქვეყნდებოდა. სამოქალა-

ქორეესტრის მხრიდან კვალიფიციურმა დახმარებამ და საერთაშორისო ექსპერტების მნიშვნელოვანმა მხარდაჭერამ ასევე დიდი წვლილი შეიტანეს შედეგების დათვლის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდაში.

ცესკო განაგრძობს საქმიანობას ამ მიმართულებით. მთავარი მიზანია საარჩევნო ადმინისტრაციის შიდა ქსელის შექმნა, რომელიც იძლევა ინფორმაციის ოპერატიულად გადაცემის საშუალებას საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებს და ცესკო-ს შორის. ეს არის მაკროპროექტი, რომელიც ვერ შესრულდება ყველა ძირითადი მონაწილე მხარის — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ეროვნული სამთავრობო დაწესებულებებისა და საერთაშორისო დონორების — მიერ კოორდინაციისა და დახმარების გარეშე.

საარჩევნო კამპანიის გარემოს გაუმჯობესება

საპრეზიდენტო არჩევნების დროს მოხდა საარჩევნო კოდექსის გადახედვა საარჩევნო კამპანიის ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების შეზღუდვის მიზნით. ამისდა მიუხედავად, ახალი წესების გაცნობიერება და მათი განხორციელების მონიტორინგი პრობლემად რჩებოდა. ცესკო-ს იურიდიული დეპარტამენტის აქტიური მონაწილეობით 2008 წლის 17 აპრილს ხელი მოეწერა ერთობლივ მემორანდუმს ცესკო-ს, ორგანიზაცია „ახალი თაობა - ახალი ინიციატივას“, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ შორის. მემორანდუმი ადგენდა წინასაარჩევნო სააგიტაციო კამპანიაში მონაწილეობის, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების და სახელმწიფო მოხელის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის წესებს. ხელმოწერმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ერთობლივი სტრატეგია და სამოქმედო წესები მემორანდუმში ჩამოყალიბებულ საკითხებთან მიმართებაში. შესაბამისად, მომზადდა 20,000 საინფორმაციო ბროშურა, რომლებიც დაურიგდათ სამინისტროებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სახელმწიფო ორგანიზაციებს და საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა რგოლებს. სხვადასხვა სო-

ციალური რეკლამა გამოქვეყნდა ბექდურ და ძირითად სამაუნყე-
ბლო მედიაში. მემორანდუმი წარმოადგენდა პირველ მცდელობას
და შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად. სავარაუდოდ, ის გახ-
დება სამაგალითო სხვა მსგავსი ერთობლივი საქმიანობისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სხვა სამთავრობო სტრუქტურ-
ებთან ერთად გასცა მკაცრი მითითებები პოლიციისა და სხვა
პერსონალისათვის, როგორც გაფრთხილება პოლიტიკურ კამპა-
ნიებში რაიმე სახის არაკანონიერი ჩარევის წინააღმდეგ.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ინიციატივის
საფუძველზე ცესკო-მ შექმნა ქცევის კოდექსი თავისი წევრების-
თვის. კოდექსში განსაზღვრული იყო კომისიის წევრთა უფლებები
და მოვალეობები. ისინი იღებდნენ ვალდებულებას, ყოფილიყვნენ
ნეიტრალურები და ობიექტურები თავიანთი მოვალეობების შეს-
რულებისას და სათანადოდ დაეცვათ ამომრჩეველთა უფლებე-
ბი. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა ხელი
მოაწერეს მსგავს დოკუმენტებს.

საარჩევნო მოხელეებისთვის ტრენინგის ჩატარება

არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელ
მოხელეთა ტრენინგი აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნე-
ლოვან ელემენტად არჩევნების მოსამზადებელ ეტაპზე. მოხელეე-
ბი უნდა გაეცნონ სამართლებრივი ბაზის ცვლილებებს დროის
მოკლე პერიოდში. წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს
ეს მოხელეები გადამწყვეტ როლს თამაშობენ. ამის გათვალისწინე-
ბით ცესკო-მ გადანყვიტა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო
ისეთი სისტემის ჩამოყალიბებისთვის, რომელიც უზრუნველყოფ-
და 50,000-ზე მეტი მოხელის მომზადებას დროის ძალიან შეზღუ-
დულ – არა უმეტეს ექვსი კვირისა – პერიოდში.

ამჟამად იყო, რომ კონცეფციის შემუშავებისა და მისი სათანა-
დოდ შესრულების უზრუნველყოფისათვის ცესკო-ს სჭირდებოდა
გარკვეული დახმარება გარედან. საპრეზიდენტო არჩევნებამდე
ცესკო-მ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან და
გაერო-ს განვითარების პროგრამასთან ერთობლივი ჯგუფი შექმ-
ნა. ჯგუფმა მოამზადა ტრენინგის სტრატეგია, განრიგი, სახელ-

მძღვანელოები და ჩაატარა სასწავლო სესიები საოლქო და საუბ-
ნო საარჩევნო კომისიათა წევრებისთვის. მთლიანობაში პროგრამა
წარმატებულად აღმოჩნდა. თუმცა მან ასევე აჩვენა, რომ:

საჭიროა ცესკო-ს უფრო აქტიურად ჩართვა, განსაკუთრებით
კოორდინაციის დონეზე;

საჭიროა არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო
ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების საქმიანობის
უკეთესი კოორდინირება დუბლირებისა და ურთიერთსანი-
ნააღმდეგო გზავნილების თავიდან აცილების მიზნით;

საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა საფეხურზე აშკარად
საჭიროა დამატებითი ტრენინგი; და

საჭიროა სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების
შეცვლა, რათა ისინი უფრო გასაგები გახდეს.

აქედან გამომდინარე, რეორგანიზაციის დროს ცესკო-მ შექმნა
სპეციალური სასწავლო ცენტრი (ტრენინგის სამსახური), რომელიც
მიზნად ისახავდა მჭიდრო თანამშრომლობას გაერო-ს განვითარების
პროგრამასა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან,
ისევე, როგორც სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ცესკო დათანხმ-
და, რომ გაერო-ს განვითარების პროგრამას და საარჩევნო სისტე-
მების საერთაშორისო ფონდს გაეგრძელებინათ დახმარება 2008
წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. ამ შეთანხმების ფარგლებში
ცესკო, გაერო-ს განვითარების პროგრამა და საარჩევნო სისტემე-
ბის საერთაშორისო ფონდი იმედოვნებდნენ, რომ საბოლოო ჯამში
ამაღლდებოდა საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედუნარიანობა, რაც
ხელს შეუწყობდა მისი მდგრადობის გაზრდას და მისცემდა მომავალ-
ში დამოუკიდებლად და ეფექტიანად მუშაობის საშუალებას.

2008 წლის 16 აპრილისთვის ცესკო-ს ტრენინგისა და განვითარების
ოფისმა გაერო-ს განვითარების პროგრამასა და საარჩევნო
სისტემების საერთაშორისო ფონდთან ერთობლივად შეიმუშავა ახა-
ლი სასწავლო სახელმძღვანელოები და მითითებები საარჩევნო უბ-
ნების კომისიების წევრებისთვის (რომლებიც დამტკიცდა ცესკო-ს
28/2008 დადგენილებით). ცესკო-მ ასევე მიაღწია შეთანხმებას ყველა
ძირითად პოლიტიკურ პარტიასთან, ასევე არასამთავრობო და საერ-

სამუშაოდ აყვანილი იქნა და ტრენინგი ჩაუტარდა 24 რეგიონულ კოორდინატორს და 131 ტრენერს;
 ტრენინგი ჩაუტარდა 76 საოლქო საარჩევნო კომისიის 988 წევრს;
 ტრენინგი ჩაუტარდა 3,630 საუბნო საარჩევნო კომისიის 47,190 წევრს.

ტრენინგების დამხმარე მასალები ითარგმნა რუსულ ენაზე, ხოლო სახელმძღვანელო მითითებები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის — აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც. კომისიების ყველა წევრს დაურიგდა სახელმძღვანელოები. ტრენინგის სწორად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით დაიბეჭდა პლაკატები, რომლებიც ასევე ითარგმნა რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე დაბეჭდილი სახელმძღვანელოები

	ქართული	რუსული	აზერბაიჯანული	სომხური
ცესკო/UNDP/IFES				
ტრენინგების დამხმარე სახელმძღვანელოები	160	20		
სახელმძღვანელოები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის	12 000			
სახელმძღვანელო ინსტრუქცია საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის	50 000	4000	2500	2000
ცესკო /ECMI				
ამომრჩეველთა უფლებების და ამომრჩეველთა სიების ფორმირების შესახებ		6000	5000	3000
არჩევნების დღის პროცედურების შესახებ		6000	5000	3000
საარჩევნო სისტემის შესახებ		6000	5000	3000

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

დამატებით, ცესკო-ს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი და სემინარები შემდეგი ჯგუფებისთვის:

ტრენინგი ცესკო-ს „ცხელი ხაზის“ პერსონალისთვის

ცესკო-მ ჩაატარა ტრენინგი „ცხელი ხაზის“ პერსონალის მოსამზადებლად. ტრენინგი ჩატარდა რამდენიმე ეტაპად და მასში მონაწილეობას იღებდნენ ორგანიზაციის „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები.

მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ტრენინგი

2008 წლის 3 მაისს ცესკო-მ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან თანამშრომლობით ჩაატარა სემინარი ჟურნალისტებისთვის. სემინარის მსვლელობისას განხილული იქნა შემდეგი საკითხები: მედიის წარმომადგენელთა უფლებები, მათი აკრედიტაციის პროცედურა და ვადები, წინასაარჩევნო აგიტაციის წესები, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების წესები, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციაში განაცხადების/საჩივრების წარმოდგენის და განხილვის პროცედურები. ესტონელმა მედიაექსპერტმა აინარ რუსაარმა მონაწილეებს გაუზიარა თავისი გამოცდილება თემაზე „მედიის როლი საარჩევნო პროცესში“.

ასევე 2009 წლის 3 მაისს ჩატარდა სემინარი არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა და პოლიტიკური სუბიექტებისთვის. განხილულ თემებს შორის იყო დამკვირვებლების და საარჩევნო სუბიექტების უფლებები და მოვალეობები და სადამკვირვებლო ორგანიზაციების (დამკვირვებლების) და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანის წესები.

ამ საქმიანობის შედეგად გაიზარდა საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალიზმის დონე. ამავე დროს, ცხადია, რომ ცესკო-მ მომავალშიც უნდა გააგრძელოს სასწავლო ღონისძიებები. პირველ რიგში, უნდა გაგრძელდეს ცოდნის და უნარების გაზიარება ცესკო-

ს ტრენინგის სამსახურისთვის, რათა ცესკო-მ შეძლოს სასწავლო ციკლის ორგანიზება 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის ძირითადად საკუთარი რესურსებით. მეორე, უნდა მოხდეს ტრენინგის სახელმძღვანელოების და მითითებების კიდევ ერთხელ გაანალიზება და, საჭიროების შემთხვევაში, დახვეწა. მესამე, ცესკო-მ უნდა გააგრძელოს სტანდარტიზებული საარჩევნო მითითებებისა და სახელმძღვანელოების გამოყენების პროპაგანდა არჩევნების ყველა მონაწილე მხარის მიერ, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების, კანდიდატების, სადამკვირვებლო ორგანიზაციების და მედიის მიერ.

ამომრჩეველთა სია

წარსულში ცესკო-მ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამომრჩეველთა სიის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. განეული სამუშაოს და ამჟამინდელი სიის ხარისხის შეფასების მიზნით ISFED-მა 2008 წლის მარტში ხელი მოაწერა ურთიერთ-გაგების მემორანდუმს ცესკო-სთან. მემორანდუმის თანახმად, ISFED-ს ეძლეოდა უფლებამოსილება, ემუშავა ამომრჩეველთა სიის სრულ ვერსიაზე, პირადი ნომრების ჩათვლით.

2008 წლის 20 აპრილს ცესკო-მ მიიღო საბოლოო სიის ბოლო ვერსია, რომელიც გამოყენებული იყო 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ამომრჩეველთა სიის აუდიტი შესრულდა 8,800 ამომრჩევლის ეროვნული წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა ჩაატარა ამომრჩეველთა სიის აუდიტი საქართველოს 75-ივე საარჩევნო ოლქში, ზემო აფხაზეთის გამოკლებით, და გამოიყენა ამომრჩეველთა სიის აუდიტის ორი მეთოდი: „სიიდან-ამომრჩევლებამდე“ და „ამომრჩევლებიდან-სიამდე“.

ამომრჩეველთა სიის აუდიტის შედეგად შეფასდა სიაში ცდომილების პროცენტი და მისი სიზუსტე, ასევე შეფასებულ სიასთან მიმართებაში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განეული მუშაობა. პროექტის შედეგები გამოქვეყნდა ISFED-ის საარჩევნო ცნობებში, საბოლოო ანგარიშში და ოფიციალურ ვებგვერდზე. კონკრეტული პრობლემების ანალიზზე დაყრდნობით ISFED-მა წარმოადგინა რეკომენდაციები სიის შემდგომი დახვეწისათვის.

საერთო ჯამში, მონიტორინგმა აჩვენა, რომ არსებული სამართლებრივი ბაზის გათვალისწინებით სიაში ცდომილების პროცენტული მაჩვენებელი ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მაგრამ ცესკო თავის პარტნიორობთან ერთად გეგმავს მუშაობის გაგრძელებას შემდეგი მიმართულებებით:

სამართლებრივი ბაზის დახვეწა;

საქართველოში არსებული მონაცემთა ბაზების ჰარმონიზაცია როგორც შინაარსის, ისე პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით; და

სიაში ჯერ კიდევ არსებული შეცდომების გასწორება.

დასკვნა და რეკომენდაციები

როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნების დროს ცესკო და მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაცია ცდილობდნენ, დაემყარებინათ მჭიდრო სამუშაო ურთიერთობები შესაბამის პარტნიორობთან. ზოგადად ეს მცდელობა წარმატებული იყო. თუმცა კვლავ პრობლემურია ურთიერთობა ცესკო-სა და ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიას შორის. ეს შეიძლება აიხსნას რამდენიმე მიზეზით. ეს მიზეზებია: საარჩევნო კამპანიის დროს უაღრესად პოლარიზებული პოლიტიკური ატმოსფერო, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მხრიდან საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის დაბალი ხარისხი და საარჩევნო კამპანიის პერიოდში კონსტრუქციული მიდგომისა და დადებითი დამოკიდებულების ნაკლებობა ზოგიერთი პარტიის მხრიდან.

ამ გამონაკლისის გარდა, ცესკო-ს ურთიერთობა სხვა მონაწილე მხარეებთან შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს. წარმატებული აღმოჩნდა ქვემოთ ჩამოთვლილი ერთობლივი ღონისძიებები:

გაერო-ს განვითარების პროგრამის / საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის და ცესკო-ს მიერ ერთობლივად მომზადებული და განხორციელებული ტრენინგის პროგრამა საარჩევნო ადმინისტრაციისთვის;

წინასწარი შედეგების გამოცხადება. ეს სისტემა ჩამოყალიბდა ერთობლივად ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, ესტონეთის მთავრობის, სამოქალაქო რეესტრის და ცესკო-ს მიერ და მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა შედეგების გამოცხადება საუბნო საარჩევნო კომისიების დახურვიდან 30 საათის განმავლობაში;

პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში ცესკო-მ და წამყვანმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეძლეს ურთიერთგაგების მიღწევა საარჩევნო კამპანიის წესებთან დაკავშირებით. კერძოდ, ცესკო-მ და ოთხმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ადგენს წინასაარჩევნო სააგიტაციო კამპანიაში მონაწილეობის, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების და სახელმწიფო მოხელეთა მიერ წინასაარჩევნო სააგიტაციო კამპანიაში მონაწილეობის წესებს. ხელმოწერმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს ერთობლივი სტრატეგია და სამოქმედო წესები მემორანდუმით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებაში;

ცესკო-მ შეიმუშავა და დაამტკიცა შიდა წესები არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენის, რეგისტრაციის და განხილვისათვის. წესები შემუშავდა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

გარდა ამისა, ცესკო აქტიურად იღებდა მონაწილეობას ეუთო-სა და გაერო-ს განვითარების პროგრამის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ საკოორდინაციო შეხვედრებში, როგორც იყო შეხვედრები ელჩების დონეზე და ტექნიკური სამუშაო ჯგუფები.

ეს საქმიანობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს და ცესკო-მ და მისმა პარტნიორებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ არჩევნებს შორის პერიოდი შემდეგი ამოცანების განხორციელების მიზნით:

კანონმდებლობის დახვეწა და შესაძლოა ახალი საარჩევნო კოდექსის შემუშავება;

საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლება;
პოლიტიკურ პარტიებთან დიალოგის ინტენსივობის გაზრდა;
ისეთი ტრენინგის პროგრამის შემუშავება, რომლის საფუძველზე შეიქმნება არჩევნების პოტენციურ ადმინისტრატორთა გუნდი;

საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება;

ცესკო-ს, საოლქო საარჩევნო კომისიათა წევრებისა და თანამშრომლების პროფესიული დონის ამაღლება;

ცესკო-სა და საოლქო საარჩევნო კომისიებს შორის შიდა ქსელის განვითარება;

გაერო-ს განვითარების პროგრამის, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა და სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების მიერ ცესკო-ს შესაბამისი დეპარტამენტებისთვის ცოდნის გაზიარების პროგრამის გაგრძელება;

მუშაობის გაგრძელება საქართველოში მონაცემთა ბაზების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, როგორც შინაარსის, ისე პროგრამული უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ამომრჩეველთა სიები

ავტორი: ეკა სირაძე-დელიონე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) აღმასრულებელი დირექტორი

ამომრჩეველთა სიები არჩევნების შედეგებით მანიპულაციის რეალური იარაღი იყო საქართველოში ყოველთვის და სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა.

2006 წელს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ეუთო-ს ფინანსური მხარდაჭერით პირველად ჩაატარა საქართველოში ამომრჩეველთა სიების სრულყოფილი აუდიტი ქვეყნის წარმომადგენლობით შერჩევაზე დაყრდნობით. თავდაპირველი შედეგის (8.83) მონაცემებს არ დაეთანხმნენ საარჩევნო ადმინისტრაცია და სამოქალაქო რეესტრი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ცდომილება ამომრჩეველთა სიებში დაახლოებით 1% იყო. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ყველა საკამათო შემთხვევა ცალ-ცალკე შეისწავლა დაწვრილებით და, ამგვარად, თავიდან შეამონმა პრობლემური შემთხვევები. შემონმების შედეგად სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ამომრჩეველთა საერთო სიებში 5%-იანი ცდომილება აღმოაჩინა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეთა დაახლოებით 5% ვერ შეძლებდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას (იხ. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, სტატია ამომრჩეველთა სიებზე გამოცემაში *"Local Elections. 2006. Lessons Learned"* (ადგილობრივი არჩევნები. დაგროვილი გამოცდილება), რედაქტირებული ევროპის საბჭოსა და ეუთო-ს მიერ).

ამომრჩეველთა სიების 2006 აუდიტის შედეგები სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების-

ვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ამომრჩეველთა სიების ხარისხის შემდგომი შეფასებისთვის. ის კარგ შესაძლებლობას იძლევა სიების გაუმჯობესებისა თუ გაუარესების შესასწავლად სამომავლოდ, თუ მსგავსი აუდიტი ისევ ჩატარდება. 2006 წლის ამომრჩეველთა სიების აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავა:

შეიქმნას მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოები ამომრჩეველთა სიების შევსებისა და განახლებისთვის; რეგულარულად განახლდეს ამომრჩეველთა სიები ყველა შესაბამისი ორგანიზაციის მიერ.

სიების რეგულარული განახლების პროცედურული წესები კანონით უნდა იქნეს დადგენილი;

განახლების პროცედურა საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს (ცენტრალური და საოლქო კომისიები);

კანონმდებლობით დადგენილი უნდა იქნეს განსხვავება ამომრჩეველების მონაცემთა ბაზასა და ამომრჩეველთა სიებს შორის;

უნდა დაზუსტდეს ასევე ამომრჩეველთა სიების სისწორეზე პასუხისმგებელი სახელისუფლებო უწყებები.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამომრჩეველთა სიების აუდიტი 2007/2008 წლებში

2007 წელს ევროპის საბჭომ და ეუთო-მ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება სამფაზიანი პროექტის განსახორციელებლად დააფინანსეს. პროექტი მიზნად ისახავდა ამომრჩეველთა ცოდნის დონის ამაღლებას სიებთან დაკავშირებით და სიების ხარისხის გაუმჯობესების პროცესის დაჩქარებას საქართველოში.

პირველ ფაზაში პროექტის ამოცანა იყო საინფორმაციო კამპანიის ჩატარება ამომრჩეველებისთვის, რათა მათ მიეღოთ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაემონებინათ პირადი მონაცემები ამომრჩეველთა ერთიან სიაში. პროექტის ძირითადი მიზანი იყო,

ამომრჩევლებისთვის მიენოდებინა ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ კარდაკარ ჩასატარებელი კამპანიის შესახებ და იმის შესახებ, თუ ზუსტად როგორ და როდის შეეძლოთ მათ პირადი მონაცემების შემომწმება ერთიან სიაში. *მეორე ფაზაში* პროექტი მიზნად ისახავდა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ კარდაკარ ჩატარებული კამპანიის პროცესის მონიტორინგს. *მესამე ფაზაში* ამომრჩეველთა სიების სრულყოფილი აუდიტი უნდა ჩატარებულიყო ქვეყნის წარმომადგენლობითი შერჩევის გამოყენებით. პროექტის სამივე ფაზა განხორციელდა საქართველოს 75 საარჩევნო ოლქში, გარდა კოდორის ხეობისა.

ამომრჩეველთა სიების შედგენის სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით არჩევნების დღეს ამომრჩეველთა სიების სამი სახე გამოიყენება, კერძოდ: ერთიანი, სპეციალური და დამატებითი ამომრჩეველთა სია (გადასატანი საარჩევნო ყუთის სია). ამომრჩეველთა სამივე სახეობის სია უნდა შედგეს არჩევნების დღემდე.

საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლი ითვალისწინებს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისა და განახლების წესებს და ასევე, იმ პარამეტრებს, რომლებიც შეტანილი უნდა იქნეს ერთიან სიაში. მე-9 მუხლი ითვალისწინებს, აგრეთვე, რომ საარჩევნო უბნები უნდა შეესაბამებოდეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის ადგილს. საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებასა და გამოქვეყნებაზე (საჯარო გაცნობისათვის) აკისრია საუბნო საარჩევნო კომისიებს. ამავე დროს, მუხლში განსაზღვრული არ არის, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ერთიან სიაში შესატან მონაცემთა დამუშავებაზე. ამავე მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის და/ან მმართველობის ორგანოები, იუსტიციის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროები, საგარეო დაზვერვისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურები გადასცემენ ამომრჩეველთა განახლებულ მონაცემებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წელიწადში ორჯერ (1 თებერვალსა და 1 აგვისტოს).

ზემოთ ჩამოთვლილი უწყებების მიერ გადაცემული მონაცემების საფუძველზე ცენტრალური საარჩევნო კომისია გადაამუშავებს და განაახლებს ამომრჩეველთა მონაცემებს და ქმნის ერთიან სიას.

საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს, რომ სამდონიანმა საარჩევნო ადმინისტრაციამ, რომელიც შედგება ცენტრალური, საოლქო და საუბნო კომისიებისგან, უნდა უზრუნველყოს ერთიანი სიის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა წინასაარჩევნო პერიოდში. აკრძალულია ცვლილებების შეტანა ერთიან სიაში არჩევნებამდე ბოლო 12 დღის განმავლობაში (გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით).

საარჩევნო კოდექსი არ აზუსტებს არჩევნებში სპეციალური საპოლიციო ძალების მონაწილეობის საფუძველს. ის არ არეგულირებს, აგრეთვე, არჩევნებში ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობის საკითხებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2007 წლის სტრატეგია ამომრჩეველთა სიების გასაუმჯობესებლად

2007 წლის სექტემბერში საარჩევნო ადმინისტრაციამ მზადყოფნა გამოხატა, ემუშავა ამომრჩეველთა ერთიანი სიის გაუმჯობესებაზე. 2007 წლის 12 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო №5/2007 დებულება, რომელმაც დააზუსტა სპეციალური ჯგუფების შექმნის ვადები და განსაზღვრა მათი საველე მუშაობის პირობები.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ დაიწყო კამპანია ამომრჩევლებისთვის და მათთვის ინფორმაციის მიწოდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მნიშვნელობა აქვს საარჩევნო ადმინისტრაციისა და მისი სპეციალური ჯგუფების მუშაობას ამ კუთხით. ევროპის საბჭოსა და ცესკო-ს წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ შეიმუშავა, დაამზადა და ეთერში გაუშვა აუდიო და ვიდეოპროგრამები, დაბეჭდა საინფორმაციო ფურცლები და პლაკატები ქართულ ენაზე. საეთერო პროგრამებიდან, საინფორმაციო ფურცლებიდან და პლაკატებიდან ამომრჩევლებს მოუწოდებდნენ, შეემონებინათ

ნათ თავიანთი პირადი მონაცემები ამომრჩეველთა წინასწარ სიებში¹, რომლებიც საოლქო კომისიებში იყო გამოფენილი. მთლიანად, პროექტის ფარგლებში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

გამოიფინა პლაკატი/პოსტერი	3 000
დარიგდა საინფორმაციო ფურცელი	75 000
მოენყო სტენდი	75
მომზადდა აუდიოპროგრამა	1
მომზადდა ვიდეოპროგრამა	1
ეთერში გადაიკვა ვიდეოპროგრამა	44
რადიოეთერში გადაიკვა თოქ-შოუ	4
მოენყო მოქალაქეებთან პირადი შეხვედრა	72 915

ამომრჩეველების ინფორმირების კამპანიის შემდეგ (პროექტის პირველი ფაზა) სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ მონიტორინგის განხორციელება დაამთხვია სპეციალური ჯგუფების მუშაობას, რომლებსაც კარდაკარ უნდა შეემონებინათ ამომრჩეველთა პირადი მონაცემები. სპეციალურმა ჯგუფებმა 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩამოიარეს ამომრჩეველები. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამაც სწორედ ამ დროს განახორციელა მონიტორინგი (პროექტის მეორე ფაზა).

მონიტორინგის შედეგებმა მთელი რიგი პრობლემები გამოავლინა. სპეციალური ჯგუფების წევრების შერჩევისა და მათი სამუშაოზე მიღების პროცედურები არ იყო გამჭვირვალე. ამასთან, ჩატარებული ტრენინგებიც არ აღმოჩნდა საკმარისი. ხარვეზები იყო ლოგისტიკაშიც.

2007 წლის დეკემბერში ამომრჩეველთა ერთიანი სიები გამოკრული იქნა თითქმის ყველა საუბნო კომისიაში ქვეყნის მასშტაბით. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ შეამონმა, იყო თუ არა კარდაკარ ჩატარებული კამპანიის შედეგები ამ სიებში ასახული. სამწუხაროდ, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კამპანიის დროს დაშვებული

1. ამომრჩეველთა წინასწარი სიები ერთიანი სიებია, რომლებიც საჯაროდ არის გამოფენილი მათში ცვლილებების შესატანად.

უზუსტობები, რომლებიც სპეციალურმა ჯგუფებმა აღმოაჩინეს, ისევ მეორდებოდა სივრცეში. კარდაკარ ჩატარებული კამპანიის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ მოამზადა ანგარიში, რომელმაც შეაჯამა პროექტის მიღწევები - კარდაკარ ჩატარებული კამპანიის დროს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დაახლოებით ორი მესამედი გადამონმდა. პირადი მონაცემების გადამუშავებისას ერთიანი სიიდან ამოღებული იქნა 28,123 გარდაცვლილი პირი (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 0.83%), ხოლო 65,491 პირი დაემატა (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1.94%). ცესკო-ს ინფორმაციით, პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებისთვის სულ 3,527,964 პირი იქნა რეგისტრირებული.

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები

კარდაკარ ჩატარებულ კამპანიაზე განხორციელებული მონიტორინგის შემდეგ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ 2006 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მომზადებული ერთიანი სია 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ერთიან სიას შეადარა ოლქების დონეზე. შედარების შედეგებმა ცხადყო, რომ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 5%-ით იყო გაზრდილი. ამომრჩეველთა რაოდენობა თითოეულ უბანზე მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი რამდენიმე საარჩევნო ოლქში, მაგალითად: კრწანისში (19.7%), კასპში (18.7%), მარნეულში (17.5%), მარტვილში (16.2%), საბურთალოზე (14.0%), ლაგოდეხში (13.8%) და ოზურგეთში (10.9%). კრწანისის შემთხვევაში ამომრჩეველთა რაოდენობა 2006 წელს რამდენიმე სოფლის თბილისის საზღვრებში შეტანის გამო გაიზარდა, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ საოლქო კომისიებში ამომრჩეველთა რაოდენობის მომატებას, ამაზე სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება არ მიუღია.

ამავე დროს, ამომრჩეველთა რაოდენობა შემცირდა შემდეგ ოლქებში: მცხეთაში (-22.7%), გარდაბანში (-8.1%), ზემო აფხაზეთში (-6.5%), ლენტეხში (-2.5%) და სენაკში (-2.2%).

მიუხედავად იმისა, რომ ცესკო ძალას არ იშურებდა ერთიანი სიის გაუმჯობესებისთვის, 2007 წლის ბოლოს არჩევნების დღეს დაფიქირდა შემდეგი პრობლემები:

გარდაცვლილი პირები;

ერთი და იმავე გრაფის ორჯერ გამეორება;

რიცხობრივი განსხვავებები გამოქვეყნებულ ერთიან სიასა და რეგისტრირებულ პირთა სიებში საუბნო კომისიებში;

ერთიანი სიები ანბანის მიხედვით დალაგებული არ იყო იმ სოფლებში, სადაც ერთზე მეტი საარჩევნო უბანია, რითაც იქაურ ამომრჩევლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, რამდენჯერმე მიეცათ ხმა (კაბალი, ლაგოდების საოლქო კომისია, დუაბზუ, ლაითური და ოზურგეთის რაიონები);

ამომრჩეველთა ერთიანი სიის საბოლოო ვარიანტში არ იყო ასახული კარდაკარ ჩატარებული კამპანიის შედეგები;

სამოქალაქო რეესტრში არსებული მონაცემები განსხვავდებოდა ერთიანი სიების მონაცემებისგან;

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები უარს ეუბნებოდნენ მოქალაქეებს მოთხოვნაზე, შეყვანილი ყოფილიყვნენ ერთიან სიაში სიის საჯაროდ გამოტანის და მასში არსებული მონაცემების დაზუსტების პერიოდში. ისინი უარს იმით ხსნიდნენ, რომ რეგისტრაცია არჩევნების დღეს არის გათვალისწინებული;

ერთიან სიაში აღმოჩნდნენ ის პირები, რომლებსაც ჯერ არ შესრულებოდათ საარჩევნო ასაკი;

თბილისში არსებულ მისამართებზე დამატებული იყვნენ ბინის მესაკუთრისთვის უცნობი პირები.

საარჩევნო კოდექსში 2007 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებით შესაძლებელი გახდა ამომრჩევლის რეგისტრაცია არჩევნების დღეს. ამ ცვლილებასთან დაკავშირებით სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეუფოთება გამოთქვეს და პარლამენტს მიმართეს შემდეგი განცხადებებით:

არჩევნების დღეს ამომრჩევლის რეგისტრაციის იდეა ენინააღმდეგება საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტებს. ამ სტანდარტებით აღიარებულია სიის არჩევნებამდე შექმნის უპირატესობა; არჩევნების დღეს ამომრჩევლის რეგისტრაციის იდეა ენინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს; და
ეს ზრდის ხმის ორჯერ ან რამდენჯერმე მიცემის ალბათობას.

სამწუხაროდ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კრიტიკულ შენიშვნებს ყურადღება არ მიაქცევს. შედეგად, 85,000-ზე მეტმა ამომრჩეველმა ხმა მისცა ე.წ. საარჩევნო დღის „დამატებითი სიებით“. ამ პროცესმა, განსაკუთრებით კი დამატებითი სიების ბიულეტენების დათვლამ, მნიშვნელოვანი ჩრდილი მიაყენა მთელ არჩევნების შემდგომ პერიოდს და უარყოფითი გავლენა მოახდინა არჩევნების საერთო შეფასებაზე.

არჩევნებს შორის პერიოდი

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სამოქალაქო რეესტრმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ერთად განაგრძო ამომრჩეველთა სიებზე მუშაობა და მათი დახვეწა. 2008 წლის 18 აპრილს იუსტიციის სამინისტრომ გამოსცა № 118 სპეციალური ბრძანება, რომელიც არეგულირებს გარდაცვლილ პირთა სტატუსს ამომრჩეველთა ერთიან სიაში და შემოაქვს მათი სიიდან ამოღების ახალი პირობები. შემუშავდა ახალი ფორმა შესავსებად და დაურიგდა ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოს. ფორმა შეივსო თითოეული გარდაცვლილი პირისთვის და დადასტურდა ოჯახის წევრის, ნათესავის ან მეზობლის ხელმოწერით. №118 ბრძანებამ გააადვილა გარდაცვლილ ამომრჩეველთაგან სიების განმედიის პროცესი - ეს მიდგომა რომ ეფექტიანი აღმოჩნდა, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ჩატარებულმა ამომრჩეველთა სიების აუდიტმა ცხადყო.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნები

2008 წლის 5 იანვრის პლებისციტმა საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ვადა განსაზღვრა - ის გაზაფხულზე უნდა ჩატარებულიყო. დროის სიმციროს გამო სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ მოახერხა სიების აუდიტი საპარლამენტო არჩევნებამდე და მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდის შემდეგ გადაწყვიტა, აუდიტი არჩევნების შემდეგ ჩატარებინა.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ განაგრძო მუშაობა სიებთან დაკავშირებული პრობლემების გარშემო. 2008 წლის თებერვალში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააფორმეს მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებდა ამ ორი ორგანიზაციის უფრო აქტიურ თანამშრომლობას ერთიანი სიების გაუმჯობესების საქმეში და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისთვის ექსკლუზიური უფლების მიცემას ცესკო-ს ერთიანი სიის სრული ვარიანტის ხელმისაწვდომობაზე. პირველ რიგში, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ცესკო-ს მიწოდებული ერთიანი სიის სრული ვერსიის ლოგიკური შემოწმება ჩაატარა 2008 წლის 14 მარტს. სიაში 3,406,450 ამომრჩეველი იყო შეყვანილი. მონაცემთა მნიშვნელოვანი ნაწილი სრული არ იყო. აღმოჩენილი იქნა შემდეგი შეცდომები:

გრაფები, სადაც ამომრჩეველთა სახელები არ იყო შეტანილი - 5 შემთხვევა;

გრაფები, სადაც ამომრჩეველთა სახელები მხოლოდ ორი ასო-ნიშნით იყო აღნიშნული - 5;

გრაფები, სადაც ამომრჩეველთა სახელებში სამ ასო-ნიშანზე ნაკლები იყო (მაგრამ სახელს არ წარმოადგენდა, მაგ. „ლა“) - 9 შემთხვევა;

გრაფები, სადაც ამომრჩეველთა გვარებში სამ ასო-ნიშანზე ნაკლები იყო - 11;

გრაფები, სადაც ამომრჩეველთა გვარებში ოთხ ასო-ნიშანზე ნაკლები იყო - 275;

გრაფები, სადაც ამომრჩეველთა გვარებში ხუთ ასო-ნიშანზე ნაკლები იყო – 2789;

ამას გარდა, 121 გრაფაში შეყვანილ ამომრჩეველებს მისამართი არ ჰქონდათ მითითებული; 124 გრაფაში შეტანილი მისამართები სამზე ნაკლები ასო-ნიშნით იყო აღნიშნული; 595 გრაფის მისამართები ოთხზე ნაკლები ასო-ნიშნისგან შედგებოდა, 1564 გრაფაში კი — ხუთზე ნაკლები (მაგ. გ/გ „კმკ“). 435 გრაფაში აღნიშნული არ იყო ამომრჩეველის დაბადების თარიღი. ორ გრაფაში შეყვანილი ამომრჩეველი მხოლოდ არჩევნების შემდეგ გახდებოდა 18 წლის და რამდენიმე ამომრჩეველს პირადობის მოწმობის ასეთი რიგითი ნომერი ჰქონდა: 00000000000, 00000000001, 00000000013, 00000000046 (ეს რიცხვები არ არსებობს). დუბლირებასაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 13 შემთხვევაში პირადობის მოწმობის ერთი და იგივე ნომერი მეორდებოდა და თანაც, თითოეული ნომერი 4-ჯერ იყო შეტანილი სიაში; 957 შემთხვევაში ერთი და იგივე ნომერი 3-ჯერ იყო შეტანილი სიაში; 52,486 შემთხვევაში კი - ორჯერ. დუბლირების შემთხვევათა მთლიანმა რაოდენობამ 53,456 შეადგინა.

2008 წლის 14 აპრილს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილ შეცდომებზე ცესკო-ს მიანოდა, 2008 წლის 15 აპრილს კი ცესკო-მ ერთიანი სიის შესწორებული ვარიანტი არჩევნებით დაინტერესებულ მხარეებს შორის გაავრცელა. 2008 წლის 17 აპრილს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ შესწორებული ვარიანტის ლოგიკური შემოწმება ჩაატარა. ახალ ერთიან სიაში 3,431,908 ამომრჩეველის მონაცემები იყო შეტანილი, სადაც შემდეგი შეცდომები დაფიქსირდა: გარდაცვლილი პირები - 141 (შემცირდა 435-თან შედარებით); 110 ნელზე მეტი ასაკის ამომრჩეველი - 21 (რაოდენობა გაიზარდა, ადრე 14 იყო); 1002-მდე გაიზარდა 18 ნელზე ნაკლები ასაკის ამომრჩეველთა რაოდენობა. დაფიქსირდა კიდევ ერთი შემთხვევა არარსებული პირადობის მოწმობისა, რომლის ნომერი 00 000 000 000 იყო. პირადობის მოწმობის დუბლირებული ნომრები ახალ სიაში აღარ იყო.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით (მუხლი 9^{1.2}), არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 41 დღისა, 2008 წლის 10 აპრილს

საოლქო საარჩევნო კომისიებმა გამოაქვეყნეს ინფორმაცია ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ერთმანეთს შეადარა საოლქო კომისიებში გავრცელებული და ცესკო-ს მიერ თავის ვებგვერდზე განთავსებული ციფრები. შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ თითქმის ყველა მონაცემში, რომელიც საოლქო კომისიას ჰქონდა გამოქვეყნებული, განსხვავდებოდა ცესკო-ს მიერ ვებგვერდზე განთავსებული მონაცემებისგან.

ინფორმაცია ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ აშკარად განსხვავდებოდა. მაგალითად, ბათუმის 79-ე საარჩევნო ოლქში, საიდანაც სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონულმა ოფისმა ოფიციალურად გამოითხოვა მონაცემები, ამომრჩეველთა რაოდენობა 96,547-ს შეადგენდა 2008 წლის 17 აპრილისთვის, ცესკო-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული რიცხვი 97,300 იყო, ხოლო გაზეთ „აჭარაში“ 98,065 დაიბეჭდა.

5 მაისს ცესკო-მ ერთიან სიაში ცვლილებების შესატანად ვადა გააგრძელა და 12 მაისს პრეზენტაციაზე წარმოადგინა ერთიანი სია, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საპარლამენტო არჩევნებისთვის 3,465,736 იყო. პრეზენტაციაზე დასახელდა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებმაც თავიანთი მონაცემები გადაამოწმეს სიაში, ასევე იმ ცვლილებების რაოდენობა, რომლებიც ერთიან სიაში შევიდა. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ კმაყოფილება გამოხატა ცესკო-ს მიერ ცვლილებების შეტანისთვის განსაზღვრული ვადის გადანევის თაობაზე, რადგან ამან უფრო მეტ ამომრჩეველს მისცა საშუალება, შეემოწმებინა საკუთარი მონაცემები, რაც საბოლოოდ საპარლამენტო არჩევნებისთვის მომზადებულ სიებში დადებითად აისახა.

2008 წლის 20 მაისს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ მიიღო ერთიანი სიის განახლებული ვერსია, რომელიც საფუძვლად დაედო არჩევნების შემდეგ ჩატარებულ აუდიტს. როგორც ცესკო აცხადებს, ერთიანი სიის ეს ვერსია იქნა გამოყენებული 2008 წლის 21 მაისს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას არ შეუძლია ობიექტურად დაადასტუროს ან უარყოს ეს განცხადება.

მონანილობა ამომრჩეველთა სიების აუდიტის ჩატარებაში

No	რეგიონი	სიიდან-ამომრ- ჩეველამდე		ამომრჩეველიდან- სიამდე		სულ	
		მიზნო- ბრივი	რეა- ლური	მიზნო- ბრივი	რეა- ლური	მიზნო- ბრივი	რეა- ლური
1	თბილისი	1224	1234	1224	1214	2448	2448
	მიზნობრივი vs რეალური		101%		99%		100%
	რეგიონებს შიგნით		50.4%		49.6%		100%
2	კახეთი	387	374	387	372	774	746
	მიზნობრივი vs რეალური		97%		96%		96%
	რეგიონებს შიგნით		50.1%		49.9%		100%
3	მცხეთა-მთიანე- თი	108	106	108	103	216	209
	მიზნობრივი vs რეალური		98%		95%		97%
	რეგიონებს შიგნით		50.7%		49.9%		100%
4	ქვემო ქართლი	490	501	490	483	980	984
	მიზნობრივი vs რეალური		102%		99%		100%
	რეგიონებს შიგნით		50.9%		49.1%		100%
5	შიდა ქართლი	296	224	296	223	592	447
	მიზნობრივი vs რეალური		76%		75%		76%
	რეგიონებს შიგნით		50.1%		49.9%		100%
6	სამცხე-ჯავახეთი	189	189	189	189	378	378
	მიზნობრივი vs რეალური		100%		100%		100%
	რეგიონებს შიგნით		50%		50%		100%
7	რაჭა ლეჩხუმი- ქვემო სვანეთი	48	40	48	37	96	77
	მიზნობრივი vs რეალური		83%		77%		80%
	რეგიონებს შიგნით		51.9%		48.1%		100%

8	იმერეთი	710	721	710	713	1420	1434
	მიზნობრივი vs რეალური		102%		100%		101%
	რეგიონებს შიგნით		50.3%		49.7%		100%
9	გურია	144	128	144	130	288	258
	მიზნობრივი vs რეალური		89%		90%		90%
	რეგიონებს შიგნით		49.6%		50.4%		100%
10	სამეგრელო- ზემო სვანეთი	450	382	450	394	900	776
	მიზნობრივი vs რეალური		85%		88%		86%
	რეგიონებს შიგნით		49.2%		50.8%		100%
11	აჭარა	360	412	360	403	720	815
	მიზნობრივი vs რეალური		114%		112%		113%
	რეგიონებს შიგნით		50.6%		49.4%		100%
სულ		4406	4311	4406	4261	8812	8572
	მიზნობრივი vs რეალური		98%		97%		97%
	რეგიონებს შიგნით		50.3%		49.4%		100%

2008 წლის ამომრჩეველთა სიის აუდიტი

რესპონდენტთა დემოგრაფიული მონაცემები

ამომრჩეველთა სიების აუდიტი მოიცავდა საქართველოს მთელ ტერიტორიას კონფლიქტური ზონებისა და ზემო აფხაზეთის ტერიტორიის გარდა. გამოყენებული იქნა მონაცემთა გადამონმების ორი მეთოდი: სიიდან ამომრჩევლამდე და ამომრჩევლიდან სიამდე. გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობა თითო მეთოდისთვის 4,406-ს შეადგენდა, ხოლო საერთო რაოდენობა ორივესთვის – 8,812-ს. ცდომილების საბოლოო ზღვარმა +/- 1,5% შეადგინა 95%-იანი სანდოობით. შერჩევის მომზადებისას შემდეგი კვოტები იქნა გათვალისწინებული:

ასაკო: რესპონდენტებს წარმოადგენდნენ საარჩევნო ასაკის ქალი და მამაკაცი (18 წელი და ზემოთ);
მოქალაქეობა: ყველა რესპონდენტი საქართველოს მოქალაქე უნდა ყოფილიყო.

საველე სამუშაოების შემდეგ გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობა სიიდან ამომრჩევლამდე მეთოდისთვის 4,311 იყო, ხოლო ამომრჩევიდან სიამდე - 4,261. რესპონდენტების მთლიანი რაოდენობა იყო 8,572, რაც შერჩევის თავდაპირველი მოცულობის 97%-ს წარმოადგენდა. იტერვიუერებისგან მიღებული ანგარიშები რეგიონების მიხედვით აღწერილია შემდეგ გვერდზე მოცემულ ცხრილში.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ პირველ ეტაპზე მიღებული მონაცემები შეისწავლა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების სტატისტიკური პროგრამითა და SPSS პროგრამით, ვერსია 15.0. ანალიზში გამოყენებული იქნა შემდეგი სტატისტიკური მეთოდები: მონაცემთა დაჯგუფება (სტატისტიკური დაჯგუფება ცვლადების ღირებულებების მიხედვით); ტიპოლოგია, კორელაციის ანალიზი (სტატისტიკური დამოკიდებულება ორი ცვლადის ღირებულების ემპირიულ გავრცელებაზე) და რეგრესიის ანალიზი (რეგრესიის დამოკიდებულება ცვლადებს შორის გაანალიზებულია და იდენტიფიცირებულია).

სიის აუდიტის შედეგების მიხედვით ერთიანი სია, რომელიც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოიყენეს, შეფასდა ქვემოთ ჩამოთვლილი სამი კრიტერიუმით:

სისრულე, რომელიც სიაში შეყვანილი საარჩევნო ასაკის ამომრჩევლების პროპორციას გვიჩვენებს. სიის სისრულე შემონმდა ამომრჩევიდან სიამდე მეთოდის გამოყენებისას; განახლება, რომელიც ადგენს, განახლდა თუ არა ინფორმაცია დროულად. ეს შემონმდა სიიდან ამომრჩევლამდე შედარებისას;

სიზუსტე, რომელიც განსაზღვრავს ცდომილების დონეს მონაცემთა შეყვანისას თითოეული ამომრჩევლისთვის (სახელი და გვარი, მისამართი, სქესი და დაბადების თარიღი). ეს შემონმდა ორივე მეთოდით მიღებული მონაცემების გამოყენებით.

ამომრჩეველთა სიის სისრულე

საარჩევნო ასაკის ამომრჩეველთა პროპორცია 98.7%-ია. ამომრჩეველთა მცირე ნაწილი (1.3%) არ არის რეგისტრირებული.


რეგისტრაციის მაჩვენებელი



$N=4,261$; ამომრჩევიდან სიამდე მეთოდი (საარჩევნო ასაკის ამომრჩევლებისგან მიღებული ინფორმაციის შემონმება სიასთან)

რეგისტრაციის ერთნაირი მაჩვენებელია თითქმის ყველა რეგიონში (იხილეთ ქვემოთ), გარდა სამცხე-ჯავახეთისა, სადაც დაბალი დონე დაფიქსირდა.


რეგისტრაციის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით



N = 4,261; ამომრჩევიდან სიამდე (ამომრჩევლებისგან მიღებული ინფორმაციის შედარება სიასთან)

ქალი და მამაკაცი ამომრჩევლების რეგისტრაციის პროცენტულ მაჩვენებლებს შორის დიდი განსხვავება არ არის. მაშინ, როცა შედეგები რეგისტრაციის უფრო მაღალ პროცენტს გვიჩვენებს ქალებს შორის, განსხვავება მაჩვენებლებს შორის ზუსტად ცდომილების ზღვარს ასახავს.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის მაჩვენებელი სქესის მიხედვით




N=4,257; ამომრჩევიდან სიამდე მეთოდი (ამომრჩევლებისგან მიღებული ინფორმაციის შემონმება სიაში არსებული ინფორმაციით).

მამაკაცი რესპონდენტები-1,749; ქალი რესპონდენტები-2,508

ეთნიკური ჯგუფების მიხედვით რეგისტრაციის მაჩვენებლებს შორის მცირეოდენი განსხვავებაა. 5.2%, რომელიც არარეგისტრირებულ სომეხ ამომრჩეველთა რაოდენობას წარმოადგენს, უდიდესი რიცხვია ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის მაჩვენებელი ეთნიკური ჯგუფების მიხედვით




N = 4,209; ამომრჩევიდან სიამდე მეთოდი (ამომრჩეველები-სგან მიღებული ინფორმაციის შედარება სიასთან)

არარეგისტრირებულ ამომრჩეველთა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთსა და შიდა ქართლში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მაღალი – სამცხე-ჯავახეთში (21.8%), თბილისში (18.2%) და აჭარაში (16.4%). ეს შეიძლება ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით აიხსნას:

- აჭარაში ბევრი ეკო-მიგრანტი ცხოვრობს;
- როგორც ჩანს, ეთნიკური სომხები ნაკლებად აქტიურობენ ამომრჩეველბად რეგისტრაციისას;
- არარეგისტრირებულთა დიდი რაოდენობის არსებობა თბილისში შეიძლება აიხსნას რეგიონებიდან დედაქალაქში მიგრაციით. ჩვეულებრივ, მოქალაქეები არ იცვლიან თავიანთი თავდაპირველი რეგისტრაციის ადგილს.


არარეგისტრირებული ამომრჩევლები რეგიონების მიხედვით



N = 55; არარეგისტრირებული რესპონდენტები

ამომრჩეველთა სიების განახლების პროცესი

2008 წლის ამომრჩეველთა სიების შესაბამისი განახლების პროცესის გასაანალიზებლად სიიდან-ამომრჩევლებამდე შედარების მეთოდის შედეგები იქნა გამოყენებული. დადასტურდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (69.9%) რეგისტრირებული იყო და იქ ცხოვრობდა, სადაც რეგისტრაცია გაიარა. ბათილად ცნობილი იქნა ჩანაწერთა 7.4%, რომელშიც გარდაცვლილი ამომრჩევლები, არარსებული მისამართები და არაკვალიფიციური ამომრჩევლები დაფიქსირდნენ. რესპონდენტთა 8.9% რეგისტრირებული იყო ერთ ადგილას, მაგრამ ცხოვრობდა საქართველოს სხვა ქალაქში. რესპონდენტთა 11%-ს ადგილი ჰქონდა შეცვლილი, რეგისტრაციის ადგილზე ცხოვრობდნენ გარკვეული დროის მანძილზე, მაგრამ მერე გადავიდნენ ან გავიდნენ ქვეყნიდან.



ამომრჩეველთა ერთიანი სიის სიზუსტე

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შესული მონაცემები ამომრჩეველთა ერთიანი სიის ხარისხს გვიჩვენებს. ინფორმაცია მხოლოდ ერთ მეთოდს (სიიდან-ამომრჩევლებამდე) ეფუძნება. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ინტერვიუერებმა შეამოწმეს და შეადარეს ერთიან სიაში მოცემული მონაცემები რესპოდენტებისგან მიღებულ მონაცემებს. შედეგები აჩვენებს, რომ გრაფების ხარისხი სხვადასხვა ამომრჩევლის რეკვიზიტებში შემდეგნაირია:

სახელები: იმ სახელების 99.3% რომლებიც ერთიან სიაშია მოცემული, ემთხვევა ამომრჩევლების რეალურ მონაცემებს; 0.3%-ში უმნიშვნელო შეცდომაა დაშვებული, მაგ. ერთი ასოა გამოტოვებული ან ერთ ასოშია განსხვავება. 0.4%-ში სახელები საერთოდ არ ემთხვევა.


გვარები: 99% მთლიანად ემთხვევა ამომრჩევლების რეალურ მონაცემებს; 0.3%-ში უმნიშვნელო შეცდომაა დაშვებული, ხოლო 0.6% საერთოდ არ ემთხვევა.

პირადი ნომერი: 99.4% ერთიანი სიის ემთხვევა სრულად, მაგრამ 0.6%-ში არ ემთხვევა.

დაბადების თარიღი: 98.2% სრულად ემთხვევა სიაში არსებულ მონაცემებს; 1,7% - არ ემთხვევა. შეცდომებია თარიღში, თვეში ან წელიწადში.

რეგისტრაციის ადგილი: 96.1% ამომრჩეველთა ინფორმაცია ემთხვევა სიაში არსებულს; შემთხვევათა 0.2%-ში უმნიშვნელო შეცდომაა ერთიან სიაში; 1.6%-ში მისამართი არასრულად არის შეტანილი სიაში; 2.1%-ში სიაში შეტანილი ინფორმაცია არ ემთხვევა ამომრჩევლის მონოდებულს.

ამომრჩეველთა სიის სიზუსტე



დამატებითი ინფორმაცია

რესპონდენტთა უმრავლესობამ (92%) აღნიშნა, რომ მიიღო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა და რომ შეყვანილი იყო ერთიან სიაში. მხოლოდ 1%-მა განაცხადა, რომ ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში იყო რეგისტრირებული, ხოლო 6%-მა მიუთითა, რომ დამატებით (გადასატანი ყუთის) სიაში იყო შეყვანილი.

ამას გარდა, საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებისას სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ სიებთან დაკავშირებით შემდეგი პრობლემები აღმოაჩინა:

ამომრჩეველთა უჩვეულოდ მაღალი აქტივობა გადასატანი ყუთებით (ამომრჩეველთა დამატებითი სივრცით) კეჭისყრისას. 2008 წლის 20 მაისს ამომრჩეველებმა მიმართეს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს და განუცხადეს, რომ ისინი დამატებით სიაში იყვნენ შეყვანილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ უთხოვიათ. შესაძლებელია, რომ ასეთ ფაქტებს წვლილი შეეტანა მაღალი აქტივობის დაფიქსირებაში, რაც სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ხმების პარალელურ დათვლაში გამოჩნდა. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ჩატარებულმა ხმების პარალელურმა დათვლამ გამოაშკარავა, რომ აქტივობა გადასატანი ყუთებით სარგებლობისას 104% იყო ქვეყნის მასშტაბით და ზოგან უფრო მეტიც.

სპეციალური უბნები (სამხედრო ნაწილებში გახსნილი უბნები). საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მათი რიცხვი მთლიანობაში გაიზარდა, ისევე, როგორც ამომრჩეველებისა ამ უბნებზე. სამხედრო პერსონალის რაოდენობა 8,000 კაცით გაიზარდა.

სამხედრო პერსონალი: ორი გრაფა ჩაირთო ორ სიაში, სპეციალურში და ერთიანში: სპეციალურ სიაში მათი დისლოკაციის მიხედვით, ხოლო ერთიანში – რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

სამხედრო პერსონალის რაოდენობის ზრდა და შემცირება ქვეყნის მასშტაბით და რეგიონების მიხედვით

რეგიონები	საპრეზიდ. არჩევნები		საპარლამენტო არჩევნები		განსხვავება	
	უბანი	ამომრჩეველები	უბანი	ამომრჩეველები	უბანი	% განსხვავება
თბილისი	28	15,749	27	21,628	5,879	37.3%
აჭარა	3	704	5	3,449	2,745	389.9%
გურია	0	0	0	0	0	0.0%
იმერეთი	8	2,988	11	6,476	3,488	116.7%
კახეთი	1	145	2	663	518	357.2%
ქვემო ქართლი	8	6,798	5	4,718	-2,080	-30.6%

მცხეთა-მთიანეთი	2	521	4	881	360	69.1%
რაჭა-ლეჩხუმი- ქვემო ქართლი	0	0	0	0	0	0.0%
სამცხე-ჯავახეთი	3	583	3	491	-92	-15.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5	5,630	6	6,074	444	7.9%
შიდა ქართლი	9	3,901	10	5,411	1,510	38.7%
სულ	67	37,019	73	49,791	12,772	34.5%

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია, ISFED

დასკვნა

პროექტის წარმატებით განხორციელება შესაძლებელი გახდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კეთილი ნების წყალობით. მან ერთიანი სიის სრული ვერსია მიიწვია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამომრჩეველთა სიების სიზუსტის რეგულარულ შემოწმებას და საარჩევნო ადმინისტრაციული ორგანოებისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ სიების დახვეწაზე მონიტორინგს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. შემოწმებისა და მონიტორინგის პროცესის უწყვეტობა უზრუნველყოფს, რომ საქართველოს მოქალაქეებსა და საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებს სრული და ობიექტური ინფორმაცია ჰქონდეთ ერთიანი სიის ხარისხზე.

როცა ამომრჩეველთა სიების 2008 და 2006 წლებში ჩატარებული აუდიტის შედეგებს ვადარებთ, აშკარაა, რომ საქმე მნიშვნელოვნად გამოსწორდა, თუმცა კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით კი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

შიდა მიგრაცია და ემიგრაცია;

სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის რეგისტრაცია; და

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის გამჭვირვალე მუშაობა ამომრჩეველთა სიების შედგენისას და/ან სიებში ახალი მონაცემების შეტანისას.

რეკომენდაციები

საარჩევნო ადმინისტრაციამ მუდმივ რეჟიმში უნდა განა-
ახლოს ამომრჩეველთა სიები.

ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები უნდა აღინიშნონ ერთიან
სიაში.

უნდა ამოქმედდეს კანონი ხელახალი რეგისტრაციისა და რე-
გისტრაციის გაუქმების შესახებ; ამომრჩეველებისა და საზო-
გადოებისთვის უნდა ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია მათი
პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების შესახებ, როცა რე-
გისტრაციის ადგილს იცვლიან.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ და ცენტრალურმა საარჩე-
ვნო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ
ეთნიკურ უმცირესობათა რეგისტრაციის საკითხს.

საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონის წარმომადგენლე-
ბს სპეციალური ტრენინგი უნდა ჩაუტარდეთ ერთიან სიაში
ცვლილებების სათანადოდ შესატანად „საჯაროობის და შე-
მონების“ პერიოდში.

საქართველოს საარჩევნო კოდექსში უნდა ამუშავდეს ნორმა,
რომელიც შეზღუდავს სპეციალურ სიებში შეყვანილი სუბიექტე-
ბის მონაწილეობას მაჟორიტარულ და ადგილობრივ არჩევნებში.
საქართველოს საარჩევნო კოდექსი უნდა შეიცავდეს მკაცრ
ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ ერთი და იგივე
ამომრჩეველი ამომრჩეველთა სხვადასხვა სიაში არ მოხვდეს
არჩევნების დღეს. ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელიც სპე-
ციალურ და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიებში უნდა შევი-
დეს, შეზღუდული უნდა იყოს. ინფორმაცია სპეციალურ და გა-
დასატანი საარჩევნო ყუთის სიებში შესული ამომრჩეველების
შესახებ ზუსტად უნდა აისახოს ერთიან სიაშიც.

იმ სოფლებში, სადაც არ არსებობს მისამართები ქუჩების
მიხედვით, ერთიანი სია საუბნო საარჩევნო კომისიებში ანბა-
ნის მიხედვით უნდა დაიყოს.

საარჩევნო კოდექსი უფრო დეტალურად უნდა არეგულირებ-
დეს მოქალაქეთა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიებში შე-
ყვანის საკითხს. თუკი შესაძლებელია, გადასატანი საარჩევნო

ყუთის სიებში ამომრჩეველთა შეყვანაზე მონიტორინგი უნდა დაწესდეს და ამომრჩეველები შემთხვევითი შერჩევით უნდა შემოწმდნენ ყველა არსებულ უბანში.

ნებისმიერი არასრული და დაუსაბუთებელი ინფორმაცია (მაგალითად, არასრული მისამართი, უმისამართო გრაფა, არასრული სახელები და გვარები) ამოღებული ან შესწორებული უნდა იქნეს. საქართველოს საარჩევნო კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს ერთიანი სიის რეგულარულ განახლებას. საარჩევნო ადმინისტრაციის (ცენტრალური და საოლქო) კომპეტენციები მონაცემთა განახლების პროცესში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული არჩევნებს შორის პერიოდშიც კი.

კანონმდებლობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთი წესების განსაზღვრაზე, რომელთა საშუალებითაც დარეგულირდება ერთიანი სიების გაუმჯობესების პროცესი, და დაანესოს მოთხოვნა, რომ ჩატარდეს ერთიანი სიის კარდაკარ შემოწმება არჩევნების დღემდე.

საარჩევნო კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს და განსაზღვრავდეს გაზრდილ პერიოდს ამომრჩეველებისთვის, რათა მათ შეამოწმონ და დაადასტურონ ერთიან სიაში შეტანილი თავიანთი მონაცემები.

ამომრჩევლის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს და რომელიც ერთიან სიაშია შეტანილი, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტებისთვის და არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის.

საარჩევნო ადმინისტრაციამ ეფექტიანი საინფორმაციო კამპანია უნდა ჩაატაროს მოსახლეობისთვის ამომრჩეველთა ერთიან სიაზე არჩევნებს შორის პერიოდში და არჩევნებამდე.

საარჩევნო პროცესების მიმართ მოსახლეობის ნდობის ასამაღლებლად საარჩევნო ადმინისტრაციამ საჯაროდ უნდა განაცხადოს ერთიან სიაში შეტანილი შეცვლილი და დამატებული რიცხვების შესახებ (მაგ. იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში, გარდაცვლილ და ემიგრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა და ა.შ.). ეს უნდა მოხდეს არჩევნების დღემდე.

საჩივრები და განცხადებები

ავტორი: დანიელ პ. ფინო²

წინასიტყვაობა

საქართველოში 2008 წელს ჩატარებული არჩევნების დროს გამოვლენილი ხარვეზები საარჩევნო დავების მოგვარების პროცედურაში ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევდა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის და ადგილობრივ დონეზე კრიტიკის მთავარი ობიექტიც იყო. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში შედარებით მცირე რაოდენობის საჩივარი და განცხადება იქნა შეტანილი შესაბამის ორგანოებში და ისინიც არ დაკმაყოფილებულა, რომელთა განხილვაც შედგა. მაგრამ ორივე არჩევნებისას საჩივართა დიდი რაოდენობა იქნა შეტანილი — ძირითადად, აკრედიტებული არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლების მიერ, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობა - ოპოზიციური პარტიების მიერ. საჩივრები ეხებოდა კენჭისყრის ჩატარებას, ხმების დათვლას და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ოქმების დამტკიცებას. ამ საჩივართაგან ძალზე ცოტა თუ დაკმაყოფილდა ზედა დონის საარჩევნო კომისიის ან სასამართლოების მიერ, ხოლო ბევრი საჩივარი არც მიუღიათ განსახილველად წმინდა ტექნიკური მიზეზებით.

არჩევნებს შორის პერიოდში საქმე წინ წავიდა საკანონმდებლო პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით, კერძოდ, დარეგულირდა არჩევნების შემდეგ განცხადებების წარდგენისა და გა-

2. დოქტორი ფინი, კონსულტანტი საერთაშორისო სამართალსა და საჯარო საქმეებში, 2008 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში ეუთო-ს მისიის მოწვევით მუშაობდა არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრებისა და განცხადებების ექსპერტად.

საჩივრების პროცედურები, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებისას მათი სრულად და თანმიმდევრულად ამოქმედება არ მომხდარა. სხვა საკანონმდებლო ცვლილებებმა კი საერთოდ ვერ შეიტანა სიცხადე წინასაარჩევნო კამპანიის დარღვევებთან, და არა მარტო ამ სახის დარღვევებთან, დაკავშირებით (მაგ. ხმების მოსყიდვა, თანამდებობის ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენება), ისე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მათი გამოყენება.

და ბოლოს, საარჩევნო დავისა და მისი წარმოების დახვეწა გართულდა მთელი რიგი ინსტიტუციური ფაქტორების გამო. ამ ფაქტორებს შორის არის დავის გადამწყვეტი ორგანოებისა და მათი პერსონალის არასაკმარისი დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის გრძნობა (ცესკო, სხვა საარჩევნო კომისიები და სასამართლოები); მომჩივანთა ფოკუსირება შედეგების გაუქმებაზე, როგორც კენჭისყრის დღეს მომხდარი დარღვევებისთვის განკუთვილ უმთავრეს სასამართლო დაცვის საშუალებაზე; და დავების გადანყვეტისთვის საარჩევნო დოკუმენტების, ხმების გადათვლის და სხვა, მტკიცებულებაზე დაფუძნებული, მიდგომების არასაკმარისი გამოყენება.

საარჩევნო დავასთან და მის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების დახვეწა მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს საარჩევნო კანონმდებლობასა და ადმინისტრაციაში, მაგრამ რეალურად საქმე უკეთესობისკენ მაშინ შემობრუნდება, როცა საჭირო ინსტიტუტები გაძლიერდება და გაიზრდება მათი თანამშრომლების ობიექტურობა. უნდა ამაღლდეს საარჩევნო კომისიის წევრთა და თანამშრომელთა ნეიტრალურობის დონე და პროფესიონალიზმი და გაძლიერდეს მოსამართლეთა ობიექტურობის გრძნობა და დამოუკიდებლობა; და საერთოდ, უნდა შემცირდეს კონფრონტაციული დამოკიდებულება, რაც ერთნაირად იგრძნობა ხელისუფლების, პოლიტიკური ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდანაც. ამ ნაშრომს თან ერთვის რამდენიმე რეკომენდაცია.

საპრეზიდენტო არჩევნები

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დროს შედარებით ნაკლები საჩივარი იქნა შეტანილი შესაბამის უწყებებში კენჭისყრის დღემდე. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საბოლოო ანგარიშის მიხედვით, ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეს ფაქტი საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოსადმი ნდობის არარსებობით ახსნეს. უფრო მეტიც, საარჩევნო ადმინისტრაციის არც ერთ დონეზე, ისევე, როგორც სასამართლოში, საჩივართა უმეტესობა სრულად და ადეკვატურად არ შეუსწავლიათ და გამოუძიებიათ. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის ანგარიშში ნათქვამია, რომ ცესკო-ში 31, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოში 19 განცხადება შევიდა (ამ 19-დან 6 საჩივარი შემდეგ სააპელაციო სასამართლოში შეიტანეს). ეს საქმეები, ძირითადად, სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენებასა და ხმათა მოსყიდვას ეხებოდა; იყო, ასევე, საჯარო პირების მიერ საარჩევნო კამპანია-აგიტაციის ჩატარების შემთხვევები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

არჩევნების შემდეგ ძალზე დიდი რაოდენობის — 1000-ზე მეტი — საჩივარი შევიდა საუბნო კომისიებში ხმების დათვლასთან და კენჭისყრის პროცედურის ჩატარებასთან დაკავშირებით; დაახლოებით 400 საჩივარი საოლქო კომისიებმა მიიღეს. მათგან მხოლოდ 24 საჩივარი მიიჩნია ცესკო-მ სათანადოდ წარდგენილად და 5 საარჩევნო უბანზე შედეგები გააუქმა, ხოლო კიდევ 8 უბნის შედეგები სასამართლოს მიერ იქნა გაუქმებული.

იმ დროს მოქმედი საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საოლქო კომისიებს უფლება არ ჰქონდათ საუბნო კომისიების შედეგები გაეუქმებინათ, ასე რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საოლქო კომისია ეთანხმებოდა საჩივარს, ის უნდა დაემტკიცებინა ცესკო-ს. უცნაური ფაქტია, მაგრამ თუ განცხადება არ დაკმაყოფილდებოდა საოლქო კომისიაში, მისი გასაჩივრება პირდაპირ სასამართლოში იყო შესაძლებელი და არა ცესკო-ში.

ძველი საარჩევნო კოდექსის იმ მუხლების შესაბამისად, რომლებიც გასაჩივრების საკითხებს არეგულირებს (77-ე მუხლის 1-2 პუნქტები), შესაძლებელი იყო კომისიის გადანყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან საქალაქო სასამართლოში. თუმცა საჩივრების ავტორთა უმრავლესობამ არ იცოდა, რომ უზენაეს სასამართლოს ძველი საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის 28-ე პუნქტის მისეული განმარტება სააპელაციო და საოლქო სასამართლოს მოსამართლეებისთვის უკვე გადაცემული ჰქონდა. განმარტება გამონაკლისის სახით გასაჩივრების ორმაგ არხს ქმნიდა საოლქო კომისიაში შესული საჩივრებისთვის, რომლებიც საოლქო კომისიების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს ან მათზე მიღებულ გადანყვეტილებებს ეხებოდა. უზენაესი სასამართლოს განმარტების მიხედვით, ამ სახის საჩივრები სასამართლოში უნდა შეტანილიყო საოლქო კომისიისგან უარის მიღების შემდეგ.

ამის შედეგად ცესკო-ში შეტანილი განცხადებები საოლქო კომისიების გადანყვეტილების წინააღმდეგ, არ დაეკმაყოფილებინათ საუბნო კომისიების შედეგებთან დაკავშირებული საჩივრები, განუხილველი დარჩა სასამართლოში საჩივრის შეტანის ორდღიანი ვადის ამონურვის შემდეგ. უამრავი საჩივარი უარყო ცესკო-მაც სხვადასხვა ტექნიკური მიზეზით: მაგალითად, საჩივარზე არასრული სახით იყო მისამართი მითითებული ან ქალაქის, მუნიციპალიტეტის სახელი არ იყო აღნიშნული და მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის ნომერი და მდებარეობის ადგილი იყო მითითებული (საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტი მოითხოვს, რომ საჩივარში საუბნო კომისიის მისამართი იყოს აღნიშნული).

სასამართლოში შეტანილ მსგავს საჩივრებს ოდნავ მეტი წარმატება ჰქონდათ. 70 საჩივრიდან 50 იქნა მიღებული, ხოლო დანარჩენი - უარყოფილი ტექნიკური მიზეზების საფუძველზე. 5 სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილეს საოლქო სასამართლოებმა და 8 უბნის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი. მართალია, სარჩელის დაუშვებლობის სხვადასხვა მიზეზი სახელდება, მაგრამ მთავარი, როგორც ამბობდნენ, მაინც ის იყო, რომ საუბნო კომისიების მიერ ხმების დათვლის შედეგებთან დაკავშირებული საჩივარი ცესკო-ში საჩივრდებოდა სასამართლომდე (როგორც

ძველი 77-ე მუხლის 28-ე პუნქტი ითვალისწინებდა საუბნო კომისიის შემაჯამებელ ოქმებსა და მათზე გამოტანილ გადანყვეტილებებთან დაკავშირებულ საჩივრებზე); მეორე მიზეზი საჩივრის წარდგენისთვის დადგენილი ვადის დარღვევა იყო (რაც ხშირად გამოწვეული იყო იმით, რომ განცხადება ცესკო-ში შედიოდა და არა სასამართლოში, როგორც ზემოხსენებული მუხლი ითხოვდა უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებით).

საპარლამენტო არჩევნები

წინასაარჩევნო პერიოდის საჩივრები

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ მომზადებული საბოლოო ანგარიშის მიხედვით, რომელიც ამ არჩევნებთან დაკავშირებით დაინერა, 2008 წლის მაისის არჩევნებამდე საოლქო საარჩევნო კომისიაში 69 საჩივარი იქნა შეტანილი (ამ კომისიებში წარმოებს მაჟორიტარი კანდიდატების რეგისტრაცია ოლქების მიხედვით), ხოლო ცესკო-ში — 27 საჩივარი (აქ ერთიან სიაში შეყვანილი კანდიდატები რეგისტრირდებიან და იხილება საოლქო კომისიის გადანყვეტილებები საჩივრებთან დაკავშირებით). საოლქო სასამართლოებმა 40 საჩივარი მიიღეს, მათგან 19 სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა, ხოლო 2 საქმე საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდა.

არჩევნებამდე ცესკო-ში შეტანილ განცხადებებს შორის ყველაზე გახმაურებული იყო მმართველი პარტიის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საკანდიდატო სიისთვის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნა, რაც ცრამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ მოითხოვა. საქმე ისაა, რომ სიის მთავარმა კანდიდატმა, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ბოლო წუთში გაურკვეველ ვითარებაში მოხსნა თავისი კანდიდატურა, რამაც ეჭვი გააჩინა იმის შესახებ, იყო თუ არა ნაციონალური მოძრაობის საბოლოო სია დათქმულ დროზე წარდგენილი. ეს ფაქტი გახდა ოპოზიციური პარტიების განცხადების მიზეზი (მოსარჩევეებს უარი უთხრეს კანდიდატთა სიის გაცნობაზე, რომელიც ვადის ამოწურვამდე იყო

შედგენილი). განცხადება ცესკო-მ არ განიხილა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი თქვა მის მიღებაზე საკმაოდ სუსტი იურიდიული და პროცედურული საფუძვლით.

როგორც საპრეზიდენტო არჩევნებისას, აქაც საჩივართა უმეტესობა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეხებოდა თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ოფიციალური პირების მიერ ან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, ასევე ისეთ დარღვევებს, როგორცაა ხმების მოსყიდვა, რაც პარტიის ან კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებისთვის ან სხვა დამსჯელი ღონისძიებისთვის საფუძვლად გამოდგებოდა. საარჩევნო კოდექსში 2008 წელს შესული ცვლილებებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ის ნორმები, რომლებიც აღნიშნულ პრობლემებს ეხებოდა.

კოდექსში შეტანილი ცვლილებების ძალით (მუხლები 76-76¹) თითქმის მოიხსნა ოფიციალური პირების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების საკითხი და მის ნაცვლად ყურადღება გამახვილდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე. როგორც ახალი ცვლილებები ითვალისწინებს, ამ რესურსების გამოყენება შესაძლებელია, თუკი ისინი თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის. თუმცა, როგორც ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისმა მიუთითა, შენობების გამოკლებით, რომლებიც საარჩევნო სუბიექტებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, საარჩევნო კანონმდებლობამ უნდა აკრძალოს ნებისმიერი სახის ადმინისტრაციული რესურსის, ფინანსური იქნება თუ მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური, პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოყენება საარჩევნო კამპანიისთვის საარჩევნო სუბიექტების, თანამდებობის პირებისა და საარჩევნო კამპანიაში მონაწილე სხვა პირების მიერ. რაც შეეხება ტრანსპორტს, საჯარო მოსამსახურეებს უფლება აქვთ, გამოიყენონ სამსახურებრივი ავტომანქანები მხოლოდ სანვავის ანაზღაურების პირობით. შეზღუდვა არ ეხება პოლიტიკური თანამდებობის პირებს (როგორც ეს განმარტებულია საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლით). თუმცა კოდექსში შემოვიდა სანქციები დარღვევებისთვის, მათ შორის ადმინისტრაციული ჯარიმა, კანდიდატის/სიის რეგისტრაციის გაუქმება (სასამართლოს თანხმობით) და სხვა (მაგალითად, დისკვალიფიკაცია მომავალ არჩევნებში).

ხელახლა განისაზღვრა ხმების მოსყიდვა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 73.9 „ა“) და მოიცვა „მოქალაქეების“ და არა მხოლოდ ამომრჩევლების მატერიალური დაინტერესება, ისე, რომ მთელი ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაკეთებული საჩუქრებიც ამის ფარგლებში შევა. მაგრამ „სამუშაოს შესრულება“ ან „მომსახურების განევა“ ძნელი დასამტკიცებელი იქნება, რადგან „მოტივაცია“ უნდა შეუქმნას ამომრჩევლებს. ერთ-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის ანგარიშში ნათქვამია, რომ საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში სარჩელები არ მიიღეს სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით, მაგალითად, საჯარო მოსამსახურეს, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს, რეალურად ხმები არ მოუთხოვია მათგან; კანდიდატი ან საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორები კი არა, სხვა პირები იყვნენ დაკავებულები ხმების მოსყიდვით; და საჩუქარი ან მიცემული დაპირება არასაკმარისად ღირებული იყო იმისთვის, რომ გავლენა მოეხდინა ამომრჩეველზე, თუ ვისთვის მიეცა ხმა; და/ან საერთოდ, შეუძლებელია იმის შემოწმება, კენჭისყრისთვის განკუთვნილ კაბინაში მოექცა თუ არა ვინმე გავლენის ქვეშ.

არჩევნების შემდგომი პერიოდის საჩივრები

საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის დღეს და არჩევნების დამთავრების შემდეგ სულ 1,210 საჩივარი იქნა შეტანილი. მათგან 854 საჩივარი შევიდა საუბნო საარჩევნო კომისიებში, 339 საოლქოში და 17 – ცესკო-ში. კიდევ 48 სარჩელი სასამართლოებმა განიხილეს.

მას შემდეგ, რაც საპრეზიდენტო არჩევნების დროს გასაჩივრების წინააღმდეგობრივმა არხებმა დაბნეულობა გამოიწვია, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები საპარლამენტო არჩევნებამდე შეიტანეს. შედეგად, დავებთან დაკავშირებული წესები მნიშვნელოვნად შეიცვალა. უმთავრესი დებულებები ახლა 77-ე და 77(1) მუხლებშია მოცემული. 77-ე მუხლი ზოგად პრინციპებს ადგენს, ხოლო 77(1) უფრო დეტალურად განიხილავს სასამართლოში სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილ პირთა წრეს.

მთავარი ცვლილება (მუხლი 77.1) (სასამართლოს) ალტერნატიული გასაჩივრების არხის გაუქმება იყო, როგორც უთითებენ, „სამსაფეხურიანი წესის“ ზუსტად განსაზღვრის გზით. ანუ საჩივარი/განცხადება პირველად შესაბამის საარჩევნო კომისიაში უნდა შევიდეს, შემდეგ ზემდგომ კომისიაში და ამის შემდეგ საოლქო სასამართლოში (სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობით). ამგვარად, საჩივარი საუბნო კომისიასთან დაკავშირებით პირველად ამ კომისიაში უნდა შევიდეს და მერე გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო კომისიაში სასამართლოში შეტანის უფლებით. საჩივარი საოლქო კომისიაზე უნდა შევიდეს ამ კომისიაში, შემდეგ ცესკო-ში (და სასამართლოში). საჩივარი ცესკო-ზე შედის ცესკო-ში, შემდეგ კი იქვე საჩივრდება სასამართლოში შეტანის უფლებით.

საარჩევნო კოდექსის სხვა მუხლები მნიშვნელოვანია საჩივრის სახისა და ვადის განსაზღვრისთვის, რათა შესაბამისი წესი იქნეს გამოყენებული. 61-ე მუხლის მიხედვით, განცხადება/საჩივარი კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ შედგენილი უნდა იქნეს კენჭისყრის დღის დაწყებიდან (7 საათიდან) კენჭისყრის დამთავრებამდე და საარჩევნო ყუთის გახსნამდე (პუნქტი 1). საჩივარი/განცხადება საუბნო კომისიაში ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების შესახებ ან შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი უნდა იქნეს შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე (პუნქტი 5, 2008 წლის ცვლილება). იმ შემთხვევაში, თუ საუბნო კომისიამ არ მიიღო განცხადება/საჩივარი, ის შეიძლება წარედგინოს საოლქო კომისიას დადგენილ ვადაში (პუნქტი 4, 2008 წლის ცვლილება, და პუნქტი 6).

განსხვავება, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, გასაჩივრების არხს ეხება, რადგან ცვლილებების მიღების შემდეგ ხელისუფლებამ მიუთითა, რომ განცხადება/საჩივარი საუბნო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის მიღებისა და ამ ოქმის საოლქო კომისიის მიერ დამტკიცების შესახებ სამსაფეხურიანი წესის გამოაკლისს წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში საოლქოდან მიღებული საჩივარი პირდაპირ სასამართლოში ხვდებოდა და არა ცესკო-ში (იხ. უწყებათმორისი სამუშაო ჯგუფი (სამუშაო ჯგუფი); ტ1, 26 მარტი, 2008). ეს ნორმა იმ ადრინდელი მუხლის მემკვიდრეა (საარჩევნო

კოდექსი, მუხლი 77.28), რომელმაც განსჯადობის პრობლემები წარმოშვა საპრეზიდენტო არჩევნების დროს. თუმცა მომდევნო განახლებულ კრებულში სამუშაო ჯგუფმა შესწორება გააკეთა, მიუთითა რა, რომ პუნქტი არასწორ წინადადებას შეიცავდა. ის ამოიღეს კიდეც ტექსტიდან არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნით.

ნებისმიერ შემთხვევაში, იმ განცხადებების/საჩივრების განხილვას, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების დროს იქნა შეტანილი შესაბამის ორგანოებში, უფრო მეტი დადებითი შედეგი მოჰყვა, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნების დროს წარდგენილ განცხადებებს/საჩივრებს. სამუშაო ჯგუფის ანგარიშის მიხედვით, სულ 41 უბნის შედეგები გაუქმდა: 27 უბანში საოლქო კომისიამ პროპორციულში და მაჟორიტარულშიც გააუქმა შედეგები; და კიდეც ორ უბანში მხოლოდ მაჟორიტარულ არჩევნებში. საოლქო საარჩევნო კომისიამ დისციპლინარული ზომებიც მიიღო დამრღვევთა წინააღმდეგ. 11 სააპელაციო სარჩელი მოსარჩელეთა სასარგებლოდ გადაწყდა, რასაც დამატებით 12 უბნის შედეგების გაუქმება მოჰყვა. გარდა ამისა, სასამართლომ გასცა ბრძანება ერთ-ერთ საუბნო კომისიაში ხმების ხელახალი დათვლის შესახებ და 2 საოლქო კომისიას მიუთითა, გადაესინჯათ ადრინდელი გადაწყვეტილებები. სასამართლოებმა არ შეწყვიტეს ტექნიკური სახის საფუძვლით საქმეები და 48 საქმიდან 42 არსებითად განიხილეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მტკიცებულება სრულყოფილად იყო განხილული.

საერთაშორისო დაკვირვების შედეგები

საერთაშორისო დამკვირვებლების (მათ შორის, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის) მიერ მომზადებული ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც განცხადებებსა და საჩივრებს ეხება, საკმაოდ კრიტიკული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საარჩევნო დავების გადაწყვეტისას საპარლამენტო არჩევნების პერიოდში. ქვემოთ მოცემულია მათი უმნიშვნელოვანესი დასკვნები:

საჩივრის შეტანისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების ვადები ძალიან მცირეა იმისათვის, რომ პროცედურების შეჯობრებითობა და სათანადო განხილვა იყოს გარანტირებული.

საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებს არ გააჩნდათ ნება, რომ საჩივრებს სერიოზულად და მიუკერძოებლად მოჰკიდებოდნენ. უმეტეს შემთხვევაში მათ სათანადოდ არ განუხილავთ საქმეები და აშკარად მიკერძოებულები იყვნენ მმართველი პარტიისა და ოფიციალური პირების სასარგებლოდ.

საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განცხადება/საჩივრის მიღებისა თუ განხილვის პროცედურებში ბევრი დარღვევა აღინიშნა. საარჩევნო ადმინისტრაცია გარკვეულწილად ნებისა და მზადყოფნის არარსებობას ავლენდა იმისთვის, რომ სათანადოდ მიეღო და განეხილა განცხადება/საჩივარი.

საარჩევნო ადმინისტრაციის არც ერთი დონის ორგანოებს არ შეუსრულებიათ თავიანთი სამართლებრივი მოვალეობა, უზრუნველყოთ საარჩევნო კანონმდებლობის შესრულება; არ გამოუჩინიათ ინიციატივა, რომ შეემოწმებინათ საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების კანონიერება, გამოეძიათ წინასაარჩევნო კამპანიის დარღვევები და მოეგვარებინათ ან შეესწავლათ ხმების მოსყიდვის შესახებ სასამართლოში აღძრული საქმეები. ამას გარდა, საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოებს, უმრავლეს შემთხვევაში, თავისი ინიციატივით არ განუხორციელებიათ მათთვის მინიჭებული ფართო უფლებამოსილება, გამოეძიათ კენჭისყრის დღეს მომხდარი დარღვევები და მიეღოთ სათანადო ზომები.

იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა საოლქო საარჩევნო კომისიებმა უარი თქვეს საჩივრების რეგისტრაციაზე, ხოლო საჩივართა დიდი რაოდენობა ტექნიკური სახის შეცდომების გამო არ მიიღეს და არ განიხილეს, ისე, რომ არც მოსარჩელებისთვის მიუციათ მათი გამოსწორების უფლება. რამდენიმე საოლქო კომისიაში საჩივრები არ განიხილეს შეცდომით განსაზღვრული საფუძვლით, მაგალითად, რომ საჩივარი საოლქოში იყო შეტანილი და არა საუბნოში, ან რომ საჩივრის ორი ეგზემპლარი უნდა წარდგენილიყო საოლქო კომისიაში.

ცესკო-მ და სასამართლომ არამართლზომიერი უარი განაცხადეს საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების სისწორის შესწავლაზე.

უამრავი გადანყვეტილება გამოტანილი იყო მტკიცებულების მცდარი შეფასების საფუძველზე და/ან არ იყო ფაქტობრივად და იურიდიულად დასაბუთებული.

მოსარჩელები ხშირად ექცეოდნენ ზენოლის ქვეშ, მათ ემუქრებოდნენ, ხანდახან კი ძალადობასაც უქონდა ადგილი.

საკანონმდებლო საკითხები

როგორც საერთაშორისო დამკვირვებლები აღნიშნავენ, საარჩევნო კოდექსი ძირეულად საპარლამენტო არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე შეიცვალა და, ნაწილობრივ იმ პოლიტიკური სიტუაციის გამო, რაც პარლამენტში მაშინ სუფევდა, ცვლილებები ჯეროვნად არ განხილულა. ამიტომ 2008 წლის მარტის ცვლილებები გადასახედია და სხვა ბევრი საკითხიც კანონმდებლობით არის მოსაგვარებელი.

დარღვევები წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში

გარკვეული სახის დარღვევების დადგენისა და მათზე რეაგირების პრობლემები, როგორიც არის, მაგალითად, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და ხმების მოსყიდვა, განხილული იყო ძველი საარჩევნო კოდექსის ნორმების გამოყენებასთან კავშირში საპარლამენტო არჩევნების დროს. ხელახლა შესასწავლია არა მარტო ამ დარღვევების არსებითი ბუნება, არამედ დასახვეწია პროცედურები, რომლებიც მოთხოვნების შესასრულებლად არის საჭირო, რათა სასამართლომ, საარჩევნო კომისიებმა და სხვა დანარჩენმა უწყებებმაც იხელმძღვანელონ ამ წესებით.

მაგალითად, საარჩევნო კოდექსის მუხლი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების და ხმების მოსყიდვის აკრძალვის თაობაზე (მუხლის 76²) არ აზუსტებს, თუ რა პროცედურა (ები) უნდა

იყოს დაცული. ასევე ბუნდოვანია, თუ სად უნდა შევიდეს სარჩელი - შესაბამის საარჩევნო კომისიაში (ცესკო-ში თუ საოლქოში) თუ სასამართლოში და, სასამართლოს შემთხვევაში, რა სახის სარჩელი უნდა აღიძრას და რომელი კონკრეტული პროცედურები უნდა იქნეს გამოყენებული.

გარკვეული თვალსაზრისით, იგივე დეფექტები გვხვდება წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაზე უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით. რომელმა უწყებამ უნდა განიხილოს წინასაარჩევნო კამპანიის შეწყვეტის ან რაღაც სხვა კამპანიის ჩატარებით წინასაარჩევნოსთვის ხელის შეშლის საკითხები? მედიამ? ცენტრალურმა თუ ადგილობრივმა ორგანოებმა, თუ ოფიციალურმა პირებმა? რა სახის საქმე უნდა აღიძრას და რომელი პროცედურები უნდა იქნეს გამოყენებული? რა სახის სამართლებრივი დაცვის გამოყენებაა შესაძლებელი?

საარჩევნო დოკუმენტაციის შესწავლა

საარჩევნო კოდექსში 2008 წლის მარტში შესული ცვლილებებით საპარლამენტო არჩევნებისთვის გაიზარდა საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა, რათა მოეცვა პოლიტიკური თვალსაზრისით შერჩეული კომპონენტი და, როგორც ამბობენ, ივლისში შესულმა მომდევნო ცვლილებამ ეს მუხლი გაამყარა. ასე რომ საპარლამენტო არჩევნებიდან მოყოლებული საოლქო საარჩევნო კომისიების სტრუქტურა ცესკო-სა და საოლქო კომისიების ანალოგიურია, ანუ მათში ძირითად ბირთვს ცესკო-ს მიერ არჩეული 5 წევრი წარმოადგენს, ხოლო არჩევნების გამოცხადების დღიდან ამ შემადგენლობას პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების (მაშინ მმართველი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ექვსი ოპოზიციური პარტია) წარდგინებით ემატება 7 წევრი და ერთიც — ისევ ცესკო-ს შერჩეული.

საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის გაზრდით შესაძლებელი გახდა საარჩევნო ადმინისტრაციაში მათი როლის გაძლიერებაც იმდენად, რომ მოეცვა ზედამხედველობა საუბნო კომისიის მუშაობის კანონიერებაზე, ხელახლა დაეთვალია მისგან მიღებული ხმები (საპარლამენტო არჩევნებისთვის, 104.2

მუხლის საფუძველზე) და გაეუქმებინა შედეგები შესაბამის შემთხვევებში. საოლქო კომისიის გაზრდილი უფლებამოსილება ასახულია საარჩევნო კოდექსის სხვადასხვა მუხლში (მაგ. მუხლი 34.2 „ე“-„თ“). ამას გარდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა საოლქო კომისიისთვის საუბნოდან მიღებული შედეგების დასაჯამებლად გამოყოფილი დრო. ძველი მუხლით ვადა ოთხ დღეს შეადგენდა, ახალი ცვლილებით კი 10 დღეა (საარჩევნო კოდექსი, მუხლი 63.1). ცვლილებების ძალით (მუხლი 32.6) საოლქო კომისიას უფლება მიეცა, სამსახურში მიეღო ტექნიკური და დამხმარე პერსონალი და ესარგებლა მათი მომსახურებით არჩევნების პერიოდში.

ეს მუხლები საფუძველს ქმნის, რომ საოლქო კომისიამ უფრო აქტიურად იმუშაოს კენჭისყრისა და შედეგების პროცედურებთან დაკავშირებით საუბნო კომისიებზე შემოსულ საჩივრებზე. აღნიშნული მუხლები ძალზე ფართოდ არის ფორმულირებული და ავალდებულებს ყოველ საოლქო კომისიას, რეაგირება მოახდინოს საუბნოში მომხდარ დარღვევებზე, „საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე“ და „დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით აუქმებს ან ცვლის მათ (გადანყვეტილებებს) (მუხლი 34.2 „ე“). აქ შეიძლება შევიდეს სათანადო გადანყვეტილების მიღება (მათ შორის შემონმების შედეგად საარჩევნო უბნის კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შეცვლა ან ბათილად ცნობა (იქვე, „ვ“).

გაფართოებულ შემადგენლობას, გაზრდილ უფლებამოსილებასა და ვადებს საოლქო კომისიის როლის გაძლიერება შეეძლოთ საუბნო კომისიიდან შემოსულ საჩივართა გადანყვეტის საქმეში. სამწუხაროდ, საპარლამენტო არჩევნების დროს კომისიას არ გამოუყენებია თავისი უფლებამოსილებები სრულად. როგორც ქვემოთ განვიხილავთ, საოლქო კომისიების მიერ საარჩევნო დოკუმენტაციის უფრო ზედმიწევნით შესწავლას — მათ შორის, საჭიროებისამებრ, ხმების გადათვლას — შედეგად საუბნო კომისიებში არჩევნების დღეს შექმნილი პრობლემების ეფექტიანად გადაჭრა მოჰყვება.

საარჩევნო დავებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები

საარჩევნო კოდექსში 2008 წელს მიღებული ცვლილებებით, რომლებიც 77 და 77(1) მუხლებს შეეხო, შედარებით ცხადად განიმარტა საჩივრებისა და განცხადებების შედგენისა და განხილვის პროცედურული წესები, მათ შორის გასაჩივრების წესიც. და მაინც, ეს მუხლები ორაზროვანია, გამონაკლისსაც უშვებს და ცვალებად ინტერპრეტაციებსა და გამოყენებას ექვემდებარება, რასაც მუდმივად მივყავართ გასაჩივრებაზე უარის თქმასთან. ამ მუხლებს დახვეწა და გამარტივება სჭირდება.

ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დავების მოგვარების სფეროში გვხვდება, დეტალურად განერილი მარეგულირებელი წესების არარსებობაა. ცესკო-ს ჯერ არ გამოუქვეყნებია დავების პროცედურული წესები, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსში ამ წესებზე მითითება ხდება (ძველი 77.8 მუხლი). 2008 წლის ცვლილებებით ამ მუხლიდან ამოიღეს მითითება ცესკო-ს განცხადება/საჩივრის შედგენის/წარდგენის წესებზე, ალბათ იმიტომ, რომ ცესკო-ს ხელმძღვანელობა კრიტიკისგან ან ზენოლისგან დაეცვათ. ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო არჩევნების დროს ცესკო-მ შეადგინა მითითებები საჩივრის შედგენასა და განხილვასთან დაკავშირებით პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების შემდეგ.

ცესკო-ს მიერ შედგენილი დავების მოგვარების პროცედურული წესები ცესკო-ს დაეხმარება თავისი საგამომძიებო და საზედამხედველო უფლებამოსილებების განხორციელებაში, საჩივრებისა და განცხადებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის პროცედურების დახვეწაში. ეს წესები უფრო გამჭვირვალეს გახდის ცესკო-ში გასაჩივრების პროცესს, შექმნის საჩივრების სპეციალური განხილვის ჩატარების წინაპირობებს და მოითხოვს მისგან, დამოუკიდებლად შეისწავლოს დარღვევის მტკიცებულების განხილვის საჭიროება. საერთოდ, უკეთესი იქნება, თუ ეს მარეგულირებელი წესები კანონით იქნება დადგენილი და შემდეგ განვითარდება და დაიხვეწება ცესკო-ს მიერ.

საოლქო საარჩევნო კომისიის გაფართოებული შესაძლებლობების წყალობით გაიზარდა საარჩევნო დოკუმენტაციის (საუბნო კომისიიდან შემოსული) მოპოვებისა და სავარაუდო დარღვევის არსებობასთან და შედეგებთან დაკავშირებული მტკიცებულების შესწავლის დონე და შესაძლებელი გახდა სათანადო სამართლებრივი დაცვის საშუალების შექმნა საუბნოს შედეგების გასწორების გზით. საოლქო კომისიების გაზრდილი შემადგენლობა (იგულისხმება პოლიტიკური პარტიების მიერ შერჩეული წევრებიც), არჩევნების შემდგომ პერიოდში სამუშაოს დასამთავრებლად არსებული დრო და რესურსები (მათ შორის პერსონალის მხარდაჭერა) საშუალებას მისცემს საოლქო კომისიას, იქცეს შესაფერის ფორუმად, სადაც არჩევნების შემდგომი პერიოდის და სხვა საარჩევნო დავები გადაწყდება (იმის გამო, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებში მაჟორიტარული არჩევნებისთვის კანდიდატების რეგისტრაცია ტარდება, მათ შეუძლიათ ასევე თავიდანვე გადაწყვიტონ, გაუქმდეს თუ არა კანდიდატის რეგისტრაცია ან დაედოს თუ არა სხვა სახის სასჯელი წინასაარჩევნო კამპანიის დადასტურებული დარღვევისთვის).

ცალკე პრობლემა წამოიჭრა კენჭისყრის უბნებიდან მიღებულ ვიდეომასალებთან დაკავშირებით. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ვიდეოკამერები დამონტაჟებული იყო ბევრ უბანზე, მაგრამ კოდექსის ცვლილებებით შეიქმნა სამართლებრივი ბაზა ვიდეოთვალის უფრო ფართოდ გამოყენებისთვის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას (მუხლი 129^ა.10). ამას გარდა, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს ყველგან (კაბინის გარდა) შეუძლია ფოტოვიდეოგადაღება, თუ ხელს არ უშლის საარჩევნო პროცესს (მუხლი 67.4).

ამ ცვლილებით ვიდეოჩანანერზე არ ვრცელდება საჯარო ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობა და დაინტერესებულ პირს ვიდეომასალის მხოლოდ 15 წუთიანი ნაწილის გამოთხოვის უფლება აქვს, კონკრეტული დროისა და იმ დროს მომხდარი დარღვევის მითითებით. ეს შეზღუდვები ერთნაირად გააკრიტიკეს ადგილობრივმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა და ოპოზიციურმა პარტიებმაც.

საარჩევნო შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირის მიერ ვიდუოდაკვირვებისა და ჩანერის საშუალებების გამოყენება საარჩევნო უბანზე ორიგინალური პრაქტიკაა საერთაშორისო არჩევნების სფეროში. ადრე ფიქრობდნენ, რომ ამომრჩევლებს ვიდუოთვალის გაანერვიულებდათ, რადგან ფოტო-ვიდეოგადაღების საშუალებებით შესაძლებელი იქნებოდა მათთვის თვალყურის დევნება ხმის მიცემის დროს. მაგრამ, მონაცემების მიხედვით, საქართველოში ამომრჩეველი მზადაა, მსხვერპლად გაილოს თავისი საიდუმლო უკეთესი საარჩევნო კანონის სანაცვლოდ.

ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა მოვიპოვოთ და გამოვიყენოთ ასეთი სახის მასალები. საერთაშორისო პრაქტიკით კენჭისყრის უბნის ოფიციალური საარჩევნო დოკუმენტაცია, ჩვეულებრივ, ხელმისაწვდომია, მაგრამ ოფიციალური მოთხოვნის და განმარტების საფუძველზე, ან უნდა დასაბუთდეს, თუ რატომ სჭირდებათ ეს მასალები. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ დარღვევა მოხდა, მასალები გადაეცემა მოსარჩელეს და მათ შეისწავლიან საარჩევნო ადმინისტრაციის ოფიციალური პირები. დღეს მოქმედ შესწორებულ საარჩევნო კოდექსში ვიდუოჩანანერების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ეს მიდგომაა ასახული.

ვიდეოჩანანერები უფრო ადვილად ხელმისაწვდომი რომ იყოს, ეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელს გახდიდა, რომ მეტი დარღვევა გამოვლენილიყო, ან შეიძლებოდა დაგვედგინა, შეესაბამება თუ არა სიმართლეს ოფიციალურად გამოცხადებული აქტივობის დონე. თუმცა ამას უამრავ უბანზე ვიდუოთვალის ჩანანერებზე რამდენიმესაათიანი დაკვირვება და ანალიზი დასჭირდებოდა. უზარმაზარი ძალისხმევის გარეშე ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია იმ კონსტიტუციური და სამართლებრივი დროის ჩარჩოებში, რაც არჩევნების შემდგომი პერიოდის დავების მოგვარებისთვის არის გამოყოფილი.

ამგვარად, საუბნო საარჩევნო ოლქების ვიდუოთვალის ჩანანერების ხელმისაწვდომობის საკითხი წარმოშობს კითხვებს არჩევნების საბოლოო შედეგების დაცვის შესახებ. მაშინ, როცა შედეგები უკვე დადგენილია კანონიერი საშუალებებით, რა შეიძლება არჩევნების შემდეგ გაანალიზებულმა ვიდუომტკიცებულებამ მოიტანოს, გარდა იმისა, რომ ეჭვქვეშ დააყენოს შედეგების ლეგიტიმურობა?

ინსტიტუციური ფაქტორები

მართალია, საარჩევნო დავების გადანყვეტასთან დაკავშირებით ბევრი იურიდიული და ადმინისტრაციული ნაკლოვანება იყო დადგენილი, მაგრამ ალბათ ამ სფეროში ვითარება რეალურად მხოლოდ ინსტიტუციური ფაქტორების მოგვარებით თუ გამოსწორდება. მაგალითად, როგორც ჩანს, გადანყვეტილების მიმღები პირები, პირადი მოსაზრებით თუ კარიერის გამო, არ იკავებენ ისეთ პოზიციას, რომელიც მმართველი პარტიის ინტერესების სანინალმდევგოდ იქნება მიმართული. კერძოდ, საარჩევნო კომისიის წევრები და თანამშრომლები შიშობენ სამსახურის და/ან დანიშნულების შესაძლებლობის დაკარგვას. როგორც ჩანს, მოსამართლეებიც იგივეს განიცდიან. სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიციური პარტიები კი ხშირად მიკერძოებულნი არიან და არჩევნების შედეგების გაუქმებისთვის იბრძვიან მხოლოდ, იმის ნაცვლად, რომ დავა მოაგვარონ უფრო სამართლიანი შედეგების მისაღებად.

საარჩევნო კომისიის პროფესიონალიზმი

განცხადებებისა და საჩივრების ადმინისტრაციული წესით განხილვისას სამივე დონის საარჩევნო კომისიაში კომისიის წევრებს ობიექტურობა და მიუკერძოებლობა აკლიათ. საჩივართა უმრავლესობასაზე ისევ პარტიულ საფუძველზე მიიღება გადანყვეტილება 7 წევრიანი უმრავლესობის (პარლამენტის, ცესკო-ს ან საოლქო კომისიების მიერ დანიშნული წევრები და ერთი მმართველი პარტიის შერჩეული) და 6 წევრიანი უმცირესობის (ოპოზიციური პარტიების მიერ შერჩეული წევრები) მიერ. ამას გარდა, როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, კომისიების ტექნიკური და დამხმარე სამუშაოს შესრულებისას კომისიის წევრები, თანამშრომლები და მათი თანაშემწეები პასუხისმგებლობას უმრავლესობისადმი გრძნობენ და არა მთლიანად კომისიისადმი.

კომისიის წევრებისა და თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლება რთული პრობლემა იქნება. ეს ორივე მხარის ბრალია: უმრავლესობა და მათი თანაშემწეები ინფორმაციას არ უზიარებენ სხვებს, ხოლო უმცირესობა კონფრონტაციულად

არის განწყობილი ყველაფრის მიმართ. ამ მდგომარეობის გამოსწორება კანონით დადგენილი და დახვეწილი პროცედურების შექმნით არის შესაძლებელი.

სასამართლოს დამოუკიდებლობა

არსებული ინფორმაციით, მოსამართლეებმა გააუმჯობესეს მუშაობის ხარისხი საპარლამენტო არჩევნებისას, მაგრამ ფაქტობრივი საკითხების განხილვისგან არჩევნებთან დაკავშირებულ საქმეებში, განსაკუთრებით კი მტკიცებულებების შეფასებისგან ისევ თავს იკავებდნენ. მოსამართლეები არა მარტო ხელისუფლების სანინაალმდეგო გადანყვეტილებას არ იღებენ, არამედ სასამართლო ხელისუფლება იმდენად მჭიდროდ თანამშრომლობდა აღმასრულებელთან და საკანონმდებლოსთან პრეზიდენტის არჩევნების პერიოდში, რომ უამრავი დარღვევა არ გასაჩივრდა.

აღნიშნული არჩევნების დროს უზენაესმა სასამართლომ საარჩევნო კოდექსის იურისდიქციასთან დაკავშირებული მუხლის (ძველი მუხლი 77.28) საფუძველზე ჩამოაყალიბა დოქტრინა, რომელმაც ბევრ საჩივარს აურია გზა. შეიძლება ეს სასამართლოსეული განმარტება გავამართლოთ არჩევნების შემდგომი ვითარებით, როცა ცესკო-ში უამრავი საჩივარი იყრის თავს და საჭირო ხდება მათი საოლქო სასამართლოებში გადანანილება, მაგრამ მისი სამართლებრივი საფუძველი ძალზე სუსტია. თუმცა ცუდი ის არის, რომ მოსამართლეებმა ინფორმაცია ამის შესახებ მიაწოდეს კანონმდებლებს, აღმასრულებლებს და ცესკო-საც, საოლქო და სააპელაციო მოსამართლეებსაც მისცეს მითითებები მის გამოყენებაზე, მაგრამ საზოგადოების უფრო ფართო ფენებს, პოლიტიკურ თუ იურიდიულ წრეებს, დოქტრინის შესახებ არაფერი შეატყობინეს.

სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიცია

სამოქალაქო საზოგადოების (ადგილობრივი) დამკვირვებლები და პოლიტიკური ოპოზიცია კონფრონტაციულად იყვენენ განწყობილნი დარღვევების მიმართ და, ძირითადად, საუბნო ან

საოლქო დონეზე არჩევნების შედეგების გაუქმებაში ეძიებდნენ გამოსავალს. შედეგების გაუქმებას ითხოვდნენ მაშინაც, როცა დარღვევა უმნიშვნელო ხასიათისა იყო და მაშინაც, როცა გაუქმებას არსებითად შეეძლო გავლენის მოხდენა შედეგებზე, მაგრამ შეუძლებელი იყო ამ გავლენის დადგენა არსებულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით.

ამის ნაცვლად — თუ დავეუშვებთ, რომ საარჩევნო კომისიის უმრავლესობასთან შესაძლებელია უკეთესი თანამშრომლობა — იქნებ უფრო პროდუქტიული გამომდგარიყო მომჩივნების მიერ მტკიცებულების და მისი მნიშვნელობის შესწავლის მოთხოვნა, რომ შემდეგ სათანადო დაცვის საშუალებაც გამოყენებულიყო. საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული შედეგების შემთხვევაში ამ საშუალებებში შევიდოდა ხმების გადათვლა, შედეგების იზოლირება, სანამ სადავო საკითხი გადაწყდებოდა, და/ან შედეგების დარეგულირება ისე, რომ კომისიის ზეკვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერა (ანუ კონსენსუსი) გამხდარიყო საჭირო.

რეკომენდაციები

ცესკო-მ უნდა მიიღოს ზომები კომისიებსა და სასამართლოებში შეტანილი საარჩევნო განცხადებებისა და სარჩელების რეგისტრაციის და აღრიცხვის გასაუმჯობესებლად და ეს ინფორმაცია რეგულარულად განათავსოს ინტერნეტში;

უნდა დაიხვეწოს წინასაარჩევნო კამპანიის სერიოზულ დარღვევებთან დაკავშირებული კანონმდებლობა (თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და ხმების მოსყიდვა). კერძოდ, რაც შეიძლება ზუსტად უნდა განისაზღვროს დარღვევები კამპანიის დროს, რათა დამრღვევებისთვის სანქციის დაწესებას ხელი არ შეუშალოს განზრახვასა და რეალურად მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებულმა კითხვებმა. უნდა დაზუსტდეს ასევე იურისდიქციისა და პროცედურული საკითხები სხვა სახის დარღვევებისთვის.

ცესკო კანონით უნდა აღიჭურვოს უფლებამოსილებით და მას უნდა მოეთხოვოს საარჩევნო კომისიებში განცხადების/საჩივრის განხილვის პროცესისთვის მარეგულირებელი წესე-

ბის შექმნა. წესები უნდა ითვალისწინებდეს განსაკუთრებულ პროცედურას/საშუალებებს იმ საქმეებისთვის, სადაც მტკიცებულებასა და გარემოებებთან დაკავშირებული პრობლემები არსებობს; ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კომისიის შემადგენლობის უმცირესობას ამ საშუალებების გამოყენების მოთხოვნა შეეძლოს;

უნდა გაიზარდოს საოლქო კომისიების როლი საარჩევნო დოკუმენტაციის შესწავლასა და განცხადება/საჩივრის მოგვარებაში მათი შემადგენლობის, უფლებამოსილებების, რესურსებისა და ვადების გაზრდასთან ერთად. კერძოდ, საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების შემდგომი პერიოდის საჩივრების ფაქტობრივი საკითხების განხილვის და დაცვის სათანადო საშუალებების შექმნის ცენტრი უნდა გახდეს;

უნდა დაიხვეწოს საუბნო კომისიებიდან მიღებული ოფიციალური ვიდეორჩანანერების გამოთხოვნის და გამოყენების წესები, რაც დააბალანსებს ისეთ ფაქტორებს, როგორც არის პირადი საიდუმლო, არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა და მათი საბოლოო ხასიათი, ასევე დარღვევების დამამტკიცებელი მასალების მოპოვების სასურველობა;

უნდა ამაღლდეს მიუკერძოებლობის გრძნობა და პროფესიონალიზმი სამივე დონის საარჩევნო კომისიების წევრებსა და თანამშრომლებს შორის; შემუშავებული უნდა იქნეს პროცედურები, რათა კომისიის ყველა წევრს თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ოფიციალურ დოკუმენტაციაზე და მასალაზე, მათ შორის გადანყვეტილებების პროექტებსა და მოსამზადებელ მასალებზე;

უნდა გაუმჯობესდეს საარჩევნო დავების განმხილველ მოსამართლეთა შერჩევის პროცედურა და გაძლიერდეს მოსამართლეთა ობიექტურობა და დამოუკიდებლობა. სასამართლო განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს თითოეულ საქმეზე მიღებულ გადანყვეტილებას და არა სასამართლო ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებულ დოქტრინას. მსგავსი სახელმძღვანელო პრინციპი გამჭვირვალედ უნდა შეიქმნას და ის უნდა ეცნობოს დაინტერესებულ საზოგადოებას და იურისტებს. გადანყვეტილებებს საარჩევნო საქმეებზე უნდა ახლდეს დაწვრილებითი

ფაქტობრივ/სამართლებრივი ანალიზი.

სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური ოპოზიცია უნდა ცდილობდნენ, რომ ნაკლებ კონფრონტაციულები იყვნენ სავარაუდო დარღვევებთან დამოკიდებულებაში; უნდა მოერიდონ შედეგების გაუქმების მოთხოვნას, როგორც დაცვის საშუალებას, და არჩევანი გააკეთონ განცხადებაზე/საჩივარზე რეაგირების გონივრული პროცედურებისა და მეთოდების შეთავაზების სასარგებლოდ.

არჩევნებზე ადგილობრივი და საერთაშორისო დაკვირვება და მონიტორინგი

*ავტორები: მარი-კარენ ფონ გუმპენბერგი და თეონა გამ-
ცემლიძე, საქართველოში ეუთო-ს მისიის არჩევნების/დე-
მოკრატიზაციის გუნდი³*

შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში არჩევნებზე დაკვირვება და მონიტორინგი ამ თუ იმ ქვეყანაში დემოკრატიზაციის დონის სულ უფრო მნიშვნელოვან მაჩვენებლად გვევლინება. არჩევნებზე დაკვირვებისა და მონიტორინგის სფეროში უამრავი ორგანიზაცია მუშაობს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეებზე და მათთვის დიდი რაოდენობით გამოიყოფა თანხები, რაც იმით აიხსნება, რომ დაკვირვება და მონიტორინგი:

ხელს უწყობს დემოკრატიული პრაქტიკისა და ინსტიტუტების გაძლიერებას;

აყალიბებს საზოგადოების ნდობას საარჩევნო პროცესებისადმი; და

იცავს საარჩევნო პროცესს გაყალბების, დაშინებისა და ძალადობის შემთხვევებისაგან.

ამ მიზნების შესასრულებლად არჩევნების პროცესით დაინტერესებულმა ადგილობრივმა და საერთაშორისო საზოგადოებებმა არჩევნების მიმართ ორი მკაფიო მიდგომა ჩამოაყალიბეს:

3. ეს სტატია ასახავს ავტორების და არა საქართველოში ეუთო-ს მისიის ან ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის თვალსაზრისს.

დაკვირვება: არჩევნებზე დამკვირვებელი საერთაშორისო ორგანიზაციების უმეტესობა ცდილობს, აამაღლოს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების დონე სრულყოფილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შეფასებით. დამკვირვებელი ორგანიზაციები შეზღუდულნი არიან დროში და მათ მიზანს არ წარმოადგენს არჩევნების ჩატარების პროცესში ჩარევა ან შედეგების ბათილად ცნობა. მათი ღრმა რწმენით, საარჩევნო პროცესის ლეგიტიმაციისა და სანდოობის საკითხებს საბოლოოდ მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობა ნყვეტს.

მონიტორინგი: ადგილობრივი მიუკერძოებელი ორგანიზაციები, იღვნიან რა, რომ ბოლომდე დაიცვან საუკეთესო პრაქტიკა და გამოიყენონ საერთაშორისო სტანდარტები, აკვირდებიან საარჩევნო პროცესს, როგორც მიუკერძოებელი და ობიექტური მონაწილეები. ისინი საქმეში მაშინ ერევიან, თუ ირღვევა კანონი – და ამ დროს ისინი დაკვირვების პროცესში კი არა, მონიტორინგში არიან ჩართულნი. მონიტორინგთან დაკავშირებულ საქმიანობას თან ახლავს კონკრეტული დახმარების პროგრამები, რომელთა მიზანია საარჩევნო პროცესის გაუმჯობესება, მაგალითად, ისინი დამოუკიდებლად ამონმებენ კენჭისყრის, ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცესებს ხმების პარალელური დათვლის მეშვეობით და ამგვარად მოქმედებენ გაყალბების საფრთხისგან დამცველების სახით.

ადგილობრივი მონიტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საარჩევნო პროცესში. მათი უპირატესობა საერთაშორისო დამკვირვებლებთან შედარებით იმაშია, რომ მათ იციან ადგილობრივი ენა და ჩვეულებები, კარგად ერკვევიან პოლიტიკურ ვითარებაში და შედარებით ნაკლები ხარჯით შეუძლიათ სადამკვირვებლო პროცესში ჩართვა. ამასთან, სხვადასხვა უბანზე ადგილობრივი დამკვირვებლების ერთიანად განთავსებაც გაცილებით ადვილია. ამავე დროს, საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის იოლად ხელმისაწვდომია სპეციალიზებული საარჩევნო „ექსპერტული ცოდნა“, ისინი ნაკლებად დაინტერესებულნი არიან შედეგებით და უფრო თვალშისაცემი პირები არიან რადგან მათ დიდ დროს უთ-

მობს ადგილობრივი მასმედია. ბოლოს, და ალბათ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საერთაშორისო დამკვირვებლებს უფრო მეტი ბერკეტი აქვთ საარჩევნო პროცესის დასაცავად საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, პირობების დათქმით თუ უცხოური დახმარების მიღების მოტივირებით.

არჩევნებზე დაკვირვების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა შედარებით ლიბერალურია. ადგილობრივ მონიტორებს (მეთვალყურეებს) და საერთაშორისო დამკვირვებლებსაც საარჩევნო პროცესზე დაკვირვების თანაბარი უფლებები აქვთ. საარჩევნო კოდექსი არ ანსხვავებს ერთმანეთისგან დაკვირვებასა და მონიტორინგს. კოდექსის 68-ე და 69-ე მუხლები დამკვირვებელი ორგანიზაციების ზოგად განმარტებას იძლევიან:

„ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება რეგისტრაციაში გატარების მომენტისთვის ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას...“ (მუხლი 68.2)

„საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის დამფუძნებელი დოკუმენტი ითვალისწინებს არჩევნებზე მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებების დაცვას...“ (მუხლი 68.5)

კოდექსის 69-ე მუხლი დამკვირვებელი/მონიტორინგის განმარტებული ორგანიზაციების რეგისტრაციის პროცესს შემდეგნაირად განმარტავს:

„საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას, აგრეთვე იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს ცესკო“ (მუხლი 69.1), ხოლო „რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია“ (მუხლი 69.2).

რეგისტრაციაში გასატარებლად ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 10 დღისა, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციამ – არა უგვიანეს 7 დღისა (მუხლი 69.3 და 69.4) რეგისტრაცია ძალაშია ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან ორკვირიანი ვადის ამონურვამდე (მუხლი 69.11).

კოდექსის ეს მუხლები ძალაში შევიდა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე. ძველი მუხლები საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის რეგისტრაციის სხვადასხვა წესს ითვალისწინებდა. მაგრამ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე ეს დისკრიმინაციული წესი შეიცვალა და საპარლამენტო არჩევნებისთვის ადგილობრივმა დამკვირვებლებმა მიიღეს იგივე უფლებები, რაც საერთაშორისოებს ჰქონდათ, კერძოდ, მონიტორინგი განეხორციელებინათ საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე. ამას გარდა, რეგისტრაციისთვის განკუთვნილი ვადა ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის შეიცვალა და არჩევნების დღემდე 30 დღე გახდა.

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ცესკო-მ რეგისტრაციაში გაატარა დამკვირვებლები 34 ადგილობრივი არაპარტიული ორგანიზაციიდან, 50 საერთაშორისო ორგანიზაციიდან და 18 საელჩოდან. ეს ციფრები ოდნავ შეიცვალა საპარლამენტო არჩევნებისთვის და შეადგინა: 37 ადგილობრივი არაპარტიული ორგანიზაცია, 46 საერთაშორისო ორგანიზაცია და 17 საელჩო. ამას გარდა, ცესკო-მ რეგისტრაციაში გაატარა ყველა იმ პარტიის მიერ შერჩეული დამკვირვებელი, რომელსაც კანდიდატი ან კანდიდატთა სია ჰქონდა წარმოდგენილი.

საერთაშორისო არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციები

საერთაშორისო ორგანიზაციებს განსხვავებული მიდგომები აქვთ დაკვირვების პროცესის მიმართ. ერთ-ერთი მათგანია გრძელვადიანი დაკვირვების მოდელი. ეს ფართომასშტაბიანი და ყოვლისმომცველი მიდგომაა, რომელიც მოითხოვს დამკვირვებელთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მუდმივად დასწრებას მთლიან საარჩევნო პროცესზე. მეორე მოდელი მოკლევადიანია და ეყრდნობა ფაქტების მოძიების მიზნით ჩატარებულ ინტერვიუებს საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირებთან, მთავრობის წევრებთან, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თუ ჯგუფებთან. ამ მიდგომით, დამკვირვებელი მის მიერ მოძიებულ მონაცემებს კენჭისყრის დღეს თავისი დაკვირვების შედეგებით ავსებს.

2008 წლის არჩევნების განმავლობაში პირველი მიდგომა გამოიყენა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა, ხოლო მეორე – ევროპის საბჭომ და ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა. სამივე ორგანიზაცია თავის ძირითად საქმიანობად დაკვირვებას მიიჩნევდა და არ ჩარეულა საარჩევნო პროცესში, შესაბამისად, მათ განცხადება და საჩივარი არსად შეუტანიათ

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი

2008 წლის არჩევნებისთვის ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა გამოიყენა დაკვირვების პროცედურის საკუთარი სტანდარტი. 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით, რისთვისაც მას ოფიციალურად მიმართეს, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისმა 2007 წლის 20 და 21 ნოემბერს ჩაატარა საჭიროებათა შეფასება, რათა:

დაედგინა, თუ რამდენად შესაძლებელი იყო არჩევნების ჩატარება ეუთო-ს ვალდებულებების დაცვით;

ერჩია დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის დირექტორისთვის ოფისის შესაძლი საქმიანობის შესახებ;

დარწმუნებულიყო, აპირებდა თუ არა მასპინძელი ხელისუფლება მინიმალური პირობების დაცვას ეფექტიანი დაკვირვების განსახორციელებლად.

საჭიროებათა შეფასების მისიის წარმომადგენლები (შემდგომში „მისია“) შეხვდნენ ოფიციალურ პირებს, საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას, პოლიტიკური პარტიების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებს. მისიის მიერ მომზადებული ანგარიში დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის დირექტორს აცნობდა შესაქმნელი სადამკვირვებლო მისიის მოცულობას და მისი საქმიანობის მასშტაბს. ანგარიშში დადგინდა, აგრეთვე, გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლების რაოდენობა, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებს უნდა გამოეგზავნათ შესაბამისი მისიის განსახორციელებლად. ამგვარად, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისმა სადამკვირვებლო მისიები საქართველოში გამოაგზავნა დაახლოებით 5 კვირით ადრე კენჭისყრის დღემდე. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის.

საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებელ მისიას ხელმძღვანელობდა ელჩი დიტერ ბოდენი. მისიაში შედიოდა 14 ექსპერტი არჩევნების სფეროში და 28 გრძელვადიანი დამკვირვებელი ეუთო-ს 25 მონაწილე სახელმწიფოდან. საპარლამენტო არჩევნებზე მისიას უძღვებოდა ელჩი ბორის ფრლერი და მისიაში შედიოდა 14 ექსპერტი და 28 გრძელვადიანი დამკვირვებელი.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ შექმნილმა მისიამ შეაფასა საარჩევნო პროცესის შესაბამისობა ეუთო-ს ვალდებულებებთან, დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან და შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან. დამკვირვებლები ყურადღე-

ბით აკვირდებოდნენ წინასაარჩევნო კამპანიის დროს მიმდინარე საქმიანობას, მედიაში არჩევნების გაშუქებას, სწავლობდნენ სამართლებრივ ჩარჩოებს და კანონების შესრულების საკითხს, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სამთავრობო უწყებების მუშაობას, აგრეთვე საარჩევნო დავების გადაწყვეტის პრობლემას.

კენჭისყრის დღისთვის სადამკვირვებლო მისიამ გააერთიანა თავისი ძალების გარკვეული ნაწილი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპარლამენტის სადამკვირვებლო დელეგაციებთან და შექმნა ერთიანი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია. ეს ფორმატი კიდევ უფრო გაფართოვდა, როცა საპარლამენტო არჩევნებისას მას ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

საპრეზიდენტო არჩევნების დღეს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ ეუთო-ს 45 მონაწილე სახელმწიფოდან 495 დამკვირვებელი განათავსა საარჩევნო უბნებზე. ისინი აკვირდებოდნენ საარჩევნო უბნების გახსნის პროცესს 175 უბანზე, კენჭისყრის პროცედურას არსებული 3,511 უბნიდან 1,770-ზე და ხმების დათვლას 180 უბანზე. მისია აკვირდებოდა, აგრეთვე, საოლქო საარჩევნო კომისიათა უმეტესობის მუშაობას.

საპარლამენტო არჩევნების დღეს საერთაშორისო მისიაში შედიოდა 550 მოკლევადიანი დამკვირვებელი 48 მონაწილე სახელმწიფოდან. ისინი დაესწრნენ 160 საარჩევნო უბნის გახსნას, აკვირდებოდნენ კენჭისყრას 3,630 არსებული უბნიდან 1,770-ზე და ხმების დათვლას 150 უბანზე. საერთაშორისო მისია ესწრებოდა ასევე საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემას და მონაცემთა ცხრილების შედგენას არსებული 76 საარჩევნო საოლქო უბნიდან 73-ში.

ყველა დამკვირვებელი ვალდებული იყო, დაეცვა ეუთო-ს დამკვირვებლის ქცევის კოდექსი, რომელიც შემუშავდა იმ მიზნით, რომ დამკვირვებელი მისიის ნებისმიერ წევრს მაღალი პროფესიული და პიროვნული სტანდარტების დაცვით ემუშავა და ისე მოქცეულიყო, როგორც დამოუკიდებელ და მიუყვებელ დამკვირვებელს შეეფერება.

ორივე მისიამ, ეუთო-ს სადამკვირვებლო და საერთაშორისო სადამკვირვებლომ, განცხადება გააკეთეს წინასწარ მონაცემებთან და დასკვნებთან დაკავშირებით პრესკონფერენციაზე არჩევნე-

ბის მომდევნო დღეს. განცხადებები მათ საქმიანობას ეყრდნობო-
და. განცხადებები ეხებოდა უმთავრეს მონაცემებსა და დასკვნებს
სამართლებრივი ჩარჩოების, საარჩევნო ადმინისტრაციის, წინა-
საარჩევნო კამპანიისა და მედიის შესახებ, ასევე კენჭისყრისა და
ხმების დათვლის პროცედურებს. მათში მოცემული იყო წინასწარი
შეფასება, თუ როგორ იქნა დაცული ეუთო-ს ვალდებულებები და
სხვა საერთაშორისო პრინციპები არჩევნების პროცესში და შეს-
რულდა თუ არა შიდასახელმწიფოებრივი საარჩევნო კანონმდე-
ბლობა და წესები. განცხადებებს წინასწარი ეწოდა იმ მიზეზით,
რომ ისინი გაკეთდა მთლიანი საარჩევნო პროცესის დასრულება-
მდე. ხმების დათვლა და დაჯამება ჯერ დამთავრებული არ იყო.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლე-
ბათა ოფისმა საბოლოო ანგარიში საპრეზიდენტო არჩევნების
შესახებ გამოსცა არჩევნების დამთავრებიდან ორი თვის ვადაში,
ხოლო საპარლემენტო არჩევნებისთვის – ოთხი თვის ვადაში. მას-
ში შევიდა სადამკვირვებლო მისიის დასკვნები იმასთან დაკავში-
რებით, თუ როგორ იქნა დაცული საარჩევნო პროცესში ეუთო-ს
ვალდებულებები, საერთაშორისო პრინციპები და არჩევნების
დემოკრატიულად ჩატარებისთვის საჭირო სხვა საერთაშორისო
მოთხოვნები, ასევე როგორ შესრულდა შიდასახელმწიფოებრივი
საარჩევნო კანონმდებლობა. ანგარიშში მოცემულია აგრეთვე რე-
კომენდაციები, რომლებიც განკუთვნილია მასპინძელი ხელისუ-
ფლებისთვის, რათა მან დახვეწოს და გააუმჯობესოს საარჩევნო
პროცესი და შესაბამისობაში მოიყვანოს ეუთო-ს მოთხოვნებთან.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა

განსხვავებით ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და
ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიისგან, რო-
მელიც ფართომასშტაბიან და ყოვლისმომცველ მიდგომას იყე-
ნებდა არჩევნებზე დაკვირვებისთვის, ევროპის საბჭომ თავისი
მოკლევადიანი მოდელი გამოიყენა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისგან მონვევის მი-
ლების შემდეგ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუ-
რომ 2007 წლის 27 ნოემბერს გამართულ სხდომაზე გადაწყვიტა,

შექმნა დროებითი კომისია საქართველოს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე დასასწრებად და მონიტორინგის ჩასატარებლად. დროებითი კომისიის ხელმძღვანელად და მომხსენებლად ბ-ნი მათიას იორში დაინიშნა.

წინასაარჩევნო კამპანიის შესაფასებლად და არჩევნებამდე არსებული პოლიტიკური კლიმატის შესასწავლად საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ საქართველოში გამოაგზავნა წინასაარჩევნო მისიები. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მისია საქართველოში იმყოფებოდა 2007 წლის 5-დან 7 დეკემბრამდე, ხოლო საპარლამენტო არჩევნებისთვის – 2008 წლის 23-დან 26 აპრილამდე.

თბილისში ორივე მისიის წარმომადგენლები შეხვდნენ, *inter alia*, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს და ხელახლა არჩეულ პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს და პარლამენტის თავმჯდომარეს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეებს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, გენერალურ პროკურორს, მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, საერთაშორისო თანამეგობრობის, მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. ოფიციალური ვიზიტის დასასრულს წინასაარჩევნოდ ჩამოსულმა დელეგაციამ გააკეთა და მედიის საშუალებით გაავრცელა განცხადებები, რომლებიც დაურიგდათ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს.

არჩევნების დღისთვის დროებითი კომიტეტის წევრები შეუერთდნენ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას. კომიტეტის 25-მა წევრმა დაკვირვება განახორციელა საპრეზიდენტო არჩევნებზე, 23-მა წევრმა კი - საპარლამენტო არჩევნებზე. საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისას კომიტეტის წევრები მუშაობდნენ ბათუმსა და მის შემოგარენში, გორში, კახეთში, კაზრეთში, რუსთავში, თბილისსა და თელავში, ხოლო საპარლამენტო არჩევნებისას - თბილისსა და მის შემოგარენში, ბოლნისში, მარნეულში, მცხეთასა და გორში. გარდა ამისა, კომიტეტის წევრები შეხვდნენ, *ინტერ ალია*, არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს, ცესკო-ს თავმჯდომარეს, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მი-

სიის ხელმძღვანელს და თანამშრომლებს და მასმედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ საბოლოო ანგარიში გამოსცა საპრეზიდენტო არჩევნიდან სამი კვირის შემდეგ, 2008 წლის 21 იანვარს, და საპარლამენტო არჩევნიდან ოთხი კვირის შემდეგ, 2008 წლის 23 ივნისს. დროებითმა კომიტეტმა შეაფასა, თუ რამდენად შესაბამებოდა ევროპის საბჭოს სტანდარტებს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა, კანდიდატთა და ამომრჩეველთა რეგისტრაციის ჩატარება, საერთოდ წინასაარჩევნო პერიოდი და მედიის მუშაობა, ასევე არჩევნების დღის პროცედურები - ხმების დათვლა და დაჯამება.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა იგივე მეთოდოლოგია გამოიყენა, რაც ევროპის საბჭომ. ეს იყო მოკლევადიანი დაკვირვების მოდელი, რომელიც მიზნად ისახავდა, მიზნობრივად შეეფასებინა პროცესები და ჩარეულიყო მათში.

წინასაარჩევნო დელეგაცია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტიდან თბილისში 2007 წლის 10 დეკემბერს ჩამოვიდა და 14 დეკემბრამდე მუშაობდა საპრეზიდენტო არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოს შესაფასებლად. დელეგაციას მიზნად ჰქონდა საარჩევნო გარემოსა და მისი მნიშვნელობის შეფასება დემოკრატიის განვითარებისთვის, რეკომენდაციების შემუშავება საარჩევნო პროცესისადმი ნდობის გაზრდის და მასში მონაწილეობის გააქტიურების მიზნით, და ბოლოს, დელეგაციას უნდა განესაზღვრა ინსტიტუტის სადამკვირვებლო მისიის საჭიროებები არჩევნების დღისთვის. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაციამ სპეციალური განცხადება გაავრცელა.

წინასაარჩევნო დელეგაციის მიერ მიწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა 2007 წლის 31 დეკემბრიდან 7 იანვრამდე თბილისში გამოაგზავნა 24 წევრიანი საერთაშორისო დამკვირვებელი მისია. დელეგაციის წევრები შეხვდნენ პრეზიდენტობის კანდიდატებს, პოლიტიკურ ლიდერებს სახელმწიფო

და ადგილობრივ დონეებზე, საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირებს, მთავრობის წევრებს, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს. არჩევნების დღეს დელეგაცია აკვირდებოდა კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცედურებს საარჩევნო უბნებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. არჩევნების მეორე დღეს დელეგაციის წევრები თბილისში დაბრუნდნენ თავიანთი მონაცემების გასაზიარებლად და განცხადების მოსამზადებლად. 2008 წლის 7 იანვარს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა პრესკონფერენცია გამართა და წინასწარი განცხადება გაავრცელა საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ.

საპარლამენტო არჩევნებისთვის ინსტიტუტმა ოდნავ შეცვალა მეთოდები. მან კიდევ ერთხელ ჩაატარა წინასაარჩევნო შეფასება 2008 წლის 28 აპრილიდან 2 მაისამდე; შედეგად, გადანყდა, რომ არჩევნების დღისთვის აღარ გააგზავნიდა დამკვირვებლებს, სამაგიეროდ, 2008 წლის 17 აპრილიდან 2008 წლის 1 ივნისამდე გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიას განახორციელებდა. მისიის მიზანი იყო:

- დაკვირვებოდა წინასაარჩევნო კამპანიის გარემოს საპარლამენტო არჩევნებისთვის;
- შეეფასებინა, როგორ სრულდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის ინიცირებული ქცევის კოდექსი; და
- შეეფასებინა, თუ იქნა მხედველობაში მიღებული ინსტიტუტის დელეგაციის მიერ მომზადებული რეკომენდაციები.

ინსტიტუტის დელეგაციის წევრები შეხვდნენ პარლამენტის წევრობის კანდიდატებს, პოლიტიკურ ლიდერებს სახელმწიფო და ადგილობრივ დონეებზე, საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პირებს, მთავრობის წევრებს, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს. ამას გარდა, ისინი ეწვივნენ და შეხვდნენ მოსახლეობას თბილისში, ქუთაისში, ტყიბულში, ამბროლაურში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ხელვაჩაურში, ბორჯომში, ახალციხეში, ახალქალაქში, მცხეთაში, გორში, ახალგორში, თელავში, ახმეტასა და ნინოწმინდაში.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გრძელვადიანი დაკვირვება/მონიტორინგი არ მოიცავდა არჩევნების დღის დაკვირვებას ან არჩევნების შემდგომ პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე სრულყოფილ მონიტორინგს. თუმცა ჯგუფის წევრები არჩევნების დღეს მაინც ეწვივნენ უბნებსა და შედეგების შეჯამების ცენტრებს თბილისში და მონიტორინგი განახორციელეს პარტიებისა და ამომრჩევლებისგან შემოსულ საჩივრებთან დაკავშირებულ პროცედურებზე მისიის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ზოგადად, არჩევნების შეფასების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მეთოდოლოგია ეფუძნება იმ წინაპირობას, რომ საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტი უნდა იქნეს შესწავლილი და რომ არჩევნების განხილვა იმ პოლიტიკური კონტექსტისაგან იზოლირებულად, რომელშიც ის ტარდება, შეუძლებელია. შესასწავლ ფაქტორებს შორისაა:

კონსტიტუციით დადგენილი სამართლებრივი ჩარჩოები არჩევნებისათვის, მათ შორის საარჩევნო კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული კანონები;

მოქალაქეთა შესაძლებლობები, მიიღონ საკმარისი და ზუსტი ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც გააკეთებენ პოლიტიკურ არჩევანს;

პოლიტიკური კონკურენტების შესაძლებლობები, ორგანიზება გაუწიონ მოქალაქეებთან შეხვედრებს და იქონიონ მათთან კავშირი მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად;

მასმედიის მიერ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების, პარტიებისა და კანდიდატების საქმიანობის გაშუქება;

მოქალაქეებისა და პოლიტიკური კონკურენტების თავისუფლება, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში და გააკეთონ არჩევანი და არ ჰქონდეთ შიში, რომ მათ დააშინებენ, დასჯიან ან სამაგიეროს გადაუხდიან და მათ წინააღმდეგ მიმართავენ ძალადობას;

ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი და ამომრჩეველთა საბოლოო სიის სანდოობა; არჩევნებში მონაწილეობის უფლება;

კენჭისყრის, ხმების დათვლის, შედეგების შეჯამების, ოქმების გადაცემისა და შედეგების გამოცხადების პროცედურები; და სათანადოდ არჩეულ პირთა თანამდებობაზე დანიშვნა.

ძირითადი ადგილობრივი დამკვირვებელი და მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მონიტორინგს უწევდა მთელ საარჩევნო პროცესს, მათ შორის წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციას, კენჭისყრასა და ხმების შეჯამებას. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეაფასა, თუ რამდენად იცავდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგელები, მედია, საჯარო მოსამსახურეები და ხელისუფლების ორგანოები საარჩევნო კანონმდებლობასა და მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს. ყურადღება გამახვილდა საარჩევნო თანხების განაწილებაზე, ხარჯვაზე და მათთან დაკავშირებულ ანგარიშგებაზე.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მონიტორინგს უწევდა წინასაარჩევნო პერიოდს თბილისსა და 7 რეგიონულ ცენტრში (ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, თელავში, რუსთავში, გორსა და დუშეთში) და ყურადღებას ამახვილებდა საკანონმდებლო ხასიათის ხარვეზებსა და პრაქტიკაში დაშვებულ შეცდომებზე, რომლებიც კანდიდატებს შორის თავისუფალ და სამართლიან კონკურენციაზე ზეგავლენას ახდენდნენ. საპარლამენტო არჩევნების დროს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ფოკუსირება მოახდინა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე, კერძოდ კი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოხელეების მონაწილეობაზე წინასაარჩევნო კამპანიაში, მატერიალური ფასეულებებისა და მომსახურების მიწოდებაზე მოქალაქეებისთვის და მათთვის დაპირებების მიცემაზე.

საპრეზიდენტო არჩევნების დღეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დაახლოებით 350 წარმომადგენელი აწარმოებდა დაკვირვებას საარჩევნო უბნებზე თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა

და ხელვაჩაურში, ხოლო საპარლამენტო არჩევნებზე ორგანიზაცია 716 დამკვირვებელი განათავსა 40 საარჩევნო ოლქში მთელ საქართველოში. დაკვირვების ფორმატი მოიცავდა:

მუდმივ მონიტორინგს შერჩეულ უბნებზე;

დამკვირვებლების მობილურ ჯგუფებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ოლქის უბნებზე დადიოდნენ, სწავლობდნენ პროცედურებს და ავლენდნენ დარღვევებს (თუკი დარღვევებს ჰქონდა ადგილი); და

მუდმივ დაკვირვებას საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ცესკო-ში.

არჩევნების დღეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მონიტორინგს უწევდა, აღნუსხავდა აშკარა დარღვევებს და რეაგირებდა მათზე საჩივრების შედგენისა და გასაჩივრების გზით. კენჭისყრის უბნების დახურვის შემდეგ ასოციაციის მობილურმა ჯგუფებმა შეარჩიეს ის უბნები, რომლებმაც მათი ყურადღება მიიპყრო დღის განმავლობაში, და დაესწრნენ ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს. დღის განმავლობაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში მუშაობდა ცხელი ხაზი, სადაც მოქალაქეებს შეეძლოთ შეეტყობინებინათ არჩევნებზე მომხდარი დარღვევების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში მობილური ჯგუფები გადიოდნენ ადგილზე და ზომებს იღებდნენ მოქმედი სამართლებრივი ნორმების გამოყენებით. საპრეზიდენტო არჩევნებზე მიღებული გაკვეთილების გამო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ხმების დათვლისა და შეჯამების პროცესს და დამატებითი ჯგუფები გამოიყენა.

საპრეზიდენტო არჩევნებზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოში დაახლოებით 230 საჩივარი შეიტანა არჩევნების დღის პროცედურებთან და შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებით, საპარლამენტო არჩევნებზე კი მის მიერ შეტანილი 216 საჩივარი არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში მომხდარ დარღვევებს ეხებოდა. საპარლამენტო არჩევნებზე მომხდარი დარღვევების გასაჩივრება ახალგაზრდა იუ-

რისტთა ასოციაციის მიერ დამთავრდა: 11 უბანზე არჩევნების შედეგების გაუქმებით, 7 უბანზე ხმების გადათვლით, 10 შემაჯამებელი ოქმის გადასინჯვით, 12 შემთხვევაში კი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის პასუხისმგებლობის საკითხი დადგა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ძირითადი დონორები იყვნენ "National Endowment for Democracy", ევროკავშირი და „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“, ასევე გაერთიანებული სამეფოს, ნიდერლანდების სამეფოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოები საქართველოში.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

თუ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყურადღებას საარჩევნო პროცედურების სამართლებრივ მხარეზე ამახვილებდა, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას მიზნად ჰქონდა ამომრჩეველთა ცოდნის ამაღლება საარჩევნო საკითხებზე, ამომრჩეველთა სიებისა და კენჭისყრის დღის პროცედურებზე. სხვა პროექტებთან ერთად სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ჩაატარა კამპანია სახელწოდებით „მე ხმას ვაძლევ პირველად“, განახორციელა ამომრჩეველთა სიების მონიტორინგი და აუდიტი, ხოლო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად — საინფორმაციო კამპანია ამომრჩევლებისთვის, რომელშიც ავტოტურები და ცხელი ხაზი შედიოდა.

ორივე არჩევნების დროს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება მონიტორინგს უწევდა საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპს: წინასაარჩევნო პერიოდში, კენჭისყრის დღეს და არჩევნების შემდგომ. რაც შეეხება თავის მოპოვებულ ინფორმაციას, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება პერიოდულად ანყობდა ბრიფინგებს და პრესკონფერენციებს და ელფოსტით ავრცელებდა თავის ბიულეტენს „საარჩევნო სიახლეები“.

წინასაარჩევნო პერიოდში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ გრძელვადიანი მო-

ნიტორინგი განახორციელა 75 საარჩევნო ოლქში, სადაც მისი კოორდინატორები თვალყურს ადევნებდნენ, თუ როგორ ხდებოდა თანამშრომელთა მიღება საარჩევნო ადმინისტრაციაში. ისინი ესწრებოდნენ საოლქო საარჩევნო კომისიებისა და ცესკო-ს სხდომებს და აკვირდებოდნენ წინასაარჩევნო პროცედურებს და საარჩევნო კამპანიებს. ამას გარდა, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება აკვირდებოდა ამომრჩეველთა სიების გადამოწმების პროცესს.

საპრეზიდენტო არჩევნები:

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ხმების პარალელური დათვლის შედეგები – ცესკო-ს საბოლოო მონაცემები

საარჩევნო სუბიექტი	ISFED-ის მიერ ხმების პარალელური დათვლა	ცესკო
ლევან გაჩეჩილაძე (გაერთიანებული ოპოზიცია)	27.2%	25.69%
არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი (დამოუკიდებელი კანდიდატი)	7.3%	7.10%
დავით გამყრელიძე (ახალი მემარჯვენეები)	4.3%	4.02%
შალვა ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტია)	7.0%	6.49%
მიხეილ სააკაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა)	50.8%	53.47%
გია მანისაშვილი (დამოუკიდებელი კანდიდატი)	1.0%	0.77%
ირინა სარიშვილი (დამოუკიდებელი კანდიდატი)	0.2 %	0.16%
ბათილად ცნობილია	2.2%	2.3%
სულ	100%	100%

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია, ISFED

არჩევნების დღეს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება აკვირდებოდა არჩევნების მიმდინარეობას.

ნარეობას 75 საარჩევნო უბანზე. ის მხოლოდ ზემო აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში (დიდი და პატარა ლიახვის ხეობების გარდა) არ შესულა, თუმცა მონიტორინგი განახორციელა ერაყის ორ საარჩევნო უბანზე. საპრეზიდენტო არჩევნებისას სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება 3,512 საარჩევნო უბნიდან 3,249-ზე ატარებდა მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით და მის გარეთაც, ხოლო საპარლამენტო არჩევნებზე 1,129 უბანზე განახორციელა დაკვირვება 3,605 უბნიდან. მონიტორინგის პროცესში ჩართული იყო 75 მობილური ჯგუფი, რომლებიც ოპერატიულად მოიპოვებდნენ ინფორმაციას და აწვდიდნენ დამკვირვებლებს საოლქო უბნებზე. ამას გარდა, იურისტების 5 ჯგუფი, რომლებიც რეგიონებში მუშაობდა, უბანზე მიმაგრებულ დამკვირვებლებს ადგილზე ეხმარებოდა საკანონმდებლო ნორმებსა თუ წესებში გარკვევაში.

საპრეზიდენტო არჩევნებისას სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ამომრჩეველთა აქტივობისა და ხმების პარალელური დათვლა ჩაატარა. ორივე დათვლა 394 შერჩეულ უბანზე ჩატარდა და ცდომილების ზღვარი +/-2.2% იყო. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ჩატარებული პარალელური დათვლის შედეგების მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებზე მოსახლეობის 55.7% მივიდა, მაშინ, როცა ცესკო-მ 56.19% გამოაცხადა.

საპარლამენტო არჩევნებზე სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ხმების პარალელური დათვლა განახორციელა მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებზე 626 ოლქში და 72 სპეციალურ უბანზე. უბნები შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეირჩა წარმომადგელობითი შედეგის მისაღებად. ხმების პარალელური დათვლის ზღვრული ცდომილება +/-0.8%-ს შეადგენდა 95%-იანი სანდოობით. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამომრჩეველთა აქტივობის პარალელური დათვლის შედეგებმა საპარლამენტო არჩევნებისთვის 52.9% შეადგინა, ხოლო ცესკო-ს მიერ 53% გამოცხადდა.

საპარლამენტო არჩევნებზე სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და საქართველოს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, რომლებსაც კარგად ახსოვდათ საპრეზიდენტო არჩევნებზე მიღებული გამოცდილება, მონიტორინგი განახორციელეს არჩევნების შემდგომ პროცესებზე ცესკო-ს დონეზე და 48 საარჩევნო ოლქში ქვეყნის მასშტაბით. მთავარი მიზანი 24 საათიანი მონიტორინგის ჩატარება იყო საარჩევნო კომისიებში, როცა იქ საჩივრების განხილვა, მათზე გადაწყვეტილებების მიღება და საოლქო კომისიებში შედეგების დათვლა მიმდინარეობდა. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად 537 საჩივარი შეიტანა საოლქო კომისიებში არჩევნების შემდეგ. ამ საჩივართაგან 66 არ განიხილეს, 63 დაკმაყოფილდა, ხოლო 408 არ დაკმაყოფილდა.

საპარლამენტო არჩევნები

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ჩატარებული ხმების პარალელური დათვლის შედეგები – ცესკო-ს საბოლოო შედეგები

საარჩევნო სუბიექტი	ISFED-ის მიერ ხმების პარალელური დათვლა	ცესკო
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“	0.5%	0.46%
რესპუბლიკური პარტია	3.7%	3.78%
მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე-მრენველები	0.9%	0.93%
შალვა ნათელაშვილი-ლეიბორისტული პარტია	7.4%	7.44%
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გამარჯვებული საქართველოსთვის“	59.2%	59.18%
პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“	0.2%	0.19%
გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეები)	17.7%	17.73%
ერთიანი საქართველოს რადიკალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია	0.2%	0.18%

პოლიტიკური კავშირი „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი“	0.9%	0.89%
„გიორგი თარგამაძე-ქრისტიან-დემოკრატები“	8.6%	8.66%
ტრადიციონალისტები-ჩვენი საქართველო-ქალთა პარტია	0.5%	0.44%
პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“	0.2%	0.12%
სულ	100%	100%

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია, ISFED

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების არჩევნებთან დაკავშირებული საქმიანობის დონორები იყვნენ „ევრაზიის ფონდი თანამშრომლობისთვის“, ევროკავშირი, „National Endowment for Democracy“, „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“, ეუთო-ს მისია საქართველოში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და ეროვნულ-დემოკრატიული ისტიტუტი, რომელმაც „National Endowment for Democracy“-ის და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი ქვეგრანტის მეშვეობით გაუწია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას დახმარება. ამას გარდა, ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა ტექნიკური სახის დახმარებაც გაუწია მას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ განსაკუთრებით კომპეტენტურია არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე გრძელვადიანი მონიტორინგის განხორციელებაში. მონიტორინგის მეთოდოლოგია შეიცავდა:

არჩევნებში ჩართულ პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებთან ინტერვიუების ჩატარებას;
ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით სახელმწიფო თანხების განაწილების გაანალიზებას წინასაარჩევნო პერიოდში;

პოლიტიკური რეკლამისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მასობრივი ინფორმაციის შერჩეული საშუალებებით გაშუქების გაანალიზებას;

საარჩევნო კანონმდებლობისა და ცესკო-ს გადანყვეტილებათა გაანალიზებას; და

მმართველი პარტიის წინასაარჩევნო საქმიანობაზე დაკვირვებას.

მონიტორინგის განხორციელებისას ყურადღება გამახვილდა ადმინისტრაციული რესურსების ხუთ სახეობაზე, კერძოდ, სამართლებრივ, ინსტიტუციურ, ფინანსურ, მედიის და ე.წ. ხისტი (ძალოვან) რესურსებზე.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო წინასაარჩევნო კამპანიის დროს მომხდარ დარღვევებს და შეცდომებს, რომელთა გამოც უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ გარკვეული საარჩევნო სუბიექტები, რითაც პრობლემები შეექმნა არჩევნების სამართლიანად და ობიექტურად ჩატარებას და, აქედან გამომდინარე, საბოლოოდ, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასაც.

მონიტორინგის ყურადღების ცენტრში მმართველი პარტია და მისი კანდიდატები მოექცნენ, ვინაიდან ადმინისტრაციული რესურსები სწორედ მმართველი პარტიისთვის იყო ხელმისაწვდომი. ნორმების დარღვევის შემთხვევების გარდა, შესწავლილი იქნა, აგრეთვე, თუ რამდენად თანაბარ პირობებში უწევდათ მმართველ პარტიასა და დანარჩენ სუბიექტებს მუშაობა და როგორ უწყობდა ხელს ხელისუფლება კონკურენტუნარიანი წინასაარჩევნო გარემოს შექმნას ქვეყანაში.

არჩევნების დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ მონიტორინგის მისიის წარმომადგენლები საქართველოში არსებულ წინასწარი პატიმრობის ცენტრებში დააგზავნა (რვა ცენტრში საპრეზიდენტო და ექვსში საპარლამენტო არჩევნების პერიოდში), რათა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისა და ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ხმის მიცემის პროცედურას დაკვირვებოდა.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ თავისუფლების აღკვეთის დანესებულებებში ორი უმთავრესი პრობლემის არსებობა დაადგინა: 1) ყველა ციხის ყაზარმულ რეჟიმზე გადაყვანა, რამაც ციხის თანამშრომლები აიძულა, ციხეში მიეცათ ხმა და არა თავიანთი საცხოვრებელი ადგილის შესაბამის უბანზე; და 2) წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების 93%-ს საშუალება არ მიეცა, არჩევნებში მიეღო მონაწილეობა, რადგან მათგან პირადობის მონმობის ან პასპორტის წარმოდგენას ითხოვდნენ საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად, როგორც ამას საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები ითხოვს. საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ხელისუფლებამ ერთ-ერთი — პირადობის მონმობასთან დაკავშირებული — პრობლემა მოაგვარა და ისნის ქალთა კოლონიაში და №1 საპატიმროში, კრწანისის რაიონში, იუსტიციის სამინისტრომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა უმრავლესობისთვის პირადობის მონმობები უზრუნველყო.

საპარლამენტო არჩევნების პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ მონიტორებმა დაკვირვება განახორციელეს კენჭისყრისა და დათვლის პროცედურებზე ქვემო ქართლის ხუთ საარჩევნო ოლქში (მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისში, დმანისსა და წალკაში). ეს გადაწყვეტილება „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ საპრეზიდენტო არჩევნების დროს იქ მომხდარი დარღვევების მასშტაბური ხასიათის გამო მიიღო. მონიტორები დაიგზავნენ 110 უბანზე, რაც ამ ოლქში განთავსებული უბნების 40%-იან დაფარვას შეადგენდა. დამატებითი ხუთი მობილური ჯგუფის წევრები მუდმივ მონიტორებს ეხმარებოდნენ. თავიანთი დამკვირვებლებისთვის ადგილობრივი ხელისუფლებისგან მოსალოდნელი ზენოლა რომ აერიდებინა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ არჩევნების დღისთვის მონიტორები ქვემო ქართლიდან კი არა, სხვა რეგიონებიდან აიყვანა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ თავისი შედეგები ანგარიშში: „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ — არჩევნების დღის მონიტორინგი ქვემო ქართლში“ — გამოაქვეყნა.

ორგანიზაციის მთავარი დონორები ევროკავშირი და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო იყვნენ.

დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა

ეუთო-ს სამუშაო ჯგუფები

ინფორმაციის გაზიარება და დონორთა კოორდინირებული მუშაობა არჩევნების პროცესში ჯანსაღი და მდგრადი ჩარევის ქვაკუთხედაა. წინასწარ დადგენილ ფორმატებზე დაყრდნობით ეუთო-ს მისიამ საქართველოში განავითარა და განავრცო არსებული სამუშაო ჯგუფების კომპეტენცია და შეკრიბა შემდეგი რეგულარული სამუშაო ჯგუფები:

ტიქნიკური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ეუთო-ს მისია ხელმძღვანელობდა. ჯგუფის შეხვედრებს ესწრებოდნენ ცესკო-ს წევრები, დაინტერესებული საელჩოებისა და არჩევნების პრობლემატიკაზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დამსწრეები ერთმანეთს უზიარებდნენ ინფორმაციას დახმარების პროექტების და საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესების შესახებ. ისინი აყალიბებდნენ თავიანთ მოსაზრებების, პრობლემებს და წარუდგენდნენ ელჩების სამუშაო ჯგუფს;

ელჩების სამუშაო ჯგუფი — ორგანიზებას უწევდა საქართველოში ეუთო-ს მისია; ჯგუფის თანათავმჯდომარეები იყვნენ გაერო და ეუთო-ს მისია. შეხვედრებს ესწრებოდნენ ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და ეუთო-ს მონაწილე ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლები. მონაწილეები იღებდნენ ინფორმაციას ტექნიკური სამუშაო ჯგუფისგან პრობლემური საკითხების შესახებ, ახდენდნენ იმ საკითხების ფორმულირებას, რომელთა განხილვა პოლიტიკურ დონეზე უნდა მომხდარიყო და ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან მსჯელობდნენ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ორივე ჯგუფის მუშაობა სასარგებლო აღმოჩნდა ინფორმაციის გაცვლისა და დონორების თანამშრომლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით; შეხვედრების დროს ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა პროგრამული საქმიანობების და შესაძლო გადაფარვების შესახებ, განისაზღვრებოდა ერთობლივი საქმიანობის შესაბამისი მიმართულებები. ეუთო-ს მცდელობებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საქმეში ემატებოდა უამრავი შეხვედრა, რომლებსაც, მაგალითად, ევროკომისიის დელეგაცია ატარებდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საქმიანობის კოორდინირებასთან ან ცესკო — საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისთვის სასწავლო კურსების ჩატარებასთან დაკავშირებით.

ცესკო ორივე ჯგუფს აწვდიდა ინფორმაციას საკუთარი საქმიანობის შესახებ და ამით უფრო გამჭვირვალე გახადა თავისი მუშაობა. დონორებმა, საელჩოებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ უკეთ გააცნობიერეს ცესკო-ს მუშაობის სპეციფიკა და ის სირთულები, რომლებიც მას შეექმნა ვადამდელი არჩევნების გამო. ამავე დროს, ისინი აქტიურად მუშაობდნენ მის დასახმარებლად. წინადადებებს ან ზეპირად წამოჭრიდნენ სამუშაო ჯგუფის სხდომებზე და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე (იხ. ქვემოთ), ან წერილობითი სახით — წერილებით, რომლებსაც ელჩების სამუშაო ჯგუფი ხელისუფლების წარმომადგენლებს უგზავნიდა (იხ. დანართი). ეს წერილები ეხებოდა შემდეგ თემებს:

- არჩევნების თარიღის დროულად დანიშვნას;
- საარჩევნო კოდექსის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას;
- ამომრჩეველთა სიების დახვეწას;
- საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალიზმის ამაღლებას;
- უმცირესობათა ჯგუფების არჩევნებში მონაწილეობის გაზრდას.

საქართველოში ეუთო-ს მისიამ მთელი ეს ძალისხმევა გააერთიანა პუბლიკაციაში სახელწოდებით „2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. საქართველოს დახმარება: საერ-

თაშორისო სტანდარტების მხარდაჭერა". ამ ბროშურაში დონორებისა და პარტნიორების დანერგილი სტატიები და გადაღებული ფოტოებია; ბროშურა რედაქტირებულია ეუთო-ს მისიის მიერ. მასში მოცემულია ცხრილი, რომელიც მიუთითებს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების სირთულეებზე საქართველოში და დეტალურად აღწერს გამონვევების გადაჭრის გზებს, რომლებიც ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ექსპერტების მიერ არის შემუშავებული. ეუთო-ს მისიის საქმიანობამ ხელი შეუწყო დიალოგს დონორებს შორის და, აგრეთვე, დონორებსა და პარტნიორებს შორის და დიდი წვლილი შეიტანა ეფექტიანი და მდგრადი კოორდინირებული მუშაობის ჩამოყალიბებაში არჩევნებით დაიტერესებულ მხარეებს შორის. მან ხელი შეუწყო თანამშრომლობის განვითარებას საარჩევნო საკითხებზე და დააჩქარა პრობლემების მოგვარების გზების ძიების პროცესი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს ხელისუფლებამ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი შექმნა. ჯგუფში შედიოდნენ იუსტიციის, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, რეგიონული კოორდინაციის სამინისტროების, გენერალური პროკურატურისა და ცესკო-ს წარმომადგენლები.

ჯგუფი მოქმედებდა როგორც სწრაფი რეაგირების მექანიზმი წამყვანი სახელმწიფო უწყებების დასაკავშირებლად საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებთან და სხვა დანარჩენ დაინტერესებულ მხრეებთან. ის ცდილობდა საარჩევნო საკითხებზე კომუნიკაციის გაუმჯობესებას და წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას თანამშრომლობისა და პარტნიორობის სულისკვეთებით.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი რეგულარულ რეჟიმში ხვდებოდა არჩევნებით დაინტერესებულ საერთაშორისო და ადგილობრივ მხარეებს თავისი შემოთავაზების გასაზიარებლად და არ-

სებული პრობლემების აღმოსაფხვრელად გასატარებელ ზომებზე ინფორმაციის მისაწოდებლად. თავისი საქმიანობისას ჯგუფი შემდეგ პრინციპებს ეყრდნობოდა:

გამჭვირვალობა: საჯაროობა საზოგადოების წინაშე;

ჩართულობა: ყველა შესაბამის ინტერეს-ჯგუფთან თანამშრომლობის მზადყოფნა;

ეფექტიანობა, აქტივობა, ვითარებაზე სწრაფი რეაგირება;

ანონიმურობის დაცვა: ინდივიდუალური ადამიანების საიდუმლოს დაცვა.

იცოდა რა, რომ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები თავიანთ დასკვნებსა და მონაცემებს წარმოადგენდნენ არჩევნების შემდეგ, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ცდილობდა, გამოეყენებინა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების - რომლებიც მხოლოდ არჩევნებზე დაკვირვებას კი არა, მონიტორინგსაც მათ მიზნად მიიჩნევდნენ — რესურსები. უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა უნიკალური სისტემა შექმნა ინფორმაციის გასაზიარებლად და სამართლებრივი დაცვის საშუალებების მოსაძიებლად საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი მარეგულირებელი წესების დარღვევის შემთხვევებისთვის. საპარლამენტო არჩევნების პერიოდში უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა კონცენტრირება მოახდინა შემდეგ პრობლემებზე:

ზენოლა საჯარო მოხელეებზე კანდიდატების მხრიდან

როცა ცნობილი გახდა, რომ არჩევნებში მონაწილე კანდიდატი საჯარო მოხელეებს სამსახურის დაკარგვით დაემუქრა, თუ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ არ მისცემდნენ ხმას, ამ კანდიდატს მოახსენევენ თავისი კანდიდატურა; პრეზიდენტმა სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ არავის ჰქონდა უფლება, უკანონოდ ჩარეულიყო საარჩევნო პროცესში და დამუქრებოდა საჯარო მოსამსახურეებს.

განცხადებები მასწავლებლებზე განხორციელებულ ზენოლაზე და მათ დაშინებაზე

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ამბობდნენ, თითქოს საგანმანათლებლო სისტემის მუშაკებზე პოლიტიკური ზენოლა ხორციელდებოდა. სამინისტრომ მკაფიოდ განაცხადა, რომ სკოლა აპოლიტიკური ორგანიზაციაა და მასწავლებლების თუ სკოლის ადმინისტრაციის ნებისმიერი სახით დაშინება მიუღებელი იქნებოდა მისთვის.

განცხადებები ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებაზე

საპარლამენტო არჩევნების პერიოდში უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ურჩია, თავი შეეკავებინათ და წინასაარჩევნო პერიოდში არ დაერიგებინათ საწვავის ვაუჩერები გლეხებისთვის, ხოლო სამედიცინო დაზღვევის ვაუჩერები - სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის, ვინაიდან ეს ხმების მოსყიდვის მცდელობად იქნებოდა აღქმული.

განცხადებები ცემასთან დაკავშირებით

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომელიც განაცხადა, რომ გამოიძიებდა მუქარისა და ზენოლის ყველა შემთხვევას, ისევე, როგორც არჩევნებთან დაკავშირებით მომხდარ სხვა დანაშაულსაც. სამინისტრომ და გენერალურმა პროკურატურამ პირობა დადეს, რომ შეისწავლიდნენ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც საპარლამენტო არჩევნების დროს გავრცელდა სამართალდარღვევაზე და დანაშაულებრივ საქმიანობაზე; შესაბამისმა ორგანოებმა აღძრეს საქმეები და გამოიძიეს არჩევნების დროს მომხდარი შემთხვევები.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა მნიშვნელოვანი გადანყვეტილება იყო ხელისუფლების მხრიდან, რათა ხელი შეეწყოს ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან არჩევნების პრობლემატიკასთან დაკავშირებით თანამშრომლობისთვის. თანამშრომლობა საკმაოდ ქმედითი გამოდგა, განსაკუთრებით საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, როცა ხელისუფლებამ ბევრი რეკომენდაცია გაითვალისწინა (იხ. ზემოთ). საპარლამენტო არჩევნების პერიოდში სამუშაო

ჯგუფმა ყურადღება ადგილობრივ მოსახლეობაზე და მისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე გადაიტანა, რაც ელექტორატსა და ხელისუფლებას შორის ნდობის აღდგენისკენ მიმართული ნაბიჯი იყო.

თანამშრომლობა მონიტორინგის ადგილობრივ ჯგუფებს შორის

2007 წლის ნოემბრის საპროტესტო გამოსვლების შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა რეგულარული შეხვედრების ჩატარება დაიწყო დამკვირვებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის მუშაობის უკეთ კოორდინირების მიზნით. შეხვედრები გრძელდებოდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პერიოდშიც. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისთვის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსა“ და „ახალი თაობა-ახალი ინიციატივისთვის“ ამ შეხვედრებმა კატალიზატორის როლი შეასრულეს, რათა მათ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის წინასაარჩევნო, არჩევნების დღის და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის სამუშაოების კოორდინირება შეძლებოდათ.

ზემოთ ჩამოთვლილმა ორგანიზაციებმა ისარგებლეს მანდატით მინიჭებული არა მარტო დაკვირვების, არამედ მონიტორინგის შესაძლებლობით და „ფონდი - ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით დააარსეს მედიაცენტრი, რათა არჩევნების პერიოდში დროულად გაეგრცვლებინათ სანდო ინფორმაცია მონიტორინგის შედეგების შესახებ, კონსულტაციები გაეწიათ ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით, მოეპოვებინათ დარღვევის შემთხვევები და რეაგირება მოეხდინათ მათზე. არჩევნების მიმდინარეობისას მათ გააკეთეს ერთობლივი განცხადებები, მათ შორის ქვემოთ მოცემულები:

2007 წლის 12 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და „საერთაშორისო გა-

მჭვირვალობა-საქართველომ“ გამოსცეს 10 წინაპირობა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის. წინაპირობები გულისხმობდა საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას, მედიის თავისუფლებისა და შეკრების უფლების აღდგენას, არჩევნების სამართლებრივი ჩარჩოების დახვეწას, ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისგან თავის შეკავებას, საარჩევნო ხარჯების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, ოქმების თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრას თითოეულ საარჩევნო უბანზე ხმების დათვლის დამთავრებისთანავე და ცესკო-ს მიერ ყოველი საუბნო კომისიის შედეგების გამოქვეყნებას 48 საათის განმავლობაში.

2007 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ და „ახალი თაობა-ახალმა ინიციატივამ“ გამოქვეყნეს დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია რეკომენდაციები ცესკო-სთვის. არასამთავრობო ორგანიზაციები ურჩევენ ცესკო-ს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა მოხელე თანაბარი სტატუსით სარგებლობდეს, თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი ინფორმაციაზე და მონაწილეობდეს გადანაცვლებების მიღების პროცესში; პარტიების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციაში დანიშნული პირები უნდა ამჟღავნებდნენ უნარს, რომ პარტიულ ინტერესებზე მალლა დააყენონ კანონი და საზოგადოებრივი ინტერესი; ცესკო-ს მიერ დანიშნული არაპარტიული პირები მიუკერძოებლად უნდა აღიქმებოდნენ; ცესკო არ უნდა გამოიყენებოდეს ტრიბუნად პარტიული განცხადებებისთვის; და ცესკო-ს მუშაობაში ყველა მისი წევრი კონსტრუქციულად უნდა მონაწილეობდეს და მზად იყოს კომპრომისზე წასასვლელად, როცა ამას საჭიროება მოითხოვს.

2008 წლის 7 იანვარს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ გააკეთეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ხაზი გაუსვეს კენჭისყრის დღის შემდგომი პროცე-

დურების, მაგალითად, საჩივრების განხილვისა და შედეგების საბოლოო დაჯამების (მათ შორის იგულისხმება დამატებითი სიებით მიცემული ხმების დათვლა) მნიშვნელობას. მათ აღნიშნეს, რომ ეს პროცედურები ისეთივე მნიშვნელოვანია არჩევნების საერთო პროცესში, როგორც წინასაარჩევნო პერიოდი და თავად კენჭისყრის დღე. შესაბამისად, მათ მოუწოდეს ცესკო-ს, რომ გამჭვირვალედ ჩატარებინა აღნიშნული პროცედურები სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით.

2008 წლის 5 თებერვალს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ და „ახალი თაობა-ახალმა ინიციატივამ“ კიდევ ერთხელ გაავრცელეს მათ მიერ მომზადებული 10 წინაპირობა (იხ. დანართი 2) და მოუწოდეს ცესკო-ს და დაინტერესებულ მხარეებს, გაუმჯობესებულიყო არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობა; გატარებულიყო რეფორმები საარჩევნო ადმინისტრაციაში; შესწორებულიყო ამომრჩეველთა სიები; არჩევნების თარიღი დროულად გამოცხადებულიყო; შექმნილიყო გარანტიები წინასაარჩევნო კამპანიის კონკურენტულ გარემოში ჩატარებისთვის; გაზრდილიყო არჩევნებზე დახარჯული თანხების გამჭვირვალობის ხარისხი; გამარტივებულიყო არჩევნების დღისა და ადგილობრივი დამკვირვებლების რეგისტრაციის პროცედურები; გამჭვირვალედ და მიუკერძოებულად ჩატარებულიყო საჩივართა განხილვა და ამომრჩევლებს რეგულარულად მიეღოთ ინფორმაცია.

2008 წლის 16 მაისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“, „ახალი თაობა-ახალმა ინიციატივამ“ და საზოგადოებრივმა მოძრაობამ „მრავალეროვანი საქართველო“ გაავრცელეს განცხადება ძალადობის დაგმობის შესახებ, მოუწოდეს ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს, ისევე, როგორც ყველა საარჩევნო სუბიექტს და საზოგადოებას, რომ თავი შეეკავებინათ პროტესტის აგრესიული ფორმებით გამოხატვისგან.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მონიტორინგის განმახორციელებელი ადგილობრივი ორგანიზაციები გაერთიანდნენ და კონსენსუსს მიაღწიეს იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელთა დაუყოვნებლივ მოგვარებასაც მოითხოვდნენ საქართველოს ხელისუფლებისგან საარჩევნო პროცესის გასაუმჯობესებლად. და ეს ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა ხელისუფლებამაც ყურად იღო მათი მოთხოვნები.

ადგილობრივი მონიტორინგის ჯგუფებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლობა

უეთო-ს ხელმძღვანელობით ტექნიკურმა სამუშაო ჯგუფმა არა მარტო დააჩქარა ინფორმაციის გაცვლის პროცესი არჩევნებით დაინტერესებულ მხარეებს შორის, არამედ ხელი შეუწყო უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას მონიტორინგის განმახორციელებელ ადგილობრივ ჯგუფებსა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის. შედეგად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, „ახალი თაობა-ახალმა ინიციატივამ“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ 2008 წლის 17 აპრილს ცესკო-სთან გააფორმეს მემორანდუმი, რომელიც საარჩევნო კოდექსის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული მუხლების ერთგვაროვან ინტერპრეტაციას ითვალისწინებდა. მემორანდუმში დაზუსტებული მუხლებით განისაზღვრა:

- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ზუსტი დრო;
- ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ დაკავებული შენობების გამოყენების პირობები;
- ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო სამსახურების და სხვადასხვა სახის აღჭურვილობის გამოყენების პირობები; და

ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების პირობები.

საარჩევნო კოდექსის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული მუხლების საკმაოდ ბუნდოვანი ფორმულირების გათვალისწინებით, რაც დაინტერესებული მხარეების მიერ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, მემორანდუმმა დიდი როლი შეასრულა საარჩევნო ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ამ მუხლების ერთგვაროვანი განმარტებისთვის.

თანამშრომლობა პოლიტიკურ პარტიებს შორის

საპრეზიდენტო არჩევნების საკმაოდ დაძაბულ გარემოში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა 2008 წლის 11 აპრილს პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზა ქცევის კოდექსი კეთილგონივრულად მოქცევის მიზნით და წინასაარჩევნო კამპანიის გარემოს გასაუმჯობესებლად.

ქცევის კოდექსი ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტსა და საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმების გამოვლენა იყო. მასში მოცემულია ქცევის სტანდარტები, რომლებიც პარტიის ლიდერებმა, არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა, აქტივისტებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებმა უნდა დაიცვან 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის დროს. კოდექსი ღია იყო ხელმოსაწერად ნებისმიერი მსურველისთვის. პარტიული სპექტრიდან კოდექსს ხელი მოაწერეს:

- „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“;
- კონსერვატიულმა პარტიამ;
- „ერთიანი საქართველოსთვის“;
- ლეიბორისტულმა პარტიამ;
- თავისუფლების პარტიამ;
- ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ;

„მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“;
რესპუბლიკურმა პარტიამ.

ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ, რომ არა მარტო დაიცავდნენ ქცევის გარკვეულ სტანდარტებს, არამედ გაავრცელებდნენ კიდევ მათ შესახებ ინფორმაციას და პარტიის შიგნითაც აამოქმედებდნენ.

თავის მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი ახორციელებდა მონიტორინგს ქცევის წესების შესრულებაზე წინასაარჩევო კამპანიის პერიოდში. მთელი კამპანიის განმავლობაში ინსტიტუტი კავშირში იყო წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან და მუშაობდა დავების მოგვარებაზე. მისი გრძელვადიანი დამკვირვებლები სწავლობდნენ საჩივრებს, აკვირდებოდნენ მათი გასაჩივრების პროცესს და თუ საკმარისი მტკიცებულება ჰქონდათ ხელთ ან მათი გადამონშება იყო შესაძლებელი, ხვდებოდნენ შესაბამის პოლიტიკურ მოთამაშეებს, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში ქცევის კოდექსის სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით 246 საჩივარი შევიდა ცხრა პარტიისგან, აქედან 90 — არჩევნების დღეს. მონიტორინგის დასასრულისთვის ინსტიტუტს 222 განცხადება ჰქონდა მიჩნეული დახურულად შემდეგი მიზეზებით:

პარტიამ გაატარა შესაბამისი ზომები პრობლემის მოსაგვარებლად (74);

საჩივარში არ იყო საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ გამოძიება დაწყებულიყო (65);

ინსტიტუტმა გადაწყვიტა, რომ დარღვევა არ მომხდარა (39);

მსხვერპლმა არ მოინდომა, საჩივარი გახმაურებულიყო (34); და პარტია არ მიიღებდა გამოსასწორებელ ზომებს (10).

თუ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ მიღებული საჩივრების რაოდენობა იმაზე მიუთითებს, რომ პარტიებმა მზადყოფნით მიმართეს პრეტენზიების მშვიდობიანი დაკმაყოფილების მექანიზმებს, ეს რაოდენობა იმასაც გვიჩვენებს, რომ

პარტიები უფრო წარმატებულნი იყვნენ დარღვევის აღმოფხვრაში საჩივრის წარდგენის შემდგომ, ვიდრე კოდექსით დადგენილი დარღვევების თავიდან აცილებაში.

არჩევნებზე დაკვირვებისა და მონიტორინგის წინაშე არსებული გამოწვევები

ადგილობრივი მონიტორინგი

ადგილობრივი მონიტორების ძლიერი მხარე ისაა, რომ მათ ადგილობრივი მოსახლეობის ენები და ჩვეულებები იციან და კარგად ესმით პოლიტიკური სიტუაცია. მაგრამ ეს შეიძლება მათი სერიოზული სისუსტეც აღმოჩნდეს. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პერიოდში რამდენიმე ადგილობრივი ორგანიზაცია და/ან ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები შემჩნეულნი იყვნენ, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობით მოქმედებდნენ. მათი გამართლება იმით შეიძლება, რომ ან დარწმუნებულები იყვნენ თავიანთი მოქმედებების სისწორეში, ან ხელისუფლებისა ეშინოდათ.

დასჯის ან სამაგიეროს გადახდის შიში დამკვირვებლებს შორის ორივე არჩევნების დროს არსებობდა. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დამკვირვებლებს შეატყობინეს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების დამკვირვებლებზე ზენოლის შემთხვევების შესახებ. ინფორმაცია ამის შესახებ გაავრცელეს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ქობულეთის, ლაგოდეხის და ხელვაჩაურის სამსახურებმა. აჭარაში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონულ კოორდინატორს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ემუქრებოდა. საქმის გამოძიება დაიწყო და არჩევნებიდან ამ პირის მოხსნით დამთავრდა. საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა განაცხადა უამრავი შემთხვევის შესახებ,

როცა დამკვირვებლებს და პარტიის ნდობით აღჭურვილ პირებს ემუქრებოდნენ და მათზე ზეწოლას ახორციელებდნენ კენჭისყრის დღემდე და შემდგომ პერიოდშიც. ამას გარდა, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისმა ის შემთხვევებიც აღნიშნა, როცა ადგილობრივი არაპარტიული დამკვირვებლები იძულებული გახადეს, დაეტოვებინათ საარჩევნო უბანი ან საოლქო კომისია, როცა იქ დათვლისა და ოქმის შედგენის პროცესები მიმდინარეობდა. ასეთი ფაქტები არ დამალულა, მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის ბევრმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ჯგუფმა დამკვირვებლები დიდ ქალაქებში დაიქირავა და მერე განათავსა ისინი სხვა ოლქებში, სწორედ დაშინებისა და ზეწოლის ალბათობა რომ შეემცილებინა.

კიდევ ერთი პრობლემა ადგილობრივი დამკვირვებლების, როგორც მონიტორების, განსაკუთრებულ როლს ეხებოდა. ორივე არჩევნების მიმდინარეობისას არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები დროდადრო ადგილობრივი დამკვირვებლების ობიექტურობას, საარჩევნო პროცედურების ცოდნასა და მათ მიერ ჩაურევლობის პრინციპების დაცვას ეჭვს ქვეშ აყენებდნენ. მაგალითად, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები შეესწრნენ, თუ როგორ წარადგინეს ადგილობრივი ორგანიზაციის, "Ratio Legi"-ის დამკვირვებლებმა ცესკო-ს წარმომადგენლებად თავი და როგორ ჩაერივნენ საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობაში. "Ratio Legi"-მ ყველაზე დიდი რაოდენობის მონიტორი (4,500 საპარლამენტო არჩევნებში) განათავსა უბნებზე არჩევნების დღეს, მაგრამ ისინი საერთოდ არ ჩანდნენ არც არჩევნებამდე და არც მერე. საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, ისევე, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის ისინი მმართველ პარტიასთან ასოცირდებოდნენ. მათ გარკვეული დისკომფორტი შეუქმნეს პროფესიონალ ადგილობრივ მონიტორებს, რადგან იმის გარდა, რომ კარგად განვრთნილები ჩანდნენ თავდაცვის ტექნიკაში, ეტყობოდათ, რომ უარსაც არ იტყოდნენ ამ მეთოდების გამოყენებაზე.

გარდა "Ratio Legi"-სთან დაკავშირებული ფაქტებისა, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები მომსწრენი გახდნენ ისეთი შემთხვევისა, როცა ადგილობრივმა მონიტორებმა

ყალბი სააკრედიტაციო ბარათები წარადგინეს სიღნაღის საოლქო კომისიაში. რამდენიმე მათგანს არც უცდია თავისი პოლიტიკური ინტერესებისა და მიკუთვნებულობის დამალვა. აშკარა იყო, რომ ცესკო-ს ადგილობრივი მონიტორების აკრედიტაცია სათანადოდ არ განეხორციელებინა. როგორც სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ აღნიშნა, ცესკო-მ ვერ მოახერხა საჭირო კადრებისა და ლოგისტიკური რესურსების მობილიზება ადგილობრივი მონიტორების აკრედიტაციის უპრობლემოდ ჩატარების უზრუნველსაყოფად. ამის შედეგად პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი სააკრედიტაციო ბარათები გასცეს.

საერთაშორისო დაკვირვება

საერთაშორისო დამკვირვებლები კარგად დამუშავებული მეთოდოლოგიით სარგებლობენ არჩევნების პერიოდში. ამ მეთოდოლოგიას ბევრ ქვეყანაში იყენებენ. მისი ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია წინასწარ შედეგებზე ერთობლივი განცხადების გაკეთება და დასკვნის გავრცელება არჩევნებიდან მეორე დღეს. განცხადებები კეთდება საარჩევნო პროცესის დასრულებამდე, მანამ, სანამ სასამართლოში დაკმაყოფილდება საჩივრები და გამოცხადდება საბოლოო შედეგები. და მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში გამოაქვეყნა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა არჩევნების შემდგომი შუალედური დასკვნა, სადაც ყურადღება ხმების დათვლასა და ოქმების შედგენაზე გამახვილდა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა თავიანთი საბოლოო შეფასებები არჩევნების დასრულებიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ გაავრცელეს. შეფასებები სხვა საკითხებთან ერთად გაკეთდა საარჩევნო პროცესის დანარჩენი ეტაპების ჩატარებაზე, ანუ ოქმების შედგენასა და საბოლოო შედეგების გამოცხადებაზე, და არჩევნების შემდგომი პერიოდის საჩივრებსა და განცხადებებზე. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა საბოლოო ანგარიშები, მათ შორის რეკომენდაციებიც, გამოსცა საპრეზიდენტო არჩევნების

დასრულებიდან ორი, ხოლო საპარლამენტო არჩევნებიდან ოთხი თვის შემდეგ. რაც შეეხება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, მისი ანგარიშები არჩევნების დასრულებიდან ერთ თვეში გამოქვეყნდა.

საბოლოო ანგარიშების გამოქვეყნების დროის გამო მათ დიდი ყურადღება არ მიუპყრიათ. საერთაშორისო მედია და დიპლომატიურმა კორპუსმა საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების იმ განცხადებებზე გაამახვილეს ყურადღება, რომლებიც მათ პრესისთვის გააკეთეს არჩევნების მეორე დღეს წინასწარ მონაცემებსა და დასკვნებთან დაკავშირებით. ამ განცხადებების გაკეთების დრო გადამწყვეტი იყო. საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში განცხადებები არ მოიცავდა – და ეს არც ყოფილა განზრახული - არჩევნების სრულ შეფასებას. 2008 წელს საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა გააკეთეს შემდეგი განცხადებები არჩევნების შემდეგ:

„2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები არსებითად შეესაბამებოდა დემოკრატიული არჩევნებისთვის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების უმრავლესობას, მაგრამ გამოვლინდა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც დაუყოვნებლივ საჭიროებს მოგვარებას.“

„ზოგადად [საპარლამენტო] არჩევნებმა საქართველოს მოსახლეობას ნამდვილად მისცა საშუალება თავისი წარმომადგენელი მრავალ კანდიდატს შორის აერჩია“.

არჩევნების შემდეგ მასობრივი ინფორმაციის უმეტესი საშუალებები მხოლოდ ამ წინადადებების ციტირებას ახდენდნენ განცხადებებიდან. ისინი არც წინასწარ დასკვნაზე აკეთებდნენ მითითებას და არც სხვა ნაწყვეტებს აშუქებდნენ ამავე წყაროდან. თავიანთ რეპორტაჟებში ჟურნალისტები უხვად იყენებდნენ ადგილობრივი თუ უცხოელი პოლიტიკოსების განცხადებებს იმის შესახებ, რომ არჩევნები შედგა. შედეგად, არჩევნებზე ისეთი მთაბეჭდილება შეიქმნა, რაც ხშირად არ ასახავდა სინამდვილეს.

დასკვნები და რეკომენდაციები

2008 წლის არჩევნების მიმდინარეობისას საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლები ჩართულნი იყვნენ პროცესებში და:

აკვირდებოდნენ არჩევნებს და აკეთებდნენ საბოლოო დასკვნებს საარჩევნო პროცესის სრული ციკლის დამთავრების შემდეგ;

პირდაპირ ერეოდნენ პროცესებში განცხადების/საჩივრის ნარდგენის გზით;

ერეოდნენ არაპირდაპირ, საჯაროდ ან დახურულ კარს მიღმა რეკომენდაციების შეთავაზებით.

ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ საარჩევნო პროცესში ჩარევაში არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, თავიანთ მოსაზრებებს დაინტერესებულ საზოგადოებას ისეთი ფორუმების მეშვეობით უზიარებდნენ, როგორც არის ეუთო-ს ტექნიკური და ელჩების სამუშაო ჯგუფები და უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, ან უშუალოდ მათთან აწყობდნენ ორმხრივ შეხვედრებს. სამუშაო შეხვედრებზე ისინი განიხილავდნენ არსებულ პრობლემებს და მათი მოგვარების გზებს, და ამავედროულად, დაინტერესებულ მხარეებს მოუწოდებდნენ დაეცვათ საერთაშორისო სტანდარტები. მათი ძალისხმევით ნყალობით გაუმჯობესდა საარჩევნო პროცესის გარკვეული ასპექტები, მაგალითად, შედეგების შეჯამება.

და ბოლოს, არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები შორს არიან სრულყოფილებისგან. მათ კარგი მიზნები ამოძრავებდათ, მაგრამ ხშირად ცდებოდნენ კიდევ. ამიტომ მათ კრიტიკულად უნდა შეაფასონ თავიანთ სისუსტეებიც და ძლიერი მხარეებიც ყოველი არჩევნების შემდეგ და სამომავლოდ შესაბამისი ზომები გაატარონ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამას გარდა, მათ ის გარემოც უნდა შეისწავლონ, სადაც მუშაობა უნევთ, რადგან შეცდომები მხოლოდ საკუთარი მიზეზით კი არ მოსდით, ისინი გარე ფაქტორებითაც არის განპი-

რობებული. ქვემოთ გთავაზობთ რეკომენდაციებს, რომლებიც განკუთვნილია ამ ორგანიზაციების ეფექტიანობის ასამაღლებლად:

ადგილობრივი ორგანიზაციების პროფესიონალიზმის გაზრდა: არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი იურისტებისთვის სასწავლო კურსის ჩატარების საკითხი. კურსმა უნდა მოიცვას საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხები, მაგალითად, დარღვევების შესწავლა, მტკიცებულებათა მოპოვება, საჩივრების შედგენა და მათი ეფექტიანად წარდგენა (ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე).

ადგილობრივი დამკვირვებლების აკრედიტაციის პროცედურის დახვეწა: უნდა შეიცვალოს აკრედიტაციის პროცედურა ადგილობრივი დამკვირვებლებისთვის და უნდა მოხდეს ამისთვის საჭირო ადამიანური რესურსების მობილიზება (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების საბოლოო ანგარიში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე).

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისა და დამკვირვებლების/მონიტორების გარკვეული ფუნქციების დაზუსტება: საარჩევნო კოდექსში უნდა შევიდეს სანქციები, რომლებიც დანესდება აკრედიტებული ადგილობრივი დამკვირვებლისთვის და პარტიის წარმომადგენლისთვის მუშაობაში, მათ შორის საჩივრის წარდგენაში, ხელის შეშლისთვის (ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე).

დანართი 1

ელჩების სამუშაო ჯგუფი: საარჩევნო საკითხები – 2007 წლის 3 დეკემბერი

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს საქართველოში თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების პროცესის დამკვიდრებას, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო ვალდებულებებთან და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის საარჩევნო სტანდარტებთან, ელჩების სამუშაო ჯგუფი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაიცვას შემდეგი პრინციპები:

უზრუნველყოს მედიის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა ყველა კანდიდატისათვის არადისკრიმინაციულ საფუძველზე, რათა მათ შეძლონ შეხედულებების თავისუფლად გამოხატვა; ზუსტი, ყოვლისმომცველი და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდებით საშუალება მისცეს ამომრჩევლებს, გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი კენჭისყრის დღეს; უზრუნველყოს ამომრჩევლების მიერ თავისუფალი არჩევანის გაკეთება დაშინების, ძალადობის, ადმინისტრაციული ზომის ან შურისგების შიშის გარეშე.

კერძოდ, ელჩების სამუშაო ჯგუფი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

1. მიიღოს სათანადო ზომები პარტიული საარჩევნო მიზნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური კამპანიის განხორციელების მკაფიო წესების დანერგვის გზით.
2. გააგრძელოს მუშაობა ამომრჩეველთა სიასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზე. კერძოდ, დაიწყოს ყოვლისმომცველი მედია და საინფორმაციო კამპანია, რათა განუმარტოს ამომრჩევლებს ამომრჩეველთა სიაში მათი გადამონმების

და რეგისტრაციის გამარტივებული და გამჭვირვალე პროცესის მიხედვით ამომრჩევლად დარეგისტრირების გზები.

3. აამაღლოს საარჩევნო კომისიების წევრთა გათვითცნობიერების დონე მათი პროფესიული როლისა და ვალდებულებების შესახებ, კეთილსინდისიერების უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად და საჯარო სამსახურის მნიშვნელობის შეგნებით, ამავე დროს, მიანოდოს ყოვლისმომცველი ინფორმაცია საარჩევნო პროცესების შესახებ (უბნების გახსნა/დახურვა, ხმების დათვლა/დაჯამება, განცხადებების/საჩივრების განხილვის პროცედურები) და უზრუნველყოს დემოკრატიული პრინციპებისადმი მათი სრული ერთგულება (განსაკუთრებით ხმების პატიოსნად და დროულად დათვლა).
4. დაგეგმოს და სათანადოდ დააფინანსოს სამოქალაქო განათლებისა და საზოგადოების ინფორმირების კამპანიები (ტელე/რადიოსიუჟეტები, ბუკლეტები, საზოგადოებასთან შეხვედრები, მრგვალი მაგიდები) ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც გააშუქებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა არჩევნებში მონაწილეობის საჭიროება, ამომრჩეველთა რეგისტრირების პროცედურები, საკონტაქტო პუნქტები ამომრჩევლებისთვის (ცხელი ხაზი, მისამართი აღრიცხვის შესაცვლელად, საარჩევნო უბანი) და ხმის მიცემის, დათვლისა და გასაჩივრების პროცედურები.
5. დაიცვას უმცირესობათა უფლებები არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობაში, რაც უნდა გამოიხატოს

საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ტრენინგების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ჩატარებით;

სახელმძღვანელოებისა და შიდა ინსტრუქციების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნით;

აზერბაიჯანული და სომხურენოვანი მოსახლეობისთვის ამომრჩეველთა სიაში თავიანთი გვარების შემონმების საშუალების უზრუნველყოფით;

ამომრჩეველთა საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ჩატარებით;

საინფორმაციო მასალის, ამომრჩეველთა ბიულეტენებისა და ოქმების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაბეჭდვით.

დანართი 2

საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ათი წინაპირობა – 2008 წლის 5 თებერვალი

1. საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესება

გარანტირებული უნდა იქნეს ოპოზიციური პარტიების, ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტების და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა ამ პროცესში. გამჭვირვალე უნდა იყოს საარჩევნო კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებზე მუშაობის პროცესი.

საბოლოო ცვლილებები მიღებული უნდა იქნეს არჩევნების დღემდე ორი თვით ადრე, რათა საარჩევნო კომისიების წევრებმა, საარჩევნო სუბიექტებმა და ამომრჩევლებმა დროულად მიიღონ ინფორმაცია.

კანონმდებლობის სრულყოფაზე მუშაობისას სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ცვლილებებს კანონმდებლობაში, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს:

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გამორიცხვა წინასაარჩევნო კამპანიის დროს;

საარჩევნო საჩივრების წარდგენასთან და განხილვასთან დაკავშირებული ორაზროვანი მუხლების დაზუსტება ისე, რომ გარანტირებული იქნეს საჩივრების არსებითი განხილვა და მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა.

2. საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმა

საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებელი, პროფესიული და კანონიერი მუშაობა გარანტირებული უნდა იქნეს ყველა დონეზე, რათა გაიზარდოს საზოგადოების ნდობა მისი საქმიანობისადმი.

3. ამომრჩეველთა სიის დახვეწა

ამომრჩეველთა დამატებითი სიები, რომლებიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე შეიქმნა, შეტანილი უნდა იქნეს ელ-

ქტრონულ მონაცემთა ბაზაში და ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის. გარდა ამისა, უნდა გამოქვეყნდეს ამომრჩეველთა სია, ხოლო ამ სიაში შესწორებების შეტანის პროცედურები დაიხვეწოს და ეფექტიანად დაინერგოს, რათა გამოსწორებული იქნეს ამომრჩევლების და საარჩევნო სუბიექტების მიერ აღმოჩენილი უზუსტობები.

4. არჩევნების ზუსტი თარიღის დროულად გამოცხადება

არჩევნების ზუსტი თარიღი დროულად უნდა გამოცხადდეს, რათა საშუალება მიეცეს ყველა საარჩევნო სუბიექტსა და დამკვირვებელ ორგანიზაციას, სათანადოდ მოემზადონ არჩევნებისათვის.

5. კონკურენტული ნინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების გარანტიები

უნდა აღიკვეთოს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის კამპანიის მხარდაჭერის მიზნით. უნდა შემუშავდეს მკაფიო განმარტებები საჯარო მოხელეების ნინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის თავიდან ასაცილებლად. უნდა აღიკვეთოს ამომრჩევლების, საარჩევნო კომისიის წევრების, საარჩევნო სუბიექტების ან ჟურნალისტების დაშინება. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მედიის თავისუფლება და მედიის თავისუფალი და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის.

6. საარჩევნო კამპანიის ხარჯების გამჭვირვალობის გაუმჯობესება

უნდა გადაიხედოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის საარჩევნო კამპანიის ხარჯების წარდგენის მოთხოვნები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უფრო რეგულარული ანგარიშგება. უნდა გაიზარდოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონიტორინგის საბჭოს კომპეტენცია და ეფექტიანობა. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სანქციები ანგარიშებში შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევებისთვის.

7. დახმარება არჩევნების მონიტორინგის პროცესში

უნდა გამარტივდეს ადგილობრივი დამკვირვებლების რეგისტრირების პროცედურები. ადგილობრივი დამკვირვებლები უნდა სარგებლობდნენ ისეთივე უფლებებით, როგორც საერთაშორისო დამკვირვებლებს გააჩნიათ.

8. არჩევნების დღის პროცედურების გამარტივება და შესაბამისობაში მოყვანა

უნდა გამარტივდეს ხმის მიცემის, დათვლის და არჩევნების შედეგების შეჯამების პროცედურები და აღმოიფხვრას ნებისმიერი საკანონმდებლო თუ პროცედურული ბუნდოვანება.

9. გარანტიები საარჩევნო საჩივრების განხილვისათვის

უნდა დაზუსტდეს და გაუმჯობესდეს საარჩევნო საჩივრების განხილვასთან დაკავშირებული ბუნდოვანი მუხლები. საარჩევნო ადმინისტრაციებმა და სასამართლოებმა სრულფასოვნად და მიუკერძოებლად უნდა განიხილონ საარჩევნო საჩივრები, ამ პროცესის გამჭვირვალობა კი გარანტირებული უნდა იქნეს.

10. ამომრჩევლების ინფორმირება

დროულად უნდა მიენოდოს თითოეულ მოქალაქეს ინფორმაცია ამომრჩეველთა სიის, წინასაარჩევნო წესების, არჩევნების დღის პროცედურების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის შეიქმნა, გააგრძელოს მუშაობა საარჩევნო საკითხებზე და თავის საქმიანობაში აქტიურად ჩართოს პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოება და მედია. ჯგუფის მუშაობა უნდა გახდეს უფრო ქმედითი და გამჭვირვალე. მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საარჩევნო პროცესზე და საზოგადოებრივ აზრზე არჩევნების შესახებ. ეს უზრუნველყოფს მომავალი არჩევნების ჩატარებას როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ დარღვევების გამომძიებას, რომლებიც აღმოჩენილი იქნა ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ხოლო დამრღვევები უნდა დაისაჯონ. ჩვეულებრივ, საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს ამ პროცესების შესახებ.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება (ISFED)

„ახალი თაობა - ახალი ინციატივა“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

დანართი 3

პოლიტიკური პარტიების აქტივისტთა ქცევის კოდექსი საპარლამენტო არჩევნებისთვის – 2008 წლის 11 აპრილი

ქცევის კოდექსზე ხელის მომწერმა პოლიტიკურმა პარტიებმა შეთანხმებას მიალწიეს საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან (NDI) 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის დროს მათი აქტივისტების საქმიანობასთან დაკავშირებულ რიგ ვალდებულებებზე. ამით ისინი მიზნად ისახავდნენ სათანადო ქცევის პოპულარიზაციას და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას. აღნიშნულ დოკუმენტზე ხელის მომწერი ყველა პარტია შეუერთდა ამ პრინციპებს და აღიარა ამ შეთანხმების სავალდებულო ხასიათი მათი ლიდერებისთვის, კანდიდატებისთვის, მათი წარმომადგენლებისათვის საარჩევნო ადმინისტრაციაში და აქტივისტებისთვის. მათ იკისრეს ვალდებულება, გამოექვეყნებინათ და შეესრულებინათ შეთანხმების პირობები თავიანთ პარტიებში. ამ შეთანხმებაზე ხელმომწერი პარტიები გააგრძელებენ თანამშრომლობას ამ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით და შეეცდებიან, მოაგვარონ დავები.

1. ზოგადი დებულებები

პარტიებმა პატივი უნდა სცენ ამ შეთანხმებას, საარჩევნო კოდექსს და ყველა სხვა შესაბამის კანონსა და დებულებას. პარტიებმა უნდა გამოიყენონ საკუთარი დისციპლინური მექანიზმები, რათა თავიდან აიცილონ ამ შეთანხმების დარღვევა და ხელი შეუწყონ საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას. ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამის უწყებას.

2. საარჩევნო კამპანია

საარჩევნო კამპანიის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა პარტიის თავისუფალი მონაწილეობის უფლება. ნებისმიერი სახის ზენოლა დაუშვებელია.

საარჩევნო კამპანიის დროს პარტიებმა თავი უნდა აარიდონ ქსენოფობიურ და ღირსების შემლახველ განცხადებებს.

პარტიებმა არ უნდა შეუშალონ ხელი ჟურნალისტიკებს პროფესიული მოვალეობის განხორციელებაში.

საარჩევნო კამპანიამ არ უნდა მოახდინოს მოქალაქეთა ხმებზე არასამართლიანი გავლენა, მაგალითად, ხმების მოგროვების მიზნით დამსაქმებელთა მხრიდან დასაქმებულთა ზენოლის სახით.

დაცული უნდა იყოს ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების უფლებები. ეს გულისხმობს ნებისმიერი ისეთი საქმიანობის აკრძალვას, რაც ხელს შეუშლის მათი საქმიანობის თავისუფალ და მიუკერძოებელ განხორციელებას.

პარტიები არ შეუშლიან ხელს ოპონენტებს საარჩევნო შტაბების შექმნასა და მათ შეუფერხებელ მუშაობაში.

პარტიები არ გამართავენ ღონისძიებებს ან სხვა სახის აქციებს, რაც ხელს შეუშლის მათი ოპონენტების დემონსტრაციებს, არამედ პარტიებს ექნებათ ერთმანეთთან კომუნიკაცია, რათა გამოირიცხოს მათ მომხრეებს შორის დაპირისპირება.

3. არჩევნების დღე

პარტიებმა, მთელი თავიანთი საქმიანობით, უნდა უზრუნველყონ საარჩევნო პროცესის თავისუფლება და სამართლიანობა. ეს მოიცავს საარჩევნო უბნებზე აგიტაციისგან, ასევე საარჩევნო უბნებზე თუ უბნებს გარეთ ისეთი ქმედებებისგან თავის შეკავებას, რაც შეაფერხებს საარჩევნო პროცესს და არასამართლიან ზეგავლენას მოახდენს ამომრჩეველთა ხმებზე.

ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში პარტიული წარმომადგენლები უნდა მოქმედებდნენ საჯარო, და არა ვინრო პარტიული, ინტერესებიდან გამომდინარე. პარტიები უზრუნველყოფენ, რომ მათი წარმომადგენლები კარგად იცნობდნენ შესაბამის კანონებს იმისათვის, რომ სათანადოდ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა.

არჩევნების მიმდინარეობისას პარტიული დამკვირვებლები იხელმძღვანელებენ საარჩევნო კოდექსით. პარტიები უზრუნველყოფენ თავიანთ წარმომადგენლებს საკმარისი ინფორმაციით კანონმდებლობის შესახებ, რათა მათ შეძლონ თავიანთი მოვალეობის სათანადოდ შესრულება.

ამ შეთანხმებაზე ხელის მომწერი პარტიები აღიარებენ საარჩევნო საჩივრების მიუკერძოებლად განხილვის პროცესის მნიშვნელობას და იღებენ სრულ პასუხისმგებლობას, შეიტანონ საჩივრები ოფიციალური არხებით და გააკონტროლონ მათი განხილვის პროცესი, თუ მათ დააფიქსირეს რაიმე სახის დარღვევა საარჩევნო პროცესში.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. ამ ქცევის კოდექსის გამოქვეყნება ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის იმ პროგრამის ნაწილია, რომელსაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს საქართველოში.

არჩევნების შედეგები

ავტორები: მერი ო'ჰეგანი და მიშელ ბრაუნი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისი

საქართველოს 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ანალიზი ციფრული რუკის მეშვეობით

შესავალი

ხმების შეჯამება და შედეგების გამოცხადება, ასევე დათვლილ ხმებთან დაკავშირებული დავების განხილვა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ყველაზე საკამათო ასპექტები იყო. არჩევნებზე დამკვირვებლები და სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო მონაწილეები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მსგავს პროცესებს საპარლამენტო არჩევნების დროს, რათა შეეფასებინათ, იყო თუ არა ეს არჩევნები წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში.

საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი წარმატება ცალკეული საარჩევნო უბნებიდან შედეგების უფრო ეფექტიანი მონოდება და მათი გაუმჯობესებული სიზუსტე იყო. ამ წარმატებამ, საარჩევნო უბნების ციფრული რუკის შედგენასთან ერთად, გააადვილა არჩევნების გაანალიზება საარჩევნო უბნების, გაუმჯობესებების დადგენა და იმ კონკრეტული სფეროების გამოვლენა, რომლებიც კვლავ პრობლემას წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომში ასახულია ის მონაცემები, რომლებითაც დასტურდება საპარლამენტო არჩევნების ზოგიერთი ასპექტის გაუმჯობესება. თუმცა აშკარად გასაუმჯობესებელია საარჩევნო უბნების მუშაობა ამომრჩეველთა აქტივობის არარეალურად მაღალი მაჩვენებლის შემცირების, შედეგების მონოდებისას


შეცდომების თავიდან აცილების, ასევე, საარჩევნო პროცესის სხვა ასპექტების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ნებისმიერ ანალიზს, რომელიც არჩევნების ოფიციალურ შედეგებს ეფუძნება, გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემები, რომლებიც ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა არჩევნების შედეგების ციფრული რუკის შესადგენად გამოიყენა, არ მოიცავს სერიოზული დარღვევების შემთხვევებს, მაგალითად, იმ საარჩევნო უბნებს, სადაც შედეგები გაუქმდა, ან უბნებს, სადაც პოლიციისა და სამხედრო ნაწილების სპეციალური უბნების ხმები იქნა დათვლილი, საარჩევნო პროცესის ბევრი შეცდომისა და დარღვევის ასახვა იმ ანალიზში, რომელიც არჩევნების ოფიციალურ მონაცემებს ეფუძნება, ვერ ხერხდება.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი მადლობას უხდის აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს იმ დახმარებისთვის, რომელიც მან ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს გაუწია წინამდებარე ნაშრომის გამოქვეყნებისა და არჩევნების შედეგების გაანალიზებისთვის. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი მადლობას უხდის ასევე შვეიცარიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერისათვის ციფრული რუკების შექმნაში, რომლებიც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისთვის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა მოამზადა.

ამომრჩეველთა აქტივობა

როგორც მოსალოდნელი იყო, საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობა შედარებით დაბალი იყო. საპარლამენტო არჩევნებში ხმა 1.83 მილიონმა ამომრჩეველმა მისცა, მაშინ, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში ამ ციფრმა 1.97 მილიონი შეადგინა. თუმცა ამ არჩევნების ჩატარების შესაფასებლად უფრო მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემცირდა ისეთი საარჩევნო უბნების რაოდენობა, რომლებმაც ამომრჩეველთა არანორმალურად მაღალი აქტივობა აღრიცხა.



წყარო: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი / კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

ზემოთ წარმოდგენილ დიაგრამაში ნაჩვენებია ორივე არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა აქტიუობის პროცენტული რაოდენობა უბნების მიხედვით. ეს დიაგრამა ეფუძნება 3,493 საარჩევნო უბნის ქვეჯგუფს, რომელიც არ შეიცავს იმ საარჩევნო უბნებს, სადაც შედეგები გაუქმდა, და ასევე უბნებს, სადაც დათვლილი იქნა პოლიციისა და სამხედრო ნაწილების სპეციალური უბნების ხმები. საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა აქტიუობის ამსახველი ციფრი კვლავ არარეალურია და 80%-ზე მეტი ამომრჩევლის გამოცხადებას მეტი საარჩევნო უბანი აღრიცხავს, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, თუმცა გაუმჯობესება საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით ამ ასპექტში აშკარაა.

ამ გაუმჯობესებას მომდევნო ორი რუკა ადასტურებს. მათზე ნაჩვენებია ამომრჩეველთა რაოდენობა ნუთში უბნების დახურვამდე ბოლო სამი საათის განმავლობაში (17:00-დან 20:00 საათამდე). ამის გამომწვევად მოხდა დარჩენილი დროის ამომრჩეველთა იმ რაოდენობაზე გაყოფით, რომელიც ამ დროისათვის აღირიცხა.

ხმების შეჯამება

გაუმჯობესება აღინიშნება საუბნო კომისიების ოქმების მომზადებაშიც. ეს შესაძლოა მივანეროთ კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა რეგისტრირების უფლების გაუქმებას. საპრეზიდენტო არჩევნებში ასეთი ხმების ცალკე დათვლა იყო საჭირო, რამაც დიდი გაუგებრობა გამოიწვია.

2008 წლის იანვარში საარჩევნო უბნების თითქმის ერთ მეოთხედში შეცდომები იქნა დაშვებული ლოგიკური შემონმების დროს (იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც მიიღეს ბიულეტენები). 2008 წლის მაისში შეცდომა გაცილებით ნაკლები იყო, ხოლო დაშვებული შეცდომები ძირითადად უმნიშვნელო. საპარლამენტო არჩევნებში არც ერთი საუბნო კომისიის ოქმში არ ყოფილა ისეთი შეუსაბამობა აღმოჩენილი, რომელიც 100 ხმას აღემატებოდა.

პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერა

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საზოგადოებრივი აზრის კვლევამ, რომელიც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს შორის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა შეეცარიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ჩაატარა, აჩვენა, რომ დაახლოებით ხუთიდან მხოლოდ ერთ რეზპონდენტს სურდა ან ჰქონდა მოლოდინი, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგად რომელიმე პარტია მიიღებდა საკონსტიტუციო უმრავლესობას პარლამენტში.

თუმცა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ნათელი გახდა, რომ მიუხედავად 2008 წლის იანვრიდან ხელისუფლების შედარებით სტაბილური საბაზისო პოპულარობისა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეები უფრო მოტივირებული იყვნენ, მისულიყვნენ არჩევნებზე, ვიდრე ოპოზიციური პარტიების მომხრეები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა ყველაზე დიდი პარტიის ხმებს საპარლამენტო არჩევნებში.

2008 წლის საპრეზიდენტოსთან შედარებით საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობის კლება ძირითადად ოპოზიციის ამომრჩეველთა შორის შეიმჩნეოდა. როგორც ამომრჩეველთა აქტივობამ, ისევე სხვა ფაქტორებმა, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული, 2008 წლის მაისში ოპოზიციის მომხრეთა რაოდენობა მცირედ შეამცირა.


„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების ამომრჩეველთა რიცხვი 1.03 მილიონიდან 1.04 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო გაერთიანებული ოპოზიციის მომხრეთა რიცხვი 500,000-დან 381,000-მდე შემცირდა.

გარდა შესუსტებული მხარდაჭერისა, ოპოზიცია მრავალი სხვა გამონვევის წინაშე იდგა. ოპოზიციას, მმართველ პარტიასთან შედარებით, გაცილებით ნაკლები ადამიანური და ფინანსური რესურსები ჰქონდა. ერთი ნაციონალური ტელეარხი, რომელსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს, ოპოზიციას ძალზე შეზღუდულად აშუქებდა, ყოველ შემთხვევაში, საარჩევნო კამპანიის ერთ ეტაპზე (კამპანიის საწყის ეტაპებზე გაერთიანებული ოპოზიცია და „რუსთავი-2“ დაპირისპირებული იყვნენ და ერთმანეთს სდებდნენ ბრალს ბოიკოტში).

საარჩევნო სისტემა უმსხვილესი პარტიისთვის უფრო ხელსაყრელი ჩანდა. საპარლამენტო ადგილების ნახევარი ერთმანდატიანი იყო და ამ უბნების საზღვრები სრულად არ მოიცავდა დიდ ურბანულ დასახლებებს, სადაც ოპოზიცია უფრო ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობდა. ოპოზიციური პარტიები დაზარალებდნენ იმის შედეგადაც, რომ ვერ შეთანხმდნენ, რომელი პარტია შეძლებდა უპირატესობის მოპოვებას ერთმანდატიან ოლქებში. შედეგად, მმართველმა პარტიამ უდიდესი უმრავლესობა მოიპოვა პარლამენტში, თუმცა ეს შედეგი არ ემთხვეოდა საზოგადოებრივი აზრის უმეტესი გამოკითხვებით გამოვლენილ მის ძირითად რეიტინგს.

მომდევნო ორი რუკა გვიჩვენებს ყველაზე მსხვილი ოპოზიციური ძალის, გაერთიანებული ოპოზიციის, საარჩევნო შედეგების შედარებას (რამდენიმე ოპოზიციური პარტიისაგან შექმნილმა ამ კოალიციამ მხარი დაუჭირა ლევან გაჩეჩილაძეს, როგორც მის საპრეზიდენტო კანდიდატს, ხოლო საპარლამენტო არჩევნებში ახალი მემარჯვენეების პარტიასთან გაერთიანდა საარჩევნო ბლოკში).

სმების ნილი საპარლამენტო არჩევნებზე: გაერთიანებული ოპოზიცია



წყარო: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი / კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენა

ამ ორ არჩევნებს შორის გაჩნდა ახალი პარტია, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, რომელმაც ბარიერის გადასალახავად საკმარისი ხმები მოიპოვა. ქრისტიან-დემოკრატების გამოჩენა საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. გამოკითხვებმა, რომლებიც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისათვის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა 2008 წლის აპრილსა და ივლისში ჩაატარა (შვეიცარიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით), აჩვენა, რომ პარტიამ შეძლო როგორც ყველა მსხვილი პარტიის, ისე ზოგიერთი იმ პარტიის მხარდაჭერის მოპოვება, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა დამოუკიდებელ კანდიდატ ბადრი პატარკაციშვილს მისცა. პარტიის ლიდერმა, რომელიც ცნობილი ჟურნალისტი იყო, მოკლე პერიოდში შეძლო გავლენის მოხდენა.

თუმცა მას, როგორც ახლად შექმნილ პარტიას, ორგანიზაციული რესურსი აკლდა. მხოლოდ საარჩევნო კამპანიის ბოლო ეტაპზე გახდა პარტიისათვის შესაძლებელი (რეიტინგების წყალობით), ესარგებლა უფასო საეთერო დროით პოლიტიკური რეკლამის განსათავსებლად. ზემოთ მოცემულ რუკაზე ნაჩვენებია ამ პარტიის მხარდამჭერთა განაწილება. ეს განაწილება მიუთითებს, რომ პარტიას აქვს პოტენციალი, გარკვეულ ადგილებში ძლიერი მხარდაჭერა მოიპოვოს, მაგრამ ქვეყნის რეგიონების უმეტესობაში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში, ქრისტიან-დემოკრატებმა უნდა დაიმკვიდრონ თავი. ამიტომ 2008 წლის ნოემბრის არჩევნები აჭარაში პარტიისათვის მნიშვნელოვანი გამოცდა იყო.

დასკვნები

არჩევნების შედეგების მონაცემთა ბაზის შექმნა და არჩევნების შედეგების ციფრული რუკის შედგენა გააადვილებს არჩევნების ხარისხის შეფასებასა და გაუმჯობესებას საქართველოში. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს უთხრეს, რომ დაინტერესებული არიან, გამოიყენონ ეს ინსტრუმენტები უწყებრივი ანალიტიკური შესაძლებლობების გასაძლიერებლად. დროთა განმავლობაში ამ ინსტრუმენტების გამოყენება აამაღლებს ანგარიშვალდებულების კულტურის დონეს საარჩევნო ადმინისტრაციაში: ეს გააადვილებს არარეალური შედეგების მქონე საარჩევნო უზნების იდენტიფიცირებას და სხვადასხვა შედეგის შედარებას.

აჭარის 2008 წლის ნოემბრის არჩევნების დროს საარჩევნო ადმინისტრაცია უკვე სწრაფად ახდენდა დაბალი აქტივობით გამორჩეულ ამ არჩევნებში მაღალი შედეგების მქონე უზნების გამოვლენას და მათ მიერ მონოდებული შედეგების საფუძვლიან შესწავლას.

რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ გამოიყენა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის რუკები აჭარის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიის დაგეგმვაში. ამ ტიპის დაგეგმვა განსაკუ-

თრებით ღირებული იყო მცირე პარტიებისათვის, ვინაიდან იგი საშუალებას აძლევდა მათ, მიემართათ მწირი საარჩევნო რესურსები იმ რეგიონებისაკენ, სადაც არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი პოტენციალი ჰქონდათ.

დამოუკიდებელ საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებს ეს რუკები საპარლამენტო და აჭარის არჩევნების მონიტორინგის დაგეგმვის დროს ჰქონდათ. დროთა განმავლობაში და დამოუკიდებელი დამკვირვებლების ანგარიშებთან ერთად გამოყენების შემთხვევაში, ამ ინსტრუმენტებს აქვს პოტენციალი, დაეხმაროს დამოუკიდებელ დამკვირვებლებს საკუთარი სადამკვირვებლო მისიის განხორციელების ხარისხის შეფასებასა და გაუმჯობესებაში.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შესაძლებლობები და ეგზიტპოლის ნაკლოვანებები

2008 წლის არჩევნებში მიღებული გაკვეთილები

*ავტორები: ჰანს გუტბროდი და აარონ ერლიხი, კავკასიის
კვლევითი რესურსების ცენტრი*

შესავალი

დემოკრატიულ არჩევნებში საზოგადოებრივი აზრის კვლევები და ეგზიტპოლები დიდი ხანია, 1930-იან წლებიდან მოყოლებული, ტარდება. დღეს საზოგადოებრივი აზრის კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წინასაარჩევნო პერიოდში; პოლიტიკური პარტიები ამ კვლევებს საკუთარი საარჩევნო სტრატეგიების განსაზღვრისა და დახვეწისათვის იყენებენ, საზოგადოება კი კვლევის შედეგებს დიდი ინტერესით ეცნობა. ეს პროცესი, თავის მხრივ, ელექტორატისა და პოლიტიკოსების მოლოდინების განსაზღვრას უწყობს ხელს. საზოგადოებრივი აზრის კვლევებს პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრაც კი შეუძლია, ვინაიდან კანდიდატები თავიანთ პოლიტიკურ პროგრამებს საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად ადგენენ.

ამ კონტექსტში, საზოგადოებრივი აზრის კვლევები ფარულად უწყობს ხელს ზოგადი სახალხო კონსენსუსის მიღწევას ანუ, თუმცა კვლევის შედეგები და არჩევნების ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს, საზოგადოებას მაინც აქვს ზოგადი წარმოდგენა შექმნილი მოსალოდნელი შედეგების შესახებ. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ზოგადი მოლოდინების განსაზღვრით საზოგადოებრივი აზრის კვლევები ნაკლებად სავარაუდოს ხდის სიურპრიზებს (თუმცა მთლიანად არ გამორიცხავს). განსაზღვრავს

რა შედეგების მოსალოდნელ ფარგლებს, ეს კვლევები დემოკრატიულ ინსტრუმენტსაც წარმოადგენს - საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგად არჩევნები ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის ერთჯერად ბრძოლას კი არ წარმოადგენს, არამედ უფრო სახალხო მხარდაჭერის მოსაპოვებლად გამართული ხანგრძლივი ბრძოლის კულმინაციას. საზოგადოებრივი აზრის კვლევები მხოლოდ საარჩევნო კამპანიების თანმდევი მოვლენა არ არის, ეს ის მოვლენაა, რომელიც ამ კამპანიების ხასიათის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას.

თუ საზოგადოებრივი აზრის კვლევები პროგნოზია, თუ როგორ *მისცემს* ხმას ელექტორატი, ეგზიტპოლები ასახავს, თუ როგორ *მისცა* ხალხმა ხმა. ეგზიტპოლები, რომლებიც მხოლოდ არჩევნების დღეზეა ფოკუსირებული და საარჩევნო უბნებიდან გამოსულ ხალხს უტარდება, მიზნად ისახავს არჩევნების სავარაუდო შედეგების გამოთვლას და, ჩვეულებრივ, იძლევა შედეგების დამაჯერებელ პროგნოზს უშუალოდ არჩევნების დღის საღამოს, ზოგჯერ საარჩევნო უბნების დახურვიდან ერთი საათის განმავლობაში. ამრიგად, ეგზიტპოლებით ხდება მოსახლეობის სწრაფი ინფორმირება შედეგების შესახებ. ისინი არჩევნების ჩვეულებრივი ნაწილია. თანამედროვე საშუალო მოქალაქე - მოუთმენელი მედიამომხმარებელი — არჩევნების დღეს ტელევიზორის წინ ჯდება იმის მოლოდინში, რომ ვახშამდე შეიტყობს არჩევნების წინასწარ შედეგებს, რომლებსაც გამოკითხვის ჩამტარებლები გამოაცხადებენ.

საზოგადოებრივი აზრის კვლევები და ეგზიტპოლები არჩევნების განუყოფელი ნაწილია დემოკრატიულ ქვეყნებში; მაგრამ საინტერესოა, როგორ ჩატარდა ისინი 2008 წლის საქართველოს არჩევნებში. როგორც აღმოჩნდა, არც ისე კარგად, თუმცა იყო იმედისმომცემი ნიშნებიც. მოკლედ თუ ვიტყვით, ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევებმა და ეგზიტპოლებმა ვერ მოახერხეს, შეექმნათ საერთო და ერთობლივი საჯარო წარმოდგენა არჩევნების პროცესებისა და მისი შედეგების შესახებ. ამის ნაცვლად, საზოგადოებრივი აზრის კვლევების უმეტესობა და ძირითადი ეგზიტპოლები პარტიული ინტერესების გამომხატველი და პროფესიული თვალსაზრისით არათანმიმდევრული იყო. იმედისმომცემი ნიშანი კი ის იყო, რომ ზოგიერთ-

მა პარტიამ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო გააზრება იმისა, თუ რა ძალა აქვს საზოგადოებრივი აზრის კვლევას. თუმცა მისი გამოყენება ისევ არათანაბრად ხდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ყველა პარტიას ერთნაირად არ მიუწვდებოდა ხელი ხარისხიანი კვლევაზე. მიუხედავად ამისა, გაუმჯობესებამ აჩვენა, რომ ხარისხიანი კვლევის უფრო აქტიურად გამოყენება მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანს საქართველოს პოლიტიკასა და დემოკრატიას.

ჩვენს ანგარიშში მეტი სკეპტიციზმია გამოთქმული ეგზიტპოლების მიმართ. არჩევნებმა აჩვენა, რომ ეგზიტპოლი, რომელმაც შეიძლება მასობრივი გაყალბების შემთხვევა გამოავლინოს, სუსტი ინსტრუმენტია არჩევნების ხარისხის დადასტურებისთვის. გარდა ამისა, ეგზიტპოლებმა, რომლებიც გამიზნული იყო ელექტორატთან კავშირის დასამყარებლად, საზოგადოების მეტი პოლარიზება გამოიწვია.

ზოგი დაშვებული შეცდომა შეიძლება თავიდან იქნეს მომავალში აცილებული და წინამდებარე წიგნის ამ ნაწილის ზოგადი იდეაც სწორედ ეს არის – მიღებული გამოცდილების შეჯამება და არა ყოველისმომცველი ისტორიული მიმოხილვა. ვინაიდან კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა 15 თვის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის 8 კვლევა და 50-მდე ფოკუსჯგუფის კვლევა ჩაატარა, წიგნის ეს თავი ემყარება ახლო დაკვირვებას პოლიტიკურ მოვლენებზე.

მოკლედ შევეხებით განმარტებებს: ჩვენი განსაზღვრით საზოგადოებრივი აზრის კვლევა არის რაოდენობრივი კვლევის კლასიკური ინსტრუმენტი, რომელიც, ჩვეულებრივ, წარმომადგენლობითია ქვეყნის მასშტაბით (ანუ 1000 რესპონდენტზე მეტი) და მეთოდოლოგიურად ისეა შედგენილი, რომ ფართო საზოგადოების შესახებ ზუსტ წარმოდგენებს იძლევა. როდესაც ვახსენებთ „ხარისხიან კვლევებს“, ვგულისხმობთ სისტემატურ მუშაობას კვლევის მკაფიოდ განსაზღვრული მიზნის გარშემო. ხარისხიან კვლევა უნდა მოიცავდეს, სულ ცოტა, შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

1. ისეთ წარმომადგენლობით შერჩევას, რომელიც სამიზნე საზოგადოებას შეძლებისდაგვარად კარგად წარმოადგენს;

2. კითხვებს, რომლებითაც რაც შეიძლება ზუსტად გაიზომება რესპონდენტების მოსაზრებები (მაგალითად, ზუსტად, მკაფიოდ ფორმულირების მეშვეობით);
3. კითხვარს, რომელიც ისეთი თანმიმდევრობით არის შედგენილი, რომ ინტერვიუ საინტერესო იყოს და იძლეოდეს კვლევის ძირითადი საკითხების სხვადასხვა პერსპექტივიდან ტრიანგულაციის შესაძლებლობას;
4. საცდელ ტესტს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ კითხვარი გასაგები იყოს და მნიშვნელობის მქონე შედეგებს იძლეოდეს;
5. საველე სამუშაოს, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დეტალებს, რისთვისაც ინტერვიუერებისათვის მკაფიო და მკაცრი სახელმძღვანელო მითითებები უნდა დაწესდეს და ამ წესებიდან ნებისმიერი გადახვევა გაკონტროლდეს;
6. მონაცემთა შეყვანის პროცესს, რომელიც ამოწმებს მონაცემთა ხარისხს, მონიშნავს და ასწორებს ადამიანის მიერ დაშვებულ შეცდომებს;
7. მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, განსაკუთრებით ინტერვიუში ჩაურევლობის და რესპონდენტის კონფიდენციალობის დაცვისა.

ეს არ არის ამომწურავი ჩამონათვალი, თუმცა აჩვენებს, რომ ბევრი გამოწვევა შედარებით მცირე დეტალებში იმალება და ხარისხიანი კვლევები საკმაოდ რთულ პროექტებს წარმოადგენს. ხშირად ამ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას ემატება კვლევები ფოკუსჯგუფებში სპეციფიკური კითხვების უფრო სიღრმისეული განხილვისა და შესწავლისათვის. როდესაც საზოგადოებრივი აზრის კვლევებზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ, რომ ეს კვლევითი სამუშაო შესაძლოა ფოკუსჯგუფებსაც მოიცავდეს.


რა ვისწავლეთ 2008 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევებიდან

რის მიღწევა შეიძლება საზოგადოებრივი აზრის კვლევით

საზოგადოებრივი აზრის კვლევებით მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევაა შესაძლებელი როგორც არჩევნების წინა, ასევე

შემდგომ პერიოდებში. კვლევების შედეგები აჩვენებს იმ პოლიტიკური მიზნების ფართო კალათის ფარდობით მნიშვნელობას, რომელთა განხორციელებაშიც საზოგადოებაა დაინტერესებული. იდეალურ შემთხვევაში, ამომრჩეველთა პოლიტიკური პრიორიტეტების ცოდნა ხელს უწყობს დებატების სტრუქტურირებას როგორც პარტიის შიგნით, ასევე პარტიებს შორის და შედეგად მოაქვს პოლიტიკაზე მსჯელობის, პოლიტიკის ფორმულირებისა და დახვეწის ქმედითი ციკლი, როგორც ეს ქვემოთ არის სურათზე ნაჩვენები.

პოლიტიკაზე მსჯელობის, პოლიტიკის ფორმულირებისა და დახვეწის ქმედითი ციკლი



წყარო: აარონ ერლიხი

ასეთი ციკლის შედეგი ისეთი სტრატეგიების შემუშავებაა, რომლებიც ითვალისწინებს ადგილობრივი გარემოს ნიუანსებს და შეესაბამება მას. მართალია, ასეთი ქმედითი ციკლი ბოლო არჩევნების დროს არ შექმნილა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის

კვლევები მაინც ეხმარება ხელისუფლებას და პოლიტიკურ პარტიებს, მთავარ საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება. გარდა ამისა, საზოგადოებრივი აზრის კვლევები გამოიყენება პლატფორმად, რომლის მეშვეობითაც დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობი არასამთავრობო სექტორი და საერთაშორისო მომლაპარაკებლები ურთიერთობენ ადგილობრივ პოლიტიკურ მოთამაშებთან.

ახალი პარტიები, ასევე ის პარტიები, რომლებიც თავიანთი მუშაობის შედეგების ამსახველ პირველ მონაცემებს იღებენ, საზოგადოებრივი აზრის კვლევებით მნიშვნელოვან საბაზისო ინფორმაციას ღებულობენ საკითხთა ფართო სპექტრის რეიტინგებზე, მათ შორის პარტიისადმი ნდობისა და პარტიის ლიდერისადმი განწყობის შესახებ. საზოგადოებრივი აზრის ეს კვლევები პოლიტიკოსებს იმის განსაზღვრაშიც ეხმარება, თუ რომელი საკითხებია ყველაზე მნიშვნელოვანი ელექტორატისთვის საერთოდ, კერძოდ კი კონკრეტული პარტიის არსებული და პოტენციური მხარდაჭერებისათვის.

საზოგადოებრივი აზრის კვლევები არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდებში პარტიებს აჩვენებს, ხმათა რა წილის მიღებას უნდა ელოდნენ არჩევნების დღეს. თუ დასავლეთის პოლიტიკოსები, ჩვეულებრივ, ხმათა მოსალოდნელი წილის შესახებ მონაცემებს სანდო საზოგადოებრივი აზრის კვლევებიდან იღებენ, ზოგ ქართველ პოლიტიკოსს ძალზე შეუსაბამო წარმოდგენა აქვს მისი მხარდაჭერის დონის შესახებ. ეს ილუზიები მომდინარეობს იმ ძლიერი გეოგრაფიული მხარდაჭერიდან, რომელიც ოპოზიციას თბილისში აქვს, ანდა პოლიტიკოსებისათვის დამახასიათებელი ტენდენციიდან, შემოიკრიბონ თანამოაზრეები, რომლებიც ყველაზე მეტად მათ უჭერენ მხარს. შედეგად, პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ ის განწყობა, რომელსაც მათდამი ხალხის მცირე ჯგუფი ანდა თბილისის რამდენიმე უბანი გამოხატავს, მთელ ქვეყანაში არსებული დამოკიდებულების ამსახველია.

საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოყენება ამ მოლოდინების სამართავად თანდათან ფეხს იკიდებს საქართველოში. თუმცა მეტი ზეგავლენა რომ ჰქონდეს, საჭიროა თანმიმდევრულობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და არა მხოლოდ

არჩევნების პერიოდში, და ძლიერი ნება. როგორც საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის თანამშრომლობის გამოცდილებაში არჩენა, საზოგადოებრივი აზრის ერთი კვლევის ჩატარება არ იძლევა საკმარის საბაზისო კოორდინატებს პოლიტიკოსების შესახებ გრძელვადიანი წარმოდგენების შესაქმნელად. თუმცა პოლიტიკური ელიტები საზოგადოებრივი აზრის კვლევებით მაშინ დაინტერესდებიან, როდესაც კვლევები რეგულარულად ჩატარდება, მათი პროგნოზები კი საკითხთა ფართო სპექტრის და არა მარტო პარტიების მხარდამჭერთა რაოდენობის და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ სანდო იქნება, და თუ პოლიტიკური პარტიები დაინახავენ, როგორ შეიძლება მათი პოზიციების ან კანდიდატების შეცვლამ იმოქმედოს მათ რეიტინგებსა და კენჭისყრის დღის შედეგებზე.

მეთოდოლოგიის გამჭვირვალობა და ახსნა, რა და როგორ კეთდება, ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის კვლევის გაყალბების იმ ბრალდებების გასანეიტრალებლად, რომლებიც ძალზე გავრცელებულია საქართველოს პოლიტიკურ გარემოში. მაშინ, როდესაც მცირე პოლიტიკურ პარტიებს არც ფინანსები აქვთ და არც გამოცდილება, რომ ჩაატარონ საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლობითი კვლევები, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ადამიანთა მიუყერძობლობას, რომლებიც მონაწილეობენ ამ კვლევების შემუშავებასა და ჩატარებაში.

და ბოლოს, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით შეიძლება (თუმცა ეს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გაკეთდეს) საარჩევნო პროცესის ისეთი ხარვეზების მონიტორინგი, როგორიც ადმინისტრაციული რესურსების ძალზე დიდი მობილიზება ან აშკარა დარღვევების სიმრავლეა. თუმცა საჭიროა ორი სერიოზული გაფრთხილების გაკეთება საარჩევნო კეთილსინდისიერების შესაფასებლად საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოყენებასთან დაკავშირებით. პირველი, რესპონდენტები არ იქნებიან ობიექტურები. გამარჯვებულები იტყვიან, რომ ყველა მნიშვნელოვანი წესი იქნა დაცული, დამარცხებულები კი იტყვიან, რომ წესების უმეტესობა დაირღვა. მეორე, თავად კვლევის შედეგებმა შესაძლოა იქონიოს ზეგავლენა. თუ მონაცემებმა არჩენა საარჩე-

ენო მანიპულირების რაიმე ნიშანი (როგორც ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებაა), ასეთი ნიშნები რომც არ მოქმედებდეს არჩევნების შედეგზე, ოპოზიციური პარტიები ფოკუსირებას უფრო არჩევნების ლეგიტიმურობაზე მოახდენენ, ვიდრე თავიანთი პარტიის ან პოლიტიკური პროგრამის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე. ასეთი კონცენტრირება საარჩევნო გაყალბებაზე იწვევს დაპირისპირებას და ძირს უთხრის დემოკრატიის ლეგიტიმურობას; მეტიც, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამით ოპოზიციური პარტიები ნეგატიური ციკლის ხაფანგში ებმებიან, რაც მათ, მათდა საზიანოდ, პოზიტიური გზავნილების გარეშე ტოვებს. მიუხედავად ამისა, საარჩევნო გაყალბებაზე მონაცემების შეგროვება, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებას შერჩევითად მიეწოდება, ხელს უწყობს ადგილობრივ მოქმედ პირებთან რთული დიალოგის დაწყებას საარჩევნო სისტემის იმ საჭირო გაუმჯობესების შესახებ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხალხის ნდობა არჩევნების შედეგებისადმი.

ხარისხიანი საზოგადოებრივი აზრის კვლევების გადაუდებელი საჭიროება


2008 წლის არჩევნებიდან გამოტანილი ერთ-ერთი აშკარა გაკვეთილი ის არის, რომ საქართველოს პოლიტიკაში ნამდვილად არსებობს ისეთი ხარისხიანი საზოგადოებრივი აზრის კვლევის საჭიროება, როგორც ზემოთ არის აღწერილი. როგორც მოვლენებმა აჩვენა, პოლიტიკური ლიდერები არ იცნობდნენ საზოგადოების განწყობას. მართლაც, 2007 წლის განმავლობაში ხელისუფლების მიერ ხალხის შეხედულებების უცოდინრობამ ვადამდელი საარჩევნო ციკლის დაწყება გამოიწვია. ხელისუფლებამ არ აღიარა, რომ ადრე განხორციელებული ზოგიერთი პრივატიზების გაუქმებით, განსაკუთრებით კერძო მინებისა და ბინების შემთხვევებში, საკუთარ ელექტორატზე მიიტანა შეტევა. მთავრობისადმი ნდობა დაეცა. არაერთმა შეთავაზებამ მთავრობის შიდა წრისადმი, გაეთვალისწინებინა გამოკითხვის მონაცემები, დაინტერესება არ გამოიწვია. ამასობაში კი მოსახლეობის უკმაყოფილება იზრდებოდა.

სწორედ მთავრობით ეს ზოგადი უქმეყოფილება გამოიყენა ირაკლი ოქრუაშვილმა 2007 წლის სექტემბერში პოლიტიკაში დაბრუნებისას. იგრძნო რა ზოგადი იმედგაცრუება, მან პირდაპირ შეუტია ხელისუფლებას. თუმცა პერსონალური დუელის ფორმით პრეზიდენტის გამონვევით მან ფუნდამენტური შეცდომა დაუშვა და საზოგადოების შეხედულებები ვერ შეაფასა. ყველა ნიშანი არსებობდა იმისა, რომ ქართველთა უმრავლესობას უნდოდა (და ახლაც უნდა) უფრო ანგარიშვალდებული მთავრობა, რაიმე საპირწონე სხვაგვარი დაუბალანსებელი პრეზიდენტისა და პოლიტიკური ნორმალიზაცია. კერძოდ, საზოგადოებას არ ჰქონდა სურვილი, გაემართა კიდევ ერთი ეპიკური ბრძოლა თემაზე „საქართველო პატარა ჩვენ ორისთვის“. ხალხის ამ განწყობის უგულებელყოფამ ოქრუაშვილი უფრო სახიფათოც აქცია და უფრო დაუცველიც, ვიდრე მას ეს სჭირდებოდა. იგი ძალზე სახიფათო გახდა, ვინაიდან ხელისუფლება არ დაუშვებდა, მკვლევობაში მონაწილეობაში ყოფილიყო დადანაშაულებული, და ძალზე დაუცველი იმიტომ, რომ ვერ დააკავშირა პოლიტიკური განცხადებები ფართო საზოგადოების მოთხოვნებთან.

საზოგადოების ნდობის ამ კრიზისის კულმინაცია 2007 წლის 7 ნოემბრის შეტაკებები და მომიტინგეთა დასაშლელად მთავრობის მხრიდან პოლიციის სპეცრაზმების უხეშად გამოყენება იყო. ნოემბრის საპროტესტო გამოსვლები, სავარაუდოდ, თავისთავად დასრულდებოდა, მთავრობას რომ არ მოენდომებინა პარლამენტის წინ დარჩენილი მომიტინგეების დაშლა. ხელისუფლების მცდელობამ, წერტილი დაესვა მომიტინგეთა გამონვევისთვის უფრო დიდი პროტესტი გამოიწვია. დემონსტრაციის შემდგომმა დარბევამ და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ ისეთი კრიზისი გამოიწვია, რომ ხელისუფლებას სხვა არჩევანი აღარ დარჩენოდა, გარდა ვადამდელი არჩევნების გამოცხადებისა. 2007 წლის დეკემბრის ბოლოდან ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ამ დარბევის გამო ხელისუფლებას პრაქტიკულად აღარ ჰქონდა ხალხის მხარდაჭერა. ეს მარტო იმიტომ კი არ მოხდა, რომ პოლიცია უფრო დაუნდობლად იქცეოდა, ვიდრე დასავლეთში იქცევიან ხოლმე პოლიციის რაზმები დემონსტრაციების დაშლისას (თუმცა იყო დაუნდობლად მოპყრობის რამდენიმე შემთხვევა), არამედ

იმიტომ, რომ მოქალაქეები, რომლებიც თავიანთი სახელმწიფოს-
გან მცირე სარგებელს იღებენ, ასეთივე მცირე მოთმინებას იჩე-
ნენ მისი ძალისმიერი ქმედების მიმართ. როგორც საქართველოს
ხელისუფლების ერთმა უცხოელმა მრჩეველმა თქვა, მთავრობას
უნდა სცოდნოდა, რომ „ერთი რეზინის ტყვია თბილისის ქუჩებში
ამსტერდამში გასროლილ ერთ ნამდვილ ტყვიას უდრის“.

2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებისადმი დამოკიდებულება



წყარო: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მონაცემები,
2007 წლის დეკემბრის ბოლო

ამრიგად, საქართველოში არჩევნები იმ სერიოზული კრი-
ზისის დროს დაიწყო, რომელიც თითქმის არავის სჭირდებოდა.
„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ნაჩქარევი და ცუდად გა-
მიზნული კამპანია წამოიწყო. მან დევიზად „საქართველო სილა-
რიბის გარეშე“ აირჩია და სილარიბის რამდენიმე თვეში დაძლევის
დაპირებას იძლეოდა. თუმცა ამ საარჩევნო დაპირებებით ზოგის

გულის მოგება შეიძლებოდა, ისინი, ამავედროულად, საფრთხეს შეიცავდა, რომ ვერ შესრულდებოდა, რაც საშუალოვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო გაზრდიდა საზოგადოებაში ცინიზმს და გააღრმავებდა მთავრობის ლეგიტიმურობის კრიზისს. მარტივი ანალიზი აჩვენებდა, რომ სიღარიბე არც კი იყო ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემა: ბევრი იმ ადამიანთაგან, ვინც 2005-2006 წლებში უფრო გაღარიბდა, მაინც ხელისუფლებას უჭერდა მხარს, ხოლო იმ ადამიანთა დიდი რაოდენობა, ვისი ეკონომიკური მდგომარეობაც გაუმჯობესდა, კრიტიკულ განწყობას ინარჩუნებდა. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მონაცემების თანახმად, სახალხო უკმაყოფილება შეიძლება ხელისუფლების თავშეუკავებელი ქმედებით (და დაუსჯელობით, როდესაც ზედმეტი მოსდიოდა) და საზოგადოების ფართო ფენებისაგან გაუცხოებით აიხსნას. თუმცა საზოგადოების შეშფოთება ხელისუფლების თავშეუკავებლობით კიდევ უფრო გაღრმავდა იმ კამპანიით, რომელშიც მმართველი პარტია ყველა შესაძლო ხერხს იყენებდა, რის გამოც ვერ ახერხებდა კრიტიკოსების დარწმუნებას, რომ, მოკლევადიანი პოლიტიკური განსხვავებების მიუხედავად, შეიძლებოდა ხელისუფლების ნდობა, რომ იგი დაიცავდა გრძელვადიანი დემოკრატიული პროცესის მიუკერძოებლობას.

ოპოზიციამ ოდნავ უკეთ გაართვა თავი ამ პრობლემას. იგრძნეს რა, რომ ხალხს ცვლილებები სურდა, ოპოზიციური პარტიები მოსახლეობას არსებული ხელისუფლებისგან რადიკალურ განსხვავებას ჰპირდებოდნენ. ოპოზიციის კამპანიამ რევოლუციური მოძრაობის ბევრი ნიშანი შეიძინა: რადიკალიზაციის მაღალი ხარისხი, ყურადღების მისაქცევი სიმბოლიკის (თეთრი ყელსახვევები) შექმნის მცდელობა და მკაცრი ლეგიტიმური რიტორიკა. ეს აკმაყოფილებდა იმ ელექტორატს, რომელიც შინაგანად მტრულად იყო მთავრობისადმი განწყობილი (მოსახლეობის 20-25%), მაგრამ არ ეხმიანებოდა საზოგადოების ძირეულ პოლიტიკურ მოთხოვნებს: ფართო საზოგადოებას უნდოდა პოლიტიკური ცვლილება, მაგრამ ასევე უნდოდა ყველა იმ ეკონომიკური და სოციალური სარგებლის სტაბილურად შენარჩუნება, რომლებიც 2004 წლის შემდეგ იქნა მიღწეული. ამრიგად, ოპოზიციის რიტორიკა ყველაფრის შეცვლის თაობაზე ძალზე შემაშფოთებელი იყო, ქმნიდა რა ბევრი მისასალ-

მებელი გაუმჯობესების განადგურების საფრთხეს. ზედაპირული პოლიტიკური კვლევა კი დაანახებდა ოპოზიციას მერიტოკრატიული სტაბილურობის, როგორც პოლიტიკური პროგრამის ერთ-ერთი ცენტრალური სტრატეგიის, საჭიროებას.

მთელი 2007 წლის განმავლობაში კრიზისიდან კრიზისზე რეაგირებამდე ბორძიკით სვლა, როდესაც ყოველი ნაბიჯი კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებდა, იმის მაჩვენებელი იყო, რომ პროცესს კრიტიკული კომპონენტი აკლდა - საზოგადოების რეალურ სურვილზე დაფუძნებული ზომიერი პოლიტიკა. რატომ მოხდა ასე, ეს, გარკვეულწილად, გამოცანას წარმოადგენს. სავარაუდოდ, როდესაც მოთხოვნა მწვავეა, მაშინაც კი, თუ ეს მოთხოვნა არ არის მკაფიოდ გამოხატული, მიწოდება სათანადო უნდა იყოს. რატომ ვერ შეავსო საპრეზიდენტო არჩევნების დროს საზოგადოებრივი აზრის ხარისხიანმა კვლევამ ეს ვაკუუმი?

პრობლემები: კომპეტენტურობა, ნდობა, ფასი, წარმოდგენები

არსებობს გამოწვევები, რომლებიც ერთად დესტრუქციულ ციკლს ქმნის. ამ ციკლში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა ცუდი ხარისხისაა, ამიტომ მას არ ენდობიან და, შესაბამისად, მასში არც ინვესტიციას დებენ, საბოლოოდ კი მიღებული შედეგები უხარისხოა. ეს გამოწვევები შემდეგი ცნებების ჯამს წარმოადგენს: კომპეტენტურობა, ნდობა, ფასი და ძირეულად არასწორი წარმოდგენები.

პირველი, საზოგადოებრივი აზრის კვლევისათვის საჭიროა მაღალი *კომპეტენტურობა*. მცირე შეცდომებმა შეიძლება ძალზე სერიოზული უზუსტობა გამოიწვიოს. ეს შეცდომები ყოველთვის შესამჩნევი არ არის, თვით ჭკვიანი, თუმცა ამ საქმის არაპორფესიონალი ადამიანებისთვისაც კი. პოტენციური შეცდომის მრავალი წყარო არსებობს: კითხვარის ფორმა, კითხვების თანმიმდევრობა, ინტერვიუერის არასათანადო მომზადება და უხარისხო საველე სამუშაოები. წარმომადგენლობითი შერჩევა, ანუ ისეთი ჯგუფის არჩევა, რომელიც მთელ მოსახლეობას წარმოადგენს, განსაკუთრებული გამოწვევაა, რომლის მნიშვნელობის ილუსტრირება ერთი კონკრეტული, კომიკური მაგალითით შეიძლება.

2007 წლის ნოემბრის ბოლოს ერთმა ინგლისურენოვანმა გაზეთმა, სრულიად კეთილი განზრახვით, გადანყვიტა წინასაარჩევნო გამოკითხვის ჩატარება. ინტერნეტით მოძიებული მასალების მიხედვით ჯგუფმა დაასკვნა, რომ 400 რესპონდენტის გამოკითხვა მას მიახლოებით წარმოდგენას შეუქმნიდა. შემდეგ გადანყვიტეს, გამოკითხვა ჩაეტარებინათ როგორც დედაქალაქში, ასევე სოფლებსა და სხვა ქალაქებშიც, მაგრამ, ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, თბილისთან ახლომდებარე ადგილები შეარჩიეს. დედაქალაქში გამოკითხვა მეტროს სადგური „რუსთაველის“ („ამ ადგილას ყოველთვის ხალხმრავლობაა და თანაც ქალაქის სხვადასხვა უბნის ბევრ მცხოვრებს უხდება გავლა“) წინ მდგომმა ბლოკნოტმომარჯვებულმა ადამიანებმა ჩაატარეს. სოფლის რესპონდენტებისთვის საგარეჯოს რაიონი შეირჩა, ანუ რაიონი თბილისის მახლობლად, სადაც ბევრი სოფელია და თან ერთ დღეში შეიძლება თავისუფლად ჩასვლა-ჩამოსვლა.

მოგვიანებით ამ ჯგუფმა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს მიაკითხა რჩევისთვის, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, როდესაც რესპონდენტთა უმეტესობა ქალი იყო, გასულიყვნენ ისევ და მხოლოდ მამაკაცები გამოეკითხათ, თუ ალაღბედზე გაეგრძელებინათ ქუჩებში ადამიანების გამოკითხვა.

„როგორ ხდება რესპონდენტთა სწორი კომბინაციის მიღება? განსაკუთრებული სიზუსტე ან რაიმე თეორია არ მჭირდება, უბრალოდ ისეთი რამ მინდა, რასაც დავეყრდნობი“.

აი, ასე აგვიხსნეს ეს ამოცანა. ჩვენ არ გვეყო გამბედაობა, გვეთქვა ამ კეთილი ზრახვებით მოქმედი ჟურნალისტისთვის, რომ, უკვე ჩადენილი შეცდომების გათვალისწინებით, აღარაფერი რჩებოდა, რასაც დავეყრდნობოდა. ამ გამოკითხვის შედეგების მიხედვითაც, რომლებიც გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა, გაჩეჩილაძე 42%-ით ლიდერობდა, ხოლო სააკაშვილი მას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. შედეგები ძალზე არაობიექტური იყო, რადგან ფოკუსირებული იყო თბილისზე, სადაც ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობა ჭარბობდა. შესაძლოა, ეს შედეგები მიახლოებით წარმომადგენლობითი იყო თბილისისთვის და

ახლომდებარე სოფლებისთვის, მაგრამ არ ასახავდა განწყობას ქვეყნის მასშტაბით.

ეს უკიდურესად უხარისხო კვლევა მხოლოდ ერთ-ერთი მრავალთგანი იყო. მსგავსი ან სხვა სახის ხარვეზები ბევრ სხვა გამოკითხვასაც ახასიათებდა. ასეთი პრობლემების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ის არის, რომ ხარისხიანი პოლიტიკური კვლევა მოითხოვს ძალზე მკაცრ მეთოდოლოგიას. თუმცა სწორედ ეს სიმკაცრე არ არის დამკვიდრებული. ბაზრის შესასწავლად, რომელიც შედარებით განვითარებულია საქართველოში, ხშირად მიახლოებითი შედეგიც საკმარისია, განსაკუთრებით საქართველოსნაირი ახალგაზრდა და დინამიკური ბაზრისთვის. ყავის მოყვარულთა რაოდენობის არასწორად, 20%-იანი ცდომილებით, განსაზღვრამ შეიძლება კვლევის დამკვეთს ბევრი არაფერი დააკლოს და მას საქმე მაინც კარგად მიუდიოდეს, თუ სარეკლამო კამპანია კარგად არის დაგეგმილი. პოლიტიკური პარტიისთვის არასწორად, 20%-იანი ცდომილებით, ხმათა წილის დათვლამ კი შეიძლება ზოგი პარტია საერთოდ გააქროს პოლიტიკური რუკიდან. ამიტომ ნიუანსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება; თუმცა კვლევით კომპანიებს სწორედ ასეთი დეტალების შესწავლის პრაქტიკა აკლიათ. სწორედ ეს არის პრობლემა, ვინაიდან მკვლევრები ხშირად მათსავე მსგავს ჯგუფებს იკვლევენ: უზრუნველყოფილებს, მობილურებს, ქალაქელებს და უმეტესად თბილისელებს. მაგრამ პოლიტიკური კვლევისათვის ქვეყნის მოცვაა საჭირო და ღარიბი გლეხების აზრის გაგება, რომლებსაც სხვაგვარად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ მათი ხმები ისეთივე ფასეულია, როგორც ვაკის მოსახლეობისა. სხვაგვარად თუ ვიტყვით, პირველი პრობლემა ამ ტიპის კვლევაში სისტემური გამოცდილების არარსებობაა.

ამ პრობლემას ემატება საარჩევნო კვლევის დამახასიათებელი გამოწვევები. მკვლევარმა უნდა იცოდეს, როგორ მოახდინოს პოლიტიკური გზავნილების კონცეფტუალიზაცია (მაგალითად, როგორ დააბალანსოს რეალური სტაბილურობის დაპირებები ცვლილებების მიმზიდველი პერსპექტივით), რა კონკრეტული კითხვა უნდა დასვას. არ არის საკმარისი, იკითხო (როგორც ეს ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გააკეთა): „ეთანხმებით

თუ არა ბოლო არჩევნების შედეგებს?" ვინაიდან უარყოფითი პასუხი შეიძლება გულისხმობდეს ნებისმიერ მოსაზრებას, დაწყებული - „მე არ მომწონს ისინი და ჩემი მშობარა თანამემამულეების შეხედულებათა უმეტესობა“, დამთავრებული - „ეს იყო აშკარა გაყალბება“. საჭიროა უფრო მიზნობრივი კითხვა. მაგრამ იმის ცოდნა, რა კითხვა დასვა, საჭიროებს მნიშვნელოვან ანალიტიკურ უნარ-ჩვევებსა და პოლიტიკის გაანალიზების პრაქტიკას, რომელიც უფრო ფართო სოციოლოგიურ ინსტინქტს ემყარება. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს ხარისხიანი პოლიტიკური კვლევა და ასეთი კვლევის ფუნქციური სწავლება უნივერსიტეტებში, საქართველოში ასეთი კვლევის ძალზე მცირე რესურსები არსებობს.

რაც შეეხება გამოკითხვის წმინდა ტექნიკურ მხარეს, აუცილებელია, გაჩნდეს ნდობა, ვინაიდან ამ ტიპის სამუშაო უფრო დელიკატურია, ვიდრე ბაზრის რუტინული კვლევა. ყველა გულახდილად არ იტყვის, ვის აძლევს ხმას, განსაკუთრებით თუ შიში აქვთ, რომ ინტერვიუერისათვის სიმართლის გამხელამ შეიძლება მათ ცუდი შედეგები მოუტანოს. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ოპოზიციის მომხრეებმა შეიძლება არაფერი თქვან, ანდა უბრალოდ მოიტყუონ, რაც უარესია კვლევის შედეგებისათვის. სიმართლის უთქმელობა ან ტყუილის თქმა გავლენას ახდენს გამოკითხვის შედეგებზე, რაც დასაბალანსებელია საბოლოო შედეგების დათვლამდე. მაგრამ სათანადოდ დაბალანსება საჭიროებს გამოცდილებას, ღრმა ხედვას და, იდეალურ შემთხვევაში, ისტორიულ მონაცემებს (რომლებიც საქართველოში უბრალოდ არ მოიპოვება).

როდესაც საქმე არჩევნების კონკრეტული შედეგების პროგნოზირებისკენ მიდის, ეგრეთ წოდებული „სავარაუდო ამომრჩევლების შერჩევის“ გაკეთებისას კიდევ ერთი პრობლემა დგება. არჩევნების შედეგების პროგნოზირებისას ეს შერჩევა გამოიყენება იმისათვის, რომ შეტანილი იქნეს მხოლოდ იმათი მოსაზრებები, რომლებიც არჩევნების დღეს რეალურად მივლენ ხმის მისაცემად. თუ „ბ“ კანდიდატის მხარდამჭერთა 30% არ მივა არჩევნებზე იმიტომ, რომ მათ რეალურად პოლიტიკა არ აინტერესებთ, ეს მნიშვნელოვნად იმოქმედებს შედეგებზე. ამრიგად, ზუსტ

პროგნოზირებას სჭირდება ამომრჩეველთა აქტივობის პროგნოზირების კარგი მოდელი. კვლევების საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნებში ამ მოდელების შემუშავება მრავალი საარჩევნო ციკლის განმავლობაში ხდება. საქართველოში ასეთი მოდელის შესამუშავებლად ისტორიული მონაცემები არ არსებობს. ამიტომ ნებისმიერი პროგნოზი მნიშვნელოვანი რისკის შემცველია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს ფასის საკითხი. ქვეყნის მასშტაბით ხარისხიანი პირისპირ გამოკითხვის ჩატარება, ძალზე ეკონომიური გათვლითაც კი, მინიმუმ 20,000 აშშ დოლარი დაჯდება. ამ თანხით ბევრი მიმდინარე ხარჯიც კი ვერ დაიფარება. წარმოდგენის შესაქმნელად ხარჯის ერთ-ერთ მიზეზს აღვწერ: სრული წარმომადგენლობითობის მისაღწევად ინტერვიუერებს ხშირად რამდენჯერმე უხდებათ ერთსა და იმავე ოჯახში მისვლა. თუ ისინი გაესაუბრებიან პირველივე ადამიანს, რომელიც კარს გაუღებს, ეს ქვეყნის მასშტაბით კარის გამღებების გამოკითხვა უფრო იქნება და არა წარმომადგენლობითი. ეს შეიძლება ვინმეს ტრივიალურად მოეჩვენოს, მაგრამ, გავიმეორებ, შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს გამოკითხვაში, მაგალითად, იმ ადამიანების არ მოხვედრამ, რომლებიც დღის განმავლობაში მუშაობენ. ბოლოს და ბოლოს ეს ყავის სმის ჩვევების კვლევა ხომ არ არის. ამრიგად, გარკვეული სტატისტიკური პროცედურის შესაბამისად, თითოეულ ოჯახში შეირჩევა ერთი წევრი (ზოგჯერ ოჯახის ის წევრი, რომლის დაბადების დღეც ყველაზე ბოლოს იყო); მაღალხარისხიანი კვლევა ამ კონკრეტულ რესპონდენტთან შესაბამისად ინტერვიუერის სამჯერ მისვლას ითვალისწინებს ოჯახში (სანამ ინტერვიუერი ანკეტაში ჩანერდეს, რომ რესპონდენტის არყოფნის გამო კითხვა პასუხგაუცემელია). ამისათვის თანხაა საჭირო, ისევე, როგორც საჭიროა თანხა ინტერვიუერის გასაკონტროლებლად, სათანადოდ შეასრულა თუ არა სამუშაო (ჩვეულებრივ, შემთხვევების 5-10%-ში); წინააღმდეგ შემთხვევაში ინტერვიუერები მოტყუებას ეცდებიან. ვინაიდან ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი კვლევა 1,000-ზე მეტ რესპონდენტს მოიცავს, გასაკეთებელი სამუშაოც ბევრია.

დაფინანსებისა და გამოცდილების უქონლობის პირობებში აბსოლუტური არაკომპეტენტურობა ხშირად „გზადაგზა“ გამო-

კითხვებით მთავრდება, რომლებსაც პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები ან მედიაორგანიზაციები ატარებენ. ასეთი მიდგომა ემყარება მოსაზრებას, რომ მაშინაც კი, თუ გამოკითხვა მეთოდოლოგიურად არასწორად ტარდება და არც საჭირო რესურსებია, მიახლოებითი შედეგის მიღება მაინც შეიძლება. ეს ემყარება დანიშნულების პუნქტამდე მისვლის მექანიკურ აზროვნებას: შეიძლება საბოლოოდ იქ ვერ მოვხვდე, მაგრამ სწორ გზას მაინც ვადგავარ (დარჩენილ მანძილს ფეხით გავივლი). მაგრამ ეს ანალოგია სრულიად არასწორია, როდესაც საბოლოო შედეგები უშეცდომო პროცესზეა დამოკიდებული. კვლევები აშკარად ამ კატეგორიას განეკუთვნება. ერთმა შეცდომამაც კი შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მთელ საქმეს, რისი აშკარა მაგალითიც ზემოთ განხილული ინგლისურენოვანი გაზეთის კვლევის არაობიექტური შერჩევაა.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს საზოგადოებრივი აზრის მრავალი უხარისხო კვლევა აქვს ნანახი. ასეთ კვლევებს შორისაა:

კვლევები ძალიან დიდი ზომის წარმომადგენლობითი შერჩევით (10,000-ზე მეტი რესპონდენტი რეგიონული შედარებისთვის) და ძალზე ცუდად მომზადებული ინტერვიუერებით;

კვლევები, რომლებშიც პასუხგაუცემელი კითხვები არ ფიქსირდებოდა (კვლევის საბაზისო სტანდარტების ნაკლებობა); სხვადასხვა სატელეფონო გამოკითხვა, რომლებიც საეჭვო იყო, ვინაიდან არ ხდებოდა მათი შემონშება (იმის უზრუნველსაყოფად, რომ წარმომადგენლობითი ყოფილიყო მთელი მოსახლეობისა და არა მხოლოდ საქართველოში ტელეფონის მქონე ადამიანებისა);

კვლევები, რომლებშიც ინტერვიუერები რესპონდენტებს პარტიის წევრებად აცნობდნენ თავს და ამის შემდეგ იწყებდნენ გამოკითხვას იმის იმედით, რომ სწორ პასუხებს მიიღებდნენ (და თავიანთ პარტიებს დიდ იმედგაცრუებას უმზადებდნენ); და

კვლევები, რომლებშიც რესპონდენტებს გვარებს და ტელეფონის ნომრებს სთხოვდნენ, სანამ ჰკითხავდნენ, ვის უჭერდნენ მხარს, რაც პირად ცხოვრებაში ჩარევას და, ბევრი დასავლური

სტანდარტით, კვლევის ეთიკის დარღვევას ნიშნავს.

ამრიგად, არაკომპეტენტურობის და აქედან გამომდინარე უნდობლობის შედეგად ხარისხიანად ჩატარებული კვლევა დიდი იშვიათობაა საქართველოში. ის კვლევები კი, რომლებიც ხარისხიანად ტარდება, თავდაუზოგავი, დისციპლინირებული და ძვირადღირებული შრომის შედეგია. მაგრამ გარედან თუ შევხედავთ, ჟურნალისტიკებსა და საზოგადოებას უჭირთ, შეაფასონ კვლევის ხარისხიანობა. ისინი მიჩვეულები არიან საზოგადოებრივი აზრის საეჭვო გამოკითხვებს. ამიტომ ჟურნალისტიკებსა და საზოგადოებას სჯერათ იმ გამოკითხვისა, რომლის ჩამტარებელსაც ენდობიან და, ასევე, რომლის შედეგებიც მათთვის მისაღებია. ეს კი ხელს უწყობს იმ დესტრუქციული ციკლის გაგრძელებას, რომელშიც ძნელია დაფინანსების მიღება ხარისხიანი კვლევისთვის.

საქართველოში კვლევები მთავრდება პოლარიზებით ანდა ხელს უწყობს პოლარიზებას. მაშინ, როდესაც კვლევების მიზანია, გამოავლინონ, რას ფიქრობს საზოგადოება, ისინი კერძო მოსაზრებების გაძლიერების ინსტრუმენტებად იქცევა. საერთო სახალხო მოლოდინების შექმნის ნაცვლად ისინი ხელს უწყობს საზოგადოების კიდევ უფრო მეტ დაყოფას ქართულ პოლიტიკაზე რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებების მქონე ბანაკებად. ეს პოლარიზება ანგრევს პოლიტიკურ გარემოს, რაც აძნელებს საარჩევნო კამპანიის კონსტრუქციულ კონკურენტულ პროცესად გარდაქმნას. ამის ნაცვლად არჩევნების დღის ღამე დაპირისპირების არენად იქცევა და პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, იჯერებენ, რომ მოტყუებული იქნენ: ბოლოს და ბოლოს, საზოგადოებრივი აზრის ყველა გამოკითხვა (მათ მიერ ჩატარებული) სულ სხვა შედეგებს წინასწარმეტყველებდა.

დესტრუქციული ციკლის ერთ-ერთი მსხვერპლი (და ასევე ამ ციკლის შემქმნელი) კვლევისადმი პოლიტიკური დამოკიდებულებაა. როგორც ცნობილია, კარგი კვლევის მიზანი არ უნდა იყოს საკუთარი პროგნოზების გამართლება. თუ მკვლევარი ძალიან მონდომებულია კვლევაში დასახული მიზნის მიღწევაში, იგი, სავარაუდოდ, დაამახინჯებს პერსპექტივას და დააზარალებს მთელ პროცესს. ამის ნაცვლად, მკვლევრებს სურვილი უნდა ჰქონდეთ, მუდმივად განავითარონ და დახვეწონ თავიანთი პი-

პოთენციები რეალურ მონაცემებთან შედარებით. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ასეთი ძალზე ცოტა კვლევა ჩატარდა. მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მხოლოდ 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს დაფიქსირდა.

არათანაბარი გაუმჯობესება საპარლამენტო არჩევნებში

საზოგადოებრივი აზრის კვლევა უფრო ფართოდ 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში გამოიყენებოდა. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიქირავა „Greenberg Quinlan Rosner Research“ (GQRR), საზოგადოებრივი აზრის კვლევის რესპექტაბელური და დიდი საერთაშორისო გამოცდილების მქონე ამერიკული კომპანია, რათა ჩაეტარებინა ფართომასშტაბიანი კვლევა როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში. კვლევა მოიცავდა ეტაპობრივ გამოკითხვებს ქვეყნის მასშტაბით და ვრცელი ფოკუსგუფების ჩატარებას საქართველოს ამომრჩეველთა სხვადასხვა სეგმენტთან. თუ ამ კვლევის გავლენა გარკვეულწილად საგრძნობი იყო 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში, 2008 წლის გაზაფხულის საპარლამენტო არჩევნებში მისი რეალური გავლენა უკვე აშკარად შესამჩნევი იყო.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სერიოზულად მოეკიდა GQRR-ის მიერ ჩატარებულ სამუშაოს, რაც აშკარა იყო ამ პარტიის ვრცელი სარეკლამო კამპანიიდან, რომელშიც გათვალისწინებული იყო GQRR-ისეული „გულდასმით მოსმენის“ მეთოდი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შედეგები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ეს გაუმჯობესება იმის აშკარა გამოხატულება იყო, რომ პარტიას, წინა წლებისაგან განსხვავებით, ესმოდა ქართველი ამომრჩევლის პოლიტიკური პრიორიტეტები და ყველაზე მწვავე პრობლემები. გარდა ამისა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიხვდა, რომ მისი ძირითადი მხარდამჭერი რეგიონების მოსახლეობა იყო და სატელევიზიო კამპანია ააგო იმ სოფლებამდე მისაყვანი გაზსადენების მშენებლობის ამსახველ კადრებზე, რომლებსაც ადრე გაზი არ მიეწოდებოდა. ფოკუსი გაკეთდა მოხუცებზეც და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

მიერ მათთვის გაცემულ დაპირებებზეც. მთავარი დევიზი „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ არ იყო ფოკუსირებული კონკრეტულ დაპირებებზე, არამედ წარმოადგენდა პოპულარიზაციას იდეისა, რომ მმართველ პარტიას ძალუძს, შეინარჩუნოს სტაბილურობა და შესწავს უნარი, გაატაროს ცვლილებები, რასაც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ქმედებების განხორციელება ემატებოდა. ოპოზიციის პროტესტზე რეაგირება შეგნებულად რბილი და არაკონფრონტაციული იყო, რაც ხაზს უსვამდა გარემოებას, რომ ხელისუფლება ხალხს სასურველ სტაბილურობას სთავაზობდა და, ამავე დროს, საშუალებას აძლევდა უკმაყოფილო საზოგადოებას, გამოეხატა საკუთარი მოსაზრებები. ეს ბევრ იმ ამომრჩეველს მოეწონა, რომლებიც არც იქით იყვნენ და არც აქეთ, ანუ კრიტიკულები იყვნენ ხელისუფლების ნაკლოვანებებისადმი, თუმცა გაცილებით ნაკლები მხარდამჭერნი ოპოზიციის მკაცრი რიტორიკისა.

აქტივობა დასახლების ტიპის მიხედვით


დასახლების ტიპი	საპრეზიდენტო არჩევნები	საპარლამენტო არჩევნები
სასოფლო	63.7%	60.2%
ურბანული	50.6%	47.5%
ბზილისი	51.2%	47.7%

გამოანგარიშებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით და არ მოიცავს იმ საარჩევნო უბნების, რომლებსაც სამხედრო ბაზებს უწოდებენ და სადაც სამხედრო მოსამსახურეთა ხმები იქნა დათვლილი.

ნაწილობრივ იმ კამპანიების შედეგად, რომლებშიც დინამიზმიც ჩანდა და გამოტანილი გაკვეთილებიც და რითაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარი მხარდამჭერების მობილიზებას ახდენდა, მმართველი პარტიის ამომრჩეველები გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებზე, ოპოზიციის მხარდამჭერნი კი სახლებში დარჩნენ. სოფლის მოსახლეობა, ჩვეულებრივ, ხელისუფლების

მხარდამჭერია, ამიტომ მათი აქტივობის გაზრდაზე ფოკუსირებას აზრი ნამდვილად აქვს (იხ. გრაფიკი ქვემოთ).

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მსხვილმა ინვესტიციამ გამოკითხვებში ძალზე დიდი დისბალანსი შექმნა ისედაც არათანაბარ სათამაშო მოედანზე. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დააფინანსა კვლევა, რომელიც მილიონები ღირდა, მაშინ, როდესაც სხვა პარტიებს ამისათვის არც საჭირო რესურსები გააჩნდათ და არც ფინანსები. ამ დისბალანსმა ოპოზიციის იამაიკის ბობსლეის გუნდს დაამსგავსა, რომელიც ეჯიბრებოდა სამთო სპორტის ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ქვეყნების გუნდებს (ეს 1988 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე მოხდა). ტროპიკული ქვეყნის გუნდს არ ჰქონდა საჭირო გამოცდილება და აღჭურვილობა, არც კორპორატიული სპონსორი ჰყავდა ან ის რესურსები გააჩნდა, რომლებსაც გუნდი დაეყრდნობოდა. წაგებული გუნდის მონაწილეობა კი ხშირად ფარსს ემსგავსებოდა.



წყარო: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2007 წლის მონაცემები

ეს ანალოგია კარგად აღწერს ზემოაღნიშნულ დისბალანსს. რეალურად, ოპოზიციურ პარტიებს კარგადაც რომ სცოდნოდათ, როგორ გამოეყენებინათ საზოგადოებრივი აზრის კვლევა, მათ ამის ფინანსური საშუალება არ ჰქონდათ. საპარლამენტო არჩევნებისთვის ლეიბორისტულმა პარტიამ, არჩევნების შემდგომი ფინანსური ანგარიშის მიხედვით, 61 ლარი დახარჯა (უფრო მეტიც, ცესკო-ს მონაცემებით, ეს 61 ლარი საბუღალტრო შეცდომა იყო და საბანკო გადარიცხვის საფასურს წარმოადგენდა). სხვა პარტიების უმეტესობას ოფიციალურად არაფერი დაუხარჯავს, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს.

პრაქტიკას, დისციპლინას და დაფინანსებას, რა თქმა უნდა, ბევრი ამ დეფიციტის შევსება შეუძლია (2000 წლის ოლიმპიადაში იამაიკელებმა მე-14 ადგილი დაიკავეს და აშშ-სა და რუსეთს გაუსწრეს). მას შემდეგ, რაც დაფინანსების სერიოზული პრობლემა მოიხსნება, ოპოზიციურმა პარტიებმა ყურადღება გამოკითხვების ჩატარების უნარ-ჩვევებზე უნდა გაამახვილონ. მართალია, გამოკითხვის კარგი უნარ-ჩვევები სხვა ნაკლოვანებებს (როგორებიცაა მოთხოვნის შესაბამისი რეალური სტრატეგიების და საარჩევნო დაპირებების ფორმულირება ანდა შიდაპარტიული სტრუქტურების განვითარება) ვერ აღმოფხვრის, მაგრამ ისინი ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარი სიძლიერის გამოყენებისთვის. გამოკითხვები დაეხმარება სერიოზულ ოპოზიციურ პარტიებს უფრო ქმედითი ციკლის დაწყებაში.

**პოლიტიკური პარტიების მიერ კვლევაზე ოფიციალურად
დახარჯული თანხები**

საპარლამენტო არჩევნები	
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	143,257 ლარი
ყველა სხვა პარტია ან ჯგუფი, რომლებსაც კანდიდატები ჰყავდათ არჩევნებში (6)	0 ლარი
სულ	143,257 ლარი
საპარლამენტო არჩევნები	
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	1,122,633 ლარი
გაერთიანებული ოპოზიცია	510 ლარი
„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“	1,463 ლარი
ყველა სხვა პარტია (9) ან ბლოკი (3), რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში	0 ლარი
სულ	1,124,606 ლარი

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

ამის კარგი მაგალითია ქრისტიან-დემოკრატიული პარტია. იგი სულ უფრო ხშირად მიმართავს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს იმისათვის, რომ მოახერხოს ცენტრისტული კურსის შენარჩუნება. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რესპუბლიკურმა პარტიამაც აღიარა საჯაროდ, რომ მისი გზავნილი არ ეხმიანებოდა ხალხის სურვილებს და ამაზე გარკვეული პასუხისმგებლობაც აიღო. დავით უსუფაშვილმა 2008 წლის 22 მაისს „პრაიმ-ტაიმის“ ნამყვანს ინგა გრიგოლიას განუცხადა:

„ჩვენი ანალიზის მიხედვით ჩვენ [ხმების] 12-14% შეგვეძლო მიგველო. ამ პროცენტული რაოდენობის ერთი მესამედი იმ შეცდომების გამო დავეკარგეთ, რომლებიც დავუშვიტ საარჩევნო კამპანიის დროს. კიდევ ერთი მესამედი ხელისუფლების უკანონო ქმედებამ დაგვაკარგინა, ხოლო დარჩენილი ერთი მესამედი [არჩევნების] შედეგებში აისახა.“

არჩევნების შემდეგ საკუთარ თავში მიზეზების ასეთი ძიება ჯანსაღი და აუცილებელი პროცესია, რაც, იმედია, პარტიის ისეთ რესტრუქტურისაზიას გამოიწვევს, რომელიც მას უფრო კონკურენტუნარიანს გახდის მომავალ არჩევნებში.

რა ისწავლა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა

მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა, საქართველოში პოლიტიკური კვლევები მაღალ დონეზე დაიწყო და, იმედია, დროთა განმავლობაში გაუმჯობესდება. GQRR-ის მიერ მმართველი პარტიისთვის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ჩატარებულმა კვლევამ ქვეყანაში ტექნიკური უნარ-ჩვევები გააფართოვა. გარდა ამისა, საქართველოს რესპონდენტთა უმრავლესობა მოსაზრებების ფართო სპექტრს გამოხატავს, რაც შედარებით თავისუფალი და ღია საზოგადოების მაჩვენებელი პოზიტიური ნიშანია. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი მთავარი შესაძლებლობაა, რადგან შეუძლია ასახოს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები, გამოავლინოს პოლიტიკური პროცესით იმედგაცრუების ადრეული ნიშნები და გამოდგეს დიდაქტიკურ იარაღად დემოკრატიის ხელშეწყობის სფეროში მოქმედი ადამიანებისათვის. მაგრამ გამოკითხვის პროცესი სტაბილური უნდა იყოს, რათა წარმატებული აღმოჩნდეს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პოლიტიკების პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა შეიძლება იყოს პოლონური მოდელი, მოდიფიცირებული ნაკლებად განვითარებული პოლიტიკური გარემოს შესაბამისად. პოლონეთში პოლიტიკური კვლევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, თუმცა მას საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამოუკიდებელი ცენტრი ატარებს და მისი შედეგები ყველა პარტიისათვის არის ხელმისაწვდომი (იხ. www.cbos.pl). ყველა პარტიას წარმომადგენელი ჰყავს სამეთვალყურეო საბჭოში. საერთო მონაცემები საბაზო პარამეტრებს წარმოადგენს ყველასათვის, რაც მთლიან ხარჯს ამცირებს, ვინაიდან პარტიებს არ უხდებათ მონაცემთა შეგროვების პროცესის დაუბლირება. ასეთი მოდელი საქართველოში ხელს შეუწყობს ყველა პოლიტიკური

პარტიისათვის უფრო თანაბარი სათამაშო მოედნის შექმნას. პოლონეთში ასეთი კვლევები ყოველთვის ტარდება, რაც სხვადასხვა კანდიდატისა და სამთავრობო პოლიტიკის მხარდაჭერის ტენდენციებზე უწყვეტი დაკვირვების საშუალებას იძლევა. ასეთი ერთობლივი ზედამხედველობით საერთო მონაცემთა შეგროვების მოდელი საქართველომ შეიძლება გაითვალისწინოს პარტიების დაფინანსების წესში, რომლის შეცვლაც იგეგმება.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა, ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან ერთად, ნაწილობრივ გამოიყენა პოლონური მიდგომის ასპექტები. ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა ერთად იმუშავეს ისეთი ვრცელი კითხვარის შედგენაზე, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მონაცემთა ფართო სპექტრს, არამედ შეიცავს ისეთ კითხვებსაც, რომლებიც საკუთარი მონაცემების ხარისხის, განსაკუთრებით, ყველაზე მნიშვნელოვან კითხვებზე გაცემული პასუხების შიდა შემომნების საშუალებას იძლევა. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ სავსე სამუშაოების ჩატარების შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა მონაცემები პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო ადმინისტრაციას, ეროვნული და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებს, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს და საერთაშორისო თანამეგობრობას წარუდგინა მათთვის ცალ-ცალკე გამართულ შეხვედრებზე. პრეზენტაციებმა აშკარად გამოკვეთა მონაცემთა შეგროვების მნიშვნელობა და, ამავე დროს, შესთავაზა საზოგადოებრივი საქონელი, ანუ ის მონაცემები (და ანალიზი), რომელთა შეგროვებაც ზოგიერთი პარტია ფინანსურად ვერ შეძლებდა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ მონაცემების მნიშვნელობა კვლევების რაოდენობასთან ერთად გაიზარდა, განსაკუთრებით, როდესაც ისინი შესამჩნევი პოლიტიკური ტენდენციების გამოთვლის საშუალებას იძლეოდა. ეს პოლონური მოდელისკენ გადადგმული პატარა ნაბიჯი იყო, თუმცა ერთი ლიმიტირებული პროექტის საფუძველზე. საქართველოში პოლონური მოდელის მსგავსი მიდგომის განხორციელებას უფრო ხანგრძლივი მუშაობა, განმახორციელებელი პარტნიორისათვის სტაბილური საბიუჯეტო ასიგნებები და თანმიმდევრული ტრენინგი სჭირდება.

სათამაშო მოედნის გათანაბრების შემთხვევაშიც კი საჭირო იქნება საზოგადოებრივი აზრის კვლევის შესახებ არსებული არასწორი წარმოდგენების შეცვლა. პარტიებმა უნდა გაიგონ, რომ კარგი კვლევა მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. მაგალითად, ზოგ პარტიას საქართველოში მიაჩნია, რომ რომელიმე მეტროს სადგურის წინ 60 ადამიანის გამოკითხვა საქართველოს ელექტორატის სტატისტიკურად რეალურ სურათს აჩვენებს. ყველა მომხმარებელმა მონაცემების შეგროვება ისეთ ხალხს უნდა ანდოს, რომელთა მიზანი არ არის, ასიამოვნონ მომხმარებელს.

მაღალი ხარისხის გამოკითხვების ჩატარებაში გარკვეული ბარიერები მაინც დარჩება. პრობლემურია კვლევის ჩატარება ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან ქვემო ქართლში და ეთნიკურ სომხებთან სამცხე-ჯავახეთში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზოგჯერ საქართველოს ხელისუფლების მიერ იგნორირებული არიან, ამ ჯგუფებმა არჩევნებში მხარი ძირითადად მმართველ პარტიას დაუჭირეს. მაგრამ გამოკითხვები იქ წარმატებით ვერ ტარდება, რადგან ხალხს უბრალოდ არ სჯერა, რომ მათი ანონიმურობა დაცული იქნება და არ პასუხობენ იმ კითხვებს, რომლებზეც უარყოფითი პასუხი აქვთ. ამრიგად, პოლიტიკურად მგრძნობიარე კითხვები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა არჩევნების გაყალბება, ძნელი გასაზომია. ამ ჯგუფებთან უფრო მაღალ დონეზე მუშაობაა საჭირო, რათა მათ გაუქრეთ გამოკითხვების ან საარჩევნო პროცესის შიში.

გარდა ამისა, სომხებისა და აზერბაიჯანელების უმრავლესობას ძალზე მწირი წარმოდგენა აქვს პროცედურული დემოკრატიის ანაბანაზე და თითქმის არაფერი ესმის, რა ხდება ქართულ პოლიტიკაში, რადგან ისინი არ სარგებლობენ ქართულენოვანი მედიით ენობრივი ბარიერის გამო. ამიტომ მეტი მუშაობაა საჭირო ამ ჯგუფების მიმდინარე პოლიტიკაში ჩასართავად.

ფლობთ თუ არ ქართულს საკმარისად, რომ ყოფით თემებზე ისაუბროთ?

ეთნიკური ჯგუფი	უნარიანსუბზე	დედა ენა	სულ
აზერბაიჯანელი	3%	37%	60% 100%
*იმ თემებში, სადაც სომხები ან აზერბაიჯანელები მოსახლეობის 50%-ზე მეტს შეადგენენ			

წყარო: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2008 წლის მონაცემები

ინტეგრაციის ნაკლებობაზე მეტყველებს შემდეგი მონათხრობი: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა სამცხე-ჯავახეთის სომხებს დაუსვა შეკითხვა ეროვნული პრიორიტეტების შესახებ, ფოკუსჯგუფების გამოკითხვით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა აღმოაჩინა, რომ სიტყვა „ეროვნულის“ გამოყენებისას ბევრი სომეხი საქართველოს ნაცვლად სომხეთს გულისხმობს.

საქართველოს უხარისხო სტატისტიკური ინფრასტრუქტურა – სახლებისა და ბინების ნომრების ნაკლებობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ქუჩების სახელებზე ან მისამართებზე, ძალზე ართულებს და აძვირებს საველე სამუშაოს სიზუსტით ჩატარებას. ამ კუთხით საჭიროა მუდმივი ზეწოლა ხელისუფლებაზე, რომ პრიორიტეტად არა მარტო მე-20 საუკუნის საგზაო ქსელის განახლება, არამედ 21-ე საუკუნის ინფრასტრუქტურის მართვის სისტემის შექმნაც განისაზღვროს.

საველე სამუშაოებთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად ხარისხიანი კვლევის ჩატარების შემთხვევაშიც კი ხელისუფლებასა და პოლიტიკურ პარტიებს სათანადო უნარ-ჩვევები სჭირდებათ, რათა შეძლონ კვლევის შედეგების სწორად ინტერპრეტირება. დასავლეთის ქვეყნებში სრულად ენდობიან იმ გრაფიკებსა და ცხრილებს, რომლებსაც დაინტერესებული ხალხი ყოველდღიურად ეცნობა. მათი ინტერპრეტირება ხშირად მეორადი მნიშვნელობისაა. ეს დრო ჯერ საქართველოში არ დამდგარა;

ჯერ კიდევ სერიოზული ტრენინგის ჩატარება სჭირდებათ პოლიტიკურ კამპანიაში დასაქმებულებსა და თავად პოლიტიკოსებს. მათ მაინცდამაინც გამოკითხვის ჩატარების ხელოვნება კი არ უნდა ისწავლონ, არამედ ინფორმაციის კვალიფიციური მოხმარება და ამ ინფორმაციაზე სათანადო რეაგირება.

კიდევ ერთი მექანიზმი, რომელიც მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება მომავალში დაინერგოს, არის ქცევის კოდექსი იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის კვლევებს ატარებენ. ქცევის ამ კოდექსის შემუშავებაში შეიძლება ჩაერთონ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ასევე საკმაოდ დიდ სამუშაოს უკვეთავენ ამ კვლევით ორგანიზაციებს. იდეალურ შემთხვევაში ეს ქცევის კოდექსი ფოკუსირებული უნდა იყოს ხარისხის და ეთიკის მინიმალურ სტანდარტებზე, ასევე მეთოდოლოგიის გამჭვირვალობაზე (შერჩევის მეთოდი, გაუცემელი პასუხები, კვლევის ტიპი). ქცევის ამ კოდექსის მონაწილეები ტრენინგს ჩაუტარებენ ჟურნალისტებს მონაცემთა ინტერპრეტაციაზე და საზოგადოებისათვის ასეთი კვლევების მნიშვნელობის უკეთ გაცნობაზე. იმედია, მონაწილეობისთვის მოტივაცია ხარისხიანი მონაცემებით საზოგადოების გაზრდილი დაინტერესება და საერთაშორისო სტანდარტების დაცვის ვალდებულება იქნება.

ეგზიტპოლების ნაკლოვანებები

ეგზიტპოლები ჩატარდა როგორც საპრეზიდენტო, ასევე საპარლამენტო არჩევნებზე. ამ ორიდან უფრო კონკურენტული და რელევანტური 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ეგზიტპოლი იყო, ვინაიდან ეს არჩევნები უფრო მაღალი რისკის მქონე იყო. შემდგომი საპარლამენტო არჩევნები უფრო პროგნოზირებადი ჩანდა და ამიტომ გაცილებით ნაკლებად მწვავე. ქვემოთ განვიხილავთ 2008 წლის იანვარში ჩატარებულ ეგზიტპოლს, ვინაიდან ესეც ის შემთხვევაა, საიდანაც ბევრი გაკვეთილის გამოტანა შეიძლება.

2008 წლის იანვრის ეგზიტპოლმა ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, რაც გულისხმობდა არჩევნების შედეგების ლეგიტიმურო-

ბის გაძლიერებას. ნამდვილად ღირს, დეტალურად განვიხილოთ ამ ეგზიტპოლის ამბავი, ვინაიდან იგი აჩვენებს, როგორ შეიძლება, რომ საბოლოო შედეგი დაშორდეს თავდაპირველ განზრახვას.

იანვრის ეგზიტპოლის გენეზისი

ამ ეგზიტპოლების თავდაპირველი იდეა გონივრული ჩანდა. ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიის თანახმად, ხელისუფლება შეშფოთებული იყო, რომ ტელევიზია „იმედის“ მეშვეობით ბადრი პატარკაციშვილი აფინანსებდა საკუთარ ეგზიტპოლს, რომელსაც გამოიყენებდა საბოლოო შედეგების დისკრედიტირებისთვის. ეს გამოინვევდა სახალხო პროტესტს, რაც გამოყენებული იქნებოდა ხელისუფლების დესტაბილიზაციისათვის. თავდაპირველად ეს შიში ცოტა პარანოიდული ჩანდა. მაგრამ ხელისუფლების ამ შიშს გარკვეულწილად ამართლებდა ის ვიდეომასალა, რომელშიც ბადრი პატარკაციშვილის თანამზრახველები ხელისუფლების ჩამოგდებაზე საუბრობდნენ (კორსო, 2008). გარდა ამისა, „იმედის“ სატელევიზიო არხმა მართლაც ჩაატარა ეგზიტპოლი, რომელიც უცნობი უკრაინული ჯგუფის „დემოკრატიის განვითარების დიალოგის“ მიერ იყო ორგანიზებული (Civil.ge, 2007 წლის დეკემბერი).

ბადრი პატარკაციშვილის ამ სავარაუდო მანევრის საპირისპიროდ ხელისუფლებამ, კერძოდ კი კახა ლომაიამ (გავრცელებული ვერსიის თანახმად) სცადა, მოეპოვებინა აშშ-ის დახმარება ეგზიტპოლის დასაფინანსებლად, რომელიც საერთაშორისო, კარგი რეპუტაციის მქონე ფირმას უნდა ჩაეტარებინა. საერთაშორისო გამოცდილება უზრუნველყოფდა ეგზიტპოლის ხარისხიან ჩატარებას, ხოლო საერთაშორისო დაფინანსება მის დამოუკიდებლობას. კონსულტანტები სწრაფად გამოემგზავრნენ საქართველოში, რათა შეესწავლათ ამ ეგზიტპოლის ჩატარების შესაძლებლობები ყველა დაინტერესებულ მხარესთან გასაუბრების გზით.

მაშინ, როდესაც ამ ეგზიტპოლის ჩასატარებლად მთავრობა აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა, არჩევნებზე მომუშავე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია ამ იდეის წინააღმდეგი იყო. ეგზიტპოლის მოწინააღმდეგეების მოსაზრებით, ეგზიტპოლის ჩატარება ბევრს ვერაფერს შეცვლიდა

(და ლეგიტიმურობის მოპოვება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების, ყოველგვარი მაქინაციების გარეშე, ჩატარებით ჯობდა), უარეს შემთხვევაში კი გამოინვევდა დესტაბილიზაციას, ვინაიდან ეგზიტპოლისთვის დამახასიათებელ შეცდომებს თუნდაც თავისუფლად და სამართლიანად ჩატარებული არჩევნების დელეგიტიმაციაც კი შეეძლო. ამ მოსაზრების გასამყარებლად ეგზიტპოლების ოპონენტებს დიდი ბრიტანეთის 1992 წლის არჩევნების მაგალითი მოჰყავდათ, რომლის დროსაც ეგზიტპოლებით ლეიბორისტული პარტიის გამარჯვება შეცდომით იქნა ნანინასწარმეტყველები.

ეგზიტპოლის ოპონენტების თქმით, ასეთი შეცდომები სავესებით მოსალოდნელი იყო საქართველოში, სადაც სტატისტიკური გამოცდილება გაცილებით ნაკლებ განვითარებულია, ვიდრე ბრიტანეთში. ამავ დროს იმ ფაქტორებს, რომლებმაც ბრიტანეთში შეცდომა გამოიწვია, თავისუფლად შეიძლებოდა საქართველოშიც ემოქმედა. მართლაც, რესპონდენტებს შესაძლოა არ ეთქვათ, ვის მისცეს ხმა. 1992 წელს ბრიტანეთში ამომრჩევლებს რცხვენოდათ, ელიარებინათ, რომ მორალურად გაკოტრებულ კონსერვატიულ პარტიას მისცეს ისევ ხმა. კონტრარგუმენტის თანახმად, საქართველოში ოპოზიციის მომხრეებს შესაძლოა დაემაღლათ, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ მისცეს ხმა, რაც ციფრებს მნიშვნელოვნად დაამახინჯებდა. ძალზე ძნელი იქნებოდა სწორი პროგნოზის მიღება, თუ ბევრი უარს იტყოდა პასუხის გაცემაზე ანდა ოპოზიციის მომხრეები, სიფრთხილის გამო, იტყოდნენ, რომ ხელისუფლებას მისცეს ხმა.

1992 წლის ბრიტანეთის საერთო არჩევნები არ არის არასწორი ეგზიტპოლების ერთადერთი მაგალითი. 2004 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების ეგზიტპოლებმა, რომლებიც უორენ მიტოფსკის (რომელსაც ხშირად „ეგზიტპოლების მამას“ უწოდებენ) ზედამხედველობის ქვეშ ტარდებოდა, თავდაპირველად არასწორად აჩვენა ეროვნული არჩევნების შედეგი; ამ შედეგით კერის ხმათა 51%, ხოლო ბუშს 48% ჰქონდა მიღებული, თუმცა რეალური მონაცემებით ბუშმა 50.7%, ხოლო კერიმ 48.3% მიიღო. შემდგომმა კვლევამ აჩვენა, რომ აშშ-ში ეგზიტპოლების შეკითხვებს უფრო დემოკრატიები პასუხობდნენ, ვიდრე რესპუბლიკელი-

ბი (Pollster, 2006). სხვა მონაცემები რომ არ ყოფილიყო ხელმისაწვდომი, ამ განსხვავებას შეიძლებოდა გამოენვია მითქმა-მოთქმა, რომ აშშ-ის არჩევნები გაყალბდა.

მსგავსი არასწორი პროგნოზები გაკეთდა ფილიპინებში, ხორვატიასა და ესპანეთში. ინტერნეტში მოძიებული ნებისმიერი მასალა იმას ადასტურებს, რომ ცოტაა ისეთი ქვეყანა, სადაც ეგზიტპოლები მუდმივად სწორია. ერთ-ერთი გამონაკლისი გერმანიაა, რომელსაც კვლევის ძალზე ძლიერი მექანიზმი გააჩნია (*Forschungsgruppe Wahlen*), რომელიც ეფუძნება ამომრჩეველთა უაღრესად ზუსტ სიას და თვეების განმავლობაში სერიოზულ მომზადებას, მათ შორის ძალზე კარგად მომზადებულ ინტერვიუერებს (Mystery Pollster, 2005). იმის გათვალისწინებით, რომ უზუსტობები მთელ მსოფლიოში ხშირად ხდება, საქართველოს შემთხვევაში შეშფოთების მიზეზი მართლაც არსებობდა.

2008 წლის იანვრის არჩევნებამდე დარჩენილი მცირე დრო და კვალიფიციური საველე ინტერვიუერების ნაკლებობა კიდევ უფრო დაამახინჯებდა საბოლოო შედეგებს. ამიტომ, ოპონენტების აზრით, მოსალოდნელი იყო დიდი ცდომილება. შედეგად, ეგზიტპოლები ნებისმიერი არჩევნების ლეგიტიმურობის შელახვის საშიშროებას უფრო ქმნიდა, ვიდრე გამყარებისა. როგორც ერთმა საერთაშორისო ექსპერტმა თქვა, ეგზიტპოლების გამოყენება არჩევნების მხარდასაჭერად „უფრო ცეცხლის ცეცხლით ჩაქრობას დაემსგავსებოდა“, რაც იმაზე მეტ ზიანს მოიტანდა, რისი თავიდან აცილებაც იყო განზრახული.

გადანყვეტილება და ორგანიზება

გავრცელებული ვერსიით, თავად აშშ-ის ელჩმა მიიღო გადანყვეტილება, არ დაეჭირა მხარი ეგზიტპოლებისთვის. მიუხედავად კონკრეტული არგუმენტებისა, 2007 წლის დეკემბერში ეგზიტპოლის იდეა უკვე ძალზე პოლიტიზებული იყო. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა დამოუკიდებლად გამართა დისკუსიები საზოგადოებრივი აზრის კვლევის სხვადასხვა ორგანიზაციასთან და ოთხმა ქარ-

თულმა სამოქალაქო ორგანიზაციამ იკისრა ქართული ეგზიტპოლის შემუშავება, რომელსაც დააფინანსებდნენ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუნყებელი“, „რუსთავი-2“, „მზე“ და აჭარის ტელევიზია⁴.

ეგზიტპოლის შემუშავებაზე მუშაობდა ფართო კონსორციუმი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, რომელსაც თემურ იაკობაშვილი წარმოადგენდა; მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი, რომელსაც წარმოადგენდა გია ნოდია; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ლევან ცუციქირიძის სახით, და ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი, გიგი თევაძის სახით.

ტექნიკური გამოცდილება უზრუნველყვეს უკრაინელმა სპეციალისტებმა (დემოკრატიული ინიციატივის ფონდი), ესტონელებმა (Jaan Tonosson Institute) და საზოგადოებრივი კვლევის რამდენიმე წამყვანმა ქართულმა ფირმამ (IPM, ACT, სარკე, ISSA, ISR, ARC), ასევე ამერიკელმა ექსპერტმა (QEV Analytics).

საბოლოოდ გადაწყდა, რომ არჩევნების დღეს გამოკითხვა 3,500 საარჩევნო უბნიდან 227 უბანზე ჩატარდებოდა. ყოველ მეცხრე ამომრჩეველს ორი ინტერვიუერი გამოკითხავდა. დასაქირავებელი იყო სულ 900 ინტერვიუერი პლიუს 20-30 ინტერვიუერი რეზერვად. ამომრჩეველს, რომელიც არ გაამყლავნებდა, ვის მისცა ხმა, იმიტაციურ ბიულეტენს შესთავაზებდნენ. ამ ფორმალური სისტემით ეგზიტპოლი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იყო.

ეგზიტპოლების კრიტიკოსებმაც კი უნდა აღიარონ, რომ მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა იმისათვის, რომ ეს პროცედურა ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე ყოფილიყო. შეიქმნა დამოუკიდებელი ვებგვერდი (www.archevnebi.ge) ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამ ვებგვერდზე, რომელიც ძალიან ჰგავდა უკრაინულ ვებგვერდს, მოცემული იყო ინფორმაცია მონაწილეების, მეთოდოლოგიის (შერჩევის მეთოდის ჩათვლით) და საბოლოო

4. ჭორების თანახმად, დაფინანსება რეალურად ამერიკული იყო, ვინაიდან არჩევნებთან დაკავშირებით „საზოგადოებრივი მაუნყებლისათვის“ მიცემული დაფინანსება ეგზიტპოლებს გადაეცა.

შედეგების შესახებ. ინფორმაცია ძირითადად სასარგებლო იყო, თუმცა იყო, მაგალითად, გარკვეული შეუსაბამობები მეთოდოლოგიური დოკუმენტის ქართულ და ინგლისურ ვერსიებში მოცემულ შერჩევის მათემატიკურ ფორმულებს შორის.

ორგანიზატორებისათვის ეს ეგზიტპოლი არჩევნების და, ალბათ, კრიზისში მყოფი ერის მხარდაჭერის ღონისძიებას წარმოადგენდა. ჯერ ერთი, ის გააძლიერებდა არჩევნების სანდოობას დამოუკიდებელი დასკვნის უზრუნველყოფით. ამ დასკვნით ის ასევე შეძლებდა მნიშვნელოვანი გაყალბების თავიდან აცილებას. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორმა ლევან ცუცქერიძემ 2007 წლის 30 დეკემბერს განაცხადა:

„ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეგზიტპოლები დამატებითი მექანიზმია ბიულეტენების გაყალბების თავიდან აცილებისთვის... და ჩვენ სამოქალაქო მოვალეობად მიგვაჩნია, განვახორციელოთ ეს პროცესი“ (Civil.ge, 2007 წლის 30 დეკემბერი).

იმავე დღეს თემურ იაკობაშვილმა თავის ვრცელ გამოსვლაში ასეთივე სულისკვეთებით განაცხადა:

„ეგზიტპოლები ტარდება იმიტომ, რომ ისინი საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების დამატებით ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამიტომ მოვუწოდებ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებენ ეგზიტპოლებს, გამოავზავნონ თავიანთი წარმომადგენლები და მათ მიეცემათ საშუალება, დააკვირდნენ მთელ პროცესს“ (Civil.ge, 2007 წლის 30 დეკემბერი).

მიუხედავად იმისა, რომ ეგზიტპოლი შემოთავაზებული იყო როგორც მონაწილეობითი ღონისძიება, მან მაინც ვერ დაარწმუნა ოპოზიცია, ჩართულიყო ამ პროცესში. წინასაარჩევნო სათაურები Civil.ge-დან ასახავს ოპოზიციის მწვავე რეაქციას:

ახალი მემარჯვენეები ეგზიტპოლებს უნდობლობას უცხადებენ (2007 წლის 26 ოქტომბერი)

„არ ენდოთ ეგზიტპოლებს“ – ცხრა ოპოზიციური პარტიის
კოალიცია (2008 წლის 3 იანვარი)
ოპოზიცია აგრძელებს ეგზიტპოლზე თავდასხმებს (2008 წლის
4 იანვარი)

რა არგუმენტები ჰქონდა ოპოზიციას? პირველი, როგორც ოპოზიცია ამბობდა, კონსორციუმის წამყვანი ფიგურები მთავრობასთან დაახლოებული პირები იყვნენ, მაგალითად, გიგი თევზაძე მუშაობდა განათლების სამინისტროში და პირადად ასოცირდებოდა ხელისუფლებასთან. ამიტომ ოპოზიცია თევზაძის დამოუკიდებლობას ვერ ენდობოდა, ვინაიდან მისი უნივერსიტეტი დაფინანსებას ძირითადად მთავრობისგან იღებდა.

მეორე, ძალზე შეზღუდული საერთაშორისო მონაწილეობა ამ ეგზიტპოლში არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ეგზიტპოლი შიდა პოლიტიკისაგან განზე მდგომად ყოფილიყო მიჩნეული. ოპოზიციისათვის უკრაინული და ესტონური ორგანიზაციები ხელისუფლებასთან ასოცირდებოდნენ. მიუხედავად ზემოთქმულისა, პრობლემა მაინც კომპეტენციას უკავშირდებოდა - ოპოზიციას უბრალოდ არ ჰყავდა ექსპერტები, რომლებიც რეალურად შეძლებდნენ პროცესის მონიტორინგს. მათთვის ეგზიტპოლი შავ ყუთად დარჩება, მიუხედავად მისი ორგანიზების და მონიტორინგის ხარისხისა. შერჩევის, შენონის და გაუცემელი პასუხების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილებაა საჭირო.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის შეფასებით, საქართველოში, საუკეთესო შემთხვევაში, წარმომადგენლობითი შერჩევის ორი (შესაძლოა, სამი) ექსპერტი არსებობს, რომლებსაც ეგზიტპოლისათვის შერჩევის სწორი მეთოდოლოგიის შემუშავება შეუძლიათ. ერთ-ერთი ამ ექსპერტთაგანი ამ ეგზიტპოლზე მუშაობდა. ამრიგად, დარჩენილი იყო კიდევ ერთი, მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა ოპოზიციას, ვინ იყო იგი? და თუ ეს მეორე ექსპერტი ზოგჯერ სტატისტიკის დეპარტამენტთან თანამშრომლობს, ხოლო საზოგადოებრივი აზრის კვლევის კომპანიები მთავრობისთვის მუშაობენ (ექსპერტების ნაკლებობის გამო), ენდობოდა კი ოპოზიცია ამ ადამიანის დასკვნას? გარდა ამისა, შეძლებდა ეს ექსპერტი კარგად განემარტა ყველაფერი (აღელვებული) არაექსპერტებისათვის?

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ექსპერტების ნაკლებობაა, ერთობლივი მონიტორინგისა და მონაწილეობის შეთავაზებაც კი აზრს კარგავს. არაექსპერტი მონიტორები უცოდინარი მონაწილეები არიან, რომლებსაც საკუთარი უვიცობა ან აკმაყოფილებთ, ან დისკომფორტს უქმნით, ანდა ორივე ერთად. ნებისმიერ შემთხვევაში, მათ მშვენივრად იციან, რომ ყველაფერი შეიძლება გამოეპაროთ, გარდა ყველაზე აშკარა მანიპულაციისა. დაძაბულ საარჩევნო გარემოში კრიტიკული, მაგრამ არაინფორმირებული კითხვების დასმა უკმაყოფილების და შემდეგ კონფლიქტის გამონვევის გარკვეული რეცეპტია, ვინაიდან შინაგანი პარანოია ეჯახება დაძაბულ ვითარებაში საქმის კეთების მცდელობას. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის თვალსაზრისით, ეს 2008 წლის არჩევნებიდან გამოტანილი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილია.

არჩევნების დღე

როგორ დასრულდა ეგზიტპოლის საგა არჩევნების ღამეს? „იმედის“ შეკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგები საზოგადოებამ თითქმის ვერც კი შენიშნა. ამ ეგზიტპოლის შედეგებით, რომელიც უკრაინულმა ჯგუფმა „საერთო ევროპულმა მიზანმა“ ჩაატარა, ლევან გაჩეჩილაძემ ხმათა 31%-ით გაიმარჯვა, მიხეილ სააკაშვილმა 24.4% მიიღო, ბადრი პატარკაციშვილი მესამე იყო 20.3%-ით, ხოლო შალვა ნათელაშვილი მეოთხე ხმათა 12.4%-ით. თუ შედეგებს შევაჯამებთ, ოპოზიციას ხმათა უმრავლესობა ჰქონდა მიღებული.

ნაწილობრივ იმიტომ, რომ საჯარო სივრცე და ელექტრონული მედია არ იყო ხელმისაწვდომი, ასევე იმის გამო, რომ „იმედის“ პოლიტიკური ამბიციები ჩავარდა, ვინაიდან გადატრიალების მონაწილის ბრალდებები დამაჯერებელი ჩანდა, ამ ეგზიტპოლისთვის ხალხს ყურადღება პრაქტიკულად არ მიუქცევია. ეჭვი მის საიმედოობაში გააღრმავა უკრაინული ჯგუფის უარმა, ეთქვა, ვინ ჩაატარა მათი სავლელ სამუშაოები (რეგნუმი, 2008 წლის 5 იანვარი). „იმედის“ ეგზიტპოლის უმნიშვნელობა ირონიული იყო, ვინაიდან ამ გამოკითხვის გამო შემოთავაზდა იყო უმთავრესი მოტივი, ჩატარებულიყო დიდი საერთაშორისო ეგზიტპოლი.

ახლა მთავარი ახალი ამბავი მართლაც იმ ეგზიტპოლის შედეგები იყო, რომელიც საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტმა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჩაატარეს. ოპოზიციამ ძირითადად უარი თქვა მიწვევაზე, შეერთებოდა ამ პროცესს ეგზიტპოლის ოფისში, რომელიც „ინტერნიუსის“ შენობაში მდებარეობდა. ყოველ შემთხვევაში, შენობაში მყოფი ნეიტრალური დამკვირვებლებისთვისაც კი ძნელი აღმოჩნდა, დაკვირვება ეწარმოებინათ პროცესის რეალურ მექანიზმზე. არც თუ ყველა ასპექტი იყო ორგანიზებული ისე, რომ ნდობა დაემსახურებინა – შენობის ზოგ ადგილას ქაოსი სუფევდა. ბალტიისპირელ დამკვირვებელთა ჯგუფის მიერ არჩევნების პროცესის „თავისუფლად და სამართლიანად“ ჩატარებულად გამოცხადებამ სალამოს 9 საათისათვის, როდესაც საქართველოში მხოლოდ რამდენიმე უბნის შედეგები იყო დათვლილი, უმაღლესად ეგზიტპოლის პოლიტიკური მიუკერძოებლობა. შესაძლოა, ეს განცხადება კეთილი განზრახვით გაკეთდა, დღეს-ის დეზინფორმაციული პროპაგანდის საპირნონედ, მაგრამ ნაჩქარევი უესტების პრობლემა ის არის, რომ ისინი მხოლოდ იმ ადამიანებს აამებს, რომლებსაც დარწმუნება არ სჭირდებათ.

შედეგები ორ ეტაპად გამოცხადდა. პირველი გამოცხადება, დაახლოებით 9 საათზე, მედიამ ფართოდ გააშუქა და ის პირდაპირ გადაიციე მოდა ტელევიზიით.

საპრეზიდენტო არჩევნები – ეგზიტპოლების შედეგები 21:00 სთ-ზე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგები

კანდიდატი	ეგზიტპოლი 21.00 სთ-ზე	ც ე ს კ ო - ს შედეგები	განსხვავება
მიხეილ სააკაშვილი	52.5%	53.45%	-0.95%
ლევან გაჩეჩილაძე	28.5%	25.68%	2.82%
ბადრი პატარკაციშვილი	6%	7.1%	-1.1%
შალვა ნათელაშვილი	5.5%	6.49%	-0.99%
დავით გამყრელიძე	3.6%	4.02%	-0.42%

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

მეორედ შედეგები დაახლოებით 23:00 საათზე გამოცხადდა და მედიამ ესეც საკმაოდ ვრცლად გააშუქა, თუმცა ამ ჯერზე გარკვეული სიურპრიზებიც იყო. ცხრილებში შედეგებია ნაჩვენები. გაუცემელმა პასუხებმა 23% შეადგინა, რაც ჩვეულებრივზე ოდნავ მეტია.

საპრეზიდენტო არჩევნები - ეგზიტპოლისის საბოლოო შედეგები - ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგები

კანდიდატი	ეგზიტპოლისის საბოლოო შედეგები	ცესკო-ს შედეგები	განსხვავება
მიხეილ სააკაშვილი	56.2%	53.45%	2.75%
ლევან გაჩეჩილაძე	27%	25.68%	1.32%
ბადრი პატარკაციშვილი	5.9%	7.1%	-1.2%
შალვა ნათელაშვილი	5.2%	6.49%	-1.29%
დავით გამყრელიძე	3.5%	4.02%	-0.52%

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

განსხვავებები, ალბათ, ასე აიხსნება: ეგზიტპოლისის პირველი შედეგები უფრო თბილისის უბნებს ემყარებოდა, ვინაიდან მათი მოპოვება უფრო ადვილი იყო. ვინაიდან ოპოზიცია პოპულარული უფრო თბილისში იყო, გაჩეჩილაძის პოზიცია ოდნავ უფრო მყარი გამოჩნდა. მეორე გამოცხადებამ თბილისის ეს გადახრა შეასწორა, თუმცა შესაძლოა არა სრულად. მან ასევე აჩვენა გაუცემელი პასუხების არათანაბარი განაწილება - სააკაშვილის მეტმა მომხრემ თქვა, ვის მისცა ხმა, 2%-იანი ცდომილების გარდა (ყველაფერ ამის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ საბოლოო შედეგები ხმებს სწორად ასახავდა).

პლებისციტი - ეგზიტპოლისი - ცესკო-ს შედეგები

	ეგზიტპოლისის საბოლოო მონაცემები	ცესკო-ს შედეგები
ნატო-ს წევრობის მომხრეები	79.03%	77%
არჩევნების გაზაფხულზე ჩატარების მომხრეები	80.1%	79.74%


წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

ტექნიკური თვალსაზრისით, შედეგების მსგავსება მაინც შთამბეჭდავი იყო, ვინაიდან არჩევნების წინ არსებულ დამუხტულ ატმოსფეროში არ იყო მოსალოდნელი, რომ გაუცემელი პასუხები თანაბრად განაწილდებოდა კანდიდატების მიხედვით. უფრო მოსალოდნელი ოპოზიციის მომხრეების მხრიდან პასუხის გაცემაზე უარი იყო. ასეთ დროს დასავლურ ეგზიტპოლებში ზოგჯერ ასე ართმევენ თავს ამ პრობლემას: რესპონდენტები, რომლებიც უარს ამბობენ პასუხის გაცემაზე, აღირიცხებიან სქესის, ასაკის, ადგილმდებარეობის და რამდენიმე სხვა ისეთი გარე იდენტიფიკატორის მიხედვით, როგორც, მაგალითად, არის რასა აშშ-ის შემთხვევაში. ამ დემოგრაფიული მონაცემებით და წინა არჩევნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შესაძლებელია მიხვედრა, როგორ გაიყოფა ეს მონაცემები, ანუ ეს იძლევა ეგრეთ წოდებული გაუცემელი პასუხების შესწორების საშუალებას. როდესაც ისტორიული მონაცემები არ არსებობს, ძნელია ასეთი სიზუსტის მიღწევა. გაუცემელი პასუხების მთლიანად გამოტოვება ერთ-ერთი მეთოდია, მაგრამ ის მნიშვნელოვან გაურკვეველობას შეიცავს.

საბოლოო შედეგების მსგავსება აშკარად დიდი შვება იყო ორგანიზატორებისათვის. მათ იგრძნეს, რომ შედეგებმა დაადასტურა მთელი მათი საქმიანობის სიმართლე და უზრუნველყო საზოგადოება მეორე მნიშვნელოვანი და საჭირო მოსაზრებით. მაგრამ ტექნიკურმა წარმატებამ (თუ ეს მართლაც ასე იყო) არ უნდა დაჩრდილოს ის ფაქტი, რომ ეგზიტპოლები ვერ იქცა სათანადო საზოგადოებრივ პროდუქტად. ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი პრობლემის, განსაკუთრებით კი საზოგადოების უკიდურესი პოლარიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების სისუსტის, ეგზიტპოლების სირთულის და გარკვეული პარტიული ჟესტების გათვალისწინებით, ეგზიტპოლები საბოლოო ჯამში მაინც კერძო ინიციატივად დარჩა. ეს შთაბეჭდილება გააძლიერა იმანაც, რომ არჩევნების დასრულებიდან სამ კვირაში ეგზიტპოლის ორგანიზატორთაგან ორი მთავრობაში აღმოჩნდა - გია ნოდია განათლების მინისტრის და თემურ იაკობაშვილი რეინტეგრაციის საკითხებში მინისტრის რანგში. ნებისმიერმა, ვინც თავიდანვე სკეპტიკურად იყო განწყობილი ამ ეგზიტპოლისადმი, ეს გარიგებად აღიქვა: შენ თუ დაადასტურებ ჩემს გამარჯვებას პირველ რაუნდში, მე სამუ-

შაოს მოგცემ. მაშინ, როდესაც ბევრმა ეს მთავრობის ძალზე მნიშვნელოვან შენაძენად აღიქვა, ზოგისთვის ეს სამოქალაქო საზოგადოების კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დანაკარგი იყო.

პარტიების მხარდამჭერები ეგ ზიტპოლების მხარდამჭერთა მიხედვით



წყარო: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წინასაარჩევნო კვლევა, მონაცემები შეაგროვა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა

2008 წლის აპრილის შემდგომი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ეგ ზიტპოლებისადმი ნდობამ ისე დაიწია, რომ რესპონდენტთა 24% მათი ჩატარების წინააღმდეგი იყო, ხოლო 45% მომხრე (დანარჩენს ჯერ არ ჰქონდა გადანყვეტილი ან უარი თქვა პასუხის გაცემაზე). როგორც ზემოთ მოტანილი გრაფიკიდან ჩანს, რესპონდენტების მოსაზრებები დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელ პარტიას ემხრობოდნენ ისინი. მართალია, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს არა აქვს მონაცემები, ენდობა თუ არა ხალხი 2008 წლის იანვრის ეგ ზიტპოლს, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში პოლარიზება კიდევ უფრო მძაფრი იქნება ხელი-

სუფლების მომხრეთა სრულ ნდობასა და ოპოზიციის მომხრეთა სრულ უნდობლობას შორის, რასაც დაემატება იმ ადამიანთა მრავალი კითხვა, რომლებიც გამოკვეთილად არც ერთ პარტიას არ უჭერენ მხარს.

უნდობლობა დიდი იყო და არა მარტო ოპოზიციის მხრიდან. მაღალი რანგის საერთაშორისო დამკვირვებლებმაც კი, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი საარჩევნო პროცესში, გამოთქვეს ვარაუდი, რომ ეგზიტპოლებმა სამიზნე ზღვარი უზრუნველყვეს, რომლის მიხედვითაც შესწორდა საბოლოო შედეგები. ეს არ არის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მოსაზრება, მაგრამ ფაქტი, რომ ასეთი მოსაზრებები შეიძლება გაჩნდეს, იმის მაჩვენებელია, რომ ეგზიტპოლებმა ვერ შეძლეს ფართო საზოგადოების დარწმუნება. ნდობის მოსაპოვებლად მუდმივად კარგად მოქცევაა საჭირო და არა დამატებითი ინსტრუმენტების მოშველიება.

იყო კი 2008 წლის იანვარი განსაკუთრებული შემთხვევა?

იყო კი საპრეზიდენტო არჩევნები ერთადერთი შემთხვევა? რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, არც ეს იყო განსაკუთრებით ჭკუის სასწავლებელი, ვინაიდან ოპოზიციის დამარცხება გარდაუვალი იყო. თუმცა ეგზიტპოლების სისუსტის კარგი მაჩვენებელია ის, რაც აზერბაიჯანში 2005 წლის შემოდგომაზე მოხდა. აზერბაიჯანის მთავრობამ, ლობისტური ფირმის მეშვეობით, დაიქირავა ყველაზე პრესტიჟული ამერიკელი ეგზიტპოლების ჩამტარებელი, უორენ მიტოფსკი, რომელიც პრაქტიკულად ეგზიტპოლის კონცეფციის შემქმნელია (პარალელურად აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ ჩაატარა მეორე ეგზიტპოლი "PA Consulting"-ის დახმარებით). მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა ჟურნალისტმა, კერძოდ, დარია ვაისმანმა (სტატიის სათაურია „*ეხმარება თუ არა ამერიკელი საზოგადოებრივი აზრის მკვლევარი აზერბაიჯანის მთავრობას არჩევნების გაყალბებაში?*“, რომელიც გამოქვეყნდა New Republic Online-ში 2005 წლის 11 მარტს), აზერბაიჯანის მთავრობისთვის მიტოფსკის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაწერა, მიტოფსკი ალაპარაკდა და მოვლენების საკუთარი ვერსია აღწერა თავის სტატიაში „*თავგადასავალი*

ბაქოში: ეგ ზიტპოლი აზერბაიჯანში“. მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ ეს მონათხრობი მაქსიმალურად არის შელამაზებული, ის მაინც მნიშვნელოვან გაფრთხილებას წარმოადგენს:

„მან, ვინც ასეთ გამოცდილებას მიიღებს, მომავლისთვის აუცილებლად უნდა გამოიტანოს რაიმე გაკვეთილი. ნომერი პირველი გაკვეთილი არის ის, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ძნელი ჩასატარებელია ორგანიზაციებისათვის გარდა მედიისა და ისეთი ორგანიზაციებისა, რომლებსაც, მიუხედავად მიღებული შედეგებისა, კვლევის შედეგების გამოქვეყნების ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ამ კრიტერიუმებს აშშ-ში აკმაყოფილებენ გამოკითხვების დამფინანსებელი ფონდები, ბევრი სამთავრობო უწყება და კერძო კომპანიები. თუმცა თუკი ვინმე ჩვენსავით გადაწყვეტს, იმუშაოს ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებსაც არა აქვთ გამოცდილება კვლევის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, ის ფრთხილად უნდა იყოს“ (მიტოფსკი, 2006).

ამრიგად, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა იმ ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ, რომლებსაც კვლევის შედეგების გამოქვეყნების გამოცდილება აქვთ? პრობლემა სწორედ ის არის, რომ გარდამავალი ქვეყნების განუვითარებელ ინსტიტუციურ კონტექსტში ამ კრიტერიუმს პრაქტიკულად არც ერთი სახელმწიფო ორგანიზაცია არ აკმაყოფილებს. ამ გამოწვევას ვერც ყველა საერთაშორისო დონორი უძღვება. ჩვეულებრივ, მათ აქვთ შეთანხმებული რთული ადგილობრივი მექანიზმები, რაც მათ გარკვეულწილად დამოკიდებულს ხდის კეთილ პოლიტიკურ ნებაზე. მეტიც, მიტოფსკის მონათხრობი ცხადყოფს, როგორ ატყუებდა მას - მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ მკვლევარს — მისი მთავარი კონტრაქტორი. მან უკანონო ქმედებები საკმაოდ მარტივი შემონმებებით აღმოაჩინა. თუმცა ეს მხოლოდ ამბის მცირე ნაწილია.

პოლარიზებულ გარემოში, რომელშიც ამომრჩევლებს თავიანთი ხმების კონფიდენციალურობა აღეგულებთ, საზოგადოებრივი აზრის მკვლევრების ყოფნა დამატებით ჩარევას წარმოადგენს.

ადგილობრივ გარემოში მცირე ასპექტების შეცვლა, მაგალითად, ადგილობრივ ინტერვიუებზე საჯარო მოხელეების ანდა ადგილობრივი ხელისუფლების ნათესავეების თუ ადგილობრივი საჭიდაო კლუბის წევრების გამოყენება, მნიშვნელოვნად ცვლის ვითარებას და უვნებელი მესიჯი - „დაგვეხმარეთ არჩევნების შედეგების პროგნოზირებაში“ — შეიძლება გაცილებით უფრო საშიშ და მავნე მესიჯად იქცეს, მაგალითად, ასეთად: „ხელისუფლებას აინტერესებს, ვის აძლევთ ხმას“. რა თქმა უნდა, ეს ადგილობრივი ნიუანსია და დამკვირვებლები ამას ვერ ხედავენ. მაგრამ ეგზიტპოლმა ხელისუფლებას კიდევ ერთი სასურველი იარაღი მისცა ოლქებში შიშის დასათესად. ეს რეალური პრობლემაა, მაგრამ არ ჩანს არც ერთ რაოდენობრივ შეფასებაში. თუმცა ეს ძალზე აშკარა გახდა დამკვირვებლებისათვის, როგორც ეს ერთ-ერთმა ჩვენგანმა აღმოაჩინა, იმ 2005 წლის არჩევნებზე. ნებისმიერი, ვინც არ იყო დაინტერესებული ეგზიტპოლებით, გაკვირვებული დარჩებოდა, როცა შეიტყობდა, რომ „მიტოფსკი ინთერნეშნალი“ ავტორიტეტული ფირმა იყო: იმ ოლქებში, რომლებსაც ერთ-ერთი ჩვენგანი აკვირდებოდა, ეგზიტპოლის ჩამტარებლები ხელისუფლების მიერ დაქირავებული ჩხუბისთავეები იყვნენ.

ეგზიტპოლი არ არის მომავლის ინსტრუმენტი

ბოლო დროს საქართველოში ჩატარებული ეგზიტპოლები ზუსტად იმ პრობლემის - უკიდურესი პოლარიზაციის — მსხვერპლი გახდა, რომლის გადასაჭრელადაც იყო ჩაფიქრებული. არსებულ გარემოში ეგზიტპოლები სტაბილიზების გარე ინსტრუმენტად ვერ გამოდგება.

დამოუკიდებელი ეგზიტპოლები არა ერთხელ გამხდარა უკანონო არჩევნების წინააღმდეგ გალაშქრების ბიძგი, მაგრამ სუსტი ინსტიტუციურ გარემოში ისინი არჩევნების შედეგების დასადასტურებლად არ გამოდგება. როგორც დიაგნოსტიკური იარაღი, ისინი შეიძლება რაიმე უკანონობის საჩვენებლად გამოდგეს (როგორც ეს 2003 წელს საქართველოში მოხდა) და არა სწორი ქმედებისა. ეს ძვირადღირებული, პოლარიზების პოტენციური გამომწვევი ინსტრუმენტია და შეიცავს რისკს, რომ მისთვის და-

მახასიათებელი ცდომილებები ურთიერთბრალდებების წყარო გახდეს, როგორც ეს 2004 წელს ოჰაიოში მოხდა.

ბოროტი განზრახვით ჩატარებული ეგზიტპოლის ლეგიტიმური გამოკითხვით დაპირისპირების თავდაპირველი იდეა გარკვეულ დამაჯერებლობას ინარჩუნებს. მაგრამ როგორც საქართველოს მაგალითმა აჩვენა, ამის ფასიც მაღალია, ვინაიდან ილახება იმ ინსტიტუტების სანდოობა, რომლებიც, იდეალურ შემთხვევაში, არ უნდა ერეოდნენ საარჩევნო ბრძოლებში. მეტიც, ეს მთლიანად თავდაცვითი მანევრია.

საზოგადოების ნდობის მოპოვების უკეთესი გზა პროცედურული კეთილსინდისიერების დაცვა და არჩევნების გაყალბების ნებისმიერი ცდუნების გაძლევა იქნებოდა. პატიოსანი საქციელით მეტი ნდობის მოპოვება შეიძლება, ვიდრე ნებისმიერი დამატებითი გარე ზომის გამოყენებით.

დასკვნები და რეკომენდაციები

რავისწავლეთ ეგზიტპოლებსა და საზოგადოებრივი აზრის კვლევებთან დაკავშირებით? ეგზიტპოლებთან დაკავშირებით მიღებული გაკვეთილები იმის მაჩვენებელია, რომ ისინი შეიძლება იმაზე მეტი თავის ტკივილი აღმოჩნდეს, ვიდრე ამას იმსახურებს. დასავლეთის თანამედროვე დემოკრატიებში ისინი ძირითადად მოუთმენელი მედიის დასაკმაყოფილებლად გამოიყენება. არჩევნების სისწორის დასადასტურებლად კი გამოიყენება ყოვლისმომცველი სტატისტიკური შემონმებები და ხმათა პარალელური დათვლა, რომლის დროსაც გროვდება ოქმები ოლქის დონეზე ხმების დათვლის დასრულების შემდეგ; ამით უკეთ მოწმდება საარჩევნო შედეგების სისწორე, განსაკუთრებით სისტემატურ დაკვირვებასთან კომბინაციით.

რაც შეეხება საზოგადოებრივი აზრის კვლევას, საქართველოში საკმაოდ დიდი გამოუყენებელი პოტენციალი არსებობს. ხარისხიან მონაცემებს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია დემოკრატიის გაძლიერების საქმეში, ვინაიდან ფაქტებით შესაძლებელია სიტუაციის დეპოლარიზება და პოლიტიკოსების იძულება, მიაქციონ ყურადღება საზოგადოების აზრს. ასეთი მონაცემები საზოგადოებრივ საქონელს წარმოადგენს. საუკეთესო შემთხვევაში მო-

ნაცემების შეგროვება სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს იმ ტიპის ფორმულის მეშვეობით, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებლების დასაფინანსებლად იყენებენ. ასეთი მონაცემების სისტემატურად შეგროვება არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე უნდა დაიწყოს, როდესაც ფსონები გაცილებით დაბალია და სხვადასხვა ჯგუფი უფრო მზად არის კონსტრუქციული მონაწილეობის მისაღებად.

როგორც 2008 წლის გამოცდილებამ აჩვენა, მუდმივი მუშაობა უფრო დაარწმუნებს პოლიტიკოსებს, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევა ღირებული რამ არის. ეს ეხება ექსპერტებსაც - ნდობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და მუდმივ ურთიერთობებს ემყარება; იგი მოპოვებული უნდა იქნეს დროთა განმავლობაში და სხვადასხვა მოთამაშესთან მოკლევადიან საკონსულტაციო მუშაობას სათანადო შედეგი არ მოაქვს.

საჭიროა თანმიმდევრულობა და სისტემატური დაგეგმვა. მონაცემების დამუშავებაში ტრენინგები შედეგიანი რომ იყოს, საჭიროა მათი ადრე, არჩევნების ცხელ ფაზაში შესვლამდე დაწყება. იდეალურ შემთხვევაში ნებისმიერი ციკლი უნდა დაიწყოს არჩევნებამდე, სავარაუდოდ, ორი წლით ადრე. ეს შემსწავლელებს საკმარის დროს მისცემს, დახვეწონ შესაბამისი უნარ-ჩვევები.

მომავალ არჩევნებამდე საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტებმა უნდა შეადგინონ დამოუკიდებელი ქცევის კოდექსი და საკმარისი დრო დაუთმონ საზოგადოების და ჟურნალისტების რეგულარულად ინფორმირებას. საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ პროცესს, ვინაიდან საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტები ერთმანეთს კონკურენტებად აღიქვამენ და შესაძლოა, გაუძნელდეთ ერთად დასხდომა. მართალია, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტების ერთად თავმოყრა ძნელი იქნება, მაგრამ საუბარი აუცილებლად უნდა დაიწყოს.

რაც შეეხება პოლიტიკური მოვლენების განვითარებას, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ შეგროვილი მონაცემების მიხედვით, დიდი მოთხოვნაა პოლიტიკისადმი უფრო ღრმა და დახვეწილ მიდგომაზე. ლეგიტიმურობაზე ვრცელი საუბრების რესურსი, როგორც ჩანს, ამონურულია. პოლიტიკოსები, რომლებიც შეძლებენ ყურის კარგად დაგდებას და დამაჯერებელი მესიჯით რეაგირებას, ალბათ მნიშვნელოვან მხარდაჭერას მოიპოვებენ.

შენიშვნები

2009 წლის იანვარში მოდიებული ყველა წყარო.

Civil.Ge: 23 December, 2007, *Imedi TV Plans Exit Polls*, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=16652>

Civil.Ge: 30 December, 2007, *Exit Poll Managers Pledge Impartiality*, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=16716>,

Corso, Molly: 24 December 2007 *Georgian Government Claims Opposition Campaign Manager Plotted Coup*, <http://www.eurasia-net.org/geovote08/news/122407.shtml>,

Mitofsky, Warren and Lenski, Joe (2006): *Adventure In Baku: Exit-Polling Azerbaijan*, <http://www.ncpp.org/?q=node/77>,

Mystery Pollster (2004): *What About Those European Exit Polls?* http://www.mysterypollster.com/main/2004/12/what_about_thos.html

Pollster (2006): *The Overlooked Exit Poll Question* http://www.pollster.com/blogs/the_overlooked_exit_poll_quest.php

Regnum News Agency: 5 January 2008, *"Ukrainian think-tank: None of presidential contenders in Georgia obtained more than 50% of votes~*, <http://www.regnum.ru/english/939470.html>,

Vaisman, Daria (2005): *Poll Stir: Is an American Pollster Helping to Steal Azerbaijan's Election?*, The New Republic Online, Post date: 11.03.05, currently not retrievable online

ქალები და არჩევნები

ავტორი: თინათინ ბრეგვაძე, „World Vision“- საქართველო

შესავალი

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველომ განაცხადა, რომ აპირებს, დაიცვას დემოკრატიული პრინციპები. ქვეყანამ ამ პრინციპებისადმი ერთგულება იმ მნიშვნელოვანი ნაბიჯებით დაადასტურა, რომლებმაც საბჭოთა კავშირის რღვევას შეუწყო ხელი. მიუხედავად იმ კრიზისისა, რომელიც ამას მოჰყვა – ეკონომიკის რღვევა, მასობრივი უმუშევრობა, მასშტაბური კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში და ორი სეპარატისტული კონფლიქტი – საქართველომ მაინც შეძლო დიდი ნაბიჯებით გაეგრძელებინა მიზნისკენ სვლა და არ გადაეხვია დემოკრატიისკენ მიმავალი გზიდან. ტრანსფორმირების პროცესი თუმცა ჯერ არ დასრულებულა, გარდამავალი პერიოდის ყველა რთული ეტაპი უკვე გავლილია.

დემოკრატიული საზოგადოებების ფუნდამენტურ პრინციპებს ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და კანონის წინაშე თანასწორობა წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, დემოკრატიული მთავრობები ყოველთვის ვერ ახერხებენ ყველა ადამიანისათვის თანასწორი პირობების შექმნას და ამიტომ ისინი უფრო თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე უნდა ზრუნავდნენ. ეს გათვალისწინებული იქნა საქართველოს კონსტიტუციაში, რომელშიც წერია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“ (მუხლი 14).

დემოკრატიის მდგომარეობა ნებისმიერ სახელმწიფოში ფასდება ამ ფუნდამენტურ პრინციპებთან შედარებით: რამდენად კარგად ასრულებს ხელისუფლება შესაბამის და სწორად განსაზღვრულ რეფორმებს ამ ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების განსახორციელებლად; რამდენად ეფექტიანად და

სისტემატურად იცავს ხელისუფლება ამ პრინციპებს. თუმცა მაშინაც კი, როცა ხელისუფლების პოლიტიკური ნება საყოველთაოა, დემოკრატიზაცია რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც მუდმივი გაუმჯობესება სჭირდება.

იმ მრავალ საკითხს შორის, რომლებიც საქართველოს მთავრობამ უნდა მოაგვაროს, გენდერული დისბალანსი საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვანი საკითხია და დიდი ხანია დებატებისა და არგუმენტების თემაა. 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, გენდერული უთანასწორობა გადანყვეტილების მიღების პროცესში პრობლემად რჩება.

საქართველოს კანონმდებლობა იცავს საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად ეს გენდერულ თანასწორობასაც გულისხმობს. ამავე დროს, კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე ისეთ დებულებას, რომელიც რომელიმე კონკრეტულ პოზიციაზე არჩევის ან დანიშნვისათვის ქალებს უფრო ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა, ვიდრე მამაკაცებს. გარდა ამისა, არ არსებობს გარანტიები, რომლებიც შექმნიდა და გააძლიერებდა შესაძლებლობებს ქალებისთვის, რომ ისინი მამაკაცებთან თანაბრად ყოფილიყვნენ ჩართულნი პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შედეგად, ქალები არასათანადოდ არიან წარმოდგენილები პოლიტიკაში. დამოუკიდებლობის შემდეგ ქალები აქტიურ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ერის განვითარებაში. თუმცა ინსტიტუციონალიზებული სახელმწიფო მექანიზმების ნაკლებობამ, რესურსების სიმწირემ და ღრმად ფესვგადგმულმა ქართულმა ტრადიციებმა ისეთი გარემო შექმნეს, რომელიც ხელს არ უწყობს ქალების თვითრეალიზებას და პოლიტიკაში ჩართვას.

გენდერი და პოლიტიკა

გარდამავალი პერიოდის პრობლემები

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარდამავალი პერიოდის რყევებმა, მათ შორის სიღარიბემ, უმუშევრობამ და

ზოგადმა დაუცველობამ საზოგადოებაში აპათია გააჩინა. თუმცა ბევრ გაღარიბებულ ოჯახში ქალებმა იკისრეს მარჩენალის როლი, ხშირ შემთხვევაში დაბალანაზღაურებადი სამუშაოს დანყებით. ამ ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ ქალები გააძლიერა, მაგრამ, ამავე დროს, უფრო დაუცველი გახადა სქესთან დაკავშირებული დარღვევების მიმართ.

ქალების უმრავლესობა აგრძელებდა დაბალანაზღაურებად სამუშაოს სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვისა და მსუბუქი მრეწველობის ოფიციალურ სექტორებში. 1989 წლის მონაცემების მიხედვით, ქალები სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 50.2%-ს შეადგენდნენ, ჯანდაცვაში დასაქმებულთა 77%-ს და მსუბუქ მრეწველობაში დასაქმებულთა 70.4%-ს. შრომის ბაზრის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ გენდერულ სეგრეგაციაზე აშკარად მიუთითებდა ქალთა კონცენტრაცია დაბალანაზღაურებად პოზიციებზე ეკონომიკის ნაკლებად მომგებიან დარგებში. შედეგად 2004 წელს, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, ქალთა საშუალო ნომინალური თვიური ხელფასი ეკონომიკის ყველა დარგსა და ყველა სექტორში მამაკაცთა ხელფასის 60%-ს შეადგენდა.

1990-იან წლებში არსებული გენდერული თანასწორობის ეს დარღვევები სახელმწიფოსა და იურიდიული ინსტრუმენტების უუნარობის, ქვეყანაში საერთაშორისო სააგენტოების სიმცირისა და სუსტი სამოქალაქო საზოგადოების შედეგი იყო. ამ მდგომარეობას ამძიმებდა ქართული საზოგადოების ტრადიციული შეხედულებები, რომელთა თანახმადაც ქალის როლი ოჯახური ფუნქციით შემოიფარგლებოდა და ქალს არ გააჩნდა ისეთი უნარები, რომლებიც ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკაში მონაწილეობისათვის იყო საჭირო. მართალია, მსგავსი დისკრიმინაციული მიდგომები არ იყო კანონმდებლობაში ასახული, მაგრამ ტრადიცია ზოგჯერ უფრო დიდ გავლენას ახდენს, ვიდრე რომელიმე ოფიციალური ინსტიტუტი. ეს დისკრიმინაციული მიდგომები უნდა შეცვალონ როგორც სამთავრობო სტრუქტურებმა, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებმა. თუმცა არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების (არა მარტო ქალის უფლებების პრობლემებზე მომუშავეთა) განვითარებაც

პრობლემაა საქართველოში და თავისთავად ძალიან სერიოზული მსჯელობის საგანია.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გარდამავალი პერიოდის პირველ ხუთ წელთან შედარებით საქართველოს მთავრობები გენდერულ საკითხს თითქოს მეტი ყურადღებით ეკიდებიან, სამწუხაროდ, არც რაიმე ეფექტიანი ზომა და არც საკანონმდებლო აქტი არ მიღებულა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქალების თვითრეალიზებას და შეამცირებდა დისკრიმინაციულ პრაქტიკას საზოგადოებაში.

პირველი ნაბიჯები გენდერული თანასწორობის მისაღწევად

მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლიდან საქართველოს მთავრობა გენდერულ საკითხს მეტი ყურადღებით ეკიდება, ქალთა უფლებებთან და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ინსტიტუციური მექანიზმების ხელშეწყობა მხოლოდ პოლიტიკორექტულობისთვის ხდებოდა, ამ მექანიზმების განსახორციელებლად კი არც საკმარისი ფინანსები გამოიყოფოდა და არც რესურსები. არ არსებობდა სათანადო პოლიტიკური ნება, რომ გენდერული საკითხები ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ქცეულიყო სახელმწიფო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

პოლიტიკური ნების ნაკლებობაზე აშკარად მიუთითებდა ამ საკითხის განვითარების ხასიათი მას შემდეგ, რაც საქართველო უპირობოდ შეუერთდა 1994 წელს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციას, ხოლო 1995 წელს — პეკინის სამოქმედო გეგმას და მონაწილეობა მიიღო ქალთა მე-4 კონფერენციაში.

1995 წლის შემდეგ საქართველოში მიღებული ბევრი პოლიტიკური დოკუმენტი ოფიციალურად ასახავს პეკინის სამოქმედო პლატფორმას. 1999 წელს მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის №20 ბრძანებით შეიქმნა სამთავრობო კომისია ქალთა ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის, რომელშიც ენერა, რომ საქართველოს მთავრობა შეასრულებს კონფერენციის რეკომენდაციებს, შეიმუშავებს სახელმწიფო პოლიტიკასა და სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას.

მიუხედავად ამ კომისიის მუშაობის მრავალი ნაკლოვანებისა, მან მაინც მოახერხა პრეზიდენტის №511 ბრძანებულების

პროექტის მომზადება, რომელსაც ეწოდებოდა „ქალთა უფლებების დაცვის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ“, და რამდენიმე სხვა სტრატეგიული დოკუმენტისა, რომლებშიც გათვალისწინებული იყო სამოქმედო პლატფორმა. №511-ე ბრძანებულებაში მკაფიოდ წერია, რომ სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს საქართველოში ქალთა უფლებების დაცვა. ბრძანებულება მოიცავს 16 დებულებას და აკისრებს 13 სამთავრობო უწყებას სხვადასხვა პასუხისმგებლობას საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. ამ პასუხისმგებლობებს შორის იყო ისეთი მნიშვნელოვანი მოვალეობები, როგორებიცაა ქალთა უფლებებთან დაკავშირებით უფრო დახვეწილი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან; ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი შესრულების მონიტორინგი; სოფლად მცხოვრები ქალებისთვის სპეციალური პროგრამების შემუშავება; და ოჯახში ძალადობის შემთხვევათა აღრიცხვის მექანიზმის შექმნა, რათა განხორციელდეს საგანგებო ზომები მსგავსი ძალადობის აღმოსაფხვრელად.

ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელება თავდაპირველად 1998-2000 წლებში იგეგმებოდა, შემდეგი ოთხი — 2000-2004 — წლისთვის გადაიდო, თუმცა ამ ვადაშიც ბევრი არაფერი გაკეთებულა. მსგავსი მიდგომა იყო ამ პერიოდში სხვა სტრატეგიული დოკუმენტებისადმიც, რომლებიც შემუშავებული იქნა პეკინის სამოქმედო პლატფორმის შესაბამისად. ამ სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახული ღონისძიებები ან არ შესრულებულა, ანდა, რაც შესრულდა, უმნიშვნელო ეფექტის მქონე იყო.

გენდერულ საკითხებზე მუშაობის განახლება 2003 წლის შემდეგ

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ პრეზიდენტი სააკაშვილის ხელმძღვანელობით დემოკრატიზაციის ახალი ტალღის დაწყება გამოაცხადა. ამრიგად, სხვა მოლოდინებთან ერთად, რევოლუციამ ახალი იმედებიც გა-

აჩინა გენდერული თანასწორობის სფეროში. პირველი ნაბიჯი მთავრობის მიერ ქალთა ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელი კომისიის გაუქმება იყო. ამავე დროს, ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა აიღო, ემუშავა გენდერული თანასწორობის საკითხზე. კერძოდ, 2004 წლის აგვისტოში შეიქმნა საგანგებო სამუშაო ჯგუფი გენდერული თანასწორობის ეფექტიანი ინსტიტუციური მექანიზმების შესაქმნელად რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, რასაც მოჰყვა გენდერული თანასწორობის ახალი სამთავრობო კომისიის შექმნა დროებითი მანდატით. 2004 წლის ოქტომბერში პარლამენტის სპიკერის ინიციატივით შეიქმნა სპიკერთან არსებული მრჩეველთა საბჭო გენდერულ საკითხებზე. სამთავრობო კომისიასა და საბჭოში შედიოდნენ ქალთა ჯგუფების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, სამინისტროების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

2006 წლის თებერვალში ორივე ინსტიტუტმა წარადგინა საქართველოს გენდერული თანასწორობის სტრატეგია. პაკეტი სამ დოკუმენტს მოიცავდა: გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია (რომელიც პარლამენტმა 2006 წელს მიიღო); კონცეფციის განხორციელების სამწლიანი სამოქმედო გეგმა; და რეკომენდაციები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გენდერული თანასწორობის მუდმივი მექანიზმების მიღებაზე, რომლებითაც მოხდებოდა გენდერული თანასწორობის საკითხების მონიტორინგი და კოორდინირება. 2006 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო კონცეფცია. ამ დოკუმენტს შემოაქვს გენდერისა და მასთან დაკავშირებული ცნებების განმარტებები. მართალია, ეს დოკუმენტი არ არის სავალდებულო, მაგრამ იგი პოლიტიკური ჩარჩო დოკუმენტია აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის, ვინაიდან პარლამენტის მიერ არის დამტკიცებული. ამავე დროს, პარლამენტის სპიკერმა დაავალა მთავრობას, მიეღო სახელმწიფო კონცეფციის განხორციელების სამოქმედო გეგმა, რაც 2008 წლის ბოლომდე არ შესრულებულა.

2006 წლის ბოლოსთვის ხელისუფლებამ გააუქმა სამთავრობო კომისია. გენდერული საკითხების კოორდინირება დაევალა რეფორმების კოორდინირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის

აპარატს, რომელსაც არ შეუმუშავებია გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის განხორციელების სამწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა. დღეისათვის არც რეალური მექანიზმები არსებობს, რომლებიც უზრუნველყოფდა საქართველოს საზოგადოების თანასწორობას გენდერის თვალსაზრისით, და არც სპეციალური საკანონმდებლო ბაზა პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობისათვის.

შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქალთა უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები მრავალშრიანია. ქალის ტრადიციული როლი საზოგადოებაში, რაც აფერხებს ქალების საჯარო საქმიანობასა და გადამწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას, პოლიტიკური ნების აშკარა უქონლობა, იმ ფაქტის უგულებელყოფასთან ერთად, რომ გენდერული თანასწორობა არ არის ქვეყანაში მიღებული, რესურსების ნაკლებობა, სუსტი სამოქალაქო საზოგადოება და ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობა, არასახარბიელო გარემოს ქმნის გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში. მეორე მხრივ, ეს ფაქტორები გავლენას ახდენს დემოკრატიზაციის მთელ პროცესზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა, გადაიჭრას წარმოქმნილი პრობლემები სხვადასხვა საშუალებითა და მრავალი სახელმწიფო და ისეთი არასამთავრობო მოქმედი პირების ჩართვით, როგორებიცაა მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები, საერთაშორისო სააგენტოები და, ზოგადად, მთელი საზოგადოება.

გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული მექანიზმებისა და კანონმდებლობის არაეფექტიანობა აშკარად გამოჩნდა საქართველოში 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგებში.

2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები

2007 წელი საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობით აღინიშნებოდა, რამაც ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა გამოიწვია იმ რეფერენდუმთან ერთად, რომელშიც დაახლოებით ორმა მილიონმა ამომრჩეველმა გამოსხატა ნება, რომ

საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის გაზაფხულზე ჩატარებულიყო. ამრიგად, ქვეყანამ დაძაბული არჩევნების ორი ტალღა გადაიტანა. ორივე წინასაარჩევნო პერიოდიც დაძაბული იყო, რადგან არჩევნების წინა მოვლენებმა, საკანონმდებლო ცვლილებებმა და საარჩევნო დაპირებებმა ძლიერი გავლენა იქონიეს არჩევნების დღის შედეგებზე. არჩევნებამდე პერიოდში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო, რომ არჩევნების შედეგად პარლამენტში ქალები იქნებოდნენ წარმოდგენილები.

საპრეზიდენტო არჩევნები არ გამოირჩეოდა გენდერულ საკითხთან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებით ან ფაქტით. წინასაარჩევნო პოლიტიკურმა მოვლენებმა ამომრჩევლების მწვავე პოლარიზაცია გამოიწვია ორ ძლიერ საპრეზიდენტო კანდიდატს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ მიხეილ სააკაშვილსა და ოპოზიციის ერთობლივი საარჩევნო ბლოკის ლიდერ ლევან გაჩეჩილაძეს შორის. შვიდ საპრეზიდენტო კანდიდატს შორის მხოლოდ ერთი იყო ქალი – პოლიტიკური პარტია „იმედის“ კანდიდატი ირინა სარიშვილი, რომელმაც ყველაზე ცოტა ხმა – 0.16% მიიღო. პოლიტიკური გარემოს გამო და ასევე იმიტომ, რომ სარიშვილი შედარებით სუსტი პოლიტიკური ფიგურა იყო, სარიშვილის სქესი არ ქცეულა პრობლემად. რაც შეეხება ამომრჩევლების გენდერულ დაყოფას, ამის მონაცემები არ არსებობს.

გენდერული თვალსაზრისით ბევრად უფრო საინტერესო საპარლამენტო არჩევნები იყო. როგორც აღინიშნა, ქალთა უფლებების დამცველი ყველა ჯგუფი ვარაუდობდა, რომ ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში შემცირდებოდა 2004 წლის პარლამენტში არჩეულ ქალთა 9.3%-იან წილთან შედარებით. ეს პროგნოზი, რომელიც მართლაც გამართლდა, ეფუძნებოდა იმ სხვადასხვა ასპექტის ანალიზს, რომლებიც ხელს უწყობდა ან აფერხებდა ქალთა არჩევას საკანონმდებლო ორგანოში. გარდა ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ფაქტორებისა, ცვლილებებმა საარჩევნო კოდექსში, პარტიულმა სიებმა, პოლიტიკური პარტიების სიებში ქალი კანდიდატების შეყვანამ და მედიამ უშუალო გავლენა იქონიეს არჩევნების შედეგებზე და, შესაბამისად, პარლამენტში ქალების მიერ მოპოვებული ადგილების რაოდენობაზე. ქალებმა პარლამენტის 150 ადგილიდან მხოლოდ

9 ადგილი მოიპოვეს, რაც პარლამენტართა საერთო რაოდენობის 6%-ია. 8 ადგილი პროპორციული, ხოლო 1 მაჟორიტარული სისტემით იქნა მოპოვებული. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თორმეტმა პარლამენტარმა, რომელთაგან ორი ქალი იყო, უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე; შედეგად, პარლამენტარ ქალთა რაოდენობა 7-მდე შემცირდა და პარლამენტის წევრთა მხოლოდ 5% შეადგინა.

ცვლილებები საარჩევნო სისტემაში

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა, ისევე, როგორც კონსტიტუცია, თანაბარ სტანდარტებს აწესებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. საარჩევნო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სპეციალურ ნორმას გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით. საპარლამენტო არჩევნებამდე საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რაც პოლიტიკურ ძალებს შორის კამათის საგანი გახდა. ამავე დროს, ამ ცვლილებებმა სერიოზულად იმოქმედა გენდერულ საკითხზე, რაც არჩევნების შედეგებში მეტი გენდერული უთანასწორობით გამოვლინდა.

პარლამენტში ადგილების 235-დან 150-მდე შემცირება.

ადგილების რაოდენობის შემცირებამ პირდაპირ შეამცირა ქალების შანსები, მოხვედრილიყვნენ პარლამენტში. ერთი მხრივ, სკამების შემცირებამ გაზარდა კონკურენცია კანდიდატებს შორის, რომელთა შორისაც მამაკაცებს, ტრადიციულად, უპირატესობა ენიჭებათ. მეორე მხრივ, ადგილები, რომლებიც ქალებს ეკავათ, პარლამენტში ადგილების კლების პროპორციულად შემცირდა.

საარჩევნო ბარიერის 7%-დან 5%-მდე დაწევა

საარჩევნო ბარიერის დაწევამ იმ პოლიტიკური პარტიების რიცხვი გაზარდა, რომლებსაც პარლამენტში მოხვედრა სურდათ. პარტიათა უმრავლესობის სიებში ქალები მეორე და უფრო ქვედა ათეულში იყვნენ. სიის პირველი ათეული ძირითადად მა-

მაკაცებით იყო დაკომპლექტებული. ყველა პარტიამ, რომელმაც ეს ბარიერი გადალახა, იმდენი ხმა მიიღო, რომ არა მარტო პირველი ათეული მოხვდა პარლამენტში, არამედ მის ქვემოთ მყოფნიც. შედეგად, ბარიერის დაწევამ მხოლოდ უმნიშვნელო გავლენა მოახდინა ქალების შანსებზე, შესულიყვნენ პარლამენტში.

75 პარლამენტარის პროპორციული, ხოლო დანარჩენი 75-ის მაჟორიტარული სისტემით არჩევა.

პროპორციული სისტემით არჩეული კანდიდატების რაოდენობა უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე მაჟორიტარი კანდიდატებისა: ადრე 150 პროპორციული და 85 მაჟორიტარული ადგილი იყო პარლამენტში. არჩევნებმა საქართველოში დაადასტურა, რომ ქალებს თითქმის არ ჰქონდათ მაჟორიტარული სისტემით არჩევის შანსი. 2004 წელს პარლამენტში მაჟორიტარული სისტემით მხოლოდ 3 ქალი იქნა აირჩეული, 2008-ში კი მხოლოდ ერთი.

პოლიტიკური პარტიები

რაც უფრო გავლენიანი და ძლიერია პოლიტიკური პარტია, მით უფრო ნაკლები ქალია მასში წარმოდგენილი და უფრო სუსტია ქალების გავლენა პოლიტიკურ სპექტრზე. პარტიის მართვის ძირითადი მექანიზმები პარტიის მამაკაცი წევრების ხელშია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს შორის 30% ქალია, მათი წილი პარტიების გადანყვეტილებების მიმღებ ორგანოებში ძალიან მცირეა. ქალები შედარებით დაბალ პოზიციებზე საქმიანობენ, ისეთივეზე, როგორც პარტიის საარჩევნო სიებში უკავიათ.

ჩვეულებრივ, ქალები ჩართულები არიან პარტიის აპარატში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში და საუბნო და საოლქო კომისიებში. ქალების უნარ-ჩვევები გამოიყენება საორგანიზაციო, რუტინულ საქმიანობაში. პარტიის ქალი წევრების წილი პარტიის სტრატეგიულ დაგეგმვასა თუ საარჩევნო სიების შედგენაში ნომინალურია. ამის ამკარა დასტურია ის ნომრები და პოზიციები პარტიების საარჩევნო სიებში, რომლებიც ქალებს უკავიათ.

საპარლამენტო არჩევნებში სულ 12 საარჩევნო სუბიექტი მონაწილეობდა, რომელთაგან სამი საარჩევნო ბლოკი, ხოლო ცხრა დამოუკიდებელი პარტია იყო. კანდიდატებად რეგისტრირებულ მამაკაცთა რაოდენობა 1,575-ს შეადგენდა (72%), ხოლო ქალთა — 485-ს (28%). პოლიტიკური პარტიების სიებში ქალები შემდეგნაირად იყვნენ წარმოდგენილნი:

პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“	49%
საარჩევნო ბლოკი „ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო – ქალთა პარტია“	42%
„გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“	35%
სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიანაციონალური პარტია	34%
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“	30%
„შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია“	27%
პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენტა კავშირი“	27%
საარჩევნო ბლოკი „მემარჯვენეთა ალიანსი, თოფაძემრენველები“	24%
პოლიტიკური კავშირი „ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი“	24%
საქართველოს რესპუბლიკური პარტია	21%
საარჩევნო ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია“ (ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეები)	16%
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	9%

პირველი ათეულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალები არ არიან სახარბიელო მდგომარეობაში. პროცენტული წილი და ქალთა რაოდენობა სიების პირველ ათეულებში შემდეგია:

პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“	30%	3
საარჩევნო ბლოკი „ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო – ქალთა პარტია“	20%	2
„გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“	10%	1

სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატია ნაციონალური პარტია	10%	1
„შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია“	10%	1
საქართველოს რესპუბლიკური პარტია	10%	1
პოლიტიკური კავშირი „ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი“	10%	1
საარჩევნო ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია“ (ეროვნული საბჭო, ახალი მემარჯვენეები)	10%	1
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	10%	1
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“	0%	0
საარჩევნო ბლოკი „მემარჯვენეთა ალიანსი, თოფაძე-მრენველები“	0%	0
პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენტა კავშირი“	0%	0

“World Vision“-მა ადგილების ასეთივე განაწილება აღმოაჩინა ქალ მაჟორიტარ კანდიდატებს შორისაც. 75 ოლქში 465 მამაკაცი (87%) და 59 ქალი (13%) კანდიდატი იყო დასახელებული.

მსგავსი სიტუაციაა საარჩევნო ადმინისტრაციაშიც. ცენტრალური საარჩევნო კომისია შედგება თავმჯდომარისა და 12 წევრისაგან, რომელთაგან ექვსს წარადგენს პრეზიდენტი და ირჩევს პარლამენტი, ხოლო შვიდს ნიშნავენ პარტიები. მხოლოდ ერთი წევრია ქალი, რომელიც კონსერვატიულმა პარტიამ დანიშნა, რაც წევრთა საერთო რაოდენობის 13%-ია. ოლქის დონეზე კაცები ჭარბობენ 56%-ით, ხოლო საუბნო დონეზე ქალები (57%).

საქართველოს ამომრჩევლების ნებისა და საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, პარლამენტში ადგილები დაიკავა ოთხმა საარჩევნო სუბიექტმა, რომლებმაც 5%-იანი ბარიერი გადალახეს. ქვემოთ მოცემული ცხრილი ზოგად სურათს გვიჩვენებს:

საპარლამენტო არჩევნების შედეგები

პოლიტიკური პარტია	პ ა რ ტ ი - ული სიები	მაჟორი- ტარები	ადგი-ლე- ბი, სულ	ა დ გ ი - ლების %
„შალვა ნათელაშვი- ლი – ლეიბორისტული პარტია“	6	0	6	4%
„ერთიანი ნაციონალუ- რი მოძრაობა“	48	71	119	79.3%
საარჩევნო ბლოკი „გაერთიანებული ოპო- ზიცია - ეროვნული საბჭო, ახალი მემარ- ჯვენეები“	15	2	17	11.3%
„გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრა- ტები“	6	0	6	4%

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ ბარიერი ვერ გადა-
ლახა, თუმცა ორი ადგილი მოიპოვა მაჟორიტარული სისტემით,
ანუ სულ 1.3%. საბოლოო შედეგების მიხედვით „ერთიანმა ნაციონ-
ალურმა მოძრაობამ“ პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლე-
სობა მოიპოვა.

ქალი პარლამენტარების რაოდენობა 9-დან 6%-მდე შემცირდა.
ამ ქალბატონებს შორის იყვნენ ერთი მაჟორიტარი და 5 პარტიული
სიით გასული კანდიდატები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი-
დან“; ერთი „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატებისგან“
და ორი გაერთიანებული ოპოზიციის საერთო ბლოკიდან. თუმცა,
ფაქტობრივად, ბოლო ორმა პარლამენტში შესვლაზე უარი თქვა.

რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, 57 ქალი კანდიდატი-
დან მხოლოდ ერთმა მოიპოვა ადგილი, ანუ მაჟორიტართა 1.3%-
მა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალ მაჟორიტარ კანდიდატებს
შორის მხოლოდ 1.7% იქნა არჩეული. ამრიგად, ერთმანდატიან
საარჩევნო უბნებში ქალი კანდიდატების 98.3%-მა წააგო.

საარჩევნო სისტემების მიხედვით ქალებმა უკეთეს შედეგს პრო-
პორციული სისტემით მიაღწიეს. მათ ერგოთ პროპორციული მანდა-
ტების 10.6%, თუმცა მაჟორიტარული ადგილების მხოლოდ 1.3%.

რეკომენდაციები

საარჩევნო კანონმდებლობაში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებები უარყოფითად მოქმედებს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობაზე. ამავე დროს, პოლიტიკური ერთიანობის არარსებობა ქალთა შორის კიდევ უფრო ართულებს ამ საკითხის მოგვარებას. საზოგადოებაში, სადაც კულტურული შეხედულებები ისედაც მამაკაცების სასარგებლოდ მოქმედებს, აუცილებელია ქალთა ძლიერი, მდგრადი კავშირის ფორმირება კარგად ჩამოყალიბებული სტრატეგიებითა და მიზნებით. გადანყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელშესაწყობად და იმის დასადასტურებლად, რომ მათი ჩართვა ამ პროცესში სიკეთის მომტანი და დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისია, უნდა არსებობდეს ძლიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც წინ წამოიწევდა გენდერულ საკითხებს.

ამ კონტექსტში საპარლამენტო არჩევნებში ახლად შექმნილი „ქალთა პარტიის“ მონაწილეობამ ვერ გააძლიერა გენდერული საკითხები წინასაარჩევნო პერიოდში. პარტია გაერთიანდა საარჩევნო ბლოკში „ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო“ და ქალთა პარტია“. ბლოკს ყოველ 5 კანდიდატში საშუალოდ მხოლოდ ერთი ქალი კანდიდატი ჰყავდა მაჟორიტარ კანდიდატებთან ერთად, თუმცა მათი შედეგები არ იყო მაღალი და ჩამორჩებოდა რესპუბლიკური პარტიისა და პარტია „ჩვენი საქართველოს“ შედეგებს, რომლებსაც მეტი ქალი ჰყავდათ შეყვანილი პარტიული სიების პირველ ათეულებში.

იმისათვის, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები გენდერულად უფრო დაბალანსებული იყოს, საჭიროა სისტემური ქმედებები ყველა შესაბამის სექტორში – მთავრობაში, პოლიტიკურ პარტიებში, ქალთა ჯგუფებში, ქალ კანდიდატებში, მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებაში. „World Vision“-ის რეკომენდაციებია:

ამაღლდეს ინფორმირებულობის ზოგადი დონე ქალთა პოლიტიკაში ჩართვის აუცილებლობის შესახებ. ინიცირებული იქნეს სხვადასხვა დონეზე საგანმანათლებლო პროგრამები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად.

ჩატარდეს ქალებისა და გოგონებისათვის პროგრამები, რომლებიც გააძლიერებს მათი თვითშეფასების უნარს და აქცევს მათ მიზანმიმართულ და თავდაჯერებულ ადამიანებად. ჩატარდეს საგანმანათლებლო აქტივობები, მათ შორის ბიზნესის წარმოების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და გაძლიერებისათვის როგორც ქალთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საფუძველი, მოხდეს ქალი პოლიტიკოსების კომპეტენტურობის პოპულარიზაცია ქალ ამომრჩევლებს შორის.

მიღებული იქნეს ზომები და ხელი შეეწყოს პოლიტიკურ პარტიებს, განიხილონ ქალები ღირებულ რესურსად პოლიტიკური პარტიებისათვის. კერძოდ, გამოკვლეული იქნეს პოლიტიკური პარტიების პროგრამები გენდერული თანასწორობის ჭრილში და ხელი შეეწყოს შიდაპარტიულ დემოკრატიას, რათა მოხდეს პოლიტიკური პარტიების სტიმულირება, შეადგინონ გენდერულად დაბალანსებული სიები.

საარჩევნო კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი.

ხელი შეეწყოს გენდერული ბალანსის მიღწევას საარჩევნო ადმინისტრაციებში, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

მოხდეს მომავალი ქალი კანდიდატების ხელშემწყობა მათი უნარ-ჩვევების გაძლიერებისა და ძლიერი პოლიტიკური პროგრამების შემუშავების გზით.

განხორციელდეს მედიაკამპანიები, რომლებიც პოპულარიზაციას გაუწევს ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში. ამ სფეროში უურნალისტა შესაძლებლობების გაძლიერება პირველი ნაბიჯი იქნება იმისათვის, რომ მათ შეძლონ ამ საკითხზე ეფექტიანი მასალების მომზადება.

ეთნიკური უმცირესობები და არჩევნები

ავტორი: ტომ ტრიერი, უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრი

შესავალი

პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ძალიან დაბალი დონე კვლავ სერიოზულ პრობლემას უქმნის ქართული საზოგადოების სოციალურ ქსოვილს⁵. ყველაზე ბოლო, 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის თანახმად, ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის 16%-ს ოდნავ აღემატება. ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს ქვეყანაში აზერბაიჯანელები წარმოადგენენ 6.5%-იანი წილით (285,000 ადამიანი), რომლებიც გეოგრაფიულად კონცენტრირებულნი არიან ქვემო ქართლში და კახეთის და შიდა ქართლის ზოგიერთ რაიონში, ხოლო რაოდენობრივად ოდნავ ნაკლები ეთნიკური სომხები (5.7% ანუ თითქმის 249,000 ადამიანი) ძირითადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში, ქვემო ქართლის ნალკის რაიონში და თბილისში ცხოვრობენ. არის ასევე საკმაოდ მოზრდილი, თუმცა კლებადი, ეთნიკური რუსების (1.5%), ოსების (0.9%), იეზიდი-ქურთების (0.5%), ბერძნების (0.4%) და კიდევ რამდენიმე ნაკლებად მრავალრიცხოვანი ჯგუფი, მათ შორის ქისტების და ჩეჩნების, ებრაელების, აფხაზების, ასირიელების, უდების, ავარების, უკრაინელების, ჩეხების, პოლონელების, ბულგარელების, ესტონელების, ლატვიელების, ლიტვიელების, ბოშებისა და მოლდოველების.

5. ამ ნაშრომში ავტორი ტერმინს „ეთნიკური უმცირესობა“ იყენებს იმისათვის, რომ განასხვავოს მოსახლეობის ეთნიკური და ეროვნული ჯგუფები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისაგან, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მეექვსედს შეადგენენ, უმცირესობების სოციალური ჩართულობის დონე პოსტსაბჭოთა საქართველოში დაბალია და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, როდესაც საქმე ეხება უმცირესობათა წარმომადგენლობას არჩევით ორგანოებსა და სამთავრობო უწყებებში. საერთოდ, ეთნიკური უმცირესობები საკმაოდ გარიყულები არიან პოლიტიკური ცხოვრებიდან და ეს ეხება რეგიონულად კონცენტრირებულ უმცირესობებსაც სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. პოზიტიურ მხარეს რაც შეეხება, ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლებამ, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, დაიწყო ყურადღების მიქცევა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირების პრობლემისთვის. აქედან გამომდინარე, ბოლო რამდენიმე წელია, შეიმჩნევა მეტი გათვითცნობიერება იმისა, რომ საჭიროა საგანგებო ზომების მიღება, რათა მოხდეს ეთნიკური უმცირესობების ჩართვა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ასევე საარჩევნო პროცესებში. ეს აისახა 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში უმცირესობებისთვის გამიზნულ საგანგებო ღონისძიებებში, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის პროცედურულ საკითხებზე ტრენინგის ჩატარებაში და ამომრჩევლებისათვის მასალების უმცირესობების ენებზე დამზადებაში; ეს ქმედებები კიდევ უფრო მასშტაბური გახდა 2008 წელს ჩატარებულ ორ არჩევნებში.

აქ შეეჩერდები 2008 წლის არჩევნებთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე, რომლებიც უშუალოდ ეთნიკურ უმცირესობებს ეხება, და, ამავე დროს, აღვნიშნავ, რომ საარჩევნო პროცესში არსებული ბევრი ზოგადი პრობლემა გავლენას ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზეც ახდენს. მართლაც, ზოგი ის საკითხი, რომლებიც ამ ნაშრომის სხვა თავებში იყო განხილული, უშუალოდ მოქმედებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე.

უმცირესობათა ინფორმირებულობის დონის გაზრდა საარჩევნო პროცესში

2008 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გარკვეული ზომები მიიღო რიგი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებსაც უმცირესობები არჩევნებში აწყდებოდნენ.

ცესკო-ს მიერ მიღებული ზომები მოიცავდა არჩევნებთან დაკავშირებული მასალების თარგმნას სომხურ, აზერბაიჯანულ და ოსურ ენებზე. საპარლამენტო არჩევნებისათვის მასალები რუსულ ენაზეც ითარგმნა. უმცირესობათა ენებზე დამზადებულ მასალებს შორის იყო შესწორებული საარჩევნო კოდექსი, ინსტრუქციები საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი, შემაჯამებელი ოქმები; უმცირესობათა ენებზე მომზადდა ასევე საარჩევნო ბიულეტენები და ამომრჩეველთა სიები. იმ რაიონებში, სადაც კონკრეტული უმცირესობა მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა, საარჩევნო ბიულეტენები შესაბამისი უმცირესობის ენაზე დაიბეჭდა, ხოლო შერეულ რაიონებში ბიულეტენები უმეტესწილად ორ ენაზე იყო ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, ცესკო-მ საუბნო კომისიების წევრებს უმცირესობათა ენებზე (ძირითადად რუსულ-სომხურად ან რუსულ-აზერბაიჯანულად) ჩაუტარა ტრენინგები, რომლებიც ზოგჯერ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ან მათი ხელშეწყობით ეწყობოდა.

პროცედურებისა და ამომრჩეველთა უფლებების შესახებ ინფორმირების დონის ასამაღლებლად ცესკო-მ რამდენიმე რადიო და სატელევიზიო სარეკლამო რგოლიც მოამზადა ამომრჩეველების ზოგადი განათლებისთვის; ეს რგოლები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და გადაიცემოდა ადგილობრივი და ეროვნული რადიო და ტელეარხებით, რომლებიც მაუწყებლობდნენ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში (განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში). საპრეზიდენტო არჩევნების დროს ეს რგოლები ოსურ, რუსულ და აფხაზურ ენებზეც გადიოდა. მეტიც, საპარლამენტო არჩევნებისთვის საინფორმაციო მასალები უმცირესობების ენებზე გამოცემულ წამყვან გაზეთებში გამოქვეყნდა, კერძოდ, სომხურენოვან „ერასტანში“, აზერბაიჯანულენოვან „გურჯისტანში“ და რუსულენოვან „სეობოდნაია გრუზიაში“ და, გარდა ამისა, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სარეკლამო მასალებიც (როგორებიცაა გულსაბნევეები, მაისურები და კეპები) დამზადდა. უმცირესობების საკითხთა ევროპულ ცენტრთან თანამშრომლობით ამომრჩეველებისათვის მომზადდა საინფორმაციო ფლაიერები აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე და მასობრივად დარიგდა ქვეყნის უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

ცესკო-მ ასევე ჩაატარა რამდენიმე კონსულტაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან, რამაც შესაძლებელი გახადა დიალოგი უმცირესობების ინფორმირების გაფართოების ზომების შესახებ.

ამ ღონისძიებების ჩატარებას ხელს უწყობდნენ ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციები პროექტებით და პროგრამებით, რომლებიც შემუშავებული იყო არჩევნებში უმცირესობების დახმარებისა და ჩართვისთვის. უმსხვილეს საერთაშორისო დამხმარე ორგანიზაციებს შორის, რომლებიც არჩევნების ხელშეწყობაში მონაწილეობდნენ, იყვნენ გაერო-ს განვითარების პროგრამა, ევროკომისია, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და ევროპის საბჭო. ამ ორგანიზაციებმა ასევე მხარი დაუჭირეს უმცირესობებთან დაკავშირებულ რამდენიმე სპეციფიკურ პროექტს, რომლებსაც ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებდნენ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ და უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრი უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ახორციელებდნენ ამომრჩევლის განათლების სპეციფიკურ პროექტებს, რათა ამომრჩევლებისათვის მიენოდებინათ ინფორმაცია არჩევნების პროცესებში მათი ძირითადი უფლებების შესახებ. ჩვეულებრივ, ეს პროექტები საგანგებოდ იყო შედგენილი კონკრეტული რაიონის შესაბამისი ენის საჭიროებების გათვალისწინებით. უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრი დაეხმარა ცესკო-ს მასალების უმცირესობათა ენებზე თარგმნასა და დამზადებაში. სამოქალაქო მოძრაობამ „მრავალეროვანი საქართველო“ შეაგროვა პოლიტიკური პარტიების პროგრამები და თარგმნა ისინი უმცირესობათა ენებზე უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გასავრცელებლად. გარდა ამისა, არჩევნების დღეს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მონიტორინგი ჩაატარა რამდენიმე ორგანიზაციამ, მათ შორის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა

და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“, სამოქალაქო მოძრაობამ „მრავალეროვანი საქართველო“ და უმცირესობების საკითხთა ევროპულმა ცენტრმა. არჩევნების მონიტორინგი და მისი შედეგები უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში სპეციფიკური პრობლემები არსებობდა. ერთ-ერთი პრობლემა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა იყო საარჩევნო კომისიებში. საარჩევნო კოდექსის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები უნდა ფლობდნენ ქართულ ენას, მაშინ, როდესაც ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საუბნო კომისიის წევრებზე. ამ მოთხოვნის შედეგად ეთნიკური უმცირესობები არ იყვნენ სათანადოდ წარმოდგენილები საოლქო საარჩევნო კომისიებში, როგორც ეს 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშში იყო აღნიშნული. ამისგან განსხვავებით, ეთნიკური უმცირესობები სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილნი მათ მიერ მჭიდროდ დასახლებული რაიონების საუბნო საარჩევნო კომისიებში.

მეორე პრობლემა იმ საარჩევნო მასალის ენას ეხებოდა, რომელსაც საუბნო საარჩევნო კომისიები იღებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობების ენებზე დამზადებული მასალები ურიგდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მათი მოთხოვნის საფუძველზე, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშში აღნიშნულია:

„იყო შემთხვევები, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიებს მასალები, ბიულეტენების ჩათვლით, [მიღებული] მხოლოდ უმცირესობის ენაზე ჰქონდათ და ეთნიკურად ქართველი ამომრჩევლები და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ“.

ენა პრობლემას წარმოადგენდა ტრენინგების დროსაც. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ზემოაღნიშნულ ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგი უმცირესობების ენებზე ან თარგმანის უზრუნველყოფით ტარდებოდა, უმცირესობების ენები სისტემატურად არ გამოიყენებოდა. გარდა ამისა, უმცირესობების ენებზე დამზადებული საარჩევნო მასალები ზოგჯერ ძალზე გვიან მიენოდებოდა და ვერ ხერხდებოდა ტრენინგებზე მათი გამოყენება. ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ანგარიშში გამოთქმულია ვარაუდი, რომ არჩევნების დღეს უმცირესობებით დასახლებული რეგიონების საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმოქნილი პრობლემები ნაწილობრივ უმცირესობების ენებზე მომზადებული მასალების დაგვიანებით მონოდებით იყო გამოწვეული.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშში აღნიშნულია, რომ

„ამომრჩეველთა მიერ საკუთარი გვარების გადამონმების პერიოდში გამოკრული სიები მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი. განსხვავებული ანბანის გამო ეროვნული უმცირესობის ბევრმა წარმომადგენელმა ისინი ვერ წაიკითხა“. ამის საპირიპიროდ, „კენჭისყრის დღეს უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში ამომრჩეველთა სიები ხელმისაწვდომი იყო უმცირესობების ენებზე“.

თუმცა ბევრმა დამკვირვებელმა, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში კენჭისყრის დღეს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში იყვნენ, აღნიშნა, რომ ძირითადი საჩივარი ეხებოდა იმას, რომ ზოგი ამომრჩეველი არ იყო სიაში შეყვანილი და მათ არ ჰქონდათ საშუალება, წინასწარ შეემონმებინათ თავიანთი სახელები და გვარები ამომრჩეველთა სიებში, ვინაიდან სიები მხოლოდ ქართულ ენაზე იყო. სიებში კვლავ შეიძლებოდა ისეთი ბევრი ადამიანის სახელის და გვარის პოვნა, რომლებიც გარდაცვლილები ან ქვეყნიდან წასულები იყვნენ. ამიტომ საპარლამენტო არჩევნების შესახებ

ეთუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დასკვნით ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ამომრჩეველთა სიის შემდგომი გაუმჯობესების საჭიროებაზე.

პრობლემას წარმოადგენდა ასევე ეთნიკური უმცირესობების ენებზე შესრულებული საარჩევნო მასალების გავრცელება ქვემო ქართლში. მართლაც, თარგმანი ეროვნული უმცირესობების ენებზე, ბუნებრივია, შესაბამისი ენის ლიტერატურული სტანდარტების მიხედვით შესრულდა. ამრიგად, მასალა აზერბაიჯანულ ენაზე შესრულებული იყო ლათინური შრიფტით, რომელსაც აზერბაიჯანი 1998 წლიდან იყენებს, და არა კირილიცაზე, რომელიც ადრე გამოიყენებოდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ ქვემო ქართლში მცხოვრებ ბევრ აზერბაიჯანელს არ შეეძლო ლათინური შრიფტის ნაკითხვა და ისინი უკმაყოფილებას გამოთქვემდნენ იმის თაობაზე, რომ მასალა არ იყო მომზადებული მათთვის უფრო გასაგებ, კირილიცის ანბანით დაწერილ აზერბაიჯანულზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჯავახეთში მცხოვრები ბევრი სომეხი საუბრობს ადგილობრივ დიალექტზე, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ლიტერატურული სომხურისაგან და ამ რეგიონის ადგილობრივი სომხები წერით კომუნიკაციაში რუსულს ანიჭებენ უპირატესობას. ეს განსაკუთრებით 40 წელს გადაცილებულ სომხებს ეხება, ანუ იმათ, ვინც განათლება საბჭოთა პერიოდში მიიღო. ხშირ შემთხვევაში ჯავახეთის სომხების ახალგაზრდა თაობამ რუსულიც არ იცის, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ბევრმა არც ქართული იცის.

მართალია, ამ კომპლექსური ლინგვისტური პრობლემების გადაჭრის ადვილი გზების შეთავაზება ძნელია, საჭიროა ამ პრობლემების გათვალისწინება მომავალი საარჩევნო პროცესებისათვის.

კენჭისყრის დღის მონიტორინგი უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

ძირითადი ნაკლოვანებები

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების მოულოდნელი გამოცხადების და მის მოსამზადებლად დარჩენილი ძალიან ცოტა დროის გამო 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების მონიტორინგი არ

იყო ისეთი ყოვლისმომცველი, როგორც მომდევნო 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებისა. გარდა ამისა, არჩევნებში დახმარება უფრო ქალაქებზე იყო მიმართული, ვიდრე ქვეყნის სასოფლო რეგიონებზე. უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არსებული სიტუაციის აღსაწერად ამ ნაწილში განსაკუთრებით საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის პროცესზე შევაჩერებთ ყურადღებას.

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშში კენჭისყრის პროცესი შეფასებული იყო როგორც კარგი ან ძალიან კარგი ქვეყნის მონახულებული საარჩევნო უბნების 92%-ში. თუმცა ამ ანგარიშში აღნიშნულია, რომ კენჭისყრის პროცესი ყველაზე ცუდად სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა და ქვემო ქართლში ჩატარდა, ანუ იმ რეგიონებში, რომლებიც მჭიდროდაა დასახლებული ეთნიკური უმცირესობებით. კენჭისყრის პროცესი სამცხე-ჯავახეთის საუბნო საარჩევნო კომისიების 19%-ში, კახეთის საუბნო საარჩევნო კომისიების 12%-სა და ქვემო ქართლის 10%-ში შეფასებული იქნა როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი. ეს სურათი ოდნავ შეიცვალა საპარლამენტო არჩევნებზე, რომელშიც ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დასკვნითი ანგარიშის მიხედვით მონახულებული საუბნო საარჩევნო კომისიების 92% შეფასებული იქნა როგორც კარგი ან ძალიან კარგი, ხოლო კახეთში საარჩევნო უბნების 15%, შიდა ქართლში 14%, სამცხე-ჯავახეთსა და გურიაში 12% და ქვემო ქართლში 11% შეფასდა როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი. ამრიგად, ორივე არჩევნების დროს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა დაადგინა, რომ საარჩევნო პროცესი უმცირესობებით დასახლებული რეგიონებში განსაკუთრებით წარუმატებლად წარიმართა.

არჩევნებზე მონიტორინგის განმახორციელებელი სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ხმების დათვლისა და შეჯამების განსხვავებული პრინციპები ართულებს საარჩევნო პროცესის შედარებას უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებსა და საქართველოს სხვა რეგიონებს შორის. და მაინც შეიძლება რამ-

დენიმე ძირითადი მონაცემის განხილვა უმცირესობების რეგიონების სპეციფიკურობის საილუსტრაციოდ, თუმცა ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ საარჩევნო პროცესში არსებული ბევრი პრობლემა და ხარვეზი ზოგადი ხასიათისაა და მთელი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

ადრინდელმა არჩევნებმა, მათ შორის 2004 და 2006 წლების ადგილობრივმა არჩევნებმა, აჩვენა, რომ განსაკუთრებით ქვემო ქართლში ისტორიულად ხდებოდა ხმების გაყალბება და პროცედურების დარღვევა მმართველი პარტიის ან პრეზიდენტის სასარგებლოდ. ამ რეგიონში ეს ტრადიცია არც 2008 წლის არჩევნებზე დარღვეულა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“, რომელიც საპარლამენტო არჩევნების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ რეგიონს აქცევდა და რომელშიც საოლქო საუბნო კომისიების დაახლოებით 40%-ს მონიტორები აკვირდებოდნენ, კენჭისყრის დღეს დაკვირვების ქვეშ მყოფი 110 კენჭისყრის უბნიდან 56-ში სერიოზული პროცედურული დარღვევები აღმოაჩინა.

კენჭისყრის დღეს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ მონიტორინგი 1,129 საუბნო საარჩევნო კომისიაში ჩაატარა (ქვეყანაში სულ 3,605 უბანი იყო) ქვეყნის მასშტაბით და 137 საჩივარი წარადგინა. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ მომზადებული 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიშის თანახმად,

„არჩევნების დღეს გამოვლენილი რიგი სერიოზული ხარვეზებისა მასშტაბურ ხასიათს არ ატარებდა, თუმცა ზოგიერთი რეგიონი სხვებთან შედარებით უფრო პრობლემური აღმოჩნდა. ასეთი პრობლემური იყო ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და გურიის რაიონები“.

არჩევნების დღეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს 40 საარჩევნო ოლქში ჩაატარა მონიტორინგი, მათ შორის ქვემო ქართლის უმცირესობებით დასახლებულ მარნეულის, ბოლნისის და გარდაბნის ოლქებში, რის შედეგადაც ქვეყნის მასშტაბით დარღვევებზე 147 საჩივარი წარადგინა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშის თანახმად, სიტუაცია დაკვირვების ქვეშ მყოფ უბნებში ძალზე განსხვავებული იყო, თუმცა ანგარიშში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებით პრობლემური რეგიონები ქვემო ქართლი, გურია, შიდა ქართლი და კახეთია და „საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები აღმეტყობა იმ დარღვევების დონეს, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საპრეზიდენტო არჩევნების დროს აღმოაჩინა“. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ასევე აღნიშნავს, რომ „იძულების, ზენოლის, დაშინების [...] უპრეცედენტო ფაქტები იქნა აღრიცხული დაკვირვების ქვეშ მყოფი რეგიონების უმეტესობაში.“

საზოგადოებრივმა მოძრაობამ „მრავალეროვანი საქართველო“ მონიტორინგი 247 საუბნო საარჩევნო კომისიაში ჩაატარა უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ძირითად რეგიონებში: ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა და შიდა ქართლში და აღრიცხა დარღვევები სულ 42 საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიაში, მათ შორის ყველაზე სერიოზული დარღვევები 31 უბანზე (15 ქვემო ქართლში, 7 სამცხე-ჯავახეთში, 5 კახეთში და 4 შიდა ქართლში).

და ბოლოს, უმცირესობების საკითხთა ევროპულმა ცენტრმა დაკვირვება წალკის რაიონის 45 საუბნო საარჩევნო კომისიიდან 18-ში ჩაატარა და დარღვევები 9 საარჩევნო უბანში აღმოაჩინა, მათ შორის ზოგი ძალიან სერიოზული დარღვევა.

მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ აღრიცხულ ტიპურ დარღვევებს შორის არის:

ამომრჩევლის მარკირების არარსებობა,
ხმის ორჯერ ან მრავალჯერ მიცემა,
სხვის მაგივრად ხმის მიცემა,
კენჭისყრის „კარუსელი“,
ხმის მიცემა პირადობის მონმობის გარეშე,
საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ჩაყრა,
ბიულეტენების ყუთებიდან ლუქის მოხსნა,
მიღება-ჩაბარების აქტების არარსებობა, ამომრჩეველთა მობილური სიებით მანიპულირება,
შემაჯამებელი ოქმების შესწორება უფლებამოსილების გარეშე,

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ყოფნა კენჭისყრის კა-
ბინებში,

საუბნო საარჩევნო კომისიებში არაუფლებამოსილი პირების
ყოფნა კენჭისყრისა და ხმათა დათვლის დროს,

ამომრჩევლების დაშინება საჯარო მოხელეების ან საუბნო
საარჩევნო კომისიის წევრების მიერ, და

არჩევნებზე დამკვირვებლებისადმი მტრული განწყობა.

ზოგ შემთხვევაში დარღვევებზე საჩივრების შედეგად საოლქო
საარჩევნო კომისიის, ცესკო-ს ან სასამართლოს გადანყვეტილე-
ბით გაუქმდა საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები. 38 საუბნო
საარჩევნო კომისიიდან, რომლებშიც შედეგები გაუქმებულად
გამოცხადდა საარჩევნო კოდექსის დარღვევის გამო, 17 მდება-
რეობდა ისეთ ოლქებში, სადაც მოსახლეობის 60%-ზე მეტს ეთ-
ნიკური უმცირესობები წარმოადგენდნენ: 14 საუბნო საარჩევნო
კომისია ქვემო ქართლში და სამი კახეთში. მაგრამ გასაჩივრების
მოუქნელი და რთული მექანიზმების გამო ანდა ზოგჯერ უბრა-
ლოდ სხვადასხვა დონის შესაბამისი კომისიის მხრიდან უგულე-
ბელყოფის გამო, დარღვევის ყველა აღრიცხული შემთხვევა არ
იქნა შესწავლილი და მხედველობაში მიღებული. ვინაიდან დამკ-
ვირვებლებს ყველა საუბნო საარჩევნო კომისია არ შეუსწავლიათ
ან/და ყველა დარღვევა არ აღმოუჩენიათ, უნდა ვივარაუდოთ,
რომ დარღვევების რაოდენობა მეტია, ვიდრე საუბნო და საოლქო
საარჩევნო კომისიებში იქნა აღრიცხული.

ამომრჩევლის ქცევა

უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ამომრჩეველ-
თა მონაწილეობა ძალზე განსხვავებული იყო. ამომრჩეველთა
აქტივობა სამცხე-ჯავახეთში საპარლამენტო არჩევნების დროს
(გარდა ბორჯომისა 58.84%-ით) გაცილებით აღემატებოდა ერო-
ვნულ საშუალო მონაცემს, რომელიც 53.39%-ს შეადგენდა, და
მერყეობდა 78.96%-დან ახალქალაქში 85.20%-მდე ახალციხეში.
ამის საპირისპიროდ, ეროვნულ საშუალოზე დაბალი იყო ამომრ-
ჩეველთა აქტივობა ქვემო ქართლში და მერყეობდა 35.24%-დან

ნაკის რაიონში 46.71%-მდე მარნეულში და 54.91%-მდე ბონისში. მონაცემები მსგავსი იყო საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც.

ჩვეულებრივ, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ამომრჩევლები ხმას ხელისუფლების სტრუქტურებს აძლევენ, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ იყრის კენჭს. ასე ხდება ბევრ სხვა ქვეყანაშიც, რომლებსაც საქართველოს ადარებენ ხოლმე. გარდა ამისა, ასეთ რეგიონებში მცირერიცხოვანი ჯგუფები ძალაუფლებაში მყოფთ აძლევენ ხმას იმიტომ, რომ გამოსატონ თავიანთი ლოიალობა ხელისუფლებისადმი.

საარჩევნო ქცევისა და ამომრჩევლების მიდგომების კვლევაში უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რომელიც საპარლამენტო არჩევნებად ცოტა ხნით ადრე უმცირესობების საკითხთა ევროპულმა ცენტრმა ჩაატარა, დაადასტურა ეს მოდელი. ეს კვლევა ჩატარდა უმცირესობებით დასახლებულ ძირითად უბნებში ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში და კახეთში და დაეფუძნა 3,000 ადამიანთან ინტერვიუს (25.8% ქართველები და 74.2% არაქართველები). კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შედარებით დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ეთნიკურ უმცირესობებს შორის, ვიდრე ეთნიკურად ქართველ მოსახლეობაში. კითხვაზე, თუ რომელ პარტიას მისცემდნენ ხმას, რესპონდენტთა 68.1%-მა უპასუხა, რომ ისინი ხმას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მისცემდნენ, მაშინ, როდესაც ამ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მხოლოდ 40.7% იყო მზად, მხარი მმართველი პარტიისთვის დაეჭირა. ეთნიკურ უმცირესობებს შორის ამომრჩეველთა 24.8%-ს არ ჰქონდა გადანყვეტილი, ვის მისცემდა ხმას, ხოლო ქართველ ამომრჩეველთა შორის 30.6%-ს. და მაინც, ამ თვალშისაცემმა განსხვავებამ მკაფიოდ აჩვენა, რომ მმართველ პარტიას უფრო ერთსულოვანი მხარდაჭერა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის ჰქონდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის“ მიცემული ხმები – ამომრჩეველთა აქტივობა ცალკეულ უბნებში – მოქმედი ხმების %

	„ნაციონალური მოძრაობა“	ამომრჩეველთა აქტივობა, ცესკო-ს მონაცემები
<i>ქვემო ქართლი</i>		
გარდაბანი	74.25%	49.24%
მარნეული	84.49%	46.71%
ბოლნისი	83.29%	54.91%
დმანისი	82.89%	51.37%
ნალკა	73.60%	35.24%
თეთრიწყარო	62.47%	53.27%
<i>სამცხე-ჯავახეთი</i>		
ბორჯომი	48.71%	58.84%
ახალციხე	83.43%	85.20%
ახალქალაქი	90.21%	91.04%
ნინოწმინდა	91.69%	90.26%

წყარო: ცენტრალური საარჩევნო კომისია

რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი მმართველი პარტიის ასეთ მაღალ მხარდაჭერას უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში? პირველი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები კომპაქტურ დასახლებებში სახელმწიფო ენას კარგად არ ფლობენ და, შესაბამისად, შეზღუდულად მიუწვდებათ ხელი მასმედიისა და პოლიტიკური დებატებისადმი. როგორც უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, სომხების მხოლოდ 11.7%-მა და აზერბაიჯანელების 15.7%-მა განაცხადა, რომ თავისუფლად ფლობენ ქართულს ან კარგად საუბრობენ ამ ენაზე. საინფორმაციო ვაკუუმის შედეგი იყო პოლიტიკის და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის პოზიციების არცოდნაც. ამრიგად, უმცირესობების წარმომადგენლები გაცილებით ნაკლებად იყვნენ ინფორმირებული იმ პოლიტიკური პარტიების კომპეტენციის შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ საპარლამენტო არჩევნებში, ვიდრე ეთნიკურად ქართველი ამომრჩევლები. მაშინ, როდესაც უმცირესობის წარმომადგენელ რესპონდენტთა 94.9%-ს გაგონილი ჰქონდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ, 95.7%

ეთნიკურად ქართველ რესპონდენტთან შედარებით, მხოლოდ 53.9% არაქართველ რესპონდენტს, 88.2% ქართველთან შედარებით, ჰქონდა გაგონილი გაერთიანებული ოპოზიციის შესახებ. სხვაობა კიდევ უფრო დიდი იყო იმ კითხვებზე პასუხებში, რომლებიც სხვა პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს ეხებოდა.

მეორე, „საქართველოში ნაშლილია სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის გამყოფი ზღვარი“, როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებულ საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიშში. და ეს უფრო მეტად შეიმჩნეოდა სოფლად, ვიდრე ქალაქებში. მმართველი პარტიის ძირითადი მაჟორიტარი კანდიდატების ქმედებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ამომრჩევლების ხმის მიცემის ხასიათზე სასოფლო, მათ შორის უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

მესამე, ოპოზიციამ ბევრი არაფერი გააკეთა, რათა წინასაარჩევნო კამპანია ჩაეტარებინა სოფლებში, განსაკუთრებით კი უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, ხოლო „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ რეგიონებში ძალისხმევა არ დაიშურა.

მეოთხე, მაჟორიტარი კანდიდატების ეთნიკური კუთვნილება უმცირესობებით დასახლებულ ზოგიერთ ერთმანდატიან ოლქში წარმატებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ახალქალაქში, სადაც ამომრჩეველთა 94% სომეხია, ოთხიდან მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო სომეხი, კერძოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი. ამიტომ მისი კანდიდატურა თითქმის უალტერნატივო იყო. ამის საპირისპიროდ, ერთადერთმა სომეხმა კანდიდატმა წალკის რაიონში, სადაც მოსახლეობის 55%-ს სომეხები შეადგენენ (მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით), მოხსნა თავისი კანდიდატურა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე. ამომრჩეველთა ძალზე დაბალი აქტივობის გათვალისწინებით (35.24%, მაშინ, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების დროს იყო 39.42%), ამ ფაქტმა ნამდვილად იმოქმედა რაიონის ამომრჩევლების მოტივაციაზე, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში.

ეთნიკური წარმომადგენლობა საარჩევნო ადმინისტრაციაში

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების თანახმად, 2008 წლის არჩევნებში ეთნიკური უმცირესობები საუბნო და

საოლქო საარჩევნო კომისიებში შემდეგნაირად იყვნენ წარმოდგენილები: უმცირესობის 8 წარმომადგენელი საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე (1.8%) და 2,924 წარმომადგენელი (6.4%) საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ხოლო საპარლამენტო არჩევნებში უმცირესობის 24 წარმომადგენელი (2.4%) იყო საოლქო და 2,687 წარმომადგენელი (5.7%) საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს შორის პერიოდში გარკვეულ გაუმჯობესებას ჰქონდა ადგილი. სხვა საკითხებთან ერთად, ცვლილებები იქნა შეტანილი საარჩევნო კოდექსში, რათა ოპოზიციურ პარტიებს წარმომადგენლები ჰყოლოდათ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება, მართლაც, ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მან მხოლოდ უმნიშვნელოდ იმოქმედა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაზე უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ოპოზიცია არასათანადოდ მომზადებული აღმოჩნდა და თან დროც მცირე ჰქონდა, რომ მიეღო ზომები ადგილობრივი პარტიის წევრების საუბნო კომისიებისთვის შესარჩევად. აქედან გამომდინარე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, რომლებიც ოპოზიციურ პარტიებს წარმოადგენდნენ, ალაღბებზე იყვნენ შერჩეულნი და ხშირად მათ ფინანსური კომპენსაციის გარდა სხვა მოტივი არ ამოძრავებდათ. არ იყვნენ რა ერთგულები იმ პარტიებისა, რომლებსაც წარმოადგენდნენ, ბევრი საუბნო საარჩევნო კომისიის ოპოზიციონერი წევრები პასიურობდნენ, არასათანადოდ იყვნენ მომზადებულნი, რომ წინ აღდგომოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის სხვა წევრების მიერ საარჩევნო პროცედურების დარღვევის მცდელობებს და ხშირად მონაწილეობდნენ კიდევ ამ დარღვევებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მომავალი არჩევნებისთვის სამართლიანი კონკურენტული პლატფორმის შესაქმნელად ოპოზიციურმა პარტიებმა მნიშვნელოვანი სამუშაო უნდა ჩაატარონ, რათა მხარდაჭერის მცირე ბაზა მაინც შეიქმნან სასოფლო და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში.

პოლიტიკური პარტიები და უმცირესობათა წარმომადგენლობა

კანდიდატები ეთნიკური უმცირესობებიდან

ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის შეფასების ერთ-ერთი ნათელი ინდიკატორი ეთნიკური უმცირესობების იმ წარმომადგენელთა რაოდენობაა, რომლებიც არჩევნებში კანდიდატების სახით მონაწილეობდნენ. არჩევნებამდე რამდენიმე ორგანიზაციამ შეაგროვა მონაცემები საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობაზე და ამ ორგანიზაციების შედეგები ხშირ შემთხვევაში განსხვავებული იყო. მართლაც, არც ისე ადვილია უმცირესობების კანდიდატთა სიის შედგენა, ვინაიდან იგი შეიძლება ეფუძნებოდეს თვითიდენტიფიკაციას, გვარებს, რაიმე სხვა კრიტერიუმს ან კრიტერიუმების ერთობლიობას. სიათა უმეტესობა გვარებს ეფუძნება, მაგრამ გვარი, რომელიც „არაქართულად“ უღერს, თავისთავად არ გულისხმობს რომელიმე უმცირესობისადმი კუთვნილებას, ეთნიკური უმცირესობების ზოგიერთი წარმომადგენელი კი შესაძლოა ქართულ გვარს ატარებდეს. ამის მიუხედავად, „უმცირესობათა გვარების“ დათვლამ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც საჯაროდ ცნობილია, რომ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, შესაძლოა მაინც შექმნას მიახლოებითი წარმოდგენა არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის მასშტაბზე.

ვინაიდან საპრეზიდენტო არჩევნებში არც ერთი კანდიდატი არ იყო ეთნიკური უმცირესობიდან, ამ ნაშრომში ყურადღება 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს დაეთმობა. 2008 წლის მაისის არჩევნებში პარტიული სიის 1,767 კანდიდატს შორის მხოლოდ 54 (3%) იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით ეს კანდიდატები შემდეგნაირად იყოფოდნენ: 23 აზერბაიჯანელი, 16 სომეხი, 9 რუსი, 3 ბერძენი, 2 ოსი და 1 აფხაზი.

ყველა პარტიასა და საარჩევნო ბლოკს, გარდა გიორგი თარგამაძის ქრისტიან-დემოკრატებისა, სიაში უმცირესობის კანდი-

დატები ჰყავდა შეყვანილი. ეთნიკური უმცირესობები პარტიების მიხედვით ასე ნაწილდებოდნენ:

ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი	11
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	8
ტრადიციონალისტები – „ჩვენი საქართველო“ – ქალთა პარტია	7
გაერთიანებული ოპოზიცია	6
სპორტსმენთა კავშირი	6
რესპუბლიკური პარტია	5
საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია	4
ლეიბორისტული პარტია	2
მემარჯვენე ალიანსი	2
პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“	2
„ჩვენი ქვეყანა“	1

ყველა უმცირესობის კანდიდატი სიაში საკმაოდ ქვედა პოზიციებს იკავებდა და, ამრიგად, ამ კანდიდატთა უმეტესობას არჩევის რეალური შანსი არ ჰქონდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიებში ასეთი კანდიდატები 29-ე, 31-ე, 50-ე, 64-ე და 66-ე ადგილებს იკავებდნენ და ასევე რამდენიმე ადგილს 139-ის შემდეგ. სამი კანდიდატი, რომლებიც სიაში ყველაზე მაღლა იყვნენ, არჩეული იქნა. სხვა პარტიებიდან არც ერთი უმცირესობის წარმომადგენელი კანდიდატი არ ყოფილა არჩეული. თუმცა რესპუბლიკურ პარტიას არაქართველი კანდიდატები სიაში მე-9 და მე-15 ნომრებად ჰყავდა, ლეიბორისტულ პარტიას მე-12 ნომრად, საქართველოს რადიკალ-დემოკრატების ეროვნულ პარტიას მე-6, ხოლო ქრისტიან-დემოკრატიულ ალიანსს - მე-10, მე-13 და მე-16 ადგილებზე. გაერთიანებულ ოპოზიციას თავის სიაში უმცირესობის წარმომადგენელი კანდიდატი მხოლოდ 85-ე ადგილზე ჰყავდა.

რაც შეეხება კანდიდატებს ერთმანდატიან ოლქებში, მაისის არჩევნებში მონაწილე 434 მაჟორიტარი კანდიდატიდან მხოლოდ 15 იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი (10 აზერბაიჯანელი, 4 სომეხი და 1 აფხაზი), ანუ 3.5%. თითქმის ყველა მაჟორიტარი

კანდიდატი კენჭს ქვემო ქართლში ან სამცხე-ჯავახეთში იყრიდა, გამონაკლისი ერთი მაჟორიტარი იყო, რომელიც სამეგრელოში იყო კანდიდატად დასახელებული. ქვემო ქართლის 37 კანდიდატს შორის 10 უმცირესობის წარმომადგენელი იყო. უმცირესობის წარმომადგენელი კანდიდატები კენჭს იყრიდნენ გარდაბანში (ოთხიდან ორი კანდიდატი), მარნეულში (შვიდიდან ექვსი), ბოლნისში (შვიდიდან ერთი) და დმანისში (ოთხიდან ერთი). სომეხმა კანდიდატმა, რომელიც კენჭს წალკის ოლქში იყრიდა, მოხსნა თავისი კანდიდატურა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე და სომხებით მჭიდროდ დასახლებული რაიონი მხოლოდ ეთნიკურად ქართველი კანდიდატების ამარა დარჩა. სამცხე-ჯავახეთში 24 კანდიდატიდან 4 ეთნიკურ უმცირესობას მიეკუთვნებოდა; ოთხივე ეთნიკური სომეხი იყო და კენჭს ახალქალაქში (სამი კანდიდატიდან ერთი) და ნინოწმინდაში (ოთხიდან სამი) იყრიდა.

პარლამენტში უმცირესობათა წარმომადგენლობის თვალსაზრისით, ეს არჩევნები ძალზე უმნიშვნელო შედეგით დასრულდა. ახალი პარლამენტის მხოლოდ ექვსი წევრი, ანუ 4%, არის უმცირესობის წარმომადგენელი, მაშინ, როდესაც წინა პარლამენტში ასეთი 12 წევრი (5.1%) იყო⁶. ორი ეთნიკური სომეხი არჩეული იქნა მაჟორიტარ კანდიდატებად ახალციხისა და ნინოწმინდის ოლქებიდან, ხოლო ერთი ეთნიკური აზერბაიჯანელი მარნეულის მაჟორიტარია და სამივე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს. ორი აზერბაიჯანელი და ერთი სომეხი არჩეულები იქნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით. აღსანიშნავია, რომ არც წალკაში, სადაც ეთნიკური სომხები მოსახლეობის 55%-ს შეადგენენ, და არც ბოლნისსა თუ დმანისში, სადაც აზერბაიჯა-

6. 1991-1992 წლების პარლამენტში 7 უმცირესობის წარმომადგენელი პარლამენტარი იყო; 1992-1995 წლებისაში – 4; 1995-1999 და 1999-2004 წლების პარლამენტებში 16, თითოეულში. ეს ციფრები მიღებულია კომბინირებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც ითვლებიან ადამიანები მათი არაქართული გვარების მიხედვით და ამავე დროს გათვალისწინებულია საჯარო ინფორმაცია პარლამენტართა ეთნიკურობის შესახებ. აქ შეყვანილი ზოგი პარლამენტარი შესაძლოა არ მიიჩნევდეს თავს ეთნიკურ უმცირესობად. ამან შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული უზუსტობა, ვინაიდან, მაგალითად, ებრაული წარმომავლობის ზოგი ადამიანი შესაძლოა თვლიდეს ან არ თვლიდეს თავს არაქართველად. აქ მოტანილ ციფრებში ებრაული წარმომავლობის ადამიანები შეყვანილები არიან როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

ნელები უფრო დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ (შესაბამისად, 66% და 67%), ამ ჯგუფების წარმომადგენელი კანდიდატები არ იქნენ არჩეული. ამ ადგილებში აირჩიეს ეთნიკურად ქართველი კანდიდატები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“. წინა საპარლამენტო არჩევნების დროსაც ამ ბოლო ორ რაიონში უმცირესობის წარმომადგენელი კანდიდატები არ აურჩევიათ.

საარჩევნო კამპანია უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში

რა მიზეზებით შეიძლება ეს აიხსნას? საერთოდ, საპრეზიდენტო კანდიდატებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა უმცირესობების საკითხები ნაკლებად გაითვალისწინეს წინასასაარჩევნო კამპანიებში. ნათელია, რომ კანდიდატებმა და პარტიებმა ძალზე მცირე ყურადღება მიაქციეს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კამპანიის წარმოებას, გამონაკლისი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო. გარდა ამისა, მათ არ განუხილავთ ის საკითხები, რომლებიც აინტერესებდა და აღელვებდა ეთნიკური უმცირესობისადმი მიკუთვნებულ ბევრ ადამიანს. საპრეზიდენტო კანდიდატებისა და პარტიების პროგრამების შესწავლამ აჩვენა, რომ თითქმის არც ერთ პარტიას არ აუსახავს თავის პროგრამაში ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით აღელვებდა ეთნიკურ უმცირესობებს, მაგალითად, რეგიონული ინტეგრაციის საკითხები, ენობრივი საჭიროებები და უფლებები, უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება და რელიგიური საკითხები. თუმცა სახალხო დამცველის სამსახურთან არსებულმა ეროვნული უმცირესობების საბჭომ შეხვედრათა ორი ციკლი გამართა – ერთი საპრეზიდენტო არჩევნებამდე, 2007 წლის შუა დეკემბერში, საპრეზიდენტო კანდიდატებთან და მეორე — საპარლამენტო არჩევნებამდე, 2008 წლის შუა მაისში, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიების წამყვან წევრებთან. ამ შეხვედრებზე ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციათა წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ, მოესმინათ კანდიდატების მოსაზრებები და პოლიტიკური პროგრამები; ასევე, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პარტიის ლიდერები ეწვივნენ უმცირესობებით დასახლებულ რაიონებს.

ამრიგად, პოლიტიკურმა პარტიებმა ბევრი არაფერი იღონეს ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერის მოსაპოვებლად და შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკურმა უმცირესობებმა და მათმა პრობლემებმა უმნიშვნელო როლი შეასრულეს საარჩევნო პროცესებში. ეთნიკური უმცირესობები, როგორც ჩანს, არ თამაშობენ განსაკუთრებით აქტიურ როლს, რომ მათ გარშემო მოხდეს პოლიტიკური დღის წესრიგის მობილიზება.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით

მომდევნო წლებში გამოჩნდება, მოხდება თუ არა ეთნიკური უმცირესობების უფრო აქტიური მობილიზება პოლიტიკური პარტიების მეშვეობით. არსებული პარტიების ერთ-ერთი სტრატეგია შეიძლება იყოს უმცირესობათა უფრო აქტიურად ჩართვა მათ რიგებში. ზოგისათვის შესაძლოა საინტერესო იყოს სხვა ქვეყნების გამოცდილება, მაგალითად, ბალკანეთის ქვეყნებისა, სადაც შეიქმნა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც კონკრეტულ ეთნიკურ უმცირესობას ან სათემო ჯგუფებს წარმოადგენდნენ. ხშირად ეთნიკურ უმცირესობაზე ან თემზე დამყარებული ასეთი პარტიები უმცირესობების ინტერესების დაცვისა და ხელშეწყობის იარაღად გვევლინებიან. ზოგ შემთხვევაში ასეთმა პარტიებმა შეძლეს არჩევით ორგანოში მოხვედრა საერთო საარჩევნო ბარიერის გადალახვის მოთხოვნის დაკმაყოფილების გარეშე (საქართველოში ახლა ეს ბარიერი 5%-ია, რაც ნაკლებია წინა საპარლამენტო არჩევნების დროს არსებულ 7%-ზე). ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია ეროვნული დონის პარტიის შექმნა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ინტერესთა გამომხატველი იქნება, კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კრძალავს პარტიების შექმნას რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნით (მე-6 მუხლი). შესაბამისად, საჭიროა დისკუსიის დანყება, უნდა შეიცვალოს თუ არა ეს დებულება, რათა ხელი შეეწყოს უმცირესობების უკეთეს წარმომადგენლობას.

რეზერვირებული ადგილების სისტემა, ანუ ეთნიკური უმცირესობებისათვის არჩევით ორგანოში რამდენიმე ადგილის გარანტირების იდეა, რომელიც უფრო და უფრო მკვიდრდება სახელმწიფოებში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უმცირესობების წარმომადგენლობა და მათი ჩართვა ქვეყნის პოლიტიკურ სტრუქტურებში, კიდევ ერთი შესაფერისი და სათანადო გზაა საქართველოში უმცირესობების წარმომადგენლობის პრობლემის გადასაჭრელად. მართალია, რეზერვირებული ადგილების სისტემა ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი იყო სხვადასხვა სათემო ჯგუფს შორის ძალაუფლების გადასანაწილებლად შიდა კონფლიქტების დროს, რომლებიც 1950-60 წლებში დეკოლონიზაციის პროცესმა გამოიწვია, მაგრამ მსგავსი მექანიზმები არც ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა შიდა ეთნიკური დაძაბულობების თავიდან ასაცილებლად და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში სხვადასხვა ჯგუფის შესარიგებლად, მაგალითად, 1990-იან წლებში ბალკანეთსა და აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში.

დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანას, მაგალითად, დანიას, ფინეთს, გერმანიასა და ბელგიას, მსგავსი სისტემა აკერ უკვე ათწლეულებია აქვს იმისათვის, რომ უზრუნველყოს უმცირესობების წარმომადგენლობა. მექანიზმები განსხვავებულია და შესაძლოა გულისხმობდეს არჩევით ორგანოებში რეზერვირებულ რეალურ ადგილებს, ანდა ადმინისტრაციული ტერიტორიების საოლქო საარჩევნო უბნებად გადანაწილებას კონკრეტული ჯგუფებისათვის, რათა არჩევნების დროს ისინი უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. კონკრეტული ჯგუფების განსაზღვრა, რომლებსაც გამოეყოფა რეზერვირებული ადგილები, შესაძლოა განსხვავდებოდეს ეთნიკური წარმომადგენლობის, ენის, რელიგიური თუ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ნიშნით. წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის რეზერვირებული ადგილების დეტალურად განხილვა. თუმცა ასეთი მოდელები შესაძლოა საქართველოში უმცირესობების პოლიტიკურ მონაწილეობაზე მნიშვნელოვანი დისკუსიის საფუძველი გახდეს მომავალში.

2005 წელს საქართველომ უმცირესობათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის, ეროვნულ უმცირესობათა

დაცვის ჩარჩო კონვენციის, რატიფიცირება მოახდინა და უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველო მალე გადადგამს ნაბიჯებს ევროპის საბჭოს წინაშე დარჩენილი ვალდებულებების შესასრულებლად, ანუ ხელს მოაწერს და რატიფიკაციას გაუკეთებს რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიას და მიიღებს კანონს ანდა სრულ საკანონმდებლო ბაზას უმცირესობების დასაცავად, რითაც მნიშვნელოვნად დაუახლოვებს ქვეყანას ევროპულ სტანდარტებს.

ამავდროს, მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში საქართველო გაააქტიურებს პოლიტიკის შემუშავებას ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირებისა და მათი დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად და, ამრიგად, შეასრულებს ჩარჩო კონვენციის ძირითად დებულებებს. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ 2008 წლის ნოემბერში ხელისუფლებამ წარმოადგინა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ქმედებებს ამ მიზნის მისაღწევად. მოსალოდნელია, რომ საქართველო მიიღებს ზომებს ეთნიკური უმცირესობების ეფექტიანი პოლიტიკური მონაწილეობისათვის. „ეროვნულ კონცეფციაში“, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზგასმულია საარჩევნო მასალებისა და ბიულეტენების უმცირესობების ენებზე დაბეჭდვის აუცილებლობა და ასევე აღნიშნულია, რომ „კამპანიის ჩატარებისათვის კონკურენტულ გარემოს პოლიტიკური პარტიები ქმნიან“. ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია „ეროვნული უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლების და არჩევით ორგანოებში თანასწორი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა“ და „გადანყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება“. თუმცა ამ ამოცანების შესასრულებლად კონცეფციის პროექტი ძალზე ცოტა ზომას მოიცავს, მასში აღნიშნულია, რომ ეთნიკურ უმცირესობათა თანასწორი წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებლობაში ცვლილებებია გათვალისწინებული.

გარდა იმ ზოგადი ხასიათის რეკომენდაციებისა, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია მოსახლეობის უმცირესობებისა და უმრავლესობის წარმომადგენლებისათვის და იმ რეგიონებისათვის, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ (მათ შორის ამომრჩევლის განათლების და საარჩევნო პროცედურების შესახებ ინფორმირების დონის ამაღლება, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მომზადების გაუმჯობესება და მათზე კონტროლის/სანქციის უკეთესი მექანიზმების საჭიროება), არის კიდევ რამდენიმე სპეციფიკური საკითხი, რომლებიც უნდა აღინიშნოს. რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშში შეტანილი რეკომენდაციების შესაბამისად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამ ორ არჩევნებს შორის მნიშვნელოვანი ზომები მიიღო, რათა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის დამატებითი ტრენინგები ჩატარებინა უმცირესობის შესაბამის ენაზე. ცესკო-მ ასევე შეასრულა რეკომენდაცია, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უზრუნველყო არჩევნებთან დაკავშირებული მასალა როგორც ქართულ, ასევე უმცირესობების ენებზე. და მაინც, საპარლამენტო არჩევნების დროს უმცირესობებით დასახლებული რეგიონების საუბნო საარჩევნო კომისიები ზოგჯერ მხოლოდ უმცირესობის ენაზე დაბეჭდილ მასალებს იღებდნენ, რაც პრობლემას უქმნიდა ეთნიკურ ქართველებს.

ყურადღება უნდა მიექცეს ასევე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში მცხოვრებ სხვა ჯგუფებსაც, მაგალითად, რუს დუხობორებს ნინონმინდის რაიონში, რომლებმაც საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაიჩივეს, რომ ვერ გაიგეს საარჩევნო მასალა, რომელიც მათ მხოლოდ სომხურ ენაზე მიანოდეს.

მართლაც, შემთხვევით დაშვებული ასეთი შეცდომების გამოსწორება ადვილად შეიძლება მომავალი არჩევნებისთვის. რეკომენდებულია უფრო სერიოზული ლოგისტიკური მუშაობის ჩატარება მომავალ არჩევნებამდე, რათა უზრუნველყოფილი

იქნეს უმცირესობების ენებზე არსებული შესაბამისი მასალების სრულად გამოყენება. ეს პრობლემები შეიძლება ნაწილობრივ გადაიჭრას, თუკი უმცირესობების საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის საარჩევნო მასალები, მათ შორის ბიულეტენები, საინფორმაციო პლაკატები და ამომრჩეველთა სიები, დამზადდება ორ შესაბამის ენაზე და არა ერთ კონკრეტულ ენაზე.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ასევე ყურადღებით უნდა განსაზღვროს, რომელი უმცირესობის ენა გამოიყენოს სხვადასხვა უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში და იფიქროს რუსული მასალების შესაძლო გამოყენებაზე ჯავახეთში და კირილიციით დანერილი აზრბაიჯანულისა ქვემო ქართლის ზოგ რაიონში.

როგორც ცესკო-მაც აღნიშნა, საჭიროა ამომრჩევლების უწყვეტი განათლება არა მარტო უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, არამედ მთლიანად საქართველოში არჩევნებს შორის პერიოდშიც. ასეთი საგანმანათლებლო კამპანიის ღონისძიებები მუდმივად უნდა ტარდებოდეს.

პრობლემად რჩება ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობები არ არიან სათანადოდ წარმოდგენილი საოლქო საარჩევნო კომისიებში. ვინაიდან ეს პრობლემა ნაწილობრივ გამომდინარეობს იმ მოთხოვნიდან, რომელიც საჯარო მოხელეებს ქართული ენის ცოდნას ავალდებულებს, ცესკო-მ უნდა მიიღოს სათანადო ზომები ეთნიკური უმცირესობებიდან შესაფერისი წარმომადგენლების დასაქირავებლად, რომლებსაც ქართული ენის საკმარისი ცოდნა ექნებათ.

რეკომენდაციები კანონმდებლებს

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დასკვნით ანგარიშში შეტანილი რეკომენდაციების შესაბამისად, ხელისუფლებამ რჩევები უნდა ჰკითხოს ეთნიკურ უმცირესობებს საარჩევნო კანონმდებლობის შესწორების დროს და ასევე მხედველობაში მიიღოს ეროვნული უმცირესობების დარგში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობე-

ბის ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობის სახელმძღვანელო პრინციპები (ვარშავის რეკომენდაციები).

რეკომენდაციები პოლიტიკურ პარტიებს

პოლიტიკური პარტიები ბევრს მოიგებენ, თუ მომავალ არჩევნებამდე სერიოზულ ზომებს მიიღებენ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებთან კომუნიკაციისთვის.

რეკომენდაციები ეროვნული უმცირესობების თემებს და ორგანიზაციებს


უმცირესობათა თემებმა და ორგანიზაციულმა სტრუქტურებმა უნდა სცადონ უფრო აქტიურად ჩართვა პარტიულ პოლიტიკაში როგორც არსებულ პარტიებში უფრო ინტენსიური მონაწილეობის გზით, რაც გამოიწვევს ამ პარტიების პროგრამების განვითარებას ეთნიკური უმცირესობის კუთხით, ასევე ახალი პარტიული სტრუქტურების შექმნის მეშვეობით, რომლებიც პოპულარიზაციას გაუწევენ უმცირესობების ინტერესებს.

რეკომენდაციები საერთაშორისო თანამეგობრობას

საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა მიიღოს სათანადო და ყოვლისმომცველი ზომები, რათა უზრუნველყოს მომავალი არჩევნების, მათ შორის 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების, ეფექტიანი მონიტორინგი, სხვა საკითხებთან ერთად ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არჩევნების მონიტორინგის ჩატარებისთვის საერთაშორისო დაფინანსების გამოყოფის გზით. უნდა შეიქმნას სხვადასხვა (როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო) სადამკვირვებლო ორგანიზაციის შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მექანიზმები.

საერთაშორისო სტრუქტურებმაც უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ხელისუფლებამ იფიქროს პარლამენტში ეთნიკური

უმცირესობების წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მოდელების შემოღებაზე საუკეთესო ევროპულ პრაქტიკაზე დაყრდნობით და შესაბამისი კანონმდებლობის, მათ შორის საარჩევნო კოდექსის და ისეთი აქტების, როგორცაა კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, შესწორებაზე, რათა მოიხსნას ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის უმცირესობებს, უფრო აქტიური როლი ითამაშონ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.



ტირაჟი
1000